პლეხანოვი

მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე

პასუხად ბ. ბ. მიხაილოვსკის, კარეევს და კომპ.

Audiatur et altera pars.

თარგმანი
მ. თავართქილაძისა

სახელგამი—1930—ტფილისი

მე-6 სტამბა
პოლიგრაფტრესტისა
მთავლიტი—1802
შეკვ. 451. ტირ. 1000

„მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე“ გ. პლეხანოვის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. მას აქვს არა მარტო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, როგორც იმ ბრძოლის ძეგლს, რომელიც წარმოებდა მარქსიზმსა და ნაროდნიკობას შორის რუსული ლეგალური ჟურნალისტიკის ასპარეზზე, არამედ – განსაკუთრებული ღირებულებაც, როგორც წყაროს ისტორიული მატერიალიზმის შესასწავლად. მისი ცალკე ფურცლები საზოგადოებრივი განვითარების მარქსის თეორიის გაგებისათვის უფრო მეტს იძლევა, ვიდრე ზოგის ათეული და ასეული ფურცლები.

მაგრამ არის გარემოება, რომელიც თანამედროვე მკითხველს— განსაკუთრებით ინტელიგენტ მუშას და მოწაფეს—ამ შესანიშნავი შრომით სარგებლობას უძნელებს. ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ წინამდებარე ნაწარმოები ცხარე პოლემიკით გამსჭვალულ პამფლეტს წარმოადგენს. გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ეს ფორმა ხელს უშლის თანამედროვე მკითხველს იმ მეცნიერული მასალის შეთვისებაში, რომელსაც პლეხანოვის გენიალური პამფლეტი შეიცავს...

წიგნი გამოდის მეორე გამოცემის წინასიტყვაობით და სამი დამატებით, რომელიც მას ჩვეულებრივად თან ახლავს *). რამდენადაც ვიცით, საზღვარ-გარეთ გ. პლეხანოვის არქივში ამ უკანასკნელ ხანებში ნაპოვნია „მონისტური თვალსაზრისის“ ახალი წინასიტყვაობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

* *
*

წარსული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლები დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზროვნების მატიანეში აღნიშნულია, როგორც ცხარე მეცნიერული დისკუსიის ეპოქა ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. იმ ხანებში აკადემიური მეცნიერების წარმომადგენლებმა ფარ-ხმალი აისხეს მატერიალიზმის—პროლეტარიატის ფილოსოფიის

*) მეორე დამატება: „რამდენიმე სიტყვა ჩვენს მოწინააღმდეგეებს“, ქართულ თარგმანში არ შესულა.—მთარგმნელი.

—წინააღმდეგ. ისტორიულ მატერიალიზმს სწამებდენ მექანიურობას, შინაგან წინააღმდეგობას, ფატალიზმს, ფილოსოფიურ სიჩლუნგეს, კვიეტიზმს, შაბლონობას, ამორალობას, მეტაფიზიკურ ხასიათს. ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულმა გამოსვლებმა მისცა საბაბი კარლ კაუცკის, ფრანც მერინგსა და პოლ ლაფარგს გამოსულიყვენ ისტორიული მატერიალიზმის ბრწყინვალე აპოლოგიით, რამაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა მარქსიზმის მეცნიერული საუნჯე.

დისკუსიამ, რომელიც ისტორიული მატერიალიზმის გარშემო წარმოებდა, ჰპოვა გამოძახილი რუსეთშიაც. 1892-4 წ.-წ. რუსულ ჟურნალებში დაიბეჭდა მთელი რიგი წერილები, რომელიც ცდილობდა გაებათილებია ისტორიული მატერიალიზმი უმთავრესად გერმანელი იდეალისტების არგუმენტაციით. ნ. კ. მიხაილოვსკი, პროფ. კარეევი, კუდრინი და ისტორიული მატერიალიზმის სხვა კრიტიკოსები ამტკიცებდენ ამ სისტემის დოქტრინერულსა და დოგმატიურ ცალმხრივობას, მის მეცნიერულ უმართებულებას.

ყველა ამ გამოსვლის პასუხი—audiatur et altera pars—იყო პლეხანოვის 1895 წელს გამოქვეყნებული წიგნი, რომელიც დღემდე წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის ისტორიის და თეორიის კლასიკურ სახელმძღვანელოს. ბელტოვის წიგნი—„მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე“, გადაიქცა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისთვის მიმართულების მიმცემად და განსაკუთრებული გავლენა მოახდინა თანამედროვეთა აზროვნებაზე. ლიადოვის მოწმობით, ახალგაზრდობა მასიურად ტოვებდა ნაროდნიკულ პოზიციებს და დგებოდა მარქსიზმის დროშის ქვეშ. ბელტოვს იფიცებდენ, ბელტოვს კითხულობდენ გატაცებით გიმნაზიის ყოველ ჯგუფში*). ბელტოვმა სრულიად დაიმორჩილა იმ თაობის გონება, რომელსაც შელგუნოვმა უწოდა „მომავლის ახალგაზრდობა“. ბელტოვის წიგნი გადაიქცა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახარებად“, როგორც მას უწოდა ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთმა წუთიერმა მომხრემ, რომელმაც შემდეგ მას უღალატა და დაეშვა „მარქსიზმიდან იდეალიზმის გზით“ მისტიციზმისა და რეაქციის უფსკრულში.

საკითხავია, შეეფერებოდა თუ არა პლეხანოვის წიგნის მნიშვნელობა იმ შეფასებას, რომელიც მას მისცეს.

პლეხანოვის წიგნში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მომენტად ჩვენ ვთვლით სწორი შეხედულების შემუშავებას XVIII

---

*) იხ. М. Лядов. История РСДРП. 1-ლი ნაწილი.

საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმზე, რომლის შესახებ დღემდე ერთობ ბუნდოვან აზრს ვხვდებით. მეოთხმოცდაათე წლებში-კი დიალექტიკური მატერიალიზმის და ფრანგული მატერიალიზმის ერთიმეორეში არევა, პირველისადმი მეორის სუსტი მხარეების მიკუთვნება, ნათელი წარმოდგენის უქონლობა იმ საზღვარზე, რომელიც ჰყოფს მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებებს ჰოლბახისა და ჰელვეციუსის მოძღვრებისგან, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პლეხანოვმა მკვეთრად და აშკარად გაავლო ეს საზღვარი, გამოარკვია ნამდვილი ურთიერთობა, რომელიც არსებობს დიალექტიკურ მატერიალიზმსა და XVIII საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმს შორის. ნათელჰყო ამ უკანასკნელის წინააღმდეგობანი და სუსტი მხარეები. მან ცხადჰყო, რომ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი თავიდან ბოლომდე დიალექტიკურია მაშინ, როცა ჰელვეციუსისა და ჰოლბახის შეხედულებანი სავსებით მეტაფიზიკურ ხასიათს ატარებენ და ამრიგად ენათესავებიან მეტაფიზიკურ იდეალიზმს, რომელთანაც ერთად ისინი სუბსტანციის უცვლელობას აღიარებენ. პლეხანოვმა გამოარკვია ის მომენტები, რომლითაც დიალექტიკური მატერიალიზმი უკავშირდება ფრანგულ მატერიალიზმს და მის გაგრძელებას წარმოადგენს, და ამასთანავე ცხადჰყო ის საბედისწერო წინააღმდეგობანი, რომელთა მოჯადოვებულ წრეში ტრიალებდა ჰოლბახის, ჰელვეციუსის და მათ თანამოაზრეთა ფილოსოფიური აზროვნება. მან გამოააშკარავა არათანაშიმდევრობა და ლოღიკური უმართებულება მათი სისტემისა, რომელიც აღიარებდა საგანთა თვისებების შეცნობის შესაძლებლობას და აცხადებდა მატერიის არსის შეუცნობლობას. ა. დებორინი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ „ფრანგული მატერიალიზმი ნამდვილი თავისი სახით პლეხანოვმა წარმოგვიდგინა“-ო *).

განვიხილოთ პლეხანოვის გამოსვლის სხვა დამსახურება.

მესამოცდაათე წლებში ნ. კ მიხაილოვსკი ისტორიულ მატერიალიზმში ხედავდა „შესანიშნავად დამუშავებულ მასალას ზოგადი საკითხის გადასაჭრელად იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა ფორმასა და მისი არსებობის მატერიალურ პირობებს შორის **). შემდეგში მიხაილოვსკიმ შესცვალა თავისი დამოკიდებულება მარქსის ფილოსოფიური მოძღვრებისადმი, გამოვიდა ისტორიული მატერია-

---

*) А. Деборин: „Введение в философию диалектического материализма“.

**) Отечественные записки.

ლიზმის ერთ-ერთ ყველაზე უფრო შეურიგებელ მოწინააღმდეგედ და ცდილობდა მკითხველი საზოგადოების თვალში გაექარწყლებია მისი მეცნიერული ღირებულება. მიხაილოვსკი ამტკიცებდა, რომ ეკონომიური მატერიალიზმი ყოვლისშემცველი ფილოსოფიური სისტემა კი არაა, არამედ მხოლოდ მისი ნამსხვრევი, რომ ეკონომიური მატერიალიზმის თვით საფუძვლები... ერთმანეთთან შეუკავშირებელია და ფაქტებით შეუმოწმებელი" *).

პლეხანოვმა თავისი გამოსვლით ყველას დასანახად ნათელჰყო იმ მტკიცების უსაფუძვლობა, რომლის მიხედვით მარქსის სისტემის ნაწილები შეუკავშირებელია და თვით სისტემა ფაქტებით შეუმოწმებელი. „ისტორიული მატერიალიზმის დებულებანი შეუკავშირებელია ერთმანეთთან?"—კითხულობდა პლეხანოვი—საკმარისია წავიკითხოთ „Zur Kritik der politischen Oekonomie"-ის წინასიტყვაობა იმის დასანახად, თუ რა მწყობრად და მჭიდროდაა ისინი შეკავშირებული ერთმანეთთან". მართლაც, საკმარისი იყო მკითხველს მიემართნა იმ შესანიშნავი წინასიტყვაობისთვის, რომელსაც პლეხანოვი ასახელებს, რომ მყისვე შეენიშნა მასში სწორედ ის განმაზოგადოებელი და ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებული იდეები, რომელსაც ამაოდ ეძებდა მიხაილოვსკი მარქსის მოძღვრებაში.

პლეხანოვმა ამხილა ის მიუტევებელი შეცთომა, რასაც სუბიექტივისტები ჩადიან, როცა ცდილობენ ერთი-მეორეს მოაცილონ მარქსის ეკონომიური მოძღვრება და მისი ისტორიული თეორია, როცა სცნობენ პირველს და უარჰყოფენ მეორეს. „ამით ნათქვამია ის, რომ თქვენ არ გესმით მისი არც ისტორიული თეორია, და არც ეკონომიური შეხედულებანი".

პლეხანოვის აზრით, მარქსის ეკონომიური შეხედულებანი განუყრელია ისტორიული მატერიალიზმისგან. მან არა ერთხელ დაამტკიცა ის დებულება, რომელიც მარქსმა შემდეგი სიტყვებით გამოთქვა: „ეკონომიური კატეგორიები წარმოადგენს მხოლოდ წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა თეორიულ განყენებულ გამოხატულებას" („ფილოსოფიის სიღატაკე"). პლეხანოვი აბათილებდა ბრალდებასაც ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების შეუმოწმებლობის შესახებ. „ისინი შემოწმებულია საზოგადოებრივ მოვლენათა ანალიზით წიგნში—„მე-18 ბრიუმერი" და „კაპიტალშიც"... უკლებლივ ყველა თავში—პირველიდან უკანასკნელამდე".

---

*) Русское Богатство, 1894.

პლეხანოვის გამოსვლის მეცნიერული ღირებულება და საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ განედევნა ისტორიული მატერიალიზმის მოწინააღმდეგენი იმ იდეალისტური და სუბიექტური პოზიციებიდან, რომელზეც იყვენ ისინი გამაგრებულნი.

თავის წიგნში პლეხანოვმა მოგვცა ტიტულიარული „სოვეტნიცის“ ტიპი, რომელიც ფიქრობს, რომ დარვინის თეორიის მთელი აზრი იმ აღმაშფოთებელ დებულებაში მდგომარეობს, თითქოს იგი—საპატიო „ჩინოვნიცა“ წარმოადგენდეს მხოლოდ თავსაფრით მორთულ მაიმუნს. პლეხანოვმა მიზნად დაისახა დაემტკიცებია, რომ მარქსი სწორედ ისევე არ სწამებს ცილს „ინტელიგენტებს“, როგორც დარვინი—ტიტულიარულ „სოვეტნიცებს“.

უნდა აღვიაროთ, რომ მიუხედავად თავისი კარიკატურული ხასიათისა, მოყვანილი სურათი დაახლოვებით სწორად გამოხატავდა ბურჟუაზიული და ნაროდნიკული პუბლიცისტიკის ერთი ნაწილის დამოკიდებულებას ისტორიულ მატერიალიზმთან. უკანასკნელი ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებდა მერინგის სიტყვებს იმის შესახებ, რომ თანამედროვე საზოგადოება ისეთსავე დამოკიდებულებაშია ისტორიულ მატერიალიზმთან, როგორშიც იგი იყო წინად დარვინიზმთან, რომელსაც განიხილავდა როგორც „მაიმუნურ თეორიას“.

პლეხანოვი აღნიშნავდა, რომ მატერიალისტები თავის იდეალს ეკონომიურ სინამდვილეს უხამებენ, და ამხელდა სუბიექტივისტების მიდრეკილებას მეტაფიზიკისადმი, რომელთაც არ ესმოდათ ყოველი სინამდვილის ორმხრივი ხასიათი. მატერიალისტები ემყარებიან არა დრომოჭმულ სინამდვილეს, არამედ იმას, რომელიც მას შესცვლის —„მომავლის სინამდვილეს, რომლისადმი სამსახური ნიშნავს სიყვარულის დიადი საქმის გამარჯვებისთვის ხელის შეწყობას“. არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მატერიალისტები არ აძლევენ არავითარ მნიშვნელობას იდეალებს. თუ კი ვილაპარაკებთ „იდეალების“ მიხედვითო—აცხადებდა პლეხანოვი—მარქსის თეორია არის ყველაზე უფრო იდეალისტური, რომელიც-კი ახსოვს კაცობრიობის აზროვნების ისტორიას.

ისტორიული მატერიალიზმის მოწინააღმდეგენი ამ მოძღვრების აქილესის ტერფად თვლიდენ (და თითქმის ეხლაც თვლიან) მის „ცალმხრივობას“—იმას, რომ იგი არის ყოვლისშემცველი და ამიტომ „კოჭლი“ თეორია, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ზოგი ელემენტის მნიშვნელობას აზვიადებს, ზოგს-კი ჩქმალავს. ისტო-

რიული მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებს, რომელთაც შეჰქონდათ შესწორება თითქოს მის ცალმხრივობაში, ეკავათ „ნეიტრალური მდგომარეობა“ მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის და ამტკიცებდენ, რომ „...ისტორიის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ეკონომიური მიმართულება ერთნაირად სწორია, რამდენად ისინი... ერთიმეორეს ავსებენ“-ო *).

პლეხანოვმა იკისრა ამოცანა დაემტკიცებია, რომ იდეალისტური და მატერიალისტური თვალსაზრისის სინთეზის ყოველი ცდა მიგვიყვანს არა „სრული ჭეშმარიტების“ აღმოჩენამდე, რასაც ეძებდა სუბიექტური სოციოლოგიური სკოლა, არამედ „ეკლექტიზმის საგლახაკო საჭემანდამდე“. მან თავის ნაშრომში გამოარკვია, რომ დუალისტურ სისტემებს, რომელთაც სული და მატერია მიაჩნიათ ურთიერთ შემვსებ სუბსტანციებად, არ ძალუძთ მოგვცეს ისტორიული პროცესის რამოდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი ახსნა. ამიტომ იგი გვირჩევდა მოვლენები აგვეხსნა ერთი ძირითადი პრინციპის—მონიზმის მეოხებით.

სუბიექტურ-სოციოლოგიური სკოლისათვის საზოგადოებრივი პროცესის ახსნა სულიერი საწყისით—იყო თეზისი, მისი განხილვა ეკონომიური თვალსაზრისით—ანტითეზისი და ამიტომ იგი მოუწოდებდა მესამე მომენტისაკენ, რომელშიაც „თეზისის და ანტითეზისის ცალმხრივობა მოიხსნება“. სულსა და სხეულს შორის „ნეიტრალიტეტის დაცვით“—სუბიექტივისტები სინთეზს ეძებდენ იდეალიზმისა და მატერიალიზმის შერიგებაში.

პლეხანოვმა გამოამჟღავნა, რომ სუბიექტივისტების „სინთეზს“ მივყევართ წმინდა-წყლის დუალიზმამდე. „მასო—ამბობს პლეხანოვი კარეევის შესახებ—აქ ეკონომია აქვს; იქ—ფსიქოლოგია; ერთ ჯიბეში—სული, მეორეში—სხეული. ამ სუბსტაციებს შორის არის ურთიერთ ზემოქმედება, მაგრამ თითოეული მათგანი ეწევა დამოუკიდებელ არსებობას, რომლის წარმოშობა ბურუსითაა მოცული“. სოციოლოგიური სკოლის დუალიზმს პლეხანოვმა დაუპირისპირა მარქსიზმის მონიზმი. იგი აღნიშნავდა, რომ მარქსისათვის ფსიქოლოგია და ეკონომია წარმოადგენს ერთი მოვლენის—არსებობისათვის ბრძოლის—ორ მხარეს, რომლის პროცესში ხდება ესა თუ ის საზოგადოებრივი დაჯგუფება, რომელიც განისაზღვრება საწარმოო ძალთა მდგომარეობით. პლეხანოვი ამომწურველად ხსნის, თუ როგორ უნდა გავიგოთ ისტორიული მატერიალიზმის primum agens-ი—ეკონომიკა. აი რას ამბობს იგი ამის შესახებ.

*) ნ. კარეევი. ეკონომიური მატერიალიზმის კრიტიკა.

— არსებობისათვის ბრძოლა ჰქმნის მათ (ადამიანთა... ს. ვ.) ეკონომიას, მის საფუძველზეევ აღმოცენდება მათი ფსიქოლოგიაც... ეკონომია თვით არის წარმოებული რამ ისე, როგორც ფსიქოლოგია. და სწორედ ამიტომ იცვლება პროგრესის გზაზე მდგარი ყოველი საზოგადოების ეკონომია: საწარმოო ძალთა ახალი მდგომარეობა იწვევს ახალ ეკონომიურ სტრუქტურას სწორედ ისე, როგორც ფსიქოლოგიას, ეპოქის ახალ „სულს". იგი თვით არის შედეგი და საწარმოო ძალთა ფუნქცია.

საზოგადოებრივი პროცესის განვითარება პლეხანოვს წარმოდგენილი აქვს ამრიგად: ისტორიული განვითარების მრუდე ხაზზე არსებობს დიდ გადატრიალებათა წერტილები; ეს წერტილებია A, B, C, Д და სხვ. როდესაც ეკონომიური განვითარება აღწევს A წერტილს, მაშინ იმარჯვებს ერთი კლასი; როდესაც იგი აღწევს B წერტილს, მაშინ მანამდე გაბატონებული კლასი იძულებულია თავისი ადგილი დაუთმოს ახალ კლასს და სხვ. და ეს გრძელდება მანამ, სანამ საზოგადოებრივი განვითარება არ მიაღწევს საბოლოო წერტილს C-ს, რომელზედაც გაჰქრება თვით საზოგადოების დაყოფა კლასებად.. კაცობრიობის მოძრაობა A წერტილიდან B წერტილამდე, B წერტილიდან C წერტილამდე და ასე შემდეგ თვით Д წერტილამდე—არასოდეს არ ხდება მარტოოდენ ეკონომიკის გზით. იმისათვის, რომ A წერტილიდან მივიდეთ B წერტილამდე და სხვ... საჭიროა ყოველთვის აღვმაღლდეთ „ზედნაშენამდე" და იქ მოვახდინოთ ზოგი ცვლილებანი. მხოლოდ ასეთ ცვლილებათა შემდეგ შესაძლოა მივაღწიოთ სასურველ წერტილს. გზა ერთი წერტილიდან მეორე წერტილისაკენ გაივლის „ზედნაშენს" *).

პლეხანოვი მრავალჯერ ხაზს უსვამს, რომ ეკონომიური ურთიერთობანი არ წარმოადგენენ გაყინულ მეტაფიზიკურ ცნებას. „ისინი მუდმივ იცვლებიან იმ ისტორიული წრის ზეგავლენით, რომლითაც გარემოცულია ესა თუ ის საზოგადოება". შემდეგში, საზოგადოებრივი პროცესის კანონზომიერების გარკვევის დროს („მარქსიზმის ძირითად საკითხებში") პლეხანოვმა განავითარა ფორმულა, რომელიც ხსნის საწარმოო ძალთა და საზოგადოებრივ ეკონომიას შორის ურთიერთ ზემოქმედებას, და აგრეთვე იმ ურთიერთ ზემოქმედებასაც, რომელიც არსებობს ეკონომიურ „საფუძველსა" და იდეოლოგიურ „ზედნაშენს" შორის. პლეხანოვი

*) იხ. ღია წერილი ვ. ა. გოლცევისადმი: «За двадцать лет». მესამე გამოცემა. პეტერბურგი, 1908 წ. გვ. 440.

აბათილებს ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ წამოყენებულ იმ ბრალდებას, რომ იგი (ე. ი. ისტ. მ.) აფეტიშებს ეკონომიურ ფაქტორს და საზოგადოებრივი განვითარების ყველა დანარჩენ ფაქტორებს უყურადღებოდ სტოვებს, და ფართედ შლის „საფუძვლის“ „ზედნაშენთან“ დამოკიდებულების შემდეგ ხუთ-წევროვან ფორმულას.

1. საწარმოო ძალთა მდგომარეობა.

2. მათ მიერ განსაზღვრული ეკონომიური ურთიერთობანი.

3. ამა თუ იმ ეკონომიურ საფუძველზე აღმოცენებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება.

4. საზოგადოებრივი ადამიანის ფსიქიკა, რომელიც ნაწილობრივად უშუალოდ განისაზღვრება ეკონომიკით, ხოლო ნაწილობრივად მასზე აღმოცენებული მთელი სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით.

5. სხვადასხვა იდეოლოგია, რომელიც გამოხატავს ამ ფსიქიკის თვისებებს *).

პლეხანოვი სავსებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ აღნიშნული ფორმულა საკმაოდ ფართეა იმისათვის, რომ მასში ადგილი ჰპოვოს საზოგადოებრივი განვითარების ყველა ფორმამ, და რომ ამავე დროს იგი მთლიანად გამსჭვალულია მატერიალისტური მონიზმით.

„სულისა“ და „სხეულის“ ურთიერთ ზემოქმედების ბუნდოვანს, თითქმის მეტაფიზიკურ ცნებას პლეხანოვმა დაუპირისპირა ნათელი და გარკვეული ფორმულა, რაც ზუსტად შეესაბამება მარქსის შეხედულებას, რომელიც ყოველთვის სცნობდა „სულის“, როგორც საბოლოოდ ეკონომიკაზე დამოკიდებული ძალის, მოქმედებას საზოგადოებრივ პროცესში. ამ ფორმულის დასაბუთება და პოპულიარიზაცია წარმოადგენდა დიდი მნიშვნელობის საქმეს; უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს დიალექტიკური მატერიალიზმის „სივიწროვე“ და „ცალმხრივობა“ წარმოადგენდა მისი კრიტიკოსების დასამიზნებელ საგანს. პლეხანოვმა თავისი გამოსვლით ყოველი ფასი დაუკარგა ყველა იმ „შემარიგებელ“ ეკლექტიკურ თეორიებს, რომლებიც აღიარებდენ საზოგადოებრივი განვითარების მრავალრიცხოვანი, ურთიერთ ზემოქმედი, ელემენტების დამოუკიდებლობას.

თუ ცალმხრივობა იყო ერთ-ერთი „გავრცელებული საბუთი“, მიმართული დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ—მეორესკი „ფატალიზმი“ წარმოადგენდა. პლეხანოვმა ბრწყინვალედ გამო-

---

*) „Основные вопросы марксизма“ С. П. Б. 1917 წ. გვ. 96.

არკვია, თუ როგორ აწერდენ დიალექტიკური მატერიალიზმის მოწინააღმდეგენი მას (ე. ი. დიალ. მატ.) მეტაფიზიკური მატერიალიზმის თვისებებს, რომელსაც, მართლაც, ფატალიზმი ახასიათებს.

დიალექტიკური მატერიალიზმი—ეს ფატალიზმის და პასივობის ფილოსოფია კი არ არის, არამედ მოქმედების და აქტივობის ფილოსოფიაა. პლეხანოვმა გამოარკვია დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ წაყენებული იმ ბრალდების მთელი უსაფუძვლობა, თითქოს იგი აღიარებდეს აუცილებლობისადმი ბრმა დამორჩილებას. დიალექტიკური მატერიალიზმი ჩაგრულ კლასებს ხელში აძლევს ბერკეტს ეკონომიურ სინამდვილესთან ბრძოლისათვის. წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ურთიერთობის რაიმე ცვლილება მასების მონაწილეობის გარეშე. ისტორიულ პროცესში მასების მონაწილეობის აუცილებლობა განსაზღვრავს მათზე უფრო განვითარებული და უფრო ზნეობრივი ადამიანების გავლენას. „ამრიგად ცალკე პიროვნებათ ეძლევათ ფართე ასპარეზი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, და თუ ამ პიროვნებათა შორის აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც ეკონომიური მატერიალიზმის ზეგავლენით გადაიქცევიან ობლომოვებად, ამაში ბრალი უხდა დავდვათ არა ეკონომიურ მატერიალიზმს, არამედ სწორედ ამ პიროვნებებს“.

მიხაილოვსკის აზრი, რომ მატერიალიზმი პიროვნებას ეპყრობა „გამანადგურებელი სიძულვილით და ცივი სისასტიკით“, პლეხანოვმა გააბათილა. დიალექტიკური მატერიალიზმი ოდნავადაც არ მოითხოვს რკინის ეკონომიური კანონებისადმი ბრმა დამორჩილებას. იგი ცდილობს შეიცნოს ეს კანონები და მისი შეცნობის შემდეგ აუცილებლობა გახადოს მის მორჩილ მონად.

„მე ჭია ვარ—ამბობს იდეალისტი. მე ჭია ვარ, სანამ უვიცი ვარ—უპასუხებს დიალექტიკოს-მატერიალისტი—მაგრამ მე ღმერთი ვარ, როცა ვიცი. Tantum possumus, quantum scimus“.

ადამიანის გონება არ ჰქმნის ისტორიას; იგი თვით არის მისი პროდუქტი. მაგრამ რაკი მოგვეელინა, როგორც ისტორიული პროცესის შედეგი,—იგი ცდილობს გარდაქმნას ცხოვრება, ე. ი. წარმართოს ისტორიის მიმდინარეობა იმ კალაპოტით, რომელსაც უფრო სასურველად თვლის.

ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ადამიანის გონების განვითარება შესაძლოა აეხსნათ ადამიანთა კანონზომიერი მოღვაწეობის საშუალებით საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესში, ე. ი. მოქმედების საშუალებით. ამ მოქმედებით-კი ამოიწურება დიალექტიკური მატერიალიზმის მთელი პრაქტიკული ფი-

ლოსოფია. „დიალექტიკური მატერიალიზმი მოქმედების ფილოსოფიაა“—გვამცნო პლეხანოვმა თავისი წიგნით. პლეხანოვი, რომელიც მოუწოდებდა დიალექტიკური მატერიალიზმის მომხრეებს მოქმედებისაკენ და აცხადებდა, რომ „არ უნდა დავტოვოთ ლამპარი ინტელიგენციის ვიწრო კაბინეტში“-ო—ამბობდა:

— სანამ არსებობენ „გმირები“, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ, რომ საკმარისია მათი განათლება იმისათვის, რომ ბრბო წაიყვანონ ყოველგან, სადაც მათ მოესურვებათ, იმისათვის, რომ მისგან ისე, როგორც თიხიდან, გამოძერწონ ყველაფერი, რაც მათ მოეპრიანებათ, მანამ გონების სამეფო რჩება ლაპაზ ფრაზად, კეთილშობილ ოცნებად. იგი ჩვენ გიგანტური ნაბიჯებით მოგვიახლოვდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით „ბრბო“ გახდება ისტორიული მოქმედების გმირი და როდესაც მასში, ამ უფერულ ბრბოში განვითარდება ამის შესაბამი თვითშეგნება.

„საჭიროა ბრბოში გავაღვივოთ გმირული თვითშეგნება“—გვამცნო ბელტოვის წიგნმა გონებრივი დაკნინებისა და უიმედობის ეპოქაში. მან ახალი, რევოლიუციონური შუქი მოჰფინა დიალექტიკური მატერიალიზმის ყველა ძირითად მომენტებს, მან გვიჩვენა, რომ ეს უკანასკნელი, ფრანც მერინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვდარი მექანიზმის პასიური სათამაშო კი არ არის, არამედ ცოცხალი მომქმედი ძალა, რომელიც მოწოდებულია სამყაროს გარდასაქმნელად.

ცრუმორწმუნეობა ისტორიული მატერიალიზმის „მექანიურობასა“ და „კვიეტიზმზე“ პლეხანოვის მიერ გაბათილებული იქნა ისეთივე თანამიმდევრობით და ურყევობით, როგორც წინეთ შეხედულებანი მისი „სივიწროვის“ და „ცალმხრივობის“ შესახებ.

პლეხანოვის ეს მეტად დიდი დამსახურება უფრო რელიეფური გახდება, თუ შევადარებთ მის გამოსვლას მეორეს, თითქმის ერთდროულ გამოსვლას—პ. ბ. სტრუვესი—ისტორიული მატერიალიზმის დასაცავად“ *). პლეხანოვის წიგნში მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მოცემულია დიალექტიკური მატერიალიზმის აქტივობისა და მოქმედების ის მომენტები, რომლებიც სტრუვეს „კრიტიკულ შენიშვნებში“ მიჩქმალული იყო: თუ სტრუვეს „შენიშვნებში“ შესაძლებელი იყო შეგვემჩნია მისი ავტორის მომავალი რევიზიონიზმის ჩანასახი, —პლეხანოვის წიგნში: „მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე“, მოსჩანდა მარქს-ენგელსის სულიერი მემკვიდრეობის სიდიადე.

---

*) Петр Струве: „Критические заметки“, 1894 წელი.

სავსებით გასაგებია, რომ პლეხანოვის გამოსვლამ, რომელიც მიმართავდა მისთვის დამახასიათებელ პოლემიკურ ხერხს—„თავდაცვიდან თავდასხმაზე"—მთელი კამპანია გამოიწვია დიალექტიკური მატერიალიზმის მოწინააღმდეგეთა მხრით, რომელნიც ცდილობდენ გაექარწყლებიათ მისი გამოსვლის მეცნიერული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პლეხანოვის ოპონენტების ყველა გამოსვლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1895 წელს და რომელიც ზედ-ზედ მრავალ წელს გაგრძელდა, არ იყო არც ერთი ისეთი საბუთი, რომელიც არ მოეყვანათ მათ წინეთ ანდა არ ესესხათ მარქსიზმის დასავლეთ ევროპის კრიტიკოსებისგან. პლეხანოვის მოწინააღმდეგენი, რომელნიც ებრძოდენ მის „დოგმატიურ გატაცებას" დიალექტიკური მატერიალიზმით, ადიოდენ „ობიექტური ჭეშმარიტების მაღლობებზე" და ცდილობდენ იქიდან ემხილათ პლეხანოვი ამა თუ იმ შეცთომაში, ციტატების არასწორად მოყვანაში, ლოლიკურ შეცთომებში და მარქსთან წინააღმდეგობაში. მაგრამ არც ერთ გამოსვლას —ასეთი-კი უამრავი იყო—არ შეეძლო გაებათილებია დიალექტიკური მატერიალიზმის ის გენეზისი, რომელიც მოგვცა პლეხანოვმა, არ შეეძლო შეერყია მისი არგუმენტაცია.

პლეხანოვის ერთ-ერთმა მთავარმა ოპონენტმა ნ. ნ. კარეევმა, მეორე ოპონენტის—ნ. კ. მიხაილოვსკის გამოსვლის შესახებ აღიარა, რომ იგი „იძლევა მრავალ მასალას ბ. ბელტოვის წიგნის, მისი მეცნიერული და პოლემიკური ხერხების კრიტიკისათვის, მაგრამ ნაკლებად ეხება თვით ეკონომიური მატერიალიზმის საფუძვლებს". ეს სიტყვები შეგვიძლია გამოვიყენოთ ყველა იმ გამოსვლის წინააღმდეგ, რომელიც პლეხანოვის წიგნის საპასუხოდ იყო მიმართული, და მათ შორის პროფესორი კარეევის წინააღმდეგაც. ისინი ყველანი „ნაკლებად" ეხებოდენ მარქსის მატერიალიზმის იმ საფუძვლებს, რომელსაც იცავდა პლეხანოვი, და კიდევ უფრო ნაკლებად შეარყიეს ეს საფუძვლები. კარეევი სავსებით მართალი იყო, როცა იმავე სტატიაში აცხადებდა, რომ იგი არ ფიქრობს, „რომ ეკონომიური მატერიალიზმის მთელ ამ კრიტიკას უახლოეს დროში შეეძლოს ბოლო მოუღოს ამ იდეოლოგიური კონცეპციით დოგმატიურ გატაცებას"...

პლეხანოვის გამოსვლის მნიშვნელობისათვის ჯამის გაკეთებისას შესაძლებელია აღინიშნოს შემდეგი მომენტები, რითაც გამოიხატა ღირებულება წიგნის: „მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე".

1. დიალექტიკური მატერიალიზმის იდეის გენეზისი.

2. დიალექტიკური მატერიალიზმის გამიჯვნა დიალექტიკური იდეალიზმისა და მეტაფიზიკური მატერიალიზმისაგან; ამ უკანასკნელის სუსტი მხარეების გამოაშკარავება.

3. იმ დებულების დასაბუთება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი მემარცხენე ჰეგელიანელობის ნამსხვრევი კი არაა, არამედ მთლიანი მეცნიერული თეორია.

4. დიალექტიკური მატერიალიზმის „ცალმხრივობის" გაბათილება.

5. დიალექტიკური მატერიალიზმის განხილვა, როგორც მოქმედების ფილოსოფიისა.

6. რუსული სინამდვილის მიმართ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების პრაქტიკული გამოყენების ფორმულა.

7. დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც საზოგადოებრივ მოვლენათა კვლევის უნივერსალური მეთოდის, დემონსტრაცია.

ს. ვოლფსონი.

მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობა

აქ მხოლოდ **ტეხნიკური შეცთომები** გავასწორე, რომელიც პირველ გამოცემაში შეიპარა. მე არ შემეძლო უმნიშვნელო ცვლილება შემეტანა ჩემს **საბუთებში** იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წინამდებარე წიგნი **პოლემიკური** ნაწარმოებია. პოლემიკური ნაწარმოების შინაარსში რაიმე ცვლილების შეტანა ნიშნავს მოწინააღმდეგის მიმართ ახალი იარაღით გამოსვლას მაშინ, როცა მას ძველით უხდება ბრძოლა. ეს წესი დაუშვებელია საზოგადოდ, და ამ შემთხვევაში-კი მით უფრო მიუღებელი, რომ ჩთავარი ჩემი მოწინააღმდეგე — ნ. კ. მიხაილოვსკი უკვე აღარ არის ცოცხალი.

ჩვენი თვალსაზრისის კრიტიკოსები ამტკიცებდენ, რომ ის, ჯერ ერთი, თავის თავად უმართებულოა, მეორე, განსაკუთრებით შემცდარი რუსეთის მიმართ, რომელსაც თითქოს ეკონომიური განვითარების თავისი საკუთარი გზა ჰქონდეს; მესამე, უვარგისია იმ გაგებით, რომ თავის შომხრეებს უკარგავს მოქმედების ყოველგვარ უნარს, ჰქმნის მათში „კვიეტიზმს". ეს უკანასკნელი საყვედური საეჭვოა დღეს ვინმემ გაიმეოროს, მეორე საყვედურიც გაბათილებულია ყველას დასანახად რუსეთის ეკონომიური ცხოვრების განვითარებით უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. რაც შეეხება პირველ საყვედურს, საკმარისია გავეცნოთ უკანასკნელი დროის **ეთნოლოგიურ** ლიტერატურას მაინც, რომ დავრწმუნდეთ **ისტორიის ჩვენი გაგების** სისწორეში. ყოველი სერიოზული თხზულება „პირველყოფილი კულტურის" შესახებ იძულებულია მიმართოს მას ყოველთვის, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება „ველურ" ხალხთა საზოგადოებრივისა და სულიერი ცხოვრების მოვლენათა მიზეზობრივ კავშირზე. მაგალითისათვის დავასახელებ ფონ-დენ-შტეინის კლასიკურ თხზულებას: „Unter den Natur-völkern zentral-Braziliens", მაგრამ თავის-თავად ცხადია, რომ ამაზე აქ არ შემიძლია ვრცლად შევჩერდე.

ზოგ ჩემ კრიტიკოსს პასუხს ვაძლევ დამატებით წერილში: „რამდენიმე სიტყვა ჩვენს მოწინააღმდეგეებს", რომელიც მე პსევ-

დონიმით გამოვაქვეყნე და ამიტომ იქ ჩემ წიგნზე ვლაპარაკობ, როგორც სხვა პირის ნაწარმოებზე, რომლის თვალსაზრისი იმავე დროს ჩემიც არის. მაგრამ ამ წერილში არაფერია ბ. კუდრინის შესახებ, რომელმაც ჩემ წინააღმდეგ „Русское Богатство"-ში გამოილაშქრა დასახელებული წერილის უკვე გამოქვეყნების შემდეგ. ბ. კუდრინის შესახებ ვიტყვი აქ ორიოდე სიტყვას.

ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ წამოყენებული მისი საბუთებიდან ყველაზე უფრო სერიოზულად შესაძლოა მის მიერ აღნიშნული ის ფაქტი მოგვეჩვენოს, რომ ხშირად ერთსა და იმავე რელიგიას, მაგალითად, ბუდიზმს აღიარებენ ეკონომიური განვითარების სულ სხვადასხვა საფეხურზე მდგომნი ხალხნი. მაგრამ ეს საბუთი მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება საფუძვლიანად. დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ასეთ შემთხვევებში „ერთი და იგივე რელიგია" **არ-ხებითად იცვლის თავის შინაარსს** იმ ხალხთა ეკონომიური განვითარების დონის შესაბამად, რომელნიც მას აღიარებენ.

მსურს ბ. კუდრინს ვუპასუხო კიდევ აი რის შესახებ. მან მიპოვა შეცთომა პლუტარქის ბერძნული ტექსტის თარგმანში [1]) და რამდენსამე მეტად გესლიან შენიშვნას აკეთებს ამის გამო. მაგრამ ნამდვილად-კი მე ამ შეცთომაში „ბრალი არა მაქვს". ამ წიგნის გამოცემის დროს გზაში ვიყავი, ხელნაწერი გადავგზავნე პეტერბურგში. ხელნაწერში არ იყო მოყვანილი ციტატა პლუტარქიდან, აღნიშნული იყო მხოლოდ ის **პარაგრაფები**, რომლიდანაც ციტატა უნდა მოეყვანათ. ერთმა იმ პირთაგანმა, რომელიც ამ წიგნის გამოცემის საქმესთან ახლო იდგა და **რომელმაც მგონი სწორედ ის კლასიკური გიმნაზია გაათავა**, რომელშიც მეცნიერი ბ. კუდრინი სწავლობდა,— სთარგმნა ჩემ მიერ ნაჩვენები პარაგრაფები და ... ბ. კუდრინის მიერ შენიშნული შეცთომა დაუშვა. ეს, რასაკვირველია, სამწუხაროა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ერთად ერთი შეცთომა იყო, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა აღმოგვიჩინეს. საჭირო იყო მათაც მიეღოთ რაიმე ზნეობრივი კმაყოფილება. ასე რომ, „როგორც ადამიანს," მახარებს კიდეც ეს შეცთომა.

---

[1]) იხ. სხოლ. 127 გვ.

თავი პირველი

XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი

„თუ დღეს,—ამბობს ბ. მიხაილოვსკი,(1) —თქვენ შეხვდებით ახალგაზრდას, რომელიც ერთგვარი მოუთმენლობითაც-კი განაცხადებს, „მატერიალისტი“ ვარო, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ის მატერიალისტი იყოს ზოგად-ფილოსოფიური გაგებით, როგორიც იყვენ ჩვენში ბიუხნერისა და მოლეშოტის (2) მიმდევრები. ხშირად თქვენ თანაშოსაუბრეს ოდნავადაც არ აინტერესებს მატერიალიზმის არც მეტაფიზიკური,არც მეცნიერული მხარე და მათზე ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენაც აქვს. მას სურს თქვას, რომ იგი ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევარია და ისიც თავისებური, პირობითი აზრით“1).

ჩვენ არ ვიცით, რა ჯურის ახალგაზრდას შეხვდა ბ. მიხაილოვსკი, მაგრამ შეიძლება მისმა სიტყვებმა გვაფიქრებინოს, რომ „ეკონომიური მატერიალიზმის“ წარმომადგენელთა მოძღვრებას არავითარი კავშირი არა აქვს მატერიალიზმთან „ზოგად-ფილოსოფიური გაგებით.“ მართალია ეს? „ეკონომიური მატერიალიზმი“ ნამდვილად ასე ვიწროა და შინაარსით ღარიბი, როგორც ბ. მიხაილოვსკის ჰგონია?

პასუხს მოგვცემს ამ მოძღვრების მოკლე ისტორია.

რა არის „მატერიალიზმი ზოგად-ფილოსოფიური გაგებით“?

მატერიალიზმი არის **იდეალიზმის** პირდაპირი წინააღმდეგობა. იდეალიზმი ცდილობს ახსნას ბუნების ყველა მოვლენა, მატერიის ყველა თვისება **სულის** თვისებებით. მატერიალიზმი მიმართავს სრულიად საწინააღმდეგო ხერხს. იგი ფსიქიური მოვლენების ახსნას ცდილობს **მატერიის** ამა თუ იმ თვისებით, ადამიანის და, საზოგადოდ, ცხოველის **სხეულის** ამა თუ იმ ორგანიზაციით. ის ფილოსოფოსნი, რომელთა აზრით პირველადი ფაქტორი **მატერიაა**, ეკუთვნიან **მატერიალისტთა** ბანაკს. ისინი-კი, რომელნიც ასეთ ფაქტორად **სულს** თვლიან,— **იდეალისტები** არიან. აი ყველაფერი ის, რაც შეიძლება ითქვას მატერიალიზმზე საზოგადოდ, „მატერიალიზმზე ზოგად-ფილოსოფიური გაგებით“, რადგანაც მის ძირითად დებულებაზე ჟამთა ვითა-

---

1) „Русское Богатство“. იანვარი, 1894 წელი, განყ. II გვ. 98.

რება აგებდა სხვადასხვა ზედნაშენს, რაიც სხვადასხვა ეპოქის მატერიალიზმს ერთი-მეორისგან სრულიად განსხვავებულ სახეს აძლევდა. (3)

მატერიალიზმი და იდეალიზმი ამოსწურავს ფილოსოფიური აზროვნების მთავარ მიმართულებებს. მართალია, მათი გვერდით თითქმის ყოველთვის არსებობდა ესა თუ ის **დუალისტური** სისტემა, რომელიც **სულსა** და **მატერიას** ცალკე, დამოუკიდებელ **სუბსტანციებად** აღიარებდა. **დუალიზმს** არასოდეს არ შეეძლო დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცა იმ აუცილებელ კითხვაზე, თუ როგორ შეუძლია ამ ორს, ერთმანეთთან არაფრის საერთოს მქონე, ცალკე სუბსტანციას ერთი-მეორეზე გავლენა მოახდინოს. ამის გამო უფრო თანამიმდევარი და უფრო ღრმა მოაზროვნენი ყოველთვის მონიზმამდე მიდიოდენ, ე. ი. მოვლენის ახსნამდე **ერთი რომელიმე ძირითადი პრინციპით.** (*μονος*—ბერძნულად ნიშნავს ერთს). ყოველი თანმიმდევარი **იდეალისტი** ისეთივე მონისტია, როგორიც ყოველი თანმიმდევარი **მატერიალისტი.** ამ მხრით არ არის არავითარი განსხვავება, მაგალითად, ბერკლეისა(4) და ჰოლბახს (5) შორის. ერთი იყო ბოლომდე **იდეალისტი,** მეორე-კი არა ნაკლებ თანმიმდევარი **მატერიალისტი,** მაგრამ ერთიც და მეორეც **მონისტი** იყო; ერთსაც და მეორესაც კარგად ესმოდა დუალისტურის, ჩვენ დრომდე თითქმის ყველაზე უფრო გავრცელებული **მსოფლმხედველობის** უმართებულება.

ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში ფილოსოფიაში გაბატონებული იყო **იდეალისტური** მონიზმი; მეორეში-კი, როცა **ფილოსოფია** სრულიად შეუერთდა **მეცნიერებას,** მეცნიერებაში გაიმარჯვა მატერიალისტურმა მონიზმმა, მართალია, არა ყოველთვის ბოლომდე თანმიმყოლმა და ნათელმა.

არ არის საჭირო აქ მატერიალიზმის მთელი ისტორია დავალაგოთ. ჩვენი მიზნისათვის სრულიად საკმარისია განვიხილოთ მისი განვითარება წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან; და ამასთანავე აქ ჩვენ სახეში უნდა ვიქონიოთ განსაკუთრებით ერთი,—მართალია, ყველაზე მთავარი,—მისი მიმართულება, ე. ი. ჰოლბახის, ჰელვეციუსისა და მათ თანამოაზრეთა მატერიალიზმი.(6)

ამ მიმართულების მატერიალისტებს ცხარე პოლემიკა ჰქონდათ იმ დროის ოფიციალურ მოაზროვნეებთან. უკანასკნელნი იმოწმებდენ დეკარტეს—რომლის მოძღვრება საეკვოა მათ სწორად გაგებული ჰქონოდათ—და ამტკიცებდენ, რომ ადამიანს აქვს განსაზღვრული **თანდაყოლილი,** ე. ი. ცდის დამოუკიდებლივ მიღებული, **იდეები.** (7) ფრანგი მორალისტები უარჰყოფდენ ამ თვალსაზრისს და, არსებითად, გადმოსცემდენ მხოლოდ ლოკის მოძღვრებას, რომელიც ჯერ კიდევ XVII

საუკუნის დასასრულს ამტკიცებდა, რომ **თანდაყოლილი იდეები არ არსებობსო** (No innate principles). (8) მაგრამ მისი მოძღვრების გადმოცემის დროს ფრანგმა მატერიალისტებმა მისცეს მას უფრო თანმიმდევრობითი სახე და ხაზი გაუსვეს იმას, რასაც ლოკი გვერდს უელიდა, როგორც კეთილაღზრდილი ინგლისელი ლიბერალი. ფრანგი მატერიალისტები იყვენ უშიშარი, ბოლომდე თანმიმდევარი **სენსუალისტები**, ე. ი. ისინი ადამიანის ყველა ფსიქიურ ფუნქციას განიხილავდენ, როგორც **შეგრძნებათა სახეცვლილებას**.(9) აქ უნაყოფო იქნება იმის შემოწმება, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია მათი საბუთები თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით. თავისთავად ცხადია, რომ ფრანგმა მატერიალისტებმა ბევრი რამ არ იცოდენ ისეთი, რაც ეხლა ყოველი მოწაფისათვის არის ცნობილი: საკმარისია გავიხსენოთ ფიზიკური და ქიმიური შეხედულებანი ჰოლბახისა, რომელიც, თუმცა, კარგად იცნობდა **თავისი** დროის ბუნებისმეტყველებას. მაგრამ ფრანგ მატერიალისტებს მიუძღვისთ ის უდავო და განსაკუთრებული დამსახურება, რომ ისინი აზროვნებდენ თანმიმდევრობით **მაშინდელი მეცნიერების** თვალსაზრისით. ეს კი ყველაფერია, რაც მოაზროვნეს შეიძლება და უნდა მოეთხოვოს. არ არის საკვირველი, რომ ჩვენი დროის მეცნიერებამ წარსული საუკუნის ფრანგ მატერიალისტებს გაუსწრო; მაგრამ აღსანიშნავია, რომ **ამ ფილოსოფოსების მოწინააღმდეგენი ჩამორჩენილი ხალხი იყო მაშინდელი მეცნიერების მიმართაც-კი**. მართალია, ფილოსოფიის ისტორიკოსები ჩვეულებრივად ერთი-მეორეს უპირისპირებენ ფრანგი მატერიალისტებისა და კანტის თვალსაზრისს, რომელსაც, თავისთავად ცხადია, შეუძლებელია ცოდნის ნაკლებობა ვუსაყვედურით. მაგრამ ეს დაპირისპირება სრულიად უმართებულოა და არ არის ძნელი იმის დამტკიცება, რომ კანტიც და ფრანგი მატერიალისტებიც არსებითად ერთსა და იმავე თვალსაზრისზე იდგენ, მაგრამ სარგებლობდენ იმით სხვადასხვაგვარად და ამიტომაც სხვადასხვა დასკვნებს ღებულობდენ, იმისდამიხედვით, თუ რა საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაელენის ქვეშ იმყოფებოდენ და აზროვნებდენ ისინი. ჩვენ ვიცით, რომ ეს აზრი პარადოქსად მოეჩვენება იმ ხალხს, რომელსაც ბრმად სჯერა ფილოსოფიის ისტორიკოსების სიტყვა. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ეს აზრი აქ საფუძვლიანად დავასაბუთოთ, მაგრამ უარს არ ვამბობთ ამაზე, თუ ამას მოისურვებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

როგორც უნდა იყოს, მაინც ყველასთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ფრანგი მატერიალისტები განიხილავდენ ადამიანის ყველა ფსიქიურ პროცესს, როგორც სახეშეცვლილ **შეგრძნებებს** (sensations

transformées). ფსიქიური პროცესების ამ თვალსაზრისით განხილვა ნიშნავს ადამიანის ყველა წარმოდგენის, ცნების და გრძნობის აღიარებას **ადამიანზე წრის ზემოქმედების შედეგად**. ფრანგ მატერიალისტებს სწორად ასე ესმოდათ ეს საკითხი. ისინი განუწყვეტლივ, მხურვალედ და სრულიად კატეგორიულად აცხადებდენ, რომ ადამიანი ყველა თავისი შეხედულებით და გრძნობით არის ის, რასაც მისგან ჰქმნის გარემო ე. ი. ერთის მხრით, **ბუნება** და, მეორეს მხრით, **საზოგადოება**. „L'homme est tout éducation" („ადამიანი სავსებით დამოკიდებულია აღზრდაზე") — ამბობს ჰელვეციუსი. მას სიტყვა აღზრდა ესმის, როგორც საზოგადოებრივი გავლენის მთელი ჯამი. ეს შეხედულება ადამიანზე, როგორც გარემოს ნაყოფზე, ფრანგი მატერიალისტების **ნოვატორულ მოთხოვნილებათა** მთავარი თეორიული საფუძველი იყო. მართლაც, თუ ადამიანი თავისი ხასიათის ყველა თვისებით გარემოზეა დამოკიდებული, მაშინ, სხვათაშორის, მისი ნაკლის მიზეზიც გარემო იქნება; მაშასადამე, თუ თქვენ გსურთ მის ნაკლს ებრძოლოთ,—საჭიროა სათანადოდ შესცვალოთ მისი გარემომცველი, სახელდობრ, **საზოგადოებრივი** წრე, რადგანაც ბუნებით ადამიანი არც ბოროტია და არც კეთილი. ჩააყენეთ ადამიანი გონივრულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ე. ი. ისეთ პირობებში, სადაც ადგილი არ ექნება თავის დაცვის ინსტიქტით გამოწვეულ ბრძოლას ერთი-მეორის წინააღმდეგ; შეუთანხმეთ ცალკე ადამიანის ინტერესი მთელი საზოგადობის ინტერესს—სათნოება (vertu) თავისთავად გაჩნდება ისე, როგორც თავისთავად ეშვება ძირს ქვა, დასაყრდენს მოცილებული. სათნოება კი არ უნდა **ვიქადაგოთ**, არამედ გზა უნდა **გავუკაფოთ** მას საზოგადოებრივ ურთიერთობათა რაციონალური მოწყობით. წარსული საუკუნის კონსერვატორებისა და რეაქციონერებისადმი ზერელე მიბაძვით ფრანგი მატერიალისტების მორალს დღემდე **ეგოისტურ** მორალად თვლიან. გაცილებით მართალი იყვენ თვით ისინი, როცა ამბობდენ: მორალი ჩვენ ხელში სავსებით **პოლიტიკაში** გადადისო. ([15]).

სწავლას იმის შესახებ, რომ ადამიანის სულიერი ქვეყანა გარემომცველი წრის ნაყოფს წარმოადგენს, ფრანგი მატერიალისტები ხშირად მათთვის მოულოდნელ დასკვნამდე მიჰყავდა. მაგალითად, ისინი ზოგჯერ ამბობდენ, რომ ადამიანის შეხედულებებს არავითარი გავლენა არა აქვს მის ყოფა-ქცევაზე, და რომ ამის გამო საზოგადოებაში ამა თუ იმ იდეის გავრცელება ოდნავადაც ვერ სცვლის მისი განვითარების ბედსო. ქვემოდ ჩვენ ცხადვჰყოფთ, თუ რაში იყო ამ აზრის შეცთომა, ეხლა-კი ყურადღებას ფრანგი მატერიალისტების შეხედულებათა მეორე მხარეს მივაქცევთ.

თუ ყოველი **ადამიანის** იდეებს გარემომცველი წრე განსაზღვრავს, მაშინ **კაცობრიობის** იდეებიც თავისი ისტორიული განვითარების დროს საზოგადოებრივი წრის, **საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიით განისაზღვრება.** მაშასადამე, ჩვენ რომ მიზნად დაგვესახა „ადამიანის გონების პროგრესის" სურათის მოცემა და ამასთანავე არ დავკმაყოფილებულიყავით კითხვით — „**როგორ?**" (**სახელდობრ, როგორ წარმოებდა გონების ისტორიული განვითარება?**), არამედ დაგვესვა სრულიად ბუნებრივი კითხვა — „**რატომ?**" (**რატომ სწორედ ასე ვითარდებოდა, და არა სხვაგვარად?**), ამისათვის ჯერ წრის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორია უნდა შეგვესწავლა. ამგვარად, კვლევის სიმძიმის ცენტრს, პირველ ხანებში მაინც, საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესწავლის მხარეზე გადავიტანდით. ფრანგი მატერიალისტები შიუახლოვდენ ამ საკითხს, მაგრამ ვერ შესძლეს მისი არა თუ გადაჭრა, არამედ სწორად დასმაც-კი.

როცა ისინი კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაზე იწყებდენ მსჯელობას, მათ ავიწყდებოდათ თავიანთი სენსუალისტური შეხედულება „ადამიანზე" საზოგადოდ და ყველა მაშინდელი „განმანათლებელის" მსგავსად ამბობდენ, რომ **ქვეყანას** (ე. ი. ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობას) **შეხედულებანი მართავენო** (c'est l'opinion, qui gouverne le monde[1]). ეს ის მთავარი წინააღმდეგობაა, რომელიც XVIII საუკუნის მატერიალიზმს ახასიათებდა და რომელიც მის მოიხრეთა მსჯელობაში იშლებოდა მისგან გამომდინარე, მრავალ მეორეხარისხოვან წინააღმდეგობად, მსგავსად იმისა, როგორც საბანკო ბილეთი წვრილ მონეტებად ხურდავდება.

დებულება. ადამიანი ყველა თავისი **შეხედულებით** არის გარემომცველი **წრის,** განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი წრის ნაყოფი. ეს აუცილებელი დასკვნაა ლოკის შემდეგი ძირითადი დებულებისა: no innate principles, **თანდაყოლილი იდეები არ არსებობს.**

საწინააღმდეგო დებულება. წრე ყველა თავისი თვისებით არის **შეხედულებათა** ნაყოფი. ეს აუცილებელი დასკვნაა ფრანგი მატერიალისტების ისტორიული ფილოსოფიის შე-

---

[1]) „შეხედულებას მე ვეუწოდებ ერში გავრცელებულ ჭეშმარიტ და მცდარ აზრთა შედეგს; შედეგს, რომელიც განსაზღვრავს მის მსჯელობას, მის პატივისცემისა და ზიზღის გრძნობას, მის სიყვარულსა და სიძულვილს, მის მიდრეკილებასა და ჩვეულებას, მის ღირსებასა და ნაკლს, ერთი სიტყვით მის ზნე-ჩვეულებას. აი — ეს შეხედულება მართავს ქვეყანას". Suard. «Mélange de Littérature». Paris, An. XII t., III p. 400.

მდეგი მთავარი დებულებისა: s'est l'opinion, qui gouverne le monde.

ამ ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობდენ, მაგალითად, შემდეგი მეორეხარისხოვანი წინააღმდეგობანი:

დებულება. ადამიანის აზრით კარგია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მისთვის სასარგებლოა, და ცუდია ის ურთიერთობა, რომელიც მას ზიანს აყენებს. **ადამიანის შეხედულებებს განსაზღვრავს მისი ინტერესები.** „L'opinion chez un peuple est toujours déterminée par un intérét dominant"—ამბობს სიუარი (ხალხის შეხედულება ყოველთვის მის წრეში გაბატონებული ინტერესით განისაზღვრება" [1]). ეს ლოკის მოძღვრების **დასკვნაც** არ არის, არამედ მისი შემდეგი სიტყვების უბრალო განმეორება: „No Innate practical principles... Virtue generally aprov'd; not because innate, but because profitable... Good and Evel... are nothing but Pleasure or pain, or that which occasions or procures Pleasur or Pain, to us" (არ არსებობს თანდაყოლილი ზნეობრივი იდეები... ადამიანი მხარს უჭერს სათნოებას არა იმიტომ, თითქოს ის თანდაჰყოლოდეს მას, არამედ იმიტომ, რომ სათნოება მისთვის სასარგებლოა. სიკეთე და ბოროტება... სხვა არაფერია, გარდა კმაყოფილებისა და ტანჯვისა, ანდა იმისა, რაც ჩვენში კმაყოფილებას ან ტანჯვას იწვევს!")[2].

საწინააღმდეგო დებულება. ამა თუ იმ ურთიერთობას თვლის ხალხი სასარგებლოდ ან მავნედ, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მის შეხედულებათა სისტემა. იმავე სიუარის სიტყვებით, ყოველ ხალხს „ne veut, n'aime, n'apprauwe, que ce quil croit être utile („ყოველ ხალხს უყვარს, მხარს უჭერს და ამართლებს მხოლოდ იმას, რასაც ის სასარგებლოდ თვლის"). მაშასადამე, საბოლოოდ მაინც ყველაფრის საფუძველი ისევ შეხედულებანი არიან, რომელნიც ქვეყანას მართავენ.

დებულება. ძლიერ სცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქოს რელიგიურ მორალს, მაგალითად, მოყვასისადმი სიყვარულის მცნებას, ოდნავადაც მაინც ხელი შეეწყოს ადამიანის ზნეობრივად ამაღლებისათვის. ასეთი მცნებანი, როგორც იდეები საზოგადოდ მეტად უძლურნი არიან ადამიანთა მიმართ. მთავარია საზოგადოებრივი წრე, საზოგადოებრივი ურთიერთობა[3]).

---

[1]) Suard, .t III, p. 401.

[2]) Essay concerning human understanding B, I. ch 3; B. II ch. 20, 21, 28.

[3]) ეს დებულება მრავალჯერ მეორდება ჰ ო ლ ბ ა ხ ი ს «Systeme de la Nature"-ში. ჰელვეციუსიც ამასვე გამოთქვამს, როცა ამბობს: ვთქვათ მე გავავრცელე სრულიად სულელური აზრი, რომლიდანაც გამომდინარეობს საზიზღარი დასკვნები; თუ მე

საწინააღმდეგო დებულება. ისტორია გვასწავლის „que les opinions sacrées furent la source véritable des maux du genre humain, და ეს სრულიად გასაგებია, რადგანაც, თუ საზოგადოდ შეხედულებანი მართავენ ქვეყანას,--მაშინ მცდარი შეხედულებანიც მართავენ მას, როგორც სისხლისმსმელი ტირანები.

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებია ფრანგ მატერიალისტთა სხვა მრავალი წინააღმდეგობა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ზოგმა ჩვენმა თანამედროვე „მატერიალისტმა ზოგად-ფილოსოფიური გაგებით.“ მაგრამ ეს ზედმეტია. უმჯობესია ჩაუკვირდეთ ამ წინააღმდეგობათა საერთო ხასიათს.

წინააღმდეგობაც არის და წინააღმდეგობაც. როცა ბ. ვ. ვ.([11]) თავის „კაპიტალიზმის მომავალში“ ანდა „რუსეთის ეკონომიური განვითარების გამოკვლევის შედეგი“-ს პირველ ტომში ყოველ ფეხის გადადგმაზე ეწინააღმდეგება თავის თავს, ამ შემთხვევაში მის ლოლიკურ შეცთომებს შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ როგორც „ადამიანურ დოკუმენტს“. რუსული ლიტერატურის მომავალმა ისტორიკოსმა ამ წინააღმდეგობათა აღნიშვნის შემდეგ უნდა შეუდგეს საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მეტად საინტერესო საკითხის გამორკვევას: რატომ, მიუხედავად მთელი თავისი სიცხადისა და უეჭვობისა, ეს წინააღმდეგობანი შეუმჩნეველი რჩებოდენ ბ-ნი ვ. ვ-ის მრავალი მკითხველისათვის. პირდაპირი გაგებით, ამ მწერლის წინააღმდეგობანი უნაყოფო არიან, როგორც ცნობილი ლეონტიევის ხე. არის სხვა სახის წინააღმდეგობა, ისეთივე ცხადი და უეჭვო როგორც ბ. ვ. ვ-ისა, მაგრამ ის ამ უკანასკნელისგან იმით განსხვავდება, რომ იგი კი არ ადუნებს ადამიანის აზრს და კი არ აფერხებს მის განვითარებას, არამედ წინ მიაქანებს მას ისე მძლავრად, რომ თავისი შედეგით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე უაღრესად მწყობრი თეორია. ასეთ წინააღმდეგობათა შესახებ შეიძლება ჰეგელის სიტყვები ვთქვათ; „Der Widerspruch ist das Fortleitende“ (წინააღმდეგობას წინ მივყევართ). სწორედ ასეთ წინააღმდეგო-

---

ოდნავადაც ვერ შევსცალე კანონები, სრულიადაც ვერ შევსცვლი ზნესაც“. («De l'homme, section III ch. IV). ამ აზრს არა ერთხელ გამოთქვამს თავის «Correspodance Littéraire»-ში გრიმი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ფრანგ მატერიალისტთა წრეში, და ვოლტერიც, რომელიც მათ ებრძოდა. „ფერნელი პატრიარქი“ თავის „Philosophie ignorant“-ში, როგორც სხვა მრავალ თავის თხზულებებში ამტკიცებდა, რომ ჯერ არც ერთ ფილოსოფოსს არასოდეს არ მოუხდენია თავის მოყვასთა ყოფაქცევაზე ოდნავი გავლენაც-კი, რადგანაც ისინი თავის მოქმედების დროს ხელმძღვანელობენ ადათით, და არა მეტაფიზიკით.

ბათა რიცხვს ეკუთვნიან XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების წინააღმდეგობანი.

შევჩერდეთ მათ ძირითად წინააღმდეგობაზე. **ადამიანის შეხედულებას განსაზღარავს წრე; წრე განისაზღვრება ადამიანის შეხედულებით.** ამაზე იგივე უნდა ვთქვათ, რასაც კანტი თავის „ანტინომიებზე“ ამბობდა: თეზისი ისევე მართალია, როგორც ანტითეზისი. და მართლაც, ყოველ ეჟვს გარეშეა, რომ ადამიანთა შეხედულებანი განისაზღვრებიან მათი გარემომცველი საზოგადოებრივი წრით, ასევე უეჭვოა ისიც, რომ ვერც ერთი ხალხი ვერ შეურიგდება ისეთ საზოგადოებრივ წესწყობილებას, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა მის შეხედულებას: ის აჯანყდება ასეთი წესწყობილების წინააღმდეგ და გარდაქმნის მას თავისი ინტერესებისდა მიხედვით. მაშასადამე, მართალი ყოფილა ისიც, რომ შეხედულებანი მართავენ ქვეყანას. მაგრამ, როგორ არის შესაძლებელი, რომ ორი, თავის-თავად სწორი დებულება ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებოდეს? ამის გაგება ძალიან ადვილია. ისინი ეწინააღმდეგებიან ერთი-მეორეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მათ მცდარი თვალსაზრისით ვიხილავთ: ამ თვალსაზრისით გვგონია,—და აუცილებლად ასეც უნდა გვეგონოს,—თუ მართალია დებულება, შემცდარი უნდა იყოს საწინააღმდეგო დებულება, და პირიქით. მაგრამ სწორი თვალსაზრისის გამონახვის შემდეგ წინააღმდეგობა გაჰქრება და თითოეული მათგანი მიიღებს ახალ სახეს: ჩვენ დავინახავთ, რომ ერთი დებულება კი არ უარჰყოფს, არამედ ავსებს ან, უფრო სწორედ, **განსაზღვრავს** მეორეს; ასე რომ, თუ ერთი მათგანი უმართებულოა, ასეთივე ბედს გაიზიარებს მეორეც, რომელიც წინედ პირველის ანტაგონისტად გვეჩვენებოდა. როგორ უნდა ვიპოვოთ ასეთი მართებული თვალსაზრისი?

ავიღოთ მაგალითი. ხშირად, განსაკუთრებით-კი XVIII საუკუნეში ამბობდენ, რომ ყოველი ხალხის სახელმწიფო წესწყობილება დამოკიდებულია ამ ხალხის ზნე-ჩვეულებაზეო. ეს სავსებით მართალია. როცა რომაელებმა ძველი რესპუბლიკანური ზნე-ჩვეულება დაჰკარგეს, რესპუბლიკამ ადგილი დაუთმო მონარქიას. მაგრამ, მეორეს მხრით, ასევე ხშირად ამტკიცებდენ, რომ ხალხის ზნე-ჩვეულებას სახელმწიფო წესწყობილება განსაზღვრავსო. ესეც ყოველ ეჟეს გარეშეა. და მართლაც, როგორ გაუჩნდებოდათ, მაგალითად, გელიოგობალის დროის რომაელებს რესპუბლიკანური ზნე-ჩვეულებანი? განა სრულიად აშკარა არ არის, რომ იმპერიის დროის რომაელების ზნე-ჩვეულებანი სულ სხვაგვარი უნდა ყოფილიყვენ, ვიდრე ძველი რესპუბლიკანური? და თუ ეს ნათელია,

ჩვენ მივიღებთ იმ ზოგად დასკვნას, რომ სახელმწიფო წესწყობილებას განსაზღვრავს ზნე-ჩვეულება, ზნე-ჩვეულებას-კი—სახელმწიფო წესწყობილება. მაგრამ ეს ხომ წინააღმდეგობის შინამქონე დასკვნაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დასკვნამდე ერთი რომელიმე ჩვენი დებულების უსწორობის გამო მივედით. რომელის სახელდობრ? იტეხეთ თავი რამდენიც გნებავთ, თქვენ ვერ აღმოაჩენთ ვერც ერთის უსწორობას; ისინი უნაკლო არიან, რადგან ხალხის ზნე-ჩვეულებანი მართლაც გავლენას ახდენენ სახელმწიფო წესწყობილებაზე და ამდენად მის **მიზეზს** წარმოადგენენ. მეორეს მხრით, სახელმწიფო წესწყობილება განსაზღვრავს ზნე-ჩვეულებებს და ამდენად ეს უკანასკნელი მისი **შედეგის** სახით წარმოგვიდგება. სად არის გამოსავალი? ჩვეულებრივად ასეთ საკითხებში **ურთიერთი ზემოქმედების** აღმოჩენით კმაყოფილდებიან: ზნე-ჩვეულება გავლენას ახდენს კონსტიტუციაზე, კონსტიტუცია—ზნე-ჩვეულებაზე,—ყველაფერი ნათელია, როგორც დღე, და ისინი, რომელთაც არ აკმაყოფილებს ასეთი სიცხადე, იჩენენ ყველას მიერ გასაკიცხ **ცალმხრივობას.** დღეს ასე მსჯელობს ჩვენში თითქმის მთელი ინტელიგენცია. ის განიხილავს საზოგადოებრივ ცხოვრებას **ურთიერთი ზემოქმედების თვალსაზრისით:** ცხოვრების ყოველი მხარე გავლენას ახდენს ყველა დანარჩენზე და თავისი მხრით განიცდის მათ გავლენას. ნხოლოდ ასეთი თვალსაზრისი შეფერის მოაზროვნე „სოციოლოგს"; და ვინც, მსგავსად მარქსისტებისა, ლამობს საზოგადოებრივი განვითარების რაღაც უფრო ღრმა მიზეზებს მისწვდეს, ის ვერ ამჩნევს, თუ რამდენად რთულია საზოგადოებრივი ცხოვრება. ფრანგი განმანათლებელნი ამ თვალსაზრისს მიმართავდენ ყოველთვის, როცა მათ დასჭირდებოდათ სისტემაში მოეყვანათ თავიანთი შეხედულებანი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და გადაეჭრათ ის წინააღმდეგობანი, რომელთა დაძლევა მათ არ შეეძლოთ. მათ შორის ყველაზე უფრო ლოგიკურად მოაზროვნენი (ჩვენ არ ვახსენებთ აქ **რუსოს,** რომელსაც ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო განმანათლებლებთან) ვერ მიდიოდენ ამაზე შორს. მაგალითად, მონტესკიე თავის შესანიშნავ თხზულებებში: „Grandeur et Decadence des Romains" და De l'Esprit des lois [1]) ურ-

[1]) ჰოლბახი თავის „Politique naturelle"-ში ზნე-ჩვეულებისა და სახელმწიფოებრივი წესწყობილების ურთიერთი ზემოქმედების თვალსაზრისზე დგას. მაგრამ, რადგან მას იქ პრაქტიკული საკითხების გადაჭრა უხდება, ამიტომ ამ თვალსაზრისს იგი მოჯადოვებულ წრეში შეჰყავს: ზნეჩვეულების გასაუმჯობესებლად საჭიროა სახელმწიფოებრივი წესწყობილების გაუმჯობესება და პირიქით. ჰოლბახი ამ მოჯადოვებული წრიდან გამოჰყავს ყველა განმანათლებლის მიერ ფანტაზიაში წარმოდგენილ და სასურველ bon prince, რომელიც ჩნდება როგორც deus ex machina და აძლევს ყველა წინააღმდეგობას იმით, რომ აუმჯობესებს ზნეჩვეულებასაც და სახელმწიფო წესწყობილებასაც.

თიერთი ზემოქმედების ამ თვალსაზრისზე დგას და ეს, რასაკვირველია, მართებული თვალსაზრისია. **ურთიერთი ზემოქმედება უიქველად არსებობს სოციალური ცხოვრების ყველა მხარეს შორის.** სამწუხაროდ, ეს სწორი თვალსაზრისი ძლიერ ცოტას ხსნის იმ ადვილად გასაგები მიზეზის გამო, რომ იგი არაფერს ამბობს **ურთიერთ ზემომქმედ ძალთა წარმოშობის** შესახებ. თუ სახელმწიფო წყობილება თვითვე ჰგულისხმობს იმ ზნე-ჩვეულებათა არსებობას, რომელზეც გავლენას ახდენს, აშკარაა, იგი ვერ იქნებოდა ზნე-ჩვეულებათა მიზეზი. იგივე ითქმის ზნე-ჩვეულებათა შესახებაც: თუ მათი არსებობა უკვე ჰგულისხმობს იმ სახელმწიფო წესწყობილებას, რომელზეც ისინი მოქმედებენ, ცხადია, რომ სახელმწიფო მათ არ შეუქმნიათ. რომ თავი დავაღწიოთ ამ დომხალს უნდა ვიპოვოთ ის ისტორიული ფაქტორი, რომელმაც წარმოშვა როგორც ხალხის ზნე-ჩვეულება, ისე სახელმწიფო წესწყობილება, და ამ გზით მათი **ურთიერთი ზემოქმედების შესაძლებლობაც შეჰქმნა.** ასეთი ფაქტორის აღმოჩენა ჩვენ მიგვიყვანს იმ სწორ თვალსაზრისამდე, რომელსაც ვეძებდით; შემდეგ-კი გაადვილდება იმ წინააღმდეგობის გადაჭრაც, რომელიც ჩვენ ეგზომ გვაფრთხობდა.

ფრანგული მატერიალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მიმართ ეს შემდეგს ნიშნავს: ძლიერ ცდებოდენ ფრანგი მატერიალისტები, როცა ისინი, წინააღმდეგ თავიანთი ჩვეულებრივი თვალსაზრისისა ისტორიაზე, ამტკიცებდენ, რომ იდეები არ ნიშნავს არაფერს, რადგანაც წრე ნიშნავს **ყველაფერსო.** არა ნაკლებ მცდარია მათი ის ჩვეულებრივი თვალსაზრისიც ისტორიაზე (c'est l'opinion qui gouverne le monde), რომელიც ყოველი საზოგადოებრივი წრის არსებობის ძირითად მიზეზად შეხედულებებს ასახელებს. წრესა და შეხებულებათა შორის უექვო ზემოქმედება არსებობს, მაგრამ მეცნიერული კვლევა-ძიება ვერ დაკმაყოფილდება ამ ურთიერთი ზემოქმედების აღიარებით, რადგან ის (ე. ი. ზემოქმედება) სრულიად არ ხსნის საზოგადოებრივ მოვლენათა მიზეზს. ადამიანთა ისტორიის გასაგებად, ე. ი. ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, მის შეხედულებათა ისტორიის და, მეორეს ნხრით, იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიის, რომელიც განვლო კაცობრიობამ თავის განვითარების დროს,—საჭიროა გავსცილდეთ ურთიერთი ზემოქმედების თვალსაზრისს და აღმოვაჩინოთ,—თუ კი ეს შესაძლებელია,—ის ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს როგორც **საზოგადოებრივი წრის, ისე შეხედულებათა განვითარებას.** XIX საუკუნის სო-

ციალური მეცნიერების ამოცანას სწორედ ამ ფაქტორის აღმოჩენა წარმოადგენდა.

ქვეყანას მართავენ შეხედულებანი. მაგრამ შეხედულებანი ხომ არ რჩებიან უცვლელი. რა იწვევს მათ ცვლილებას? „განათლების გავრცელებაო"—უპასუხებდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ლამოტ-ლევეიე. ([12]) ეს ყველაზე უფრო განყენებული და ზერელე გამოთქმაა იმ აზრის, რომ შეხედულებანი მართავენ ქვეყანას. XVIII საუკუნის განმანათლებლები მტკიცედ იცავდენ ამ აზრს და მას ზოგჯერ უმატებდენ მელანქოლიურ მსჯელობას იმის შესახებ, რომ განათლების ბედი, სამწუხაროდ, არ არის მაინცა და მაინც საიმედოო. მაგრამ ზოგს, მათ შორის ყველაზე უფრო ნიჭიერს, უკვე ეტყობა ამ თვალსაზრისის უვარგისობის შეგნება. ჰელვეციუსი შენიშნავს, რომ ცოდნის განვითარება ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს და რომ, მაშასადამე, არსებობს რაღაც ფარული, უცნობი მიზეზები, რომელზეც დამოკიდებულია ეს განვითარებაო. მას აქვს მეტად საინტერესო, დღემდე ღირსეულად შეუფასებელი ცდა კაცობრიობის საზოგადოებრივი და გონებრივი განვითარების ახსნისა **მატერიალური მოთხოვნილებებით.** ეს ცდა მარცხით დამთავრდა და მრავალი მიზეზის გამო არც შეიძლებოდა მას სხვა შედეგი მოჰყოლოდა. მაგრამ ის თითქოს ანდერძად დარჩა მომდევნო საუკუნის მოაზროვნეებს, რომელნიც მოისურვებდენ ფრანგი მატერიალისტების საქმე განეგრძოთ.

თავი მეოთხე

რესტავრაციის დროის ფრანგი ისტორიკოსები

„ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო დასკვნა, რომელიც შეიძლება ისტორიის შესწავლის ნიადაგზე მივიღოთ, ისაა, რომ მართვა-გამგეობა არის ხალხის ხასიათის ყველაზე უფრო ნამდვილი მიზეზი; რომ ხალხის ღირსება თუ ნაკლი, მისი ენერგია თუ უძლურება, მისი ნიჭი, განათლება ან უვიცობა თითქმის არასოდეს არ წარმოადგენს ამა თუ იმ ჰავის ან რასის თვისებათა შედეგს. ბუნება აჯილდოვებს **ყველას** ყველაფრით, მართვა-გამგეობა-კი ინახავს ან ჰკლავს მისდამი დამორჩილებულ ხალხში იმ თვისებებს, რომელიც თავდაპირველად ადამიანთა გვარის საერთო კუთვნილებას შეადგენს.“ იტალიაში არ განუცდია არავითარი ცვლილება არც ჰავასა და არც რასას (ბარბაროსთა შემოსევა ძლიერ უმნიშვნელო იყო იმისათვის, რომ მისი თვისება შეეცვალა): „ბუნება ერთი და იგივე რჩებოდა ყველა დროის იტალიელებისათვის; იცვლებოდა მხოლოდ მართვა-გამგეობა — და ეს ცვლილებანი ყოველთვის წინ უძღოდენ ან თანსდევდენ ხალხის ხასიათის ცვლილებებს.“

ასე ედავებოდა **სისმონდი** ([13]) იმ მოძღვრებას, რომელიც ხალხთა ისტორიულ ბედს მხოლოდ-და-მხოლოდ გეოგრაფიულ წრეს უკავშირებს.[1]) მისი საბუთები არ არის უსაფუძვლო. მართლაც **გეოგრაფია** ყველაფერს ვერ ახსნის ისტორიაში, სწორედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი **ისტორიაა**, ე. ი. როგორც სისმონდი ამბობს, მართვა-გამგეობა იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული წრე უცვლელი რჩება. ეს სხვათა შორის. ჩვენ აქ სულ სხვა საკითხი გვაინტერესებს.

მკითხველმა ალბად უკვე შენიშნა, რომ გეოგრაფიული წრის უცვლელობისა და ხალხთა ისტორიული ბედის ცვალებადობის ურთიერთი შედარების დროს, სისმონდიმ ეს ბედი ერთ ძირითად ფაქტორს — „**მართვა-გამგეობა**“-ს დაუკავშირა, ე. ი. **განსაზღვრული ქვეყნის პოლიტიკურ** წესწყობილებას. ხალხის თვისებები სავსებით მარ-

---

[1]) «Histoire des Rèpubliques italtennes du moyen âge». Nouvelle edition, t. I, Paris. Jntroduction, pp. V—VI.

თვა-გამგეობის ხასიათით განისაზღვრება. თუმცა, კატეგორიული ფორმით გამოთქმულ ამ დებულებას სისმონდი მყისვე მნიშვნელოვნად ამსუბუქებს: პოლიტიკური ცვლილებანი, ამბობს იგი, წინ უძღოდენ ხალხის ხასიათის ცვლილებას **ან თანსდევდენ მას.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართვა-გამგეობის ხასიათს ზოგჯერ ხალხის თვისებები განსაზღვრავს. მაგრამ ამ შემთხვევაში სისმონდის ისტორიული ფილოსოფია ეჯახება ჩვენთვის უკვე ცნობილ ანტინომიას, რომელიც ფრანგ განმანათლებლებს მოსვენებას არ აძლევდა: ხალხის ზნე-ჩვეულება დამოკიდებულია პოლიტიკურ წესწყობილებაზე; პოლიტიკური წესწყობილება განისაზღვრება ხალხის ზნე-ჩვეულებით. სისმონდი ისევე უძლური იყო ეს წინააღმდეგობა გადაეჭრა, როგორც განმანათლებლები: ის იძულებული იყო თავის მსჯელობათა საფუძვლად ამ ანტინომიის ხან ერთი წევრი დაედო და ხან მეორე. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი მიიღებდა ერთს მათგანს, სახელდობრ: ხალხის ხასიათი დამოკიდებულია მის მართვა-გამგეობაზე, ის აძლევდა ცნება „მართვა-გამგეობა"-ს ძლიერ ფართო მნიშვნელობას. ეს ცნება **სავსებით შეიცავდა განსაზღვრული სოციალური წრის ყველა თვისებას,** განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთი-ერთობათა ყველა თავისებურებას. უფრო სწორედ, მისი აზრით, სოციალური წრის ყველა თვისება „მართვა-გამგეობის" საქმეა, პოლიტიკური წესწყობილების შედეგია. ეს XVIII საუკუნის თვალსაზრისია. როცა ფრანგ მატერიალისტებს სურდათ მოკლედ და მტკიცედ გამოეთქვათ თავისი შეხედულება შესახებ გარემომცველი წრის გარდაუვალი გავლენისა ადამიანზე, ისინი იტყოდენ: c'est la législation qui fait tout (ყველაფერი კანონმდებლობაზეა დამოკიდებულია). მაგრამ, როცა ისინი კანონმდებლობაზე იწყებდენ მსჯელობას—მათ სახეში ჰქონდათ თითქმის მხოლოდ **პოლიტიკური კანონმდებლობა, სახელმწიფოებრივი წესწყობილება.** სახელგანთქმული **ჟ. ბ. ვიკოს** თხზულებათა ([11]) შორის არის პატარა წერილი სათაურით: „ცდა იურისპრუდენციის სისტემისათვის, სადაც რომის სამოქალაქო სამართალი ახსნილია პოლიტიკური რევოლიუციებით".[1]) თუმცა ეს „ცდა"

---

[1]) წერილის სათაური ჩვენ ფრანგულიდან ვთარგმნეთ და ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილის მხოლოდ ზოგიერთი ფრანგული ნაწყვეტებია ჩვენთვის ცნობილი. ჩვენ ვერ ვიშოვეთ მისი იტალიური დედანი, რადგანაც ის, როგორც გვახსოვს, ვიკოს თხზულებათა მხოლოდ ერთს გამოცემაშია დაბეჭდილი (1818წ.). ის უკვე აღარ იპოვება 1835 წლის მილანის ექვს ტომიან გამოცემაში. თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარია არა ის, თუ **როგორ შეასრულა** მან თავისი ამოცანა, არამედ ის, თუ სახელდობრ, **რა ამოცანა დაისახა მან გადასაჭრელად.**

უკვე XVIII საუკუნის დასაწყისშივე დაიწერა, მაგრამ მასში გამოთქმული შეხედულება სახელმწიფო წესწყობილებასთან სამოქალაქო სამართლის დამოკიდებულების შესახებ გაბატონებული იყო ფრანგულ რესტავრაციამდე; განმანათლებლები ყველაფერს „პოლიტიკით“ ხსნიდენ.

მაგრამ „კანონმდებლის“ პოლიტიკური მოქმედება, ყოველ შემთხვევაში, **შეგნებული** მოქმედებაა, თუმცა, რასაკვირველია, არა ყოველთვის მიზანშეწონილი. ადამიანის შეგნებული მოქმედება-კი მის „**შეხედულებაზეა**“ დამოკიდებული. ამრიგად, ფრანგი განმანათლებლები მათდა შეუმჩნეველად უბრუნდებოდენ აზრს **შეხედულებათა ყოვლისშემძლეობის შესახებ** მაშინაც-კი, როცა მკვეთრად სურდათ გამოეთქვათ აზრი **წრის ყოვლისშემძლეობაზე**.

სისმონდი კიდევ XVIII საუკუნის თვალსაზრისზე დგას. [1]) უფრო ახალგაზრდა ფრანგი ისტორიკოსები-კი სულ სხვა თვალსაზრისს იცავენ.

საფრანგეთის რევოლიუციის მსვლელობა და შედეგი, რომელიც თავისი სიურპრიზებით „უგანათლებულეს“ მოაზროვნეებსაც-კი ჩიხში აყენებდა, უაღრესად თვალსაჩინო გაბათილება იყო აზრისა შეხედულებათა ყოვლისშემძლეობის შესახებ. მაშინ ბევრმა სავსებით იმედი დაჰკარგა „გონების“ სიძლიერეში, სხვები-კი, რომლებიც არ მიეცენ სასოწარკვეთილებას, მით უფრო მიემხრენ აზრს **წრის** ყოვლისშემძლეობის შესახებ და იწყეს მისი განვითარების მსვლელობის შესწავლა. მაგრამ რესტავრაციის დროს წრეს სრულიად ახალი თვალსაზრისით მიუდგენ. დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა ისე აბუჩად აიგდეს „**კანონმდებლები**“ და პოლიტიკური კონსტიტუციები, რომ ამის შემდეგ უცნაურად ეჩვენებოდათ დაეკავშირებიათ ამ უკანასკნელისთვის, როგორც ძირითადი ფაქტორისთვის, საზოგადოებრივი **წრის** ყველა თვისება. ამის შემდეგ პოლიტ. კონსტ. იხილავდენ როგორც **შედეგს**, და არა როგორც **მიზეზს**.

ამთავითვე ავიცილებთ ერთ საყვედურს, რომელსაც უთუოდ მოგვახლიან ჩვენი გამკრიახი კრიტიკოსები: თქვენ განურჩევლად ხმარობთ გამოთქმას: «განმანათლებელი», «მატერიალისტი», მაშინ როცა ყველა განმანათლებელი არ იყო მატერიალისტი; მრავალი მათგანი, მაგალითად, თუ გინდ ვოლტერი, თავგამოდებით ებრძოდა მატერიალისტებს». ეს ასეა. მაგრამ, მეორეს მხრით, ჯერ კიდევ ჰეგელმა ცხადჰყო, რომ მატერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი განმანათლებელნი თითონ მხოლოდ არა თანმიმდევარი მატერიალისტები იყვენ.

[1]) იტალიის რესპუბლიკების შესწავლა მან 1796 წელს დაიწყო.

„მწერლების, მეცნიერების, ისტორიკოსებისა და პუბლიცისტების უმეტესი ნაწილი, — ამბობს გიზო თავის „Essais sur l'histoire de France"-ში,[1]) ცდილობდა აეხსნა საზოგადოების არსებული მდგომარეობა, მისი ცივილიზაციის სახე და ხარისხი ამ საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტებით. (15) უფრო გონივრული იქნებოდა საზოგადოების პოლიტიკურ დაწესებულებათა გაგების მიზნით ჯერ თვით საზოგადოება შეგვესწავლა. დაწესებულებანი თვით წარმოადგენენ შედეგს, სანამ მიზეზი გახდებოდენ. საზოგადოება მათ მანამდე ჰქმნის, სანამ მათი ზეგავლენით ამ საზოგადოების ცვლილება დაიწყებოდეს. იმის მაგიერ, რომ პოლიტიკური ფორმების მიხედვით ხალხის მდგომარეობაზე ვიმსჯელოთ, უმჯობესია უწინარეს ყოვლისა ხალხის მდგომარეობა შევისწავლოთ, რომ შეგვეძლოს მსჯელობა: როგორი უნდა ყოფილიყო და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მართვა-გამგეობა... საზოგადოება, მისი შემადგენლობა, ცალკე პირთა ცხოვრება მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით, სხვადასხვა კლასის წევრთა ურთიერთობა, ერთი სიტყვით ადამიანთა **სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება** (L'état des personne)—ასეთია, უეჭველად, პირველი კითხვა, რაიც იპყრობს ისტორიკოსის ყურადღებას, რომელსაც სურს გაიგოს როგორ ცხოვრობდენ ხალხნი, და პუბლიცისტისა, რომელსაც მათი მართვა-გამგეობის ფორმები აინტერესებს.[2])

ეს სრულიად ეწინააღმდეგება ვიკოს თვალსაზრისს. ის სამოქალაქო სამართლის ისტორიას პოლიტიკური რევოლიუციებით ხსნის, გიზო-კი პოლიტიკურ წესწყობილებას ხსნის სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებით, ე. ი. სამოქალაქო სამართლით. მაგრამ ფრანგი ისტორიკოსი უფრო შორს მიდის „საზოგადოების შემადგენლობის" ანალიზის საქმეში. მისი სიტყვით, ყველა იმ ხალხის „სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება", რომელნიც ისტორიულ სარბიელზე დასავლეთ რომის იმპერიის შემდგომ გამოვიდენ, დაკავშირებული იყო **„მიწათმფლობელობის ურთიერთობასთან"** (état des terres) და ამიტომაც ამ ურთიერთობის შესწავლა წინ უნდა უსწრებდეს მათი ამ ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას: **„პოლიტიკურ დაწესებულებათა გასაგებად საჭიროა საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და მათი ურთიერთობის შესწავლა. ამ სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ მიწათმფლობელობის ურთიერთობათა ბუნება"**[3].)

---

[1]) მისი პირველი გამოცემა 1821 წელს გამოვიდა.

[2]) «Essais» dixième édition, Paris 1860 წ. გვ. [illegible]

[3]) ibid. გვ. გვ.75-76.

გიზო სწორედ ამ თვალსაზრისით იხილავს საფრანგეთის ისტორიას პირველი ორი დინასტიის მანძილზე. იგი მისი აზრით მაშინდელი საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის ბრძოლის ისტორიაა. მის მიერ დაწერილს ინგლისის რევოლიუციის ისტორიაში კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ და გვიხატავს ამ მოვლენას, როგორც ბურჟუაზიის ბრძოლას არისტოკრატიის წინააღმდეგ. ამრიგად ის ჩუმად აღიარებს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასახსნელად საჭიროა შევისწავლოთ არა მარტო მიწათმფლობელობის ურთიერთობანი, არამედ ყველა ქონებრივი ურთიერთობა საზოგადოდ.[1])

ასეთი თვალსაზრისი ევროპის პოლიტიკურ ისტორიაზე მარტო გიზოს კუთვნილებას როდი წარმოადგენდა. ამ შეხედულებას იზიარებდენ სხვა ისტორიკოსებიც, „რომელთა შორის ჩვენ აღვნიშნავთ **ოგიუსტენ ტიერსა და მინიეს.** ([16])

ოგ. ტიერი თავის „Vues des revolitions d'Angleterre"-ში ინგლისის რევოლიუციების ისტორიას გვიხატავს, როგორც ბურჟუაზიის ბრძოლას არისტოკრატიასთან. „ყოველი, ვისი წინაპარიც ინგლისის დამპყრობელთა რიცხვს ეკუთვნოდა—ამბობს იგი პირველ რევოლიუციაზე—ტოვებდა თავის კოშკს და მიდიოდა მეფის ბანაკში, სადაც თავისი წოდების შესაფერს ადგილს იპერდა. ქალაქის მცხოვრებლები-კი მასიურად მიდიოდენ საწინააღმდეგო ბანაკში.

---

[1]) რელიგიური და პოლიტიკური პარტიების ბრძოლას XVII საუკუნის ინგლისში არსებითად სოციალური სარჩული ედო: ის გამოხატავდა სხვადასხვა კლასის ბრძოლას ძალაუფლებისა და გალვენისათვის. მართალია, ინგლისში ეს კლასები არ იყვენ ისე აშკარად გამიჯნული და ერთიმეორესადმი ისე მტრულად განწყობილი როგორც სხვა ქვეყნებში. ხალხს კარგად ახსოვდა, რომ ძლიერი ბარონები იბრძოდენ არა მარტო თავისი საკუთარის, არამედ აგრეთვე ხალხის თავისუფლებისათვისაც. სოფლელი აზნაურები და ქალაქის ბურჟუები სამი საუკუნის განმავლობაში ერთად იკრიბებოდენ პარლამენტში ინგლისის თემების სახელით. მაგრამ უკანასკნელ საუკუნეში საზოგადოების სხვადასხვა კლასის შედარებითი ძალის დიდი ცვლილება მოხდა, რომელსაც არ მოჰყოლია პოლიტიკური წესწყობილების შესაფერისი ცვლილება... ბურჟუაზიას, აზნაურობას, ფერმერებსა და, მაშინდელ სოფლებში ძლიერ მრავალრიცხოვანს, წვრილ მიწათმფლობელებს არ ჰქონდათ ის გავლენა საზოგადოებრივი საქმის მსვლელობაზე, რომელიც შეეფერებოდა მათ საზოგადოებრივ მდგომარეობას. ისინი მომწიფდენ, მაგრამ ვერ ამაღლდენ. ამის გამო ამ ფენაში ისე როგორც მის ქვედა მდებარე სხვა ფენებში, თავი იჩინა ძლიერმა თავმოყვარეობამ რის გაფფერებულ გამომეღლავნებისათვის საკმარისი იყო სულ უბრალო საბაბი. Discours sur l'histoire de la revolution L'Angleterre. Beriin. 1850, pp. 9—10.

იხ. ამავე ავტორის, ინგლისის პირველი რევოლიუციის შესახებ ყველა ექვსი ტომი, და მაშინდელი სხვადასხვა საზოგადო მოღვაწის ცხოვრების შესახებ ნარკვევები. გიზო იქ იშვიათად თუ უღალატებს კლასთა ბრძოლის თვალსაზრისს.

მაშინ შეიძლებოდა თქმა, რომ ერთი ბანაკი ეწყობა **მცონარეობისა** და **ხელისუფლებისათვის**, მეორე-კი **შრომისა** და **თავისუფლებისათვის**. ყველა მოხეტიალე, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი წარმოშობა, ყველა ის, ვინც უშრომლად ეძებდა სიტკბოებასა და კმაყოფილებას, დგებოდა მეფის დროშის ქვეშ და იცავდა მისი ინტერესების მსგავს ინტერესებს. პირქით, ძველ დამპყრობელთა ის შთამომავლობა, რომელიც მრეწველობას ეწეოდა, შეუერთდა თემთა პარტიას"[1]).

იმდროინდელი რელიგიური მოძრაობა, ოგ. ტიერის აზრით, ყოფა-ცხოვრების დადებითი ინტერესების მხოლოდ ანარეკლი იყო. „ორივე მხრით ბრძოლა დადებითი ინტერესებისათვის წარმოებდა. დანარჩენი მხოლოდ საბაბი და გარეგნობა იყო. ის პირნი, რომელნიც თავის **ქვეშევრდომთ** იცავდენ, მეტწილად პრესვიტერიანები იყვენ, ე. ი. ისინი უარჰყოფდენ ყოველგვარ დამორჩილებას რელიგიაშიც-კი. ისინი-კი, რომელნიც მოწინააღმდეგე პარტიას ემხრობოდენ, ანგლიკანური ან კატოლიკური სარწმუნოების მიმდევრები იყვენ. ეს— იმიტომ, რომ რელიგიურ სფეროშიც-კი ისინი ძალა-უფლებისა და ხალხის დაბეგვრისაკენ მიისწრაფოდენ". ამასთანავე ტიერს მოჰყავს ადგილი ფოქსის „History of the reign of James the Second"-იდან: „ყველა რელიგიურ შეხედულებას ვიგები პოლიტიკოსის თვალით უცქერდენ. პაპიზმის მიმართაც მათი სიძულვილი გამოწვეული იყო არა იმდენად ამ არაპოპულიარული სექტის ცრუმორწმუნეობით ან ეგრეთწოდებულ კერპთაყვანისმცემლობით, რამდენადაც მისი მისწრაფებით აბსოლიუტური ძალაუფლების დაწესებისაკენ სახელმწიფოში".

მინიეს აზრით, „საზოგადოებრივ მოძრაობას გაბატონებული ინტერესები განსაზღვრავს. მრავალი დაბრკოლებით გარეშოცული, ეს მოძრაობა მიისწრაფის თავისი მიზნისაკენ, ჩერდება როცა მიზანი მიღწეულია და ადგილს უთმობს სხვა მოძრაობას, რომელიც დასაწყისში შეუმჩნეველია და მხილდება მხოლოდ მაშინ, როცა დომინირული ხდება. ასეთი იყო ფეოდალიზმის განვითარების გზა. ფეოდალიზმი ჯერ წარმოადგენდა ხალხის მხოლოდ მოთხოვნილებას, მაგრამ ფაქტიურად არ არსებობდა—პირველი ეპოქა; მეორე ეპოქაში ის არსებობდა ფაქტიურად, მაგრამ თანდათან სცილდებოდა ხალხის ინტერესებს, რის გამოც ბოლოს ის მოისპო. არასოდეს არც ერთი რევოლიუცია სხვა გზით არ მომხდარა"[2]).

---

[1]) Dix ans d'Etudes historiques—ტიერის თხზულებათა სრული კრებულის მეექვსე ტომი, მეათე გამოცემა, გვ. 66.

[2]) De la féodalité des institutions de St.-Louis et l'influence de la legislation de ce prince. Paris, 1822 გვ. 76-77.

საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიაში მინიე მოვლენებს სწორედ საზოგადოების სხვადასხვა კლასის „მოთხოვნილებათა“ თვალსაზრისით იხილავს. მისი აზრით ამ კლასების ბრძოლა პოლიტიკური ამბების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, ასეთი თვალსაზრისი არ მოეწონებოდა ეკლექტიკოსებს ძველ ნეტარ დროშიც-კი, როცა მათი თავი უფრო მუშაობდა, ვიდრე დღეს. ახალი ისტორიული თეორიის მომხრეებს ეკლექტიკოსები უსაყვედურებდენ **ფატალიზმსა** და **სისტემით** გატაცებას (esprit de système). როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირია, ეკლექტიკოსები ახალი თეორიების ნამდვილ სუსტ მხარეებს სრულებით ვერ ამჩნევდენ, სამაგიეროდ უფრო მეტი ენერგიით ებრძოდენ მათ უდავოდ ძლიერ მხარეებს. მაგრამ, ეს ამბავი ძველია, როგორც ქვეყანა და ამიტომ ნაკლებად საინტერესო. გაცილებით უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ახალ თვალსაზრისს იცავდა მაშინდელი სოციალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი—სენ-სიმონისტი ბაზარი. ([17])

ბაზარი ფიქრობს, რომ მინიეს წიგნი საფრანგეთის რევოლიუციაზე უნაკლო არ არის. მისი შეხედულებით ამ თვალსაზრისის მთავარი ნაკლი, სხვათაშორის ის იყო, რომ იგი მოვლენას აგვიწერდა როგორც განცალკავებულ ფაქტს, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა „ღონისძიებათა იმ გრძელ ჯაჭვთან, რომელმაც დაამხო რა ძველი საზოგადოებრივი წესწყობილება, ხელი უნდა შეეწყო ახალი წყობილების დამკვიდრებისათვის.“ მაგრამ წიგნს უეჭვო ღირსებაც აქვს. „ავტორმა მიზნად დაისახა იმ პარტიების დახასიათება, რომელნიც ერთი-მეორის შემდეგ ხელმძღვანელობენ რევოლიუციას; ცხადჰყოფა ამ პარტიების კავშირისა სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებთან, ნათელჰყოფა იმისა, თუ რა მოვლენათა წყობა ანიჭებს მათ ერთი-მეორის შემდეგ ამ მოძრაობის ხელმძღვანელობას, და ბოლოს—მათი გაქრობის მიზეზების გამორკვევა. სწორედ ის „სული სისტემისა და ფატალიზმის“, რასაც ეკლექტიკოსები ახალი მიმართულების ისტორიკოსებს უსაყვედურებდენ, ბაზარის აზრით, უპირატესობას ანიჭებს გიზოსა და მინიეს იმ „ისტორიკოს-ლიეორატორების წინაშე (ე. ი. იმ ისტორიკოსების, რომელნიც მხოლოდ „სტილის“ სილამაზეზე ზრუნავენ), რომელთაც, მიუხედავად მათი მრავალრიცხოვანობისა, ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწიეს წინ ისტორიული მეცნიერება XVIII საუკუნის შემდეგ“.[1])

ოგიუსტენ ტიერის, გიზოსა ან მინიესათვის რომ ეკითხათ, სახელმწიფოებრივ წესწყობილებას ხალხის ზნე-ჩვეულება ჰქმნის თუ

[1]) Considerations sur l'histoire, „Producteur“-ის IV ნაწ.

პირიქითო, თითოეული მათგანი უპასუხებდა: რაოდენ დიდი და უდაო არ უნდა იყოს ხალხის ზნე-ჩვეულებისა და სახელმწიფო წესწყობილების ურთიერთი გავლენა, საბოლოოდ მაინც ერთიც და მეორეც ემყარება უფრო ღრმად მდებარე ფაქტორს: **„ადამიანთა სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებას, მათ ქონებრივ ურთიერთობას“**. ამ გზით წინააღმდეგობის ქსელი, რომელშიც იხლართებოდენ XVIII საუკუნის ფილოსოფოსები გადაიჭრებოდა და ყოველი მიუდგომელი ადამიანი აღიარებდა, რომ ბაზარი მართალია, რომ მეცნიერებამ წინ წასდგა ერთი ნაბიჯი ახალ ისტორიულ შეხედულებათა წარმომადგენლების სახით.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მოხსენებული წინააღმდეგობა XVIII საუკუნის საზოგადოებრივ შეხედულებათა ძირითადი წინააღმდეგობის კერძო შემთხვევაა: 1) ადამიანი ყველა თავისი აზრით და გრძნობით არის წრის შედეგი; 2) წრე არის ადამიანის ქმნილება, მის „შეხედულებათა“ ნაყოფი. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ახალმა ისტორიულმა თვალსაზრისმა გადაჭრა ფრანგული მატერიალიზმის ეს ძირითადი წინააღმდეგობა? ვნახოთ, თუ როგორ ხსნიდენ რესტავრაციის დროის ისტორიკოსები იმ სამოქალაქო ყოფა-ცხოვრების, იმ ქონებრივ ურთიერთობათა წარმოშობას, მხოლოდ რომელთა გულდასმითი შესწავლა, მათი აზრით, მოგვცემდა ისტორიულ მოვლენათა გაგების საშუალებას.

ადამიანთა ქონებრივი დამოკიდებულებანი ეკუთვნიან მათ **იურიდიულ** ურთიერთობათა სფეროს. საკუთრება, უწინარეს ყოვლისა იურიდიული ინსტიტუტია. თქმა იმისა, რომ ისტორიულ მოვლენათა გასაღები ადამიანთა ქონებრივ დამოკიდებულებებში უნდა ვეძიოთ, ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ამ გასაღებს სამართლის ინსტიტუტები წარმოადგენს. მაგრამ როგორ ჩნდება ეს ინსტიტუტები? გიზო სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ პოლიტიკური კონსტიტუციები იყო **შედეგი** მანამ, სანამ ისინი მიზეზი გახდებოდენო; რომ საზოგადოებამ ჯერ შექმნა ისინი და შემდეგ იწყო მათი ზეგავლენით ცვლაო. მაგრამ განა არ შეიძლება, რომ ქონებრივ ურთიერთობათა შესახებაც იგივე ითქვას? განა თავის მხრით ისინი შედეგი არ იყვენ, სანამ მიზეზად იქცეოდენ? განა საზოგადოებას არ უნდა შეექმნა ისინი მანამ, სანამ მათი გავლენის ქვეშ მოექცეოდა? ყველა ამ საფუძვლიან კითხვას გიზო სრულიად არადამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევს.

იმ ხალხთა სამოქალაქო წყობილება, რომელნიც დასავლეთ რომის იმპერიის შემდგომ გამოვიდენ ისტორიულ სარბიელზე უა-

ხლოეს მიზეზობრივ კავშირშია მიწისმფლობელობასთან [1]): მიწასთან ადამიანის დამოკიდებულება განსაზღვრავდა მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. ფეოდალიზმის მთელი პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი განისაზღვრებოდენ საბოლოოდ მიწათმფლობელობითი ურთიერთობით. მაგრამ, რაც შეეხება ამ ურთიერთობებს,—იგი გიზოს სიტყვით, „დასაწყისში, ბარბაროსთა შემოსევის პირველ ხანებში", განისაზღვრებოდა მიწათმფლობელთა საზოგადოებრივი მდგომარეობით: „მიწა ღებულობდა ამა თუ იმ ხასიათს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ძლიერი იყო თვით მიწათმფლობელი.[2]) მაგრამ ამ შემთხვევაში რით განისაზღვრებოდა მიწათმფლობელის საზოგადოებრივი მდგომარეობა? რა იწვევდა „დასაწყისში, ბარბაროსთა შემოსევის პირველ ხანებში მიწისმფლობელთა თავისუფლებისა და ძლიერების მეტს თუ ნაკლებ ხარისხს? ბარბაროს დამპყრობელთა წინანდელი პოლიტიკური ურთიერთობა? მაგრამ გიზომ აკი გვითხრა, რომ პოლიტიკური ურთიერთობანი შედეგია და არა მიზეზი. ბარბაროსთა იმ ეპოქის პოლიტიკური წესწყობილების გასაგებად, რომელიც წინ უძღოდა რომის იმპერიის დაცემას, ჩვენი ავტორის რჩევის თანახმად, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მათი სამოქალაქო, სოციალური წყობილება, სხვადასხვა კლასის ურთიერთობა და სხვ... ხოლო ასეთი შესწავლა ისევ მიგვიყვანდა კითხვამდე, თუ რა განსაზღვრავს ადამიანთა ქონებრივ ურთიერთობას, რა ჰქმნის ამ საზოგადოებაში არსებულ საკუთრების ფორმებს. და ცხადია, რომ ჩვენ ვერაფერს მოვიგებდით, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის მდგომარეობის ასახსნელად დაგვემოწმებია მათი თავისუფლებისა და ძლიერების შედარებითი ხარისხი. ეს პასუხი კი არ იქნებოდა, არამედ კითხვის განმეორება ახალი ფორმით, ზოგი წვრილმანის დამატებით.

საეჭვოა, რომ საკითხი ქონებრივ ურთიერთობათა წარმოშობის შესახებ გიზოს წინაშე წამოჭრილიყო გარკვევით და სწორად დას-

---

[1]) მაშასადამე, მ ხ ო ლ ო დ უახლოეს დროის ხალხთა? ასეთი შეზღუდვა მით უფრო უცნაურია, რომ უკვე ბერძენი და რომაელი მწერლები ამჩნევდენ თავიანთი ქვეყნების სამოქალაქოსა და პოლიტიკური წყობილების მჭიდრო კავშირს სამიწათმფლობელო ურთიერთობასთან. თუმცა ამ საკვირველმა შეზღუდვამ ვერ შეუშალა ხელი გიზოს რომის იმპერიის დაცემა მის სახელმწიფო მეურნეობასთან დაეკავშირებია. იხ. მისი პირველი «ცდა»: „Du régime municipale dans l'empire romain au V ciécle de l'ére chrétienne."

[2]) ე. ი. მიწათმფლობელობა სხვადასხვა უფლებრივ ხასიათს ატარებდა, ანდა,—მისი მფლობელობა იწვევდა მეტს თუ ნაკლებ დამოკიდებულებას მიწათმფლობელის ძალისა და თავისუფლების მიხედვით. II. c., გვ. 75.

შული მეცნიერული საკითხის სახით. ჩვენ დავინახეთ, რომ მას არ შეეძლო მისთვის ანგარიში არ გაეწია, მაგრამ ყველა იმ პასუხის ბუნდოვანება, რომელსაც ის ამ საგანზე იძლეოდა, მოწმობს იმას, რომ მისი პასუხი არ იყო ნათლად გამოთქმული. უკანასკნელი ანალიზის დროს გიზო საკუთრების ფორმების განვითარებას ძლიერ ბუნდოვანად ხსნის **ადამიანის ბუნების** დამოწმებით. არ არის საკვირველი, რომ ეს ისტორიკოსი, რომელსაც ეკლექტიკოსები შეხედულებათა ზომაზე მეტ სისტემატიურობას წამებდენ, თითონვე აღმოჩნდა საკმაო ეკლექტიკოსი, მაგალითად, თავის შრომებში ცივილიზაციის ისტორიის შესახებ.

ოგ. ტიერი, რომელიც რელიგიური სექტებისა და პოლიტიკური პარტიების ბრძოლას საზოგადოების სხვადასხვა კლასის **„დადებითი ინტერესების"** თვალსაზრისით იხილავდა და გატაცებით თანაუგრძნობდა მესამე წოდების ბრძოლას არისტოკრატიასთან, ამ კლასებისა და წოდებების წარმოშობას **დაპყრობით** ხსნიდა. Tout cela date d'une conquête: il y a une conquête la dessous" (ყველაფერი ეს დაპყრობის შემდეგ მოხდა, ყველა ამისი საფუძველი დაპყრობაა), ამბობს იგი მხოლოდ და მხოლოდ უახლოესი დროის ხალხთა კლასობრივ და წოდებრივ ურთიერთობათა შესახებ. ამ აზრს იგი განუწყვეტლივ ანვითარებს სხვადასხვა სახით, როგორც პუბლიცისტურ ნაწერებში ისე თავის მერმინდელ სამეცნიერო თხზულებებში. მაგრამ, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ „დაპყრობა"—პოლიტიკური საერთაშორისო აქტი—აბრუნებდა ტიერს XVIII საუკუნის თვალსაზრისთან, რომელიც მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას კანონმდებლის, ე. ი. პოლიტიკური ხელისუფლების მოქმედებით ხსნიდა, დაპყრობის ყოველი ფაქტი აუცილებლად წამოპრის კითხვას: რატომ იყო მისი სოციალური შედეგი სწორედ ასეთი, და არა სხვაგვარი? გერმანელ ბარბაროსთა შემოსევამდე გალიამ უკვე განიცადა რომაელთა მიერ დაპყრობა. ამ დაპყრობის სოციალური შედეგი სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე შედეგი გერმანელთა მიერ დაპყრობისა. მონღოლების მიერ ჩინეთის დაპყრობის სოციალური შედეგი ძალიან ცოტათი ჰგავს ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის სოციალურ შედეგს. რა არის ასეთ განსხვავებათა წყარო? იმის თქმა, რომ ეს განსხვავებანი გამოწვეულია სხვადასხვა დროს ერთი-მეორესთან მებრძოლ ხალხთა სოციალური წყობის სხვადასხვაობითო, ნიშნავს არაფრის თქმას, რადგანაც უცნობი რჩება, თუ რით განისაზღვრება ეს სოციალური წყობილება. ამ კითხვის გადასაჭრელად წინანდელ დაპყრობათა დამოწმება ნიშნავს მოჯადოებულ წრეში

ტრიალს. რამდენი დაპყრობაც არ უნდა დაასახელოთ, თქვენ მაინც ბოლოს იმ აუცილებელ დასკვნამდე მიხვალთ, რომ ხალხთა სოციალურ ცხოვრებაში არის რაღაც X, უცნობი ფაქტორი, რომელიც არა თუ განისაზღვრება დაპყრობით, არამედ, პირიქით, თითონ **განსაზღვრავს** დაპყრობათა **შედეგს** და ხშირად (შესაძლოა ყოველთვისაც) **თვით დაპყრობასაც** იწვევს იმით, რომ საერთაშორისო შეჯახებათა მიზეზი ხდება. თავის შრომაში: „ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის ისტორია", ტიერი ძველ ძეგლებს ემყარება და თითონ ასახლებს იმას, თუ რა ამოძრავებდა ანგლო-საქსებს თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს. „ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ,—ამბობს ერთი ჰერცოგთაგანი,—როგორიც უნდა იყოს საშიშროება, რადგან აქ საქმე ეხება არა ახალი ბატონის ცნობას, არამედ სულ სხვა რასმე. ნორმანების წინამძღოლმა უკვე დაურიგა ჩვენი მამული თავის რაინდებს და იმ ხალხს, რომლის დიდმა ნაწილმა ამის გამო თავისი თავი უკვე მის ვასალად სცნო. ისინი შეეცდებიან ისარგებლონ ამ ნაბოძებით თუ ნორმანელი ჰერცოგი ჩვენი კოროლი გახდა, იგი-კი იძულებული იქნება ჩაუგდოს ხელში მათ ჩვენი მიწა, ცოლები და ქალიშვილები: ეს მათ წინასწარ დანაპირები აქვთ. მათ სურთ არა მარტო ჩვენი აოხრება, არამედ ჩვენი შთამომავლობისაც, მათ სურთ წაგვართვან წინაპართა მამული" და სხვ. . თავისი მხრით „ვილჰელმ დამპყრობელი" ეუბნება თავის თანამგზავრებს: „იბრძოლეთ მამაცად, დაჰხოცეთ ყველა; ჩვენ თუ გავიმარჯვეთ, ყველანი გავმდიდრდებით. იმას, რასაც მე შევიძენ, შეიძენთ აგრეთვე თქვენც, რასაც დავიპყრობ მე, დაიპყრობთ თქვენც; თუ მე მექნება მამული, გექნებათ იგი თქვენც".[1]) აქ ცხადად ჩანს, რომ დაპყრობა თავისთავად არ იყო მიზანი,—სარჩულად მას გარკვეული „დადებითი", ე. ი. **ეკონომიური ინტერესები** ედო. იბადება კითხვა: რამ მისცა ამ ინტერესებს ;ის სახე რომელიც მათ მაშინ ჰქონდათ. რატომ იყო რომ ადგილობრივი მცხოვრებნიც და დამპყრობელნიც ემხრობოდენ და იცავდენ სწორედ ფეოდალურს და არა სხვა რომელსამე მიწათმფლობელობას? ამ შემთხვევაში „დაპყრობა" არაფერს ხსნის.

იმავე ტიერის „Histoire du tiers etat"-სა და საფრანგეთისა და ინგლისის შინაგან ურთიერთობათა ისტორიის ნარკვევებში მოცემულია ბურჟუაზიის ისტორიული მოძრაობის საკმაოდ სრული სურათი. საკმარისია გავეცნოთ ამ სურათს მაინც იმის ნათელსაყოფად, თუ

---

[1]) Histoire de la conquête და სხვ... Paris, ტ. I, გვ. გვ. 295, 300.

რამდენად არადამაკმაყოფილებელია ის თვალსაზრისი, რომელიც განსაზღვრული სოციალური წყობილების წარმოშობას და განვითარებას დაპყრობას უკავშირებს: ეს განვითარება ხომ სრულიად ეწინააღმდეგებოდა ფეოდალური არისტოკრატიის, ე. ი. დამპყრობელთა და მათი შთამომავლობის ინტერესებსა და სურვილებს.

სრულიად გადაუმეტებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითონ ოგ. ტიერი შეეცადა თავისი ისტორიული კვლევით გაებათილებია საკუთარი შეხედულება დაპყრობათა ისტორიულ როლზე.[1])

იგივე მოსდის მინიესაც. იგი აღნიშნავს მიწათმფლობელობის გავლენას პოლიტიკურ ფორმებზე, მაგრამ თუ რაზეა დამოკიდებული და რატომ ვითარდება მიწათმფლობელობის ფორმები ამა თუ იმ მიმართულებით, ეს მინიემ არ იცის. მისი აზრითაც მიწათმფლობელობის ფორმები საბოლოოდ **დაპყრობით** აიხსნება.[2])

ის გრძნობს, რომ საერთაშორისო შეჯახებათა ისტორიაშიც ჩვენ საქმე გვაქვს არა განყენებულ ცნებებთან: ,,დამპყრობელი,'' ,,დაპყრობილი,'' არამედ განსაზღვრული უფლების და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მქონე ცოცხალ ხალხთან; მაგრამ აქაც მისი ანალიზი შორს ვერ მიდის. „როცა ერთ მიწაწყალზე მცხოვრები ორი ერი გაითქვიფება ერთიმეორეში—ამბობს იგი,—ისინი დაჰკარგავენ სუსტ თვისებებს და შეიძენენ ერთიმეორისგან ძლიერ თვისებებს''.[3]) ეს არც ღრმად, და არც ნათლადაა გამოთქმული.

რესტავრაციის დროის ფრანგი ისტორიკოსების წინაშე ქონებრივ ურთიერთობათა საკითხი რომ მთელი თავისი სიცხადით წამოჭრილიყო, ისინი უთუოდ სიძნელისაგან თავის დასაღწევად, გიზოს მსგავსად, შეეცდებოდენ ადამიანის ბუნება დაემოწმებიათ.

ის შეხედულება, რომ **ადამიანის ბუნება** ის უმაღლესი ინსტანციაა, სადაც წყდება ყველა ,,საკაზუსო საქმე'' სამართლის, მორალის, პოლიტიკის და ეკონომიის დაარგიდან, XIX საუკუნის მწერლებმა სავსებით წინა საუკუნის განმანათლებელთაგან გადმოიღეს.

---

[1]) საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ სენ-სიმონისტები ამჩნევდენ ტიერის ისტორიული თვალსაზრისის ამ სუსტ მხარეს. მაგალათად, იმ წერილში, რომლიდანაც ჩვენ ზემოდ ციტატა მოვიყვანეთ, ბაზარი შენიშნავს, რომ სინამდვილეში დაპყრობამ გაცილებით ნაკლები გავლენა იქონია ევროპიული საზოგადოების განვითარებაზე, ვიდრე ტიერი ფიქრობსო. „ყველა, ვისაც კაცობრიობის განვითარების კანონები ესმის, ხედავს, რომ დაპყრობის როლი სრულიად ხელქვეითია.'' მაგრამ ამ შემთხვევაში ტიერი უფრო ახლოსაა თავისი ყოფილი მასწავლებლის სენ-სიმონის თვალსაზრისთან, ვიდრე ბაზარი. სენ-სიმონი დასავლეთ ევროპის ისტორიას XV საუკუნიდან ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით იხილავს, საშუალო საუკუნეების საზოგადოებრივ წესწყობილებას-კი დაპყრობის პროდუქტად თვლის.

[2]) იხ. De la féodalité. გვ. 50.

[3]) იხ. De la féodalité გვ. 212.

თუ ადამიანს დაბადებიდანვე თან არ მოაქვს „პრაქტიკულ იდეათა“ მზამზარეული მარაგი; თუ სათნოებას პატივს სცემენ არა იმიტომ, რომ იგი თანდაყოლილია ადამიანისადმი, არამედ იმიტომ, რომ იგი სასარგებლოა, როგორც ამტკიცებდა ლოკი; თუ საზოგადოებრივი სარგებლობის პრინციპი უზენაესი კანონია, როგორც გვასწავლიდა ჰელვეციუსი; თუ ადამიანი ნივთთა საზომია ყოველგან, სადაც-კი ლაპარაკია ადამიანთა ურთიერთობაზე,—მაშინ სრულიად ბუნებრივია დავასკვნათ, რომ სწორედ „ადამიანის ბუნება“-ა ის თვალსაზრისი, რომლითაც უნდა ვიმსჯელოთ სარგებლობასა და ზარალზე, განსაზღვრულ ურთიერთობათა გონივრულობასა თუ უვარგისობაზე. ამ თვალსაზრისით იხილავდენ XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებელნი როგორც მაშინდელ საზოგადოებრივ წყობილებას, ისე იმ რეფორმებსაც, რომელიც მათი აზრით სასურველი იყო. ადამიანის ბუნება მათთვის მთავარ საბუთს წარმოადგენდა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ თვალში ამ საბუთს, ამას მშვენივრად ცხადჰყოფს, მაგალითად, კონდორსეს ([18]) შემდეგი მსჯელობა: „სამართლიანობისა და სამართლის იდეას აუცილებლად ერთნაირად იმუშავებს შეგნებისა და იდეის შეძენის უნარის მქონე ყველა არსება, ამიტომ ისინი ერთგვარია“. მართალია არის შემთხვევა, როცა ხალხი მას ამახინჯებს (les altérent) „მაგრამ ყოველი საღი მსჯელობის ადამიანი სწორედ ისევე აუცილებლად მივა მორალის დარგში ამა თუ იმ იდეამდე, როგორც მათემატიკაში. ეს იდეები წარმოადგენს იმ უდავო ჭეშმარიტების აუცილებელ დასკვნას, რომ ადამიანი შემგრძნები და მოაზროვნე არსებაა“. ნამდვილად-კი ფრანგ განმანათლებლებს თავიანთი საზოგადოებრივი შეხედულებანი სრულიად არ გამოჰყავდათ ამ მეტად მჭლე ჭეშმარიტებიდან; ამ იდეებს მათ გარემომცველი წრე უკარნახებდა: „ადამიანი“, რომელიც მათ სახეში ჰყავდათ მარტო შეგრძნების და აზროვნების უნარით დაჯილდოვებული როდი იყო: მისი „ბუნება“ გარკვეულად მოითხოვდა ბურჟუაზიულ წყობილებას (ჰოლბახის თხზულებები სწორედ იმ მოთხოვნილებებს შეიცავს, რომელიც შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ განახორციელა); იგი მოითხოვდა ვაჭრობის თავისუფლებას, სახელმწიფოს ჩაურეველობას მოქალაქეთა ქონებრივ ურთიერთობაში—(laisser faire, laisser passer![1]) და სხვ...

[1]) მართალია, არა ყოველთვის. ზოგჯერ იმავე ბუნების სახელით ფილოსოფოსები ურჩევდენ «კანონმდებელს მოესპო ქონებრივი უთანასწორობა». ეს ფრანგი მატერიალისტების ერთი მრავალ წინააღმდეგობათაგანია. მაგრამ ეხლა ჩვენ მასთან საქმე არა გვაქვს. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ

განმანათლებელნი ადამიანის ბუნებას უცქერდენ არსებულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და ურთიერთობის პრიზმით. მაგრამ, ამას ისინი სრულიად ვერ ამჩნევდენ. მათ წარმოედგინათ, თითქოს მათი ბაგეებით ლაპარაკობდა თვით „ადამიანის ბუნება“, ბოლოს და ბოლოს, გაგებული და დაფასებული კაცობრიობის განათლებულ წარმომადგენელთა მიერ.

XVIII საუკუნის ყველა მწერალს ერთნაირად არ ესმოდა ადამიანის ბუნება. მის გაგებაში ისინი ხშირად სცილდებოდენ ერთი-მეორეს. მაგრამ ყველა ისინი ერთგვარად იყვენ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ამ ბუნების სწორ გაგებას შეუძლია საზოგადოებრივ მოვლენათა გასაღების მოცემა.

ზემოდ ჩვენ ვთქვით, რომ ბევრი ფრანგი განმანათლებელი უკვე ამჩნევდა ადამიანის გონების განვითარების ერთგვარ კანონზომიერებას. აზრს ამ კანონზომიერების შესახებ მათში ჰბადებდა, პირველ ყოვლისა, **ლიტერატურის ისტორია**: რომელი ხალხი არ ყოფილა ჯერ პოეტი, და შემდეგ მოაზროვნე? კითხულობენ ისინი. [1]) რით აიხსნება ასეთი თანმიმდევრობა? საზოგადოებრივი მოთხოვნილებით, რომლითაც განისაზღვრება აგრეთვე ენის განვითარებაცა, ამბობდენ განმანათლებელნი. „მეტყველების ხელოვნება ისე, როგორც ყველა ხელოვნება, საზოგადოებრივი მოთხოვნილების და ინტერესების ნაყოფია“-ო ამტკიცებდა ჩვენ მიერ სხოლიოში ნახსენებს, თვის სიტყვაში, აბატი არნო. საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი იცვლებიან და ამის გამო „ხელოვნებათა“ განვითარების მსვლელობაც იცვლება. მაგრამ რა განსაზღვრავს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას? საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი, საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებანი ადამიანის ბუნებით განისაზღვრებიან. მაშასადამე ამ ბუნებაში უნდა ვეძიოთ გონების განვითარების ახსნაც.

რათა ადამიანის ბუნებას უზენაესი საზომის როლი შეესრულებინა, იგი უნდა ეცნოთ ერთხელ და სამუდამოდ მოცემულად და **უცვლელად**. განმანათლებელნი, როგორც მკითხველმა უკვე კონდორსეს სიტყვებიდან დაინახა,—მას მართლაც ასეთად თვლიდენ. მაგრამ, თუ ადამიანის ბუნება უცვლელია, როგორ შეიძლება მისი

განყენებული „ბუნება ადამიანისა“ ყოველ განსაზღვრულ შემთხვევაში წარმოად გენდა საბუთს საზოგადოების, და განსაკუთრებით, ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა ფენის სრულიად კონკრეტულ მოთხოვნილებათა სასარგებლოდ.

[1]) გრიმი. Correspodance littèraire, აგვისტო 1774 წელი. გრიმი აყენებს ამ კითხვას და იმეორებს მხოლოდ აბატ არნოს აზრს, რომელიც ამ უკანასკნელმა საფრანგეთის აკადემიაში წარმოთქმულ სიტყვაში განავითარა.

მეშვეობით კაცობრიობის გონებრივი და სოციალური განვითარება ავხსნათ? რას წარმოადგენს ყოველი განვითარების პროცესი?—ცვლილებათა რიგს: შეიძლება თუ არა ეს ცვლილებანი რაღაც უცვლელით, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულით ავხსნათ? იმით ხომ არ იცვლება ცვალებადი სიდიდე რომ მუდმივი რჩება უცვლელად? განმანათლებელნი ფიქრობდენ რომ—არა, და რომ თავი დაეღწიათ სიძნელისგან, აღნიშნავდენ, რომ თვით **მუდმივი** სიდიდე განსაზღვრულ ფარგალში ცვალებადია. ადამიანი გაივლის სხვადასხვა ჰასაკს: ბავშობის, ყმაწვილობის, სიმწიფის და სხვ... ამ სხვადასხვა ჰასაკის დროს მისი მოთხოვნილებანი სხვადასხვანაირია: „ბავშობის დროს ადამიანი ცხოვრობს გრძნობებით, წარმოდგენებით და მეხსიერებით: იგი ეძებს მხოლოდ გასართობს, გატაცებულია სიმღერებით და ზღაპრებით; შემდეგ დგება ვნებათა ჰასაკი: სული მოითხოვს მძაფრ განცდებს და ემოციებს. შემდეგ ვითარდება აზროვნებითი უნარი, გონება, რომელიც თავისი მხრით მოითხოვს ვარჯიშობას, რომელის მუშაობა ვრცელდება ყველაფერზე, რასაც-კი შეუძლია ცნობისმოყვარეობის გამოწვევა.

ასე ვითარდება ცალკე ადამიანი: ეს საფეხურები და თანდათანობა გამოწვეულია თვით მისი ბუნებით. და სწორედ იმიტომ, რომ ეს მისი ბუნების თვისებაა, ადგილი აქვს მას (ე. ი. თანდათანობას) **მთელი კაცობრიობის** სულიერ განვითარებაშიც. იმით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ყველა ხალხი იწყებს ეპოსით და ათავებს ფილოსოფიით.[1])

ცხადია, რომ ასეთი „ახსნა“ არაფერს ხსნიდა და კაცობრიობის გონებრივი განვითარების მსვლელობის აღწერას მხატვრულ ფორმებში ხვევდა (შედარება უფრო აშუქებს ასაწერი საგნის თვისებებს). ნათელია აგრეთვე, რომ ასეთი ახსნის დროს XVIII საუკუნის მოაზროვნენი ტრიალებდენ ჩვენთვის უკვე ცნობილ მოჯადოებულ რკალში: წრე ჰქმნის ადამიანს, ადამიანი ჰქმნის წრეს. მართლაც, ერთის მხრით, გამოდის, რომ კაცობრიობის გონებრივი განვითარება, ე. ი. სხვა სიტყვით, ადამიანის ბუნების განვითარება, აიხსნება საზოგადოებრივი მოთხოვნილებით, მეორეს მხრით—საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა განვითარება ადამიანის ბუნების განვითარებაზეა დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ ეს წინააღმდეგობა ვერც რესტავრაციის დროის ფრანგმა ისტორიკოსებმა დასძლიეს: მათ მას მხოლოდ სხვა სახე მისცეს.

---

[1]) Suard, loc. cit., გვ. 38.

თავი მესამე

უტოპისტ-სოციალისტები

თუ ადამიანის ბუნება უცვლელია და თუ მის მთავარ თვისებათა ცოდნის შემწეობით შეიძლება გამოვიყვანოთ მათემატიკურად სწორი დებულებები მორალისა და საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში, მაშინ არაა ძნელი გამოვიგონოთ ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც საესებით უპასუხებს ადამიანის ბუნების მოთხოვნილებას და რომელიც სწორედ ამის გამო **იდეალური საზოგადოებრივი წყობილებაც იქნება.** ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მატერიალისტები გატაცებით იკვლევდენ საკითხს **სრულქმნილი კანონმდებლობის** შესახებ (Législation parfaite). ეს გამოკვლევები განათლების ლიტერატურაში უტოპისტურ ელემენტს წარმოადგენს.[1])

XIX საუკუნის პირველი ნახევრის უტოპისტ-სოციალისტები ასეთ გამოკვლევებს დიდი გატაცებით ეწევიან.

ამ ეპოქის უტოპისტ-სოციალისტები საესებით დგანან ფრანგი მატერიალისტების ანთროპოლოგიურ თვალსაზრისზე. იმითაც სწორედ ისე, როგორც მატერიალისტებს, ადამიანი გარემომცველი საზოგადოებრივი წრის **ნაყოფად** მიაჩნიათ.[2]) სწორედ ისე, როგორც

---

[1]) ჰელვეციუსს თავის წიგნში: „De l'homme", აქვს დაწვრილებითი პროექტი ასეთი „სრულმქნილი კანონმდებლობისა". მეტად საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ამ უტოპიის შედარება XIX საუკუნის პირველი ნახევრის უტოპიებთან. მაგრამ, სოციალიზმისა და ფილოსოფიის ისტორიკოსებიც, სამწუხაროდ, სრულიადაც არ ფიქრობდენ ამდენ ხანს ასეთს შედარებაზე. რაც შეეხება სპეციალურად ფილოსოფიის ისტორიკოსებს, ისინი არასაკადრისად ამცირებენ ჰელვეციუსს. დინჯი და თავდაპერილი ლანგეც-კი ვერ პოულობს მისთვის სხვა დახასიათებას გარდა—„ზერელე ჰელვეციუსი"-სა. აბსოლიუტურ მატერიალისტ ჰელვეციუსს ყველაზე უფრო სამართლიანად აბსოლიუტური იდეალისტი ჰეგელი მოეპყრა.

[1]) „დიახ, ადამიანი არის ის, რასაც ჰქმნის მისგან ყოვლისშემძლე საზოგადოება ან ყოვლისშემძლე აღზრდა ამ სიტყვის რაც შეიძლება ფართო მნიშვნელობით, ე. ი. მასში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო სკოლისა და წიგნის მეოხებით მიღებული აღზრდა, არამედ აღზრდა, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ადამიანთა და საგანთა, მოვლენათა და მდგომარეობა—გარემოებისაგან, აღზრდა როლის გავლენა ჩვენზე იწყება აკვნიდან და არ წყდება ერთი წუთითაც-კი". კაბე, Voyage en Jcarie, 1848 წლის გამოცემა, გვ. 402.

მატერიალისტები, ისინიც მოჯადოებულ რკალში ექცევიან და წრის ცვალებად თვისებებს **ადამიანის ბუნების** უცვლელი თვისებებით ხსნიან.

ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ყველა მრავალრიცხოვანი უტოპია არის **ადამიანის ბუნების** უზენაეს საზომად აღიარება და მის საფუძველზე სრულმქნილი კანონმდებლობის გამოგონების ცდა. **ფურიე** გამოსავალ წერტილად იღებს ადამიანის ვნებათა ანალიზს; **რ. ოუენი** თავის „Outline of the rational system of society"-ში ემყარება „**ადამიანის ბუნების შესახებ მეცნიერების მთავარ პრინციპებს**" („First Principles of Human Nature") და ამტკიცებს, რომ „რაციონალურმა მთავრობამ", პირველ ყოვლისა, უნდა „გაიგოს ადამიანის ბუნება"-ო („ascertain what Human Nature is") **სენ-სიმონისტები** ამბობენ, რომ ჩვენი ფილოსოფია ადამიანის ბუნების ახალ გაგებას ეყრდნობაო (sur une nouvelle conception de la nature humaine) [1]); ფურიეს მიმდევრები ამბობენ: ჩვენი მასწავლებლის მიერ გამოგონილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია წარმოადგენს ადამიანის ბუნების ურყევი კანონებიდან გაშმდინარე მთელ რიგ უდავო დასკვნებსო.[2])

რა თქმა უნდა, ადამიანის ბუნების აღიარება უზენაეს საზომად ხელს არ უშლიდა სხვადასხვა სოციალისტურ სკოლებს ამ ბუნების თვისებები სხვადასხვანაირად განესაზღვრათ. მაგალითად, სენ-სიმონისტების აზრით „ოუენის გეგმები იმდენად ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, რომ ის პოპულიარობა, რომლითაც ისინი, როგორც ჩანს, სარგებლობენ დღეს (დაწერილია 1825 წ.), პირველი შეხედვით აუხსნელ გარემოებად გვეჩვენება.[3]) ფურიეს პოლემიკურ ბროშურაში „Pieges et charlatanisme des deux sectes Saint-Simon et Owen, qui promettent l'association et le progres", შეიძლება ბევრი მკვეთრი მითითება ვიპოვოთ იმის შესახებ, რომ ადამიანის ბუნების ყველა თვისებას სენ-სიმონისტური მოძღვრებაც ეწინააღმ-

---

[1]) იხ. Le Producteur, t. I, Paris 1825. Introduction.

[2]) Mon but est de donner une Exposition Elementaire, calire et facilement intelligible, de l'organisation sociale, déduite par Fourier des lois de la nature «humaine», V. Considérent, Destinée Sociale, t. I. 3-me edition, Déclaration.—„Il serait temps enfin de s'accorder sur ce point; est-il á propos, avant de faire des lois, de s'enquérir de la veritable nature de l'omme, afin d'harmoniser la loi, qui et par elle—meme modifiable avec la nature, qui est immuable et souveraine?" Nations élémentaires de la science sociale de Eourier, par lauteur de la Défense du Fourièrisme [Henri Grosse. Paris. 1634, p. 35).

[3]) Le Producteur, ტ. I, გ. 139.

დეგება. ეხლაც ისე, როგორც კონდორსეს დროს, გამოირკვა, რომ შეთანხმება ადამიანის ბუნების განსაზღვრაში გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ამა თუ იმ გეომეტრიული ფიგურის განსაზღვრა.

რამდენადაც XIX საუკუნის უტოპისტ-სოციალისტები **ადამიანის ბუნების** თვალსაზრისზე იდგენ, იმდენად ისინი მხოლოდ XVIII საუკუნის მოაზროვნეთა შეცთომას იმეორებდენ, შეცთომას, რომელიც ახასიათებდა, სხვათაშორის, მთელ მათდროინდელ საზოგადოებრივ მეცნიერებას.[1]) მაგრამ მათ ეტყობათ დიდი სურვილი დააღწიონ თავი განყენებულ ცნების ვიწრო ფარგლებს და კონკრეტულ ფუძეს დაემყარონ. ამ მხრით ყველაზე უფრო შესანიშნავი სენ-სიმონის შრომებია.

მაშინ, როცა ფრანგი განმანათლებლები უმეტეს შემთხვევაში კაცობრიობის ისტორიას განიხილავდენ, როგორც გარკვეულ რიგს ასე თუ ისე ბედნიერ შემთხვევებისა,[2]) სენ-სიმონი ისტორიაში, პირველ ყოვლისა, **კანონზომიერებას** ეძებს. მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების შესახებ სწორედ ისეთივე ზუსტ მეცნიერებად უნდა შეიქნეს, როგორიც ბუნებისმეტყველებაა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ კაცობრიობის წარსული ცხოვრების ფაქტები იმისათვის, რომ მასში მისი **პროგრესის** კანონები აღმოვაჩინოთ. **მომავლის** გათვალისწინება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც გაიგო **წარსული**. სენ-სიმონმა ასე დასახა საზოგადოებრივი მეცნიერების ამოცანა

---

[1]) ეს ჩვენ უკვე ცხადვყაევით რესტაურაციის დროის ისტორიკოსების მიმართ. ძლიერ ადვილია ამის ცხადყოფა ეკონომისტების მიმართაც. როცა რეაქციონერებისა და სოციალისტების წინააღმდეგ ეკონომისტები ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ წყობილებას იცავდენ, ისინი მას იცავდენ სწორედ როგორც ისეთ წყობილებას, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება ადამიანის ბუნებას. „მოსახლეობის განყენებული" კანონის გამონახვის ცდა, სულერთია, წარმოებდა იგი ბურჟუაზიულს თუ სოციალისტურ ბანაკში,—მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ადამიანის ბუნების" იმ გაგებასთან, რომლის მიხედვით იგი („ადამიანის ბუნება") საზოგადოებრივი მეცნიერების ძირითად ცნებას წარმოადგენს. რომ ამაში დავრწმუნდეთ, საკმარისია შევადაროთ მალთუსის მოძღვრება მოსახლეობაზე, გოდვინისა ან ჯ. ს. მილისადმი მიძღვნილი შენიშვნების ავტორის მოძღვრებას. როგორც მალთუსი, ისე მისი მოწინააღმდეგენი, ეძებენ მოსახლეობის საერთოს, ასე ვთქვათ, ობსოლიუტურ კანონს. ჩვენი დროის პოლიტიკური ეკონომია სულ სხვაგვარად ფიქრობს: მან იცის, რომ საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ფაზას მოსახლეობის თავისი განსაკუთრებული კანონი აქვს. მაგრამ ამაზე ქვემოდ.

[2]) ამ მხრით მეტად დამახასიათებელია ჰელვეციუსის საყვედური მონტესქიეს მიმართ «თავის წიგნში რომის ძლიერებისა და დაცემის მიზეზების შესახებ მონტესქიემ არასაკმარისად შეაფასა ბედნიერ შემთხვევათა მნიშვნელობა ამ

და შეუდგა განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლას რომის იმპერიის დაცემის დროიდან. რამდენად ახალი და ფართო იყო მისი შეხედულებები ჩანს იქიდან, რომ მისმა მოწაფემ ო. ტიერმა საფრანგეთის ისტორიის დამუშავებაში შესძლო თითქმის მთელი გადატრიალება მოეხდინა. სენ-სიმონი იმ აზრის იყო, რომ გიზომაც თავის შეხედულებანი ჩემგან ისესხაო. საკითხს თეორიული საკუთრების შესახებ ჩვენ გადაუჭრელად ვტოვებთ და შევნიშნავთ მხოლოდ, რომ სენ-სიმონი ევროპის საზოგადოებათა შინაგანი განვითარების მექანიზმის შესწავლის საქმეში უფრო შორს მიდიოდა ვიდრე მისი დროის **სპეციალისტ-ისტორიკოსები.** თუ ტიერმა, მინიემ და გიზომ გამოარკვიეს, რომ მთელი საზოგადოეკრივი წყობილების საფუძველს ქონებრივი ურთიერთობა წარმოადგენს, სამაგიეროდ სენ-სიმონი, რომელმაც პირველად და განსაკუთრებული სიცხადით გააშუქა ახალ ევროპაში ამ ურთიერთობათა ისტორია, უფრო შორს წავიდა, როცა შეეკითხა თავს: რატომ მაინცა და მაინც ეს და არა სხვა რომელიმე ურთიერთობა ასრულებს ასეთ მნიშვნელოვან როლს? მისი აზრით, პასუხი **მრეწველობის განვითარების მოთხოვნილებებში** უნდა ვეძიოთ: „საერო ხელისუფლება XV საუკუნემდე აზნაურთა ხელში იყო, და ეს სასარგებლოც იყო, იმიტომ რომ აზნაურები მაშინ ყველაზე უფრო უნარიანი მრეწველები იყვენ. ისინი ხელმძღვანელობდენ სამიწათმოქმედო მუშაობას, ხოლო ეს უკანასკნელი მაშინ მნიშვნელოვანი სამრეწველო საქმიანობის ერთად-ერთი სახე იყო".[1]) კითხვას, თუ რატომ აქვს მრეწველობის მოთხოვნილებებს კაცობრიობის ისტორიაში ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, სენ-სიმონი უპასუხებს: იმიტომ რომ წარმოება ყოველგვარი საზოგადოებრიკი კავშირის მიზანიაო (le but de l'organisation sociale, c'est la produc-

---

სახელმწიფოს ისტორიაში. მან დაუშვა იმ მოაზროვნეთათვის მეტად დამახასიათებელი შეცთომა, რომელთაც ყველაფრის ახსნა სურთ,—და შეცთომა კაბინეტის მეცნიერთა, ხალხის ბუნებას რომ ივიწყებენ და უცვლელ პოლიტიკურ სახეებსა და ერთნაირ პრინციპებს ხალხის წარმომადგენლებს რომ მიაწერენ. ამავე დროს ხშირად ერთი პირი ხელმძღვანელობს თავისი სურვილისამებრ იმ დიდი მნიშვნელობის მქონე კრებებს, რომელსაც სენატი ეწოდება. Pensés et réflexions. CXL, ტ. III, Oeuvres Complètes de Helvetius. Paris MDCCCXVIII. მკითხველო, არ გაგონებთ ეს თქვენ რუსეთში ეხლა მოდაში შემოსულ „გმირთა და მასის" თეორიას? დაიცადეთ, შემდეგში ჩვენ კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, თუ რა ცოტა რომ არის ორიგინალური რუსეთის „სოციოლოგიაში"!

[1]) Opinions littéraires, philosophiques et industrielles, Paris. 1825 p. 144. 145. შეადარეთ აგრეთვე Catéchisme politique des industrielles.

tion). იგი წარმოებას აწერს ისეთ მნიშვნელობას, რომ **სასარგებლოსა** და წარმოებითს შორის იგივეობის ნიშანს სვამს (l'utile — c'est la production) და კატეგორიულად აცხადებს: la politique... c'est la science de la production.

მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ შეხედულებათა ლოგიკური განვითარება, სენ-სიმონს ისეთ დასკვნამდე მიიყვანდა, რომ წარმოების კანონები სწორედ ის კანონებია, რომლითაც განისაზღვრება საბოლოოდ საზოგადოებრივი განვითარება და რომლის შესწავლაც უნდა შეადგენდეს იმ მოაზროვნის ამოცანას, მომავლის გაგებას რომ ცდილობს. ზოგჯერ ის თითქოს უახლოვდება ამ აზრს, მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ და მხოლოდ უახლოვდება.

წარმოებისთვის აუცილებელია შრომის იარაღი. ეს უკანასკნელი არ არის მოცემული ბუნების მიერ მზა-მზარეულად, მას იგონებს ადამიანი. ამ იარაღის გამოგონება და უბრალო ხმარაც-კი მწარმოებლის გონებრივი განვითარების ერთგვარ დონეს ჰგულისხმობს. ამიტომ „მრეწველობის" განვითარება წარმოგვიდგება როგორც კაცობრიობის გონებრივი განვითარების უეჭველი შედეგი. გვეჩვენება, რომ შეხედულება, „განათლება" (lumieres) აქაც უკლებლივ მართავს ქვეყანას. რაც უფრო ირკვევა მრეწველობის მნიშვნელოვანი როლი, მით უფრო მტკიცდება ერთის შეხედვით XVIII საუკუნის ფილოსოფოსთა ეს თვალსაზრისი. სენ-სიმონი ამ თვალსაზრისის დაცვაში უფრო თანმიმდევარია, ვიდრე ფრანგი განმანათლებელნი, რადგანაც იგი იმ აზრს, რომ იდეები შეგრძნებისგან წარმოიშობა დამტკიცებულად თვლის და უფრო ნაკლები საბაბი აქვს ჩაუფიქრდეს ადამიანზე წრის გავლენის ფაქტს. ცოდნათა განვითარება, მისი აზრით, ისტორიული მოძრაობის მთავარი ფაქტორია.[1]) ის ცდილობს აღმოაჩინოს ამ განვითარების კანონები. იგი აწესებს სამი ფაზისის სწორედ იმ კანონს, რომელიც შემდეგში ოგიუსტ კონტმა დიდი წარმატებით თავის საკუთარ „აღმოჩენად" გაასაღა: **თეოლოგიურის,**

---

[1]) იდეალისტური თვალსაზრისი ისტორიაზე სენ-სიმონს უკიდურესობამდე მიჰყავს. მისი აზრით საზოგადოებრივ ურთიერთობათა საბოლოო საფუძველს წარმოადგენს არა მარტო იდეები („პრინციპები"), არამედ იდეათა შორის მთავარი როლი ეკუთვნის „მეცნიერულ იდეებს",—„ქვეყნის მეცნიერულ სისტემას", რომლიდანაც გამომდინარეობს რელიგიური იდეები, რაც თავის მხრით ზნეობრივ შეხედულებებსაც განსაზღვრავს. ეს ინტელექტუალიზმია, რომელიც იმ დროს გამეფებული იყო გერმანელ ფილოსოფოსთა წრეშიც, მაგრამ რომელიც მათ ხელში სხვა სახეს იღებდა.

მეტაფიზიკურის და პოზიტიურის.[1]) მაგრამ ეს კანონებიც მისი აზრით ბოლოს და ბოლოს ადამიანის ბუნების თვისებებით აიხსნება. „საზოგადოება ინდივიდუუმებისგან შესდგება,—ამბობს იგი,—ამიტომ საზოგადოებრივი გონების განვითარება შეიძლება იყოს მხოლოდ იმავე ინდივიდუალური გონების განვითარება უფრო დიდი მასშტაბით". ის გამოდის ამ ძირითადი დებულებიდან და თავის „კანონებს" საზოგადოების განვითარების შესახებ თვლის საბოლოოდ გამორკვეულად და დასაბუთებულად ყოველთვის, როცა-კი ჰპოებს ინდივიდუუმის განვითარებაში მოხერხებულ ანალოგიას ამ „კანონების" დასამტკიცებლად. ის ამტკიცებს, მაგალითად, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელისუფლების როლი თანდათან ნულამდე მივაო [1]). ამ როლის თანდათანობითი, მაგრამ მუდმივი შემცირება კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი კანონია. როგორ ასაბუთებს ის ამ კანონს? ამის სასარგებლო მთავარი საბუთი ადამიანის ინდივიდუალურ განვითარებაზე მითითებაა: დაბალი საფეხურის სკოლებში ბავში ვალდებულია უსათუოდ ემორჩილებოდეს უფროსებს; საშუალოსა და უმაღლესში—დამორჩილების ელემენტი თანდათან სუსტდება და მომწიფებისას საბოლოოდ დაუთმობს ადგილს მის დამო-

---

[1]) ლიტრემ ენერგიულად გაილაშქრა გიუბერის წინააღმდეგ, როცა ამ უკანასკნელმა ეს... სესხება ამბილა. ის მიაწერდა სენ-სიმონს მხოლოდ „ორი ფაზისის" კანონს: თეოლოგიურისა და მეცნიერულის. ფლინტს მოპყავს ლიტრეს ეს შეხედულება და შენიშავს: „ის მართალია, როცა ამბობს, რომ სამი ფაზისის კანონი არ არის მოხსენებული სენ-სიმონის არც ერთ ნაშრომშიო" (Philosophy of History in France and Germany, Edinburgh and London MDCCCLXXIV, გვ. 158). ამ შენიშვნას ჩვენ დაუპირდაპირებთ შემდეგ ამონაწერს სენ-სიმონის შრომიდან: „რომელმა ასტრონომმა, ფიზიკოსმა, ქიმიკოსმა ან ფიზიოლოგმა არ იცის რომ ადამიანის გონება მეცნიერების თითოეულ დარგში—სანამ იგი წმინდა თეოლოგიური იდეებიდან პიზიტიურზე გადავიდოდეს, დიდხანს იზიარებს მეტაფიზიკას? ყველა, ვისაც კი უმუშავნია მეცნიერების ისტორიის დარგში განა საბოლოოდ არ რწმუნდება იმაში, რომ ეს შუალედი ფაზა სასარგებლოა გადასასვლელად და აბსოლიუტურად აუცილებელი?" (Du système industriel, Paris MDCCCXXI, préface, გვ. გვ. vj—vjj). სენ-სიმონის თვალში სამი ფაზისის კანონს ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი მზად იყო აეხსნა მისი მეოხებით წმინდა პოლიტიკური მოვლენები, მაგალითად, „ლეგისტებისა და მეტაფიზიკოსების" ბატონობა საფრანგეთის რევოლიუციის დროს. ფლინტს არ გაუძნელდებოდა ამის „აღმოჩენა", თუ სენ-სიმონის თხზულებებს ყურადღებით წაიკითხავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, გაცილებით უფრო ადვილია აზროვნების „მეცნიერული" ისტორიის დაწერა, ვიდრე მისი განვითარების ნამდვილი ისტორის შესწავლა.

[2]) მისგან ეს შეხედულება შემდეგში ისესხა და დაამახინჯა პრუდონმა, რომელმაც მასზე ააგო თავის ანარქიის თეორია.

უკიდებელ მოქმედებას. ვინც როგორ უნდა უცქერდეს „ხელისუფლების“ ისტორიას, ყველა დაგვეთანხმება, რომ აქ, ისე როგორც ყოველგან, შედარება არ არის დასაბუთება. ყოველი **განუყოფლის** ემბრიოლოგიურ განვითარებას (**ონტოგენეზისი**) მრავალი ანალოგიური რამ აქვს იმ სახის ისტორიასთან, რომელსაც ეს განუყოფელი ეკუთვნის: **ონტოგენეზისი** მრავალ მნიშვნელოვან ცნობას იძლევა **ფილოგენეზისის** შესახებ. მაგრამ რას ვიტყოდით ჩვენ ეხლა იმ ბიოლოგზე, რომელსაც აზრად მოუვიდოდა მტკიცება დაეწყო, რომ ფილოგენეზისის საბოლოო ახსნა ონტოგენეზსში უნდა ვეძიოთ? თანამედროვე ბიოლოგია პირდაპირ საწინააღმდეგოდ იქცევა: იგი **განუყოფელის** ემბრიოლოგიურ ისტორიას **სახეობის** ისტორიით ხსნის.

ადამიანის ბუნებისადმი აპელაცია სრულიად თავისებურ სახეს აძლევდა საზოგადოებრივი განვითარების ყველა იმ „კანონს“, რომელიც ჩამოაყალიბა როგორც თვით სენ-სიმონმა, ისე მისმა მოწაფეებმაც

ამას ისინიც მოჯადოებულ წრეში შეჰყავდა. **კაცობრიობის ისტორია ადამიანის ბუნებით აიხსნება.** მაგრამ როგორ ვეცნობით ჩვენ ადამიანის ბუნებას?—**ისტორიის საშუალებით.** ცხადია ამ წრეში ტრიალით არ შეიძლება არც ადამიანის ბუნების და არც მისი ისტორიის გაგება. შესაძლოა მხოლოდ გამოვთქვათ ესა თუ ის ცალკე, მეტად თუ ნაკლებად ღრმა აზრი საზოგადოებრივ მოვლენათა ამა თუ იმ სფეროს შესახებ. სენ-სიმონმა გამოთქვა რამდენიმე მახვილი, ზოგჯერ ჭეშმარიტად გენიალური შენიშვნა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი—„პოლიტიკისათვის“ მტკიცე მეცნიერული საფუძვლის გამონახვა—მიუღწეველი დარჩა.

„ადამიანის გონების პროგრესის უმაღლესი კანონიო,—ამბობს სენ-სიმონი,—იმორჩილებს ყველაფერს, ყველაფერზე ბატონობს; ხალხი მისთვის მხოლოდ იარაღია... და თუმცა ეს ძალა (ე. ი. ეს კანონი) ჩვენგან გამოდის (dérive de nous), ჩვენ ისევე არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ მის გავლენას ან დავიმორჩილოთ იგი, როგორც არ შეგვიძლია ის ძალა შევცვალოთ ჩვენი სურვილებისამებრ, რომელიც მიწას მზის გარშემო ატრიალებს. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ შეგნებულად დავემორჩილოთ ამ კანონს (ჩვენს ჭეშმარიტ განგებას) იმით, რომ ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი ის მოძრაობა, რომელსაც იგი ჩვენთვის აწესებს, იმის ნაცვლად, რათა მას ბრმად დავემორჩილოთ. შევნიშნავთ გაკვრით, რომ სწორედ ეს იქნება ნაბიჯი

წინ, რომელიც უნდა გადასდგას ჩვენი საუკუნის ფილოსოფიურმა ცნობიერებამ"[1]).

ამრიგად, კაცობრიობა საკუთარ ემორჩილება თავისი გონებრივი განვითარების კანონს; ის ვერ აიცილებდა მის გავლენას იმ შემთხვევაშიც-კი, რომ მას ეს მოესურვებია. განვიხილოთ გულდასმით ეს დებულება და მის ცხადსაყოფად ავიღოთ სამი ფაზისის კანონი. კაცობრიობა მიდიოდა თეოლოგიური აზროვნებიდან მეტაფიზიკურისაკენ, მეტაფიზიკურიდან—პოზიტიურისაკენ. ეს კანონი მოქმედებდა მექანიკური კანონების ძალით.

ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ასეც იყოს, მაგრამ კითხვა იბადება, თუ როგორ უნდა გავიგოთ ის აზრი, რომ კაცობრიობა ვერ შესცვლიდა ამ კანონის მოქმედებას იმ შემთხვევაშიც-კი, მას რომ ეს **მოესურვებია**. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კაცობრიობას არ შეეძლო მეტაფიზიკის აცდენა იმ შემთხვევაშიც-კი, თუ იგი პოზიტიური აზროვნების უპირატესობას ჯერ კიდევ თეოლოგიური პერიოდის დასრულებისას შეიგნებდა? ცხადია, არა. და თუ-კი არა, მაშინ არა ნაკლებ ცხადია, რომ ბუნდოვანებას შეიცავს თვით სენ-სიმონის გაგება გონებრივი განვითარების კანონზომიერებისა. რაში მდგომარეობს ეს ბუნდოვანება? საიდან წარმოიშვა იგი?

ამ ბუნდოვანებას იწვევს **კანონის, ერთი მხრით, და მისი მოქმედების შეცვლის სურვილის, მეორეს მხრით, ურთიერთი დაპირისპირების ფაქტი**. რაკი დაებადა კაცობრიობას ასეთი სურვილი,—იგი თვით შეადგენს მისი გონებრივი განვითარების ისტორიის ერთ-ერთ ფაქტს,—კანონი ამ ფაქტს კი არ უნდა უპირდაპირდებოდეს, არამედ ითავსებდეს, სანამ ჩვენ ასეთი დაპირდაპირების ფაქტს შესაძლებლად ვსცნობთ, მანამ ჩვენთვის ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის კანონის ცნება და ჩვენ ამ ორი უკიდურესობიდან უეჭველად ერთ-ერთში ჩავარდებით: ან სრულიად დავტოვებთ კანონზომიერების თვალსაზრისს და დავდგებით **სასურველის** თვალსაზრისზე, ან სრულიად მხედველობიდან გავუშვებთ სასურველს,—(უფრო სწორად იმას, რაც ამა თუ იმ ეპოქის ადამიანებს **სასურველად** მიაჩნიათ) და ამით მივსცემთ **კანონს** რაღაც მისტიურ იერს, გადავაქცევთ მას რაღაც ფატუმად. სწორედ ასეთი ფატუმის სახით აქვთ წარმოდგენილი „კანონი" სენ-სიმონსა და საზოგადოდ უტოპისტებს, რამდენადაც ისინი კანონზომიერებაზე ლაპარაკობენ. აღვნიშნოთ აქვე, რომ როცა რუსი სუბიექტური სოციოლოგები ფარხმალს ისხამენ „პიროვნებისა",

---

[1]) L'organisateur, სენ-სიმონის თხზულებათა IV ტომის 119-ე გვ.

„იდეალებისა“ და სხვა კეთილ საქმეთა დასაცავად, ისინი ებრძვიან სწორედ ამ **უტოპიურს**, ბუნდოვანს, არასრულსა და ამიტომ უმართებულო მოძღვრებას „მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობაზე“. ჩვენ სოციოლოგებს თითქოს არც-კი გაუგონიათ, თუ რაში **მდგომარეობს საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის კანონზომიერების თანამედროვე მეცნიერული გაგება.**

საიდან მივიღეთ კანონზომიერების ცნების უტოპიური ბუნდოვანება? ის წარმოიშვა ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული ძირითადი ნაკლისგან იმ თვალსაზრისისა კაცობრიობის განვითარებაზე, რომელზეც იდგენ უტოპისტები, და როგორც ჩვენ უკვე ვიცით, არა მარტო უტოპისტები. კაცობრიობის ისტორიას ისინი ადამიანის ბუნებით ხსნიდენ. რაკი მოცემულია ეს ბუნება, ამით მოცემულია ისტორიული განვითარების კანონებიც, მოცემულია an sich, როგორც ჰეგელი იტყოდა, უკვე მთელი ისტორია. ადამიანს ისევე არ შეუძლია ჩაერიოს თავის განვითარების მსვლელობაში, როგორც არ შეუძლია მას ადამიანად არ ყოფნა. განვითარების **კანონი** განგების სახით გვეელინება.

ეს იმ მოძღვრების შედეგად მიღებული ისტორიული ფატალიზმია, რომელიც ადამიანის ცოდნის განვითარებას, მაშასადამე, ადამიანის შეგნებულ მოქმედებას, ისტორიული განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად აღიარებდა.

მაგრამ განვაგრძოთ.

თუ ისტორიის გასაღებს ადამიანის ბუნების შესწავლა იძლევა, მაშინ ჩემთვის მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ისტორიის ფაქტიურ შესწავლას, რამდენადაც სწორედ ამ ბუნების მართალ გაგებას. მას შემდეგ, რაც მე შევითვისე სწორი შეხედულება მასზე, მე თითქმის ყოველი ინტერესი მეკარგება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, **როგორიც იგი არის**, და მთელ ჩემ ყურადღებას მივაპყრობ საზოგადოებრივ ცხოვრებას, **როგორიც იგი უნდა იყოს თანახმად ადამიანის ბუნებისა.** ფატალისტური თვალსაზრისი ისტორიაზე ოდნავადაც ხელს არ უშლის პრაქტიკულად უტოპისტურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. პირიქით, იგი ხელს უწყობს მას იმით, რომ სწყვეტს მეცნიერული კვლევის ძაფს. **საზოგადოდ, ფატალიზმი ხშირად სრულს თანხმობაშია უუკიდურეს სუბიექტივიზმთან.** ფატალიზმი თავის საკუთარ განწყობილებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისტორიის გარდაუვალ კანონად აცხადებს. სწორედ ფატალისტებზეა ზედგამოჭრილი პოეტის შემდეგი სიტყვები:

Was sie den Geist der Geschichte nennen,
Ist nur der Herren eigner Geist.

სენ-სიმონისტები ამტკიცებდენ, რომ საზოგადოებრივი პროდუქტის ის წილი, რომელსაც ითვისებენ სხვისი შრომის ექსპლოატატორები, თანდათან მცირდებაო. ასეთი შემცირება მათი აზრით, წარმოადგენდა კაცობრიობის ეკონომიური განვითარების უმნიშვნელოვანეს კანონს. ამის საბუთად ისინი იმოწმებდენ **პროცენტისა** და **მიწის რენტის** დონის თანდათან დაკეკმას. მათ რომ ამ შემთხვევაში წმინდა მეცნიერული კვლევის მეთოდი გამოეყენებიათ, უნდა გამოენახათ მათ მიერ აღნიშნული მოვლენის ეკონომიური მიზეზი. ამისათვის-კი მათ გულდასმით უნდა შეესწავლათ პროდუქტების წარმოება, განმეორებითი წარმოება და განაწილება. ისინი რომ ასე მოქცეულიყვენ, შესაძლებელია მათ დაენახათ, რომ პროცენტის და თვით მიწის რენტის შემცირებაც, თუ მას მართლაც აქვს ადგილი, ჯერ კიდევ სრულიად არ ამტკიცებს მესაკუთრეთა წილის შემცირებას. მაშინ მათი „ეკონომიური კანონი", რასაკვირველია, სრულიად სხვა ფორმით გამოითქმებოდა. მაგრამ მათ ამისთვის როდი ეცალათ. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე საიდუმლო კანონების ყოველისშემძლეობაში რწმენამ მათი აზროვნება სულ სხვა მხრით მიმართა: ტენდენციას, რომელიც დღემდე სჭარბობდა ისტორიაში, მომავალში მხოლოდ გაძლიერება შეუძლიაო,—ამბობდენ ისინი,—ექსპლოატატორთა წილის თანდათანი შემცირება აუცილებლად დასრულდება მისი სრული გაქრობით, ე. ი. გაქრობით თვით ექსპლოატატორთა კლასისა. რაკი ჩვენ ეს გათვალისწინებული გვაქვს, ამიტომ ჩვენ დღესვე უნდა გამოვიგონოთ საზოგადოებრივი წყობილების ახალი ფორმები, სადაც ექსპლოატატორებს სრულიად ადგილი არ ექნებათ. ადამიანის ბუნების სხვა მხარეები ცხადჰყოფს, თუ როგორი უნდა იყოს ეს ფორმები. საზოგადოებრივი გარდაქმნის გეგმა ძლიერ სწრაფად მზადდება; საზოგადოებრივ მოვლენათა კანონზომიერების შესახებ მეტის-მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული აზრის შედეგად ორიოდე უტოპიურ რეცეპტს ვღებულობთ.

მაშინდელი უტოპისტები ასეთ რეცეპტებს მოაზროვნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ამოცანად თვლიდენ. თავისთავად პოლიტიკური ეკონომიის ამა თუ იმ დებულებას არა აქვს მნიშვნელობა. იგი მნიშვნელობას ღებულობს იმ პრაქტიკული დასკვნების მიხედვით, რომელიც მისგან გამომდინარეობს. ჟ. ბ. სეი ედავება რიკარდოს იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს საქონლის **საცვლელ ღირებულებას.** (19) ადვილი შესაძლებელია, რომ ეს—სპეციალისტების

აზრით, დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხი იყოს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რით **უნდა** განისაზღვრებოდეს ღირებულება, ამაზე-კი სპეციალისტები, სამწუხაროდ, არც-კი ფიქრობენ. ვიფიქროთ ჩვენ სპეციალისტთა მაგიერ. ადამიანის ბუნება აშკარად გვეუბნება ამასა და ამას. თუ მას ყურს დავუგდებთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ სპეციალისტების აზრით მნიშვნელოვანი დაევა არსებითად მაინც-დამაინც მნიშვნელოვანი არაა. სეის შესაძლოა დავეთანხმოთ, რადგან მის დებულებათაგან გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც სავსებით ეთანხმება ადამიანის ბუნების მოთხოვნილებას. შესაძლოა რიკარდოსაც დავეთანხმოთ, რადგან მის შეხედულებასაც, სწორად გაგებისა და შევსების შემდეგ, შეუძლია ეს მოთხოვნილებანი უფრო საფუძვლიანი გახადოს. ასე უცერემონიოდ ეჩრება უტოპიური აზრი მეცნიერულ დავაში, რომლის მნიშვნელობა მისთვის გაუგებარი რჩება. ასე სწყვეტდენ მაშინდელი პოლიტიკური ეკონომიის სადავო საკითხებს განათლებული და ბუნებისგან უხვად დაჯილდოებული ხალხი, მაგ., **ანფანტენი** ([20]).

ანფანტენმა საკმაო პოლიტიკურ-ეკონომიური გამოკვლევები დასწერა, რომელიც არ ჩაითვლება სერიოზულ მეცნიერულ ნაშრომებად, მაგრამ რომლის სრულიად უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია, როგორც დღემდე პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმის ისტორიკოსები იქცევიან. ანფანტენის ეკონომიურ ნაშრომებს აქვს თავისი მნიშვნელობა, როგორც სოციალისტური აზროვნების განვითარების ისტორიის საინტერესო ფაზისს. მაგრამ იმას, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ეკონომისტთა დავასთან, ცხადჰყოფს შემდეგი მაგალითი.

ცნობილია, რომ **მალთუსი** ([21]) დაჟინებით, თუმცა, ვაგლახად ილაშქრებდა **რიკარდოს** რენტის წინააღმდეგ. ანფანტენი ფიქრობს, რომ არსებითად ჭეშმარიტება პირველის მხარეზეა და არა მეორესი. მაგრამ ის არ უარჰყოფს არც რიკარდოს თეორიას: იგი ამას საჭიროდ არ სცნობს. მისი აზრით მთელი „მსჯელობა რენტის ბუნებაზე და მესაკუთრის მიერ მუშაკისგან ძითვისებული წილის ნამდვილ შედარებით გადიდებასა თუ შემცირებაზე უნდა გამოხატულიყო ერთი კითხვით: როგორია იმ ურთიერთობათა ბუნება, რომელნიც საზოგადოების სასარგებლოდ უმოქმედო მწარმოებელსა (ასე უწოდებს ანფანტენი მიწისმფლობელს) და აქტიურ მწარმოებელს (ე. ი. ფერმერს) შორის უნდა არსებობდეს? როცა ეს ურთიერთობანი ცნობილი იქნებიან, მაშინ საკმარისი იქნება იმ საშუალების გამორკვევა, რომელიც მიგვიყვანს ასეთ ურთიერთობათა დამყარე-

ბამდე; ამასთანავე საჭირო იქნება მხედველობაში მიეიღოთ საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობაც; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი სხვა კითხვა (ე. ი. გარდა ზემოდ დასმული კითხვისა) იქნებოდა მეორეხარისხოვანი და ხელს შეუშლიდა იმ კომბინაციებს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დასახელებულ საშუალებათა გამოყენებას".[1])

უმთავრესი ამოცანა პოლიტიკური ეკონომიისა, რომლისთვისაც ანფანტენი „**მრეწველობის ფილოსოფიური ისტორიის**" სახელწოდებას ამჯობინებდა, არის როგორც მწარმოებელთა სხვადასხვა ფენის ურთიერთობაზე მითითება, აგრეთვე მითითება მწარმოებელთა მთელი კლასის და სხვა საზოგადოებრივ კლასების ურთიერთობაზე. ეს მითითება უნდა ემყარებოდეს სამრეწველო კლასის ისტორიული განვითარების შესწავლას, ამასთანავე ამ შესწავლას საფუძვლად უნდა ედოს „ახალი გაგება ადამიანთა გვარისა", ე. ი. სხვა სიტყვებით, ადამიანის ბუნებისა.[2])

მალთუსის მიერ რიკარდოს რენტის თეორიის უარყოფასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო უარყოფა კარგად ცნობილის, როგორც ეხლა ამბობენ ჩვენში, ღირებულების შრომითი თეორიისა. ანფანტენს არ ესმის დავის შინაარსი, და ჩქარობს გადაჭრას იგი რიკარდოს რენტის მოძღვრების უტოპიური შევსებით (ან როგორც ეხლა ჩვენში ამბობენ: **შესწორებით**): „თუ კარგად გვესმის ეს თეორია, ამბობს იგი, მაშინ ვფიქრობთ, საჭირო იყო დაგვემატებია, რომ... მუშები ქირას აძლევენ (ე. ი. რენტის სახით) ზოგიერთებს დასვენებისათვის, რომლითაც ისინი (ზოგიერთები) სარგებლობენ, და საწარმოო საშუალებათა სარგებლობის უფლებისათვის".

მუშებად აქ ანფანტენი ჰგულისხმობს აგრეთვე, და უმთავრესადაც-კი, ფერმერ—მესარეწეებს. რასაც იგი ამბობს მათი დამოკიდებულების შესახებ მიწათმფლობელებთან საკუთარი მართალია. მაგრამ მთელი მისი „შესწორება" წარმოადგენს იმ მოვლენის უფრო მკვეთრად გამოხატვას, რომელსაც რიკარდოც მშვენივრად იცნობდა. ამასთანავე ეს მკვეთრი გამოხატვა (ადამ სმითი ხშირად უფრო მკვეთრად გამოთქვამდა) არა თუ სწყვეტს ღირებულებისა და რენტის საკითხს, არამედ ამას სრულიად ანფანტენის მხედველობის გარეთ აყენებს. მაგრამ მისთვის ეს საკითხები არც არსებობდა; მას აინტერესებდა

---

[1]) წერილში «Considerations sur la baisse progressive du loyer des objets mobiliers et immobiliers», «Producteur». ტ. I გვ. 564.

[2]) იხ. განსაკუთრებით წერილი «Considerations sur la progrès de l'econonomie politique», «Producteur» ტომი IV.

მხოლოდ და მხოლოდ მომავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია; ისთვის ნნიშვნელოვანი იყო დაერწმუნებია მკითხველი იმაში, რომ **არ უნდა** არსებობდეს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება. ანფანტენი პირდაპირ ამპობს, რომ ასეთი პრაქტიკული საკითხების გარეშე, მთელი მეცნიერული დავა ღირებულების შესახებ უბრალო სიტყვათა თამაში იქნებოდაო. ეს, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ეკონომიის **სუბიექტური მეთოდია.**

უტოპისტები არსად პირდაპირ არ გვირჩევდენ ამ „მეთოდს". მაგრამ მათ რომ დიდი მიდრეკილება ჰქონდათ მისდამი, ეს სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ ანფანტენი უსაყვედურებდა მალთუსს (!) გადაჭარბებულ **ობიექტივობას.** ამ მწერლის მთავარი ნაკლი თითქოს ობიექტივობა ყოფილიყო! ვინც მალთუსის თხზულებებს იცნობს, მან იცის, რომ „მოსახლეობის კანონის" ავტორი სწორედ **რომ ობიექტივობას** (რომელიც, მაგალითად, რიკარდოს ახასიათებდა) იყო მოკლებული. არ ვიცით, წაუკითხავს თუ არა ანფანტენს მალთუსი (ყველა საბუთი გვაფიქრებინებს, რომ რიკარდოს შეხედულებას, მაგალითად, იგი მხოლოდ იმ ამონაწერებით იცნობდა, რომელიც ფრანგ ეკონომისტებს მოჰყავდათ რიკარდოდან), მაგრამ, კიდეც რომ წაეკითხა, საეჭვოა შესძლებდა თუ არა იგი მის სათანადო შეფასებას და იმის დამტკიცებას, რომ სინამდვილე ეწინააღმდეგება მალთუსს. გატაცებულს ფიქრით იმაზე, რაც უნდა იყოს, ანფანტენს არც დრო ჰქონდა და არც სურვილი გულდასმით ჩაკვირვებოდა იმას, რაც არის. „თქვენ მართალი ხართ,—მზად იყო იგი ეთქვა ყოველი სიკოფანტისთვის,—თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საქმის ვითარება სწორედ ისეა, როგორც თქვენ აღწერთ, მაგრამ თქვენ მეტის მეტად **ობიექტური** ხართ; შეხედეთ საკითხს ჰუმანური თვალსაზრისით და თქვენ დარწმუნდებით, რომ საჭიროა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხელახალი გარდაქმნა". უტოპიური დილეტანტიზმი იძულებულია თეორიულ დათმობაზე წავიდეს ყველასთან, ბურჟუაზიული წყობილების ცოტად თუ ბევრად განსწავლულ დამცველთან. რათა მიჩქმალოს თავის ცნობიერებაში წარმოშობილი თავისი უძლურების შეგნება, უტოპისტი თავს იიმედებს იმით, რომ ჰკიცხავს თავის მოწინააღმდეგეებს ობიექტივობისათვის: ვთქვათ, ეუბნება იგი მათ, თქვენ ჩემზე უფრო სწავლული ხართ, მაგრამ სამაგიეროდ მე უფრო კეთილი ვარო. უტოპისტი არ უარჰყოფს ბურჟუაზიის სწავლულ დამცველთა თეორიებს. ის მხოლოდ „შენიშვნებს" და „შესწორებებს„ უკეთებს მათ. სწორედ ასეთს, სრულიად უტოპიურ დამოკიდებულებას

საზოგადოებრივი მეცნიერებისადმი ამჩნევს დაკვირვებული მკითხველი „სუბიექტურ“ სოციოლოგთა თხზულებების ყოველ გვერდზე. ჩვენ მასზე ქვემოდ კიდევ ბევრს ვილაპარაკებთ. მოვიყვანოთ ჯერ ორი თკალსაჩინო მაგალითი. 1871 წელს გამოქვეყნდა განსვენებული ნ. ზიბერის დისერტაცია: „Теория ценности и капитала Рикардо в связи с позднейшими дополнениями и разъяснениями“. (22) წინასიტყვაობაში ავტორი კეთილ-განწყობილად, მაგრამ მხოლოდ გაკვრით ეხება ბ. ი. ჟუკოვსკის წერილს: „Смитовское направление и позитивизм в экономической науке“ (ეს გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1864 წ. „Современник“-ში). ამ სხვათაშორის გაკეთებული შენიშვნის შესახებ ბ. მიხაილოვსკი ამბობს: „მე სიამოვნებით ვიგონებ, რომ წერილში „О литературной деятельности Ю. Г. Жуковского“ მე საკმართლიანად შევაფასე ჩვენი ეკონომისტის დამსახურება. სწორედ მე აღვნიშნე, რომ ბ. ჟუკოვსკიმ დიდი ხანია გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია დაბრუნება პოლიტიკური ეკონომიის სათავესთან, საიდაც მოიპოვება მეცნიერების ძირითადი საკითხების სწორი გადაჭრისათვის ყველა მასალა, რომელიც სავსებით დაამახინჯა თანამედროვე სასკოლო პოლიტიკურმა ეკონომიამ. მაგრამ მე მაშინაც აღვნიშნე, რომ იმ იდეის პირველად აღიარების პატივი, რომელიც (იდეა) ალბ ნაყოფიერი აღმოჩნდა კარლ მარქსის ხელში, ეკუთვნის რუსულ ლიტერატურაში არა ბ. ჟუკოვსკის, არამედ სხვა მწერალს, ავტორს შემდეგი წერილებისა: „Экономическая деятельность и законодательство“ („Современник“, 1859 წ.) „Капитал и труд“ (1860 წ.), და შენიშვნებისა მოლისადმი და სხვ... (23) ხანგრძლივ მიხედვით განსხვავების გარდა, ამ მწერალსა და ბ. ჟუკოვსკის შორის განსხვავება შესაძლებელია შემდეგნაირად გამოკვეთოთ. თუ, მაგალითად, ბ. ჟუკოვსკი ვრცლად და ნამდვილად მეცნიერულად, რამოდენადმე პედანტურადაც-კი, ამტკიცებს რომ შრომა ღირებულებით იზომება და ყოველი ღირებულება შრომით იქმნებაო, დასახელებული წერილების ავტორი-კი არ უშვებს მხედველობიდან საქმის თეორიულ მხარესაც და ხაზს უსვამს უმთავრესად ლოგიკურ-პრაქტიკულ დასკვნას მისგან: რაკი ყოველი ღირებულება შრომით იწარმოება და იზომება, ამიტომ იგი შრომას უნდა ეკუთვნოდესო“. [1]) არაა, საჭირო პოლიტიკური ეკონომიის დიდი მცოდნე იყო იმის შესატყობად, რომ „მილის თხზულების შენიშვნათა ავტორმა“ სრულიად ვერ გაიგო ღირებულების

---

[1]) ნ. კ. მიხაილოვსკის თხზულებანი, ტ. II, გამ. 2, ს. პეტერბურგი 1889 წ. გვ. 239 –240.

ის თეორია, რომელმაც შემდეგ ეგზომ ბრწყინვალე განვითარება მიიღო მარქსის ხელში. სოციალიზმის ისტორიის ყოველ მცოდნეს ესმის, თუ **რაკომ** ამ ავტორმა, წინაალმდეგ ბ. მიხაილოვსკის რწმენებისა, სწორედ „უყურადღებოდ დატოვა საქმის თეორიული მხარე“ და იწყო ფიქრი იმაზე, თუ რა ნორმის მიხედვით **უნდა** იცვლებოდეს პროდუქტები ერთი-მეორეზე კეთილმოწყობილ საზოგადოებაში. მილის თხზულების შენიშვნათა ავტორი უდგებოდა ეკონომიურ საკითხებს **უტოპისტის** თვალსაზრისით. ეს საესებით ბუნებრივი იყო მის დროს. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ბ. მიხაილოვსკიმ ვერ შესძლო ხელი აეღო ამ თვალსაზრისზე მესამოცდაათე წლებში (ვერც შეძდეგ შესძლო, თორემ ის გაასწორებდა თავის შეცთომას თავის თხზულებათა ახალი გამოცემის დროს), როცა ადვილი იყო უფრო სწორი თვალსაზრისის შეთვისება პოპულიარულ თხზულებათა საშუალებითაც-კი. ბ. მიხაილოვსკიმ ვერ გაიგო ის, თუ რას ამბობდა „შენიშვნათა ავტორი“ ღირებულების შესახებ. ეს იმის გამო მოხდა, რომ **„მან მხედველობიდან გაუშვა საქმის თეორიული მხარე“**, და იგი გაიტაცა **„მისმა ლოღიკურ-პრაქტიკულმა დასკვნამ,“** ე. ი. - იმ მოსაზრებამ, რომ „ყოველგვარი ღირებულება უნდა ეკუთვნოდეს შრომას.“ ჩვენ უკვე ვიცით, რომ პრაქტიკული დასკვნით გატაცება ყოველთვის უარყოფითს გავლენას ახდენდა უტოპისტების თეორიულ მსჯელობაზე. ხოლო თუ რამდენად ძველია ის „დასკვნა“, რომელმაც გზა აუბნია ბ. მიხაილოვსკის, ამას ის გარემოება ცხადჰყოფს, რომ იგი გამოჰყავდათ რიკარდოს ღირებულების თეორიიდან ჯერ კიდევ **მეოცე წლების ინგლისელ უტოპისტებს**. მაგრამ, როგორც უტოპისტს, ბ. მიხაილოვსკის არ აინტერესებს უტოპიათა ისტორიაც-კი.

მეორე მაგალითი. ბ. ვ. ვ.-მა 1882 წელს ასე ახსნა თავისი წიგნის: „Судьбы капитализма в России“-ს გამოსვლა:

„ეს კრებული შედგენილია სხვადასხვა ჟურნალში მოთავსებული წერილებიდან. კრებულის სახით გამოცემის დროს ჩვენ ძვეეცით მას გარეგანი მთლიანობა, რამოდენადმე სხვაგვარად დავალაგეთ მასალა, გამოუშვით განმეორებანი (არა საესებით; იგი საკმაოდაა ვ. ვ.-ის წიგნში). მათი შინაარსი ძველი დარჩა; ახალი ფაქტები და არგუმენტები მოყვანილია ცოტა და თუ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მისი მეორეჯერ გამოცემა გადავსწყვიტეთ, ამას ჩავდივართ ერთად ერთი მიზნით: რათა მთელი არსენალით მკითხველის მსოფლმხედველობაზე ერთდროული თავდასხმის საშუალებით ვაიძულოთ ინტელიგენცია ყურადღება მიაპყროს აღძრულ კითხვას (სურათი: ბ. ვ. ვ. **„მთელი არსენალით“** თავს ესხმის მკითხველის მსოფლმხედველობას, და დამ-

ფრთხალი ინტელიგენცია ქედს იხრის, ყურადღებას აქცევს და სხვ.)' გამოვიწვიოთ კაპიტალიზმისა და ნაროდნიზმის ჩვენი სწავლულნი და ნაფიცი პუბლიტისტები რუსეთის ეკონომიური განვითარების კანონების — ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეების საფუძვლის — შესასწავლად. ამ კანონის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სისტემატიური და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ჩვენში გაბატონებული წარმოდგენა-კი რუსეთის უახლოესი მომავლის განვითარების შესახებ, საეჭვოა კანონის სახელს იმსახურებდეს (**წარმოდგენა კანონის** სახელს იმსახურებდეს?!) და საეჭვოა აგრეთვე, რომ პრაქტიკული მსოფლმხედველობისთვის რაიმე მტკიცე საფუძვლის მიცემა შესძლოს" (წინასიტყვაობა, გვ. 1).

1893 წელს, იგივე ბ. ვ. ვ., რომელმაც მოასწრო გამხდარიყო „ნაფიცი", თუმცა საუბედუროდ ჯერ კიდევ არა „სწავლული" პუბლიცისტი ნაროდნიზმისა, ცორსაა იმ აზრისგან, რომ ეკონომიური განვითარების კანონი შეადგენს „ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის საფუძველს". ეხლა იგი „მთელი არსენალით" თავს ესხმის ასეთი „მსოფლმხედველობის" მქონე ხალხს, ეხლა იგი ფიქრობს, რომ ამ მსოფლმხედველობის მიხედვით ისტორიული პროცესი შედეგის — ადამიანისნაცვლად იქცევა მიზეზად, ადამიანი-კი მის მორჩილ იარაღად;" [1]) ეხლა იგი სოციალურ ურთიერთობას თვლის „ადამიანის სულიერი სამყაროს შედეგად" [2]) და დიდი ეჭვით უყურებს მოძღვრებას საზოგადოებრივ მოვლენათა კანონზომიერების შესახებ, და უპირდაპირებს მას „ისტორიის პროფესორის ნ. ი. კარეევის ისტორიის მეცნიერულ ფილოსოფიას" (გულისხმა ყვენით, წარმართთა, და მორჩილ ყვენით, რამეთუ ჩვენთანა არს თვით ბ. პროფესორი!)[3])

საკვირველი გარდატეხაა! რამ გამოიწვია იგი? აი რამ. 1882 წელს, ბ. ვ. ვ. ეძებდა „რუსეთის ეკონომიური განვითარების **კანონს**" და წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ეს კანონი მისი საკუთარი, ე. ი. ბ. ვ. ვ.-ის „იდეალების" მხოლოდ მეცნიერული გამოხატულება იქნებოდა. იგი დარწმუნებულიც-კი იყო, რომ მან ასეთი „კანონი" იპოვა, სწორედ „კანონი" რუსული კაპიტალიზმის უსიცოცხლობისა. მაგრამ ამის შემდეგ მას თერთმეტი წელი ტყუილა ხომ არ უცხოვრია? მას უნდა ელიარებია, თუმცა არა სხვის გასაგონად, რომ მკვდრად შობილი კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო

---

[1]) Наши направления. С. Петербург. 1893 წ. გვ. 138.

[2]) L. cit., გვ. 9, 13, 140 და მრავალი სხვ.

[3]) იქვე, გვ. 143 და შემდეგ.

ვითარდება. სინამდვილეში-კი კაპიტალიზმის განვითარება „რუსეთის ეკონომიური განვითარების თითქმის უდავო კანონად“ იქცა. და აი, ბ. ვ. ვ. შეეცადა შეებრუნებია თავის „ისტორიის ფილოსოფია“: მან, რომელიც ასე გატაცებით ეძებდა „კანონს“, დაიწყო ლაპარაკი, რომ ასეთი ძებნა დროის უქმად გატარებაა. რუსი უტოპისტი აარაა წინააღმდეგი „კანონს“ დაეყრდნოს; მაგრამ ის მყისვე უარჰყოფს მას ისე, როგორც პეტრე მოციქულმა იესო ქრისტე უარჰყო, თუ-კი „კანონი“ ეწინააღმდეგება იმ „იდეალს,“ რომელიც მან უნდა განამტკიცოს არა მარტო შიშის, არამედ სინდისისთვის. თუმცა ბ. ვ. ვ. არც ეხლა ფიქრობს სამუდამოდ ხელი აიღოს „კანონზე“. „ბუნებრივმა მისწრაფებამ შეხედულებათა სისტემატიზაციისკენ უნდა მიიყვანოს რუსი ინტელიგენცია ეკონომიურ ურთიერთობათა ევოლიუციის დამოუკიდებელი სქემის შემუშავებამდე, რომელიც შეფერება ჩვენი ქვეყნის განვითარების მოთხოვნილებებს და პირობებს; და ასეთი მუშაობა, ეჭვს გარეშეა, შესრულებული იქნება ახლო მომავალში“ („Наши направления,“ გვ. 114). თავისი „დამოუკიდებელი სქემის“ შემუშავების დროს რუსი ინტელიგენცია, ცხადია, იმ საქმით გაერთობა, რომლითაც ერთობოდა ბ. ვ. ვ. „Судьбы капитализма“-ში, როცა იგი „კანონს“ ეძებდა. როცა სქემა ამოჩენილი იქნება— ბ. ვ. ვ. გვეფიცება, რომ ის აღმოჩენილი იქნება სულ ახლო მომავალში—ჩვენი ავტორი სწორედ ისე ზეიმით შეურიგდება კანონზომიერებას, როგორც სახარებაში მოხსენებული მამა თავის უძღებ შვილს. ოხუნჯები! თავისთავად ცხადია, რომ მაშინაც კი, როცა ბ. ვ. ვ. ჯერ კიდევ ეძებდა „კანონს“, მას არ ესმოდა, თუ რა აზრი ექნებოდა ამ სიტყვას საზოგადოებრივ მოვლენათა მიმართ. ის „კანონს“ ისე უყურებდა, როგორც მეოცე წლების უტოპისტები. მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ იგი ფიქრობდა **ერთი ქვეყნის**—რუსეთის—განვითარების კანონი აღმოეჩინა. მაგრამ რად აწერს იგი თავისი აზროვნების მეთოდებს რუს მარქსისტებს? იგი სცდება, თუ-კი ფიქრობს, რომ მარქსისტები საზოგადოებრივ მოვლენათა კანონზომიერების გაგების საქმეში არ წასულან უტოპისტებზე შორს. და რომ იგი ასე ფიქრობს, ამას ნათელჰყოფს მათ (მარქსისტების) წინააღმდეგ წამოყენებული ყველა მისი საბუთი. ასე მარტო იგი როდი ფიქრობს; ასე ფიქრობს თვით „პროფესორი ისტორიისა“, ბ. კარეევი. ასე ფიქრობს „მარქსიზმის“ ყველა მოწინააღმდეგე. ისინი ჯერ მიაწერენ მარქსისტებს უტოპიურ თვალსაზრისს საზოგადოებრივ მოვლენათა კანონზომიერებაზე და შემდეგ

კი აბათილებენ ამ თვალსაზრისს მეტი თუ ნაკლები საეჭვო წარმატებით. სწორედ რომ ქარის წისქვილებთან ბრძოლაა!

აქვე ისტორიის სწავლულ „პროფესორზეც.“ აი როგორ გადმოგვცემს იგი სუბიექტურ თვალსაზრისს კაცობრიობის განვითარების ისტორიაზე: „თუ ისტორიის ფილოსოფიაში ჩვენ პროგრესის საკითხი გვაინტერესებს, ამით გარკვეულია მეცნიერების არსებითი შინაარსი, მისი ფაქტები და ამ უკანასკნელთა დაჯგუფება. მაგრამ ფაქტების არც გამოგონება შეიძლება და მათ შორის არც გამოგონილი კავშირის გაბმა (მაშასადამე, არც არჩევაში და არც დაჯგუფებაში არ უნდა იყოს რაიმე თვითნებითი? მაშასადამე, დაჯგუფება სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ობიექტურ სინამდვილეს? აჰა! ყური უგდეთ!), და ისტორიის მსვლელობის სურათი განსაზღვრული თვალსაზრისით ობიექტური იქნება, მისი გადმოცემის სისწორის აზრით. აქ თავს იჩენს სხვა გვარი სუბიექტივიზმი: შემოქმედებითს სინთეზს შეუძლია შექმნას ნორმათა მთელი იდეალური ქვეყანა, ის, რაც უნდა იყოს, ქვეყანა ჰეშმარიტისა და სამართლიანის, რომელთანაც შედარებული უნდა იქნეს ნამდვილი ისტორია, ე. ი. მისი მსვლელობის ობიექტური სურათი, დახატული ერთგვარი წესით, კაცობრიობის ცხოვრების არსებითი ცვლილებების თვალსაზრისით. ამ შედარების საფუძველზე წარმოიშობა ისტორიული პროცესის შეფასება, რომელიც, მიუხედავად ამისა, არ უნდა იყოს თვითნებითი. საჭიროა დავამტკიცოთ, რომ დაჯგუფებული ფაქტები, ისე როგორც ისინი ჩვენ მოცემული გვაქვს, მართლაც იმ მნიშვნელობის მქონეა, რასაც ჩვენ მათ მას შემდეგ მივაწერთ, რაც ჩვენ გარკვეულ თვალსაზრისს და შეფასების გარკვეულ საზომს მივიღებთ“.

შჩედრინის „დამსახურებული მოსკოველი პროფესორი“ ობიექტივობით კვეხნის დროს ამბობს: ჩემთვის სულერთია, იაროსლავმა დაამარცხა იზიასლავი, თუ იზიასლავმა იაროსლავიო. ბ. კარეევი, რომელმაც შექმნა „ნორმათა მთელი იდეალური ქვეყანა, ის, რაც უნდა იყოს, ქვეყანა ჰეშმარიტისა და სამართლიანის“, მოკლებულია ასეთს ობიექტივობას. ვთქვათ, ის თანაუგრძნობს იაროსლავს, თუმცა იგი თავს ნებას არ მისცემს მისი დამარცხება გამარჯვების სახით დაგვიხატოს („ფაქტების გამოგონება შეუძლებელია “), მაგრამ იგი ძვირფას უფლებას იტოვებს დაღვაროს ცრემლი იაროსლავის მწარე ბედის გამო, და არ შეუძლია წყევლა-კრულვა არ გაუგზავნოს იაროსლავის დამმარცხებელს, იზიასლავს. ძნელია **ასეთი** „სუბიექტივიზმის“ წინააღმდეგ რისამე თქმა. მაგრამ ამაოდ ცდილობს ბ. კარეევი დაგვიხატოს იგი ასეთი უფერული და ამიტომაც უვნებელი სახით. დახა-

ტო იგი ასე, ნიშნავს ვერ გაიგო მისი ჰეშმარიტი ბუნება, ჩააღრჩო იგი სანტიმენტალური ფრაზეოლოგიის ზორევში. ნამდვილად-კი **სუბიექტურ** მოაზროვნეთა დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ „ის რაც უნდა იყოს," ქვეყანა „ჰეშმარიტისა" და „სამართლიანის", მათი აზრით, ისტორიული განვითარების ობიექტურ ბილეკლობასთან ყოველგვარი კავშირის გარეშეა: აქ—„**ის, რაც უნდა იყოს**", იქ—„**ნამდვილი**", და ეს ორი სფერო დაშორებულია ერთი-მეორისგან მთელი უფსკრულით, იმ უფსკრულით, რომელიც, დუალისტების აზრით, მატერიალურსა და სულიერ ქვეყანას ერთი-მეორეს აცილებს. სხვათაშორის, მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი მეცნიერების ამოცანა ის იყო, რათა ხიდი გადებულიყო ამ ვითომდაც უფსკრულზე. სანამ ამ ხიდს არ გავდებთ, მანამდე აუცილებლად იძულებული ვიქნებით თვალი ავარიდოთ **სინამდვილეს** და მთელი ყურადღება მივაპყროთ იმას „რაც უნდა იყოს" (როგორც სენ-სიმონისტები იქცევოდენ), რაც, თავისთავად ცხადია, დააგვიანებს ამ უკანასკნელის განხორციელებას, რადგანაც გაძნელდება მასზე სწორი თვალსაზრისის შემუშავება.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ რესტავრაციის დროის ისტორიკოსები, წინააღმდეგ XVIII საუკუნის განმანათლებლებისა ყოველი ქვეყნის პოლიტიკურ დაწესებულებებს განიხილავდენ, როგორც მისი სამოქალაქო ყოფა-ცხოვრების შედეგს. ეს ახალი თვალსაზრისი მაშინ ისე გავრცელდა და გაძლიერდა, რომ იგი პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს უცნაურს, დღის უკვე წარმოუდგენელ უკიდურესობამდე მიდიოდა. მაგალითად, ჟ. ბ. სეი ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური საკითხები არ უნდა აინტერესებდეს ეკონომისტს, რადგანაც სახალხო მეურნეობა ერთნაირი წარმატებით ვითარდება ერთი-მეორის დიამეტრულად საწინააღმდეგო პოლიტიკური წესწყობილების დროსაც. სეის ამ აზრს სენ-სიმონი ქებით იხსენიებს, თუნცა მასში რამოდენადმე უფრო ღრმა შინაარს სდებს. ზოგის გამოკლებით XIX საუკუნის ყველა უტოპისტი იზიარებს ასეთ თვალსაზრისს „პოლიტიკაზე."

თეორიულად ეს თვალსაზრისი შემცდარია ორის მხრით. ჯერ ერთი, ამ თვალსაზრისზე ბდგომ ხალხს ავიწყდებოდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისე, როგორც ყოველგან, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს **პროცესთან** და არა ცალკე მოვლენასთან, შედეგი თავისი მხრით ხდება მიზეზი, ბიზეზი იქცევა შედეგად. მოკლედ, ისინი ხელს იღებდენ სწორედ **ურთიერთი ზემოქმედების** იმ თვალსაზრისზე, რომლითაც სხვა შემთხვევებში სრულიად უმართებოლოდ კმაყოფილდე-

ბოდენ თავის ანალიზის დროს. მეორე —თუ **პოლიტიკური** ურთიერთობა **სოციალურ** ურთიერთობათა შედეგს წარმოადგენს, მაშინ გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება ერთი-მეორის სრულიად საწინააღმდეგო შედეგები (დიამეტრულად საწინააღმდეგო ხასიათის პოლიტიკური დაწესებულებანი) გამოწვეულ იქნეს ერთი და იმავე მიზეზით: ,,სიმდიდრის'' ერთნაირი მდგომარეობით. ცხადია, რომ აქ თვით წარმოდგენა ქვეყნის პოლიტიკურ დაწესებულებებსა და მის ეკონომიურ მდგომარეობას შორის მიზეზობრივ კავშირზე ჯერ კიდევ მეტის-მეტად ბუნდოვანი რჩება. და მართლაც, არაა ძნელი იმის ცხადყოფა, თუ როგორ ბუნდოვანად ესმის იგი ყველა უტოპისტს.

პრაქტიკულად ეს ბუნდოვანება იწვევდა ორნაირ შედეგს. ერთის მხრით, უტოპისტები, ასე ბევრს რომ ლაპარაკობდენ **შრომის ორგანიზაციაზე**, მზად იყვენ საჭირო შემთხვევაში გაემეორებიათ XVIII საუკუნის ძველი დევიზი ,,lesser faire, lesser passer.'' (21) მაგალითად, სენ-სიმონი, რომელიც XIX საუკუნის უდიდეს ამოცანას მრეწველობის ორგანიზაციაში ხედავდა, ამბობდა: ,,l'industrie a besoin d'être gouvernée le moins possible'' (მრეწველობა საჭიროებს რაც შეიძლება ნაკლებ მართველობას[1]). მეორეს მხრით, უტოპისტები—ზოგიერთთა გამოკლებით, რომელნიც უგვიანეს ხანას ეკუთვნიან—სრულიად გულგრილად უცქერდენ მიმდინარე პოლიტიკას, ყოველდღიურ პოლიტიკურ საკითხებს.

პოლიტიკური წყობილება შედეგია და არა მიზეზი. შედეგი ყოველთვის შედეგია და არასოდეს არ იქცევა თავისი მხრით მიზეზად. აქიდან თითქმის უშუალოდ გამომდინარეობს დასკვნა: ,,პოლიტიკა არ გამოდგება საზოგადოებრივ-ეკონომიური „იდეალების" განხორციელების იარაღად. ამიტომ გასაგებია უტოპისტის ფსიქიოლოგია, რომელიც ზურგს აქცევს პოლიტიკას. მაშ რაზე ამყარებდენ ისინი საზოგადოებრივი გარდაქმნის გეგმის განხორციელების იმედს? რა ედვა საფუძვლად მათი გეგმების პრაქტიკულად განხორციელების იმედს? **ყველაფერი და არაფერიც. ყველაფერი**—იმ აზრით, რომ ისინი განურჩევლად ელოდენ დახმარებას სხვადასხვა, სრულიად ერთი-მეორის საწინააღმდეგო მხრიდან. **არაფერი**—იმ აზრით, რომ ყველა მათი იმედი სრულიად ,,უსაფუძვლო იყო.

---

[1]) XVIII საუკუნის განმანათლებელნი სწორედ ,,მგვარად ეწინააღმდეგებოდენ თავის თავს, თუმცა მათი წინააღმდეგობა სხვამხრით მხილდებოდა. ისინი იცავდენ სახელმწიფოს ჩაურევლობას, მაგრამ მაინც ხან-გამოშვებით კანონმდეველისგან მოითხოვდენ დაწვრილებითს რეგლამენტაციას. არც განმანათლებლებს ბსმოდათ ნათლად „პოლიტიკის'' (რომელსაც ისინი მ ი ზ ე ზ ა დ თვლიდენ), კავშირი შეურნეობასთან (რომელიც მათ შ ე დ ე გ ა დ მიაჩნდათ.)

უტოპისტებს წარმოდგენილი ჰქონდათ თავი უაღრეს პრაქტიკულ ხალხად. მათ ეჯავრებოდათ „დოქტრინერები“ და ყველა მათი მყვირალა პრინციპები უყოყმანოდ მსხვერპლად მიჰქონდათ თავისი idées fixes-ისთვის. ისინი არ იყვენ არც ლიბერალები, არც კონსერვატორები, არც მონარქისტები და არც რესპუბლიკანელები. ისინი მზად იყვენ შეთანხმებოდენ როგორც ლიბერალებს, ისე კონსერვატორებს, მონარქისტებს, რესპუბლიკანელებს, ოღონდ განეხორციელებიათ თავისი „**პრაქტიკული**“ და, როგორც მათ ეგონათ, მეტის-მეტად **პრაქტიკული** გეგმები. ძველი უტოპისტებისგან ყველაზე უფრო შესანიშნავია ამ მხრით ფურიე. იგი, როგორც გოგოლის კოსტანჟოგლო, ცდილობდა ყოველი ნაგავი საქმეში გამოეყენებია. იგი ხან მევახშეებს ხიბლავდა უზომო პროცენტების პერსპექტივით, რომელსაც თითქოს ისინი მიიღებდენ თავისი კაპიტალებიდან მომავალ საზოგადოებაში; ხან ნესვებისა და ხაჩიპორას მოყვარულთ მიმართავდა და აჯადოვებდა მათ მომავლის შესანიშნავი ნესვით, ხან ლუი ფილიპეს არწმუნებდა, რომ ორლეანის დინასტიის პრინცესებს, რომელთაც ეხლა ყურადღებას არ აქცევენ ჭეშმარიტი პრინცები, მოსვენება არ ექნებათ საქმროებისგან ახალი წესწყობილების დროსო. იგი ყოველ ხავსს ეკიდებოდა. მაგრამ სრულიად ამაოდ! არც მევახშეები, არც ნესვის მოყვარულნი, არც „კოროლი—მოქალაქე“, როგორც იტყვიან, ყურს არ აპარტყუნებდენ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ფურიეს, ერთის შეხედვით, სრულიად დამარწმუნებელ დაპირებებს. მისი პრაქტიკულობა აღმოჩნდა წინასწარ განწირული,—უიმედო ძებნა **ბედნიერი შემთხვევისა.**

ბედნიერ შემთხვევას გულმოდგინეთ ეძებდენ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის განმანათლებელნი. სწორედ ასეთი ბედნიერი შემთხვევის იმედით ცდილობდენ ისინი ყოველგვარი საშუალებით დაეპირათ მეგობრული კავშირი მაშინდელ ცოტად თუ ბევრად განათლებულ „კანონმდებლებთან“ და არისტოკრატებთან. ჩვეულებრივად საქმე ასე აქვთ წარმოდგენილი: რაკი ადამიანმა შეიგნო, რომ შეხედულება მართავს ქვეყანასო, მას არავითარი საბუთი არა აქვს უიმედოდ უყუროს მომავალს: la raison finira pas avoir raison. მაგრამ ეს ასე არაა. როდის, რა გზით გაიმარჯვებს გონება? განმანათლებელნი ამბობდენ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაფერი ბოლოს და ბოლოს „კანონმდებელზეა“ დამოკიდებულიო. ამიტომ იყო, რომ ისინი ცდილობდენ შეერჩიათ კანონმდებლები. მაგრამ ამავე განმანათლებლებმა ძალიან კარგად იცოდენ, რომ ადამიანის ხასიათი და შეხედულებები დამოკიდებულია აღზრდაზე და რომ,

საზოგადოდ, აღზრდა არ ამუშავებს „კანონმდებლებში“ განმანათ-ლებელი იდეების შეთვისების უნარს. ამიტომ შეუძლებელია მათ ვერ შეეგნოთ, რომ კანონმდებლები ამ მხრით ნაკლებად საიმედონი იყვენ. მათ ერთი გზა დარჩენოდათ: იმედი ბედნიერ შემთხვევაზე დაემყარებიათ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უზარმაზარი ყუთი გაქვთ, რომელშიც არის მრავალი შავი და ორი-სამი თეთრი ბურთი. თქვენ იღებთ თანდათან ბურთებს. ყოველ ცალკე შემთხვევაში თქვენ გაცილებით ნაკლები შანსი გაქვთ ამოიღოთ თეთრი, ვიდრე შავი ბურთი, მაგრამ ოპერაციის მრავალჯერ განმეორების შემდეგ თქვენ ბოლოს თეთრიც ამოგაქვთ. იგივე შეიძლება ითქვას „კანონმდებელ-ზეც“. ყოველ ცალკე შემთხვევაში გაცილებით უთუოა, რომ კანონ-მდებელი წინააღმდეგი იქ'ება „ფილოსოფოსების“, მაგრამ გამოჩნ-დება ბოლოს „ფილოსოფოსთა“ დამჯერი კანონმდებელიც. ეს უკა-ნასკნელი ყველაფერ იმას გააკეთებს, რასაც გონება მოითხოვს. ასე, **სიტყვა-სიტყვით** ასე მსჯელობდა ჰელვეციუსი.[1] **სუბიექტურ-იდეა-ლისტური თვალსაზრისი ისტორიაზე** („შეხედულებანი მართაევენ ქვეყანას“), **რომელიც ერთი შეხედვით ასე დიდ ადგილს უთმობდა ადამიანის თავისუფლებას, სინამდვილეში ეს შემთხვევითობის ხათამაშო ნივთად აქცევდა.** აი რატომ არის, რომ ეს თვალსაზრი-სი **არსებითად ძალიან უნუგეშოა.**

მაგალითად, ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ თვალსაზრისს, რო-მელიც XIX საუკუნის დასასრულის უტოპისტების, ე. ი. რუსი ნაროდნიკებისა და სუბიექტური სოციოლოგების თვალსაზრისზე უფრო უნუგეშო იყოს. თითოეულ მათგანს მზად აქვს თემის და მას-თან ერთად საზოგადოდ გლეხობის დაღუპვისგან გადარჩენის მზა-მზარეული გეგმა, თითოეულ მათგანს „პროგრესის თავისი ფორმულა“ აქვს. მაგრამ ამაოდ! ცხოვრება თავის გზით მიდის და არავითარ ყურა-დღებას არ აქცევს მათ ფორმულებს, რომელთაც სხვა არაფერი რჩებათ, თუ არა განაგრძონ ცხოვრებისგან დამოუკიდებელი თავისი გზა, აბს-ტრაქციის, ფანტაზიის და ლოღიკურ ავბედის სფეროში. აი, მაგალი-თად, მოვუსმინოთ სუბიექტური სკოლის აქილესს, ბ. მიხაილოვსკის.

„ევროპაში მუშათა საკითხი არის რევოლიუციონური საკითხი, იგი მოითხოვს შრომის პირობების (?) **გადასვლას** მუშის ხელში, ეხლანდელ მესაკუთრეების ექსპროპრიაციას. მუშათა საკითხი რუ-სეთში კონსერვატიული საკითხია, რადგან იქ საჭიროა მუშის ხელში

[1] „Dans un temps plus ou moins long il faut disent les sages, que toutes les possibilités se réalisent pourquoi desesperer du bonheur futur de l'humanité?“ და სხვ.

შრომის პირობების მხოლოდ **შენარჩუნება**, დღევანდელი მესაკუთრეებისთვის მათი საკუთრების გარანტია. ჩვენში, იქვე პეტერბურგთან, ფაბრიკებით, ქარხნებით, ბაღებით და აგარაკებით მოფენილ ადგილში მდებარეობს სოფლები, რომლის მცხოვრებნიც **თავის** საკუთარ მიწაზე ცხოვრობენ, წვავენ **თავის** ტყეს, სჭამენ **თავის** პურს, იცმევენ **თავისი** ცხვრის მატყლიდან თავისი ხელით დამზადებულ „არმიაკსა" და ქურქს. უზრუნველჰყავით ისინი მტკიცედ ყველაფერი ამით და რუსული მუშათა საკითხიც გადაიჭრება. ამ მიზანს შეიძლება ყველაფერი შევსწიროთ თუ სწორად გავიგებთ სიტყვა უზრუნველყოფას. გვეტყვიან: შეუძლებელია მუდამ სახნისი და სამ-მინდვროვანი სისტემა, „არმიაკების" და ქურქის დამზადების პრიმიტიული წესი დავტოვოთო. შეუძლებელია. ამ სიძნელისგან თავის დასახწევად არის ორი გზა. ერთი,რომელსაც ამართლებს პრაქტიკული თვალსაზრისი, ძალიან მარტივი და მოხერხებულია: ასწიეთ ტარიფი დაარღვიეთ თემი—და თითქმის საკმარისია –მრეწველობა მსგავსად ინგლისურისა აღმოცენდება როგორც სოკო. მაგრამ იგი ჩაყლაპავს მუშას, საკუთრებას ჩამოართმევს მას. არის მეორე გზაც, რასაკვირველია, გაცილებით ძნელი—მაგრამ საკითხის ადვილად გადაჭრა ჯერ კიდევ არ მოწმობს მის სწორად გადაჭრას. მეორე გზა მდგომარეობს შრომისა და საკუთრების იმ ურთიერთობის განვითარებაში, რომელიც არსებობს ეხლა ჩვენ თვალწინ. მაგრამ მეტის-მეტი ტლანქი და პირვანდელი სახით. გასაგებია, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია სახელმწიფოს ფართო ჩარევის გარეშე, რომლის პირველი აქტი უნდა იქნეს თემის კანონმდებლობითი განმტკიცება.[1])

ამ წუთისოფლად
ჩვენ გულისყოფას
ორი აქვს გზა.
ასწონე ნება
და ძლიერება—
შენი ბილიკით
დაიწყე სვლა.*)

ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი ავტორის მთელს მსჯელობას ნესვის და ხაჟიპორას სუნი უდის. ძალიან საეჭვოა, რომ ყნოსვა გვლალატობდეს. რაში ცთებოდა ფურიე ნესვებსა და ხაჟიპორაზე მსჯელობის დროს? იმაში რომ, რომ იგი „სუბიექტურ სოციოლოგიას"

---

[1]) ნ. მიხაილოვსკის თხზულებანი, ტ. II-ე გამოცემა 2-ე, გვ. 102—103.

*) ეს ადგილი თარგმნა მ. პატარიძემ. მთარგმნელის შენიშვნა

მიმართავდა. ობიექტური სოციოლოგი შეეკითხებოდა თავს: არის თუ არა რაიმე ალბათობა იმისა, რომ ჩემ მიერ დახატული სურათი მიიზიდავს ნესვისა და ხაჭიპორას მოყვარულთ? იგი შეეკითხებოდა თავს: შესწევთ თუ არა ძალა ნესვისა და ხაჭიპორას მოყვარულთ შესცვალონ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა და მისი განვითარების მსვლელობა? ყველაზე სწორი იქნება—ვიფიქროთ, რომ იგი ყველა ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებდა და არ დაკარგავდა დროს ნესვის და ხაჭიპორას „მოყვარულთან" ბაასისთვის. მაგრამ ასე მოიქცეოდა **ობიექტური** სოციოლოგი, ე. ი. ის კაცი, რომელიც მთელ იმედს საზოგადოებრივი განვითარების არსებულ კანონზომიერ მსვლელობაზე ამყარებს. სუბიექტური სოციოლოგი-კი აძლევებს **კანონზომიერებას „სასურველის"** გულისთვის, ამიტომ მას სხვა გზა არ რჩება, თუ არა შემთხვევითობის იმედი იქონიოს. შესაძლოა ილბლად ჯოხიდანაც გაისროლო—აი ის ერთად ერთი სანუგეშო მოსაზრება, რომელსაც ეყრნდობა კარგი სუბიექტური სოციოლოგი."

მაგრამ ჯოხს ხომ ორი ბოლო აქვს და არ ვიცით რომლით ისვრის. ჩვენმა ნაროდნიკებმა და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სუბიექტივისტებმა მრავალზე—უმრავლესი ასეთი ჯოხი შინჯეს (თემური მიწათმფლობელობის დროს ნ. რჩენი ხარკის აკრეფის მოხერხებულების შესახებ მოსაზრებაც-კი მათთვის ზოგჯერ მაგიურ ჯოხს წარმოადგენდა). დიდ უმრავლეს შემთხვევაში ჯოხი უვარგისი აღმოჩნდა თოფის როლში, და თუ იყო შემთხვევა, როცა ისროდა, ტყვია მაინც თვით ბ. ბ. ნაროდნიკებსა და სუბიექტივისტებს ხვდებოდა. გავიხსენოთ საგლეხო ბანკი. რა იმედებს ამყარებდენ მასზე ისინი თემის განმტკიცების საქმეში? როგორ ზეიმობდენ ბ. ბ. ნაროდნიკები მისი გახსნის დროს, და რა გამოვიდა? ჯოხიდან გასროლილი ტყვია თვით ზეიმის მონაწილეებს მოხვდა: ეხლა თითონ ისინიც აღიარებენ, რომ საგლეხო ბანკი ყოველ შემთხვევაში მეტად სასარგებლო დაწესებულებაა—მხოლოდ არღვევს თემსო; მაგრამ ამ აღიარებით ზეიმის მონაწილენი გამოტყდენ იმაში, რომ ისინი, რამდენიმე დროის განმავლობაში მაინც, უქმად მოლაყბენი იყვენ.

— მაგრამ ბანკი მხოლოდ იმიტომ არღვევს თემს, რომ წესდება და პრაქტიკა არ შეეფერება ჩვენ იდეას მთლიანად. ჩვენი იდეა რომ მთლიანად განხორციელებულიყო, მაშინ შედეგს სულ სხვას მივიღებდით...

— ჯერ ერთი, სულ სხვა შედეგს ვერ მივიღებდით: ბანკი ყოველ შემთხვევაში ხელს შეუწყობდა ფულადი მეურნეობის განვითარებას, ფულადი მეურნეობა-კი აუცილებლად დაარღვევდა თემს. მეორე,

როცა გვესმის ეს დაუსრულებელი ,,რომ'', ჩვენ რატომ-ღაც გვგონია, რომ ჩვენი ფანჯრის ახლო ხილის დამტარებელი გაიძახის: აბა კარგი ნესვი, აბა კარგი ნესვი!

უკვე ჩვენი საუკუნის მეოცე წლებში ფრანგი უტოპისტები გამუდმებით აღნიშნავდენ მათ მიერ გამოგონილი რეფორმების ,,კონსერვატიულ" ხასიათს. სენ-სიმონი აშინებდა პირდაპირ მთავრობასაც და, როგორც ჩვენში იტყვიან, საზოგადოებასაც სახალხო აჯანყებით, რომელიც მაშინ ,,კონსერვატორების'' ცნობიერებაში უნდა დახატულიყო როგორც საშინელი, მეხსიერებაში ჯერ კიდევ წარუშლელი მოძრაობა **სანკიულოტებისა**. მაგრამ ამ დაფრთხობამ, თავისთავად ცხადია, ვერავითარი შედეგი ვერ მოიტანა და თუ ისტორია რაიმე **გაკვეთილს** გვაძლევს, ყველაზე უფრო საგულისხმოა ის, რომელიც ამჟღავნებს ყველა თითქოს პრაქტიკული უტოპისტების გეგმების სრულ უპრაქტიკობას.

როცა უტოპისტები თავისი გეგმების კონსერვატიულ ხასიათს აღნიშნავდენ და მთავრობას მისი განხორციელებისკენ მოუწოდებდენ, მათ თავისი აზრის დასამტკიცებლად ჩვეულებრივად მოჰყავდათ თავისი ქვეყნის ისტორიული განვითარების მიმოხილვა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ეპოქის განმავლობაში, მიმოხილვა, საიდანაც ჩანდა, რომ ამა და ამ დროს დაშვებული იყო ,,შეცთომები'', რომლებმაც სრულიად ახალი და არასასურველი სახე მისცეს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას. საკმარისი იყო მთავრობას მხოლოდ შეეგნო და გაესწორებია ეს ,,შეცთომები'', რათა დაუყონებლივ დაემკვიდრებია ამ ქვეყნად თითქმის სამოთხე.

მაგალითად, სენ-სიმონი არწმუნებდა ბურბონებს, რომ რევოლიუციამდე საფრანგეთის შინაგანი განვითარების დამახასიათებელი ნიშანი მონარქიის და მრეწველობის კავშირი იყოო. ეს კავშირი ორივე მხრისათვის სასარგებლო იყო. რევოლიუციის დროს მთავრობა **გაუგებრობის გამო** მრეწველთა კანონიერი მოთხოვნილებების წინააღმდეგ წავიდა, მრეწველნიც **ახეთივე საკვალალო გაუგებრობით** მონარქიას აღუდგენ. აქედან გამომდინარეობს შემდგომი დროის მთელი სიდუხჭირე. მაგრამ ეხლა, როცა ბოროტების ფესვი გაშიშვლებულია, საქმე სულ ადვილად გამოსასწორებელია, რადგან ამისთვის საკმარისია მხოლოდ მრეწველები გარკვეული პირობით შეუერიგდენ მთავრობას. სწორედ ეს იქნებოდა ორივე მხრისათვის ყველაზე უფრო გონიერული, **კონსერვატიული** გამოსავალი უთვალავი სიძნელისაგან. ზედმეტია ლაპარაკი ეხლა იმაზე, რომ არც ბურბონები და არც მრეწველები არ გაჰყოლიან სენ-სიმონის კეთილ რჩევას.

„იმის მაგიერ, რომ მტკიცედ დავიცვათ ჩვენი საუკუნეებრივი ტრადიციები; იმის მაგიერ, რომ განვავითაროთ საწარმოო საშუალებათა და დამოუკიდებელ მწარმოებელთა ურთიერთი კავშირის ჩვენ მიერ მემკვიდრეობად მიღებული პრინციპები; იმის მაგიერ, რათა ვისარგებლოთ დასავლეთ-ევროპის მეცნიერების მონაპოვრით და გამოვიყენოთ იგი იმ მრეწველობის ფორმის განსავითარებლად, რომლის საფუძველია გლეხების მიერ საწარმოო იარაღის მფლობელობა; იმის მაგიერ, რომ მისი შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ საწარმოო საშუალებათა მის ხელში თავმოყრით; იმის მაგიერ, რათა ვისარგებლოთ ევროპაში არსებული წარმოების არა ფორმით, არამედ მისი ორგანიზაციით... ყველა ამის მაგიერ ჩვენ დავადექით სრულიად საწინააღმდეგო გზას. ჩვენ არა თუ ხელი შეუშალეთ წარმოების კაპიტალისტური ფორმის განვითარებას, მიუხედავად იმისა რომ იგი დამყარებულია გლეხობის ექსპროპრიაციაზე, არამედ პირიქით, ყოველი ღონით შევეცადეთ ხელი შეგვეწყო მთელი ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ძირეული რღვევისთვის, რომელმაც ბოლოს, 1891 წლის შიმშილამდე მიგვიყვანა“ [1]). ასე ნაღვლობს ბ. ნ-ონი ([2]) და ურჩევს „საზოგადოებას“ გაასწოროს შეცთომა „მეტად ძნელის“, მაგრამ მაინც არა „გადაუჭრელი“ ამოცანის გარდაწყვეტით: „მოსახლეობის საწარმოო ძალთა ისეთი ფორმით განვითარება, რომ იმით სარგებლობა შესძლოს არა უმნიშვნელო უმცირესობამ, არამედ მთელმა ხალხმა“[2]). მთელი საქმე შეცთომის გასწორებაია.

საინტერესოა, რომ ბ. ნ. ნ-ონ-ს ჰგონია თითქოს თითონ სრულიად თავისუფალი იყოს ყოველგვარი უტოპიისგან. იგი წამ და უწუმ იმოწმებს ხალხს, რომელსაც ეკუთვნის უტოპიური სოციალიზმის მეცნიერული კრიტიკა. მთელი საქმე ქვეყნის ეკონომიაა, იმეორებს იგი ამ ხალხთან ერთად წარა-მარა, ყველა სიდუხჭირე აქიდან წარმოსდგება: ამიტომ სიდუხჭირის მოსასპობი საშუალება, მას შემდეგ, რაც იგი (სიდუხჭირე) ნაპოვნია უნდა მდგომარეობდეს სწორედ თვით წარმოების პირობების შეცვლაში.“ ამის ნათელსაყოფად იგი კვლავ იმოწმებს უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთ კრიტიკოსს: „ეს საშუალებანი უნდა იქნეს არა გამოგონილი, არამედ აღმოჩენილი აზრის მეოხებით, წარმოების არსებულ მატერიალურ საშუალებებში.“

---

[1]) Николай—он. „Очерки нашего пореформенного общественного хозяйства“, С.—Петербург, 1893 г. გვ. გვ. 322—323.

[2]) იქვე, გვ. 343.

მაგრამ რაში მდგომარეობს „წარმოების ის მატერიალური პირობები, **რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებას გადაჭრას ან ყოველ შემთხვევაში, წამოაყენოს მაინც ის ამოცანა, რომელსაც მას ბ. ნ-ონი შესთავაზებს?** ეს საიდუმლოდ რჩება არა მარტო მკითხველებისთვის, არამედ თვით ავტორისათვისაც, რომელმაც თავისი „ამოცანით“ დამარწმუნებლად ცხადჰყო, რომ თავის **ისტორიულ** შეხედულებებში იგი წმინდა წყლის უტოპისტია, მიუხედავად სრულიად არაუტოპიური მწერლების დამოწმებისა.[1])

განა შეიძლება ითქვას, რომ ფურიეს გეგმები ეწინააღმდეგებოდა მაშინდელი წარმოების „მატერიალურ პირობებს“? არა, არა თუ ეწინააღმდეგებოდა, არამედ საესებით ემყარებოდა ამ პირობებს ყველა თავის ნაკლოვანებაც-კი. მაგრამ ამან ხელი ვერ შეეშალა ფურიეს უტოპისტობას, რადგანაც (მას შემდეგ, რაც მან თავისი გეგმები აზრის მეშვეობით მისი დროის წარმოების მატერიალურ პირობებს დაამყარა) **მან თავისი გეგმების განხორციელება წარმოების მატერიალურ პირობებს ვერ დაუკავშირა და ამიტომ სრულიად უსაფუძვლოდ თავს აბეზრებდა თავისი „დიადი ამოცანით“ ისეთ საზოგადოებრივ ფენებსა და კლასებს, რომელთაც იმავე მატერიალური პირობების გამო არ შეეძლოთ სურვილი ჰქონოდათ მისი გადაჭრისათვის ებრძოლათ და არც ამის შესაძლებლობა გააჩნდათ.** ბ. ნ-ონი ისევე ცოდვილია ამ მხრით, როგორც ფურიე ან მისთვის საძულველი როდბერტუსი: უფრო-კი იგი სწორედ როდბერტუსს გვაგონებს, რადგა-

---

[1]) შესაბამად ამისა ბ. ნ-ონის პრაქტიკული გეგმებიც წარმოადგენს იმ „მოთხოვნილებათა“ სიტყვა-სიტყვით განმეორებას, რომელსაც დიდი ხანია უკვე და, თავისთავად ცხადია, სრულიად უნაყოფოდ აყენებდენ ჩვენი **უტოპისტ-ნაროდნიკები**, მაგალითად, ბ. პრუგავინის სახით. „საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საქმიანობის (როგორც ხედავთ აქ არ ერის დავიწყებული არც სახელმწიფო და არც საზოგადოება) საბოლოო მიზანსა და ამოცანას საფაბრიკო მეურნეობის დარგში უნდა წარმოადგენდეს: ერთის მხრით—შრომის ყველა იარაღის შესყიდვა სახელმწიფოს სასარგებლოდ და მათი გადაცემა ხალხზე დროებითი საიჯარო სარგებლობისთვის; მეორეს მხრით—წარმოების პირობების ისეთი ორგანიზაციის შემოღება (ბ. პრუგავინს სურს თქვას უბრალოდ: „წარმოების“, მაგრამ ყველა რუს მწერალთა ჩვეულებისამებრ ბ. მიხაილოვსკის მეთაურობით, იგი ხმარობს გამოთქმას—„წარმოების **პ ი რ ო ბ ე ბ ი**“, მაგრამ არ ესმის მისი მნიშვნელობა), რომელიც დაემყარებოდა ხალხისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებებს და არა ბაზრის, კონკურენციისა და რეალიზაციის ინტერესებს, რასაც ადგილი აქვს ქვეყნის ეკონომიურ ძალთა სასაკონლო—კაპიტალისტური ორგანიზაციის დროს. „(В. С. Пругавин, Кустарь на выставке“. Москва. 1882 წ. გვ. 15) შეადაროს მკითხველმა ეს ადგილი ჩვენ მიერ ზემოდ ამონაწერს ბ. ნ-ონის წიგნიდან.

ნაც ბ. ნ-ონის მიერ მრავალსაუკუნეებრივი საფუძვლების დამოწმება სწორედ ამ კონსერვატიული მწერლის მოძღვრების ხასიათს შეეფერება. ([26])

ბ. ნ-ონი „საზოგადოებას" აფრთხილებს დასავლეთ ევროპის მაგალითით. ამ გზით ჩვენი უტოპისტები დიდი ხანია ცდილობენ მოგვაჩვენონ თავი დადებით ხალხად, რომელიც არ მისდევს ფანტაზიებს და რომელსაც შეუძლია „ისტორიის" გაკვეთილებით ისარგებლოს. მაგრამ ეს ხერხიც **ძველია**. უკვე ფრანგი უტოპისტები ცდილობდენ დაეშინებიათ და გონს მოეყვანათ თავისი თანამედროვენი **ინგლისის მაგალითით**, სადაც „მრეწველი ძალიან დიდი მანძილითაა დაცილებულ მუშისგან", და სადაც ამ უკანასკნელს თავისებური დესპოტიზმის უღელი აწევს. „დანარჩენმა ქვეყნებმა, რომელნიც ინგლისის მსგავსად საძრეწველო განვითარების გზაზე დადგენ,—ამბობდა „Producteur"-ი,—უნდა შეიგნონ, რომ საჭიროა ხელი შეუშალონ ასეთი წყობილების აღმოცენებას მათ საკუთარ ნიადაგზე" [1]). ერთად ერთი ნამდვილი დაბრკოლება სხვა ქვეყნებში ინგლისური წყობილების აღმოცენებისა შესაძლებელია ყოფილიყო „მუშაობისა და მუშების სენსიმონისტური ორგანიზაცია" .[2]) საფრანგეთში მუშათა მოძრაობის განვითარების გამო, კაპიტალიზმის აცილებაზე ოცნებათა მთავარი ასპარეზი ხდება **გერმანია**, რომელიც თავისი უტოპისტების სახით დიდხანს და ჯიუტად უპირისპირებს თავის თავს „დასავლეთ ევროპას" (den westlichen Ländern). დასავლეთ ქვეყნებშიო,—ამბობდენ გერმანელი უტოპისტები, ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის იდეის მატარებელი არის მუშათა კლასი, ჩვენში-კი—განათლებული კლასები (რასაც რუსეთში ინტელიგენციას უწოდებენ). სწორედ გერმანელი „**ინტელიგენცია**" იყო მათი აზრით მოწოდებული აეცილებია გერმანიისთვის კაპიტალიზმის ფიალა [3]). კაპიტალიზმი ისე

---

[1]) ტომი I, გვ. 140.

[2]) ამ ორგანიზაციის შესახებ იხილეთ 1831—32 წ. წ. „Globe"-ში, სადაც ის დაწვრილებითაა გადმოცემული წინასწარი გარდამავალ რეფორმების თანდართვითაც-კი.

[3]) „Unsere National-Oekonomen streben mit allen Kräften Deutschland auf die Stufe der Industrie zu heben, von welcher herab England jetz die anderen Länder noch beherrscht. England ist ihr Ideal. Gewiss: England sieht sich gern schön an; England hat seine Besitzungen in allen Welttheilen es weiss seinen Einfluss aller Orten geltend zu machen, es hat die reichste Handels – und Kriegsflote, es weiss bei allen Handelstraktaten die Gegenkontrahenten immer hinters Licht zu führen, es hat die spekulativsten Kaufleute, die bedeutendsten Kapita–

აფრთხობდა გერმანელ უტოპისტებს, რომ ისინი, მის ასაცდენად, მზად იყვენ, უკიდურეს შემთხვევაში, შერიგებოდენ სრულ განუვითარებლობას. კონსტიტუციური წესწყობილების გამარჯვება, მსჯელობდენ ისინი, ფულის მფლობელი არისტოკრატიის ბატონობამდე მიგვიყვანდა. ამიტომ, უმჯობესია თუ კონსტიტუციური წყობილება არ იქნებაო [1]). გერმანია ვერ ასცდა კაპიტალიზმს. ეხლა ამ აცდენაზე მსჯელობენ რუსი უტოპისტები. ასე მოგზაურობს უტოპიური იდეები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ყოველგან სწორედ იმ კაპიტალიზმის გამარჯვების წინამორბედნი არიან, რომლის წინააღმდეგ ისინი ილაშქრებენ და იბრძვიან. მაგრამ რამდენად ღრმად იქრება აღმოსავლეთში იგი, იმდენად იცვლება მისი ისტორიული მნიშვნელობა. ფრანგი უტოპისტები თავის დროზე შეუპოვარი, გენიალური **ნოვატორები** იყვენ. გერმანელი უტოპისტები—გაცილებით მათზე ნაკლები აღმოჩნდენ; რუს უტოპისტებს-კი ეხლა შეუძლიანთ მხოლოდ დააფრთხონ დასავლეთის ხალხი თავისი ჩამორჩენილობით.

---

listen, die erfindungsreichsten Köpfe, die prächtigsten Eisenbahnen, die grossartigsten Maschinenanlagen; gewiss England ist,, von dieser Seiten betrachtet, ein glückliches Land, aber—es läst sich auch ein anderer gesichtspunkt bei der Schätzung Englands gewinnen und unter diesem möchte dach wohl das Glück desselben von seinem U n g l ü c k bedeutend überwogen werden. England ist auch das Land, in welchem das Elend auf dil höchste Spitze getriebenist, in welchem jährlich Hunderte notarisch Hunger sterben, in welchem die Arbeiter zu fünfzigtausenden zu arbeiten verweigern, da sie trotz all'ihrer Mühe und Leiden nicht so viel verdienen, dass sie nothdürftig leben können. England ist das Land, in welchem die Wohlthätigkeit durch die Armensteuer zum ä u s s e r l i c h e n Gesetzt gemacht weden musste. Seht doch ihr, Hationalökonomen, in den Fabriken die wankenden, gebückten und verwachsenen Gestalten, seht die bleichen, abgehärmten schwindsüchtigae Gesichter, seht all' das geistige und das leibliche Elend und ihr wollt Deutschland noch zu einen zweiten England machen? England konnte nur durch Unglück und Jammer zu dem Höhenpunkt der Iindustrie gelangen, auf dem es jetzt steht, und Deutschland könnte nur durch d i e s e l b e n Opfer ä h n l i c h e Resultate erreichen d. h. erreichen, dass die Reicher noch reicher und die Armen noch ärmer werden.» Triesche Zeitung, 4 Mai 1846, გადაბეჭდილია იმ მიმოხილვის პირველ ტომში, რომელიც ბ. გესის რედაქციით გამოდიოდა და რომლის სახელწოდება იყო: Der Gesellschafisspiegel. Die gesellschaftliche Zustände der ciwilisierten Welt. I Band. Iserlohn und Elberfeld. 1846.

[1]) «Solte es den Constitutionelen gelingen,—ამბობს ბიუხნერი,—die deutsuhen Regierungen zu stürzen und eine allgemeine Monarchie oder so bekommen wir hier einen Geldaristokratismus wie in Frankreich, und lieber soll es bleiben, wie es jetzt ist». იხ. Georg Büchners Sämmtliche Werke, გამოცემა ფრანცოზის რედაქციით, გვ. 122.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ფრანგ განმანათლებლებს დაებადათ აზრი კაპიტალიზმის აცილების შესახებ. მაგალითად, ჰოლბახი მეტად სწუხს იმის გამო, რომ კონსტიტუციური წყობილების გამარჯვებამ ინგლისში გამოიწვია სრული გაბატონება de l'intérêt sordide des marchands. მას ძალიან აღონებს ის გარემოება, რომ ინგლისელები განუწყვეტლივ ახალ ბაზრებს ეძებენ. ბაზრების ასეთი გამუდმებითი ძებნა ართმევს მათ საშუალებას ხელი მოჰკიდონ ფილოსოფიას. ჰოლბახიც ჰგმობს ინგლისში არსებულ ქონებრივ უთანასწორობას. მას, როგორც ჰელვეციუსს, სურს ნიადაგი განუმზადოს გონებისა და თანასწორობის, და არა ვაჭრობის ინტერესების გამარჯვებას. მაგრამ არც ჰოლბახს და არც ჰელვეციუსს ⁄ საერთოდ არც ერთს განმანათლებელთაგანს არ შეეძლო დაეპირისპირებია მაშინდელი სინამდვილისადმი არაფერი, გარდა გონების ქება-დიდებისა და ზნეობრივი ხასიათის დარიგებისა „peuple d'Albion"-ის მისამართით. ამ მხრით ისინი ისევე უძლურნი იყვენ, როგორც ჩვენი თანამედროვე რუსი უტოპისტები.

კიდევ ერთი შენიშვნა და ჩვენ მოვრჩებით უტოპისტებს. **„ადამიანის ბუნების"** თვალსაზრისმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოიწვია **ბიოლოგიური** ანალოგიებით ბოროტად სარგებლობა, რომელსაც დღემდე ადგილი აქვს დასავლეთის, განსაკუთებით კი რუსეთის quasi-სოციოლოგიურ ლიტერატურაში.

თუ მთელი ისტორიული საზოგადოებრივი მოძრაობის გასაღები ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძიოთ და თუ, როგორც სამართლიანად შენიშნა ჯერ კიდევ სენ-სიმონმა, საზოგადოება ინდივიდუუმთაგან შესდგება, მაშინ სწორედ ინდივიდუუმის ბუნებამ უნდა მოგვცეს ისტორიის გასაღები. ინდივიდუუმის ბუნებას სწავლობს **ფიზიოლოგია** ამ სიტყვის ფართო ნნიშვნელობით, ე. ი. მეცნიერება, რომელიც ითავსებს **ფსიქიურ მოვლენებსაც**. აი რატომ იყო, რომ ფიზიოლოგია სენ-სიმონისა და მისი მოწაფეების თვალში **სოციოლოგიის** საფუძველს წარმოადგენდა, რომელსაც ისინი **სოციალურ ფიზიკას** უწოდებდენ. ჯერ კიდევ სენ-სიმონის სიცოცხლეში და მის მხურვალე მონაწილეობით გამოცემულს „Opinions philosophiques, littéraires et industrielles"-ში დაბეჭდილია მეტის-მეტად საინტერესო, სამწუხაროდ დაუმთავრებელი წერილი **მედიცინის** ანონიმური **დოქტორისა** სათაურით „De la phisiologie appliquée á l'amelioration des institutions sociales (სოციალურ დაწესებულებათა გაუმჯობესების საქმეში ფიზიოლოგიის გამოყენების შესახებ). ავტორი მეცნიერებას საზოგადოების შესახებ განიხილავს, როგორც „ზოგადი

ფიზიოლოგიის“ შემადგენელ ნაწილს, რომელიც,—„**სპეციალი ფიზიოლოგიის**“ მიერ მიღებული დაკვირვებით და ცდით (ინდივიდუუმებზე) გამდიდრებული,—„მიმართავს უმაღლესი რიგის დასკვნებს“. ინდივიდუუმები მისი აზრით წარმოადგენენ „მხოლოდ საზოგადოებრივი სხეულის ორგანოებს“, რომლის ფუნქციასაც შეისწავლის იგი „**მსგავსად იმისა, როგორც სპეციალი ფიზიოლოგია ინდივიდუუმების ფუნქციებს იკვლევს**“. ზოგადი ფიზიოლოგია სწავლობს (ავტორი ამბობს **გამოხატავსო**) საზოგადოებრივი არსებობის კანონს, რომელსაც უნდა ეგუებოდეს დაწერილი კანონები. შემდეგში ბურჟუაზიული სოციოლოგები, მაგალითად, **სპენსერი**, სარგებლობდენ საზოგადოებრივ ორგანიზმზე მოძღვრებით უაღრესად კონსერვატიულ დასკვნებისთვის. მაგრამ ჩვენ მიერ დასახელებული დოქტორი მედიცინისა პირველ ყოვლისა, **რეფორმატორია**. „საზოგადოებრივ სხეულს“ ის სწავლობს **საზოგადოებრივი გარდაქმნის** მიზნით, რადგანაც მხოლოდ „**სოციალური ფიზიოლოგია**“ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული „**ჰიგიენა**“ იძლევა დადებით საფუძვლებს, რომელზეც შესაძლებელია ავაგოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ისეთი სისტემა, როგორსაც განათლებული ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს. მაგრამ, როგორც ჩანს, სოციალურმა ფიზიოლოგიამ და ჰიგიენამ უმნიშვნელო საზრდო მისცა ავტორის რეფორმატორულ ფანტაზიას, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, იგი იძულებული ხდება მიმართოს **მედიკებს**, ე. ი. ხალხს, რომელსაც საქმე აქვს ინდივიდუალურ ორგანიზმთან და თხოვს მათ მიაწოდონ საზოგადოებას „**ჰიგიენური რეცეპტის სახით**“ „სოციალური ორგანიზაციის სისტემა“.

ამ თვალსაზრისს „**სოციალურ ფიზიკაზე**“ შემდეგში ღეკავდა ან თუ გნებავთ ანვითარებდა თავის სხვადასხვა თხზულებაში ო. კონტი. აი რას ამბობდა იგი საზოგადოებრივ მეცნიერებაზე ჯერ კიდევ თავის ახალგაზრდობის დროს, როცა იგი სენ-სიმონისტურ „Producteur“-ში თანამშრომლობდა: საზოგადოებრივი მოვლენები, როგორც ადამიანთა მოქმედების ნიადაგზე წარმოშობილი მოვლენები, უეჭველად უნდა მივაკუთნოთ ფიზიოლოგიურ მოვლენათა რიცხვს. მაგრამ, თუმცა სოციალურ ფიზიკას გამოსავალი წერტილი ინდივიდუალურ ფიზიოლოგიაში უნდა ჰქონდეს და მასთან განუწყვეტელ კავშირში უნდა იყოს, იგი მაინც უნდა განვიხილოთ და დავამუშავოთ როგორც ცალკე მეცნიერება იმიტომ, რომ ხალხის სხვადასხვა თაობა პროგრესიულად ახდენს გავლენას ერთი-მეორეზე. წმინდა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით შეუძლებელია ამ გავლენის ჯეროვანი შესწავ-

ლა, რომლის შეფასებასაც სოციალურ ფიზიკაში მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს.[1])

შეხედეთ, როგორ გამოუვალ წინააღმდეგობათა ქსელში იხლართება ხალხი, რომელიც საზოგადოებას ამ თვალსაზრისით უცქერის.

ჯერ ერთი, რამდენად „სოციალური ფიზიკის" გამოსავალი წერტილი ინდივიდუალური ფიზიოლოგიაა, იმდენად იგი წმინდა **მატერიალისტურ** საფუძველზე შენდება: ფიზიოლოგიაში **იდეალისტურ** თვალსაზრისს ადგილი არა აქვს. მაგრამ იგივე სოციალური ფიზიკის საგანს უმთავრესად უნდა შეადგენდეს იმ პროგრესიული გავლენის შეფასება, რომელსაც ახდენს ერთი თაობა მეორეზე. არსებული თაობა გავლენას ახდენს შემდეგზე და აძლევს მას როგორც იმ ცოდნას, რომელიც მან მიიღო წინა თაობებიდან, აგრეთვე იმასაც, რომელიც თითონ შეიძინა. მაშასადამე „სოციალური ფიზიკა" ადამიანის გვარის განვითარებას განიხილავს ცოდნის და საზოგადოდ „განათლების" (lumieres) განვითარების თვალსაზრისით. ეს უკვე XVIII საუკუნის წმინდა იდეალისტური თვალსაზრისია: **შეხედულებანი განაგებენ ქვეყანას.** კონტის რჩევის თანახმად ეს იდეალისტური თვალსაზრისი „მჭიდროდ რომ შეეკავშიროთ" ინდივიდუალური ფიზიოლოგიის მატერიალისტურ თვალსაზრისთან, ჩვენ წმინდა წყლის **დუალისტები** აღმოვჩნდებით და არაა ძნელი შევამჩნიოთ ამ დუალიზმის მავნებელი გავლენა, თუ გნებავთ, თვით კონტის სოციოლოგიურ შეხედულებებზე. ეს კიდევ ცოტაა. აკი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მოაზროვნენი ამჩნევდენ, რომ ცოდნის განვითარება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. კონტი მტკიცედ იცავს ასეთ კანონზომიერებას და პირველ ადგილზე აყენებს ეგრეთწოდებულ სამი ფაზისის კანონს: თეოლოგიურის, მეტაფიზიკურისა და პოზიტიურის.

მაგრამ რატომ გაივლის ცოდნის განვითარება სწორედ ამ სამ ფაზისს. ასეთია უკვე ადამიანის გონების ბუნებაო, გვიპასუხებს კონტი: „თავისი ბუნებით (par sa nature) ადამიანის გონება ყოველგან, სადაც-კი ის მოქმედებს, სამს სხვადასხვა თეორიულ მდგომარეობას გაივლის"[2]). ძალიან კარგი; მაგრამ გონების „ბუნების" შესწავლისათვის ჩვენ უნდა მივმართოთ ინდივიდუალურ ფიზიოლოგიას, ინდივიდუალური ფიზიოლოგია-კი ვერ გვიხსნის მას საკმაოდ და ჩვენ კვლავ „თაობებს" მივმართავთ, „თაობები"-კი გაგვაგზავნის „ბუნე-

---

[1]) «Considération sur les sciences et les savants», Producteur-ის 1-ლ ტომ. გვ. 355—356.

[2]) იქვე, გვ. 304.

ბასთან". ამას ეწოდება მეცნიერება, მაგრამ აქ მეცნიერების ნასახიც არა ჩანს: ეს მხოლოდ დახშულ წრეში მოძრაობაა.

ჩვენი ვითომდაც ორიგინალური „სუბიექტური" სოციოლოგები სავსებით დგანან მე-20-ე წლების ფრანგი უტოპისტების თვალსაზრისზე.

„ჯერ კიდევ ნოეინის ზეგავლენითო—მოგვითხრობს თავის თავზე ბ. მიხაილოვსკი,—და ნაწილობრივ მისი ხელმძღვანელობით მე სურვილი აღმეძრა ბიოლოგიის და სოციოლოგიის საზღვრების და მათი დაახლოების შესაძლებლობის საკითხი შემესწავლა. არ შემიძლია დიდი მნიშვნელობა მივსცე იმ სარგებლობას, რომელიც ნოეინის იდეების გაცნობამ მომიტანა, მაგრამ მაინც მათში იყო ბევრი შემთხვევითი, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ისინი ნოეინში ჯერ კიდევ ვითარდებოდენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი საკმაოდ არ იცნობდა ბუნებისმეტყველებას. არსებითად ნოეინისგან მე მივიღე მხოლოდ ბიძგი გარკვეული მიმართულებით, მაგრამ ბიძგი ძლიერი, გარდამწყვეტი და კეთილმყოფელი. თუმცა არ ეფიქრობდი სპეციალურად შემესწავლა ბიოლოგია, მაგრამ მაინც ბევრს ვკითხულობდი ნოეინის მითითებით და თითქოს მისი ანდერძით. ამ ახალმა მუშაობამ თავისებური და ჩემთვის მნიშვნელოვანი შუქი მოჰფინა იმ მოზრდილს, თუმცა უწესრიგოს, ნაწილობრივ-კი სრულიად უვარგისს ფაქტიურსა და იდეურ მასალას, რომელიც მე მანამდე მოვიმარაგე" [1]).

ბ. მიხაილოვსკის ნოეინი გამოყვანილი ჰყავს თავის ნარკვევებში: „В перемежку" ბუხარცევის სახელით. ბუხარცევი „ოცნებობდა საზოგადოებრივი მეცნიერების რეფორმაზე ბუნებისმეტყველების მეშვეობით და უკვე გამოიმუშავა მისი ვრცელი გეგმა". თუ როგორი იყო ამ რეფორმატორული საქმიანობის მეთოდი შემდეგიდანა ჩანს. ბუხარცევმა გადათარგმნა რუსულ ენაზე ლათინურიდან ზოოლოგიის ვრცელი ტრაქტატი. თარგმანს დაურთო თავისი შენიშვნები, რომელშიც სურდა „თავისი დამოუკიდებელი მუშაობის რეზულტატი" მოეცა. შენიშვნებს გაუკეთა „სოციოლოგიური" ხასიათის ახალი შენიშვნები. ბ. მიხაილოვსკი სიამოვნებით აცნობს მკითხველს მეორე სართულის ერთს ასეთ შენიშვნას: „მე საზოგადოდ არ შემიძლია ვანდერ-გეენისადმი ჩემს დამატებებში ვრცლად შევჩერდე თეორიულ მოსაზრებებზე ყველა ამ წმინდა ანატომიური საკითხების გამოყენების შესახებ საზოგადო-

---

[1]) Литература и жизнь, „Русская Мысль" 1891 წ. წიგ. გვ. 195.

ებრივ-ეკონომიურ საკითხების გადაჭრის საქმეში. ამიტომ მე მსურს მკითხველის ყურადღება მხოლოდ მივაქციო იმას, რომ მთელს ჩემ ანატომიურსა და ემბრიოლოგიურ თეორიას მთავარ მიზნად აქვს საზოგადოების ფიზიოლოგიის კანონების გამონახვა, და ამიტომ ყველა ჩემი შემდგომი თხზულებები დაემყარება, რასაკვირველია, ჩემ მიერ ამ წიგნში დალაგებულ მეცნიერულ მასალას"[1]).

ანატომიურსა და ემბრიოლიოგიურ თეორიას „მთავარ მიზნად აქვს საზოგადოების ფიზიოლოგიის კანონების აღმოჩენა"! ეს ძლიერ ცუდად არის ნათქვამი, მაგრამ მიუხედავად ამისა მეტად დამახასიათებელია უტოპისტი სოციოლოგისთვის. ის აშენებს ანატომიურ თეორიას, ემყარება მას და ფიქრობს გამოუწეროს საზოგადოებას მთელი რიგი „ჰიგიენური რეცეპტები". სწორედ ამ რეცეპტებით ამოიწურება მისი მთელი საზოგადოებრივი „ფიზოლოგია". არსებითად, ბუხარცევის საზოგადოებრივი „ფიზიოლოგია" ფიზიოლოგია—კი არაა, არამედ ჩვენ მიერ უკვე ცნობილი „ჰიგიენა", ე. ი. არა მეცნიერება იმის შესახებ რაც არის, არამედ იმის შესახებ რაც უნდა ყოფილიყო იმავე ბუხარცევის ანატომიური და „ემბრიოლოგიური თეორიის მიხედვით".

თუმცა ბუხარცევი გადმოღებულია ნოჟინისგან, იგი მაინც რამოდენადმე ბ. მიხაილოვსკის მხატვრული შემოქმედების პროდუქტს წარმოადგენს (თუ კი მხოლოდ დასახელებული ნარკვევების მიმართ შეიძლება **მხატვრულ** შემოქმედებაზე ვილაპარაკოთ). ამიტომ მისი ცუდი შენიშვნაც, შესაძლოა, სინამდვილეში არასოდეს არ არსებობდა. ამ შემთხვევაში იგი მით უფრო დამახასიათებელია ბ. მიხალოვსკისათვის, რომელიც მასზე დიდი პატივისცემით ლაპარაკობს.

„მე მაინც მქონდა შემთხვევები შევხვედროდი ლიტერატურაში ჩემი მეგობარ-მასწავლებლის იდეების პირდაპირ ანარეკლს"-ო—ამბობს ტიომკინი, რომლის სახელითაც მიდის ლაპარაკი. ბუხარცევ—ნოჟინის იდეებს გამოხატავდა და გამოხატავს ბ. მიხაილოვსკი.

ბ. მიხაილოვსკის აქვს თავისი „ფორმულა პროგრესისა". ეს ფორმულა შემდეგია: „პროგრესი არის თანდათანი მიახლოვება განუყოფელთა მთლიანობასთან, ადამიანის ორგანოებს შორის რაც შეიძლება სრულსა და ყოველმხრივს და ადამიანთა შორის რაც შეიძლება შრომის ნაკლებ განაწილებასთან. უზნეოა, უსამართლო, მავნებელი, არაგონივრული ყველა ის, რაც აბრკოლებს ამ მოძრაობას. ზნეობრივია, სამართლიანი, გონივრული და სასარგებლო ყველაფე-

---

[1]) Соч. Н. К. Михайловского, ტ. IV. გამოც. მეორე. გვ. გვ. 265-266.

რი ის, რაც ამცირებს საზოგადოების სხვადასხვაგვარობას და ამით აძლიერებს მისი ცალკე წევრების მრავალგვარობას [1]).

რა მეცნიერული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ფორმულას? არკვევს თუ არა იგი საზოგადოების ისტორიულ განვითარებას? გვეუბნება თუ არა იგი, თუ ისტორიის მოძრაობა როგორ წარმოებდა და რატომ სწორედ ასე წარმოებდა და არა სხვაგვარად? სრულიადაც არა, მის „მთავარ მიზანს" ეს არც წარმოადგენს. იგი მოგვითხრობს არა იმას, თუ როგორ მიდიოდა ისტორია, არამედ იმას თუ როგორ უნდა წასულიყო იგი, რომ ბ. მიხაილოვსკის ქება დაემსახურებია. ეს, „ორგანიული განვითარების კანონების ზუსტი შესწავლის" ნიადაგზე უტოპისტის მიერ გამოგონილი „ჰიგინური რეცეპტია". ეს სწორედ ისაა, რასაც სენ-სიმონისტი მკურნალი ეძებდა.

„...ჩვენ ვთქვით, რომ სოციოლოგიაში მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური მეთოდის გამოყენება (რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო) იგივე იქნებოდა, რაც არშინების და ფუთების ერთმანეთთან მიმატება. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ობიექტური მეთოდი სრულიად უნდა განიდევნოს კვლევის ამ სფეროდან, არამედ იმას, რომ უმაღლესი კონტროლი აქ სუბიექტურ მეთოდს უნდა ეკუთვნოდეს" [2]).

„კვლევის ეს სფერო" არის სწორედ **სასურველი საზოგადოების** „ფიზიოლოგია", უტოპიის სფერო. ზედმეტია ლაპარაკი, რომ მასში „სუბიექტური მეთოდის" გამოყენება ძლიერ უადვილებს მუშაობს „**მკვლევარს**". მაგრამ ეს გამოყენება ემყარება არა რაიმე „კანონებს", არამედ „ლამაზი გამოგონების მომხიბვლელობას". ვინც დაიმორჩილა მან, იგი ვერ აღუდგება ერთსა და იმავე „სფეროში", ორი მეთოდის—სუბიექტურისა და ობიექტურის-თუმცა სხვადასხვა უფლებით ხმარებას, თუმცა მსგავსი მეთოდოლოგიური დომხალი ნამდვილად რომ ფუთისა და არშინის ერთმანეთთან მიმატებაა.[3])

---

[1]) იქვე, გვ. 186—187.

[2]) იქვე, გვ. 185.

[3]) თუმცა გამოთქმები: „ობიექტური მეთოდი", „სუბიექტური მეთოდი", წარმოადგენს ყოველ შემთხვევაში უდიდეს ტერმინოლოგიურ დომხალს.

თავი მეოთხე

გერმანული იდეალისტური ფილოსოფია

XVIII საუკუნის მატერიალისტები მტკიცედ იყვენ დარწმუნებული, რომ მათ სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს იდეალიზმს. ისინი განიხილავდენ მას, როგორც მოძველებულსა და სამუდამოდ უკუგდებულ თეორიას. მაგრამ იმავე საუკუნის დასასრულს იწყება რეაქცია მატერიალიზმის წინააღმდეგ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში-კი თვით მატერიალიზმი ისეთ მდგომარეობაში ვარდება, რომ მას ყველა დრომოქმულ, ერთხელ და სამუდამოდ მკვდარ სისტემად თვლის. იდეალიზმი ხელ-ახლა ცოცხლდება და ღებულობს ჯერ არ ნახულს, ჭეშმარიტად ბრწყინვალე განვითარებას. ამას, რასაკვირველია, თავისი საზოგადოებრივი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ამაზე აქ არ შევჩერდებით, გავარჩევთ მხოლოდ საკითხს იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა XIX საუკუნის იდეალიზმს რაიმე უპირატესობა წინა ეპოქის **მატერიალიზმთან** შედარებით,—თუ ჰო, რაში მდგომარეობდა იგი.

ფრანგული მატერიალიზმი ააშკარავებდა გასაოცარს, ეხლა პირდაპირ დაუჯერებელ სისუსტეს ყოველთვის, როცა საჭირო ხდებოდა ისტორიის ან ბუნების მოვლენათა განვითარების ახსნა. ავიღოთ თუ გნებავთ **ადამიანის წარმოშობის** საკითხი. თუმცა აზრი ამ სახეობის **თანდათანი განვითარების** შესახებ მატერიალისტებს არ მიაჩნდათ წინააღმდეგობის შემცველად, მაგრამ ასეთ „ახსნას“ ისინი ნაკლებ დამრწმუნებლად თვლიდენ. „Systeme de la nature“-ის ავტორები (იხ. პირველი ნაწილის მეექვსე თავი) ამბობდენ, რომ თუ ვინმემ გაილაშქრა ასეთი „ახსნის“ წინააღმდეგ, თუ ვინმემ გვითხრა, რომ ბუნება რამდენიმე ზოგადი და უცვლელი კანონის საშუალებით მოქმედობს“ და ამასთანავე აღნიშნა, რომ „ადამიანი, ოთხფეხი, თევზი, მწერი, მცენარე და სხვ... დასაბამიდან არსებობს და მუდამ უცვლელი რჩებიან“, ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნებაო. ისინი იტყოდენ მხოლოდ, რომ არც ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ გამოთქმულ ჭეშმარიტებებსო. „ადამიანს არ შესწევს ძალა ყველაფერი იცოდეს: მას არ ძალუძს თავისი წარმოშო-

ბა გაიგოს“—აი ყველაფერი ის, რასაც ბოლოს და ბოლოს „Systeme de la nature“-ის ავტორები ამ მნიშვნელოვან კითხვაზე უპასუხებდენ.

ჰელვეციუსი თითქოს უფრო ემხრობა აზრს ადამიანის თანდათანი განვითარების შესახებ. „მატერია მარადია, მაგრამ მისი ფორმები ცვალებადი“, შენიშნავს იგი და ამით მოგვაგონებს, რომ ადამიანთა ჯიში ეხლაც ჰაეის ზეგავლენით იცვლება.[1]) იგი ცხოველთა ყველა სახესაც საზოგადოდ ცვალებადად თვლის. მაგრამ ამ საღ აზრს იგი უცნაური ფორმით გამოთქვამს. გამოდის, რომ ცხოველის და მცენარის სხვადასხვა სახეს შორის „განსხვავების“ მიზეზი **ან** უკვე მათი ჩანასახის თვისება, **ან** მათი გარემომცველი წრის, „აღზრდის“ განსხვავებაა.[2])

ამრიგად, **მემკვიდრეობა** გამორიცხავს **ცვალებადობას** და პირიქით. ცვალებადობის თეორიის მიღების შემდეგ ჩვენ, მაშასადამე, უნდა დაუშვათ, რომ ყოველი ჩანასახიდან შესაფერი გარემოს პირობებში შესაძლებელია მივიღოთ ყოველგვარი ცხოველი ან მცენარე: მუხის ჩანასახიდან, მაგალითად, ხარი ან ჟირაფი. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ „ახსნას“ არ შეეძლო გაეშუქებია სახეების წარმოშობის საკითხი და თითონ ჰელვეციუსი არ დაბრუნებია ამ აზრს მას შემდეგ, რაც იგი მან ერთხელ სხვათაშორის გამოთქვა.

სწორედ ასევე ცუდად ხსნიდენ ფრანგი მატერიალისტები **საზოგადოებრივი** განვითარების მოვლენებსაც. „კანონმდებლობის“ სხვადასხვა სისტემას ისინი გვიხატავენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც „კანონმდებელთა“ შეგნებული შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს. სხვადასხვა რელიგიურ სისტემებს—როგორც ნაყოფს მოგვების გაიძეერობისა და სხვ...

ფრანგული მატერიალიზმის ეს უძლურება ბუნებისა და ისტორიის განვითარების ახსნის საქმეში იყო მიზეზი მისი ფილოსოფიური შინაარსის სიღატაკისა. ბუნების შესახებ მოძღვრებაში ეს შინაარსი ამოიწურებოდა ბრძოლით **დუალისტების** მიერ მატერიის ცალმხრივად გაგების წინააღმდეგ. ადამიანის შესახებ მოძღვრებაში-კი იგი წარმოადგენდა დაუსრულებელ განმეორებას და ერთგვარ სახეშეცვლას ლოკის შემდეგი დებულებისა: **თანდაყოლილი იდეები არ არსებობს.** რა გინდ სასარგებლო უნდა იყოს ასეთი განმეორება დრომოჭმული ზნეობრივისა და პოლიტიკური თეორიების წინააღმდეგ ბრძოლის დროს,—სერიოზული მეცნიერული მნიშვნელობა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექ-

[1]) Le vrai sens du systeme de la nature, á Londres 1774, გვ. 15.

[2]) De l'homme oeuvres, complètes d. Helvetius, 1818, ტ.. II, გვ. 120.

ნებოდა, თუ მატერიალისტები შესძლებდენ თავიანთი აზრის გამოყენებას კაცობრიობის სულიერი განვითარების ახსნის საქმეში. ჩვენ უკვე ზევით აღვნიშნეთ, რომ ამ მიმართულებით ადგილი ჰქონდა ფრანგი მატერიალისტების ზოგს, ერთობ შესანიშნავ ცდას (სახელდობრ ჰელვეციუსის მხრით), მაგრამ იგი მარცხით დამთავრდა (ასეთი ცდა რომ არ დამარცხებულიყო, მაშინ ფრანგული მატერიალიზმი განვითარების საკითხებში მეტად ძლიერი აღმოჩნდებოდა) და მატერიალისტები ისტორიის გაგების საკითხში წმინდა იდეალისტურ თვალსაზრისზე დადგენ: **შეხედულებანი განაგებენ ქვეყანასო.** მხოლოდ დროგამოშვებით, ისიც მეტად იშვიათად, მატერიალიზმი მათს ისტორიული ხასიათის მსჯელობაში თავს იჩენდა შენიშვნების სახით იმის შესახებ, რომ ატომს, რომელიც „კანონმდებლის“ თავში საიდანღაც გაჩნდა და დაარღვია მისი ტვინის ნორმალური მუშაობა, შეუძლია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შესცვალოს ისტორიის მსვლელობა. ასეთი მატერიალიზმი არსებითად **ფატალიზმს** წარმოადგენდა და შეუძლებელს ხდიდა მოვლენათა გათვალისწინებას, ე. ი. მოაზროვნე პიროვნებათა შეგნებულ ისტორიულ მოღვაწეობას.

ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ნიჭიერსა და ტალანტით დაჯილდოვებულ ადამიანებს, რომელნიც არ იყვენ ჩაბმული სოციალურ ძალთა იმ ბრძოლაში, სადაც მატერიალიზმი უკიდურესი მემარცხენე პარტიის ბრძოლის იარაღს წარმოადგენდა, ეს მოძღვრება (ე. ი. მატერიალიზმი) ეჩვენებოდათ **მშრალ, უსიცოცხლო** და **მოსაწყენ** მოძღვრებად. ასეთი აზრის იყო მასზე, მაგალითად, გოეთე. რომ ასეთ საყვედურს შემდეგში ნიადაგი გამოცლოდა, მატერიალიზმს ხელი უნდა აეღო მშრალს, განყენებულ მსჯელობაზე და ცდილიყო თავისი თვალსაზრისით აეხსნა „ცოცხალი სინამდვილე“, კონკრეტ მოვლენათა რთული და მრავალფეროვანი კომპლექსი. მაგრამ თავისი მაშინდელი სახით მას არ შეეძლო ამ დიდი ამოცანის გადაჭრა. ამ უკანასკნელის შესრულება იკისრა **იდეალისტურმა ფილოსოფიამ.**

იდეალისტური ფილოსოფიის განვითარების მთავარს და საბოლოო რგოლს წარმოადგენს ჰეგელის სისტემა, ამიტომ ჩვენ მსჯელობის დროს უმთავრესად ეს უკანასკნელი გვექნება მხედველობაში.

ჰეგელი უწოდებდა **მეტაფიზიკურს** იმ მოაზროვნეთა თვალსაზრისს, სულერთია, იდეალისტები იყვენ ისინი თუ მატერიალისტები, რომელთაც არ შეეძლოთ მოვლენათა განვითარების პროცესის გა-

გება და უნებლიეთ წარმოდგენილი ჰქონდათ ისინი როგორც უძრავი, განკალკევებული და ერთის მეორედ გარდაქცევის უნარს მოკლებული რამ. ამ თვალსაზრისს დაუპირისპირდა **დიალექტიკა**, რომელიც მოულენებს განიხილავს სწორედ მათი განვითარების პროცესში და, მაშასადამე, მათ ურთიერთ კავშირში.

ჰეგელის აზრით დიალექტიკა ყოველი სიცოცხლის პრინციპია. ხშირად შეგხვდებათ ადამიანი, რომელიც რაიმე განყენებული აზრის გამოთქმის შემდეგ ადვილად დაგეთანხმებათ, რომ შესაძლებელია იგი სცდებოდეს და მართალი იყოს სრულიად საწინააღმდეგო აზრი. ეს— კეთილაღზრდილი ადამიანია, რომელსაც ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს **შეწყნარების გრძნობა**: იცხოვრე და სხვასაც მიეც საშუალება იცხოვროსო, ეუბნება იგი თავს. დიალექტიკას არაფერი აქვს საერთო საერო ხალხის სკეპტიკურ შეწყნარებასთან, მაგრამ იგიც ახერხებს ერთმანეთს შეუთანხმოს ერთი-მეორის პირდაპირ საწინააღმდეგო განყენებული დებულებანი. ადამიანი მომაკვდავია, ვამბობთ ჩვენ და ამით სიკვდილს წარმოვიდგენთ როგორც ჩვენს გარეშე არსებულს და ცოცხალი ადამიანის ბუნებისთვის სრულიად უცხო მოვლენას. გამოდის, რომ ადამიანს ორი თვისება აქვს: სიცოცხლის და მოკვდაობის, მაგრამ უახლოესი განხილვით ნათელი ხდება, რომ **სიცოცხლე** თვით ატარებს **სიკვდილის** ჩანასახს და რომ საზოგადოდ ყოველი მოვლენა **წინააღმდეგობის შემცველია** იმ გაგებით, რომ თვით მისი განვითარება იმ ელემენტების წარმოშობაა, რომელიც ადრე თუ გვიან ბოლოს მოუღებს მის არსებობას და გადააქცევს მას თავის საწინააღმდეგო მოვლენად. ~~ყველაფერი~~ მოძრაობს, ყველაფერი იცვლება და არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ მუდმივი ცვალებადობის შეფერხება, ამ მარადი მოძრაობის შეჩერება, არ არსებობს ძალა, მოვლენათა დიალექტიკას რომ გაუმკლავდეს. გოეთე გვიხატავს დიალექტიკას სულის სახით:

In Lebensfluthen, im Thatensturm
Wall'ich auf und ab,
Webe hin und her.
Geburt und Grab—
Ein ewiges Meer,
Ein wechselnd Weben,
Ein glühend Leben,

So schaff'ich am sausenden Webstuhl der Zeit,
Und wirke der Göttheit lebendiges Kleid[1]).

განსაზღვრულ მომენტში მოძრავი სხეული იმყოფება განსაზღვრულ წერტილში და ამავე დროს მის გარეშეც, რადგანაც იგი რომ **მხოლოდ** ამ წერტილში იმყოფებოდეს, ამ წუთის განმავლობაში მაინც **უძრავი** გახდებოდა. ყოველი მოძრაობა არის დიალექტიკური პროცესი, აშკარა წინააღმდეგობა და რადგანაც არ მოიპოვება ბუნების არც ერთი მოვლენა, რომლის ახსნის დროს საჭირო არ იყოს საბოლოოდ მოძრაობისადმი აპელაცია,—ამიტომ უნდა დავეთანხმოთ ჰეგელს, რომელიც ამბობდა: **დიალექტიკა ყოველი მეცნიერული შემეცნების სულია.** და ეს მარტო ბუნების შემეცნებას როდი შეეხება. რას ნიშნავს, მაგალითად, ჩვენი აფორიზმი summum jus summa injuria? იმას ხომ არა, რომ ყველაზე უფრო სამართლიანად მაშინ ვიქცევით, როცა მოვიხდით ვალს სამართლიანობის წინაშე და თავისას მივუზღავთ აგრეთვე უსამართლობასაც? სრულიადაც არა, ასე მსჯელობს მხოლოდ ბრიყვი. ნამდვილად-კი ეს აფორიზმი იმას ნიშნავს, რომ ყოველი განყენებული სამართალი, როცა ლოგიკურ ბოლომდე მივა უსამართლობად, ე. ი. თავის საკუთარ წინააღმდეგობად იქცევა. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ ამის ბრწყინვალე ილიუსტრაციაა. ჩაუკვირდით ეხლა ეკონომიურ მოვლენებს. როგორია „თავისუფალი **მეტოქეობის**“ ლოგიკური შედეგი? ყოველი მწარმოებელი ცდილობს დაამარცხოს თავისი კონკურენტები, დარჩეს ბაზრის ერთად-ერთი ბატონი. და, რასაკვირველია, არაა იშვიათი ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე როჩილდი ან ვანდერბილდი ახერხებს ამ მისწრაფების განხორციელებას, მაგრამ ეს გვიჩვენებს, რომ თავისუფალ კონკურენციას მონოპოლიამდე მივყევართ, ე. ი. კონკურენციის უარყოფამდე—თავისი საწინააღმდეგო მოვლენამდე. ან და ჩაუკვირდით, სანამდე მივყევართ ჩვენი ნაროდნიკული ლიტერატურის მიერ ნაქებს ეგრეთწოდებულ **საკუთრების შრომითს პრინციპს.**

---

[1]) სიცოცხლის ტალღებში, ქვეყნის ქმნის ქარცეცხლში
ხან აღგვიზნები და ხან ჩავქრები.
ირგვლივ ვმოძრაობ, ყველგან გავჩნდები
შობა და საფლავი—
ზღვა მარადიული,
ცვალებად მოძრავი,
სიცოცხლე მზიური.
ასე ვქმნი ჟამთა სვლის დაზგაზე საიდუმლო ქსელს
და მის გუგუნში ვქსოვ ღვთაების ცოცხალ სამოსელს.
(„ფაუსტი“. დ. ონიაშვილის თარგმანი. გვ. 34).

მე მხოლოდ ის მეკუთვნის, რაც ჩემი შრომითაა შექმნილი. ეს სავსებით სამართლიანია, მაგრამ არა ნაკლებ სამართლიანია ისიც, რომ მე მოვიხმარ ჩემ მიერ დამზადებულ ნივთს ჩემი სურვილისამებრ: მე ან თითონვე ვსარგებლობ იმით, ანდა ვცვლი მას სხვა, ჩემთვის სასურველ ნივთზე. ბოლოს სწორედ ასევე სამართლიანია ისიც, რომ მე ვსარგებლობ შეძენილი ნივთით ისევ ჩემი სურვილისამებრ — როგორც ეს ჩემთვის უფრო სასიამოვნო, უკეთესი და ხელსაყრელია. ვთქვათ ეხლა, რომ მე გავყიდე ჩემი საკუთარი შრომის პროდუქტი, აღებული ფულით კი დავიქირავე მუშა, ე. ი. ვიყიდე სხვისი სამუშაო ძალა. სხვისი სამუშაო ძალის გამოყენებით მე ვხდები ღირებულების მფლობელი, რომელიც გაცილებით მეტია მის (ე. ი. სამუშაო ძალის) შესაძენად საჭირო ღირებულებაზე. ეს ერთის მხრით სავსებით სამართლიანია, რადგანაც ჩვენ უკვე აღვიარეთ, რომ მე შემიძლია შეძენილი ნივთი მოვიხმარო ისე, როგორც ეს ჩემთვის უკეთესი და ხელსაყრელია; მეორეს მხრით კი ეს სრულიად უსამართლოა, რადგანაც მე ვითვისებ შრომას და ამით ვაქარწყლებ იმ პრინციპს, რომელიც საფუძვლად ედვა ჩემს წარმოდგენას სამართლიანობაზე. ჩემი შრომით შექმნილი საკუთრება შემძენს მე სხვისი შრომით შექმნილ საკუთრებას. Summum jus summa injuria. და ასეთი injuria თავისთავად წარმოიშობა თითქმის ყოველი შეძლებული შინამრეწველის და მუყაითი გლეხის მეურნეობაში[1]).

ამრიგად, ყოველი მოვლენა იმ ძალთა მოქმედებით, რომლებზეც დამოკიდებულია მისი არსებობა, ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად თავის საკუთარ წინააღმდეგობად გადაიქცევა.

---

[1]) ბ. მიხაილოვსკისათვის გაუგებარია დიალექტიკის ეს მუდმივი და საყოველთაო ბატონობა: ყველაფერი იცვლება დიალექტიკური განვითარების კანონების გარდაო, ამბობს ის ბოროტი სკეპტიციზმით. დიახ, ეს სწორედ ასეა, გიპასუხებთ ჩვენ, და თუ თქვენ ეს გაკვირვებთ და არ ეთანხმებით ამ თვალსაზრისს,—გახსოვდეთ, რომ ამ შემთხვევაში თქვენ უნდა უარჰყოთ აგრთვე თანამედროვე ბუნებისმეტყველების ძირითადი თვალსაზრისი. რომ ამაში დარწმუნდეთ, საკმარისია გაიხსენოთ პლიაიფაირის ის სიტყვები, რომელიც ლაიელმა თავის შესანიშნავ წიგნს „Principes of Geology"-ის ეპიგრაფად დაურთო: „Amid the revolutions of the globe, the ekonomy of Nature has been uniforme, and her laws are the only the that have resisted the general movement. The rivers, and the rocks, the seas and thina continents have been changed all the parts; but the laws which direct those changes, and the rules to which the are subject, have remained invariably the same".

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გერმანული იდეალისტური ფილოსოფია ყოველ მოვლენას განვითარების თვალსაზრისით იხილავდა და რომ ეს მოვლენათა სწორად **დიალექტიკურად** განხილვას ნიშნავს. უნდა ითქვას, რომ **მეტაფიზიკოსებს** თვით განვითარების მოძღვრების დამახინჯებაც ეხერხებათ. ისინი გვარწმუნებენ, რომ არც ბუნებამ და არც ისტორიამ ნახტომები არ იცისო. როცა ისინი რაიმე მოვლენის ან საზოგადოებრივი დაწესებულების **წარმოშობაზე** ლაპარაკობენ, მათ საქმე წარმოდგენილი აქვთ ასე: ეს მოვლენა ან დაწესებულება ოდესღაც მეტად მცირე, ან სრულიად შეუმჩნეველი იყო და შემდეგ დროთა ვითარებაში თანდათან გაიზარდა. როცა ამაკე მოვლენის ან დაწესებულების **მოსპობაზეა** ლაპარაკი, მაშინ საწინააღმდეგო იგულისხმება—მისი თანდათანი შემცირება მანამდე, ვიდრე მოვლენა სრულიად შეუმჩნეველი გახდებოდეს მისი მიკროსკოპული ოდენობის გამო. ამგვარად გაგებული განვითარება სრულიად არაფერს ხსნის; იგი ჭგულისხმობს სწორედ იმ მოვლენათა არსებობას, რომელნიც მან უნდა ახსნას, და მხედველობაში იღებს მხოლოდ მის **რაოდენობითს ცვლილებებს**. ერთ დროს მეტაფიზიკური აზრონების ბატონობა ბუნებისმეტყველებაში ისე ძლიერი იყო, რომ მრავალ ნატურალისტს ამ განვითარების წარმოდგენა არ შეეძლო სხვაგვარად თუ არა განსახილველი მოვლენის სწორედ ასეთი თანდათანი ზრდის ან შემცირების სახით. თუმცა ჯერ კიდევ გარვეის დროიდან აღიარებული იყო, რომ „**ყოველი ცოცხალი არსება კვერცხიდან ვითარდება**“, მაგრამ ამ შეხედულებას არავითარ გარკვეულ შინაარსს არ უკავშირებდენ; და სპერმატოზოიდების აღმოჩენამ საბაბი მისცა ისეთი თეორიის წარმოშობას, რომლის მიხედვითაც თესლის უჯრედი უკვე შეიცავს მზამზარეულს, სავსებით განვითარებულს, მაგრამ მიკროსკოპიულად მცირე ცხოველს ისე, რომ მთელი მისი „**განვითარება**“ წარმოადგენს მხოლოდ **ზრდას**. სავსებით ასე მსჯელობენ ეხლა ბრძენი მოხუცნი, მათ შორის მრავალი ცნობილი ევროპიელი **ევოლიუციონისტი** სოციოლოგიც, მაგ., პოლიტიკურ დაწესებულებათა განვითარებაზე: ისტორია ნახტომებს არ აკეთებს: va piano...

გერმანულმა იდეალისტურმა ფილოსოფიამ გადაჭრით გაილაშქრა განვითარების ასეთი მახინჯი გაგების წინააღმდეგ. ჰეგელი გესლიანად დასცინოდა მას და ურყევად დაამტკიცა, რომ ბუნებაში და ადამიანთა საზოგადოებაში **ნახტომები** განვითარების ისეთსავე აუცილებელ მომენტს წარმოადგენს, როგორსაც თანდათანი რაოდენობითი ცვლილებანი. „არსის ცვლილებები—ამბობს იგი—მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ერთი რაოდენობა გადადის მეორე-

ში, არამედ იმაშიც, რომ თვისება გადადის რაოდენობაში და პირიქით; ამ უკანასკნელი სახის თითოეული გადასვლა წარმოადგენს თანდათანობის **შეწყვეტას** (Ein Abbrechen des Allmählichen) და აძლევს მოვლენას ახალს, წინანდელისგან თვისებრივად განსხვავებულ სახეს. მაგალითად, გაცივების დროს წყალი მაგრდება არა თანდათან... არამედ ერთბაშად,—გაყინვის წერტილამდე გაცივების შემდეგ ის რჩება სითხედ, თუკი უძრავ მდგომარეობას ინარჩუნებს და ამის შემდეგ საკმარისია უმნიშვნელო ბიძგი, რომ იგი ერთბაშად გამაგრდეს... ზნეობრივ მოვლენათა სფეროში... ადგილი აქვს ასეთსავე გადასვლას რაოდენობითიდან თვისებრივში, ანდა სხვა სიტყვით, თვისებრივი სხვადასხვაობა იქაც რაოდენობითს სხვადასხვაობას ემყარება. მაგალ,, **ცოტათი ნაკლები, ცოტათი მეტი** წარმოადგენს იმ საზღვარს, რომლის შემდეგ განუსჯელობა გადაიქცევა სრულიად სხვა მოვლენად—ბოროტმოქმედებად... მაგალითად, სახელმწიფოებს —სხვა დანარჩენი პირობების თანასწორობის დროს—სხვადასხვა თვისებრივი ხასიათი აქვთ მხოლოდ სხვადასხვა ოდენობის გამო. განსაზღვრული კანონები და განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წყობილება ღებულობს სრულიად სხვა მნიშვნელობას ტერიტორიის გაფართოებასა და მოსახლეობის გადიდებასთან ერთად"[1]).

თანამედროვე ნატურალისტებმა კარგად იციან, თუ რაოდენობის ცვლილებას როგორ ხშირად თვისების ცვლილება დე მივყევართ. რატომაა, რომ მზის სპექტრის ერთი ნაწილი იწვევს ჩვენში წითელი ფერის შეგრძნებას, მეორე—ლურჯისას და სხვა? ფიზიკა უპასუხებს, აქ მთელი საქმე ეთერის ნაწილების ქანაობის რიცხვშიაო. ცნობილია, რომ ეს რიცხვი იცვლება თითოეული სპექტრალური ფერისათვის და იზრდება წითელი ფერიდან იისფერისაკენ. ეს კიდევ ცოტაა. სპექტრში სითბოს დაძაბულობა იზრდება წითელი ზოლის გარე კიდესთან მიახლოვების მიხედვით და სპექტრიდან გამოსვლის შემდეგ უმაღლეს ხარისხს აღწევს მისგან განსაზღვრულ მანძილზე. გამოდის თითქოს სპექტრში განსაკუთრებული'გვარის სხივები იყოს, რომელიც უკვე კი არ ანათებს, არამედ სითბოს იძლევა. ფიზიკა ამბობს, რომ აქაც სხივების თვისებები იცვლება ეთერის ნაწილთა ქანაობის რიცხვის ცვლილებათა გამოო.

მაგრამ ესეც ჯერ კიდევ ცოტაა. მზის სხივები იწვევს გარკვეულ ქიმიურ მოქმედებას, როგორც ამის მაჩვენებელია, მაგალითად,

---

[1]) Wissenschaft der Logik, 1-ლი გამოცემა, 1-ლი ნაწილი. წიგნი 1-ლი, გვ. 313—314.

მატერიის გახუნება მზისგან. უფრო მეტი ქიმიური ძალის მქონეა იისფერი და ეგრეთწოდებული ულტრა-იისფერი სხივები, რომელიც უკვე არ იწვევს ჩვენში სინათლის შეგრძნებას. ქიმიური მოქმედების მხრით მზის სხივებს შორის განსხვავება ისევ ეთერის ნაწილთა ქანაობის რაოდენობის სხვადასხვაობით აიხსნება: **რაოდენობა გადადის თვისებაში.**

ამასვე ამტკიცებს ქიმია. ოზონს სხვა თვისება აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ მეავბადს. რითაა გამოწვეული ეს განსხვავება? ოზონის მოლეკული შეიცავს ატომების სხვა რაოდენობას, ვიდრე ჩვეულებრივი მეავბადის მოლეკული. ავიღოთ ნახშირ-წყალბადის სამი შენაერთი: CH^4 (ჭაობის გაზი), C^2H^6 (დიმეტილი) და C^3H^8 (მეტილ-ეტილი). ყველა ეს შედგენილია შემდეგი ფორმულის მიხედვით: ნახშირბადი n ატომი და წყალბადი 2n+2 ატომი. თუ n უდრის ერთს, მაშინ მიიღება ჭაობის გაზი; თუ n ორს უდრის—დიმეტილი, თუ—სამს—მეტილ-ეტილი. ამ გზით შეიძლება შედგეს მთელი რიგები, რომლის მნიშვნელობის შესახებ თქვენ მოგვითხრობს ყოველი ქიმიკოსი, და მთელი ეს რიგები ერთხმად ამტკიცებს ძველი დიალექტიკოს-იდეალისტების დებულებას: **რაოდენობა გადადის თვისებაში.**

ეხლა ჩვენ უკვე ვიცით დიალექტიკური აზროვნების მთავარი დამახასიათებელი თვისებები, მაგრამ მკითხველი თავს მაინც დაუკმაყოფილებლად გრძნობს.--სადღაა სახელგანთქმული **ტრიადა**,—კითხულობს იგი,—ტრიადა, რომელშიაც, როგორც ვიცით, მდგომარეობს ჰეგელის დიალექტიკის მთელი არსი. ბოდიშს ვიხდით, მკითხველო, ჩვენ არაფერს ვამბობდით ტრიადის შესახებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ჰეგელისათვის სრულიადაც არა აქვს ის მნიშვნელობა, რასაც მას ის ხალხი მიაწერს, რომელსაც არ ესმის ამ მოაზროვნის[1] ფილოსოფია და რომელსაც შეუსწავლია იგი, მაგალითად, ბ. სპასოვიჩის **„ხისხლის სამართლის სახელმძღვა-**

---

[1]) „მე ვოცნებობდი ვექილის კარიერაზეო,—მოგვითხრობს ბ. მიხაილოვსკი, დ ბ გატაცებით, თუმცა სრულიად უწეარიგოდ ვკითხულობდი სხვადასხვა იურიდიულ თხზულებებს. მათ რიცხვში იყო ბ. სპასოვიჩის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო. ამ თხზულებაში მოცემულია სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემათა მოკლე მიმოხილვა, რამდენადაც მათ დამოკიდებულება აქვთ კრიმინალისტიკასთან. მე განსაკუთრებით განმაცვიფრა ჰეგელის შესანიშნავმა ტრიადამ, რის მეოხებითაც სასჯელი ასე მოხდენილად ხდება უფლებაზ და დანაშაულს შორის არსებული წინააღმდეგობის შემარიგებელი. ცნობილია ჰეგელის სამწევრიანი ფორმულის და მისი მრავალნაირი გამოყენების შემაცთუნებელი ძალა... არაა გასაკვირი, რომ მან მე მომხიბლა ბ. სპასოვიჩის სახელმძღვანელოში. არაა გასაკვირი ისიც, რომ შემდეგში მე გამიტაცა ჰეგელმა და სხვა ბევრმა“... („Русская

ნელოთი". [1]) წმინდა უბრალოებით აღვსილი, ეს გონება მჩატე ხალხი დარწმუნებულია, რომ გერმანელი იდეალისტის მთელ არგუმენტაციას ტრიადის დამოწმება წარმოადგენდა; რომ მოხუცს რა გინდ თეორიულ სიძნელესთან უნდა ჰქონოდა საქმე, იგი დამშვიდებული ღიმილით ანდობდა სხვებს მასზე თავიანთი საბრალო, „უვიცი" თავი ეტეხათ, თითონ-კი აშენებდა სილოგიზმს: ყველა მოვლენა ტრიადის თანახმად ხდება; მე საქმე მაქვს მოვლენასთან, მაშასადამე მივმართავ ტრიადას.[1]) ეს, როგორც კარონინის ერთი მომქმედი პირთაგანი ამბობს, სისულელეა და მეტი არაფერი, ან შჩედრინის გამოთქმა თუ უფრო მოგწონთ—**არაბუნებრივი ლაყბობაა**. ჰეგელის თხზულებათა 18 ტომიდან არც ერთში „**ტრიადას**" არსად არა აქვს **საბუთის** მნიშვნელობა და იმისთვის, ვინც ცოტათი მაინც იცნობს მის (ჰეგელის) ფილოსოფიურ მოძღვრებას, ნათელია, რომ მას არავითარ შემთხვევაში **არ შეეძლო ასეთი მნიშვნელობა ჰქონოდა. ჰეგელისათვის** ტრიადას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მას ჰქონდა ჯერ კიდევ ფიხტესათვის, რომლის ფილოსოფიაც არსებითად განსხვავდება **ჰეგელის** ფილოსოფიისგან. აშკარაა, რომ მხოლოდ სრულ უვიცობას შეუძლია ერთი ფილოსოფიური სისტემის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ჩათვალოს ისეთი თვისება, რომელიც საერთოა, **სულ ცოტა, ორი** ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სისტემისათვის.

ვწუხვართ, რომ „ტრიადა გვაწუვეტინებს ჩვენს დალაგებას, მაგრამ რაკი დავიწყეთ, უმჯობესია დავამთავროთ.. ვნახოთ ერთი ეს რა ფრინველია.

ყოველი მოვლენა ბოლომდე განვითარების შემდეგ იქცევა თავის წინააღმდეგობად; რადგან ახალი, პირველის საწინააღმდეგო მოვლენაც იქცევა თავისი მხრით თავის წინააღმდეგობად, ამის გამო განვითარების მესამე ფაზა **ფორმალურად პირველს წააგავს. ჯერ**

Мысль" 1891 წ. წიგ. III, განყ. II. გვ. 188). სამწუხაროა, მეტად სამწუხარო, რომ ბ. მიხაილოვსკი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენად დაკმაყოფილა მან თავისი გატაცება ჰეგელით. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი ამ მიმართულებით შორს არ წასულა.

[1]) ბ. მიხაილოვსკი-გვარწმუნებს, რომ განსვენებული ნ. ზიბერი, როცა მასთან კამათის დროს რუსეთში კაპიტალიზმის აუცილებლობას ამტკიცებდა, „მიმართავდა ყოველგვარ არგუმენტს, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო საშიშროების დროს იგი ეფარებოდა განვითარების უტყუარ და უდავო სამწევრიან დიალექტიკურ ფორმულას-"ო („Русская Мысль" 1892, წიგ. მე-VI, განყ. II, გვ. 196). ის გვარწმუნებს აგრეთვე, რომ მარქსის მთელი წინასწარმეტყველობა (როგორც ბ. მიხაილოვსკი ამბობს) კაპიტალისტური განვითარების დასასრულის შე-

ნუ შევეხებით კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს განვითარების ასეთი მსვლელობა. ვთქვათ, რომ ცდებოდა ის ხალხი, რომელიც ფიქრობდა—სავსებით შეეფერებაო; ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ტრიადა მხოლოდ **გამომდინარეობს** ჰეგელის ერთ-ერთი დებულებიდან, მაგრამ სრულიადაც არ წარმოადგენს მის ძირითად დებულებას. ეს მეტად არსებითი განსხვავებაა, რადგანაც ტრიადას რომ ძირითადი დებულების მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ მას მართლაც ამოეფარებოდა ის ხალხი, რომელიც მას დიდ როლს ანიჭებს. მაგრამ რადგანაც იგი ასეთ მნიშვნელობით არ გამოდის, ამიტომ იგი მხოლოდ ისეთ ხალხს შეუძლია საფარად იხმაროს, რომელსაც არ ესმის საქმის შინაარსი.

თავი.სთავად ცხადია,რომ არსებითად საქმის ვითარება ოდნავადაც არ შეიცვლებოდა იმით, რომ დიალექტიკის მოშხრეები არ დამყარებოდენ „ტრიადას" და უმნიშვნელო საშიშროების დროს საფარად ეხმარათ ის დებულება, რომ ყოველი.მოვლენა თავის წინააღმდეგობად იქცევა. მაგრამ ისინი არასოდეს არ ჩადიოდენ ამას იმიტომ, რომ აღნიშნული დებულება არ ამოსწურავს მათ თვალსაზრისს მოვლენათა განვითარებაზე. გარდა ამისა ისინი ამბობდენ, მაგალითად, რომ განვითარების პროცესში რაოდენობა გადადის თვისებაში და თვისება რაოდენობაშიო. მაშასადამე, ისინი ანგარიშს უწევდენ პროცესის როგორც რაოდენობითს, ისე თვისებითს მხარეს; ეს-კი ჰგულისხმობს მისი **ნამდვილი ფაქტიური მსვლელობის** გულდასმითს შესწავლას. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ კმაყოფილდებიან **განყენებული დასკვნებით განყენებული დებულებებიდან.** ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, არ უნდა დაკმაყოფილდენ ასეთი დასკვნებით, თუ კი სურთ ბოლომდე შერჩენ თავიანთ მსოფლმხედველობას.

„თავის თხზულებათა ყოველ გვერდზე ჰეგელი გამუდმებით და დაუღალავად აღნიშნავდა, რომ ფილოსოფიას და **ემპირიას** შორის იგივეობაა, რომ ფილოსოფია არაფერს მოითხოვს ისე დაჟინებით, როგორც ემპირიული მეცნიერების ღრმად შესწავლას... ფაქტიურ მასალას აზრის გარეშე მხოლოდ შედარებითი მნიშვნელო-

---

სახებ მხოლოდ „ტრიადას" ემყარებაო. მარქსის შესახებ ჩვენ ლაპარაკი ქვემოდ გვექნება, ნ. ზიბერის შესახებ-კი შევნიშნავთ, რომ ჩვენ არა ერთხელ გვქონია საუბარი განსვენებულთან და არ ყოფილა შემთხვევა მას ოდესმე „დიალექტიკური გინვითარება" დაემოწმებიოს. იგი თითონ ამბობდა, ჰეგელის მნიშვნელობა უახლესი ეკონომიის განვითარების საქმეში ჩემთვის სრულიად უცნობიაო. რასაკვირველია, გარდაცვლილებს ყველაფერი შეიძლება თავს მოახვიო და ამიტომ ბ. მიხაილოვსკის ჩვენებაც ურყევია.

ბა აქვს, აზრი ფაქტიური მასალის გარეშე—უბრალო ქიმერაა... ფილოსოფია არის ის შეგნება, რასაც აღწევენ ემპირიული მეცნიერებანი თავისი თავის შესახებ. შეუძლებელია იგი სხვა რამ იყოს".

აი რა დასკვნამდე მივიდა ლასალი ჰეგელის ფილოსოფიის შესწავლის ნიადაგზე მოაზროვნე მკვლევარის ამოცანის შესახებ:[1]) ფილოსოფოსები იმ მეცნიერებათა სპეციალისტები უნდა იყვენ, რომელთაც მათ სურთ ხელი შეუწყონ „თვითშეგნების" მიღწევის საქმეში. ვფიქრობთ, რომ საგნის სპეციალურ შესწავლასა და „ტრიადის" სადიდებლად უაზრო ლაყბობას შორის ძლიერ დიდი განსხვავებაა. და ნუვინ იტყვის, რომ ლასალი არ იყო „ნამდვილი" ჰეგელიანელი, რომ იგი ეკუთვნოდა „მემარცხენეებს" და დაუნდობლად ჰკიცხავდა „ნემარჯვენეებს" იმისთვის რომ ისინი გართული იყვენ განყენებული კონსტრუქციებით. ეს კაცი ხომ პირდაპირ ამბობს. ჩემი შეხედულებანი უშუალოდ ჰეგელისგან ვისესხეო.

თუმცა, შესაძლებელია თქვენ არ მიიღოთ ჩვენება „**მოპოებულ უფლებათა სისტემის**" ავტორისა იმის მსგავსად, როგორც სასამართლოში არ იღებენ ნათესავების ჩვენებას. ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექნება და მოწმედ მოვიხმობთ სრულიად გარეშე ადამიანს —„Очерки гоголевского периода русской литературы"-ის ავტორს.

გთხოვთ ყურადღებას: მოწმე ილაპარაკებს დიდხანს და თავისი ჩვეულებისამებრ ჭკვიანად.

„ჩვენ ისევე არა ვართ ჰეგელის მიმდევარი, როგორც დეკარტესი და არისტოტელესი. ჰეგელი ამჟამად უკვე წარსულს ეკუთვნის. ჩვენ ეპოქას სულ სხვა ფილოსოფია აქვს და იგი კარგად ამჩნევს ჰეგელის ფილოსოფიის ნაკლს, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ჰეგელის მიერ წამოყენებული პრინციპები მართლაც ძლიერ უახლოვდება ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტების ზოგიერთი მხარე ამ მოაზროვნემ ნამდვილად განსაცვიფრებელი სიძლიერით დაგვანახვა. ამ ჭეშმარიტებათაგან ზოგიერთის აღმოჩენა შეადგენს ჰეგელის პირად დამსახურებას; დანარჩენი, მართალია, ეკუთვნის არა მარტო მის სისტემას, არამედ მთელ გერმანულ ფილოსოფიას კანტისა და ფიხტეს დროიდან, მაგრამ იგი ჰეგელამდე არავის ისე ნათლად არ ჩამოუყალიბებია და ისე გარკვეით არ გამოუთქვამს, როგორც ეს მის სისტემაშია.

---

[1]) იხ. მისი System der erworbenen Rechte, zweite Auflage Leipzig. 1880 Vorrede. გვ. XII—XIII.

„პირველ ყოველისა აღვნიშნავთ ყოველი პროგრესის იმ ცხოველმყოფელ პრინციპს, რომლითაც ასე თვალსაჩინოდ და ბრწყინვალედ განირჩევა საერთოდ გერმანული ფილოსოფია და განსაკუთრებით ჰეგელის სისტემა იმ პირმოთნე და მშიშარა შეხედულებათაგან, რომელიც გაბატონებული იყო იმ დროის (XIX საუკუნის დასაწყისის) ფრანგსა და ინგლისელ მოაზროვნეებს შორის: „ჭეშმარიტება აზროვნების უმაღლესი მიზანია; ეძიეთ ჭეშმარიტება, იმიტომ რომ ჭეშმარიტებაშია სიკეთე, როგორიც უნდა იყოს იგი (ჭეშმარიტება) მაინც ყოველ არაჭეშმარიტზე უმჯობესია. მოაზროვნის პირველი მოვალეობაა: უკან არ დაიხიოს არავითარი შედეგების წინაშე; ის მზად უნდა იყოს შესწიროს ჭეშმარიტებას თავისი ყველაზე უფრო ძვირფასი შეხედულებანი. შეცთომა ყოველგვარი უბედურების წყაროა; ჭეშმარიტება უმაღლესი სიკეთე და სხვა სიკეთეთა წყაროა“. ამ მოთხოვნილების უდიდესი მნიშვნელობის შესაფასებლად, რომელიც საერთოდ ახასიათებს მთელ გერმანულ ფილოსოფიას კანტის დროიდან და რომელიც განსაკუთრებული სიმტკიცით წამოყენებული იქნა ჰეგელის მიერ, საჭიროა გავიხსენოთ, თუ როგორი საკვირველი და ვიწრო პირობებით ზღუდავდენ ჭეშმარიტებას იმ დროის სხვა სკოლის მოაზროვნეები: ისინი იწყებდენ ფილოსოფოსობას მხოლოდ იმ მიზნით, რომ „გაემართლებიათ მათთვის ძვირფასი შეხედულებანი“, ე, ი. ეძებდენ არა ჭეშმარიტებას, არამედ მათ მიერ წინასწარ შემუშავებულ შეხედულებათა დასაყრდენს; თითოეული იღებდა ჭეშმარიტებიდან მხოლოდ იმას, რაც მას მოსწონდა, ხოლო მისთვის არასასიამოვნო ჭეშმარიტებას უარჰყოფდა, რადგან, როგორც თითონ აღიარებდა უცერემონიოდ, სასიამოვნო შეცთომას მიუდგომელ სიმართლეზე მაღლა აყენებდა. მზრუნველობის ასეთ მანერას, რაც მიზნად ისახავდა არა ჭეშმარიტების, არამედ წინასწარ შემუშავებულ შეხედულებათა დაცვას, გერმანელმა ფილოსოფოსებმა (განსაკუთრებით ჰეგელმა) უწოდეს „სუბიექტური აზროვნება“ (ღმერთო ჩემო! ჩვენი სუბიექტური მოაზროვნეები ამიტომ ხომ არ უწოდებენ ჰეგელს სქოლასტიკოსს? ავტორი), ფილოსოფოსობა საკუთარი სიამოვნებისათვის და არა ჭეშმარიტების ნამდვილი მოთხოვნილებისათვის. ჰეგელმა დაუნდობლად ამხილა ეს უშინაარსო და მავნე გართობა (უსმინეთ! უსმინეთ!). იმ მიზნით, რათა შეუძლებელი გამხდარიყო პირადი სურვილებისა და ცრუმორწმუნეობის სასარგებლოდ ჭეშმარიტებისთვის გვერდის ავლა, ჰეგელმა როგორც აუცილებელი წინასწარ გამაფრთხილებელი საშუალება წამოაყენა შესანიშნავი „დიალექტიკური მეთოდი აზროვნებისა“ ამ უკანასკნელის არსი

მდგომარეობს იმაში, რომ მოაზროვნე არ უნდა კმაყოფილდებოდეს არც ერთი დადებითი შედეგით, არამედ უნდა ცდილობდეს აღმოაჩინოს: საგანს, რომელზეც ის აზროვნებს, ხომ არა აქვს ისეთი თვისებები და უნარი, რომელიც იმის საწინააღმდეგოა, რაც პირველი შეხედვით მას ამ საგნად ეჩვენება. ამრიგად, მოაზროვნე იძულებული იყო საგანი ყოველი მხრით განეხილა და ჭეშმარიტებას მიაღწევდა ის არა სხვა გზით, თუ არა როგორც სხვადასხვა საწინააღმდეგო შეხედულებათა ბრძოლის შედეგს. ამ გზით, საგანზე ძველი ცალმხრივი წარმოდგენის ნაცვლად თანდათან შესაძლებელი გახდა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევა და საგნის ყველა ნამდვილ თვისებებზე ცოცხალი წარმოდგენის შემუშავება. სინამდვილის ახსნა ფილოსოფიური აზროვნების არსებითი მოვალეობა შეიქნა. ამან გამოიწვია განსაკუთრებული ყურადღება სინამდვილესადმი, რაზეც წინად არ ფიქრობდენ და რასაც ასე უცერემონიოდ ამახინჯებ ენ საკუთარი ცალმხრივი წინასწარ შემუშავებულ შეხედულებათა სასარგებლოდ (De te fabula narratur!). ამრიგად, ჭეშმარიტების წინანდელი თვითნებითი გაგების ადგილი დაიპირა ჭეშმარიტების კეთილსინდისიერმა და დაუღალავმა ძიებამ. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებაზე, დროისა და ადგილის პირობებზე,—და ამიტომ ჰეგელმა აღიარა, რომ წინანდელი ზოგადი განყენებული ფრაზები, რომლითაც სიკეთესა და ბოროტებაზე მსჯელობდენ მათი გამომწვევი გარემოებათა და მიზეზების გაუთვალისწინებელად, არაა დამაკმაყოფილებელი. თითოეულ საგანს, თითოეულ მოვლენას აქვს თავისი საკუთარი მნიშვნელობა და მის შესახებ იმ გარემოებათა მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, რომელშიაც იგი იმყოფება. ეს წესი შემდეგი ფორმულით გამოითქმებოდა: „განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს; ჭეშმარიტება კონკრეტულია," ე. ი. განმსაზღვრელი მსჯელობა შეიძლება გამოითქვას მხოლოდ განსაზღვრულ ფაქტზე ყველა იმ გარემოებათა განხილვის შემდეგ, რაზეც ის დამოკიდებულია."[1])

---

[1]) ჩერნიშევსკი: „Очерки гоголевского периода русской литературы." СПБ 1892, გვ. გვ. 258-259. „Очерки"-ს ავტორი განსაკუთრებულ შენიშვნაში მშვენივრად არკვევს, თუ ნამდვილად რას ნიშნავს იმ გარემოებათა ასეთი განხილვა, რომელზეც დამოკიდებულია განსაზღვრული მოვლენა. ჩვენ ამ შენიშვნასაც მოვიყვანთ. „მაგალითად: „სიკეთეა თუ ბოროტება წვიმა?" ეს განყენებული კითხვაა; მასზე გარკვეული პასუხის მიცემა შეუძლებელია; წვიმას ხან სარგებლობა მოაქვს, ხან-კი, თუმცა იშვიათად—ზარალი; კითხვა გარკვევით უნდა დაისვას: „მას შემდეგ, რაც პურის თესვა დამთავრდა, ხუთი საათის განმავლობაში ძლიერ წვიმ-

ამრიგად, ერთის მხრით, ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჰეგელის ფილოსოფიას ახასიათებდა სინამდვილის ზედმიწევნით გულდასმითი შესწავლა; მეტად კეთილსინდისიერი განხილვა ყოველი გარკვეული საგნისა, მისი შესწავლა ცოცხალ გარემოში, დროისა და ადგილის ყველა იმ პირობებში, რომელიც მისი არსებობის აუცილებელი პირობა და თანმხლებია. ნ. გ. ჩერნიშევსკის ჩვენება ამ შემთხვევაში სრულიად ეთანხმება ფ. ლასალის ჩვენებას. ხოლო, მეორეს მხრით, ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ეს ფილოსოფია უშინაარსო სქოლასტიკა იყო, რომლის მთელი საიდუმლოება მდკომარეობდა „ტრიადის“ სოფისტურ გამოყენებაშიო. ამ შემთხვევაში ბ. მიხაილოვსკის ჩვენება სრულიად ეთანხმება ბ. ვ. ვ-ის და თანამედროვე რუსეთის სხვა მწერალთა მთელი ლეგიონის ჩვენებას. რითი აიხსნება მოწმეების ჩვენებათა ეს სხვადასხვაობა? როგორც გნებავთ ისე ახსენით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ლასალი და „Очерки гоголевского периода...“-ს ავტორი იცნობდენ იმ ფილოსოფიას, რომელზეც მსჯელობდენ, ხოლო ბ. ბ. მიხაილოვსკის, ვ. ვ.-ს და მათ ძმათ უთუოდ თავი არ შეუწუხებიათ ჰეგელის თუ გინდ ერთი თხზულების შესწავლითაც-კი.

აღსანიშნავია, რომ დიალექტიკური აზროვნების დახასიათების დროს „Очерки“-ს ავტორს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ტრიადის შესახებ. როგორ მოხდა, რომ მან ვერ შეამჩნია სწორედ ის სპილო, რომელსაც ბ. მიხაილოვსკი და კომპანია ასე დაჟინებით და ზეიმით უჩვენებენ სეირის მოყვარულთ? ვიმეორებთ: გახსოვდეთ, რომ „Очерки гоголевского периода...“-ს ავტორმა იცოდა ჰეგელის ფილოსოფია, ბ. მიხაილოვსკისა და კომპანიას კი არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მასზე.

იქნებ მკითხველს სურს გაიხსენოს „Очерки гоголевского периода“-ს ავტორის ზოგი სხვა შენიშვნებიც ჰეგელზე? იქნებ მან მიგვითითოს მისი შესანიშნავ წერილზე: „Критика философских предубеждений против общинного землевладения“? ამ წერილში

და,—სასარგებლო იყო თუ არა იგი ნათესისათვის?“ მხოლოდ ამ შემთხვევაშია პასუხი ნათელი და აზრიც აქვს მას: „ასეთი წვიმა მეტად სასარგებლოა“.—„მაგრამ იმავე ზაფხულს, როცა რთველის დრო დადგა მთელი კვირის განმავლობაში ასხამდა კოკისპირული წვიმა,—სასარგებლო იყო თუ არა ეს ყანისათვის?“ აქაც პასუხი ნათელი და მართებულია: „არა, ეს წვიმა საზარალო იყო“. სწორედ ამგვარად სწყდება ჰეგელის ფილოსოფიაში ყველა საკითხი. „დამღუპველია თუ კეთილმყოფელი ომი?“ საერთოდ შეუძლებელია ამას გადაჭრით ვუპასუხოთ: უნდა ვიცოდეთ, თუ რომელ ომზეა ლაპარაკი, ყველაფერი დამოკიდებულია დროისა და ადგილის გარემოებაზე. ველური ხალხისთვის ომის ზარალი ნაკლებად საგრძნობია, სარგებ-

ლაპარაკია სწორედ ტრიადაზე და ეროის შეხედვით ის წარმოდგენილია გერმანული იდეალიზმის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად. **მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით.** საკუთრების ისტორიის შესახებ ნსჯელობის დროს ავტორი ამტკიცებს, რომ თავისი განვითარების მესამე, უმაღლეს საფეხურზე ის დაუბრუნდება თავის გამოსავალ წერტილს, ე. ი. მიწის და საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება ადგილს დაუთმობს საზოგადოებრივ საკუთრებას. ასეთი დაბრუნება, ამბობს იგი, განვითარების ყოველი პროცესის საერთო კანონია. ავტორის არგუმენტაცია ამ შემთხვევაში მართლაც სხვა არაფერია, თუ არა ტრიადის დამოწმება და ესაა მისი არსებითი ნაკლი: **ის განყენებული** ხასიათისაა; საკუთრების განვითარების განხილვა წარმოებს კონკრეტი ისტორიული პირობების გარეშე; ამიტომ ავტორის საბუთები მოსწრებული და ბრწყინვალეა, მაგრამ დამრწმუნებელი არაა, ისინი მხოლოდ გვანცვიფრებენ, გვაკვირვებენ, მაგრამ ვერ გვარწმუნებენ. მაგრამ „Критика и т. д."-ის ავტორის არგუმენტაციის ნაკლი განა ჰეგელის ბრალია? როგორ ფიქრობთ, ექნებოდა თუ არა ავტორის არგუმენტაციას განყენებული ხასიათი, მას რომ საგანი განეხილა სწორედ ისე, როგორც ამას ჰეგელი გვირჩევდა, ე. ი. ისე, რომ სინამდვილეს არ გასცილებოდა, ე. ი. ყველა კონკრეტული პირობების, დროისა და ადგილის ყველა გარემოების აწონდაწონვით? ვფიქრობთ, რომ სწორედ მაშინ არ ექნებოდა ადგილი წერილში ჩვენ მიერ აღნიშნულ ნაკლს. მაშრამ გამოიწვია ეს ნაკლი?—იმ გარემოებამ, რომ „Критика философских предубеждений против общинного землевладения"-ს ავტორმა,—როცა იგი თავისი მოწინააღმდეგეების განყენებულ საბუთებს აბათილებდა,—დაივიწყა ჰეგელის კეთილი რჩევა, **უღალატა** იმავე მოაზროვნის **მეთოდს**, რომელსაც თითონ იმოწმებდა. სამწუხაროა, რომ მას, პოლემიკით გატაცებულს, ასეთი შეცთომა მოუვიდა. მაგრამ განა ჰეგელის ბრალია ის, რომ „Критика философ-

---

ლობა-კი—მეტი. განათლებულ ხალხთათვის ჩვეულებრივად ომს ნაკლები სარგებლობა და მეტი ზარალი მოაქვს. მაგრამ, მაგალითად, 1812 წლის ომი რუსი ხალხისთვის პირდაპირ მხსნელი იყო; მარათონის ბრძოლა კაცობრიობის ისტორიაში მეტად კეთილმყოფელი მოვლენა იყო.—ასეთია აზრი აქსიომისა: „არ არსებობს განყენებული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება კონკრეტულია"—საგნის ცნება მაშინ არის კონკრეტული, როცა იგი წარმოგვიდგება ყველა თვისებით და თავისებურებით და იმ გარემოში რომელშიაც იგი იმყოფება და არა ამ გარემოსა და მის ნამდვილ თავისებურებათა გარეშე (როგორც მას განყენებული აზროვნება წარმოიდგენს, რომლის მსჯელობასაც ამიტომ არავითარი აზრი არა აქვს სინამდვილისათვის)".

ских предубеждений против общинного землевладения"-ს ავტორმა ამ შემთხვევაშიც ვერ შესძლო მისი მეთოდის გამოყენება? როდის დაიწყეს ფილოსოფიური სისტემების შეფასება არა მისი შინაარსის, არამედ იმ შეცთომების მიხედვით, რასაც ის ხალხი ჩადის, რომელიც ამ სისტემებს იმოწმებს?

კიდევ ვიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული წერილის ავტორი დაჟინებით იმოწმებს ტრიადას, იგი იქაც არ თვლის მას დიალექტიკური მეთოდის დამახასიათებელი ნიშნად; ტრიადა იქაც წარმოადგენს არა საფუძველს, არამედ უდავო შედეგს. დიალექტიკის საფუძველი, მისი მთავარი არსებითი ნიშანი დახასიათებული აქვს მას შემდეგი სიტყვებით: **„ფორმათა მარადი ცვლა, განსაზღვრული შინაარსით ან მისწრაფებით წარმოშობილი ფორმის მარადი უარყოფა, იმავე მისწრაფების გაძლიერების, იმავე შინაარსის უმაღლესად განვითარების გამო...**—ვინც შეიგნო ეს დიადი, მარადი და საყოველთაო კანონი, ვინც დახელოვნდა მისი გამოყენების საქმეში ყველა მოვლენათა, მიმართ,—ოჰ! რარიგ მშვიდად შეუძლია მას" და სხვ.

„ფორმათა მარადი ცვლა, განსაზღვრული შინაარსით წარმოშობილი ფორმის მარადი უარყოფა"...—დიალექტიკოსები ასეთ ცვალებადობას, „ფორმის ასეთ უარყოფას" უყურებენ მართლაც როგორც დიადს, მარადს და საყოველთაო კანონს. დღეს ამ შეხედულებას არ იზიარებენ სოციალური მეცნიერების მხოლოდ ზოგ დარგთა წარმომადგენლები, რომელთაც არ შესწევთ გამბედაობა თვალი გაუსწორონ ჭეშმარიტებას, რომელნიც ლამობენ დაიცვან მათთვის ძვირფასი შეხედულება თუ გინდ შემცდარი დებულებითაც-კი. სწორედ ამიტომ უნდა ვაფასებდეთ გერმანელი დიდი იდეალისტების ამაგს, რომელნიც უკვე მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან განუწყვეტლივ იმეორებდენ აზრს ფორმათა მარადი ცვალებადობის შესახებ, ამ ფორმათა მუდმივი უარჰყოფის შესახებ მათი წარმომშობი შინაარსის გაძლიერების გამო.

ზემოდ ჩვენ „ჯერ" განუხილველად დავტოვეთ საკითხი იმის შესახებ, მართალია თუ არა გერმანელი დიალექტიკოს-იდეალისტების აზრი, რომ ყოველი მოვლენა თავის საკუთარ წინააღმდეგობად იქცევა. ვფიქრობთ, ეხლა მკითხველი დაგვეთანხმება, რომ შესაძლებელია ეს საკითხი სრულიად არც განვიხილოთ. როცა თქვენ მოვლენათა შესწავლის დროს დიალექტიკურ მეთოდს იყენებთ,—აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ **ფორმა მუდმივ იცვლება მისი შინაარსის უმაღლესი განვითარების გამო.** საგნის ყოველმხრივი გან-

ხილვისათვის, ფორმათა უარყოფის ეს პროცესი უნდა შეეისწავლოთ მთელი თავისი სისრულით. მაგრამ ახალი ფორმა იქნება თუ არა ძველის საწინააღმდეგო,—ამას დაგვანახვებს სინამდვილე, და ამის წინასწარი ცოდნა სრულიად არაა საჭირო. მართალია, სწორედ კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ყოველი საქმის მცოდნე იურისტი გეტყვის თქვენ, რომ ყოველი იურიდიული ინსტიტუტი ადრე თუ გვიან თავის საკუთარ წინააღმდეგობად იქცევა: ერთხანს იგი ხელს უწყობს განსაზღვრული საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; სწორედ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გამო ამ ხნის განმავლობაში იგი სასარგებლოა და აუცილებელი. შემდეგ იგი სულ უფრო და უფრო ცუდად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს; ბოლოს იგი იქცევა მათი დაკმაყოფილების **დაბრკოლებად**. იგი **აუცილებელიდან მავნებელი** ხდება, რის გამოც იგი ისპობა. აიღეთ რაც გნებავთ: ლიტერატურის ისტორია, ისტორია სახეებისა, და ყოველგან, სადაც განვითარებას აქვს ადგილი, თქვენ ასეთ დიალექტიკას იპოვით. მაგრამ ვინც დიალექტიკური პროცესის ღრმა შესწავლას მოისურვებდა და ამ შესწავლას იმ მოვლენათა **წინააღმდეგობის** შესახებ მოძღვრების შემოწმებით დაიწყებდა, რომელნიც განვითარების ყოველ განსაზღვრულ პროცესში ერთიმეორის გვერდით იმყოფებიან, იგი საქმეს მაინც არა შესაფერი მხრით მიუდგებოდა.

ასეთი შემოწმებისთვის თვალსაზრისის არჩევის დროს ყოველთვის დიდი ადგილი ექნებოდა **თვითნებითს ელემენტს**. ამ საკითხს უნდა შევხედოთ ობიექტური მხრით, ე. ი. უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის განსაზღვრული შინაარსის განვითარებით გამოწვეული ფორმათა აუცილებელი ცვლა? ეს იგივე, ხოლოდ სხვა სიტყვებით გამოთქმული აზრია. მაგრამ შემოწმების დროს უკვე ადგილი არა აქვს თვითნებითს ელემენტს, რადგანაც მკვლევარის თვალსაზრისი **ფორმისა** და **შინაარსის თვით ხასიათით** განისაზღვრება.

ენგელსის სიტყვით, ჰეგელის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა ყველა მოვლენას მისი (მოვლენის) **განვითარების**—მისი წარმოშობისა და გაქრობის თვალსაზრისით შეხედა. „შესაძლებელია ვიდავოთ იმის შესახებ, პირველი იყო თუ არა იგი, რომელიც ასე მოიქცა, ამბობს ბ. მიხაილოვსკი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არც უკანასკნელი იყო, და განვითარების თანამედროვე თეორიებს—სპენსერის ევოლიუციონიზმს, დარვინიზმს,

განვითარების იდეებს ფსიქოლოგიაში, ფიზიკაში, გეოლოგიაში და სხვ...—არაფერი აქვთ საერთო ჰეგელიანიზმთან."-[1])

თუ თანამედროვე ბუნებისმეტყველება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადასტურებს ჰეგელის გენიალურ აზრს რაოდენობის თვისებაში გადასვლის შესახებ, განა შეიძლება ითქვას რომ მას არაფერი აქვს საერთო ჰეგელიანიზმთან? მართალია, ჰეგელი არ იყო **„უკანასკნელი"** იმათ შორის, ვინც ასეთ გადასვლაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ეს სწორედ იმავე მიზეზით, რომლის გამოც დარვინი არ იყო „უკანასკნელი" იმ ხალხს შორის, რომელიც სახეობათა ცვალებადობაზე ლაპარაკობდა და ნიუტონი „უკანასკნელი" ნიუტონისტი. რა გაეწყობა? ასეთია ადამიანის გონების განვითარების მსვლელობა! თუ თქვენ **სწორ აზრს** გამოთქვამთ, ალბათ არ იქნებით „უკანასკნელი" მის დამცველთა შორის; თუ **სისულელეს** იტყვით, თუმცა ხალხს ძლიერი მიდრეკილება აქვს მისდამი, მაგრამ საეჭვოა, რომ თქვენ მის დამცველთა შორის „უკანასკნელი აღმოჩნდეთ. ასე, მაგალითად, ჩვენი აზრით ძალიან საეჭვოა, რომ ბ. მიხაილოვსკი „უკანასკნელი" დამცველი აღმოჩნდეს „სოციოლოგიის სუბიექტური მეთოდისა." სიმართლე გითხრათ, ჩვენ არავითარი საბაბი არ გვაქვს გონების განვითარების ასეთი მსვლელობა ვინაღვლოთ.

ჩვენ ვთხოვთ ბ. მიხაილოვსკის, რომელსაც ყველაფერზე და კიდევ ბევრ რამეზე „შეუძლია იდავოს",—დაარღვიოს შემდეგი ჩვენი დებულება: ყოველგან, სადაც თავს იჩენს განვითარების იდეა, იქნება ეს „ფსიქოლოგიაში, ფიზიკასა და გეოლოგიაში და სხვ.," მას უეჭველად ბევრი რამ „საერთო აქვს ჰეგელიანიზმთან", ე. ი. ყოველ ახალ მოძღვრებაში განვითარების შესახებ უეჭველად მეორდება ჰეგელის ზოგი საერთო ხასიათის დებულება. ვამბობთ **ზოგი** და **არა ყველა**, იმიტომ რომ ბევრი თანამედროვე ევოლიუციონისტი მოკლებულია სათანადო ფილოსოფიურ განათლებას და „ევოლიუცია" **განყენებულად, ცალმხრივად** ესმის. მაგალითი: უკვე ზემოხსენებულნი პირნი, რომელნიც გვარწმუნებენ—არც ისტორიამ და არც ბუნებამ ნახტომები არ იცისო. ასეთი ხალხი ბევრ რასმე მოიგებდა ჰეგელის **ლოგიკის** შესწავლით. სცადოს ბ. მიხაილოვსკიმ ჩვენი დებულებების დარღვევა, მაგრამ ნუ დაივიწყებს, რომ ჩვენი გაბათილება შეუძლებელია იმ ცოდნით, რომელიც მას ჰეგელის შესახებ ბ. სპასოვიჩის „Lისხლის სამართლის" და ლიუსის „ფილოსოფიის ისტორიის" სახელმძღვანელოებიდან მიუღია. საჭიროა თავი შეიწუხოთ თვით ჰეგელის შესწავლისათვის.

---

[1]) Русское Богатство, 1894, წგ. 2; განყ. II. გვ. 150.

როცა ვამბობთ, რომ ევოლიუციონისტების თანამედროვე მოძღვრებას ჰეგელიანიზმთან ყოველთვის ბევრი რამ საერთო აქვს მეთქი, ამით ჩვენ იმის თქმა-კი არ გვინდა, რომ ჩვენი დროის ევოლიუციონისტებმა თავიანთი თვალსაზრისი ჰეგელისგან ისესხეს. პირიქით. ხშირად მათ მასზე სწორედ ისეთივე შემცდარი წარმოდგენა აქვთ, როგორიც ბ. მიხაილოვსკის. და თუ, მიუხედავად ამისა, მათი თეორიები, თუმცა ნაწილობრივ, და სწორედ იქ, სადაც ისინი სისწორეს შეიცავენ, წარმოადგენენ „ჰეგელიანიზმის“ ახალ ილიუსტრაციას—ეს გარემოება მხოლოდ უფრო ნათელჰყოფს გერმანელი იდეალისტის აზროვნების განსაცვიფრებელ სიძლიერეს: ხალხი, რომელსაც არასოდეს არ წაუკითხავს იგი, ფაქტებისა და „სინამდვილის“ სიცხადის ზეგავლენით იძულებული ხდება იმსჯელოს ისე, როგორც ჰეგელი მსჯელობდა. ფილოსოფოსის ამაზე მეტი გამარჯვების წარმოდგენა შეუძლებელია: მას არ სცნობს **მკითხველი**, მაგრამ **სინამდვილე** მას ამართლებს.

ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, თუ როგორი იყო გერმანელი იდეალისტების თვალსაზრისის უშუალო გავლენა გერმანულ ბუნებისმეტყველებაზე აღნიშნული მიმართულებით, თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ მიმდინარე საუკუნის პირველ ნახევარში გერმანელი ნატურალისტებიც-კი მთელი საუნივერსიტეტო კურსის განმავლობაში ფილოსოფიას სწავლობდენ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა **ისეთი** მცოდნენი, როგორიც ჰეკელია, ეხლა პატივისცემით იხსენიებენ ნატურ-ფილოსოფოსების ევოლიუციონურ თეორიებს. მაგრამ ~~ბუნების ფილოსოფია~~ გერმანული იდეალიზმის სუსტ მხარეს წარმოადგენდა. ის ძლიერი **იმ თეორიებით იყო, რომელიც ისტორიული განვითარების სხვა და სხვა ხარეს ეხებოდა.** ხოლო რაც შეეხება ამ თეორიებს, გაიხსენოს ბ. მიხაილოვსკიმ—თუ-კი ოდესმე იცოდა—რომ სწორედ ჰეგელის სკოლიდან გამოვიდა მოაზროვნეთა და მკვლევართა მთელი ის ბრწყინვალე პლეადა, რომელმაც ახალ საფუძველზე დააყენა რელიგიის, ესთეტიკის, სამართლის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის ფილოსოფიის და სხვ. შესწავლა. ყველა ამ „დისციპლინაში“ განსაზღვრულის, ყველაზე უფრო ნაყოფიერი პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი გამოჩენილი მუშაკი, რომელსაც თავისი განვითარებისა და მეცნიერებაზე ახალი თვალსაზრისის შემუშავების დროს ჰეგელის ფილოსოფიის გავლენა არ განეცადოს. ხომ არ ფიქრობს ბ. მიხაილოვსკი, რომ ამის წინააღმდეგაც „შესაძლებელია დავა“? თუ ჰო, აბა ერთი სცადოს?

ბ. მიხაილოვსკი სცდილობს მისი მსჯელობა ჰეგელზე „გასაგები იყოს ისეთი ხალხისთვის, რომლისთვისაც უცნობია საიდუმლოება „ეგორი ფედოროვიჩის ფილოსოფიური ყალფაკისა“, როგორც უდიერად ამბობდა ბელინსკი ჰეგელზე მის წინააღმდეგ გალაშქრების დროს“. მას მოჰყავს „ამისათვის“ ორი მაგალითი ენგელსის წიგნიდან „Herrn Eugen During's Umwälzung der Wissenschaft“ (საკვირველია, რატომ არა თვით ჰეგელიდან? ასე ეხერხებოდა იმ მწერალს მოქცეულიყო, „რომელიც გასცნობია საიდუმლოებას“ და სხვ.)

„შვრიის მარცვალი ხვდება ხელსაყრელ პირობებში: ის აღმოცენდება და ამ გზით, **როგორც ასეთი**—როგორც მარცვალი **უარიყოფა**: მის ნაცვლად წარმოიშობა ღერო, რომელიც მარცვლის **უარყოფაა**; მცენარე ვითარდება, გამოაქვს ნაყოფი, ე. ი. შვრიის ახალი მარცვალი; და როცა ეს მარცვალი დამწიფდება, ღერო კვდება; იგი—მარცვლის **უარყოფა თვით უარიყოფა**. შემდეგ „უარყოფის“ და „უარყოფის უარყოფის“ პროცესი დაუსრულებლივ (sic!) მეორდება. ამ პროცესის საფუძველს წარმოადგენს **წინააღმდეგობა**: შვრიის მარცვალი ერთსა და იმავე დროს მარცვალიცაა და არა-მარცვალიც რადგან იგი ყოველთვის იმყოფება ნამდვილ ან შესაძლებელ განვითარებაში“. ბ. მიხაილოვსკის, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგაც შეუძლია იდავოს. აი როგორ ესმის მას ამ მომხიბვლელი **შესაძლებლობის სინამდვილედ** გარდაქცევა.

„პირველი საფეხური, ე. ი. საფეხური მარცვლისა არის თეზისი, დებულება; მეორე, ახალი მარცვლების წარმოშობამდე, არის ანტითეზისი—საწინააღმდეგო დებულება; მესამე-არის სინთეზისი ან შერიგება (ბ. მიხაილოვსკიმ განიზრახა პოპულიარულად სწეროს და ამიტომ არ ტოვებს ბერძნულ სიტყვებს აუხსნელად და გადაუთარგმნელად); ყველა ერთად შეადგენს ტრიადას ან ტრიხოტომიას. ასეთია ბედი ყოველი ცოცხალი არსების: ის წარმოიშობა, ვითარდება და იძლევა საწყისს თავისი განმეორებისათვის, რის შემდეგაც კვდება. მკითხველს მყისვე აგონდება ამ პროცესის ცალკე გამოვლენათა უამრავი რიცხვი და ჰეგელის კანონი გამართლებულია მთელი ორგანიული ბუნების მიმართ (ამჟამად ჩვენ ამაზე შორს არ მივდივართ). მაგრამ თუ ჩვენს მაგალითს უფრო ახლო ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ ჩვენი განზოგადოება მეტად ზერელე და თვითნებითია. ჩვენ ავიღეთ მარცვალი, ღერო და ისევ მარცვალიან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მარცვალთა განსაზღვრული რაოდენობა. მაგრამ სანამ ნაყოფს გამოიღებდეს მცენარე ხომ ჰყავის. როცა

ჩვენ ვლაპარაკობთ შვრიაზე ან სხვა ისეთ პურეულ მცენარეზე, რომელსაც სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, შეგვიძლია მხედველობაში გვქონდეს დათესილი მარცვალი, ბზე და მოწეული მარცვალი, მაგრამ ამ სამი მომენტით მცენარის სიცოცხლის შემოფარგვლის არავითარი საფუძველი არა გვაქვს. მცენარის აყვავების მომენტს თან სდევს ძალთა განსაკუთრებული და თავისებური დაჭიმვა და რადგანაც ყვავილი უშუალოდ არ წარმოიშობა მარცვლისაგან, ამიტომ თუ ჰეგელის ტერმინოლოგიას დავიცავთ, მივიღებთ არა ტრიხოტომიას, არამედ, სულ მცირე, ტეტრახოტომიას მაინც, ოთხმაგ გაყოფას: ღერო უარჰყოფს მარცვალს, ყვავილი უარჰყოფს ღეროს, ნაყოფი უარჰყოფს ყვავილს. აყვავების მომენტის გამოტოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ აი რა მხრით. ჰეგელის დროს იქნებ დასაშვებიც იყო მცენარის სიცოცხლის დასაწყის მომენტად მარცვალის აღიარება, ხოლო მეურნეობის თვალსაზრისით ეს ეხლაც დასაშვებია: სამეურნეო წელი იწყება მარცვლის დათესვის მომენტიდან. მაგრამ მცენარის სიცოცხლე მარცვლიდან როდი იწყება. ჩვენ ეხლა ძალიან კარგად ვიცით, რომ მარცვალი თავისი აგებულობით არის მეტად რთული რამ და თვით წარმოადგენს უჯრედის განვითარების პროდუქტს და რომ გამრავლებისათვის საჭირო უჯრედები სწორედ აყვავების დროს წარმოიშობა. ამრიგად, მცენარის სიცოცხლის შესახებ მოყვანილ მაგალითში სიცოცხლის დასაწყისი პუნქტი აღებულია თვითნებითად და შეცთომით და მთელი პროცესი ხელოვნურად და ასევე თვითნებითად არის მოქცეული ტრიხოტომიის ჩარჩოებში"[1]). დასკვნა: **„ვფიქრობთ, დროა უარვჰყოთ ის აზრი, რომ შვრია ჰეგელის მიხედვით იზრდება".**

ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება! ჩვენს დროს, ე. ი. როცა ამ სტრიქონების დამწერი თავის სტუდენტობისას ბუნებისმეტყველებას სწავლობდა, შვრია იზრდებოდა „ჰეგელის მოძღვრების მიხედვით", ეხლა კი **„ჩვენ ძალიან კარგად ვიცით"**, რომ ეს სისულელეა; ეხლა „nous avons changé tout cela". მაგრამ კმარა, ვნახოთ, მართლა კარგად „ვიცით„ თუ არა ის, რის შესახებაც „ჩვენ" ვლაპარაკობთ.

ბ. მიხაილოვსკი **ენგელსის** თხზულებიდან მოყვანილ მაგალითს შვრიის მარცვლის შესახებ სულ სხვანაირად გადმოგვცემს, ვიდრე ის მოთხრობილი აქვს თვით ენგელსს. ენგელსი ამბობს: „მარცვალი, როგორც ასეთი, ისპობა, ის **უარიყოფა**, მის ადგილს იჭერს მისგან აღმოცენებული მცენარე, მარცვლის უარყოფა. მაგრამ როგორია ამ

---

[1]) „Русское Богатство", ნაჩვ. წიგ., განყ. II, გვ. 154-157.

მცენარის სიცოცხლის ნორმალური პერიოდი? ის იზრდება, ჰყვავის, ნაყოფიერდება და ბოლოს ისევ იძლევა შვრიის მარცვალს;[1]) როცა მარცვალი დამწიფდება, ღერო კვდება, უარიყოფა თავის მხრით. როგორც ამ უარყოფის შედეგს ჩვენ მივიღებთ ისევ შვრიის მარცვალს, მაგრამ არა ერთს, არამედ ერ ოი-ათად, ერთი-ოცად და ერთი-ოცდაათად.[2]) ენგელსის მიხედვით მარცლის უარყოფას წარმოადგენს **მთელი მცენარე**, რომლის სიცოცხლის განვითარებაც, სხვათა შორის, შეიცავს **აყვავებასა და განაყოფიერებასაც**. ბ. მიხაილოვსკი „უარჰყოფს“ მცენარეს და მის მაგივრად ხმარობს სიტყვა **ღერო**-ს. ღერო, როგორც ვიცით, მცენარის **მხოლოდ ნაწილს** შეადგენსდა, ცხადია, **უარიყოფა** მისი სხვა ნაწილების მიერ, omnis determinatio est negatio. მაგრამ ბ. მიხაილოვსკი სწორედ ამიტომ „უარჰყოფს“ ენგელსის გამოთქმას და მას თავისი საკუთარი გამოთქმით ცვლის: ღერო უარჰყოფს მარცვალს, გაჰკივის ის, ყვავილი უარჰყოფს ღეროს, ნაყოფი უარჰყოფს ყვავილს; აქ სულ ცოტა, ტეტრახოტომია მაინცაა! —დიახ ბ. მიხაილოვსკი! მაგრამ ყოველივე ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ენგელსთან პოლემიკის დროს თქვენ არ იხევთ, ასე ვთქვათ, **თქვენი მოწინააღმდეგის სიტყვების შეცვლის „მომენტის“ წინაშეც კი**. ეს ხერხი რამოდენადმე.... „სუბიექტურია“.

რაკი შეცვლის „მომენტმა“ თავისი საქმე შეასრულა, საძულველი ტრიადა ხუხულასავით ინგრევა. თქვენ გამოტოვეთ აყვავების მომენტიო, უსაყვედურებს რუსი „სოციოლოგი“ გერმანელ სოციალისტს,—„აყვავების მომენტის გამოტოვებას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს“-ო. მკითხველმა დაინახა, რომ „აყვავების მომენტი“ გამოტოვებულია არა ენგელსის, არამედ ბ. მიხაილოვსკის მიერ ენგელსის შეხედულების გადმოცემის დროს. მან იცის აგრეთვე, რომ ასეთ „გამოტოვებას“ ლიტერატურაში დიდი, თუმცა სრულიად უარყოფითი მნიშვნელობა ეძლევა. ბ. მიხაილოვსკიმ აქაც ჩვენთვის ცნობილ „მომენტს“ მიმართა. მაგრამ რა გაეწყობა? „ტრიადა“ ასე საძულველია, გამარჯვება ასე სასიამოვნო, ხოლო ხალხი, რომელმაც სრულიად არ იცის ცნობილი „ყალფაკის“ საიდუმლოება, ასე გულუბრყვილო.

---

[1]) სწორად რომ ვთქვათ, ენგელსი ლაპარაკობს ჭერის და არა შვრიის მარცვალზე მაგრამ ამას, რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

[2]) Herrn Eugen Dühring's Wmwälzung der Wissenschaft. 1 გამ., პირველი ნაწილი გვ. 111-112.

ჩვენ უცოდველნი ვართ დაბადებით,
ჩვენნი ნამუსის ერთგულნი მცველნი.
მაგრამ ხომ არის შეხლა-შემოხლა
და ჩვენც უნებურ ცოდვებში ვებმით...

ყვავილი არის მცენარის ორგანო და მას, როგორც ასეთს, ისევე არ შეუძლია მცენარის უარჰყოფა, როგორც ბ. მიხაილოსკის თავს არ შეუძლია ბ. მიხაილოვსკის უარყოფა. მაგრამ „ნაყოფი", ე. ი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, განაყოფიერებული კვერცხი, როგორც ახალი სიცოცხლის განვითარების გამოსავალი წერტილი, მართლაც ორგანიზმის უარყოფას წარმოადგენს. ენგელსიც მცენარის სიცოცხლის პერიოდს განიხილავს კვერცხიდან მცენარის განვითარების დაწყების მომენტიდან მცენარის მიერ განაყოფიერებული კვერცხის **ხელახლა წარმოშობამდე**. ბ. მიხაილოვსკი მცოდნის კილოთი შენიშნავს: „მცენარის სიცოცხლე მარცვლიდან როდი იწყებაო, ჩვენ ეხლა ძალიან კარგად ვიცითო" და სხვ.—მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ეხლა ვიცით, რომ კვერცხი ნაყოფიერდება აყვავების დროს. ენგელსმა ეს ბ. მიხაილოვსკიზე ნაკლებად არ იცის. მაგრამ რისი მაჩვენებელია ეს? თუ ბ. მიხაილოვსკი ინებებს, **მარცვალს** ჩვენ **განაყოფიერებული კვერცხით** შევცვლით. მაგრამ ეს ვერ შესცვლის მცენარის სიცოცხლის საფეხურებს, ვერ უარჰყოფს „ტრიადას". შვრია მაინც **ჰეგელის მიხედვით** განაგრძობს ზრდას.

მართლაც, ერთი წუთით დაუშვათ, რომ „აყვავების მომენტი" აქარწყლებს ჰეგელიანელთა ყველა მოსაზრებას. რას გვირჩევს ბ. მიხაილოვსკი, როგორ მოვექცეთ უყვავილო მცენარეებს? ნუთუ იგი მათზეც ტრიადის კანონებს გაავრცელებს? მაგრამ ეს მიუღებელია, რადგანაც ამ შემთხვევაში ტრიადას ქვეშევრდომთა მეტად დიდი რიცხვი ეყოლება.

მაგრამ ჩვენ ასეთი კითხვით მხოლოდ იმიტომ მივმართავთ ბ. მიხაილოვსკის, რომ მისი აზრი გავიგოთ. ჩვენ-კი იმ აზრზე ვრჩებით, რომ ტრიადას „ყვავილითაც" ვერ მოიცილებ. და განა მარტო ჩვენ ეფიქრობთ ასე? აი მაგალითად, რას ამბობს სპეციალისტი ბოტანიკოსი **ფ. ვან-ტიგემი**:: „ყოველი მცენარის სხეული,—რა ფორმაც უნდა ჰქონდეს მას (მცენარეს) და ამ ფორმის გამო რა ჯგუფსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი,—წარმოსდგება სხვა სხეულისგან, რომელიც მასზე წინ არსებობდა და რომელსაც ის გამოეყო. იგი თავის მხრით რამდენიმე ხნის შემდეგ თავის მასიდან გამოჰყოფს განსაზღვრულ ნაწილებს, რომელიც ახალი სხეულის გამოსავალ წერტილად, ჩანასახად იქცევა და სხვ... ერთი სიტყვით, როგორც მისი დაბადება, ისე

მისი ხელახალი წარმოშობაც ხდება დისოციაციის გზით"[1]). დახეთ! პატივცემული მეცნიერი, ინსტიტუტის წევრი, პროფესორია ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმში, მსჯელობს-კი როგორც ჭეშმარიტი ჰეგელიანელი: იგი ამბობს, დისოციაციით იწყება და ისევ მას უბრუნდებაო. და არც ერთი სიტყვა „აყვავების მომენტზე". ჩვენც კარგად გვესმის, რომ ეს მეტად არასასიამოვნო იქნება ბ. მიხაილოვსკისათვის; მაგრამ რა გაეწყობა, ჭეშმარიტება, როგორც ვიცით პლატონზე მაღლა დგას.

კიდევ ერთხელ დაუშვათ, რომ „აყვავების მომენტი" ტრიადას აქარწყლებს. მაშინ „ჰეგელის ტერმინალოგია რომ დავიცვათ, მივიღებთ არა ტრიხოტომიას, არამედ, სულ მცირე, ტეტრახოტომიას მაინც, **ოთხმაგ გაყოფას**". „ჰეგელის ტერმინოლოგია" ჩვენ მოგვაგონებს მის „ენციკლოპედიას". ჩვენ გადავშლით მის პირველ ნაწილს, საიდანაც ვტყობილობთ, რომ არის ბევრი შემთხვევა, როცა **ტრიხოტომია** გადადის **ტეტრახოტომიაში** და რომ საზოგადოდ ტრიხოტომია მხოლოდ სულის სფეროში ბატონობს. [2]) გამოდის, რომ შვრია როგორც ამაში ვან-ტიგემი გვარწმუნებს, ჰეგელის მიხედვით იზრდება, ხოლო ჰეგელი-კი შვრიის შესახებ ბ. მიხაილოვსკისებურად მსჯელობს, როგორც ამას მოწმობ „Encyclpädie der philosophischen Wissenschaften im Grundrisse". სწორედ სასწაულია!

ბ. მიხაილოვსკის მიერ ენგელსისგან „უვიცთა" გასანათლებლად ნასესხები მეორე მაგალითი შეეხება რუსოს მოძღვრებას.

„რუსოს მიხედვით, ბუნებრივ მდგომარეობისა და ველურობის დროს ადამიანები თანასწორნი იყვენ, როგორც ცხოველები. მაგრამ ადამიანს ახასიათებს განვითარების უნარი და ეს განვითარება დაიწყო უთანასწორობის წარმოშობასთან ერთად, და მერმე-კი ცივილიზაციის ყოველი შემდეგი ნაბიჯი წინააღმდეგობითი იყო. „ერთის შეხედვით ეს იყო ნაბიჯი ინდივიდის განვითარებისაკენ, ნამდვილადკი იგი ადამიანთა გვარის დაქვეითებას იწვევდა... მეტალურგია და მიწათმოქმედება--ი საქმიანობის ორი დარგი, რომლის შემოღებამ მთელი რევოლიუცია გამოიწვია. მგოსნის თვალსაზრისით ოქრომ და ვერცხლმა, ფილოსოფოსის თვალსაზრისით-კი რკინამ და პურმა ადამიანთა გვარი ცივილიზაციის გზაზე დააყენეს და კიდეც დაღუპეს იგი". უთანასწორობა თანდათან ვითარდება და როცა თავის აპო-

---

[1])Traité de Botanique par Ph. Yon-Tieghem, 2-me édition, première partie. Paris. 1891. p. 24.

[2]) Encyclopädie, Erster Theil, §, 230 Zusatz.

გეას აღწევს, აღმოსავლეთის დესპოტიებში კვლავ საყოველთაო არარაობის საყოველთაო თანასწორობად იქცევა, ე. ი. უბრუნდება თავის გამოსავალ წერტილს, მერმე-კი შემდეგს პროცესს იმავე წესით სოციალური ხელშეკრულობის თანასწორობამდე მივყევართ".

ასე გადმოგვცემს ბ. მიხაილოვსკი ენგელსის მიერ მოყვანილ მაგალითს. როგორც ეს თავისთავად ცხადია, ბ. მიხაილოვსკის ამ შემთხვევაშიაც შეუძლია იდავოს.

„შეიძლებოდა ცოტა რამ შეგვენიშნა ენგელსის დალაგების შესახებ, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ, თუ რას აფასებს ენგელსი რუსოს ტრაქტატში (Discours sur l'origine et les fondements de l'inégalité parmi les hommes). ის არ ეხება საკითხს იმის შესახებ, სწორად ესმის თუ არა რუსოს ისტორიის მსვლელობა, მას აინტერესებს მხოლოდ ის, რომ რუსო „დიალექტიკურად აზროვნებს": **წინააღმდეგობას** ხედავს თვით პროგრესის შინაარსში და ისე აწყობს თავის დალაგებას, რომ შესაძლებელია მას მიუყენოთ ჰეგელის ფორმულა **უარყოფისა და უარყოფის უარყოფისა**. და მართლაც ეს შესაძლებელია, თუმცა რუსო არც-კი იცნობდა ჰეგელის დიალექტიკის ფორმულას."

ენგელსზე ეს თავდასხმა მხოლოდ პირველს საავანპოსტო თავდასხმას წარმოადგენს „ჰეგელიანიზმზე". შემდეგ იერიში იწყება sur toute la ligne.

„რუსო არ იცნობდა ჰეგელს, მაგრამ აზროვნებდა დიალექტიკურად ისე, როგორც ჰეგელი. რატომ სწორედ რუსო და არა ვოლტერი, არა სხვა ვინმე? იმიტომ რომ ადამიანი ბუნებრივად დიალექტიკურად აზროვნებს. მაგრამ მაინც აღებულია რუსო, რომელიც განირჩეოდა თავის თანამედროვეთაგან არა მარტო თავისი ნიჭით,— ამ მხრით მას ბევრი არ ჩამოუვარდებოდა,—არამედ თავისი გონების წყობით და მსოფლმხედველობის ხასიათით. ასეთი არაჩვეულებრივი მოვლენა, რასაკვირველია, არ უნდა ყოფილიყო აღებული საყოველთაო წესის შესამოწმებლად. რუსო საინტერესო და ყურადღების ღირსია, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მან პირველმა საკმაო მკვეთრად დაგვანახვა ცივილიზაციის **წინააღმდეგობითი** ხასიათი, წინააღმდეგობა-კი დიალექტიკური პროცესის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუმცა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ რუსოს მიერ შემჩნეულ წინააღმდეგობას არაფერი აქვს საერთო წინააღმდეგობასთან, ამ სიტყვის ჰეგელიანური მნიშვნელობით. ჰეგელიანური წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი საგანი განუწყვეტელივ მოძრაობის, ცვალებადობის პროცესში ყოფნის დროს

(სწორედ თანმიმდევრობითი სამსაფეხურიანი გზით) ყოველ განსაზღვრულ მომენტში არის „ის“ და ამავე დროს „არა-ის“. თუ მხედველობაში არ მივიღებთ განვითარების სავალდებულო სამ საფეხურს,—მაშინ აქ წინააღმდეგობა წარმოგვიდგება ცვალებადობის, მოძრაობის და განვითარების როგორც უბრალო სარჩული ცვლილებათა პროცესზე რუსოც ლაპარაკობს, მაგრამ წინააღმდეგობას იგი თვით ცვლილებათა ფაქტში როდი ხედავს. მისი მსჯელობის მნიშვნელოვანი ნაწილიდან, როგორც Discours l'inégalité-ში, ისე მის სხვა თხზულებებში, შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: გონებრივ პროგრესს თან ახლდა ზნეობრივი რეგრესი. ცხადია, დიალექტიკური აზროვნება აქ არაფერ შუაშია: აქ „უარყოფის უარყოფა“ კი არაა, არამედ მხოლოდ აღნიშნულია სიკეთის და ბოროტების ერთდროული არსებობა მოვლენაში განსაზღვრულ ჯგუფში, და აქ დიალექტიკურ პროცესთან მთელი მსგავსება სიტყვა „წინააღმდეგობას“ ემყარება. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. რუსოს მსჯელობაში ენგელსი ამის გარდა ხედავს აშკარა ტრიხოტომიას: პირველყოფილ თანასწორობას სცვლის მისი უარყოფა—უთანასწორობა, შემდეგ მყარდება უარყოფის უარყოფა—აღმოსავლეთის დესპოტიებში ხანის, სულთანის, შაჰის უფლების წინაშე ყველასი თანასწორობა. „უთანასწორობის ეს უკანასკნელი საფეხური სწორედ ის უკიდურესი წერტილია, რომელიც განვითარების წრეს ასრულებს და რომელსაც ისევ გამოსავალ წერტილთან მივყევართ“. მაგრამ ისტორია ამაზე არ ჩერდება, ანვითარებს ახალ უთანასწორობათ და სხვ... ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები რუსოს ეკუთვნის, და სწორედ მათ აქვთ ენგელსისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც იმის აშკარა საბუთს, რომ რუსო ჰეგელისებურად აზროვნებდა[1]).

რუსო „აშკარად განირჩევოდა თავის თანამედროვეთაგან“. ეს მართალია. რით განირჩევოდა? იმით, რომ ის **დიალექტიკურად** აზროვნებდა მაშინ, როცა თითქმის ყველა მისი თანამედროვე **მეტაფიზიკოსი** იყო. მისი შეხედულება უთანასწორობის წარმოშობაზე სწორედ **დიალექტიკური შეხედულებაა**, თუმცა ბ. მიხაილოვსკი ამას უარჰყოფს.

ბ. მიხაილოვსკის სიტყვით, რუსომ მხოლოდ მიგვითითა იმაზე, რომ ცივილიზაციის ისტორიაში გონებრივ პროგრესს თან სდევდა

---

[1]) ყველა ეს ამონაწერი ამოღებულია „Русское Богатство“-დან, რომლის სათანადო ადგილებზე ჩვენ ზემოდაც მიუთითებდით.

ზნეობრივი რეგრესი. არა, რუსომ მარტო ამაზე როდი მიგვითითა. მისი აზრით გონებრივი პროგრესი ზნეობრივი რეგრესის **მიზეზს** წარმოადგენდა. ამაში დარწმუნება რუსოს თხზულებათა წაუკითხავადაც შეიძლებოდა: საკმარისი იყო ამის წინ მოყვანილი ამონაწერის მიხედვით იმის გახსენება, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ის ლითონისა და მიწის დამუშავებას, რამაც მოახდინა უდიდესი რევოლიუცია და მოსპო პირველყოფილი თანასწორობა. მაგრამ ვისაც თვით რუსო წაუკითხავს, მას, რასაკვირველია, არ დავიწყებია შემდეგი ადგილი მის „Discours sur l'origine de l'inégalité-დან „il me reste à considérer rapprocher les differents hasards qui ont pu reflectionner la raison humaine en détérioiva l'espéce, rendre un être mechant en le rendant sociable“.“ (მე დამრჩენია შევაფასო და თავი მოუყარო სხვადასხვა შემთხვევებს, რომელთაც შესძლეს ადამიანთა გვარის გარყვნასთან ერთად მისი გონების განვითარება, ამ ცხოველის გაბოროტებასთან ერთად მის საზოგადოებრივად გადაქცევა.“)...

ეს ადგილი განსაკუთრებით შესანიშნავი იმით არის, რომ ის მშვენივრად აშუქებს რუსოს შეხედულებას ადამიანთა გვარის განვითარების უნარზე. ამ თავისებურების შესახებ საკმაოდ ბევრს ლაპაკობდენ მისი „თანამედროვენიც“. მაგრამ მათ ეს უნარი წარმოდგენილი ჰქონდათ ფარული ძალის სახით, რომელიც თითონ იწვევს გონების წინსვლას. რუსოს აზრით, ამ უნარს „არასოდეს **არ შეეძლო თავის თავად განვითარება**“. თავისი განვითარებისათვის ის ყოველთვის საჭიროებდა გარეშე ძალის ბიძგს. ეს ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებაა **დიალექტიკური** თვალსაზრისისა გონებრივ განვითარებაზე **მეტაფიზიკურ** თვალსაზრისთან შედარებით. ჩვენ ამის შესახებ შემდეგშიც მოგვიხდება ლაპარაკი. ამჟამად-კი ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოყვანილი ადგილი ზედმიწევნით ნათლად გამოხატავს რუსოს შეხედულებას ზნეობრივ **რეგრესსა** და გონებრივ **პროგრესს** შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ [1]). ეს კი მეტად მნიშვნელოვანია ამ მწერლის შეხედულების გამოსარკვევად ცივილიზაციის მსვლელობაზე. ბ. მიხაილოვსკის მიხედვით გამოდის, თითქოს რუსომ მხოლოდ მიგვითითა „წინააღმდეგობაზე“ და ამის

---

[1]) იმათთვის, ვისაც ეპვი შეაქვს, ჩვენ ერთი ამონაწერიც გვაქვს: „J'ai assigné ce premier degré de la decadense des moeurs au premier moment de la culture des lettres dans tous les pays du monde“ Lettre à M. l'abbé Raynal, Oeuvres de Rousseau, Paris 1820. t. IV, p.43.

გამო იქნებ კეთილშობილი ცრემლიც-კი დაღვარა. ნამდვილად-კი რუსოს ეს წინააღმდეგობა ცივილიზაციის ისტორიული განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა. სამოქალაქო საზოგადოების დამაარსებელი და მაშასადამე, პირველყოფილი თანასწორობის მესაფლავეც იყო ადამიანი, რომელმაც შემოფარგლა მიწის განსაზღვრული ნაკვეთი და განაცხადა: „ეს მე მეკუთვნის“-ო, სხვანაირად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოების დაარსებას საფუძვლად უდევს საკუთრება, რომელიც ადამიანებს შორის ამდენ დავას და მათ გაუმაძღრობას იწვევს და რომელიც ასე რყვნის მათ ზნეობას. მაგრამ საკუთრების წარმოშობა **„ტექნიკისა და ცოდნის“** განსაზღვრულ განვთარებას გულისხმობდა (de l'industrie et des lumières). ამრიგად, პირველყოფილი ურთიერთობა სწორედ ამ განვითარების წყალობით მოისპო; მაგრამ იმ დროს, როდესაც ამ განვითარებამ კერძო საკუთრება სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა, ადამიანთა პირველყოფილი ურთიერთობა თავის მხრით ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ მისი შემდეგი არსებობა **შეუძლებელი შეიქნა**[1]) რუსოზე რომ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, თუ როგორ გადმოგვცემს მის მიერ აღნიშნულ „წინააღმდეგობას“ ბ. მიხაილოვსკი, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სახელგანთქმული ჟენეველი მხოლოდ საცოდავი „სუბიექტური სოციოლოგი“ იყო, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში შეეძლო გამოეგონებია უაღრესად ზნეობრივი „ფორმულა პროგრესისა“ კაცობრიობის ყოველგვარი სენისგან განსაკურნავად. ნამდვილად-კი, რუსოს ყველაზე უფრო სწორედ ასეთი „ფორმულები“ სძულდა და ყოველთვის აბათილებდა მათ, როცა ამის შემთხვევა მიეცემოდა.

სამოქალაქო საზოგადოება იმ პირველყოფილ ურთიერთობათა ნანგრევებზე აღმოცენდა, რომელიც უნარმოკლებული აღმოჩნდა შემდეგი განვითარებისათვის. ეს ურთიერთობანი თავის წიაღში ატარებდენ თავის საკუთარი უარყოფის ჩანასახს. ამ დებულების დამტკიცებისას, რუსომ თითქოს წინასწარ მოგვცა ჰეგელის აზრის ილიუსტრაცია: ყოველი მოვლენა თითონ სპობს თავის თავს, იქცევა თავის წინააღმდეგობად. რუსოს მსჯელობა დესპოტიზმზე შეიძლება ამ დებულების ახალ ილიუსტრაციად ჩაითვალოს.

თითონ განსაჯეთ, თუ ჰეგელისა და რუსოს რა დიდ ცოდნას იჩენს ბ. მიხაილოვსკი, როცა ამბობს: „აშკარაა, რომ დიალექტიკური აზროვნება აქ არაფერ შუაშია“-ო, და როცა გულუბრყვილოდ ფიქრობს რომ ენგელსმა თვითნებითად მიაკუთვნა რუსო დიალექტი-

---

[1]) იხ. „Discours sur l'inégalité“-ს მეორე ნაწილის დასაწყისი.

კოსებს მხოლოდ იმის გამო,რომ იგი ხმარობს შემდეგ გამოთქმებს: „წინააღმდეგობა“ „წრე“, „გამოსავალ წერტილთან დაბრუნება“ და სხვ.

მაგრამ რატომ რუსოს იმოწმებს ენგელსი და არა სხვას? „რატომ სწორედ რუსო და არა ვოლტერი ან სხვა ვინმე? იმიტომ რომ, ბუნებრივად ხომ ყველა ადამიანი დიალექტიკურად აზროვნებს“...

სცდებით, ბ. მიხაილოვსკი, ყველა დიალექტიკურად როდი აზროვნებს: თქვენ პირველს ენგელსი არასოდეს დიალექტიკოსად არ ჩაგთვლიდა. მისთვის საკმარისი იქნებოდა წაეკითხა თქვენი წერილი „Карл Маркс перед судом Г. Ю. Жуковского“, რომ თქვენ საბოლოოდ გაუსწორებელ მეტაფიზიკოსად ჩაეთვალეთ.

დიალექტიკური აზროვნების შესახებ ენგელსი ამბობს: „ადამიანი დიალექტიკურად აზროვნებდა დიდი ხნით იმაზე ადრე, სანამ გაიგებდა, თუ რა არის დიალექტიკა, იმის მსგავსად, როგორც ის პროზით იმაზე უფრო ადრე ლაპარაკობდა, სანამ სიტყვა პროზა წარმოიშობოდა. უარყოფის კანონი, რომელიც ხორციელდება შეუგნებლად ბუნებაში, ისტორიაში და სანამ იგი შეუცნობელია, ჩვენს აზროვნებაშიც, პირველად გარკვეულად გამოთქვა ჰეგელმა.“[1]) როგორც მკითხველი ხედავს, აქ ლაპარაკია შეუგნებელ დიალექტიკურ აზროვნებაზე. როცა ჩვენ ვამბობთ: **„უკიდურესობანი ერთმანეთს ხვდებიან“**, ამით ჩვენდა შეუმჩნეველად დიალექტიკურ შეხედულებას გამოვთქვამთ საგანზე; როცა ვმოძრაობთ, ჩვენთვის ასევე შეუმჩნეველად, ჩვენ დიალექტიკას ვანხორციელებთ. (ჩვენ ზემოდ უკვე ვთქვით, რომ მოძრაობა განხორციელებული წინააღმდეგობაა მეთქი). მაგრამ **სისტემატიური აზროვნების სფეროში მეტაფიზიკისაგან** ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გვიცავს ვერც მოძრაობა, ვერც დიალექტიკური აფორიზმები. პირიქით. აზროვნების ისტორია მოწმობს, რომ დიდი ხნის განმავლობაში მეტაფიზიკა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა— და აუცილებლადაც უნდა გაძლიერებულიყო პირველყოფილი გულუბრყვილო დიალექტიკის ნაცვლად: „ბუნების ცალკე ელემენტებად დანაწილება, ბუნების სხვადასხვა მოვლენის და საგნების განსაზღვრულ კლასებად განჯგუფება, ორგანიული სხეულების შინაგან თვისებათა გამოკვლევა მათი ორგანიული აგებულების მრავალსახეობასთან დაკავშირებით,—ყოველივე ეს იმ კოლოსალურ ბიღწევათა საფუძველს წარმოადგენდა, რომლითაც აღინიშნა ბუნებისმეტყველება უკანასკნელ ოთხ საუკუნეში. მაგრამ ამ მიზეზმა ჩვენ ამავე

---

[1]) Herrn Eugen Dühring's Umwälzung etc. Zw. Aufl. S. 134.

დროს შეგვაჩვია ჩვენ ბუნების მოვლენები და საგნები განვიხილოთ ერთი მეორისაგან განცალკევებულად, მათი დიადი მთლიანი კავშირის გარეშე და ისიც არა მოძრაობაში, არამედ უძრავ მდგომარეობაში, არა როგორც არსებითად ცვალებადი, არამედ როგორც მარად უცვლელი, არა როგორც ცოცხალი, არამედ როგორც მკვდარი. და კვლევის სწორედ ამ მეთოდმა, რომელიც ბუნებისმეტყველებიდან ფილოსოფიაში ბეკონმა და ლოკმა გადაიტანეს, გამოიწვია უკანასკნელ საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა—**მეტაფიზიკური აზროვნება.**

ასე ამბობს ენგელსი, რომლისგან ჩვენ ეტყობილობთ იმასაც, რომ „თუმცა დიალექტიკას ახალ ფილოსოფიაშიც ჰყავდა ბრწყინვალე წარმომადგენლები (დეკარტე და სპინოზა), მაგრამ, განსაკუთრებით ინგლისური ფილოსოფიის ზეგავლენით, ის სულ უფრო და უფრო იხრებოდა აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდისკენ, რომელმაც თითქმის სრულიად დაიპყრო XVIII საუკუნის ფრანგების აზროვნება, ყოველ შემთხვევაში, მათ სპეციალურ ფილოსოფიურ შრომებში. თუმცა ამ დარგის გარეშე იმათ ჩვენ დაგვიტოვეს დიალექტიკის შესანიშნავი ნიმუშები: გავიხსენოთ მხოლოდ დიდროს „რამოს ძმის შვილი“ და რუსოს თხზულება: „ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობაზე“ [1]).

ვფიქრობთ, რომ ნათელია, თუ რატომ რუსოზე ლაპარაკობს ენგელსი და არა ვოლტერზე ან სხვა ვინმეზე. ჩვენ არ გავკადნიერდებით ვიფიქროთ, რომ ბ. მიხაილოვსკის არ წაეკითხოს ენგელსის სწორედ ის წიგნი, რომლიდანაც მას ციტატა და „მაგალითები“ მოჰყავს. და თუ მაინც ბ. მიხაილოვსკი ენგელსს თავს აბეზრებს თავისი შენიშვნით „სხვა ვინმე“-ს შესახებ,—დაგვრჩენია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ჩვენი ავტორი აქაც მიმართავს შეცვლის, თავისი მოწინააღმდეგის სიტყვების მიზანშეწონილი დამახინჯების ჩვენთვის უკვე ცნობილ „მომენტს“. ასეთი „მომენტის“ გამოყენება მას შეეძლო მით უფრო ხელსაყრელად ჩაეთვალა, რომ ენგელსის წიგნი არ არის რუსულ ენაზე თარგმნილი და ამიტომ არც გერმანული ენის არ მცოდნე მკითხველთათვის არსებობს. აქაც ახალი ცდუნებაა, და კვლავ „ჩვენ უნებლიეთ ვცოდავთ“.

ღმერთებო, ნუ-თუ, თქვენ ეს გახარებთ [2]),
ოდეს ჩვენი პატიოსნება ყირაზე დგება.

---

[1]) იქვე გვ. 4—6.

[2]) დე, ნუ გაგვიცხავს ჩვენი მკითხველი ციტატისათვის „Прекрасная Елена“-დან. დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ გადავიკითხეთ ბ. მიხაილოვსკის წერილი „Дарвинизм и оперетки Офенбаха“ და მისი ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფებით.

მაგრამ დავანებოთ თავი ბ. მიხაილოვსკის და დაუბრუნდეთ გერმანელ იდეალისტებს an und für sich.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ **ბუნების ფილოსოფია** მათი ნააზრევის სუსტი მხარე იყო მეთქი. გერმანელი იდეალისტების მთავარი დამსახურება **ისტორიის ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში უნდა ვეძებოთ.** ეხლა ჩვენ დავუმატებთ, რომ იმ დროს სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ფილოსოფია, რომელიც თავის თავს მეცნიერებათა მეცნიერებას უწოდებდა, ყოველთვის **„საერო შინაარსის"** დიდ ელემენტს შეიცავდა, ე. ი. ყოველთვის არკვევდა მრავალ საკუთრივ მეცნიერულ საკითხს. მაგრამ სხვადასხვა დროს მისი „საერო შინაარსი" სხვადასხვა იყო. მაგალითად, (აქ დავკმაყოფილდებით ახალი ფილოსოფიის ისტორიის მაგალითებით) XVII საუკუნის ფილოსოფოსები უმთავრესად მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საკითხებს სწავლობდენ. XVIII საუკუნის ფილოსოფიამ თავისი მიზნებისათვის წინა ეპოქის ბუნებისმეტყველების აღმოჩენებითა და თეორიებით ისარგებლა. მის წარმომადგენელთაგან-კი ბუნებისმეტყველების საკითხებს მარტო კანტი თუ ამუშავებდა. საფრანგეთში-კი მაშინ პირველ რიგზე **საზოგადოებრივი საკითხები** წამოიჭრა. იგიკე საკითხები უმთავრესად, თუმცა სხვა მხრით, XIX საუკუნის ფილოსოფიისების ყურადღებასაც იპყრობდა. მაგალითად, **შელინგი** პირდაპირ ამბობდა **ერთი ისტორიული საკითხის გადაჭრას ტრანსცენდენტალი ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ვთვლიო.** თუ რა საკითხი იყო ეს,—ამას ჩვენ მალე გავიგებთ.

თუ ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება; თუ ყოველი მოვლენა თავის თავს უარჰყოფს; თუ არ არის ისეთი სასარგებლო დაწესებულება, რომელიც ბოლოს მავნებელი არ შეიქნეს და თავის საკუთარ წინააღმდეგობად არ გადაიქცეს, ცხადია, რომ უაზრობა იქნებოდა „იდეალური კანონმდებლობა" გვეძებნა, რომ შეუძლებელია ისეთი საზოგადოებრივი წყობილების გამოგონება, რომელიც **საუკეთესო** იქნებოდა ყველა საუკუნისა და ხალხისათვის: ყველაფერი კარგია თავის ადგილზე და თავის დროზე. დიალექტიკური აზროვნება უარჰყოფდა **ყოველგვარ უტოპიას.**

მას მით უფრო უნდა უარეყო იგი, რომ „ადამიანის ბუნებამ" ამ თითქოს მუდმივმა კრიტერიუმმა, რომლითაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, განუწყვეტლივ სარგებლობდენ XVIII საუკუნის განმანათლებელნიც და XIX საუკუნის პირველი ნახევრის უტოპისტ-სოციალისტებიც, ყველა მოვლენის ბედი გაიზიარა: იგი თვით იქნა აღიარებულ **ცვალებადად.**

ამასთან ერთად გაჰქრა ის გულუბრყვილო—იდეალისტური თვალსაზრისიც ისტორიაზე, რომელსაც ერთნაირად იცავდენ როგორც განმანათლებელნი ისე უტოპისტებიც, და რომელიც გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: **გონება, აზრი განაგებს ქვეყანას.** რასაკვირველია, გონება მართავს ქვეყანას, ამბობდა ჰეგელი, მაგრამ იმავე გაგებით, როგორითაც ის ცის მნათობთა მოძრაობას მართავსო, ე. ი. **კანონზომიერების.** მნათობთა მოძრაობა კანონზომიერია, მაგრამ, მათ, ცხადია, არა აქვთ არავითარი წარმოდგენა ამ კანონზომიერებაზე. იგივე ითქმის კაცობრიობის ისტორიულ მოძრაობაზე. მას, ყოველ ეჟეს გარეშეა, თავისი კანონები აქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ადამიანს იგი შეგნებული ჰქონდეს, და რომ ამრიგად, ადამიანის გონება, ცოდნა, „ფილოსოფია" წარმოადგენდეს ისტორიული მოძრაობის მთავარ ფაქტორებს. მინერვას ჭოტი მხოლოდ ღამით იწყებს ფრენას. როცა ფილოსოფია ნაცრისფერ ფონზე თავის ნაცრისფერი სახეების ხატვას იწყებს, როცა ადამიანები თავის საზოგადოებრივ წყობილებაზე ფიქრს იწყებენ, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ წყობილებამ თავისი დრო მოსჭამა და ემზადება ადგილი დაუთმოს ახალ წყობილებას, რომლის ჭეშმარიტი ხასიათი ხალხისთვის მხოლოდ მას შემდეგ ხდება ნათელი, რაც იგი თავის ისტორიულ როლს შეასრულებს: მინერვას ჭოტი კვლავ მხოლოდ ღამით გამოფრინდება. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ბრძენი ფრინველის მოგზაურობა ჰაერში ძლიერ სასარგებლოა. იგი პირდაპირ აუცილებელიცაა. მაგრამ ის სრულებით არაფერს ხსნის. იგი თვით საჭიროებს ახსნას და უთუოდ შესაძლებელიც არის აიხსნას, რადგან მას **თავისი კანონზომიერება** ახასიათებს.

მინერვას ჭოტის ფრენის კანონზომიერების აღიარება საფუძვლად დაედო ახალ თვალსაზრისს კაცობრიობის გონებრივი განვითარების ისტორიაზე. ყველა დროის, ყველა ხალხის და ყველა მიმართულების მეტაფიზიკოსები მას შემდეგ, რაც ისინი განსაზღვრულ ფილოსოფიურ სისტემას შეითვისებდენ, მას ერთხელ და სამუდამოდ ჭეშმარიტ სისტემად თვლიდენ, დანარჩენს კი—აბსოლუტურად ყალბად. მათ იცოდენ მხოლოდ **განყენებული წინააღმდეგობა** განყენებულ წარმოდგენათა შორის: **ჭეშმარიტება, შეცთომა.** ამიტომ აზროვნების ისტორია მათ წარმოედგინათ მხოლოდ როგორც ნაწილობრივ სამწუხარო, ნაწილობრივ-კი სასაცილო შეცთომების ქაოტიური გროვა, რომელთა ველური თამაში გრძელდებოდა იმ საუნეტარო დრომდე, სანამ ბოლოს არ შეიქმნებოდა ჭეშმარიტი ფილო-

სოფიური სისტემა. ასე უყურებდა თავისი მეცნიერების **ისტორიას** ჯერ კიდევ ჟ. ბ. სეი, ეს მეტაფიზიკოსთა მეტაფიზიკოსი. ის არ გვირჩევდა მის შესწავლას, რადგან იქ იგი შეცთომების მეტს არაფერს ხედავდა. **დიალექტიკოს**-იდეალისტები საქმეს სულ სხვანაირად უყურებდენ. **ფილოსოფია თავისი დროის გონებრივი გამოხატულებაა**, ამბობდენ ისინი, თითოეული ფილოსოფია ქეშმარიტია მხოლოდ თავისი დროისთვის.

მაგრამ თუ გონება განაგებს ქვეყანას, მოვლენათა მხოლოდ **კანონზომიერების** აზრით, თუ ადამიანთა, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ მშენებლობას და მათ ისტორიულ მოძრაობას ხელმძღვანელობს არა იდეები, ცოდნა, „განათლება", მაშინ სადღაა ადამიანის თავისუფლება? სად არის ის სფერო, სადაც ადამიანი თავისუფლად „სჯის და ირჩევს", არ ინუგეშებს თავს ბალღიევით უნაყოფო გართობით, არ წარმოადგენს სათამაშო ნივთს მისთვის უცხოს, თუმცა, შესაძლოა, არა ბრმა ძალის ხელში?

ძველი, მაგრამ მარად ახალი საკითხი **თავისუფლებისა და აუცილებლობის** შესახებ წამოიჭრებოდა ხოლმე XIX საუკუნის იდეალისტების წინაშე ისე, როგორც წინა საუკუნის მეტაფიზიკოსებისა და საერთოდ ყველა ფილოსოფოსების წინაშე, რომელნიც **არსის და აზროვნების ურთიერთი დამოკიდებულების საკითხს** აყენებდენ: ის, როგორც სფინქსი, ეუბნებოდა ყოველ ასეთ მოაზროვნეს: **ამოიცან, თორემ ვშთანთქამ შენს სისტემასო!**

თავისუფლებისა და აუცილებლობის საკითხი სწორედ ის საკითხი იყო, რომლის გადაჭრასაც **ისტორიის მიმართ** შელინგი ტრანსცენდენტალი ფილოსოფიის უუდიდეს ამოცანად თვლიდა. გადაჭრა თუ არა იგი ამ ფილოსოფიამ? როგორ გადაჭრა მან იგი?

აღსანიშნავია, რომ როგორც შელინგისა ისე ჰეგელისათვისაც, ეს საკითხი სიძნელეს წარმოადგენდა **ისტორიის მიმართ**. წმინდა **ანთროპოლოგიური** თვალსაზრისით იგი შეიძლებოდა უკვე გადაჭრილად ჩათვლილიყო.

აქ საჭიროა განმარტება, რასაც ჩვენ ეხლავე შეუდგებით და ვთხოვთ მკითხველს ყურადღებით მოეპყროს მას საგნის დიდი მნიშვნელობის გამო.

მაგნიტის ისარი ჩრდილოეთისკენ იხრება. ეს ხდება ერთგვარი მატერიის მოქმედებით, რომელიც თვით ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს: **მატერიალური ქვეყნის** კანონებს. მაგრამ ისრისთვის ამ მატერიის მოძრაობა შეუმჩნეველია. მას ამ მოძრაობაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს. მას ჰგონია, რომ ის იხრება ჩრდილოეთისაკენ სრულიად დამოუკიდებლად რაიმე გარეშე მიზეზისგან, მხოლოდ

იმიტომ, რომ მას სიამოვნებს იქით მიბრუნება. მატერიალური **აუ-ცილებლობა მას წარმოუდგება** როგორც მისი **საკუთარი ხულის თავისუფალი მოქმედება.**

ამ მაგალითით **ლეიბნიცს** სურდა ნათელეყო თავისი თვალსაზ-რისი ნების თავისუფლებაზე. მსგავსი მაგალითით ხსნის თავის სრუ-ლიად ასეთსავე თვალსაზრისს **სპინოზაც.**

რაიმე გარეგანმა მიზეზმა გამოიწვია ქვის ერთგვარი სიძლიერის მოძრაობა. მოძრაობა, რასაკვირველია, მას შემდეგაც გრძელდება, რაც მიზეზმა უკვე შესწყვიტა მოქმედება. მოძრაობის ეს გაგრძელე-ბა **აუცილებელია მატერიალური ქვეყნის კანონების მიხედვით.** მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქვა აზროვნებს, რომ მას შეგნებული აქვს თავისი მოძრაობა, რომელიც მას სიამოვნებას ჰგვრის, მაგრამ არ იცის მისი მიზეზი, არ იცის ისიც, აქვს თუ არა ამ მოძრაობას საზოგადოდ რაიმე გარეშე მიზეზი. როგორ წარმოუდგება ქვას ამ შემთხვევაში თავისი საკუთარი მოძრაობა? უეჭველია, როგორც მისი საკუთარი სურვილის, მ~~ისი თავისუ~~ფალი არჩევის შედეგი; ის ეტყვის თავის თავს: მე ვმოძრაობ, რადგანაც მსურს ~~ვიმ~~ოძრაო. „ასეთია ადამიანის თავისუფლებაც, რომლითაც ასე ამაყობს იგი. მისი არსი ის არის, რომ ადამიანს შეგნებული აქვს თავისი მისწრაფება, მაგრამ არ იცნობს გარეშე მიზეზებს, რომელიც ამ მისწრაფებას იწვევს. მა-გალითად, ბავშს წარმოდგენილი აქვს, რომ მას თავისუფლად სურს ის რძე, რომელიც მის საზრდოს შეადგენს“...

ბევრს თანამედროვე მკითხველსაც ასეთი ახსნა **„უხეშ მატე-რიალისტურ ახსნად“** მოეჩვენება და გაოცდება, თუ როგორ შე-ეძლო ლეიბნიცს—წმინდა წყლის იდეალისტს—ასეთი ახსნა მოეცა. ამასთანავე ისინი გვეტყვიან, რომ საზოგადოდ შედარება არაა დასაბუთება და რომ უფრო ნაკლებად საბუთიანია ადამიანის ფან-ტასტიური შედარება მაგნიტის ისარსა ან ქვასთან. ამაზე ჩვენ შე-ვნიშნავთ, რომ შედარება დაკარგავს ფანტასტიურ ხასიათს, მოვი-გონებთ თუ არა იმ მოვლენებს, რომელსაც ადგილი აქვს **ადამიანის თავში.** ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მატერიალისტები აღნიშავდენ იმ გარემოებას, რომ ყოველ ნებითს მოძრაობას ტვინში შეესაბამება ტვინის ფიბრების განსაზღვრული მოძრაობა. ის, რაც მაგნიტის ის-რის ან ქვის მიმართ ფანტაზიას წარმოადგენს, უდავო ფაქტი ხდება ტვინის მიმართ: აუცილებლობის გარდაუვალი კანონების მიხედვით ტვინში მატერიის მოძრაობას შეესაბამება ის, რასაც აზრის თავისუფალი მოქმედება ეწოდება. ხოლო, რაც შეეხება, პირველის შეხედვით, სრულიად გასაგებ გაოცებას იდეალისტი ლეიბნიცის მა-

ტერიალასტური მსჯელობის გამო, უნდა გვახსოვდეს, რომ—როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ—ყველა თანმიმდევარი იდეალისტები **მონისტები** იყვენ, ე. ი. მათს მსოფლმხედველობაში სრულიად არ ჰქონდა ადგილი იმ გაუვალ უფსკრულს, რომელიც ჰყოფს სულსა და მატერიას ერთი მეორისგან თანახმად **დუალისტების** შეხედულებისა. დუალისტის აზრით, მატერიის განსაზღრული აგრეგატი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს აზროვნების უნარს, თუ მასში დაისადგურებს სულის ნაწილაკი: დუალისტის თვალში მატერია და სული ერთმანეთთან სრულიად არაფრის საერთოს მქონე დამოუკიდებული სუბსტანციებია. ლეიბნიცის შედარება მას არაბუნებრივად მოეჩვენება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაგნიტის ისარს არავითარი სული არ გააჩნია. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ საქმე გაქვთ ადამიანთან, რომელიც ასე მსჯელობს: ისარი მართლაც რაღაც სავსებით მატერიალური რამ არის. მაგრამ რა არის თვით მატერია? მე ვფიქრობ, რომ მისი არსებობა დამოკიდებულია სულზე არა იმ მნიშვნელობით, თითქოს იგი შექმნილი იყო **სულის მიერ**, არამედ იმ აზრით, რომ ის **იგივე სულია**, მაგრამ სხვა სახით მყოფი. ეს სახე არ შეესაბამება მის ჭეშმარიტ ბუნებას, ის ეწინააღმდეგება კიდეც მას (ე. ი. მის ბუნებას). მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას სულის არსებობის სახე იყოს, რადგანაც თავისი ბუნებით სული თავის საკუთარ წინააღმდეგობად უნდა გადაიქცეს.—თქვენ ეს მსჯელობაც გაგაკვირვებსთ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დაგვეთანხმებით, რომ ადამიანი, რომელსაც იგი დამარწმუნებლად მიაჩნია, ადამიანი, რომელიც მატერიაში მხოლოდ „**სულის სხვა-ყოფას**“ ხედავს, არ გაოცდება იმ ახსნით, რომელიც მატერიას სულის ფუნქციებს აწერს ან ამ უკანასკნელს მჭიდრო დამოკიდებულებაში აყენებს მატერიის კანონებთან. ასეთ ადამიანს შეუძლია ასე თუ ისე მიიღოს ფსიქიურ მოვლენათა **მატერიალისტური ახსნა** და იმავე დროს მისცეს მას წმინდა **იდეალისტური შინაარსი**. ასე იქცეოდენ გერმანელი იდეალისტები.

ადამიანის ფსიქიური ფუნქცია ემორჩილება მატერიალური აუცილებლობის კანონს. მაგრამ ეს ოდნავადაც არ სპობს ადამიანის თავისუფლებას. თვით მატერიალური აუცილებლობის კანონი სხვა არა არის რა, თუ არა სულის მოქმედების კანონი. **თავისუფლება ჰგულისხმობს აუცილებლობას, აუცილებლობა მთლიანად გადადის თავისუფლებაში**, ამიტომ სინამდვილეში ადამიანის თავისუფლება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე დუალისტებს ჰგონიათ, რომელნიც ცდილობენ გამიჯნონ **თავისუფალი** მოქმედება **აუცილე-**

ბელისაგან და ამით სწყვეტენ **თავისუფლების სამეფოდან** მთელს იმ—მათი აზრითაც-კი—ძლიერ ფართო სფეროს, რომელსაც ისინი **აუცილებლობას** აკუთვნებენ.

ასე მსჯელობდენ დიალექტიკოს-იდეალისტები. როგორც ხედავს მკითხველი, ისინი მტკიცედ ეპიდებოდენ ლეიბნიცის „მაგნიტის ისარს". მხოლოდ ეს ისარი მათს ხელში სრულიად გარდაიქმნებოდა, ასე ვთქვათ, გასულიერდებოდა ხოლმე.

მაგრამ ისრის ეს გარდაქმნა კიდევ ვერ სძლევდა იმ დაბრკოლებებს, რომელიც თავისუფლებისა და აუცილებლობის საკითხებთან იყო დაკავშირებული. ვთქვათ: ცალკე ადამიანი სავსებით თავისუფალია, მიუხედავად იმისა, რომ იგი აუცილებლობის კანონს ემორჩილება, კიდევ მეტი, სწორედ ამ დამორჩილების **წყალობით**. მაგრამ საზოგადოებაში და, მაშასადამე, ისტორიაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ინდივიდუუმთან, არამედ ინდივიდუუმთა მთელ მასასთან. იბადება კითხვა, ირღვევა თუ არა **თითოეულის** თავისუფლება **დანარჩენთა** თავისუფლებით? მე მიზნად დავისახე, მაგალითად, საზოგადოებრივ ურთიერთობაში სამართლიანობისა და ჭეშმარიტების განხორციელება. ამ მიზნის ამორჩევაში მე სრულიად **თავისუფალი** ვარ. და არა ნაკლები **თავისუფალი** იქნება ჩემი ის მოქმედება, რომლის მეშვეობით მე მიზნის განხორციელებას შევეცდები. მაგრამ ჩემი თანამოქალაქენი ხელს მიშლიან ამ მიზნის განხორციელებაში. ისინი ისევე **თავისუფლად** აღუდგენ ჩემს მიზანს, როგორც **თავისუფლად** ავირჩიე მე იგი. და ამდენადვე **თავისუფალია** ჩემს წინააღმდეგ მიმართული მათი მოქმედება. როგორ დავსძლევ მე მათ მიერ შექმნილ დაბრკოლებებს? ცხადია მე მათ დაუწყებ დავას, დარწმუნებას და შესაძლებელია მუდარას ან დამუქრებას. მაგრამ ვინ იცის მოიტანს თუ არა ეს რაიმე შედეგს? ფრანგი განმანათლებლები ამბობდენ: la raison finira par avoir raison. მაგრამ, რომ ჩემმა გონებამ გაიმარჯვოს, საჭიროა ჩემმა თანამოქალაქეებმაც აღიარონ იგი თავიანთ გონებად. მაგრამ რა საბუთი მაქვს ამის იმედი მქონდეს? რამდენადაც მათი მოქმედება თავისუფალია—იგი კი სავსებით თავისუფალია—რამდენადაც ჩემთვის უცნობი გზით მატერიალური **აუცილებლობა თავისუფლებაში** გადავიდა—ის-კი, როგორც ნაგულისხმევი იყო, **მთლიანად გადავიდა მასში**—იმდენად ჩემ თანამოქალაქეთა მოქმედების წინასწარი გათვალისწინება შეუძლებელი ხდება. მე შემეძლო ამ მოქმედების გათვალისწინების იმედი მქონოდა მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მე მას ისეთ მოვლენად მივიჩნევდი, როგორსაც ჩემთვის გარეშე ქვეყნის სხვა ყველა მოვლენა წარმოადგენს, ე. ი.

როგორც იმ **გარკვეულ მიზეზთა აუცილებელ** შედეგს, რომელიც ჩემთვის უკვე ცნობილია ან შეიძლება ცნობილი გახდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩემი თავისუფლება არ იქნებოდა მხოლოდ ლიტონი სიტყვა, თუ მის **შეგნებასთან** ერთად მე შევსძლებდი იმ **მიზეზების შეცნობასაც,** რომელიც ჩემი თანამოქალაქეების **თავისუფალ** მოქმედებას იწვევს, ე. ი. თუ მე შევსძლებდი ისინი მათი **აუცილებლობის** თვალსაზრისით განმეხილა. **ჩემი** მოქმედების შესახებ ჩემ თანამოქალაქეებს სწორედ იგივე შეუძლიანთ თქვან. მაგრამ ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, **რომ ყოველი განსაზღვრული პირის თავისუფალი** (შეგნებული) **ისტორიული მოქმედების შესაძლებლობა ნულს უდრის იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის თავისუფალ მოქმედებას საფუძვლად არ უდევს მომქმედის გონებისათვის მისაწვდომი აუცილებლობა.**

ჩვენ დავინახეთ, რომ ფრანგული მეტაფიზიკური მატერიალიზმი არსებითად **ფატალიზმამდე** მიდიოდა. მართლაც, თუ მთელი ხალხის ბედი დამოკიდებულია ერთს შემთხვევითს ატომზე, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გულზე ხელი დავიკრიფოთ, იმიტომ რომ ჩვენ სრულებით არა გვაქვს და არც ოდესმე გვექნება შესაძლებლობა გავითვალისწინოთ ან თავიდან ავიცდინოთ ცალკე ატომის ასეთი მოქმედება.

ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ **იდეალიზმსაც ასეთსავე ფატალიზმამდე შეუძლია მიგვიყვანოს.** თუ ჩემს თანამოქალაქეთა მოქმედებაში არ არის არაფერი **აუცილებელი** ან თუ მათი შეცნობა **აუცილებლობის** თვალსაზრისით შეუძლებელია, მაშინ მე დამრჩენია უცადო კეთილი განგების ნებას: ჩემს მეტად გონივრულ გეგმებს, უკეთილშობილეს სურვილებს არარად აქცევს მილიონთა სრულიად გაუთვალისწინებელი მოქმედება. მაშინ, ლუკრეციის თქმით: ყველაფრიდან შესაძლებელია ყველაფერია წარმოსდგეს.

და საინტერესოა, რომ რაც უფრო ხაზს გაუსვამდა იდეალიზმი თავისუფლების საკითხს **თეორიაში,** მით უფრო იძულებული გახდებოდა არარად ექცია იგი **პრაქტიკის** სფეროში, სადაც ის ვერ შესძლებდა **თავისუფლების მთელი სიძლიერით შეიარაღებული შემთხვევითობის** დაძლევას.

ეს ძალიან კარგად ესმოდათ დიალექტიკოს-იდეალისტებს. მათს პრაქტიკულ ფილოსოფიაში **აუცილებლობა წარმოადგენს თავისუფლების უტყუარს, ერთად ერთს საიმედო საწინდარს.** ზნეობრივ მოვალეობასაც-კი არ ძალუძს დამაშვიდოს ჩემ მოქმედებათა შედეგის შესახებ,—ამბობდა შელინგი, თუ კი ეს შედეგი დამოკიდებუ-

ლია თავისუფლებაზეო. **„თავისუფლება თვით უნდა შეიცავდეს აუ-ცილებლობას“.**

მაგრამ არსებითად, როგორ აუცილებლობაზე შეიძლება ამ შემ-თხვევაში ლაპარაკი? საეჭვოა ოდნავ მანუგეშოს იმ აზრის დაუსრუ-ლებელმა განმეორებამ, რომ განსაზღვრული ნებითი მოძრაობანი აუ-ცილებლად შეესაბამებიან ტვინის ნივთიერების განსაზღვრულ მო-ძრაობას. ასეთ განყენებულ დებულებათა საფუძველზე შეუძლებელია რაიმე პრაქტიკული გეგმების დამყარება,სხვა გზა-კი ამ მხრით არ მრჩება, რადგანაც ჩემი თანამოქალაქის თავი მინის სკა არაა და არც მისი ტვინის ფიბრები ფუტკრებია. მე ვერ შევსძლებდი მათი მოძ-რაობის დაკვირვებას იმ შემთხვევაშიაც, რომ მე მტკიცედ მცოდნო-და—ჩვენ-კი ჯერ ამას მოკლებული ვართ—რომ ამა თუ იმ ნერვიული ბოჭკოს ამა თუ იმ მოძრაობას მოჰყვება ესა თუ ის განზრახვა ჩემი თანამოქალაქის ფსიქიკაში, მაშასადამე, ადამიანთა მოქმედების აუ-ცილებლობის შესწავლას სხვა მხრით უნდა მივუდგეთ.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ მინერვას ჭოტი, როგორც ვი-ცით, ღამით იწყებს ფრენას, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობა-ნი **არ წარმოადგენენ ადამიანთა შეგნებული მოქმედების ნაყოფს.** ადამიანები შეგნებულად ისახავენ თავის კერძო, პირად მიზნებს. თი-თოეული მათგანი, მაგალითად, შეგნებულად მიისწრაფის გაადიდოს თავისი ქონება, ხოლო მათ მოქმედებათა ჯამი იძლევა განსაზღვრულ საზოგადოებრივ რეზულტატს, რომელიც, შესაძლოა, მათ არც კი სურდათ და უთუოდ გათვალისწინებულიც არ ჰქონდათ. რომაელი შეძლებული მოქალაქენი ყიდულობდენ ღარიბ მიწათმფლობელთაგან მიწას. რასაკვირველია, თითოეულმა მათგანმა იცოდა, რომ ასეთი შე-სყიდვით რომელიმე იულიუსი ან ტულიუსი უმიწაწყლო პროლეტარი გახდებოდა. მაგრამ რომელ მათგანს შეეძლო გაეთვალისწინებია, რომ ლატიფუნდიები დაღუპავდა რესპუბლიკას და მასთან ერთად იტა-ლიასაც? ვინ იცოდა თუ ისტორიულად რა შედეგი მოჰყვებოდა მიწის ასეთს შესყიდვას? არავინ არ იცოდა, არავის არ შეეძლო. მიუხედა-ვად ამისა ამას თავისი შედეგი მოჰყვა: ლატიფუნდიების წყალობით დაიღუპა რესპუბლიკა და იტალიაც.

ცალკე ადამიანთა თავისუფალ შეგნებულ მოქმედებათაგან აუ-ცილებლად გამომდინარეობს მათთვის მოულოდნელი და გაუთვალის-წინებული შედეგი, რომელიც მთელ საზოგადოებაზე ე. ი. იმავე ადა-მიანთა ყველა ურთიერთობაზე გავლენას ახდენს. **ამრიგად თავისუ-ფლების სფეროდან ჩვენ გადავდივართ აუცილებლობის სფეროში.**

თუ კი ადამიანთა მიერ გაუთვალისწინებელი მათ ინდივიდუალურ მოქმედებათა საზოგადოებრივი შედეგი საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას იწვევს (რაც ყოველთვის ხდება, თუმცა არა ერთი და იმავე სისწრაფით), მაშინ ადამიანის წინაშე ახალი ინდივიდუალური მიზნები ისახება. მათი თავისუფალი შეგნებული მოქმედება აუცილებლად ახალ სახეს მიიღებს. **აუცილებლობის სფეროდან ჩვენ კვლავ თავისუფლების სფეროში გადავდივართ.**

ყოველი აუცილებელი პროცესი კანონზომიერი პროცესია. ადამიანთა მიერ გაუთვალისწინებელი, მაგრამ მათ მოქმედებათა შედეგად მიღებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილება წარმოებს ცხადად განსაზღვრული კანონების მიხედვით. თეორიულმა ფილოსოფიამ **უნდა აღმოაჩინოს ისინი.**

ის ცვლილებები, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობას შეაქვს ადამიანთა მიზნებსა და თავისუფალ მოქმედებაში, ცხადია აგრეთვე. სხვა სიტყვით: **აუცილებლობის გადასვლაც თავისუფლებაში განსაზღვრული კანონების მიხედვით წარმოებს, რომელიც შეიძლება და კიდეც აღმოჩენილი უნდა იქნეს თეორიული ფილოსოფიის მიერ.**

როცა თეორიული ფილოსოფია ამ ამოცანას გადაჭრის, იგი **პრაქტიკულ** ფილოსოფიას სრულიად ახალს, ურყევ საფუძველზე დააყენებს. როცა ჩემთვის ცნობილია საზოგადოებრივ-ისტორიული მოძრაობის კანონები, მე შემიძლია მასზე გავლენა მოვახდინო ჩემი მიზნების მიხედვით ისე, რომ შიში არ მქონდეს არც შემთხვევითი ატომის მოქმედების და არც იმ აზრის, რომ ჩემი თანამემამულენი, როგორც თავისუფალი ნებით დაჯილდოებული არსებანი, ყოველ წამს მიმზადებენ მრავალს ძეტად საკვირველ სიურპრიზს. თავისთავად ცხადია, მე არ მეცოდინება ყოველი ჩემი თანამემამულის განზრახვა, განსაკუთრებით კი თუ იგი „ინტელიგენტთა კლასს" ეკუთვნის, მაგრამ მე დაახლოებით მეცოდინება საზოგადოებრივ ძალთა მიმართულება და საკმარისია დავეყრდნო მათს თანაბარ მომქმედს ჩემი მიზნების მისაღწევად.

ამგვარად, თუ მე, მაგალითად, იმ სასიხარულო აზრამდე მივალ, რომ რუსეთში, წინააღმდეგ დანარჩენი ქვეყნებისა, გაიმარჯვებს თემური წყობილება, ამას მოვახერხებ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მე შევძლებ სახელოვან „როსების" მოქმედება აეხსნა როგორც კანონზომიერი მოქმედება, განვიხილო აუცილებლობის და არა თავისუფლების თვალსაზრისით. „**მსოფლიო ისტორია,** ამბობს ჰეგელი, **არის თავისუფლების შეგნების პროგრესი, პროგრესი, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც აუცილებლობა.**"

შემდეგ. რაგინდ კარგად არ უნდა შევისწავლოთ „ადამიანის ბუნება,“ ჩვენ მაინც მოკლებული ვიქნებით შესაძლებლობას გავიგოთ ის საზოგადოებრივი რეზულტატი, რომელიც ცალკე ადამიანთა მოქმედებას მოჰყვება,. ვთქვათ, ჩვენ ძველი სკოლის ეკონომისტებთან ერთად აღვიარეთ, რომ გამდიდრებისაკენ მისწრაფება ადამიანის ბუნების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. შეეძლებთ თუ არა გავითვალისწინოთ ის ფორმები, რომელსაც მიიღებს ეს მისწრაფება? გარკვეულს, ჩვენთვის ცნობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირობებში — ჰო. მაგრამ ეს გარკვეული, ჩვენთვის ცნობილი ურთიერთობანი თითონვე შეიცვლებიან „ადამიანის ბუნების“, გამდიდრებისკენ მიმართული მოქალაქეთა მოქმედების ზეგავლენით. რა მხრით შეიცვლებიან ეს ურთიერთობანი? ეს ჩვენ ისევე არ გვეცოდინება, როგორც ის ახალი მიმართულება, რომელსაც გამდიდრებისკენ მისწრაფება მიიღებს ახალ, შეცვლილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დროს. სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდებით, თუ გერმანელ კათედერ სოციალისტებთან ერთად დავიწყებთ მტკიცებას, რომ ადამიანის ბუნება არ ამოიწურება მხოლოდ მისწრაფებით სიმდიდრისაკენ, რომ მას „საზოგადოებრივი გრძნობაც“ (Gemeinsinn) გააჩნია. ეს ძველი სიმღერაა ახალ ჰანგზე. რათა თავი დავაღწიოთ ამ ცოტად თუ ბევრად მეცნიერულ ტერმინოლოგიაში გახვეულ გაურკვევლობას, **ადამიანის ბუნების** შესწავლის მაგიერ უნდა დავიწყოთ **საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნების** შესწავლა, უნდა გავიგოთ ეს ურთიერთობა როგორც კანონზომიერი, აუცილებელი პროცესი. ეს-კი დაგვაბრუნებს შემდეგ კითხვასთან: **რაზეა დამოკიდებული და რით განისაზღვრება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნება.**

ჩვენ დავინახეთ, რომ ვერც წარსული საუკუნის მატერიალისტებმა და ვერც უტოპისტ-სოციალისტებმა ვერ მოგვცეს ამ კითხვის დამაკმაყოფილებელი პასუხი. შესძლეს თუ არა მისი გადაჭრა დიალექტიკოს-იდეალისტებმა?

ვერა, ვერც მათ შესძლეს, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი **იდეალისტები** იყვენ. რათა მათი თვალსაზრისი ნათელი გახდეს, მოვიგონოთ ზემოხსენებული დავა კონსტიტუციისა და ზნე-ჩვეულების ურთიერთობის შესახებ: კონსტიტუციაა ზნე-ჩვეულებაზე დამოკიდებული თუ ზნე-ჩვეულება კონსტიტუციაზე. ჰეგელი ამ დავის გამო სამართლიანად შენიშნავდა, რომ კითხვა სრულიად შემცდარად არის დასმულიო, რადგანაც სინამდვილეში, თუმცა ზნე-ჩვეულება უეჭველად ახდენს გავლენას კონსტიტუციაზე და კონსტიტუცია ზნე-ჩვეულებაზე, მაგრამ ერთიც და მეორეც წარმოადგენს „**მესამე**“-ს, რაღაც განსაკუთრებული

ძალის შედეგს, რომელიც წარმოშობს როგორც კონსტიტუციას, ისე ზნე-ჩვეულებასაც. მაგრამ რა არის, ჰეგელის აზრით, ეს განსაკუთრებული ძალა, ეს საბოლოო საფუძველი, რომელსაც როგორც ადამიანთა, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნება ემყარება? ეს ძალა არის „ცნება“ ან—რაც იგივეა—„იდეა,“ რომლის გახორციელებას განსზღვრული ხალხის ისტორია წარმოადგენს. **ყოველი ხალხი ახორციელებს თავის განსაკუთრებულ იდეას**, ხოლო ყოველი განსაკუთრებული იდეა, ყოველი ცალკე ხალხის იდეა წარმოადგენს **აბსოლიუტური იდეის** განვითარების საფეხურს. ამრიგად, ისტორია თითქოს პრაქტიკულ ლოლიკას წარმოადგენს: განსაზღვრული ისტორიული ეპოქის ახსნა ნიშნავს იმის ცხადყოფას, თუ აბსოლიუტური იდეის ლოლიკური განვითარების რომელ საფეხურს შეესაბამება იგი. მაგრამ რაა თვით ეს „აბსოლიუტური იდეა“? სხვა არაფერი, თუ არა ჩვენი საკუთარი ლოლიკური პროცესის განპიროვნება. აი რას ამბობს მასზე ის ადამიანი, რომელმაც საფუძვლიანად განვლო იდეალიზმის სკოლა და რომელიც მთელი თავისი არსებით გატაცებული იყო იმით, მაგრამ რომელმაც ადრე შეამჩნია ამ ფილოსოფიური მიმართულების ძირითადი ნაკლი:

„როცა მე ნამდვილი ვაშლის, მსხლის, მარწყვის და ნუშის გაცნობის საფუძველზე შევიმუშავებ წარმოდგენას: **ნაყოფი**; როცა ამის შემდეგ მე წინ მივდივარ და წარმოვიდგენ, რომ ჩემი... განყენებული წარმოდგენა „**ნაყოფი**“ არსებობს ჩემს გარეგ და კიდევ მეტი, ვაშლის, მსხლის და სხვ. ჰეშმარიტ არსს შეადგენს, მაშინ მე, სპეკულიატური ფილოსოფიის ენით რომ ვთქვათ—„ნაყოფს“ მსხლის ვაშლის ნუშის და სხვ. სუბსტანციად ვაცხადებ. მე ვამბობ: მსხლისათვის არაა არსებითი ის გარემოება, რომ იგი მსხლის სახით გვეელინება, ვაშლისათვის არაა არსებითი ვაშლად ყოფნა. არსებითია მათში... ჩემ მიერ მათგანვე განყენებული წარმოდგენა: „ნაყოფი.“ მე ვაცხადებ ვაშლს, მსხალს და სხვ. modus-ი „ნაყოფი-“ს არსებობის უბრალო სახედ. ჩემი ბოლოვადი, გარე გრძნობებზე დამყარებული განსჯა ანსხვავებს, რასაკვირველია, ვაშლს მსხლისაგან და მსხალს ნუშისაგან, მაგრამ ჩემი სპეკულიატური გონება ამ გასხვავებას აცხადებს უმნიშვნელოდ, არა არსებითად, ის იმასვე ხედავს ვაშლში რასაც მსხალში და მსხალში კი იმასვე, რასაც ნუშში: „**ნაყოფს**.“ ნამდვილ ნაყოფს იგი განიხილავს მხოლოდ, როგორც ნაყოფს-**მოჩვენებას**, რომლის არსს, ჰეიმარიტს რაობას, „სუბსტანციას „**ნაყოფი**“ წარმოადგენს.

„ცხადია, რომ ამ გზით ვერ შეიძენ დიდ ცოდნას. მინერალოგი, რომელიც მხოლოდ იმის განმეორებას შესძლებდა, რომ ყველა მინერალი არსებითად **მინერალია**, მინერალოგი მხოლოდ თავის საკუთარ წარმო-

დგენაში იქნებოდა და... ამიტომ სპეკულიატური ფილოსოფია, რომელ-საც სხვა და სხვა ნამდვილი ნაყოფისგან ერთი მთლიანი განყენებული „ნაყოფი“ გამოჰყავს, რომ რაიმე დადებითს შინაარსამდე მივიდეს, უნდა შეეცადოს ამა თუ იმ გზით კვლავ გადავიდეს „ნაყოფი-“დან, „სუბსტანციიდან“ სხვა და სხვა ნამდვილ ცოდვილ ნაყოფებზე: ვაშლზე, მსხალზე, ნუშზე და სხვ. მაგრამ განყენებული წარმოდგენის—„**ნაყოფის**-ს“ იძულება, რომ მან ნამდვილი ნაყოფები ოოგვცეს ისევე ძნელია, როგორც ადვილია ამ წარმოდგენის შექმნა სხვადასხვა ნამდვილ ნაყოფების გაცნობის ნიადაგზე. მაგრამ აბსტრაქციაზე ხელის აუღებლად შეუძლებელია მივაღწიოთ იმას, რაც პირდაპირ მის წინააღმდეგობას წარმოადგენს. ამიტომ სპეკულიატური ფილოსოფოსი იღებს ხელს მასზე, მაგრამ იგი ამას თავისებური სპეკულიატური, **მისტიური წესით სჩადის**. ის მხოლოდ მოჩვენებით სცილდება აბსტრაქციას. იგი ასე მსჯელობს:

„თუ ვაშლი, მსხალი, ნუში, მარწყვი ნამდვილად სხვა არაფერია, თუ არა „**სუბსტანცია**,“ „**ნაყოფი**,“ —კითხვა ისმება, რატომ მევლინება ნაყოფი ხან ვაშლის, ხან მსხლისა და ხან ნუშის სახით; საიდან წარმოსდგება **მრავალნაირობის** ეს მოჩვენება, რომელიც ძლიერ ეწინააღმდეგება **მთლიანობის** „„**სუბსტანციის**“, „**ნაყოფის**“ ჩემ სპეკულიატურ წარმოდგენას?

„ეს ასე იმიტომ ხდება, – გვეუბნება სპეკულიატური ფილოსოფოსი,—რომ „ნაყოფი“ არის არა მკვდარი, განურჩეველი, უძრავი, არამედ ცოცხალი, ძოძრავი არსი, რომელიც თავისი შინაგანი ძალით ვითარდება. რეალურ ცოდვილ ნაყოფთა მრავალნაირობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩემი ბოლოვადი განსჯისათვის, არამედ თვით „ნაყოფი“-სთვისაც, სპეკულიატური გონებისთვის. სხვადასხვა ცოდვილი ნაყოფი წარმოადგენს მთლიანი „ნაყოფი“-ს არსებობის სხვადასხვა გამოვლენას... ერთ შემთხვევაში „ნაყოფი“ გამოიცლინება ვაშლის სახით, მეორე შემთხვევაში—კი მსხლის სახით... იგი სახიერდება ვაშლში, მსხალში, ნუშში; ამ ნაყოფს შორის არსებული განსხვავება მხოლოდ „ნაყოფის“ თვითგანსხვავებაა, და სწორედ აპიტომ სხვადასხვანაყოფი წარმოადეგნს „**ნაყოფის**“ **არსებობის პროცესის** სხვადასხვა წევრს...

ყველაფერი ეს გესლიანად, მაგრამ იმავე დროს აუცილებლად სამართლიანადაა ნათქვამი. იდეალიზმი ჩვენ საკუთარ აზროვნებითს პროცესს აბსოლიუტური იდეის სახით აპიროვნებდა და ყველა მოვლენის გადაჭრას ამ იდეაში ხედავდა; ამის გამო იგი ჩიხში ემწყვდეოდა, რომლისგან თავის დაღწევა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იდეაზე ხელს აიღებდა, ე. ი. თუ **გამოემშვიდო-**

ბებოდა იდეალიზმს. მაგალითად: არკვევს თუ არა რამოდენადმე მაინც მაგნეტიზმის ბუნებას შელინგის შემდეგი სიტყვები: „მაგნეტიზმი არის საერთო აქტი გასულიერებისა, იგი არის შთანერგვა მთლიანობისა სიმრავლეში, ცნებისა განსხვავებაში? სუბიექტურის ობიექტურში სწორედ ის შთანერგვა, რომელიც იდეის სახით... არის თვითშეგნება. აქ გვევლინება არსის სახით"? ცხადია, ეს სიტყვები სრულად არაფერს ხსნის. ამდენადვე არა დამაკმაყოფილებელია მსგავსი ახსნა **ისტორიის** სფეროშიც. რა იყო საბერძნეთის დაცემის მიზეზი? ის, რომ იდეას, რომელიც წარმოადგენდა საბერძნეთის არსებობის პრინციპს, მისი სულის ცენტრს (მშვენიერების იდეა) შეეძლო მსოფლიო სულის განვითარების მხოლოდ ~~არა ხანგრძლივი~~ ფაზა ყოფილიყო. ასეთი პასუხი მხოლოდ კითხვის განმეორებაა პოზიტიური, მედიდური, ყოველგვარ ორიგინალობას მოკლებული ფორმით, ჰეგელი,—რომელსაც ეკუთვნის ზემომოყვანილი ახსნა საბერძნეთის დაცემისა, თითქოს თითონაც გრძნობს ამას და ცდილობს შეაესოს იდეალისტური ახსნა ძველი საბერძნეთის ეკონომიური სინამდვილის დამოწმებით: **„ლაკედემონი, უმთავრესად, ქონებრივი უთანასწორობის გამო დაეცაო**—ამბობს იგი. ასე იქცევა ის არა მარტო იქ, სადაც საქმე საბერძნეთს ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ჰეგელი ამ წესს არ ღალატობს არც ისტორიის ფილოსოფიაში: ჯერ რამდენიმე გაურკვეველი მითითება აბსოლუტური იდეის თვისებებზე, შემდეგ კი—უფრო ვრცელი და, რასაკვირველია, უფრო დამარწმუნებელი მითითება იმ ხალხის ხასიათსა და ქონებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე, რომლის შესახებაც ლაპარაკია. არსებითად ამგვარ ახსნაში სრულიად არაფერია იდეალისტური. და ჰეგელი, რომელიც ამბობდა **იდეალიზმი მატერიალიზმის ჰეშმარიტებას** წარმოადგენსო,—ამგვარი ახსნით სწორედ **იდეალიზმის** სიღატაკეს ამოწმებდა და თითქოს ფარულად სცნობდა, რომ ნამდვილად-კი საწინააღმდეგოს აქვს ადგილი: **მატერიალიზმი წარმოადგენს იდეალიზმის ჰეშმარიტებასო.**

თუმცა, **მატერიალიზმი**, რომელსაც აქ ჰეგელი უახლოვდებოდა, იყო სრულიად განუვითარებელი, ჩანასახის ფორმით, რომელიც მაშინვე **იდეალიზმში** გადადიოდა, როგორც-კი საჭირო გახდებოდა იმის გამორკვევა, თუ საიდან ჩნდება ესა თუ ის ქონებრივი ურთიერთობა. მართალია, ჰეგელს აქაც ხშირად სავსებით მატერიალისტური შეხედულების გამოთქმა უხდებოდა. მაგრამ, საერთოდ, ქონებრივ ურთიერთობას განიხილავს ის, როგორც სამართლებლივ ცნებათა განხორციელებას, რომელნიც თავიანთი შინაგანი ძალით ვითარდებიან.

ამრიგად, რა გავიგეთ ჩვენ დიალექტიკოს იდეალისტებზე?

მათ ხელი აიღეს ადამიანის ბუნების თვალსაზრისზე და ამით თავი დააღწიეს უტოპიურ შეხედულებას საზოგადოებრივ მოვლენებზე; დაიწყეს საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვა როგორც აუცილებელი პროცესის, რომელსაც თავისი საკუთარი კანონი აქვს. მაგრამ ჩვენი ლოღიკური აზროვნების (ე. ი. **ადამიანის ბუნების** ერთ-ერთი მხარის) განპიროვნების არაპირდაპირი გზით ისინი კვლავ იმავე არადამაკმაყოფილებელ თვალსაზრისს დაუბრუნდენ და **ამიტომ მათთვის გაუგებარი დარჩა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰეშმარიტი ბუნება.**

ეხლა კვლავ მცირე უკანდახევა ჩვენი შინაური, რუსული სიბრძნის სფეროში.

ბ. მიხაილოვსკის გაუგონია ბ. ფილიპოვისაგან, რომელსაც თავისი მხრით ამერიკელ ფრეზერისგან სმენია, რომ ჰეგელის მთელი ფილოსოფია **„გალვანურ მისტიციზმს“** წარმოადგენსო. ის, რაც ჩვენ უკვე ვთქვით იმ ამოცანებზე, რომელსაც გერმანული იდეალისტური ფილოსოფია ისახავდა, მკითხველისათვის ცხადჰყოფს, თუ რამდენად ყალბია ფრეზერის შეხედულება. ბ. ბ. ფილიპოვი და მიხაილოვსკი თითონვე გრძნობენ, რომ მათმა ამერიკელმა გადააჭარბა: „საკმარისია“ მოვიგონოთ მემკვიდრეობითი მსვლელობა და გავლენა (ჰეგელზე) წინა დროის მეტაფიზიკისა, დაწყებული ძველთაგან, ჰერაკლიტესგან... ამბობს ბ. მიხაილოვსკი, თუმცა იქვე დასძენს: „მიუხედავად ამისა ფრეზერის შენიშვნები მეტის-მეტად საინტერესოა და უეჭველია ისინი ნაწილობრივ ჰეშმარიტებას შეიცავენ“. უნდა გამოვტყდეთ, თუმცა შეუძლებელია არ აღვიაროთ... დიდი ხანია მას შემდეგ, რაც შჩედრინმა ეს „ფორმულა“ სასაცილოდ აიგდო. მაშ როგორ უნდა მოიქცეს მისი ყოფილი თანამშრომელი—ბ. მიხაილოვსკი, რომელმაც იკისრა განუმარტოს „უვიცთ“ ის ფილოსოფოსი, რომელსაც იგი მხოლოდ სხვისი ნაამბობით იცნობს? უნებლიეთ მოგიხდება იმეორო მცოდნის კილოთი არაფრის მთქმელი ფრაზები...

მაგრამ გავიხსენოთ გერმანული იდეალიზმის განვითარების „მემკვიდრეობითი მსვლელობა“. „გალვანიზმის ,ცდები შთაბეჭდილებას ახდენს ევროპის ყველა მოაზროვნეზე, მათ შორის ახალგაზრდა გერმანელ ფილოსოფოს ჰეგელზეც, ამბობს ბ. მიხაილოვსკი.—ჰეგელი ჰქმნის კოლოსალურ მეტაფიზიკურ სისტემას, რომელიც მთელს ქვეყანას ედება“... აქ საქმის ვითარება ისეა გადმოცემული თითქოს ჰეგელი უშუალოდ ფიზიკოსებისაგან გაიმსჭვალა „გალვანიური მისტიციზმით“. მაგრამ ჰეგელის სისტემა ხომ შელინგის შეხედულებათა შემდგომს

განვითარებას წარმოადგენს; ცხადია, რომ გალვანიზმს გავლენა ჯერ ამ უკანასკნელზე უნდა მოეხდინა. მან კიდევაც მოახდინაო— გვამშვიდებს ბ. მიხაილოვსკი, ბ. ფილიპოვი ან ფრეზერი: „შელინგმა და განსაკუთრებით, ზოგიერთმა ექიმებმა, მისმა ყოფილმა მოწაფეებმა, მოძღვრება პოლიარობის შესახებ უკიდურესობამდე მიიყვანეს“. ძალიან კარგი, მაგრამ შელინგის წინამორბედი, როგორც ვიცით, ფიხტე იყო. როგორი გავლენა მოახდინა მასზე გალვანიზმმა? ამის შესახებ არაფერს ამბობს ბ. მიხაილოვსკი: ალბად იგი ფიქრობს, არავითარი გავლენა არ მოუხდენიაო. იგი სავსებით მართალია თუ ასე ფიქრობს. რომ ამაში დავრწმუნდეთ საკმარისია წავიკითხოთ ფიხტეს ერთ-ერთი ადრინდელი ფილოსოფიური თხზულება: „Grundlage der gesammten Wissenschaftslehre“, Leipzig, 1794. ამ თხზულებაში ვერც ერთი მიკროსკოპი ვერ აღმოაჩენს მასზე „გალვანიზმის“ გავლენას. მიუხედავად ამისა, იქაც არის იგივე ცნობილი „ტრიადა“, რომელიც ბ. მიხაილოვსკის, აზრით ჰეგელის ფილოსოფიის მთავარს დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს და რომლის გენეალოგიასაც ფრეზერი—დაახლოებითი სიზუსტით— „გალვანისა და ვოლტის ცდებისგან“ იწყებს... უნდა გამოვტყდეთ, რომ ყველაფერი ეს ძლიერ უცნაურია, თუმცა შეუძლებელია არ აღვიაროთ, რომ მაინც ჰეგელი... და სხვ... და სხვ...

მკითხველმა უკვე იცის, თუ როგორ უყურებდა შელინგი მაგნეტიზმს. გერმანული იდეალიზმის ნაკლი სრულებითაც იმაში არ მდგომარეობდა, რომ, მას საფუძვლად ედვა თითქოს გადაჭარბებული, უაზრო, მისტიური გატაცება იმ დროის საბუნებისმეტყველო აღმოჩენებით, არამედ, პირიქით, სწორედ იმაში—რომ იგი ცდილობდა ბუნებისა და ისტორიის მოვლენათა ახსნას მის მიერვე განპიროვნებული აზროვნების პროცესის მეთხებით.

დასასრულ, სასიხარულო ამბავი! ბ. მიხაილოვსკიმ აღმოაჩინა, რომ „მეტაფიზიკა და კაპიტალიზმი მჭიდრო ურთი-ერთ კავშირში იმყოფებიან; რომ, ეკონომიური მატერიალიზმის ენით რომ ვთქვათ, მეტაფიზიკა არის წარმოების კაპიტალისტური ფორმის „ზედნაშენის“ აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, თუმცა ამავე დროს კაპიტალი ნთქამს, იგუებს, ცდასა და დაკვირვებაზე დამყარებულის და მეტაფიზიკისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერების ტეხნიკაში გამოყენებას“. ბ. მიხაილოვსკი აღგვითქვამს „ამ საინტერესო წინააღმდეგობაზე“ მოგვითხროს ოდესმე, სხვა დროს. ჭეშმარიტად „საინტერესო“ იქნება, ბ. მიხაილოვსკის გამოკვლევა! როგორ არ გაგიკვირდებათ, იმან, რასაც იგი მეტაფიზიკას

უწოდებს, ბრწყინვალე განვითარება ჰპოვა ძველ საბერძნეთში და XVIII საუკუნის და XIX საუკუნის პირველ ნახევრის გერმანიაში. დღემდე ფიქრობდენ, რომ ძველი საბერძნეთი სრულიად არ ყოფილა კაპიტალისტური ქვეყანა, აღნიშნული დროის გერმანიაში-კი კაპიტალიზმმა მხოლოდ დაიწყო განვითარება. ბ. მიხაილოვსკის გამოკვლევა დაგვანახვებს, რომ ეს „**სუბიექტური სოციოლოგიის**“ თვალსაზრისით სრულიად არაა მართალი, რომ სწორედ ძველი საბერძნეთი და ფიხტე—ჰეგელის დროის გერმანია წარმოადგენდა კაპიტალზმის კლასიკურ ქვეყნებს. თქვენ ეხლა ხედავთ, თუ რატომ არის „ეს ასე მნიშვნელოვანი.“ სასურველია ჩვენმა ავტორმა დააჩქაროს თავისი შესანიშნავი აღმოჩენის გამოქვეყნება. ჩემო თვალის სინათლევ, ნუ გრცხვენია იმღერე!

თავი მეხუთე

თანამედროვე მატერიალიზმი

იდეალისტური თვალსაზრისის უძლურებამ ბუნებისა და საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნის საქმეში აიძულა **მოაზროვნე** ხალხი (რასაკვირველია, არა ეკლექტიკოსები და დუალისტები) დაბრუნებოდა მატერიალისტურ თვალსაზრისს. მაგრამ ახალი მატერიალიზმი ვერ იქნებოდა XVIII საუკუნის ფრანგ მატერიალისტთა მოძღვრების უბრალო განმეორება. იგი აღსდგა იდეალიზმის ყველა მონაპოვრით გამდიდრებული. უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენდა **დიალექტიკური მეთოდი** ე. ი. მოვლენის განხილვა მისი განვითარების, მისი აღმოცენებისა და გაქრობის თვალსაზრისით. ამ ახალი მიმართულების გენიალური წარმომადგენელი იყო **კარლ მარქსი.**

პირველი არ იყო მარქსი, რომელმაც იდეალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა. აჯანყების დროშა **ლიუდვიგ ფოიერბახმა** (24) აღმართა. შემდეგ, ფოიერბახზე ცოტათი გვიან, ლიტერატურულ სცენაზე **ძმები ბაუერები** (25) გამოვიდენ, რომელთა შეხედულებანი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თანამედროვე რუსი მკითხველების მხრით.

ბაუერების თვალსაზრისი წარმოადგენდა რეაქციას ჰეგელის იდეალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავად ამისა თვით ის გამსჭვალული იყო მეტად ზერელე, ცალმხრივი და ეკლექტიკური იდეალიზმით.

ჩვენ დავინახეთ, რომ უდიდესმა გერმანელმა იდეალისტებმა ვერ შესძლეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჭეშმარიტი ბუნების გაგება, მათი რეალური საფუძვლის გამონახვა. საზოგადოებრივ განვითარებაში მათ კანონზომიერი, აუცილებელი პროცესი დაინახეს და ამ მხრით ისინი საკმაოთ მართალნი იყვენ. მაგრამ, როცა ლაპარაკი ისტორიული განვითარების მთავარ მამოძრავებელზე ჩამოვარდებოდა, ისინი აბსოლიუტურ იდეას მიმართავდენ, რომლის თვისებებს უნდა მოეცა ამ პროცესის საბოლოო და უღრმესი ახსნა. სწორედ ეს იყო იდეალიზმის სუსტი მხარე, რომლის წინააღმდეგ, პირველ

ყოვლისა, წარმოებდა ფილოსოფიური რევოლიუცია: ჰეგელის სკოლის უკიდურესი მემარცხენე ფრთა საბოლოოდ აღუდგა „აბსოლიუტურ იდეას.“

აბსოლიუტური იდეა არსებობს (რასაკვირველია, თუ-კი არსებობს) დროისა და სივრცის გარეშე და, ყოველ შემთხვევაში, თითოეული ცალკე ადამიანის თაკის გარეშე. კაცობრიობა თავისი ისტორიული განვითარების დროს გაივლის იდეის ლოღიკურ განვითარების საფეხურებს და ამით ემორჩილება მისთვის უცხოსა და გარე მდგომ ძალას. როცა ახალგაზრდა ჰეგელიანელები აბსოლიუტური იდეის წინააღმდეგ ილაშქრებდენ, ისინი ამას, პირველ ყოვლისა, ადამიანის თვითმოქმედებისა და ადამიანის ბოლოვადი გონების სახელით ჩადიოდენ.

„სპეკულიატური ფილოსოფიაო,—სწერდა ედგარ ბაური, ძლიერ ცდება, როცა გონება რაღაც განყენებულ, აბსოლიუტურ ძალად მიაჩნია... გონება არ არის ობიექტური, განყენებული ძალა, რომლის მიმართ ადამიანი სუბიექტურს, შემთხვევით გარდამავალ რასმე წარმოადგენდეს; სრულებით არა, გაბატონებული ძალა არის სწორედ ადამიანი, მისი თვითცნობიერება, გონება-კი მხოლოდ ამ თვითცნობიერების ძალაა. მაშასადამე, არ არსებობს არავითარი აბსოლიუტური გონება, არის მხოლოდ თვითცნობიერების განვითარებასთან ერთად მარად ცვალებადი გონება: საბოლოო სახით იგი არ არსებობს, არამედ მუდმივ იცვლება“[1]).

ამრიგად, არ არის აბსოლიუტური იდეა—განყენებული გონება, არის მხოლოდ ადამიანთა თვითცნობიერება, ბოლოვადი, მარად ცვალებადი ადამიანის გონება. ეს საესებით მართალია; ამის წინააღმდეგ არაფერი ექნება თვით ბ. მიხაილოვსკისაც-კი, რომელსაც როგორც ვიცით ჩვეულებად აქვს, იდავოს ყველაფერზე ცოტად თუ ბევრად საეჭვო წარმატებით. მაგრამ საკვირველია! რაც უფრო მკვეთრად გამოვთქვამთ ამ მართალ აზრს, მით უფრო უხერხული ხდება ჩვენი მდგომარეობა. ძველი გერმანელი იდეალისტები ყოველი პროცესის კანონზომიერებას ბუნებასა და ისტორიაში აბსოლიუტური იდეით ხსნიდენ. მაგრამ რითი უნდა ავხსნათ ეს კანონზომიერება მას შემდეგ, რაც მისი მატარებელი—აბსოლიუტური იდეა—განადგურებულია. ვთქვათ, რომ ბუნების შესახებ დამაკმაყოფილებელი პასუხი შესაძლოა რამდენიმე სიტყვით: ჩვენ მას მატერიის თვისებებით ვხსნით.

---

[1]) Der Streit der Kritik mit Kirche und Staat. Von Edgar Bauer. Bern 1884 გვ. 184.

მაგრამ ისტორიის მიმართ საქმე ასე მარტივად როდია: ისტორიაში გაბატონებული ძალა ადამიანის თვითცნობიერებაა, ადამიანის მარად ცვალებადი, ბოლოვადი გონება. აქვს თუ არა რაიმე კანონზომიერება ამ გონების განვითარებას? ედგარ ბაუერი, რასაკვირველია, დადებითად უპასუხებდა, რადგანაც მისთვის, როგორც დავინახეთ, ადამიანი, მაშასადამე, მისი გონებაც სრულებით არ იყო რაღაც შემთხვევითი. მაგრამ თქვენ რომ იმავე ბაუერისათვის თხოვნით მიგემართნათ ანემარტა მას ადამიანის გონების განვითარების კანონზომიერება, ე. ი. თქვენ რომ გეკითხნათ მისთვის, მაგალითად, თუ სხვადასხვა ეპოქაში გონება რატომ სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა, არსებითად მისგან თქვენ ვერავითარ პასუხს ვერ მიიღებდით. ის გეტყოდათ, რომ „მარად ცვალებადი გონება ჰქმნის საზოგადოებრივ ფორმებს,“ რომ „მსოფლიო ისტორიის მამოძრავებელი ძალა ისტორიული გონებაა“, და რომ, ამის გამო, ყოველი განსაზღვრული საზოგადოებრივი წყობილება ჰკარგავს არსებობის აზრს, გადადგამს თუ არა გონება წინ ახალ ნაბიჯს თავის განვითარების გზაზეო[1]). მაგრამ ყველა ეს და ამისი მსგავსი საბუთები იქნებოდა არა პასუხი კითხვაზე, არამედ უშედეგო ტრიალი იმ კითხვის გარშემო, თუ რატომ ვითარდება ადამიანის გონება და რატომ მისი განვითარების გზა სწორედ ასეთია და არა სხვაგვარი. თუ კი ე. ბაუერს იძულებულს გახდიდით სწორედ ამ კითხვისთვის გაეწია ანგარიში, იგი მყისვე ბოლოვადი, მარად ცვალებადი ადამიანის გონების თვისებების უშინაარსო დამოწმებას მიმართავდა, მსგავსად იმისა, როგორც ძველი იდეალისტები აბსოლუტურ იდეას იმოწმებდენ.

გონების აღიარება მსოფლიო ისტორიის მამოძრავებელ ძალად და მისი განვითარების ახსნა რაღაც განსაკუთრებული, მისივე დამახასიათებელი, შინაგანი თვისებებით, მოასწავებს მის გარდაქცევას აბსოლიუტურ არსებად ანდა სწორედ იმ აბსოლიუტური იდეის გაცოცხლებას ახალი სახით, რომელიც ეს-ეს იყო სამუდამოდ დასამარებულად გამოაცხადეს. ამ გაცოცხლებული აბსოლიუტური იდეის მთავარ ნაკლს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ იგი სრულიად მშვიდად ეგუებოდა ნამდვილ აბსოლიუტურ დუალიზმს, ან უფრო სწორედ, აუცილებლად ჰგულისხმობდა მას. რაკი ბუნების პროცესები ბოლოვადი, მარად ცვალებადი ადამიანის გონებით არ განისაზღვრება, ამის გამო ჩვენ ორ ძალასთან გვაქვს საქმე: ბუნებაში—მატერიას-

[1]) L. c. S. 185.

თან, ისტორიაში—ადამიანის გონებასთან, და არ არის ხიდი, რომელიც შეაერთებდა მატერიის მოძრაობას გონების განვითარებასთან, აუცილებლობის სამეფოს თავისუფლების სამეფოსთან. ამიტომ ვთქვით ჩვენ, რომ ბაუერის თვალსაზრისი მეტად ზერელე, ცალმხრივი და ეკლექტიური იდეალიზმით იყო გამსჭვალული-მეთქი.

შეხედულებანი მართავენ ქვეყანასო—ამბობდენ ფრანგი განმანათლებელნი. ამასვე იმეორებდენ, როგორც ვხედავთ, ძმები ბაუერებიც, რომელნიც ჰეგელის იდეალიზმს აღუდგენ. მაგრამ თუ კი ქვეყანას შეხედულება მართავს, მაშინ ისტორიის მთავარ მამოძრავებელს წარმოადგენს ის ხალხი, რომლის აზრი აკრიტიკებს ძველსა და ჰქმნის ახალ შეხედულებას. ძმები ბაუერები მართლაც ასე ჰფიქრობდენ. ისტორიული პროცესის არსი, მათი აზრით, წარმოადგენდა შეხედულებათა არსებული მარაგის და ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმის „კრიტიკული სულით“ გადამუშავებას. ბაუერების ეს შეხედულება მთლიანად გადმოიტანა რუსულ ლიტერატურაში „ისტორიული წერილები“-ს ავტორმა, რომელიც, სხვათა შორის, ლაპარაკობდა უკვე არა კრიტიკულ „სულზე“, არამედ კრიტიკულ „აზრზე“, იმის გამო, რომ სულზე ლაპარაკი აკრძალა „Современник“-მა.

მას შემდეგ, რაც „კრიტიკულად მოაზროვნე“ ადამიანი თავს ისტორიის არქიტექტორად, **დემიურგად** წარმოიდგენს, იგი თავის თავს და თავის მსგავსთ აცხადებს ადამიანთა გვარის განსაკუთრებულ უმაღლეს სახესხვაობად. ამ უმაღლეს სახესხვაობას უპირისპირდება კრიტიკულ აზრს მოკლებული **მასა**, რომელსაც შეუძლია მხოლოდ თიხის როლი შეასრულოს „კრიტიკულად მოაზროვნე“ პიროვნებათა შემომქმედ ხელში,—„**გმირებს**“ უპირისპირდება „**ბრბო**“. რა რიგ დიდი სიყვარული უნდა ჰქონდეს გმირს ბრბოსი, რა რიგ აღსავსე უნდა იყოს იგი მისი საუკუნეებრივი გაჭირვებისა და განუწყვეტელი წამებისადმი თანაგრძნობით, მაინც მას არ შეუძლია ბრბოს ზევიდან არ დაჰყურებდეს, არ შეუძლია არ შეიგნოს, რომ ყველაფერი არის ის—გმირი, მაშინ როცა ბრბო ყოველგვარ შემოქმედებითს ელემენტს მოკლებული მასაა, ნულების რაღაც წარმოუდგენელი რაოდენობის მსგავსი, რომელიც კეთილმყოფელ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ ღებულობს, როცა მას კეთილი, მოწყალე, „კრიტიკულად მოაზროვნე“ ერთეული ხელმძღვანელობს. ძმათა ბაუერების ეკლექტიური იდეალიზმი იყო მეორმოცე წლების „კრიტიკულად მოაზროვნე“ გერმანელი „ინტელიგენციის“ საშინელი, შეიძლება ითქვას, საზიზღარი თვითგანდიდების საფუძველი, ამჟამად-კი იგი

მათი რუსი მიმდევრების საშუალებით, რუსეთის ინტელიგენციის იმავე ნაკლს ჰბადებს. ამ თვითგანდიდების დაუძინებელი მტერი და მხილებელი იყო **მარქსი**, რომლის მოძღვრების განხილვაზე ჩვენ ეხლა გადავდივართ.

მარქსი ამბობდა, რომ „კრიტიკულად მოაზროვნე" პიროვნებათა „მასისადმი" დაპირისპირება არის მხოლოდ კარიკატურა ჰეგელის თვალსაზრისისა ისტორიაზე და მეტი არაფერი—თვალსაზრისის, რომელიც თავისი მხრით, წარმოადგენდა მხოლოდ სპეკულიატურ დანასკვს ძველი მოძღვრებისა სულის და მატერიის ერთი-ერთ წინააღმდეგობის შესახებ. „ჰეგელის აზრითაც, ისტორიის აბსოლიუტური სული"[1]) ეპყრობა მასას როგორც მასალას, თითონ-კი თავის ნამდვილ გამოხატულებას მხოლოდ **ფილოსოფიაში** ჰპოულობს. თუმცა, ფილოსოფოსი არის მხოლოდ ორგანო, რომლის მეშვეობით ისტორიის შემომქმედი—აბსოლიუტური სული—მიდის თვითშეგნებამდე, **მოძრაობის დასრულების შემდეგ**. ამ თვითშეგნებით—რომელიც მოძრაობის დასრულების შემდეგ ჩნდება—განისაზღვრება ფილოსოფოსის მონაწილეობა ისტორიაში, რადგანაც ნამდვილ ისტორიულ მოძრაობას აბსოლიუტური სული შეუგნებლად იწვევს[2]). ამრიგად, ფილოსოფოსი post-festum მოდის. ჰეგელი ორმაგ ულოღიკობას ჩადის: ჯერ ერთი, იმით, რომ იგი—რომლის მოძღვრებით აბსოლიუტური სული მხოლოდ ფილოსოფიაში აღწევს თვითცნობიერებას და, მაშასადამე, არსებობასაც—არ სცნობს აბსოლიუტურ სულად ნამდვილ ფილოსოფოსს, ინდივიდუუმს; მეორე, იმით, რომ აბსოლიუტური სული მხოლოდ მოჩვენებით ჰქმნის ისტორიას. მართლაც, რადგანაც აბსოლიუტური სული მხოლოდ ფილოსოფოსის სახით და მხოლოდ post-festum სცნობს თავს შემომქმედ სულად, ამიტომ მის მიერ ისტორიის ფაბრიკაცია არსებობს მხოლოდ ფილოსოფოსის ცნობიერებაში, აზრში, ე. ი. მხოლოდ სპეკულიატურ წარმოდგენაში. ბ. ბრუნო ბაუერი თავიდან იცილებს ჰეგელის ულოღიკობას[3]). ჯერ ერთი, იგი კრიტიკას აცხადებს აბსოლიუტურ სულად, თავის თავს-კი კრიტიკად. მსგავსად იმისა, როგორც კრიტიკის ელემენტი იდევნება მასიდან, მასის ელემენტი იდევნება კრიტიკიდან. ამიტომ კრიტიკა ხე-

---

[1]) ან აბსოლიუტური იდეა. გ. პ.

[2]) მკითხველს ახსოვს ალბად ჰეგელის ზემოდ მოყვანილი გამოთქმა: მინერვას ბოტი საღამოობით იწყებს ფრენას. გ. პ.

[3]) ბრუნო ბაუერი ზემო მოხსენებული ედგარ ბაუერის უფროსი ძმაა, ავტორი თავის დროზე შესანიშნავ „Kritik der evangelischen Geschichte der Synoptiker"-ის.

დავს თავის თავს განხორციელებულს არა **მასაში**, არამედ ერთ **მუჭა** რჩეულებში, ბ. ბაუერსა და მის მოწაფეებში. შემდეგ, ბ. ბაუერი თავიდან იცილებს ჰეგელის მეორე ულოღიკობას: იგი უკვე აღარ კმაყოფილდება ჰეგელის სულის როლით, რომელიც ისტორიას მხოლოდ ფანტაზიაში და post-festum ჰქმნის: იგი **შეგნებულად** ასრულებს **მსოფლიო სულის** როლს, წინააღმდეგ კაცობრიობის დანარჩენი მასისა. იგი უკვე აწმყოში დგება მასთან **დრამატიულ** ურთიერთობაში, ის თხზავს და ჰქმნის ისტორიას მომწიფებული განსჯით, წინასწარი მოფიქრებული მიზნით. ერთ მხარეზე დგას მასა, ისტორიის ეს **მატერიალური**, პასიური, არაგანსულიერებული და არაისტორიული ელემენტი; მეორე მხარეზე—სული, კრიტიკა, ბ. ბრუნო და კომპ. აქტიური ელემენტის სახით, რომლისგანაც გამოდის ყოველი **ისტორიული** მოქმედება. საზოგადოებრივი გარდაქმნის აქტი საბოლოოდ კრიტიკული კრიტიკის **ტვინის მუშაობაა**" [1]).

ეს სტრიქონები საოცარ ილიუზიას ჰქმნის: გგონია, რომ ის დაწერილია არა ორმოცდაათი წლის, არამედ სულ რაღაც ერთი თვის წინეთ და მიმართულია არა გერმანელი მემარცხენე ჰეგელიანელების, არამედ რუსი „სუბიექტური სოციოლოგების" წინააღმდეგ. ილიუზია უფრო ძლიერდება ენგელსის წერილიდან შემდეგი ადგილის წაკითხვისას:

„დამოუკიდებელი და სრულქმნილი კრიტიკა, ცხადია, არ უნდა სცნობდეს ისტორიას ისე, როგორც იგი ნამდვილად მიმდინარეობდა, რადგან ეს მოასწავებდა სწორედ ამ ბრიყვი მასის ცნობას თავისი სრული მასიურობით მაშინ, როცა საქმე სწორედ მასის ამ მასიურობისგან განთავისუფლებას შეეხება. ამიტომ ისტორია თავისუფლდება მისი მასიურობისგან და კრიტიკა, რომელიც თავისუფლად ეპყრობა თავის საგანს, უყვირის ისტორიას: შენ ამა და ამ გზით უნდა წასულიყავიო. კრიტიკის კანონებს უკუბრუნვითი მოქმედების ძალა აქვს: მისი დეკრეტების შემდეგ წარსული ისტორია სულ სხვა სახეს ღებულობს, ვიდრე მას ამ დეკრეტებამდე ჰქონდა. ამის გამო ეგრეთწოდებული ნამდვილი მასიური ისტორია საგრძნობად განსხვავდება კრიტიკული ისტორიიდან" [2]).

---

[1]) Die heilige Familie oder Kritik der Kritischen Kritik. Gegen Bruno Bauer und Konsorten. Von F. Engels und K. Marx. Frankfurt auf Main. 1845 ss. 126—128. ეს წიგნი წარმოადგენს მარქსისა და ენგელსის წერილების კრებულს, რომელიც მიმართული იყო „კრიტიკული კრიტიკის" სხვადასხვა შეხედულების წინააღმდეგ. მოყვანილი ციტატა ამოღებულია მარქსის წერილიდან ბრ. ბაუერის წინააღმდეგ. წინა თავში მოყვანილი ადგილიც მარქსს ეკუთვნის.

[2]) იხ. იქვე გვ. 6.

ვისზეა ლაპარაკი ამ ამონაწერში? მეორმოცე წლების გერმანელ მწერლებზე, თუ ჩვენი დროის ზოგ სოციოლოგებზე, რომელნიც აპლომბით მსჯელობენ, თითქოს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა კატოლიკს წარმოდგენილი ჰქონდეს ერთი სახით, პროტესტანტს—მეორეთი, მონარქისტს—მესამეთი, რესპუბლიკანელს—მეოთხეთი, დამიტომ ყოველ რიგიან სუბიექტურ ადამიანს არა თუ შეუძლია, არაღ მედ ვალდებულიც არის გამოიგონოს თავისთვის, თავისი სულიერი საჭიროებისთვის ისეთი ისტორია, რომელიც საესებით შეეფერება საუკეთესო იდეალს? ნუთუ ენგელსმა გაითვალისწინა ეს რუსული სისულელე. სრულიადაც არა! ენგელსი, რასაკვირველია, სრულიადაც არ ჰფიქრობდა მასზე, და თუ მაინც ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩვენი სუბიექტური მოაზროვნეები საესებით იმსახურებენ ამ ირონიას—ეს იმ უბრალო გარემოებით აიხსნება, რომ ჩვენს სუბიექტურ ლაყბობაში სრულიად არაფერია ორიგინალური: ის სხვა არა არის რა, თუ არა ულაზათო „სუზდალური“ სურათი სწორედ იმ ჰეგელიანიზმის კარიკატურისა, რომლის წინააღმდეგ იგი ასე ვაგლახად იბრძვის.

„კრიტიკული კრიტიკის“ თვალსაზრისით, ყველა დიდი ისტორიული შეჯახება საბოლოოდ **იდეათა** შეჯახებას წარმოადგენს. მარქსი შენიშნავს, რომ **იდეებს** „თავს ლაფი ესხმოდა“ ყოველთვის, როცა ისინი არ ეხამებოდენ იმ საზოგადოებრივი ფენის რეალურ, ეკონომიურ ინტერესს, რომელიც წარმოადგენდა ამა თუ იმ დროს ისტორიული პროგრესის მატარებელსო. მხოლოდ ამ ინტერესების ნათლად წარმოდგენა მოგვცემს გასაღებს ისტორიული განვითარების ნამდვილი მსვლელობის გასაგებად.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფრანგი განმანათლებელნი უყურადღებოდ არ სტოვებდენ ინტერესებს, რომ ისინი ხშირად მიმართავდენ მას განსაზღვრული საზოგადოების არსებული მდგომარეობის ასახსნელად. მაგრამ **ინტერესების** გარდამწყვეტ მნიშვნელობაზე მათი ეს თვალსაზრისი წარმოადგენდა მხოლოდ სახეცვლილებას ფორმულისა: შეხედულებანი მართავენ ქვეყანას—გამოდიოდა, რომ თვით ინტერესები საბოლოოდ შეხედულებაზეა დამოკიდებული და იცვლება ამ უკანასკნელის ცვლილებასთან ერთად. ინტერესების მნიშვნელობის **ასეთი** ახსნა-გაგება მოასწავებს იდეალიზმის გამარჯვებას ისტორიულ მოვლენათა ახსნის საქმეში. იგი უფრო შორს მიდის, ვიდრე გერმანული დიალექტიკური იდეალიზმი, რომლის მიხედვით ადამიანთა ახალი მატერიალური ინტერესები თავს იჩენს ყოველთვის, როცა აბსოლიუტურ იდეას დასჭირდება გადასდგას ახალი ნაბიჯი წინ თავისი ლო-

ლიკური განვითარების გზაზე. მარქსს მატერიალური ინტერესების მნიშვნელობა სრულიად სხვაგვარად ესმის.

ჩვეულებრივს რუს მკითხველს მარქსის ისტორიული თეორია შიაჩნია რაღაც საზიზღარ პასკვილად ადამიანთა გვარის მიმართ. თუ არ ვცდებით გ. ი. უსპენსკის „Разорение"-ში არის მოხუცი ქალი, რომელიც სიკვდილის წინ ბოდვის დროს იმეორებს მთელი თავისი ცხოვრების საზიზღარ წესს: „ჯიბე გაისქელე, ჯიბე!" რუსი ინტელიგენცია გულუბრყვილოდ ჰფიქრობს, თითქოს მარქსი ამ საზიზღარ წესს მთელ კაცობრიობას აწერდეს; თითქოს იგი ამტკიცებდეს, რომ რასაც უნდა აკეთებდენ ადამიანთა გვარის შვილები, ისინი ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ და შეგნებულად თავიანთ ჯიბეს „ისქელებენ". უანგარო რუსი ინტელიგენტისათვის ასეთი თვალსაზრისი ისევე „არასიმპატიურია", როგორც დარვინის თეორია რომელიმე ტიტულიარული „სოვეტნიციისათვის", რომელიც ჰფიქრობს, რომ ამ თეორიის მთელი აზრი იმ აღმაშფოთებელ დებულებაში მდგომარეობს, რომ იგი—საპატიო „სოვეტნიცა" მხოლოდ თავსაფრით მორთულ მაიმუნს წარმოადგენს. ნამდვილად-კი არც მარქსს და არც დარვინს აზრად არ მოსდის ვისმე ცილი დასწამოს.

მარქსის ისტორიული თვალსაზრისის გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ, თუ რა დასკვნამდე მივიდა ფილოსოფია და საზოგადოებრივ-ისტორიული მეცნიერება იმ ხანებში, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა მის მოვლინებას. როგორც ვიცით, რესტავრაციის დროის ფრანგი ისტორიკოსები დარწმუნდენ, რომ „სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება"—„ქონებრივი ურთიერთობა" შეადგენს მთელი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ამავე დასკვნამდე მივიდა, ჰეგელის სახით, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიაც,—მივიდა თავისი ნების, თავისი ბუნების წინააღმდეგ, იდეალისტური თვალსაზრისის უძლურების გამო ისტორიის ახსნის საქმეში. მარქსი, რომელმაც შეითვისა თავისი დროის მეცნიერული ცოდნისა და ფილოსოფიური აზროვნების ყველა შედეგი, სავსებით ეთანხმება ფრანგ ისტორიკოსებს და ჰეგელს აღნიშნულ დასკვნებში. მე დავრწმუნდიო—ამბობს იგი—რომ „იერარქიული ურთიერთობანი და სახელმწიფო ფორმები ვერ აიხსნება ვერც თავისი საკუთარი ბუნებით, ვერც ეგრეთწოდებული ადამიანის სულის საერთო განვითარებით, არამედ მას თავისი ფესვები ცხოვრების მატერიალურ ურთიერთობაში აქვს, რასაც ჰეგელმა, მსგავსად ინგლისელებისა და XVIII საუკუნის ფრანგებისა, „სამოქალაქო საზოგადოება" უწოდა, სა-

მოქალაქო საზოგადოების ანატომია-კი მის ეკონომიაში უნდა ვეძიოთ".

მაგრამ რაზეა დამოკიდებული განსაზღვრული საზოგადოების **ეკონომია?** ვერც ფრანგმა ისტორიკოსებმა, ვერც უტოპისტ-სოციალისტებმა, ვერც ჰეგელმა ვერ უპასუხეს ამ კითხვას ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებლად. ისინი—პირდაპირ თუ არაპირდაპირ—ყოველთვის ადამიანის ბუნებას მიმართავდენ. მარქსის უდიდესი მეცნიერული დამსახურება ის არის, რომ მან საკითხს დიამეტრულად საწინააღმდეგო მხრით მიუდგა, რომ მან თვით ადამიანის ბუნებას შეხედა როგორც ისტორიული მოძრაობის მარად ცვალებად რეზულტატს, რომლის მიზეზი ადამიანის ბუნების **გარეთ** იმყოფება. რომ იარსებოს, ადამიანმა ხელი უნდა შეუწყოს თავის ორგანიზმს იმით, **რომ მიითვისოს მისი გარემომცველი ბუნებიდან** მისთვის აუცილებელი ნივთიერება. ეს მითვისება ჰგულისხმობს ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებას ამ გარე ბუნებაზე. მაგრამ ,,როცა ადამიანი გარე ბუნებაზე მოქმედებს, იგი იცვლის თავის საკუთარ ბუნებას.'' ამ რამდენიმე სიტყვით გამოთქმულია მარქსის მთელი ისტორიული თეორიის არსი, თუმცა, რასაკვირველია, ის თავის-თავად აღებული არ იძლევა მასზე სათანადო წარმოდგენას და საჭიროებს ახსნას.

ფრანკლინმა ადამიანს ,,იარაღის მკეთებელი ცხოველი'' უწოდა. იარაღების გამოყენება და წარმოება მართლაც ადამიანის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. დარვინი არ სცნობს იმ აზრს, რომლის მიხედვით თითქოს მხოლოდ ადამიანს შეეძლოს იარაღების გამოყენება. მას მრავალი მაგალითი მოჰყავს იმის ნათელსაყოფად, რომ მათი გამოყენება ჩანასახის ფორმით მრავალ ძუძუ-მწოვარ ცხოველს ახასიათებს. და იგი, თავის-თავად ცხადია, სრულიად მართალია თავისი თვალსაზრისით, ე. ი. იმ მხრით, რომ ,,ადამიანის ბუნებაში'' არაა არც ერთი ისეთი ნიშანი, რაც ცხოველთა ამა თუ იმ სახეს არ გააჩნდეს, და რომ ამიტომ სრულიად არავითარი საფუძველი არა გვაქვს ადამიანი რაღაც განსაკუთრებულ არსებად ჩავთვალოთ და იგი განსაკუთრებულ ,,სამეფოს'' მივაკუთვნოთ. მაგრამ ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, **რომ რაოდენობითი განსხვავებანი გადადიან თვისებრივში.** ის, რაც ცხოველთა ერთ სახეს **ჩანასახის** ფორმით აქვს, შესაძლებელია ცხოველთა მეორე სახის **განმასხვავებელ ნიშნად** იქცეს. ეს განსაკუთრებით იარაღების გამოყენების შესახებ უნდა ითქვას. სპილო ტოტს სტეხს და ბუზებს იგერიებს. ეს საინტერესო და საგულისხმოა. მაგრამ სახე ,,სპილო''-ს განვითარების ისტორიაში ბუზებთან ბრძოლის დროს ტოტის გამოყენება, ალბად, არავითარ არსებით როლს არ ასრულებდა. სპილო იმიტომ კი არ იქცა

სპილოდ, რომ მისი ცოტად თუ ბევრად სპილოსმსგავსი წინაპრები ტოტებს ხმარობდენ. სულ სხვა ითქმის ადამიანზე[1]). ავსტრალიელი ველურის მთელი არსებობა დამოკიდებულია მის ბუმერანგზე ისე, როგორც თანამედროვე ინგლისის არსებობა დამოკიდებულია მის მანქანებზე. წაართვით ავსტრალიელს მისი ბუმერანგი, გადააქციეთ იგი მიწათმომქმედად და ის აუცილებლად შესცვლის მთელ თავის ცხოვრებას, ყველა თავის ჩვეულებას, მთელ თავის აზრთა წყობას, მთელ თავის „ბუნებას".

ჩვენ ვთქვით: გარდააქციეთ იგი მიწათმომქმედად მეთქი. მიწათმოქმედების მაგალითზე ნათლად სჩანს, რომ ბუნებაზე ადამიანის წარმოებითი ზემოქმედების პროცესი არა მარტო შრომის იარაღებს ჰგულისხმობს შრომის იარაღები შეადგენს წარმოებისათვის აუცილებელ საშუალ ათა მხოლოდ ნაწილს. აი რატომ არის უფრო სწორი ვილაპარაკოთ არა **შრომის იარაღების განვითარებაზე**, არამედ **საწარმოო ძალთა** განვითარებაზე, თუმცა, სრულიად უეჭვოა, რომ ამ განვითარებაში ყველაზე დიდ როლს ასრულებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, დღემდე ასრულებდა (მთავარ **ქიმიურ** წარმოებათა განვითარებამდე) სწორედ **შრომის იარაღები**.

შრომის იარაღების სახით ადამიანი თითქოს ახალ ორგანოებს იძენს, რომელიც მის ანატომიურ აგებულებას სცვლის. მას შემდეგ, რაც მან მათი ხმარება შესძლო, იგი თავისი განვითარების ისტორიას სრულიად ახალ სახეს აძლევს: წინედ ეს ისტორია, როგორც სხვა ყველა დანარჩენი ცხოველისათვის, მის ბუნებრივ ორგანოთა ცვლილებაში მდგომარეობდა, ეხლა-კი იგი პირველ ყოვლისა **მისი საწარმოო ძალთა ზრდისა, მის ხელოვნურ ორგანოთა გაუმჯობესების ისტორია ხდება.**

ადამიანი—**იარაღის მკეთებელი ცხოველი**, ამავე დროს **საზოგადოებრივი ცხოველიც** არის; იგი იმ წინაპრებისგან წარმოიშვა, რომლებიც მრავალი თაობის განმავლობაში ცოტად თუ ბევრად მოზრდილ ჯოგებად ცხოვრობდენ. აქ ჩვენთვის არაა დიდად მნიშვნელოვანი, თუ რატომ იწყეს ცხოვრება ჩვენმა წინაპრებმა ჯოგებად, ამის გამორკვევა **ზოოლოგების** საქმეა,—მაგრამ ისტორიის ფილოსოფიის თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანის ხელოვნურმა ორგანოებმა მისი არსებო-

---

[1]) «So thoroughly is the use of tools the exclusive attribute of man that the discovery of a single artificially shoped flint in the drift or cave-breccia is deemed proof enongh that man has been there». Prehistoric Man, by Danie, Wilson, vol. 1 p. 151—152. London. 1876.

ბისათვის გარდამწყვეტი როლის ასრულება იწყეს, თვით საზოგადოებრივმა ცხოვრებამ იწყო ცვლა საწარმოო ძალთა განვითარების მიხედვით.

„მრავალნაირი ურთიერთობა, რომელშიც ებმიან ადამიანები პროდუქტის წარმოების დროს, არ განისაზღვრება მათი დამოკიდებულებით ბუნებასთან. წარმოება შესაძლოა მწარმოებლების მოქმედებათა მხოლოდ ერთგვარი შეერთებისა და შეხამების დროს. რომ აწარმოონ, ადამიანები შედიან განსაზღვრულ კავშირსა და ურთიერთობაში და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი კავშირისა და ურთიერთობის მეშვეობით და ფარგალში წარმოიშობა ადამიანთა ის ზემოქმედება ბუნებაზე, რომელიც აუცილებელია წარმოებისათვის“ [1]).

ამრიგად, ხელოვნური ორგანოები, შრომის იარაღები წარმოადგენს არა იმდენად ინდივიდუალურის, რამდენად **საზოგადოებრივი ადამიანის** ორგანოებს. ამის გამოა, რომ მათი ყოველი არსებითი ცვლილება იწვევს საზოგადოებრივი წესწყობილების ცვლილებასაც.

„საწარმოო საშუალებათა ხასიათის მიხედვით იცვლება მწარმოებელთა საზოგადოებრივი ურთიერთობა, იცვლება მათი ერთად მუშაობის ურთიერთობა და მათი მონაწილეობა წარმოების მთელს მსვლელობაში. ახალი სამხედრო იარაღის—ცეცხლ-მსროლელი იარაღის—გამოგონებით შეიცვალა არმიის მთელი შინაგანი ორგანიზაცია ისე, როგორც ყველა ის ურთიერთი დამოკიდებულება, რომელიც იყო არმიის შემადგენელ პირებს შორის და რომლის წყალობით იგი ერთ ორგანიზაციულ მთლიანობას წარმოადგენს; ბოლოს, შეიცვალა აგრეთვე მთელი არმიების ურთიერთობაც. მწარმოებელთა საზოგადოებრივი ურთიერთი დამოკიდებულება, წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაშასადამე, იცვლება წარმოების მატერიალურ საშუალებათა, ე. ი. საწარმოო ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად. ყველა საწარმოო ურთიერთობა ჰქმნის იმას, რასაც ეწოდება საზოგადოებრივი ურთიერთობანი—საზოგადოება, და ამასთანავე საზოგადოება, რომელიც იმყოფება თავისი განვითარების გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე—განსაზღვრული ხასიათის საზოგადოება. საწარმოო ურთიერთობათა ასეთ თავისებურ ერთობლივობას წარმოადგენს ანტიური, ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, და ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თითოეული სახე თავის მხრით შეესაბამება კაცობრიობის ისტორიის განვითარების განსაზღვრულ საფეხურს“ [2]).

---

[1]) Marx: «Lohnarbeit und Kapital.»

[2]) იქვე.

არ არის საჭირო აღვნიშნოთ, რომ საწარმოო ურთიერთობათა არანაკლებ თავ-სებურ ერთობლივობას წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების უფრო ადრინდელი საფეხურებიც. ზედმეტია აგრეთვე განმეორება იმის, რომ ამ უფრო ადრინდელ საფეხურებზეც საწარმოო ძალთა მდგომარეობას გარდამწყვეტი გავლენა ჰქონდა ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობაზე.

აქ საჭიროა გავარჩიოთ ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებული და ერთის შეხედვით საკმაოდ დამარწმუნებელი ზოგი საბუთი.

პირველი.

არავინ არ უარჰყოფს შრომის იარაღების დიდ მნიშვნელობას, საწარმოო ძალთა უდიდეს როლს კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში—ეუბნებიან ხშირად მარქსისტებს—მაგრამ იარაღებს ხომ ადამიანი იგონებს და იყენებს. თქვენ თითონვე აღიარებთ, რომ მათი ხმარება ჰგულისხმობს გონებრივი განვითარების შედარებით მაღალ საფეხურს. ყოველი ახალი ნაბიჯი შრომის იარაღის გაუმჯობესებისაკენ მოითხოვს ადამიანის გონების ახალ მუშაობას. გონების მუშაობა **მიზეზია**, საწარმოო ძალთა განვითარება-კი—**შედეგი**. მაშასადამე, ისტორიული პროგრესის მთავარი მამოძრავებელი გონებაა; მაშასადამე, მართალი ყოფილა ის ხალხი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქვეყანას მართავს შეხედულებები, ე. ი. ადამიანის გონებაო".

ეს მეტის-მეტად ბუნებრივი, მაგრამ მაინც უსაფუძვლო შენიშვნაა.

უდავოა, რომ შრომის იარაღების ხმარება ჰგულისხმობს ცხოველი-ადამიანის გონების მაღალ განვითარებას. მაგრამ ვნახოთ, როგორ ხსნის ამ განვითარებას თანამედროვე ბუნებისმეტყველება.

„ადამიანი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა გაბატონებულ მდგომარეობას ქვეყნად ხელების—მისი ნების სრულიად მორჩილი ამ იარაღების—ხმარების გარეშე"—ამბობს დარვინი. ეს აზრი არაა ახალი; იგი ჯერ კიდევ ჰელვეციუსმა გამოთქვა. მაგრამ ჰელვეციუსმა, რომელმაც ვერ შესძლო მტკიცედ დამდგარიყო განვითარების თვალსაზრისზე, ვერ მისცა თავის საკუთარ აზრს ოდნავად მაინც დასაჯერებელი ხასიათი. დარვინმა ამ აზრის დასამტკიცებლად მოიმარჯვა საბუთების მთელი არსენალი; მათ თუმცა მხოლოდ ჰიპოტეტიური ხასიათი აქვთ, მაგრამ ისინი ყველა ერთად საკმაოდ დამარწმუნებელია. რას ამბობს დარვინი? როგორ გაუჩნდა quasi-ადამიანს დღევანდელი, სრულიად ადამიანური ხელები, რასაც ასე დიდი გავლენა ჰქონდა მისი „გო-

---

[1]) La Descendance de l'homme etc. Paris. 1881, p. 51.

ნების“ წარმატებაზე? უთუოდ ისინი შეიქმნენ **გეოგრაფიული** წრის ზოგი თავისებურების გამო, რომელმაც სასარგებლო გახადა შრომის ფიზიოლოგიური განაწილება წინასა და უკანა კიდურებს შორის. „გონების“ წარმატება ამ განაწილების **შორეული შედეგია**, მაგრამ იგი თავისი მხრით (ისევ ხელსაყრელი გარეშე პირობების დრო.ს) შეიქნა ადამიანის ხელოვნური ორგანოების წარმოშობის, იარაღების გამოყენების უახლოესი მიზეზი. ამ ახალმა ხელოვნურმა ორგანოებმა ადამიანის გონების განვითარებას ახალი სამსახური გაუწია, „გონების“ განვითარებამ-კი თავის მხრით კვლავ გაელენა მოახდინა ორგანოებზე. აქ ჩვენს წინ გრძელი პროცესია, სადაც მიზეზი და შედეგი განუწყვეტლივ ერთი-მეორეს სცვლის. მაგრამ ამ პროცესის უბრალო ურთიერთი ზემოქმედების თვალსაზრისით განხილვა დიდი შეცთომა იქნებოდა. რომ ადამიანმა ისარგებლოს თავისი „გონების“ მიღწევებით თავის ხელოვნურ ორგანოთა გასაუმჯობესებლად ე. ი. **ბუნებაზე თავისი ბატონობის გახადიდებლად**, ამისათვის იგი განსაზღვრულ გეოგრაფიულ წრეში უნდა იმყოფებოდეს, რომელიც მიაწვდის მას: 1) გაუმჯობესებისათვის აუცილებელ მასალას, 2) საგნებს, რომლის დამუშავება გაუმჯობესებულ იარაღებს მოითხოვს. იქ, სადაც ლითონი არ მოიპოვებოდა, საზოგადოებრივი ადამიანი საკუთარი გონების მეშვეობით ვერას გზით ვერ გასცილდებოდა „თლილი ქვის პერიოდს“ სწორედ ისე, როგორც მომთაბარე მესაქონლეობაზე და მიწათმოქმედებაზე გადასასვლელად საჭირო იყო განსაზღვრული ფლორა და ფაუნა, ურომლისოდაც „ადამიანის გონება ვერ განვითარდებოდა“. მაგრამ ესეც ცოტაა. პირველყოფილ საზოგადოებათა გონებრივი განვითარება მით უფრო სწრაფად უნდა წასულიყო, რაც უფრო ფართოვდებოდა მათი საურთიერთო კავშირი, ეს კავშირი კი, რასაკვირველია, მით უფრო ფართო იყო, რაც უფრო მრავალფეროვანი იყო მათი საბინადრო ადგილების გეოგრაფიული პირობები, ე. ი. რაც უფრო მეტი სხვადასხვაობა ახასიათებდა სხვადასხვა ადგილზე დამზადებულ პროდუქტებს[1]). ბოლოს, ყველასათვის ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მხრით ბუნებრივ სამიმო-

---

[1]) ფონ-მარციუსის ცნობილ წიგნში ბრაზილიის პირველყოფილი მცხოვრებლების შესახებ შეიძლება ვიპოვოთ რამდენიმე საინტერესო მაგალითი, რომელიც ცხადჰყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ადგილის მეტის მეტს, ერთის შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო თავისებურებათ მათ ბინადართა შორის კავშირის განვითარების საქმეში.

სვლო გზებს. ჯერ კიდევ ჰეგელი ამბობდა, რომ მთები სთიშავს ადამიანებს, მდინარეები და ზღვა აახლოებს მათო[1]).

არა ნაკლებ გარდამწყვეტ გავლენას ახდენს გეოგრაფიული წრე უფრო მსხვილი საზოგადოების, სახელმწიფოს ბედზე, რომელიც პირველყოფილი საგვარეულო ორგანიზაციების ნანგრევებზე აღმოცენდა. „ნიადაგის არა აბსოლიუტური ნაყოფიერება, არამედ მისი სხვადასხვაობა, მის ბუნებრივ ნაწარმოებთა მრავალგვარობა შეადგენს შრომის საზოგადოებრივი განაწილების ბუნებრივ საფუძველსა და აიძულებს ადამიანს, მისი გარემომცველი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვანების გამო, გაამრავალფეროვანოს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი, უნარი, წარმოების წესები და საშუალებანი. ბუნების განსაზღვრულ ძალაზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების აუცილებლობას ფართო მასშტაბით მისი ექსპლოატაციისათვის, გაერთიანებული ძალებით ადამიანისადმი მის დასამორჩილებლად გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ისტორიაში. ასეთი იყო წყლის მოწესრიგების მნიშვნელობა ეგვიპტეში, ლომბარდიაში, ჰოლანდიაში, სპარსეთსა და ინდოეთში, სადაც ხელოვნური არხებით მორწყვა აძლევს ნიადაგს არა მარტო აუცილებელ წყალს, არამედ

---

[1]) თუმცა, ზღვის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ყოველთვის არ აახლოვებს ადამიანთ. რატცელი (Ahtropo-Geographie, Stutgart 1882 s. 92) სამართლიანად შენიშნავს, რომ განვითარების განსაზღვრულს, დაბალ საფეხურზე ზღვა წარმოადგენს ა ბ ს ო ლ ი უ ტ უ რ საზღვარს, ე. ი. შეუძლებელს ხდის რაიმე საურთიერთო კავშირს ხალხებს შორისო. თავისი მხრით, ურთიერთობანი, რომელთა შესაძლებლობა თავდაპირველად მხოლოდ-და-მხოლოდ გეოგრაფიული წრის თვისებებით განისაზღვრება, თავიანთ დაღს ასვამენ პირველყოფილი ტომების ფიზიონომიას კუნძულის მცხოვრებნი ძლიერ განსხვავდებიან კონტინენტის მცხოვრებთაგან. Die Bevölkerungen der Inseln sind in einigen Fallen völlig andere als die des nächst gelegen Festlandes oder der nächsten grösseren Insel; aber auch wo sie urspunglich derselben Rasse oder Völkergruppe angehören, sind sie immer weit von derselben verschieden; und zwar, kann man hinzusetzen, in der Regel weiter als die entsprechenden festländischen Abzweigungen dieser Rasse oder Gruppe untereinander (Ratzel, I. c. s. 96.). („კუნძულების მცხოვრებნი ზოგ შემთხვევაში ძლიერ განსხვავდებიან უახლოესი მატერიკისა ან დიდი კუნძულების მოსახლეებისაგან; თუმცა, მაშინაც, როცა კუნძულის და კონტინენტის მოსახლეობა თავდაპირველად ერთსა და იმავე რასას ანდა ხალხთა ერთსა და იმავე ჯგუფს ეკუთვნიან, მაინც ძლიერ განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან; უფრო სწორედ, ჩვეულებრივად ისინი სულ სხვა რასმე წარმოადგენენ ურთი-ერთის მიმართ, ვიდრე ამ რასისა თუ ჯგუფის შესაფერისი კონტინენტალური განშტოებანი"). აქ მეორდება იგივე კანონი, რასაც ადგილი აქვს ცხოველთა სახეების და სახესხვაობათა წარმოშობის დროს.

მინერალურ სასუქსაც. არაბების დროს ესპანეთისა და სიცილიის სამრეწველო აყვავების საიდუმლოება იმარხება მათ კანალიზაციაში"[1]).

ამრიგად, მხოლოდ გეოგრაფიული წრის ზოგი განსაკუთრებული თვისებების წყალობით ჩვენმა ანთროპომორფიულმა წინაპრებმა შესძლეს გონებრივი განვითარების იმ სიმაღლის მიღწევა, რაც აუცილებელი იყო მათ გარდასაქცევად toolmaking animals-ად. **და სწორედ ასევე იმავე გეოგრაფიული წრის მხოლოდ ზოგ თავიხებურებას შეეძლო მოეცა „იარაღის კეთების" ამ ახალი უნარის გამოყენებისა და მისი თანდათანი გაუმჯობესების საშუალება.** საწარმოო ძალთა განვითარების ისტორიულ პროცესში „იარაღის კეთების" უნარი უნდა განვიხილოთ, პირველ ყოვლისა, როგორც **მუდმივი სიდიდე,** ამ უნარის გამოყენებისათვის გარემომცველი პირობები-კი—**როგორც მარად ცვალებადი სიდიდე**[2]).

სხვადასხვა საზოგადოების მიერ მიღწეულ რეზულტატებს (კულტურული განვითარების საფეხურებს) შორის განსხვავება აიხსნება სწორედ იმით, რომ სხვადასხვა ტომებს გარემომცველი პირობები ხელს უშლიდა ერთი და იმავე ზომით გამოეყენებიათ „გამოგონების" უნარი. არსებობს ანთროპოლოგების სკოლა, რომელიც აღნიშნული რეზულტატების სხვადასხვაობას **რასების** სხვადასხვა თვისებას უკავშირებს. მაგრამ ამ სკოლის თვალსაზრისი ვერ უძლებს კრიტიკას: იგი წარმოადგენს ისტორიულ მოვლენათა ახსნის ძველი ხერხის მხო-

---

[1]) Marx, Das Kapital, dritte Auflage, 38. 524—526. სხოლიოში (გვ. 526) მარქსი უმატებს: „სახელმწიფო ხელისუფლების ერთ ბუნებრივ საფუძველთაგანს ინდოეთის საურთიერთო კავშირს მოკლებულ მცირე საწარმოო ორგანიზმებზე წარმოადგენდა წყლის გადიდების მოწესრიგება. ინდოეთის მაჰმადიანმა მფლობელებმა ეს უკეთ გაიგეს, ვიდრე მათმა ინგლისელმა მემკვიდრეებმა". ტექსტში მოყვანილი მარქსის აზრი შევადაროთ უახლესი გამოკვლევის შედეგს: „Unter dem, was die lebende Natur dem Menschen an Geben bietet, ist nicht der Reichtum an Stoffen, sondern der an Kräften, oder besser gesagt, Kräfteanregengen am höchsten zü schätzen". Ratzel, L. cit. S. 343 (იმათ შორის, რასაც ცოცხალი ბუნება მუქთად აწვდის ადამიანს, ყველაზე უფრო უნდა ვაფასებდეთ არა -მატერიალურ დოვლათს, არამედ ენერგიის წყაროს ანდა, უფრო სწორედ, იმას, რაც ჩვენ ძალთა დაძაბულობას იწვევს).

[2]) ჩვენ უნდა ვერიდოთო,—ამბობს ლაზარ გაიგერი—რომ აზროვნებას მეტის-მეტად დიდი მონაწილეობა არ მივაწეროთ იარაღის წარმოშობის საქმეში. პირველი, მეტის-მეტად მნიშვნელოვანი იარაღების აღმოჩენა მოხდა, რასაკვირველია, შემთხვევით ისე, როგორც უახლესი დროის მრავალი დიდი აღმოჩენა. ისინი, რასაკვირველია, უფრო მოპოებულნი იყვენ, ვიდრე გამოგონილნი. ამ დასკვნამდე მე მივედი განსაკუთრებით იმ გარემოების გამო, რომ იარაღების სახელწოდება არასოდეს არ იწარმოება იმ მუშაობის სახელწოდებიდან, რომლითაც იგი დამზადე-

ლოდ ახალ ვარიაციას, რომელიც „ადამიანის ბუნებას“ მიმარჯავდა (აქ „—**რასის თვისებებს**), და თავისი მეცნიერული სიღრმით არ წასულა მოლიერის იმ დოქტორზე უფრო შორს, რომელმაც ღრმა-განფიქრებით წარმოსთქვა: ოპიუმი აძინებს, რადგანაც მას ასეთი თვისება აქვს (რასა ჩამორჩა, რადგანაც მას ასეთი თვისება ახასიათებდა).

გარე ბუნებაზე მოქმედებით ადამიანი იცვლის თავის საკუთარ ბუნებას. ის ანვითარებს ყველა თავის უნარს და მათ შორის „იარაღის კეთების“ უნარსაც. **მაგრამ ყოველ განსაზღვრულ დროს ამ უნარის ხარისხი დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარების უკვე მიღწეულ დონეზე.**

მაგრამ მას შემდეგ, რაც შრომის იარაღი წარმოების საგანი ხდება, თვით შესაძლებლობა ისე, როგორც მის დამზადებაში დახელოვნების ესა თუ ის ხარისხი, სავსებით დამოკიდებულია შრომის იმ იარაღებზე, რომლითაც იგი კეთდება. ეს ყველასათვის ცხადია ყოველი განმარტების გარეშეც. მაგრამ აი რა შეიძლება, მაგალითად, პირველი შეხედვით სრულიად გაუგებრად მოგვეჩვენოს: პლუტარქი მოგვითხრობს არქიმედის გამოგონებათა შესახებ რომაელების მიერ სირაკუზის სამხედრო გარემოცვის დროს და საჭიროდ თვლის ბოდიში მოჰხადოს გამომგონს: ფილოსოფოსს არ შეჰფერის, რასაკვირველია, ასეთი საქმისთვის ხელის მოკიდება, ფიქრობს იგი, მაგრამ

ბულია, რომ მას (ე. ი. სახელწოდებას) არასოდეს არა აქვს გენეტიური ხასიათი არამედ დაკავშირებულია მათ გამოყენებასთან. მაგალითად, გერმანულ ენაში Schere (მაკრატელი), Säge (ხერხი), Hacke (წერაქვი) ისეთი საგნებია, რომელიც სჭრის (scheeren), ხერხავს (sägen), აპობს (hacken). ენის ამ კანონს მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ისეთი საგნების სახელი, რომელნიც იარაღებს არ წარმოადგენენ, იწარმოება გენეტიურად, ჰასიურად იმ მასალის ან იმ მუშაობის სახელწოდებიდან, რომლიდანაც ან რომლის წყალობითაც იგინი იქმნებიან. მაგალითად, ტიკი, როგორც ღვინის ჩასასხამი ჭურჭელი, სხვადასხვა ენაზე თავდაპირველად ნიშნავდა ცხოველისაგან გამძვრალ ტყავს. გერმანულ Schlauch-ს შეესაბამება ინგლისური Slough—გველის ტყავი; ბერძნული ascos-ი ერთსა და იმავე დროს ჭურჭელსა და მხეცის ტყავსაც ნიშნავს. აქ, მაშასადამე, ენა სრულიად აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ და რისგან არის დამზადებული ჭურჭელი, რასაც ტიკი ეწოდება. მაგრამ ამისი თქმა შეუძლებელია იარაღებზე; ისინიც—თუ ენას დავემყარებით—თავდაპირველად არ მზადდებოდენ; მაგალითად, პირველი დანა შესაძლებელია შემთხვევით ნაპოვნი წვეტიანი ქვა ყოფილიყო.“ I. Geiger. Die Urgeschichte der Menscheit im Lichte der Sprache. Mit besonderer Bezichung auf die Entstehung des Werkszeugs, s. s. 36—37. კრებულში: Zur Entwikelungsgeschichte der Menscheit. Stutgart, 1878.

არქიმედს ამართლებს ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიც მისი სამშობლო იმყოფებოდაო. მაგრამ ვის მოუვა ეხლა აზრად ეძებოს **ედისონის** დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება? ეხლა ჩვენ სრულიად არ ვთვლით სასირცხოდ მექანიკური აღმოჩენებისათვის ადამიანის მიერ თავის უნარის გამოყენებას. პირიქით. ბერძნები-კი (თუ გნებავთ, რომაელებიც), როგორც ვხედავთ, სულ სხვა აზრის იყვენ. სწორედ ამის გამო მექანიკური აღმოჩენებისა და გამოგონების საქმე გაცილებით უფრო ნელა უნდა წასულიყო—და კიდევაც ასე ხდებოდა—ვიდრე ჩვენ ეპოქაში. აქ თითქოს იმ დასკვნას ეღებულობთ, რომ **შეხედულებანი მართავენ ქვეყანას.** მაგრამ როგორ გაუჩნდა ბერძნებს ასეთი საკვირველი „**შეხედულება**"? მისი წარმოშობის ახსნა შეუძლებელია ადამიანის „გონების" თვისებებით. დაგვრჩენია გავიხსენოთ მათი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. როგორც ვიცით, საბერძნეთისა და რომის საზოგადოება **მონათმფლობელობას** ემყარებოდა. ასეთ საზოგადოებაში ძთელი ფიზიკური შრომა, წარმოების მთელი საქმე მონებს ეკისრება. თავისუფალი მოქალაქე **შეურაცხებად** თვლის ასეთ შრომას თავისთვის, და ამიტომაც ასეთ პირობებში ბუნებრივად წარმოიშობა ზიზღი უმნიშვნელოვანეს გამოგონებათა მიმართაც-კი, რომელნიც ეხებიან საწარმოო პროცესებს და, სხვათა შორის, მექანიკურ გამოგონებათა მიმართ. აი რატომ იყო, რომ პლუტარქი სულ სხვაგვარად უყურებდა არქიმედს, ვიდრე ჩვენ დღეს ედისონს ვუყურებთ[1]). მაგრამ რატომ დამყარდა საბერძნეთში მონობა? იმიტომ ხომ არა, რომ ბერძნები თავიანთი „გონების" ზოგი შეცთომების გამო მონურ წყობილებას საუკეთესოდ თვლიდენ. სრულებითაც არა. იყო დრო, როცა ბერძნები მონობას არ იცნობდენ და მაშინ ისინი სრულიადაც არ თვლიდენ ბუნებრივად და აუცილებლად მონათმფლობელურ საზოგადოებრივ წესწყობილებას. მერე გაჩნდა საბერძნეთში მონობა და სულ უფრო და უფრო მნიშვნელო-

---

[1]) „დამაარსებელნი (ამ მექანიკის)... იყვენ ევდოქსი და არხიტი, რომლებმაც გეომეტრიას მრავალფეროვანი და საინტერესო შინაარსი მისცეს და უარჰყვეს ამ მეცნიერების გრაფიკული წვსით გამოუსახველი და განყენებული პრობლემები მისი (ყ. ი. ამ მეცნიერების) უშუალოდ შესახების და ტეხნიკურად მეტად მნიშვნელოვანი გამოყენებისათვის... და როცა პლატონმა უსაყვედურა მათ, რომ თქვენ აქარწყლებთ გეომეტრიის სიდიადეს, რომელიც თქვენს ხელში სცილდება უსხეულო და განყენებულს და მიმართავს გრძნობითს საგნებს, რომელიც უხეშ ხელოსნურ დამუშავებას მოითხოვსო, მაშინ მაემატიკიდან განდეენილი მექანიკა მოსცილდა მას; იგი დიდხანს ფილოსოფიის მხრით არ სარგებლობდა არავითარი ყურადღებით და სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ დანართ მეცნიერებად იქცა. Plutarchi VITA MARCELLI, edit. Teubneriana C. Sintenis. Lipsiae. 1883, Cap. XIV, pp. 135–6.

როგორც მკითხველი ხედავს, პლუტარქის ეს აზრი მაშინდელ დროში არც ისე ახალი იყო.

ვან ფაქტად იქცა ბერძენთა ცხოვრებაში. მაშინ შეიცვალა ბერძენ მოქალაქეთა თვალსაზრისი მასზე, და იწყეს მისი დაცვა როგორც ბუნებრივისა და აუცილებელი დაწესებულების. მაგრამ რატომ გაჩნდა და განვითარდა საბერძნეთში მონობა? უთუოდ იმავე მიზეზის გამო, რომლის მიხედვითაც წარმოიშვა და განვითარდა იგი სხვა ქვეყნებშიც მათი საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. ეს მიზეზი-კი ცნობილია: საწარმოო ძალთა მდგომარეობა. მართლაც, რომ ტყვედ წამოყვანილი მტრის მონად გარდაქცევა უფრო ხელსაყრელი გახდეს, ვიდრე მისი შეჭმა, საჭიროა, რომ მონის იძულებითმა შრომამ მისცეს საზრდო არა მარტო მას, არამედ, ნაწილობრივ მაინც, მის პატრონსაც, ე. ი. საჭიროა, დამპყრობელის საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრული ხარისხი. სწორედ ამ კარებით შემოვიდა მონობა ისტორიაში. მონური შრომა ძალიან ნაკლებად უწყობს ხელს საწარმოო ძალთა განვითარებას; იმის დროს იგი მეტის-მეტად ნელა ვითარდება, მაგრამ მაინც ვითარდება, და ბოლოს დგება ისეთი მომენტი, როცა მონის შრომის ექსპლოატაცია უფრო ნაკლებად ხელსაყრელია, ვიდრე ექსპლოატაცია თავისუფალი შრომისა. ამ მომენტიდან მონობა უქმდება ან თანდათან ჰქრება. მას აცილებს ისტორიის კარებამდე სწორედ საწარმოო ძალთა ის განვითარება, რომელმაც შემოიყვანა იგი ისტორიაში[1]). ამრიგად, ვუბრუნდებით პლუტარქს და ვხედავთ, რომ მისი შეხედულება არქიმედის გამოგონებაზე გამოწვეული იყო მისი დროის საწარმოო ძალთა მდგომარეობით. და რადგანაც ასეთ შეხედულებას უეჭველად დიდი გავლენა აქვს გამოგონებათა და აღმოჩენების შემდეგ მსვლელობაზე, ამიტომ ჩვენ მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვთქვათ, **რომ ყოველი ხალხის სა-**

---

[1]) ცნობილია, რომ დიდი ხნის განმავლობაში რუს გლეხებს თითონვე შეეძლოთ ჰყოლოდათ და ხშირად ჰყავდათ კიდეც ყმები. ყმის მდგომარეობა შეუძლებელია სასიამოვნო ყოფილიყო გლეხისათვის. მაგრამ რუსეთის საწარმოო ძალთა მაშინდელი მდგომარეობის პირობებში, არც ერთი გლეხი არ ჩათვლიდა ამ მდგომარეობას არანორმალურად. საკმაო თანხის დაგროვების შემდეგ იგი სწორედ ისევე დააპირებდა ყმების ყიდვას, როგორც მონობისგან განთავისუფლებული რომაელი მიისწრაფოდა მონებისა შეძენისაკენ. სპარტაკის ხელმძღვანელობით აჯანყებული მონები ებრძოდენ არა მონობას, არამედ თავიანთ ბატონებს; მათ რომ თავისუფლება მოეპოებიათ, ხელსაყრელ პირობებში, თითონვე სრულიად დამშვიდებული სინიდისით მონათმფლობელები გახდებოდენ. უნებლიეთ მაგონდება ამ დროს, თავისებური მნიშვნელობით, რასაკვირველია, შელინგის სიტყვები: თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს. ისტორია გვასწავლის, რომ თავისუფლების ყოველგვარი სახე მხოლოდ იქ ჩნდება, სადაც იგი ეკონომიურად აუცილებელია.

წარმოო ძალთა შემდეგი განვითარება მისი ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში დამოკიდებულია ამ პერიოდის საწარმოო ძალთა მდგომარეობაზე.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველგან, სადაც ადგილი აქვს აღმოჩენასა და გამოგონებას, ჩვენ საქმე გვაქვს „გონებასთანაც". შეუძლებელია აღმოჩენებს ადგილი ჰქონოდათ გონების გარეშე ისე, როგორც ეს შეუძლებელი იყო დედა-მიწაზე ადამიანის წარმოშობამდე. მოძღვრება, რომელსაც ჩვენ ეხლა ვალაგებთ, სრულიად არ უშვებს მხედველობიდან გონების მნიშვნელობას. ის მხოლოდ ცდილობს ახსნას, თუ ყოველ განსაზღვრულ დროს გონება რატომ **ასე მოქმედებდა, და არა სხვაგვარად.** იგი გონების მიღწევებს კი არ უარჰყოფს, არამედ ცდილობს გამოუნახოს მას საკმაო მიზეზი.

ამავე მოძღვრების წინააღმდეგ ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ხალისით მოჰყავთ მეორე საბუთიც, რომლის დალაგებას ბ. კარეევს მივანდობთ:

„დროთა განმავლობაშიო,—ამბობს ეს მწერალი (მას შემდეგ, რაც მან დიდი ვაი-ვაგლახით დაალაგა ენგელსის ისტორიული ფილოსოფია)—ენგელსმა შეიტანა თავისი თვალსაზრისი ახალი მოსაზრებით, რომელმაც არსებითი ცვლილება შეიტანა მასში. თუ წინედ იგი ისტორიის მატერიალური გაგების საფუძვლად მხოლოდ საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის გამოკვლევას აღიარებდა,—მან ბოლო ხანებში ასეთივე მნიშვნელობა საოჯახო წყობილების გამოკვლევასაც მიაკუთვნა. ეს გამოიწვია ახალმა შეხედულებამ საქორწინო და საოჯახო ურთიერთობათა პირველყოფილ ფორმებზე, რამაც აიძულა ენგელსი მხედველობაში მიეღო არა მარტო პროდუქტთა წარმოების პროცესი, არამედ ადამიანთა თაობის ხელახლად წარმოშობის პროცესიც. ამ შემთხვევაში გავლენა მოახდინა მასზე განსაკუთრებით მორგანის „Ancient Society-"მ [1]), და სხვ...

ამრიგად, თუ წინედ ენგელსი „ისტორიის მატერიალური (?) გაგების საფუძვლად საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის გამოკვლევას თვლიდა, შემდეგ, „მან თანაბარი მნიშვნელობა აღიარა" და სხვ. და, არსებითად, ხელი აიღო „ეკონომიურ" მატერიალისტობაზე. ბ. კარეევი ამ ამბავს პირუთვნელი ისტორიკოსის კილოთი მოგვითხრობს, ხოლო ბ. მიხაილოვსკი ამის გამო „სიხარულით ცას წვდება", მაგრამ ისინი, არსებითად, ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ და იმეორებენ იმას, რაც მათზე უფრო ადრე გერმანელმა მეტის-მეტად ზე-

---

[1]) იხ. „Экономический материализм в истории". „Вестн. Евр". აგვისტო, 1894 წ. გვ. 601.

რელე მწერალმა ვეიზენგრიუნმა თავის წიგნში: „Entwiklungsgesetze der Menscheit“ გამოთქვა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ისეთი შესანიშნავი ადამიანი, როგორიც იყო ენგელსი, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ყურადღებით აკვირდებოდა თავისი დროის მეცნიერულ მოძრაობას და არსებითად „ავსებდა“ თავის შეხედულებას კაცობრიობის ისტორიაზე. მაგრამ არის შევსებაც და შევსებაც, როგორც არის „fagot et fagot,“ ამ შემთხვევაში მთელი საკითხი ის არის, **შეიცვალა თუ არა** ენგელსის **თვალსაზრისი** ასეთი „შევსების“ გამო. მართლა იძულებული გახდა თუ არა იგი ეცნო „წარმოების“ განვითარებასთან ერთად მეორე, თითქოს პირველის „თანაბარის“ ფაქტორის მოქმედებაც? ამის პასუხი არ გაუძნელდება მას, ვისაც სურს ოდნავი ყურადღებით და სერიოზულად ჩაუკვირდეს მას.

სპილო ხანდახან ბუზებს ტოტით იგერებსო, ამბობს დარვინი. ამის გამო ჩვენ შევნიშნეთ, რომ მიუხედავად ამისა, ტოტი არ თამაშობს არავითარ არსებითს როლს სპილოს ცხოვრებაში და სპილო იმიტომ კი არ გახდა სპილო, რომ ტოტს ხმარობდა. მაგრამ სპილო მრავლდება. მამალ სპილოს განსაზღვრული დამოკიდებულება აქვს დედალ სპილოსთან. და ორივე თავის მხრით განსაზღვრულ დამოკიდებულებაში არიან შვილებთან. ცხადია, რომ „ტოტს“ არ შეუქმნია ეს დამოკიდებულება: იგი შექმნა ამ სახეობის ცხოვრების საერთო პირობებმა, სადაც „ტოტის“ მნიშვნელობა ისე უსასრულოდ მცირეა, რომ შეიძლება იგი სრულიად შეუცთომლად **ნულს** გაეუთანაბროდ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სპილოს ცხოვრებაში ტოტი სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იმ მხრით, რომ იგი თან და თან აძლიერებს თავის გავლენას იმ საერთო პირობებზე, რომელზეც დამოკიდებულია სპილოს ყველა ჩვეულება და ბოლოს მთელი მისი არსებობაც. წარმოიდგინეთ, რომ ტოტმა ბოლოს **გარდამწყვეტი** გავლენა მოიპოვა ამ პირობების შექმნის საქმეში,— მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ იმით განისაზღვრება საბოლოოდ მამალი სპილოს დედალი სპილოსადმი და ორივესი შვილებისადმი დამოკიდებულება. ამ შემთხვევაში უნდა აღვიაროთ, რომ იყო დრო, როცა სპილოს „ოჯახური“ ურთიერთობა ვითარდებოდა დამოუკიდებლივ (ე. ი. ტოტის გავლენის გარეშე), მაგრამ შემდეგ დადგა ისეთი დრო, როცა მათი განსაზღვრა იწყო „ტოტმა“. არის რაიმე უცნაური ასეთ აღიარებაში? სრულიად არაფერი, გარდა იმ უცნაური ჰიპოტეზისა, რომლის თანახმად ტოტი ასე მოულოდნელად იძენს გარდამწყვეტ მნიშვნელობას სპილოს ცხოვრებაში. ჩვენ

თითონვე ძალიან კარგად ვიცით, რომ სპილოს მიმართ ეს ჰიპოტეზა შეუძლებელია უცნაურად არ მოგვეჩვენოს; მაგრამ კაცობრიობის ისტორიის მიმართ — საქმე სულ სხვაგვარადაა.

ადამიანი თანდათან გამოეყო ცხოველთა სამეფოს. იყო დრო, როცა ადამიანის მსგავსი ჩვენი წინაპრების ცხოვრებაში იარაღები ისეთსავე უმნიშვნელო როლს ასრულებდა, როგორსაც ასრულებს ტოტი სპილოს ცხოვრებაში. ამ მეტად გრძელი დროის განმავლობაში ადამიანის მსგავსის ორივე სქესის ურთიერთი დამოკიდებულება და აგრეთვე მათი დამოკიდებულება თავიანთი შვილებისადმი განისაზღვრებოდა ამ სახეობის არსებობის საერთო პირობებით, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა **შრომის იარაღებთან**. რაზე იყო მაშინ დამოკიდებული ჩვენი წინაპრების „ოჯახური“ ურთიერთობა? ეს ნატურალისტებმა უნდა ახსნან. იგი ისტორიკოსის კვლევის საგანი არაა. მაგრამ აი იარაღები იძენს თანდათან დიდ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში, საწარმოო ძალები სულ უფრო და უფრო ვითარდება და დგება ბოლოს ისეთი მომენტიც, როცა ისინი იძენენ გარდამწყვეტ გავლენას საზოგადოებრივს, ე. ი. სხვათა შორის, ოჯახურ ურთიერთობათა წყობაზეც. აქ უკვე **ისტორიკოსის საქმე** იწყება: მან უნდა ახსნას, როგორ და რატომ იცვლებოდა ჩვენი წინაპრების ოჯახური ურთიერთობა საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად, როგორ ვითარდებოდა ოჯახი ეკონომიურ ურთიერთობათა ზეგავლენით. მაგრამ აშკარაა, თუ იგი ასეთ ახსნას იკისრებს, პირველყოფილი ოჯახის შესწავლის დროს მან ანგარიში უნდა გაუწიოს არა მარტო ეკონომიას: ადამიანები აკი მრავლდებოდენ მანამდეც, სანამ იარაღები ადამიანის ცხოვრებაში გარდამწყვეტ მნიშვნელობას მოიპოებდა; ამ ხანამდე აკი არსებობდა ერთგვარი ოჯახური ურთიერთობა, რომელიც ისაზღვრებოდა homo sapiens-ის სახეობის არსებობის საერთო პირობებით. არსებითად რა უნდა გააკეთოს აქ ისტორიკოსმა? ჯერ ერთი — მან ამ სახეობის ფორმულიარული ცხრილისთვის უნდა მიმართოს ნატურალისტს, რომელიც ანდობს მას ადამიანის განვითარების შემდეგს შესწავლას. მეორე, მას მოუხდება ამ ცხრილის შევსება „საკუთარი საშუალებით“. სხვა სიტყვებით, მან უნდა აიღოს „ოჯახი“ იმ სახით, როგორითაც იგი, ვთქვათ, ადამიანის განვითარების ზოოლოგიურ პერიოდში შეიქმნა, და შემდეგ უნდა ცხადჰყოს, თუ რა ცვლილებები განიცადა მან **ისტორიული** პერიოდის განმავლობაში საწარმოო ძალთა განვითარების ზეგავლენით, ეკონომიურ ურთიერთობათა ცვლილებით. აი სწორედ მხოლოდ ამას ამბობს ენგელსი. და ჩვენ ვკითხულობთ: როცა იგი ამას ამ-

ბობს, სცელის თუ არა ოდნავად მაინც თავია „თავდაპირველ“ შეხედულებას საწარმოო ძალთა მნიშვნელობაზე კაცობრიობის ისტორიაში? აღიარებს თუ არა იგი ამ ფაქტორის მოქმედებასთან ერთად, სხვა რომელიმე, მისი „თანაბარმნიშვნელობის“ ფაქტორის მოქმედებას? ვფიქრობთ, რომ არაფერს არ სცელის, არაფერს ასეთს არ აღიარებს. თუ ეს ასეა, მაშ რად მსჯელობენ მისი თვალსაზრისის შეცვლაზე ბ. ბ. ვეიზენგრიუნი და კარეევი, რად ზეიმობს ბ. მიხაილოვსკი?—თავიანთი გონების სიმჩატის გამო.

„მაგრამ დაუშვებელია ოჯახის ისტორიის ახსნა ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიით, თუ გინდ იმ პერიოდის განმავლობაშიც, რომელსაც თქვენ ისტორიულ პერიოდს უწოდებთ,—ეროხმად გაჰკივიან ჩვენი მოწინააღმდეგენი. დასაშვებია თუ არა ასეთი ახსნა, ეს კიდევ სადაოა, ვიტყვით ბ. მიხაილოვსკის სიტყვებით. და ჩვენც უარს არ ვამბობთ თქვენთან დავაზე, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, ბატონებო: დავის დროს მოიქეცით სერიოზულად, გულდასმით ჩაუფიქრდით ჩვენი სიტყვების მნიშვნელობას, ნუ მოგვაწერთ თქვენს მიერვე შეთხზულ აზრს და ნუ აჩქარდებით აღმოგვიჩინოთ ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც არც ჩვენ გვაქვს და არც ჩვენ მასწავლებლებს ჰქონიათ. თანახმა ხართ? კეთილი! ვიდავოთ.

შეუძლებელია ოჯახის ისტორიის ახსნა ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიით, ამბობთ თქვენ: ასეთი ახსნა ვიწროა, ცალმხრივი და არამეცნიერულია. ჩვენ ვამტკიცებთ წინააღმდეგს და დასამოწმებლად მივმართავთ სპეციალისტ მკვლევარებს.

თქვენ, რასაკვირველია, იცნობთ ჟირო-ტელონის წიგნს: Les origines de la famille? ჩვენ ვშლით ამ თქვენთვის ცნობილ წიგნს და იქ, მაგალ., ასეთ ადგილს ვპოულობთ:

„მიზეზი, რომელმაც პირველყოფილ ტომში (ჟირო-ტელონი ამბობს „ურდოში“: de la horde) განცალკევებული ოჯახური ჯგუფების წარმოშობა გამოიწვია, როგორც ჩანს, ამ ტომის სიმდიდრის ზრდასთანაა დაკავშირებული. რომელიმე პურეული მცენარის აღმოჩენას ან მის შემოღებას ხმარებაში, ცხოველის რომელიმე ახალი სახის მოშინაურებას შეეძლო პირველყოფილი საზოგადოების ძირეული ცვლილების საკმაო მიზეზი ყოფილიყო. ცივილიზაციის ყველა დიდი წარმატება ყოველთვის დაკავშირებული იყო მოსახლეობის ეკონომიური ყოფა-ცხორების ღრმა ცვლილებებთან“ (გ. 138[1]).

ქვემოდ:

---

[1]) ეს ციტატა მოგვყავს 1874 წლის ფრანგული გამოცემიდან.

„როგორც ჩანს, მდედრობითი ნათესაობის სისტემიდან მამრობითს ნათესაობის სისტემაზე გადასლა აღინიშნა იურიდიული ხასიათის შეხლა-შემოხლით საკუთრების უფლების საფუძველზე“ (გვ. 141).

უფრო ქვევით: „ოჯახის ორგანიზაცია, სადაც მამის უფლება სჭარბობს, მე მგონია, ყოველგან გამოწვეული იყო იმდენადვე მარტივი, რამდენადაც სტიქიური ძალით... **საკუთრების უფლების მოქმედებით**“ (გვ. 146).

თქვენ იცით, რასაკვირველია, თუ რა მნიშვნელობას აწერს მაკ-ლენანი პირველყოფილი ოჯახის ისტორიაში მდედრობითი სქესის ბავშვების დახოცვას? როგორც ვიცით, ენგელსი ძალიან უარყოფითად უყურებდა მაკ-ლენანის გამოკვლევებს: მაგრამ ამ შემთხვევაში მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის გავეცნოთ მაკ-ლენანის თვალსაზრისს იმ მიზეზის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ბავშვების ხოცვა, რამაც თითქოს ასეთი გარდამწყვეტი გავლენა იქონია ოჯახის ისტორიაზე.

„ტეხნიკის სუსტი განვითარების დროს მტრებით გარემოცული თემისთვის, რომელიც ძლივს-ძლივობით ახერხებს თავისი არსებობის შენარჩუნებას, ვაჟები წარმოადგენენ ძლიერების წყაროს როგორც თავდაცვის, ისე საზრდოს მოპოების მხრით, ქალიშვილები-კი—სისუსტის წყაროს“[1]).

რამ გამოიწვია, მაკ-ლენანის აზრით, პირველყოფილი თემების მიერ მდედრობითი სქესის ბავშვების დახოცვა? საარსებო საშუალებათა ნაკლებობამ, საწარმოო ძალთა სისუსტემ, რადგან ამ თემებს რომ საკმაო საზრდო ჰქონოდათ,—უთუოდ, თავიანთი ქალიშვილების დახოცვას არ მიმართავდენ იმ შიშის გამო, თითქოს ოდესღაც მტრები თავს დაგვესხმიან, მოჰკლავენ მათ ან ტყვეთ წაიყვანენო.

ვიმეორებთ, ენგელსი არ იზიარებს მაკ-ლენანის თვალსაზრისს ოჯახის ისტორიაზე, და ჩვენც იგი სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია; მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ მაკ-ლენანიც იმავე ცოდვას იდენს, რასაც ენგელსს უსაყვედურებენ: ისიც საოჯახო ურთიერთობათა ისტორიის ახსნას საწარმოო ძალთა მდგომარეობაში ეძებს.

საჭიროა თუ არა განვაგრძოთ ციტატების ამოწერა, დავიმოწმოთ ლიპერტი, მორგანი? ჩვენ არ ვსცნობთ ამას საჭიროდ: ვისაც წაუკითხავს ეს ავტორები იცის, რომ ამ მხრით ისინი ისეთივე ცოდვილნი არიან, როგორიც მაკ-ლენანი ანდა ენგელსი. ამ შემთხვევაში, როგორც

---

[1]) Studies in ancient history,—primitive marriage, By. John Ferg. MacLennan, გვ, 75.

ვიცით, სრულიად უცოდველი არც სპენსერია, რომლის სოციოლოგიურ შეხედულებას, თუმცა, არაფერი აქვს საერთო „ეკონომიურ მატერიალიზმთან.“

შეუძლიანთ ეს უკანასკნელი გარემოება გამოიყენონ პოლემიკური მიზნისთვის და გვითხრან: აი, ხედავთ! მაშასადამე, შესაძლებელია მარქსსა და ენგელსს ეთანხმებოდე რაიმე ცალკე საკითხში და იმავე დროს არ იზიარებდე მათ ზოგად ისტორიულ თეორიას! რასაკვირველია, შესაძლებელია. მთელი საკითხი ის არის, ვის მხარეზე იქნება ლოგიკა.

განვაგრძოთ.

ოჯახის განვითარების მიზეზი საკუთრების უფლების განვითარებაა—ამბობს ჟირო-ტელონი, და ამასთანავე უმატებს, რომ საზოგადოდ ცივილიზაციის ყოველი წარმატება დაკავშირებულია ეკონომიური ყოფა-ცხოვრების ცვლილებებთანო. მკითხველმა ალბად თითონაც შენიშნა, რომ ჟირო-ტელონის ტერმინოლოგია სავსებით სწორი არაა: იგი „საკუთრების უფლებას“ და „ეკონომიურ ყოფა ცხოვრებას“ თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობს. მაგრამ „უფლება“ სხვა ცნებაა და „ეკონომია“ კიდევ სხვა, საჭიროა ეს ორი ცნება ერთი-მეორიდან განვასხვავოთ. საიდან გაჩნდა საკუთრების ესა თუ ის უფლება? იქნებ იგი განსაზღვრული საზოგადოების ეკონომიის ზეგავლენით წარმოიშვა (სამოქალაქო სამართალი ყოველთვის ეკონომიურ ურთიერთობათა გამოხატულებაო—ამბობს ლასალი), ანდა შეიძლება იგი სრულიად სხვა მიზეზმა წარმოშვა. აქ საჭიროა განვაგრძოთ ანალიზი და არა შევსწყვიტოთ იგი სწორედ იმ მომენტში, როცა ის განსაკუთრებით ღრმა, მეტისმეტად საინტერესო ხდება.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რესტავრაციის დროის ფრანგმა ისტორიკოსებმა ვერ ჰპოვეს საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხის დამაკმაყოფილებელი პასუხი. ბ. კარეევი თავის წერილში: „Экономический материализм в истории“ ეხება გერმანულს სამართლის ისტორიულ სკოლას. არ იქნება უადგილო ჩვენც გავიხსენოთ ამ სკოლის თვალსაზრისი.

აი რას ამბობს ამ სკოლაზე ჩვენი პროფესორი: „როცა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ეგრეთწოდებული „სამართლის ისტორიული სკოლა“ წარმოიშვა, რომელმაც იწყო სამართლის განხილვა არა როგორც იურიდიულ ნორმათა უძრავი სისტემა,—როგორც ის წარმოდგენილი ჰქონდათ ძველ იურისტებს,—არამედ როგორც მოძრავი, ცვალებადი და განვითარებაში მყოფი მოვლენა, მაშინ გამოაშკარავდა ამ სკოლის ძლიერი ტენდენცია დაეპირდა-

პირებია ისტორიული, როგორც ერთად ერთი სწორი თვალსაზრისი სამართალზე ყველა ამ დარგში შესაძლებელი თვალსაზრისისთვის. ისტორიულ შეხედულებას არასოდეს არ მიაჩნდა შესაძლებლად ისეთი მეცნიერული ჭეშმარიტებების არსებობა, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა დროისთვის, ე. ი. იმის არსებობა, რასაც ახალი მეცნიერების ენაზე ზოგადი კანონები ეწოდება, და თითქმის პირდაპირ უარჰყოფდა ამ კანონებს და მასთან ერთად სამართლის ზოგად თეორიასაც იმ იდეის სასარგებლოდ, რომ სამართალი ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება, რასაკვირველია ყოველგან და ყოველთვის არსებობს, მაგრამ არ უარჰყოფს ყველა ხალხისთვის საერთო პრინციპებს"[1]).

ამ რამდენსამე სტრიქონში არის ძალიან ბევრი...—ასე ვთქვათ, უსწორობა, რომლის გამო პროტესტს განაცხადებდენ ისტორიული სკოლის მიმდევრები და წარმომადგენლები. მაგალითად, ისინი იტყოდენ: როცა ბ. კარეევი ჩვენ იმის უარყოფას გვაწერს რასაც მეცნიერების ენაზე ზოგადი კანონის სახელი ეწოდება"—იგი ან განზრახ ამახინჯებს ჩვენ შეხედულებას, ან და „ისტორიოსოფისათვის" სრულიად სამარცხვინოდ ვერ ერკვევა ცნებებში, როცა იგი ერთი-მეორეში ურევს იმ „კანონებს", რომელნიც სამართლის ისტორიის სფეროს ეკუთვნიან და იმათ, რომელნიც ადამიანთა საზოგადოების ისტორიულ განვითარებას განსაზღვრავენ. ამ უკანასკნელი სახის კანონების არსებობის უარყოფა არასოდეს არ უფიქრია ისტორიულ სკოლას, იგი სწორედ ასეთი კანონების აღმოჩენას ლამობდა, თუმცა მისი შრომა წარმატებით არ დასრულებულა. მაგრამ ამისი მიზეზი მეტის მეტად საგულისხმოა, და რომ ბ. კარეევს თავი შეეწუხებინა ამ მიზეზის გასაგებად, —ვინ იცის? შესაძლებელია, ბოლოს, მისთვისაც ნათელი გამხდარიყო „**ისტორიული პროცესის არსი**".

XVIII საუკუნეში იყო მიდრეკილება სამართლის ისტორია „კანონმდებლის" მოქმედებით აეხსნათ. ისტორიული სკოლა დაუნდობლად შეებრძოლა ამ მიდრეკილებას. ჯერ კიდევ 1814 წელს **სავინიმ** ([31]) ასე გამოთქვა ახალი თვალსაზრისი: „მთელი ეს თვალსაზრისი აი რაში მდგომარეობს: ყოველი სამართალი წარმოიშობა იმისგან, რასაც ჩვეულებრივი, მაგრამ არა სავსებით სწორი გამოთქმით **ადათებრივი სამართალი** ეწოდება, ე. ი. პირველად იგი წარმოიშობა ხალხის ადათით და რწმენით, შემდეგ—კი უკვე იურისპრუდენცი-

---

[1]) «Вестник Европы»—ივლისი 1894 წ. გვ. 12

ით. ამრიგად, იგი ყოველგან შინაგანი, უხილავად მომქმედი ძალით იქმნება და არა კანონმდებლის თვითნებობით" [1])

შემდეგ სავინიმ ეს თვალსაზრისი განავითარა თავის შესანიშნავ თხზულებაში: „System des heutugen römischen Rechts". დადებითი სამართალიო, ამბობს იგი აქ,--ცხოვრობს ხალხის საერთო ცნობიერებაში, და ამიტომ,შეგვიძლია მას **ხალხური სამართალიც** ვუწოდოთ... მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამართალი შექმნილი იყოს თვითნებითად ხალხის თითოეული ცალკე წევრების მიერ... დადებითი სამართალი იქმნება ხალხის სულით, რომელიც ცალკე წევრებში ცხოვრობს და მოქმედებს, და ამიტომ იგი (დადებითი სამართალი) შემთხვევითი მოვლენა როდია, იგი აუცილებლობის გამო ცალკე წევრების ცნობიერებაში ერთსა და იმავე სამართალს წარმოადგენს. [2])

„თუ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზის გაგებას განვიზრახავთ, განაგრძობს სავინი,—საჭიროა ამისათვის ისე მოვიქცეთ, როგორც საზოგადოდ სამართლის წარმოშობის ახსნის დროს ვიქცევით, ე. ი. ავხსნათ იგი მაღალი აუცილებლობით, პლასტიური ძალის შინაგანი მოქმედებით; და ჩვენ ვამბობთ ამას არა მარტო საზოგადოდ სახელმწიფოს არსებობის შესახებ, არამედ იმ განსაკუთრებულ სახეზეც, რომელსაც ყოველი ხალხის სახელმწიფო ღებულობს" [3])

სამართალი ისეთივე „უხილავი გზით" წარმოიშობა, როგორითაც ენა, და ცხოვრობს ხალხის საერთო ცნობიერებაში არა „განყენებული წესების სახით, არამედ როგორც იურიდიული ინსტიტუტების ორგანიული მთლიანობის ცოცხალი წარმოდგენა. ასე რომ, როცა საჭიროა, განყენებული წესი ერთგვარი ხელოვნური პროცესის მეშვეობით (durch einen Künstlichen Prozess) გამოეყოფა თავისი ლოღიკური ფორმით ამ საერთო წარმოდგენას". [4])

აქ ისტორიული სკოლის პრაქტიკული მისწრაფებანი სრულიად არ გვაინტერესებს; რაც შეეხება მის **თეორიას**,—უკვე ჩვენ

---

[1]) Vom Beruf unserer Zeit für Gesetzgebung und Rechtswissenschaft. Von D. Fridrich Carl von Savigny. Dritte Auflage. Heidelberg. 1840 (პირველი გამოცემა 1814 წ.) გვ. 14.

[2]) Erster Band, გვ. გვ. 14—15. (ბერლინის გამოცემა 1840 წ.)

[3]) Ibidem, გვ. 22

[4]) ibid, გვ. 16

მიერ მოყვანილი სავინის სიტყვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი (თეორია) წარმოადგენდა:

1. რეაქციას XVIII საუკუნეში იმ გავრცელებული შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით სამართალი ცალკე პირთა („კანონმდებელთა") თვითნებობით იქმნება; სამართლის ისტორიის მეცნიერული ახსნის, ამ ისტორიის, როგორც აუცილებელის და ამიტომ კანონზომიერი პროცესის, გაგების ცდას.

2. ამ პროცესის ახსნის ცდას წმინდა **იდეალისტური თვალსაზრისით**: „ხალხის სული", „ხალხის ცნობიერება" ის საბოლოო ინსტანცია იყო, რომელსაც სამართლის ისტორიული სკოლა მიმართავდა.

ამ სკოლის თვალსაზრისის იდეალისტურ ხასიათს **პუხტა** ([32]) უფრო მკვეთრად გამოთქვამს.

პირველყოფილი სამართალი, როგორც პუხტას, ისე სავინის აზრით, არის ადათებრივი სამართალი. მაგრამ როგორ წარმოიშობა ეს უკანასკნელი? ხშირად გამოთქვამენ აზრს, თითქოს იგი საყოველდღეო პრაქტიკით (Uebung) იქმნებოდეს, მაგრამ ეს კერძო შემთხვევაა მატერიალისტური თვალსაზრისისა ხალხის წარმოდგენათა წარმოშობაზე. „მართალია სწორედ საწინააღმდეგო თვალსაზრისი. საყოველდღეო პრაქტიკა მხოლოდ უკანასკნელი მომენტია, იმით მხოლოდ გამოიხატება და განხორციელდება უკვე წარმოშობილი სამართალი, რომელიც ამა თუ იმ ხალხის წევრთა შეხედულებაში ცხოვრობს. ჩვეულება გავლენას ახდენს შეხედულებაზე მხოლოდ იმ მხრით, რომ იგი ამ გავლენის გამო უფრო შეგნებული და უფრო მტკიცე ხდება." [1])

ამრიგად, ხალხის შეხედულება ამა თუ იმ სამართლებლივ ინსტიტუტზე იქმნება საყოველდღეო პრაქტიკისგან დამოუკიდებლად, „ჩვეულებაზე" უფრო ადრე. მაგრამ საიდან ჩნდება ეს შეხედულება? იგი გამოდის ხალხის სულის სიღრმიდან. ამა თუ იმ ხალხის სამართლებლივი წარმოდგენის განსაზღვრული ხასიათი დამოკიდებულია ამ ხალხის სულის თავისებურებაზე. ეს ახსნა ძლიერ ბუნდოვანია, ისე ბუნდოვანი, რომ მასში არაა მეცნიერული ახსნის ნასახიც. პუხტა თი-

---

[1]) Cursus der Institutionen. Erster Band. Leipzig, 1841 გვ. 31. სხოლიოში პუხტა მკაცრად ილაშქრებს ეკლექტიკოსების წინააღმდეგ, რომელნიც ლამობენ შეარიგონ ერთი-მეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისი სამართლის წარმოშობაზე, და ისეთი გამოთქმებით ილაშქრებს, რომ უნებლიეთ დაეკითხები თავს: ხომ არ გაუთვალისწინებია მას ბ. კარეევის მოვლენება? მაგრამ, მეორეს მხრით, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პუხტას დროს გერმანიაში საკმაოდ ბევრი ეკლექტიკოსი იყო: სხვაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ასეთი ჭკუის ხალხი-კი ყოველგან და ყოველთვის უხვად არის.

თონაც გრძნობს, რომ აქ საქმე სავსებით რიგზე არ არის, და ცდილობს გამოასწოროს იგი შემდეგი მსჯელობით: „სამართალი უხილავი გზით წარმოიშობა. ვის შეეძლო ეკისრა იმ გზების შესწავლა, რომელსაც ამ შეხედულების წარმოშობამდე, ჩასახვამდე, მის ზრდამდე, გაფუჩქვნამდე, გამოჩენამდე მივყევართ? ისინი, ვინც ამას კისრულობდა, უმეტეს შემთხვევაში მცდარ წარმოდგენებს ემყარებოდენ“ [1])

„უმეტეს შემთხვევაშიო...“ მაშასადამე ყოფილან ისეთი მკვლევარნიც, რომელნიც სწორ წარმოდგენებს ემყარებოდენ. რა დასკვნამდე მივიდენ ისინი ხალხის სამართლებლივ შეხედულებათა გენეზისის შესახებ? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პუხტასათვის საიდუმლოდ დარჩა, რადგანაც იგი ხალხის სულის თვისებების უშინაარსო დამოწმების იქით ერთი ნაბიჯითაც ვერ მიდის წინ.

არაფერს არკვევს არც ჩვენ მიერ სავინის ზემომოყვანილი შენიშვნა იმის შესახებ, რომ სამართალი ხალხის საერთო ცნობიერებაში ცხოვრობს არა განყენებული წესების სახით, არამედ როგორც სამართლებლივ ინსტიტუტთა ორგანიული მთლიანობის ცოცხალი წარმოდგენა. და არაა ძნელი იმის გაგება, თუ რამ გამოიწვია სავინის ასეთი რამოდენადმე ბუნდოვანი გამოთქმა. თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ სამართალი ხალხის ცნობიერებაში „განყენებული წესების სახით“ არსებობს, ამით ჩვენ, ჯერ ერთი, შევეჯახებით იურისტების „საერთო ცნობიერებას“, რომელთაც ძალიან კარგად ესმით, თუ რა ძნელად ითვისებს ხალხი ამ განყენებულ წესებს. მეორე, სამართლის წარმოშობის ჩვენი თეორია მეტისმეტად უცნაურ სახეს მიიღებს. იგი შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანდა: განსაზღვრული ხალხის წევრები, სანამ ისინი ერთი-მეორესთან რაიმე პრაქტიკულ ურთიერთობაში შევიდოდენ, სანამ ცხოვრების რაიმე პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებდენ, იმუშავებენ გარკვეულ ცნებებს და ამ ცნებებით მომარაგებული, როგორც მგზავრი პაქსიმადით, შედიან საყოველდღეო პრაქტიკის სფეროში, გამოდიან ისტორიულ გზაზე. ამას, რასაკვირველია, არავინ არ დაიჯერებს, და აი სავინი იცილებს თავიდან „განყენებულ წესებს“: სამართალი ხალხის ცნობიერებაში არის არა გარკვეული ცნებების სახით, იგი წარმოადგენს არა შზამზარეული კრისტალების კოლექციას, არამედ ცოტად თუ ბევრად გაჟენთილ ხსნარს, რომლისგანაც, „როცა ეს საჭირო იქნება“, ე. ი. საყოველდღეო პრაქტიკასთან შეჯახების დროს, დაილექება

---

[1]) ibid გვ. 28

საჭირო იურიუდიული კრისტალები. ასეთი მეთოდი არაა მოკლებული ერთგვარ გონებამახვილობას, მაგრამ ცხადია, რომ იგი ოდნავადაც არ გვაახლოებს მოვლენათა მეცნიერულ გაგებასთან.

ავიღოთ მაგალითი.

რინკის სიტყვით, ესკიმოსებს თითქმის არცა აქვთ წესიერი საკუთრება, მაგრამ რამდენადაც მასზე ლაპარაკი შეიძლება, იგი არჩევს მის სამ სახეს:

1. რამდენიმე ოჯახის კავშირის საკუთრება, მაგალითად, საზამთრო საცხოვრებელი ბინა...

2. ერთი ან, სულ ბევრი, სამი მონათესავე ოჯახის საკუთრება, მაგალითად, საზაფხულო კარავი და ყველაფერი ის, რაც საოჯახო მეურნეობისათვის არის საჭირო: სანათი, კასრი, ხის ჭურჭლეულობა, ქვის ქილა და სხვ.; ნავი ან უმიაკი, რომლითაც გადააქვთ ყველა ჩამოთვლილი საგანი, მარხილი ძაღლებითურთ..., ბოლოს, საზამთრო სურსათის მარაგი.

3. ცალკე პირთა კერძო საკუთრება... ტანსამოსი, საჭურველი და იარაღი, ანდა ყველაფერი ის, რასაც ადამიანი თითონ პირადად მოიხმარს. ამ ნივთებს რაღაც საიდუმლო კავშირსაც-კი მიაწერენ მათ მესაკუთრეებთან, რაც სულისა და სხეულის კავშირს გვაგონებს. ამ ნივთების ვისმეზე გაცემა არ არის დაშვებული ადათით" [1]).

საკუთრების ამ სამი სახის წარმოშობა წარმოვიდგინოთ სამართლის ძველი ისტორიული სკოლის თვალსაზრისით.

ვინაიდან, პუხტას სიტყვებით, შეხედულება წინ უსწრებს საყოველდღეო პრაქტიკას და ჩვეულების საფუძველზე არ აღმოცენდება, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმის ვითარება შემდეგნაირად იყო: სანამ ესკიმოსები საზამთრო ბინებში დაიწყებდენ ცხოვრებას და თითქმის სანამ მის გაშენებას შეუდგებოდენ, ისინი დარწმუნდენ: რაკი ჩვენ საზამთრო ბინები გვექნება, იგი რამდენიმე ოჯახის კავშირს უნდა ეკუთვნოდესო; სწორედ ასე დარწმუნდენ ჩვენი ველურები იმაში, რომ რაკი ჩვენ საზაფხულო კარავი, კასრი, ხის ჭურჭლეულობა, ნავი, ქილა, მარხილი და სხვ... გვექნება,—ისინი ერთის ან, სულ ბევრი, სამი მონათესავე ოჯახის საკუთრებას უნდა შეადგენდესო; ბოლოს, არ ნაკლებ დარწმუნდენ ისინი იმაში, რომ ტანსამოსი, საჭურველი და იარაღი პირად საკუთრებას უნდა შეადგენდეს და რომ ამ ნივთების ვისმეზე გაცემა არაა დასაშვები. დავუმატებთ, რომ ალბად, ყველა ეს „შეხედულება" არ-

---

[1]) Tales and Traditions of the Eskimo by Dr. Henri Rink, pp. 9 and 30.

სებობდა არა განყენებული წესების სახით, არამედ როგორც ცოცხალი წარმოდგენა სამართლებლივი ინსტიტუტების ორგანიული მთლიანობისა, და რომ სამართლებლივ ცნებათა ამ ხსნარიდან ილექებოდა შემდეგ, „როცა ეს სიჭირო იყო“, ე. ი. საზამთრო საცხოვრებელ ბინებსა, საზაფხულო კარავსა, კასრებსა, ქვის ქილებსა და სხვა ასეთთან შეჯახების დროს,—ესკიმოსთა ადათებრივი სამართლის ნორმები ცოტად თუ ბევრად „ლოღიკური ფორმით“. ხოლო ხსენებული სამართლებლივი ხსნარის თვისება განისაზღვრებოდა ესკიმოსთა სულის საიდუმლო თვისებებით.

ეს სრულებით არ არის მეცნიერული ახსნა, არამედ უბრალო Redensarten, როგორც გერმანელები იტყვიან.

იდეალიზმის ის სახე, რომელსაც სამართლის ისტორიული სკოლის მომხრეები იცავდენ, საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნის საქმეში უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე შელინგისა და ჰეგელის გაცილებით ღრმა იდეალიზმი.

როგორ გამოვიდა მეცნიერება იმ ჩიხიდან, რომელშიც იდეალიზმი მოექცა? მოუსმინოთ თანამედროვე შედარებითი სამართლისმეტყველების უშესანიშნაველ წარმომადგენელთაგანს,—ბ. მ. კოვალევსკის.

ბ. კოვალევსკი აღნიშნავს, რომ პირველყოფილი ტომების საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება კომუნიზმის დაღს ატარებსო (ყური უგდეთ ბ. ვ. ვ.! ესეც პროფესორია“), და შემდეგ განაგრძობს:

„თუ ვიკითხავთ ასეთი წყობილების ნამდვილ მიზეზს, თუ მოვისურვებთ იმის გაგებას, თუ რა აიძულებდა ჩვენს პირველყოფილ წინაპრებს და დღესაც აიძულებს თანამედროვე ველურებს დაიცვან მეტი თუ ნაკლები სისრულით კომუნისტური წყობილება, საჭირო გახდება განსაკუთრებით პირველყოფილი წარმოების წესის შესწავლა, რადგანაც დოვლათის განაწილება და მოხმარება მისი წარმოების წესით უნდა განისაზღვრებოდეს. ამის შესახებ-კი აი რას ამბობს ეთნოგრაფია: ხალხი, რომელიც მონადირეობას ან მეთევზეობას მისდევს, საზრდოს მოპოების დროს ეწყობა მოზრდილ ჯგუფებად (er hordes)... ავსტრალიაში კენგურუზე ნადირობა რამდენიმე ათეული, ხან კი ასეული პირისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფებით წარმოებს. სწორედ ასე წარმოებს ირემზე ნადირობა ჩრდილოეთ ქვეყნებში. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ცალკე ადამიანს არ ძალუძს განმარტოებულად შეინარჩუნოს თავისი არსებობა. იგი საჭიროებს დახმარებასა და ხელის შეწყობას. და მისი ძალა ასოციაციის მეშვეობით ათკეცდება... ამრიგად, საზოგადოებრივი განვითარების პირველ საფეხურებზე ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივ წარ-

მოებას და, როგორც ამ უკანასკნელის აუცილებელს ბუნებრივ შედეგს, საზოგადოებრივ მოხმარებას. ეთნოგრაფია უხვად გვაწვდის ამის დამამტკიცებელ ფაქტებს"[1])

ბ. კოვალევსკის მოჰყავს ლერმინის იდეალისტური თეორია, რომლის მიხედვით კერძო საკუთრება პიროვნების თვითშეგნების შედეგია, და განაგრძობს:

„არა, ეს ასე არ არის. ამის გამო არ მიდის პირველყოფილი ადამიანი თლილი ქვის ან ტყავის პირადი მითვისების აზრამდე, რომელთაგან—ერთი მის იარაღს წარმოადგენს, მეორე-კი მის ტანს ჰუარავს. იგი ამ აზრამდე იმის გამო მიდის, რომ ამ ნივთების წარმოებისთვის თავის ინდივიდუალურ ძალღონეს ხარჯავს. კაჟი, რომელიც ველურს ნაჯახის მაგიერობს უწევს, გათლილია მისი საკუთარი ხელით. ნადირობის დროს, რასაც იგი მრავალ თავის ამხანაგებთან ერთად ეწევა, მან უკანასკნელმა სტყორცნა ისარი ცხოველს და ამიტომ ამ ცხოველის ტყავი მისი საკუთრება ხდება. ველურთა ადათებრივ სამართალს ამ მხრით მეტის-მეტი სიზუსტე ახასიათებს. იგი მზრუნველობით ითვალისწინებს, მაგალითად, იმ შემთხვევას, როცა ნადირი მოკლულია ორი მონადირეს მიერ ერთად: ამ შემთხვევაში ტყავი ეკუთვნის იმ მონადირეს, რომლის ისარი ცხოველს უფრო ახლო ჩაერჭო გულთან. იგი ითვალისწინებს აგრეთვე იმ შემთხვევასაც, როცა უკვე დაკოდილი ცხოველი მოჰკლა შემთხვევით შემხვედრმა მონადირემ. მაშასადამე, ინდივიდუალური შრომის გამოყენება ლოღიკურად წარმოშობს ინდივიდუალურ მისაკუთრებას. ჩვენ შეგვიძლია ეს მოვლენა ვიპოვოთ მთელი ისტორიის მანძილზე ის. ვინც ხეხილი დარგო, მისი მესაკუთრე ხდება... მხედარი, რომელმაც ნადავლი ჩაიგდო ხელში, მისი ერთად ერთი მესაკუთრეა, ისე რომ მის ოჯახს არავითარი უფლება არა აქვს მის ნაშოვარზე. სწორედ ასე, არც ქურუმის ოჯახს შეუძლია მოსთხოვოს მას იმ მსხვერპლის ნაწილი, რომელსაც მორწმუნენი სწირავენ და რომელიც მის პირად განკარგულებაში გადადის. ყველაფერ ამას ცხადად ამტკიცებს ინდოეთის კანონები, სამხრეთ სლავიანების, დონის ყაზახების ანდა ძველი ირლანდიელების ადათებრივი სამართალი. და აუცილებელია სწორედ არ შევცდეთ ჭეშმარიტი პრინციპის შესახებ ასეთი მი-

---

[1]) M. Kovalevsky. Tableau des origines et de l'évolution de la famille et de la propriété. Stockholm. 1890, გვ. გვ. 52—53. განსვენებული ნ. ზიბერის წიგნში: „Очерки первобытной экономической культуры" მკითხველი ჰპოებს მრავალს, შეუდარებელი სიცხადით იმის დამამტკიცებელ ფაქტებს, რომ მითვისების წესს წარმოების წესი განსაზღვრავს.

თვისებისა, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრული საგნის მოპოებისათვის პირადი ძალ-ღონის გამოყენების შედეგს. მართლაც, როდესაც პირად ძალ-ღონეს ემატება მის ახლობელთა დახმარება... მოპოებული ნივთები უკვე აღარ იქცევა კერძო საკუთრებად. [1])

ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ პირადი მისაკუთრების საგნებად ყველაზე უფრო ადრე იქცევა: საჭურველი, ტანსამოსი, საზრდო, სამკაული და სხვა... „ცხოველთა მოშინაურების უკვე პირველ დღიდანვე—ძაღლი, კატა, ცხენი, მუშა-საქონელი შეადგენენ პირადისა და საოჯახო მისაკუთრების მთავარ ფონდს“.[2]) მაგრამ, თუ რა გავლენას ახდენს წარმოების ორგანიზაცია მითვისების მეთოდებზე, ამას გვიჩვენებს, მაგალითად, შემდეგი ფაქტი: ესკიმოსები ვეშაპზე ნადირობის დროს მოზრდილ ჯგუფებად ეწყობიან და დიდ ნავებს ხმარობენ; ამ მიზნისთვის დანიშნული ნავი საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს; პატარა ნავები-კი, რომლითაც საოჯახო საკუთრების ნივთები გადააქვთ, ცალკე ოჯახს ან, „სულ ბევრი, სამ მონათესავე ოჯახს ეკუთვნის“.

მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან ერთად მიწაც მითვისების ობიექტად იქცევა. მიწის საკუთრების სუბიექტები ხდებიან სისხლით მონათესავე მეტად თუ ნაკლებად სხვილი კავშირები. ეს, რასაკვირველია, **საზოგადოებრივი** მითვისების ერთ-ერთი სახეა. როგორ უნდა ავხსნათ მისი წარმოშობა? „ჩვენ ვფიქრობთო—ამბობს ბ. კოვალევსკი, რომ ამის მიზეზი იგივე საზოგადოებრივი წარმოებაა, რომელმაც ოდესღაც მოძრავი ქონების უმეტესი ნაწილის მითვისება გამოიწვია“[3]).

მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ წარმოიშობა თუ არა **კერძო** საკუთრება, იგი ვერ ურიგდება **საზოგადოებრივი** მითვისების უფრო ძველ წესს. იქ, სადაც საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარება სულ უფრო და უფრო ფართო არეს აძლევს „ერთპიროვნულ მოქმედებას“, საზოგადოებრივი საკუთრება საკმაო სწრაფად ჰქრება ან განაგრძობს არსებობას, ასე ვთქვათ, **რუდიმენტური** ინსტიტუტის სახით. ქვემოდ ჩვენ დავინახავთ, რომ პირველყოფილი საზოგადოებრივი საკუთრების რღვევის ეს პროცესი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, თვით ბუნებრივის, **მატერიალური** აუცილებლობის გამო, ერთი-მეორისაგან ძლიერ განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ეხლა ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ თანამედროვე სამართლის

---

[1]) ibid.. გვ. 95.
[2])ibid.. გვ. 57.
[3]) ibidem, გვ. 93.

მეცნიერების იმ ზოგად დასკვნას, რომ სამართლებლივი წარმოდგენანი—შეხედულებანი, როგორც პუხტა იტყოდა,—**ყოველგან წარმოების წესით განისაზღვრებიან.**

შელინგმა ოდესღაც სთქვა, მაგნეტიზმის მოვლენა უნდა გავიგოთ, როგორც შთანერგვა „სუბიექტურისა“ „ობიექტურში“-ო. სამართლის ისტორიისათვის იდეალისტური ახსნის გამონახვის ყველა ცდა წარმადგენს მხოლოდ იდეალისტური ნატურ-ფილოსოფიისადმი უბრალო დანართს—„Seitenstück“-ს. ყველა ეს იგივე, ხანდახან ბრწყინვალე, გონებამახვილი, მაგრამ ყოველთვის თვითნებითი, ყოველთვის უსაფუძვლო მსჯელობაა დამოუკიდებელსა და **თვითმოვითარე** სულზე.

შეუძლებელია იურიდიული შეხედულება საყოველდღეო პრაქტიკაზე **ადრე წარმოშობილიყო** თუ გინდ შემდეგი ერთი გარემოების გამო: იგი რომ **მისგან არ აღმოცენებულიყო**, მაშინ ის **უმიზეზო** მოვლენა იქნებოდა. ესკიმოსი იცავს ტანსამოსის, საჭურველის და შრომის იარაღების პირად მისაკუთრებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი მისაკუთრება უფრო მოხერხებულია და იგი **თვით ნივთთა თვისებებითაა** ნაკარნახევი. რათა დახელოვნდეს თავისი იარაღის, შვილდის ან ბუმერანგის ხმარებაში პირველყოფილი მონადირე უნდა **შეეგუოს მას**, კარგად შეისწავლოს მისი ყველა ინდივიდუალური თავისებურება და შეძლებისდაგვარად **შეუფარდოს** იგი თავის საკუთარ ინდივიდუალურ თავისებურებას.[1]) კერძო საკუთრება აქ სრულიად ბუნებრივია, გაცილებით უფრო ბუნებრივი, ვიდრე მისაკუთრების სხვა რომელიმე სახე, და ამიტომ ველური „დარწმუნებულია“ მის უპირატესობაში: იგი, როგორც ვიცით, შრომის ინდივიდუალურ იარაღებს რაღაც საიდუმლო კავშირსაც კი მია-

---

[1]) ცნობილია, რომ მონადირეს და მის იარაღს შორის უახლოესი კავშირი არსებობს ყველა პირველყოფილი ტომში. Der Jäger darf sich keiner fremden Waffen bedienen,“ ამბობს მარციუსი ბრაზილიის პირველყოფილ ბინადართა შესახებ და იქვე არკვევს თუ საიდან დაებადათ ამ ველურებს ასეთი „შეხედულება“: „Besonders behaupten diejenigen Wilden, die mit dem Blasrohr schiessen, dass dieses Goschosse durch den Gebrauch eines Fremden verdorben werde, und geben es nicht aus ihren Händen“—Von dem Rechtszustande unter den Ureinwohnern Brasiliens. München 1832. გვ. 50.

Die Fuhrung dieser Waffen (შვილდი და ისარი) erfordert eine grosse Geschicklichkeit und bestängige Uebung. Wo sie bei wilden Völkern im Gebrauche sind, berichten uns die Reisenden, dass schon die Knaben sich mit Kinder gerätten im Schiessen üben. Oscar Peschel, Völkerkunde, Leipzig 1875 გვერდი 190.

წერს მის მესაკუთრესთან. მაგრამ მისი შეხედულება აღმოცენდა საყოველდღეო პრაქტიკის ნიადაგზე და არა მასზე წინ; იგი წარმოშვა არა მისი „სულის“ თვისებებმა, არამედ იმ ნივთების თვისებებმა, რომელთანაც მას საქმე აქვს, და წარმოების იმ წესების ხასიათმა, რომელნიც მისთვის აუცილებელნი არიან მის საწარმოო ძალთა არსებული მდგომარეობის დროს.

თუ რამდენად უსწრებს წინ საყოველდღეო პრაქტიკა იურიდიულ „შეხედულების“ წარმოშობას, გვიჩვენებს პირველყოფილ სამართალში მრავლად არსებული სიმბოლიური მოქმედებანი. წარმოების წესი შეიცვალა, მასთან ერთად შეიცვალა ადამიანთა ურთიერთობაც საწარმოო პროცესში, შეიცვალა საყოველდღეო პრაქტიკა, „შეხედულებამ“ კი შეინარჩუნა თავისი წინანდელი სახე. იგი ეწინააღმდეგება ახალ პრაქტიკას, და აი წარმოიშობა ფიქცია, სიმბოლიური ნიშნები, მოქმედებანი, რომელთა ერთად ერთ მიზანს წარმოადგენს ამ წინააღმდეგობის ფორმალური დაძლევა. ბოლოს, დროთა განმავლობაში ეს წინააღმდეგობა ისპობა არსებითადაც: ახალი ეკონომიური პრაქტიკის საფუძველზე მუშავდება ახალი სამართლებლივი შეხედულება.

არ არის საკმარისი აღვიაროთ ამა თუ იმ საგნის კერძო საკუთრების გაჩენა განსაზღვრულ საზოგადოებაში იმისათვის, რათა ამ ინსტიტუტის ხასიათი გამოირკვეს. კერძო საკუთრებას ყოველთვის განსაზღვრული ფარგლები აქვს, რომელიც სავსებით საზოგადოების ეკონომიაზეა დამოკიდებული. „ველური ყოველთვის მისთვის უშუალოდ სასარგებლო ნივთებს ითვისებს. გადამეტ დოვლათს, მისი საკუთარი ძალღონით მოპოებულიც, რომ იყოს იგი, მაინც ჩვეულებრივად სრულიად მუქთად უთმობს სხვას: ოჯახის, კლანის ან ტომის წევრებს“-ო, ამბობს ბ. კოვალევსკი. სრულიად ამასვე იმეორებს რინკი ესკიმოსების შესახებ. საიდან წარმოიშობა ასეთი წესები ველურ ხალხებში? ბ. კოვალევსკის სიტყვით ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ველურებში არაა გავრცელებული ზედმეტი დოვლათის **შენახვა**[1]). ეს არასავსებით ნათელი გამოთქმა იმიტომ არის განსაკუთრებით უვარგისი, რომ მას ძლიერ ბოროტად იყენებდენ ვულგარული ეკონომისტები. მიუხედავად ამისა ცხადია, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს მას ბ. კოვალევსკი. „შენახვა“ მართლაც არ არის გავრცელებული პირველყოფილ ხალხებში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათთვის მოუხერხებელია ანდა, უფრო სწორედ, შეუძლებელია იგი. მოკლული

---

[1]) L. c. p. 56.

ნადირის ხორცი შესაძლებელია შენახული იქნეს მხოლოდ ცოტა ხნით: იგი ფუჭდება და სრულიად უვარგისი ხდება მოხმარებისათვის. მისი გაყიდვა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ, რასაკვირველია, ადვილი იქნებოდა აღებული ფულის „შენახვა", მაგრამ ეკონომიური განვითარების ამ საფეხურზე ფული ჯერ კიდევ არ არსებობს. მაშასადამე, თვით პირველყოფილი საზოგადოების ეკონომია ზღუდავს „მომჭირნეობის" განვითარებას.. გარდა ამისა, ვთქვათ, მე დღეს შემთხვევით დიდი ცხოველი მოვკალი და მისი ხორცი სხვებს გაუყავი, ხვალ-კი (ნადირობა ყოველთვის როდი გაგიმართლებს), ვთქვათ, ხელცარიელი დავბრუნდი და თავის ნანადირევს მიყოფენ ჩემი გვარის სხვა წევრები. ამრიგად, განაწილების ჩვეულება წარმოადგენს რაღაც ურთიერთი დაზღვევის მაგვარ მოვლენას, რომლის გარეშეც მონადირე ტომების არსებობა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ ტომებში კერძო საკუთრება მხოლოდ ჩანასახის ფორმით არსებობს, სჭარბობს კი **საზოგადოებრივი** საკუთრება; ამ საფუძველზე წარმოშობილი ადათი და ჩვეულება, თავის მხრით, ზღუდავს პირადი მესაკუთრის თვითნებობას. შეხედულება აქაც თან მისდევს ეკონომიას.

ხალხის იურიდიულ შეხედულებათა კავშირს მის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებასთან კარგად ხსნის ის მაგალითი, რომელიც ძალიან ხშირად მოჰყავდა თავის თხზულებებში როდბერტუსს. ცნობილია, რომ ძველი რომაელი მწერლები ენერგიულად ილაშქრებდენ **მევახშეობის** წინააღმდეგ. კატონ-ცენზორი ფიქრობდა, რომ მევახშე ორჯერ უარესია ქურდზეო (ნამდვილად ასე ამბობდა მოხუცი: სწორედ ორჯერ), ამ მხრით წარმართ მწერლებს სავსებით ეთანხმებოდენ ქრისტიანული ეკლესიის მამები. მაგრამ საკვირველია!—პირველნიც და მეორენიც **ფულადი** კაპიტალის პროცენტის წინააღმდეგ ილაშქრებდენ. ნატურით სესხს და **მისგან მიღებულ სარგებელს**-კი გაცილებით ნაკლებ ბოროტებად თვლიდენ. რით აიხსნება ეს განსხვავება? სწორედ იმით, რომ ფულადი, სავახშო კაპიტალი საშინლად ანადგურებდა მაშინდელ საზოგადოებას და სწორედ იგი „**ღუპავდა იტალიას.**" სამართლებლივი „შეხედულება" აქაც სრულიად ეთანხმებოდა ეკონომიას.

„სამართალი აუცილებლობის ან, უფრო სწორედ, მოთხოვნილების წმინდა ნაყოფია—ამბობს პოსტი,—სრულიად ამაო შრომა იქნებოდა მასში რაიმე იდეალური საფუძველი გვეძებნა-"ო.[1]) ჩვენ ვიტყოდით,

[1]) Der Ursprung des Rechts. Prolegomena zu einer allgemeinen vergleichenden Rechtswissenschaft von Dr. Alb. Herm. Post. Oldenburg, 1876.

რომ ეს სრულიად ეთანხმება უახლოესი დროის სამართლის მეცნიერებას, რომ ჩვენი მეცნიერი არ ააშკარავებდეს ცნებების საკმაოდ საგრძნობსა და თავის შედეგის მიხედვით ძლიერ მავნებელ არევ-დარევას.

საზოგადოდ, ყოველი სოციალური კავშირი მიისწრაფის სამართლის ისეთი სისტემა გამოიმუშავოს, რომელიც ყველაზე უკეთ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს და ყველაზე უფრო სასარგებლო იქნება მისთვის განსაზღვრულ დროს. ის გარემოება, რომ იურიდიულ დაწესებულებათა ესა თუ ის სისტემა სასარგებლოა თუ მავნებელი საზოგადოებისთვის, არავითარ შემთხვევაში არაა დამოკიდებული რაიმე ან ვისიმე „იდეის თვისებებზე“: **იგი, როგორც დავინახეთ, დამოკიდებულია წარმოების წესზე და ადამიანთა შორის იმ ურთიერთობაზე, რომელსაც ჰქმნის წარმოების ეს წესი.** ამ აზრით სამართალს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს **იდეალური** საფუძველი, რადგანაც იგი (ე. ი. საფუძველი) ყოველთვის **რეალურია.** მაგრამ ყოველი არსებული სამართლის სისტემის **რეალური საფუძველი** არ უარჰყოფს საზოგადოების წევრთა **იდეალურ დამოკიდებულებას** მისდამი. აღებული მთლიანად, საზოგადოება მხოლოდ მოიგებს ასეთი დამოკიდებულებით. პირიქით, გარდამავალი ეპოქების დროს, როცა საზოგადოებაში არსებული სამართლის სისტემა უკვე არ აკმაყოფილებს მის (ე. ი. საზოგ.) მოთხოვნილებებს, რომელიც საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ წარმოშვა, მოსახლეობის მოწინავე ნაწილს შეუძლია და მან უნდა მიმართოს კიდეც დროის უფრო შესაფერის, **დაწესებულებათა ახალი სისტემის** იდეალიზაციას. საფრანგეთის ლიტერატურა სავსეა მომავალი, ახალი წყობილების ასეთი იდეალიზაციის მაგალითებით.

„მოთხოვნილებიდან“ სამართლის წარმოშობის ფაქტი უარჰყოფს სამართლის „იდეალურ“ საფუძველს მხოლოდ იმ ადამიანთა წარმოდგენაში, რომელნიც ჩვეულნი არიან **მოთხოვილებანი უხეში მატერიის** სფეროს მიაკუთვნონ და დაუპირისპირონ იგი „წმინდას“, ყოველგვარ მოთხოვნილებას მოკლებულ „სულს.“ ნამდვილად-კი „იდეალური“ მხოლოდ ისაა, რაც სასარგებლოა ადამიანისთვის, და ყოველი საზოგადოება თავისი **„იდეალების“** გამომუშავების დროს ხელმძღვანელობს თავისი მოთხოვნილებით. ამ უდავო-საერთო წესის მოჩვენებითი გამონაკლისები აიხსნება იმით, რომ **საზოგადოების განვითარების გამო, მისი იდეალები** ხშირად უკან რჩება **მის ახალ მოთხოვნილებებს.**[1])

---

[1]) პოსტი სწორედ იმ ხალხს ეკუთვნის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა იდეალიზმისაგან. მაგალ., მისი აზრით, საგვარეულო კავშირი შეესა-

იმის შეგნება, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა მდგომარეობაზეა დამოკიდებული, სულ უფრო და უფრო იპრება თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებაში, მიუხედავად მრავალი მეცნიერის აუცილებელი ეკლექტიზმისა და მათი იდეალისტური ცრუმორწმუნეობისა. „მსგავსად იმისა, როგორც შედარებითმა ანატომიამ მეცნიერული ჭეშმარიტების ხასიათი მისცა ლათინურ ანდაზას: **„ბრჭყალებით ვიცნობ ლომს“**-ო, ასევე ხალხთმეტყველებას შეუძლია ამა თუ იმ ხალხის შეიარაღების მიხედვით ზედმიწევნითი სიზუსტით დაასკვნას მისი ცივილიზაციის ხარისხის შესახებ“-ო, ამბობს ჩვენ მიერ უკვე დამოწმებული ოსკერ პეშელი [1]). „საზრდოს მოპოების წესებთან მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების დიფერენციაცია. ყოველგან, სადაც ადამიანი ადამიანს უკავშირდება, ჩნდება ხელისუფლება. საზოგადოებრივი კავშირი ყველაზე უფრო სუსტია ბრაზილიის მონადირე მომთაბარე ურდოებში... მეჯოგე ტომები უმეტეს ნაწილად პატრიარქალურ ხელისუფალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, რადგანაც ჯოგები ჩვეულებრივად ერთ ბატონს ეკუთვნის, რომელსაც ემსახურებიან მისი თანამეტომენი, ანდა წინედ დამოუკიდებელი, და შემდეგ-კი გაღარიბებული ჯოგის-მფლობელები. მეჯოგეობას უმთავრესად, თუმცა არა განსაკუთრებით, ხალხთა დიდი გადასახლებ-გადმოსახლება ახასიათებს, როგორც ძველი ქვეყნის ჩრდილოეთში, ისე სამხრეთ აფრიკაში; პირიქით, ამერიკის ისტორიამ იცის მხოლოდ შემთხვევითი თავდასხმანი ველურ მონადირე ტომებისა კულტურული ხალხის ჯეჯილზე, რომელიც მიმხიდველი იყო ამ ტომებისთვის. მრავალ ხალხს, რომელნიც თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებს

ბამება მონადირე და მომთაბარე ხალხის ყოფა-ცხოვრებას; მიწათმოქმედებისა და მასთან დაკავშირებული ბინადარი ცხოვრების დამკვიდრებასთან ერთად საგვარეულო კავშირი ადგილს უთმობს „Gaugenossenschaft“-ს. ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, რომ ეს კაცი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიის ახსნას მხოლოდ საწარმოო ძალთა განვითარებაში ეძებს. ცალკე შემთხვევებში პოსტი თითქმის სრულიად არ ღალატობს ამ გზას. მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს „im Menschen schaffend ewigen Geist,“ მიიჩნიოს სამართლის ისტორიის ძირითად მიზეზად. ეს ადამიანი თითქოს განგებ იმისთვისაა გაჩენილი, რომ ბ. კარეევის გული გაახაროს.

[1]) L, C, გვ. 139. როცა ჩვენ ეს ამონაწერი მოგვყავდა, წარმოგვიდგა, თითქოს ბ. მიხაილოვსკი წამოიწია თავისი ადგილიდან და წამოიძახა: „მე შემიძლია ამის წინააღმდეგ ვიდავო: შესაძლებელია ჩინელების შეიარაღება ინგლისური თოფებით. განა დასაშვებია, რომ მათი ცივილიზაციის ხარისხის შესახებ ამ თოფების მიხედვით ვიმსჯელოთ.“ კეთილი, ბ. მიხაილოვსკი: სრულიად არ არის ლოღიკური ინგლისური თოფების მიხედვით ჩინეთის ცივილიზაციის შესახებ დავასკვნათ; მათი მიხედვით სწორედ ინგლისური ცივილიზაციის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ.

სტოვებდენ, შეეძლოთ დიდი და ხანგრძლივი ლაშქრობა ეწარმოებიათ მხოლოდ თავიანთი ჯოგების თანხლებით, რომელიც მათ აუცილებელ საზრდოს შეადგენდა მოგზაურობის დროს. გარდა ამისა, მომთაბარე მეჯოგეობა თვით მოითხოვს საძოვრების გამოცვლას. ბინადარ ცხოვრებასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლისთანავე თავს იჩენს მონის შრომით სარგებლობის სურვილი... მონობა ადრე თუ გვიან ტირანიას გამოიწვევს, რადგანაც ის, ვისაც ყველაზე მეტი მონა ჰყავს, შესძლებს მათი მეშვეობით დაიმორჩილოს უფრო სუსტნი... თავისუფალ ადამიანებად და მონებად დაყოფა საზოგადოების წოდებრივი დანაწილების დასაწყისია."[1])

პეშელს ბევრი ასეთი მოსაზრება მოჰყავს. ზოგი მათგანი სრულიად მართალია და ძლიერ საგულისხმოც; ზოგის წინააღმდეგ ბ. მიხაილოვსკის გარდა სხვასაც „შეუძლია იდავოს", მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა არა წვრილმანები, არამედ პეშელის აზრის ზოგადი მიმართულება. ეს ზოგადი მიმართულება-კი სრულიად ეთანხმება იმას, რასაც, როგორც ჩვენ შევნიშნეთ, ბ. კოვალევსკი იცავდა: **წარმოების წესში, საწარმოო ძალთა მდგომარეობაში ეძებს იგი სამართლის ისტორიის და მთელი საზოგადოებრივი წყობილების ახსნასაც-კი.**

ეს კი სწორედ ის არის, რისკენაც უკვე დიდი ხანია მოუწოდებდა მარქსი საზოგადოებრივი მეცნიერების ხალხს. და სწორედ ამაშია უმთავრესად, თუმცა არა საესებით (მკითხველი ქვემოდ დაინახავს, თუ რატომ ვამბობთ ჩვენ: არა სავსებით), „Zur Kritlk der politisclien Ockonomie-ის" იმ შესანიშნავი წინასიტყვაობის აზრი, რომელსაც ასეთი ცუდი ბედი ეწვია რუსეთში, რომელიც ასე საშინლად და საოცრად ცუდად გაიგო რუსი მწერლების უმეტესობამ, რომლებმაც იგი დედანში ან ნაწყვეტებით წაიკითხეს.

„თავისი სიცოცხლის საზოგადოებრივი წარმოების დროს ადამიანები ეჯახებიან განსაზღვრულს, აუცილებელს, მათი ნებისგან დამოუკიდებელ ურთიერთობას—**საწარმოო ურთიერთობას**, რომელიც შეესაბამება მათ მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ დონეს. ამ საწარმოო ურთიერთობათა ჯამი შეადგენს საზოგადოების **ეკონომიურ სტრუქტურას**, რეალურ საფუძველს, რომელზეც აღიმართება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი".

---

[1]) L. c. გვ. 252-253.

ჰეგელი ამბობს შელინგზე, რომ ამ ფილოსოფოსის სისტემის ძირითადი დებულებები განუვითარებელი რჩება და აბსოლუტური სული უეცრად ჩნდება, ვითარცა **დამბაჩის ხმა** (wie aus der Pistole geschossen). როცა საშუალო რუს ინტელიგენტს ეუბნებიან, რომ მარქსი „ყველაფერს ეკონომიური საფუძვლით ხსნის“-ო (ზოგი მარტივად გამოთქვამს: „ეკონომიურით“) იგი იბნევა, თითქოს მის ყურთან ვისმე უეცრად დამბაჩა გაესროლოს: „რატომ სწორედ ეკონომიურით“-ო,—ჰკითხულობს იგი ნაღვლიანად და გაკვირვებით. „თქმა არ უნდა, ბნიშვნელოვანია ეკონომიურიც (განსაკუთრებით ღარიბი გლეხებისა და მუშებისთვის). მაგრამ გონებრივიც ხომ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით ჩვენთვის, ინტელიგენციისთვის)“. წინა დალაგებამ უთუოდ დაარწმუნა მკითხველი, რომ საშუალო რუსი ინტელიგენტის გაოცება ამ შემთხვევაში იმისგან წარმოსდგება, რომ იგი, ინტელიგენტი, ყოველთვის რამოდენადმე უზრუნველი იყო **„გონებრივის“**, მისთვის **„განსაკუთრებით მნიშვნელოვანის“** შესახებ. როცა მარქსი ამბობდა, **„სამოქალაქო** საზოგადოების **ანატომია მის ეკონომიაში უნდა ვეძიოთ“**-ო, მას სრულიად აზრად არ მოსვლია დაეფრთხო მეცნიერები თოფის მოულოდნელი გასროლით: იგი მხოლოდ გადაჭრილსა და სწორ პასუხს აძლევდა იმ „წყეულ კითხვებს“, რომელიც **მთელი საუკუნის განმავლობაში** სტანჯავდა მოაზროვნე ხალხს.

ფრანგი მატერიალისტები ბოლომდე ანვითარებდენ თავიანთ სენსუალისტურ თვალსაზრისს და იმ დასკვნამდე მიდიოდენ, რომ ადამიანი ყველა თავისი აზრით, გრძნობით და მისწრაფებით გარემომცველი საზოგადოებრივი წრის ნაყოფს წარმოადგენს. ადამიანის შესწავლის საქმეში მატერიალისტური თვალსაზრისის უკეთ გამოყენებისთვის საჭირო იყო შემდეგი საკითხის გადაჭრა: რა განსაზღვრავს საზოგადოებრივი წრის აგებულებას და როგორია მისი განვითარების კანონები. ფრანგეში მატერიალისტებმა ვერ შესძლეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და ამის გამო იძულებულნი გახდენ თავის თვალსაზრისისთვის ეღალატნათ და დაბრუნებოდენ ძველს, მათ მიერ ეგზომ დაუნდობლად უკუგდებულს, **იდეალისტურ** თვალსაზრისს: ისინი ამბობდენ, წრეს ადამიანთა „**შეხედულება**“ ჰქმნისო. რესტავრაციის დროის ფრანგი ისტორიკოსები არ დაკმაყოფილდენ ასეთი ზერელე პასუხით და მიზნად დაისახეს საზოგადოებრივი წრის ანალიზი. ანალიზის შედეგად მიიღეს მეცნიერებისთვის ის მეტის-მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ **პოლიტიკური კონსტიტუციების** ფესვები **სოციალურ ურთიერთობაში** მარხია,

სოციალური ურთიერთობანი კი **საკუთრების მდგომარეობით განისაზღვრებიან.** ამ დასკვნასთან ერთად მეცნიერების წინაშე წამოიჭრა ახალი კითხვა, რომლის გარდაწყვეტის გარეშე მეცნიერება ერთი ნაბიჯსაც ვერ წასდგამდა წინ: **რაზეა დამოკიდებული საკუთრების მდგომარეობა?** რესტავრაციის დროის ფრანგმა ისტორიკოსებმა ვერ გადაჭრეს ეს საკითხი და იძულებულნი გახდენ ამ საკითხის გადაჭრის სიძნელისგან თავის დასაღწევად მიემართათ უშინაარსო მოსაზრებებისთვის ადამიანის ბუნების თვისებებზე. მათმა თანამედროვე გერმანელმა დიდმა იდეალისტებმა—შელინგმა და ჰეგელმა ძალიან კარგად იცოდენ, რომ ადამიანის ბუნების თვალსაზრისი არ იყო დამაკმაყოფილებელი: ჰეგელი მწარედ დასცინოდა ამ თვალსაზრისს. მათ ესმოდათ, რომ ისტორიული მოძრაობის გასაღები ადამიანის ბუნების **გარე** იმყოფება. ეს მათი დიდი დამსახურება იყო, მაგრამ ეს დამსახურება მეცნიერებისთვის რომ ნაყოფიერი გამხდარიყო, საჭირო იყო იმის ჩვენება, თუ **სახელდობრ სად უნდა გვეძებნა ეს გასაღები.** ისინი მას **სულის თვისებებში, აბსოლუტურ იდეის განვითარების** ლოლიკურ **კანონებში** ეძებდენ. ეს იყო დიდი იდეალისტების ძირითადი შეცთომა, რომელიც შემოვლილი გზით მათ **ადამიანის ბუნების თვალსაზრისთან აბრუნებდა,** რადგანაც აბსოლუტური იდეა—როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ—სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი აზროვნების ლოლიკური პროცესის განპიროვნება. მარქსის გენიალური აღმოჩენა ასწორებს იდეალიზმის ამ ძირითად შეცთომას და ამით სასიკვდილო ლახვარს სცემს იდეალიზმს: საკუთრების მდგომარეობა და მასთან სოციალური წრის ყველა თვისებაც (წინა თავში, იდეალისტური ფილოსოფიის გადმოცემისას, ჩვენ დავინახეთ, რომ ჰეგელიც იძულებული იყო ეცნო „საკუთრების მდგომარეობის“ გარდამწყვეტი მნიშვნელობა), განისაზღვრება არა აბსოლუტური სულის თვისებებით და არც ადამიანის ბუნებით, არამედ იმ ურთიერთი დამოკიდებულებით, რომელიც აუცილებლად წარმოიშობა ადამიანთა შორის „მათი სიცოცხლის წარმოების საზოგადოებრივ პროცესში“, ე. ი. არსებობისათვის ბრძოლის დროს. მარქსს ხშირად ადარებენ დარვინს,—შედარება, რომელიც ღიმილის ჰგვრის ბ. ბ. მიხაილოვსკის, კარეევს და მათ ძმათ. ქვემოდ ჩვენ ვიტყვით, თუ რა აზრით უნდა გავიგოთ ეს შედარება, თუმცა ბევრ ჩვენ მკითხველს უთუოდ ეს უჩვენოდაც კარგად ესმის. ეხლა-კი თავს ნებას მივსცემთ,—ვფიქრობთ ეს არ გამოიწვევს ჩვენი სუბიექტურ მოაზროვნეთა განრისხებას,—მოვიყვანოთ სხვა შედარება.

კოპერნიკამდე ასტრონომია გვასწავლიდა, რომ მიწა უძრავი ცენტრია, რომლის ირგვლივ მზე და ცის სხვა მნათობნი ტრიალებენო. ამ თვალსაზრისით შეუძლებელი იყო მსოფლიო მექანიკის შრავალი მოვლენის ახსნა. გენიალურმა პოლონელმა მათ ახსნას სულ საწინააღმდეგო მხრით მიუდგა: მან დაუშვა, რომ მზე კი არ ტრიალებს მიწის ირგვლივ, არამედ, პირიქით, მიწა ბრუნავს მზის გარშემო; ამით მონახული იქნა სწორი თვალსაზრისი და ბევრი ისეთი რამ, რაც კოპერნიკამდე ბურუსით იყო მოცული, ნათელი გახდა.—მარქსამდე, საზოგადოებრივი მეცნიერების ხალხი ადამიანის ბუნების ცნებიდან გამოდიოდა; ამის გამო შეუძლებელი ხდებოდა ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრა. მარქსის მოძღვრებამ სრულიად შეაბრუნა საქმის ვითარება: **როცა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად ადამიანი ზემოქმედებს გარე ბუნებაზე, იგი სცვლის თავის საკუთარ ბუნებასო**—ამბობს მარქსი. მაშასადამე, ისტორიული განვითარების მეცნიერულ ახსნის საქმე საწინააღმდეგო მხრიდან უნდა დავიწყოთ: უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ადამიანის წარმოებითი ზემოქმედების ეს პროცესი გარე ბუნებაზე. თავისი უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის მიხედვით, ეს აღმოჩენა თამამად შეიძლება გვერდზე დაუყენოთ კოპერნიკისა და საზოგადოდ უდიდეს, ენაყოფიერეს მეცნიერულ აღმოჩენებს.

არსებითად, საზოგადოებრივი მეცნიერება მარქსამდე გაცილებით უფრო მოკლებული იყო მტკიცე საფუძველს, ვიდრე ასტრონომია კოპერნიკამდე. მეცნიერების ყველა იმ დარგს, რომელიც სწავლობს ადამიანთა საზოგადოებას, ფრანგები უწოდებდენ და დღესაც უწოდებენ „sciences morales et politiques“ განსასხვავებლად „sciences“-ის, ე. ი. „**მეცნიერების**“-გან, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომელსაც აღიარებდენ და დღესაც აღიარებენ ერთად-ერთ ზუსტ მეცნიერებად. უნდა გამოვტყდეთ, რომ მარქსამდე მართლაც საზოგადოებრივი მეცნიერება არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო ზუსტი მეცნიერება. სანამ მეცნიერნი მიმართავდენ ადამიანის ბუნებას, როგორც უზენაეს ინსტანციას, ისინი აუცილებლობის გამო იძულებულნი იყვენ საზოგადოებრივი ურთიერთობანი ადამიანთა შეხედულებებით, მათი **შეგნებული მოქმედებით** აეხსნათ; მაგრამ ადამიანს თავისი შეგნებული მოქმედება აუცილებლად წარმოუდგება, როგორც **თავისუფალი** მოქმედება. თავისუფალი მოქმედება-კი გამორიცხავს **წარმოდგენას აუცილებლობაზე**, ე. ი. კანონზომიერებაზე; კანონზომიერება-კი მოვლენათა ყოველი მეცნიერული ახსნის აუცილებელი საფუძველია. **წარმოდგენა თავისუფლებაზე ჩრდილავ-**

და წარმოდგენას აუცილებლობაზე და ამ გზით ხელს უშლიდა მეცნიერების განვითარებას. ეს აბერაცია დღემდე განსაცვიფრებელი სიცხადით მოსჩანს რუს „სუბიექტურ“ მწერალთა „სოციოლოგიურ“ შრომებში.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით: **თავისუფლება აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს.** თავისუფლების წარმოდგენამ დაჩრდილა აუცილებლობის წარმოდგენა და თითონ უნუგეშო და უაღრესად ბუნდოვანი გახდა. კარებიდან განდევნილი აუცილებლობა ფანჯრიდან შემოიჭრებოდა ხოლმე. მკვლევარნი, რომელნიც თავისუფლების წარმოდგენას ემყარებოდენ წამდაუწუმ ეჯახებოდენ აუცილებლობას და ბოლოს და ბოლოს რწმუნდებოდენ მის უძლეობასა და გარდაუვალობაში. მათდა საუბედუროდ ცხადი ხდებოდა, რომ თავისუფლება მარადი და საბრალო მოხარკეა და უძლური სათამაშო ნივთი ბრმა აუცილებლობის ხელში. მართლაც თანაგრძნობის ღირსია ის სასოწარკვეთილება, რომელშიც ვარდებოდენ დროგამოშვებით ზედმიწევნით ნათელი, კეთილშობილი და იდეალისტურად განწყობილი მოაზროვნენი. „უკვე რამდენიმე დღეა ყოველ წამს ვიღებ კალამს ხელში, მაგრამ არ შემიძლია ერთი სიტყვაც დავსწერო—ამბობს გიორგი ბიუხნერი. მე ვსწავლობდი რეოლიუციის ისტორიას და თავს ვგრძნობდი განადგურებულად ისტორიის საშინელი ფატალიზმით. მე ვხედავ ადამიანის ბუნებაში საზიზღარ საშუალობას, ადამიანთა ურთიერთობაში-კი დაუძლეველ ძალას, რომელიც საზოგადოდ ყველას ეკუთვნის და კერძოდ-კი არავის. ცალკე პიროვნება ქაფია ტალღის ზედაპირზე, დიდება—მხოლოდ შემთხვევა, გენიოსის ძალა—მხოლოდ ტიკინას კომედია, სასაცილო სურვილი იმ რკინის კანონის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ გავიგოთ, მაგრამ რომლის ჩვენი ნებისადმი დამორჩილება ყოველად შეუძლებელია.“[1]) შეიძლება ითქვას, რომ ამ სრულიად კანონიერი სასოწარკვეთილებისგან თავის დასაღწევად საკმარისი იყო დროებით მაინც ძველი თვალსაზრისის მიტოვება და (და **თავისუფლების განთავისუფლებისა** სწორედ იმ **აუცილებლობის** დახმარებით, რომელიც მას აბუჩად იგდებდა. საჭირო იყო ერთხელ კიდევ გადასინჯვა **დიალექტიკოს**-იდეალისტების მიერ წამოყენებული საკითხისა: ხომ არ

---

[1]) საცოლესთან მიწერილი წერილი 1833 წ. შენიშვნა ბ. მიხაილოვსკის საყურადღებოდ. ეს ის ბიუხნერი კი არ არის, რომელიც ქადაგებდა მატერიალიზმს „ზოგად-ფილოსოფიური გაგებით“; ეს მისი ადრე გარდაცვლილი ძმაა, შესანიშნავი ტრაგედიის: „დანტონის სიკვდილი“-ს ავტორი.

გამომდინარეობს თავისუფლება აუცილებლობიდან, ხომ არ შეადგენს ეს უკანასკნელი ადამიანის თავისუფლების ერთად ერთ მტკიცე საფუძველს, ერთად ერთ საიმედო გარანტიას, მის აუცილებელ პირობას?

ჩვენ დავინახავთ, თუ სანამდე მიიყვანა მარქსი საკითხის ასეთმა დაყენებამ. მაგრამ ჯერ შევეცდებით მისი ისტორიული თვალსაზრისი ისე გამოვარკვიოთ, რომ მის შესახებ ადგილი არ ექნეს არავითარ გაუგებრობას.

საწარმოო ძალთა განსაზღვრული მდგომარეობის საფუძველზე მყარდებიან შესაფერი საწარმოო ურთიერთობანი, რომელნიც თავიანთ იდეალურ გამოხატულებას ჰპოულობენ ადამიანთა იურიდიულ ცნებებში და ცოტად თუ ბევრად „განყენებულ წესებში," უწერ ადათებში და დაწერილ კანონებში. ამის დამტკიცება უკვე აღარ გვჭირდება: ამას, როგორც დავინახეთ, ჩვენს მაგიერ ასაბუთებს თანამედროვე სამართლის მეცნიერება (გაიხსენოს მკითხველმა, თუ რას ამბობს ამის შესახებ ბ. კოვალევსკი). მაგრამ ზედმეტი არ იქნება საქმეს მეორე მხრითაც შევხედოთ: სახელდობრ, აი რა მხრით. მას შემდეგ რაც ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, თუ რა გზით ჰქმნის **წარმოების ურთიერთობა** ადამიანთა იურიდიულ **ცნებებს**, ჩვენ უკვე აღარ გაგვაკვირვებს მარქსის შემდეგი სიტყვები: „ადამიანთა შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფას (ე. ი. მათი საზოგადოებრივი არსებობის ფორმებს), არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფა განსაზღვრავს მათ შეგნებას". ეხლა ჩვენ უკვე ვიცით, შეგნების ერთი სფეროს მიმართ მაინც, რომ ეს მართლაც ასეა და ისიც—თუ რატომ არის ასე. საჭიროა მხოლოდ გაჰოვარკვიოთ, ეს ყოველთვის ასეა თუ არა; თუ ჰო, რა მიზეზით? მივმართოთ ისევ იურიდიულ ცნებებს.

„თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოების **საწარმოო ძალები** ეჯახებიან ამ საზოგადოებაში არსებულ **საწარმოო ურთიერთობებს**, ანდა, იგივე იურიდიული ენით რომ გავოვთქვათ, საკუთრების ურთიერთობებს, რომლის ფარგალში ისინი მანამდე ვითარდებოდენ. საწარმოო ძალთა განვითარების **ხელის შემწყობი** ფორმის ნაცვლად ეს ურთიერთობანი იქცევიან მათ **შემბოჭველად**. მაშინ დგება სოციალურ გადატრიალებათა ეპოქა".

მოძრავი და უძრავი ქონების საზოგადოებრივი საკუთრება იმიტომ წარმოიშობა, რომ იგი შეეფერება პირველყოფილი წარმოების პროცესს, კიდევ მეტი, აუცილებელია მისთვის. იგი ხელს უწყობს პირველყოფილი საზოგადოების არსებობასა და მის საწარმოო

ძალთა შემდგომ განვითარებას: ამის გამოა, რომ მისი წევრები იცავენ მას და თვლიან ბუნებრივად და აუცილებლად. მაგრამ აი, **საკუთრების ამ ურთიერთობათა წყალობით და მათ შიგნით**, საწარმოო ძალები იმდენად განვითარდა, რომ უფრო ფართო გასაქანი მიეცა ინდივიდუალურ ძალღონის გამოყენებას. ეხლა საზოგადოებრივი საკუთრება ზოგ შემთხვევაში **მავნებელი** ხდება საზოგადოებისთვის, იგი აბრკოლებს მის საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას და ამიტომაც ადგილს უთმობს **პირად მისაკუთრებას**: ხდება საზოგადოების სამართლებლივ დაწესებულებათა ცოტად თუ ბევრად სწრაფი გადატრიალება. ამ გადატრიალებას აუცილებლად თან ჰ>ყვება ადამიანთა იურიდიული ცნებების სწრაფი შეცვლა: ხალხი, რომელიც მანამდე ჰფიქრობდა, რომ კარგია მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრება, ეხლა ჰფიქრობს, ზოგ შემთხვევაში პირადი მისაკუთრება უკეთესიაო. თუმცა ჩვენი გამოთქმა არ არის სწორი, ჩვენ ვხატავთ ორ ცალკე პროცესად ი>ას, რაც სრულიად განუყოფელია, რაც მხოლოდ ერთისა და იმავე პროცესის ორ ‹ხარეს წარმოადგენს: **საწარმოო ძალთა განვითარების გამო უნდა შეცვლილიყვენ ადამიანთა ფაქტიური ურთიერთობანი წარმოების პროცესში, ეს ახალი ფაქტიური ურთიერთობანი-კი გამოიხატენ ახალი სამართლებლივი ცნებებით.**

ბ. კარეევი გვარწმუნებს, მატერიალიზმი ისევე ცალმხრივია ისტორიის ახსნაში, როგორც იდეალიზმიო ერთიც და მეორეც, მისი აზრით, სრული მეცნიერული ჭეშმარიტების განვითარების მხოლოდ „მომენტებს წარმოადგენს“. „პირველისა და მეორე მომენტის შემდეგ უნდა დადგეს მესამე მომენტი: თეზისისა და ანტითეზისის ცალმხრივობა მოიხსნება სინთეზით, როგორც სრული ჭეშმარიტების ფორმით.[1]) ეს მეტად საინტერესო სინთეზი იქნება. „თუ რაში მდგომარეობს ეს სინთეზი, მე ჯერ ამაზე არას ვიტყვი“. სამწუხაროა! მაგრამ საბედნიეროდ ჩვენი „ისტორიოსოფი“ მაინცა და მაინც მკაცრად არ იცავს მის მიერვე თავისთვის გ>ამომუშავებულ გაჩუმების მცნებას. იგი დაუყოვნებლივ გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, თუ როგორი იქნება და საიდან აღმოცენდება ის სრული მეცნიერული ჭეშმარიტება, რომელსაც გაიგებს ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ განათლებული კაცობრიობა, და რომელიც ჯერ მხოლოდ ბ. კარეევისათვისაა ცნობილი. ის აღმოცენდება შემდეგი მოსაზრებიდან: „რადგან ყოველი ადამიანის პიროვნება სხეულისა და სულისგან შე-

---

[1]) „Вестник Европы“. ივლისი 1894 წ. გვ. 6.

სდგება, ამიტომ იგი ორგვარ სიცოცხლეს ეწევა—ფიზიკურსა და ფსიქიურს; იგი არ წარმოგვიდგება არც როგორც მარტოოდენ სხეული თავისი მატერიალური მოთხოვნილებებით, არც როგორც მარტოოდენ სული მისი ინტელექტუალური და მორალური მოთხოვნილებებით. ადამიანის სხეულსაც და სულსაც თავისი მოთხოვნილებები აქვს, რომელიც საჭიროებს თავის დაკმაყოფილებას და აყენებს ცალკე პიროვნებას სხვადასხვა ურთიერთობაში გარე ქვეყანასთან, ე. ი. ბუნებასა და სხვა ადამიანებთან, ე. ი. საზოგადოებასთან, და ეს ურთიერთობა ჩვეულებრივად ორგვარია.“[1])

რომ ადამიანი სულისა და სხეულიდან შესდგება, ეს სამართლიანი „სინთეზია“, მაგრამ არც თუ ისე ახალი. თუ კი ბ. პროფესორი იცნობს უახლესი ფილოსოფიის ისტორიას, მან უნდა იცოდეს, რომ სწორედ ეს სინთეზი მას (ე. ი. უახლეს ფილოსოფიას) მთელ საუკუნეთა განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ მას მაინც ვერაფერი მოუხერხა. თუ იგი ფიქრობს, რომ ეს სინთეზი გაუშუქებს მას „ისტორიული პროცესის რაობას“,—მაშინ თვით ბ. ვ. ვ-ც უნდა დაგვეთანხმოს, რომ მის „პროფესორს“ კარგი საქმე არ სჭირს, და რომ ბ. კარეევი ვერ ეღირსება „ისტორიოსოფიის“ „სპინოზად“ გახდომას.

საწარმოო ძალთა განვითარებით, რომელიც იწვევს ადამიანთა უთრიერთობის ცვლილებას წარმოების საზოგადოებრივ პროცესში, იცვლება საკუთრების ყველა ურთიერთობა. მაგრამ აკი ჯერ კიდევ გიზო გვასწავლიდა, რომ საკუთრების ურთიერთობაში მარხია პოლიტიკური კონსტიტუციის ფესვებიო. ამას საკუთრებით ადასტურებს უახლესი დროის მეცნიერება. საგვარეულო კავშირი ადგილს უთმობს ტერიტორიალურს სწორედ საკუთრების ურთიერთობათა ცვლილების გამო. მეტად თუ ნაკლებად მსხვილი ტერიტორიალური კავშირები ერთდებიან სახელმწიფოდ წოდებულ ორგანიზმებად, ისევ საკუთრების ურთიერთობათა ცვლილების ან საზოგადოებრივ საწარმოო პროცესის ახალ მოთხოვნილებათა წარმოშობის გამო. ეს, მაგალითად, შესანიშნავადაა გამორკვეული აღმოსავლეთის მსხვილ სახელმწიფოთა მიმართ.[2]) ასევე კარ-

---

[1]) იქვე, გვ. 7.

[2]) იხ. განსვენებული ლ. მეჩნიკოვის წიგნი „დ ი დ ი ი ს ტ ო რ ი ულ ი მ დ ი ნ ა რ ე ე ბ ი ს“ შესახებ. ამ წიგნში ავტორმა არსებითად ჯამი გაუკეთა იმ დასკვნებს, რომელიც მიიღეს უფრო ავტორიტეტულმა სპეციალისტ-ისტორიკოსებმა, მაგალითად, ლ ე ნ ო რ მ ა ნ მ ა. დასახელებული წიგნის წინასიტყვაობაში ელიზე რეკლიუ ამბობს, რომ მეჩნიკოვის თვალსაზრისი მეცნიერების ისტორიაში ეპოქას შეაქმნისო. ეს არ არის მართალი ამ აზრით, რომ ეს შეიდეულება ახალი არაა: სრულიად გარკვეულად მას ჯერ კიდევ ჰეგელი გამოთქვამდა, მაგრამ უეჭვოა, რომ მეცნიერება ბევრს მოიგებს, თუ ამ თვალსაზრისს ბოლომდე დაიცავს.

გად არის ეს გამორკვეული ანტიური სახელმწიფოების შესახებაც.[1]) და საზოგადოდ ძნელი არაა ამის ცხადყოფა ყოველი სახელმწიფოს მიმართ, რომლის წარმოშობის შესახებ ჩვენ საკმაო ცნობა მოგვეპოება. საჭიროა მხოლოდ განგებ ან შეუგნებლად არ შევზღუდოთ მარქსის თვალსაზრისი. ჩვენ ამით აი რისი თქმა გვინდა.

საწარმოო ძალთა არსებული მდგომარეობით განისაზღვრება ამა თუ იმ საზოგადოების **შინაგანი** ურთიერთობა. მაგრამ **მისი საგარეო ურთიერთობა სხვა საზოგადოებებთან** საწარმოო ძალთა ხომ ამავე მდგომარეობით განისაზღვრება. ამ საგარეო ურთიერთობათა საფუძველზე საზოგადოებას დაებადება ახალი მოთხოვნილებები, რომლის დასაკმაყოფილებლად წარმოიშობა ახალი **ორგანოები**. ზერელე შეხედვით, ცალკე საზოგადოებათა ურთიერთი დამოკიდებულება წარმოგვიდგება „პოლიტიკურ მოქმედებათა" სახით, რომელთაც ეკონომიასთან უშუალო კავშირი არა აქვთ. სინამდვილეში-კი საზოგადოებათა ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს სწორედ **ეკონომია**, რომელიც განსაზღვრავს სატომთაშორისო და საერთაშორისო ურთიერთობის როგორც ნამდვილ (და არა მარტო გარეგან) საბაბს, ისე მის შედეგსაც. საწარმოო ძალთა განვითარების ყოველ საფეხურს შეესაბამება შეიარაღების თავისი სისტემა, თავისი სამხედრო ტაქტიკა, თავისი დიპლომატია, თავისი საერთაშორისო სამართალი. მართალია, შესაძლოა აღინიშნოს მრავალი შემთხვევა, როცა საერთაშორისო შეჯახებას არა აქვს პირდაპირი კავშირი ეკონომიასთან. და მარქსის არც ერთს მიმდევართაგანს აზრადაც არ მოუვა უარჰყოს ასეთ შემთხვევათა არსებობა. ისინი მხოლოდ შემდეგს ამბობენ: ნუ შეჩერდებით მოვლენათა ზედაპირზე, შეიჭერით უფრო ღრმად, შეეკითხეთ თავს, რა საფუძველზე აღმოცენდა ეს საერთაშორისო სამართალი? რამ შექმნა ასეთ საერთაშორისო შეჯახებათა შესაძლებლობა? და თქვენ ბოლოს მაინც ეკონომიასთან მიხვალთ. მართალია, ცალკე შემთხვევების განხილვა ძნელდება იმით, რომ ხშირად ერთმანეთს ბრძოლაში ებმიან ისეთი საზოგადოებანი, რომელნიც **ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან**.

მაგრამ აქ სიტყვას გვაწყვეტინებს პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთა გუნდი. „კარგი, — გაჰკივიან ისინი, — ვთქვათ პოლიტიკურ ურთიერთობათა მიზეზი ეკონომიაა. მაგრამ რაკი მოცემულია პოლიტიკური ურთიერთობანი, ისინი — როგორიც უნდა იყოს მათი წარმოშობა — თავისი მხრით ზემოქმედებენ ეკონომიაზე. მაშასადამე, აქ ადგილი აქვს ურთიერთ ზემოქმედებას და მეტს არაფერს"-ო.

---

[1]) იხ. მორგანის წიგნი: „Ancient Society" და ენგელსის წიგნი: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა".

ეს საბუთი ჩვენ მიერ მოგონილი როდია. თუ როგორ აფასებენ მას „ეკონომიური მატერიალიზმის“ მოწინააღმდეგენი, ამას ნათელ-ჰყოფს შემდეგი „ნამდვილი ამბავი“.

მარქსს თავის „კაპიტალ“-ში მოჰყავს ფაქტები, რომელიც მოწმობს, რომ ინგლისის არისტოკრატია სარგებლობდა თავის პოლიტიკური ძალა-უფლებით თავის საქმეების მოსაგვარებლად მიწათმფლობელობის სფეროში. დოკტორმა პაულ ბარტმა, ავტორმა „კრიტიკული ცდისა“ სათაურით: „Die Geschichtsphilosophie Hegels und der Hegelianer“, ხელი ჩასჭიდა ამას, რომ მარქსისთვის წინააღმდეგობა ესაყვედურებია: მაშასადამე, თქვენც თითონვე აღიარებთ, რომ აქ არსებობს ურთიერთი ზემოქმედებაო. იმის დასამტკიცებლად-კი, რომ აქ მართლაც ადგილი აქვს ზემოქმედებას, ჩვენმა დოკტორმა დაიმოწმა შტერნეგის წიგნი, იმ მწერლის წიგნი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის ეკონომიური ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში. ბ. კარეევი ფიქრობს, რომ „ფურცლები, რომელიც ბარტმა თავის წიგნში ეკონომიური მატერიალიზმის კრიტიკას მიუძღვნა, შეიძლება დავასახელოთ იმის ნიმუშად, თუ როგორ უნდა გადაიჭრეს საკითხი ეკონომიური ფაქტორის როლის შესახებ ისტორიაში“-ო. თავისთავად ცხადია, რომ მან შემთხვევა არ გაუშვა ეცნობებია მკითხველისთვის ბარტის მოსაზრება და ავტორიტეტული განცხადება ინამა-შტერნეგისა, „რომელიც აყალიბებს კიდეც იმ ზოგად დებულებას, რომ პოლიტიკასა და მეურნეობას შორის ურთიერთი ზემოქმედება ყველა ქვეყნისა და სახელმწიფოს განვითარების ძირითად ნიშანს წარმოადგენს“-ო. საჭიროა ოდნავად მაინც გავერკვეთ ამ დომხალში.

ჯერ ვნახოთ, რას ამბობს სახელდობრ ინამა-შტერნეგი? კაროლინგთა პერიოდის გერმანეთის ეკონომიური ისტორიის შესახებ იგი შემდეგს შენიშნავს: „პოლიტიკასა და მეურნეობას შორის ურთერთი ზემოქმედება, რომელიც ყველა ხალხისა და სახელმწიფოს განვითარების ძირითად ნიშანს შეადგენს, ყველაზე უფრო ნათლად აქ შეგვიძლია დავინახოთ. პოლიტიკური როლი, რომელიც წილად ხვდება ამა თუ იმ ხალხს, გარდამწყვეტ გავლენას ახდენს მის ძალთა შემდგომ განვითარებაზე, მის სოციალურ დაწესებულებათა წყობასა და შემუშავებაზე. სწორედ ასე, ხალხის შინაგანი ძალა და მისი განვითარების ბუნებრივი კანონები განსაზღვრავენ მისი პოლიტიკური საქმიანობის სიძლიერესა და სახეს. სავსებით ამგვარად, კაროლინგთა პოლიტიკურმა სისტემამ არა ნაკლები გავლენა იქონია სოციალურ წყობილებაზე, სამეურნეო ურთიერთობაზე, რომელშიც მაშინ ცხოვრობდა ხალხი, ვიდრე ხალხის სტიქიურმა ძალამ—მისმა სამეურნეო

ცხოვრებამ—ამ პოლიტიკური სისტემის მიმართულებაზე, რომელმაც მას თავისებური დაღი დაასვა.“ [1]) ეს არის და ეს. ეს ცოტაა, მაგრამ სრულიად საკმაოდ მიაჩნიათ მარქსის გასაბათილებლად.

ეხლა გავიხსენოთ, რას ამბობს მარქსი ეკონომიის დამოკიდებულების შესახებ სამართალსა და პოლიტიკასთან.

„სამართლებლივი და პოლიტიკური დაწესებულებანი აღმოცენდებიან ადამიანთა ფაქტიურ ურთიერთობის საფუძველზე წარმოების საზოგადოებრივ პროცესში. განსაზღვრულ დრომდე ეს დაწესებულებანი **ხელს უწყობენ** ხალხის საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, მისი ეკონომიური ცხოვრების აყვავებას.“ ეს მარქსის ნამდვილი სიტყვებია; და ჩვენ ვეკითხებით ყოველ კეთილსინდისიერ ადამიანს, განა ეს სიტყვები შეიცავს პოლიტიკურ ურთიერთობათა მნიშვნელობის უარყოფას ეკონომიის განვითარებისთვის, განა აბათილებს მარქსს ის ხალხი, რომელიც მას ამ მნიშვნელობას მოაგონებს? განა ცხადი არაა, რომ ასეთი უარყოფის ნასახიც-კი არ არის მარქსის მსჯელობაში და რომ დასახელებული ხალხი ვერაფერსაც ვერ აბათილებს? იმდენად ცხადია, რომ საჭიროა ვიკითხოთ არა ის, გაბათილებულია თუ არა მარქსი, არამედ ის, თუ რატომ გაიგეს ასე ცუდად მარქსი? ამ კითხვაზე-კი შეგვიძლია ვუპასუხოთ მხოლოდ ფრანგული ანდაზით: „la plus belle fille du monde ne peut donner que ce qu'elle a. მარქსის კრიტიკოსები შეთვისების და გაგების იმაზე მეტ უნარს ვერ გამოიჩენენ, რომლითაც ისინი კეთილმყოფელმა ბუნებამ დააჯილდოვა [2]).

პოლიტიკასა და ეკონომიას შორის ურთიერთი ზემოქმედება არსებობს. ეს სწორედ ისევე უეჭვოა, როგორც ის გარემოება, რომ ბ. კარეევს არ ესმის მარქსი. მაგრამ ურთიერთი ზემოქმედების არსებობა განა გვიკრძალავს ჩვენ განვაგრძოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზი?

---

[1]) Deutsche Wirtschaftsgeschichte bis zum Schluss der Karolingenperiode 1 Band. Leipzig 1889. გვ. გვ. 223—224.

[2]) მარქსი ამბობს: ყ ო ვ ე ლ ი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ა ა რ ი ს ბ რ ძ ო ლ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე ო, ა ს კ ვ ნ ი ს ბ ა რ ტ ი, პ ო ლ ი ტ ი კ ა, თ ქ ვ ე ნ ი ს ა ზ რ ი თ, ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ვ ი თ ა რ გ ა ვ ლ ე ნ ა ს ა რ ა ხ დ ე ნ ს ე კ ო ნ ო მ ი ა ზ ე, მ ა შ ი ნ რ ო ცა თ ქ ვ ე ნ თ ი თ ო ნ ვ ე მ ო გ ყ ა ვ თ ფ ა ქ ტ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ი ც ნ ა თ ე ლ ჰ ყ ო ფ ს დ ა სხვ... ყოჩაღ! გაჰყვირის ბ. კარეევი, აი, ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ედავო მარქსს! ბ. კარეევის „ნიმუში“ საზოგადოდ აზრის საკვირველ ძალას იჩენს, „რუსოო—ამბობს ნიმუში—ისეთ საზოგადოებაში სცხოვრობდა, სადაც წოდებრივი უთანასწორობა და პრივილეგიები უკიდურესობამდე იყო განვითარებული, სადაც ყველა ემორჩილებოდა ყოვლის შემძლე დესპოტიზმს; და მაინც ძველებისგან ნასესხებმა სახელმწიფოს რაციონალურად მოწყობის მეთოდმა,—რომლითაც ჰობესი და ლოკიც სარგებლობდა,

არა. ასე რომ გვეფიქრა, ეს თითქმის იგივე იქნებოდა, რომ წარმოგვედგინა, თითქოს ბ. კარეევის უვიცობა ხელს შეგვიშლიდეს სწორ „ისტორიოსოფიულ“ ცნებათა შემუშავების საქმეში.

პოლიტიკური დაწესებულებანი გავლენას ახდენენ სამეურნეო ცხოვრებაზე. ისინი **ან ხელს უწყობენ** მის განვითარებას, ან **აბრკოლებენ მას.** პირველი შემთხვევა სრულებით ბუნებრივია მარქსის თვალსაზრისით, რადგან განსაზღვრული პოლიტიკური სისტემა სწორედ იმიტომ იქმნება (შეუგნებლად თუ შეგნებულად—ეს ამ შემთხვევაში ჩვენთვის სულერთია), **რათა ხელი შეუწყოს საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას.** მეორე შემთხვევა ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება ამ თვალსაზრისს, რადგან ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მას შემდეგ, რაც არსებული პოლიტიკური სისტემა აღარ შეესაბამება საწარმოო ძალთა მდგომარეობას და იქცევა მისი შემდგომი განვითარების დაბრკოლებად, იგი თანდათან იხრწნება და ბოლოს ისპობა. ეს შემთხვევა არა თუ ეწინააღმდეგება მარქსის მოძღვრებას, არამედ შესანიშნავად ასაბუთებს მას, რადგანაც სწორედ ის გვიჩვენებს, თუ როგორი აზრით უნდა გავიგოთ ეკონომიის ბატონობა პოლიტიკაზე, თუ როგორ უსწრებს წინ საწარმოო ძალთა განვითარება ხალხის პოლიტიკურ განვითარებას.

ეკონომიური ევოლიუცია იწვევს იურიდიულ გადატრიალებას. ამის გაგება ძალიან ძნელია **მეტაფიზიკოსისთვის,** რომელიც (მართალია, ურთიერთ ზემოქმედებაზე ლაპარაკობს) ჩვეულია მოვლენები ერთი მეორის შემდეგ და ერთი მეორის დამოუკიდებლად განიხილოს. პირიქით, ამას სულ ადვილად გაიგებს ის ადამიანი, რომელსაც **დიალექტიკური** აზროვნების უნიშვნელო უნარი მაინც გააჩნია. მან იცის, რომ **რაოდენობითი ცვლილებანი** თანდათან გროვდებიან

მიიყვანა რუსო ისეთი საზოგადოების იდეალის შექმნამდე, რომელიც დამყარებულია საყოველთაო თანასწორობასა და ხალხის თვითმპყრობელობაზე. ეს იდეალი საკუთრებით ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთში არსებულ წყობილებას. რუსოს თეორია პრაქტიკულად კონვენტმა განახორციელა; მაშასადამე, ფილოსოფიამ გავლენა იქონია პოლიტიკაზე, ამ უკანასკნელის მეშვეობით-კი ეკონომიაზე (L. C. B. 58).

როგორ მოგწონთ ეს ბრწყინვალე არგუმენტაცია, რომლის სასარგებლოდ ღარიბი ენენეული რესპუბლიკანელის შვილი არისტოკრატული საზოგადოების პროდუქტი აღმოჩნდა? ჩვენ არ შავუდგებით ბ. ბარტის მოსაზრებათა გაბათილებას, რადგან ეს ჩვენი საბუთების განმეორებას მოასწავებდა. მაგრამ როგორ მოვეჭცეთ ბ. კარეევს, რომელიც დასტურს აძლევს ბ. ბარტს? ეჰ, ბ. ვ. ვ., ცუდია თქვენი „ისტორიის პროფესორი“, ღმერთს გეფიცებით, ცუდია! სრულიად უანგაროდ გირჩევთ გამოსახოთ ახალი „პროფესორი“.

და ბოლოს **იწვევენ თვისებითს ცვლილებებს**, და ისიც იცის, რომ თვისებათა ეს ცვლილებანი წარმოადგენენ **ნახტომის, თანდათანობის შეწყვეტის** მომენტებს.

აქ უკვე ჩვენი მოწინააღმდეგენი მოთმინებიდან გამოდიან და წარმოსთქვამენ „თავის სიტყვასა და საქმეს“: ასე ხომ ჰეგელი მსჯელობდაო, გაჰკიეიან ისინი. ასე **იქცევა** მთელი **ბუნება**, ეუპასუხებთ ჩვენ.

ზღაპარი მალე ითქმება, მაგრამ საქმე ასე ადვილად როდი კეთდება. ეს ანდაზა ისტორიის მიმართ ასე უნდა გამოვთქვათ: ზღაპრის მოყოლა ძლიერ ადვილია, მაგრამ საქმე მეტის-მეტად რთულად სრულდება. და მართლაც ძალიან ადვილია იმის თქმა, რომ საწარმოო ძალთა განვითარება სამართლებლივ დაწესებულებათა გადატრიალებას იწვევს! ეს გადატრიალებანი წარმოადგენენ მეტად რთულ პროცესებს, რომლის განმაელობაში საზოგადოების ცალკე წევრთა ინტერესები მრავალნაირად ჯგუფდებიან. ზოგისთვის სასარგებლოა ძველი წესწყობილების გამაგრება,—და ისინი მას იცავენ ყველა საშუალებით, რომელიც-კი დამოკიდებულია მათზე. ზოგისთვის-კი ძველი რეჟიმი მაენებელი და საძულველი გახდა, და ისინი თავს ესხმიან მას მთელი ძალღონით, რაც მათს განკარგულებაშია. ესეც ჯერ კიდევ ცოტაა. ნოვატორების ინტერესები ყოველთვის ერთნაირი როდია: ზოგს ერთი რეფორმა მიაჩნია მნიშვნელოვნად, ზოგს—მეორე. უთანხმოება წარმოიშობა თვით რეფორმატორთა ბანაკში, ბრძოლა რთულდება. და თუმცა, ბ. კარეევის სამართლიანი შენიშვნით, ადამიანი სულისა და სხეულისგან შესდგება, მაინც სრულიად უეჭვო მატერიალური ინტერესებისთვის ბრძოლა აუცილებლად წამოჭრის მებრძოლ მხარეთა წინაშე სრულიად უეჭვო სულიერ საკითხს: **სამართლიანობის შესახებ**. რამდენად უპირდაპირდება მას ძველი წყობილება? რამდენად ეთანხმებიან მას ახალი მოთხოვნილებანი? ეს კითხვები უეჭველად წამოიჭრება მებრძოლთა ცნობიერებაში, თუმცა მებრძოლნი ყოველთვის როდი უწოდებენ სამართლიანობას ნამდვილ მის სახელს; შესაძლოა, მათ განაპიროვნონ იგი ადამიანის ან მხეცის მსგავსი რაიმე ღვთაების სახით. ასე, ბ. კარეევის სურვილის წინააღმდეგ, „სხეული“ ჰბადებს „სულს:“ **ეკონომიური** ბრძოლა წამოჭრის **მორალურ** საკითხებს, „სული“-კი, უახლოესი განხილვის შემდეგ, „სხეული“ აღმოჩნდება; ძველ მორწმუნეთა „**სამართლიანობა**“ ხშირად **ექსპლოატატორთა ინტერესების დამცველად გვევლინება**.

სწორედ ის ხალხი, რომელიც ასეთი საკვირველი გამჭრიახობით მიაწერს მარქსს პოლიტიკის მნიშვნელობის უარყოფას,

ამტკიცებს, თითქოს მარქსი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ადამიანთა ფილოსოფიურს, ესთეტიურს, ზნეობრივს წარმოდგენებს, და ყოველთვის და ყოველგან მარტოოდენ „ეკონომიურს“ ამჩნევდა. ეს არაბუნებრივი ლაყბობაა, შჩედრინის ენით რომ ვთქვათ. მარქსი არ უარჰყოფდა ყველა ამ ცნებათა „მნიშვნელობას,“ იგი მხოლოდ მათ გენეზისს ხსნიდა.

„რა არის ელექტრობა?“—მოძრაობის ერთ-ერთი სახე. რა არის სითბო?—მოძრაობის ერთ-ერთი სახე. რა არის სინათლე? მოძრაობის ერთ-ერთი სახე. აჰა, ხედავთ საქმე რაში ყოფილა! მაშასადამე, თქვენ არავითარ მნიშვნელობას არ აძლევთ არც სინათლეს, არც სითბოს და არც ელექტრობას! თქვენთვის ყველაფერი მარტოოდენ მოძრაობაა; ეს ცნებათა მეტის-მეტი ცალმხრივობა, მეტის-მეტი სივიწროეა! სწორედ მასე, სწორედ სივიწროვე, ბატონებო! თქვენ დიდებულად გაიგეთ აზრი მოძღვრებისა ენერგიის გარდაქმნის შესახებ.

საწარმოო ძალთა განვითარების ყოველი განსაზღვრული საფეხური აუცილებლად იწვევს **ადამიანთა გარკვეულ დაჯგუფებას** საზოგადოებრივ საწარმოო პროცესში, ე. ი. **გარკვეულ საწარმოო ურთიერთობას**, ე. ი. **მთელი საზოგადოების გარკვეულ სტრუქტურას.** მაგრამ რაკი მოცემულია საზოგადოების სტრუქტურა, ცხადია, რომ მისი გავლენა თავს იჩენს ადამიანთა მთელს ფსიქოლოგიაში, ყველა მათ ზნე-ჩვეულებაში გრძნობებში, შეხედულებებში, მისწრაფებებსა და იდეალებში. ზნე-ჩვეულებანი, შეხედულებანი, მისწრაფებანი და იდეალები აუცილებლად უნდა შეეგუონ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ხასიათს, **საზრდოს მოპოების წესს** (პეშელის გამოთქმით). **საზოგადოების ფსიქოლოგია ყოველთვის მიზანშეწონილია მის ეკონომიასთან, ყოველთვის შეესაბამება მას, ყოველთვის განისაზღვრება იმით.** აქ იგივე მოვლენა მეორდება, რომელსაც ჯერ კიდევ ბერძენი ფილოსოფოსები ამჩნევდენ ბუნებაში: მიზანშეწონილება იმარჯვებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მიზანშეუწონელი მთელი თავისი ხასიათით განწირულია დაღუპვისათვის. უწყობს თუ არა ხელს საზოგადოებას არსებობისათვის ბრძოლის დროს მისი ფსიქოლოგიის შეგუება მის ეკონომიასთან, ცხოვრების პირობებთ ნ? დიდად უწყობს ხელს, იმიტომ რომ ჩვეულებანი და შეხედულებანი, რომელნიც არ შეესაბამებიან მის ეკონომიას და ეწინააღმდეგებიან არსებობის პირობებს, ხელს შეუშლიან მას ამ არსებობის შენარჩუნების დროს. მიზანშეწონილი ფსიქოლოგია ისევე სასარგებლოა საზოგადოებისთვის, როგორც თავის მიზნის შესაფერი ორგანოები სასარგებლოა ორგანიზმისთვის. მაგრამ ამ იმის თქმა, რომ

ცხოველთა ორგანოები უნდა შეეფერებოდეს მათი არსებობის პირობებს, განა იმის თქმას ნიშნავს, რომ ორგანოებს არა აქვს ცხოველისთვის არავითარი მნიშვნელობა? პირიქით, ეს ნიშნავს მისი კოლოსალური, **არსებითი** მნიშვნელობის აღიარებას. მხოლოდ ძალიან სუსტი გონების პატრონთ შეუძლიანთ საქმე სხვაგვარად გაიგონ. აი ასეა, სწორედ ასე, ბატონებო, ფსიქოლოგიის საქმეც. მარქსი აღიარებდა, რომ ფსიქოლოგია ეგუება საზოგადოების ეკონომიას და ამით სცნობდა მის განუზომელ, განსაკუთრებითს მნიშვნელობას.

განსხვავება მარქსსა და, მაგალითად, ბ. კარეევს შორის აქ იმით გამოიხატება, რომ ეს უკანასკნელი, მიუხედავად მისი მიდრეკილებისა „სინთეზისადმი", მაინც წმინდა წყლის დუალისტი რჩება. მას ერთს ადგილას ეკონომია აქვს; მეორე ადგილას—ფსიქოლოგია; ერთ ჯიბეში—სული, მეორეში—სხეული. ამ სუბსტანციებს შორის ზემოქმედებაა, მაგრამ თითოეული მათგანი დამოუკიდებელ არსებობას ეწევა, რომლის წარმოშობა ბურუსითაა მოცული [1]). მარქსის თვალსაზრისი აუქმებს ამ დუალიზმს. ჩისი აზრით **საზოგადოების ეკონომია** და **მისი ფსიქოლოგია** ორი მხარეა ერთისა და იმავე მოვლენის, ადამიანთა „სიცოცხლის წარმოების", არსებობისათვის ბრძოლის, რომელშიც ისინი, საწარმოო ძალთა არსებული მდგომარეობის მიხედვით, განსაზღვრული სახით ჯგუფდებიან. არსებობისთვის ბრძოლა ჰქმნის მათ **ეკონომიას**; მისივე საფუძველზე წარმოიშობა მათი **ფსიქოლოგიაც**. ეკონომია თვით არის წარმოებული რამ ისე, როგორც ფსიქოლოგია. სწორედ ამიტომ **იცვლება** პროგრესის გზაზე მდგომი საზოგადოების ეკონომია: საწარმოო ძალთა ახალი მდგომარეობა იწვევს ახალ ეკონომიურ სტრუქტურას ისე, როგორც ახალ ფსიქოლოგიას და „ეპოქის ახალს სულს". აქედან ჩანს, რომ მხოლოდ პოპულიარულ ბაასში თუ შეიძლება ვილაპარაკოთ ეკონომიაზე, როგორც ყველა საზოგადოებრივ მოვლენის **პირვანდელ მიზეზზე**. ეკონომიური სტრუქტურა თვით არის საწარმოო ძალთა შედეგი, „ფუნქცია".

ეხლა მოვიყვანთ იმ ადგილებს, რომელიც მკითხველს სხოლიოში დავპირდით. „სხეულსაც და სულსაც თავისი მოთხოვნი-

---

[1]) არ იფიქროთ, თითქოს ჩვენ ცილს ვსწამებდეთ პატივცემულ პროფესორს. მას დიდი ხოტბა-შესხმით მოჰყავს ბარტის აზრი, რომლის მიხედვითაც „სამართალი ეწევა განცალკევებულს, თუმცა არა დამოუკიდებელ არსებობას." აი სწორედ ეს განცალკევებულობა, თუმცა არა დამოუკიდებლობა ხელს უშლის ბ. კარეევს შეიცნოს „ისტორიული პროცესის არსი." თუ, სახელდობრ, როგორ უშლის, ამის შესახებ ტ ე ქ ს ტ შ ი იქნება მოყვანილი ადგილები.

ლებანი აქვს, რომელნიც მიისწრაფიან დაკმაყოფილებისაკენ და აყენებენ ცალკე პიროვნებას სხვადასხვა ურთიერთობაში გარეგუნებასა და ადამიანებთან!.. ამიტომ ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან, პიროვნების ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილების მიხედვით, იწვევს, ერთის მხრით, პიროვნების მატერიალური არსებობის უზრუნველყოფისაკენ მიმართულ სხვადასხვაგარ საქმიანობას, მეორე მხრით—ჰქნის მთელს გონებრივ და მორალურ კულტურას"..: ადამიანის მატერიალისტური დამოკიდებულება ბუნებასთან სხეულის მოთხოვნილებებში, მატერიის თვისებებში ძარხია. სხეულის მოთხოვნილებებში უნდა ვეძიოთ „მონადირეობის, მეჯოგეობის, მიწათმოქმედების, დამუშავებითი მრეწველობის, ვაჭრობისა და ფულადი ოპერაციების მიზეზები". საღი მსჯელობის მიხედვით ეს, რასაკვირველია, ასეა; მართლაც, ჩვენ რომ სხეული არ გვქონოდა, რად დაგვჭირდებოდა პირუტყვი, მხეცები, მიწა და მანქანა, ვაჭრობა და ოქრო? მაგრამ, მეორეს მხრით, ესეც უნდა ვთქვათ: რა არის სხეული უსულოდ? მხოლოდ მატერია, მაგრამ მატერია ხომ მკდარია. მას ხომ არაფრის შექმნა არ შეუძლია, თუ თავისი მხრით სულისა და სხეულისგან არ შესდგება. მაშასადამე, მატერია იჭერს მხეცებს, აშინაურებს ცხოველებს, ამუშავებს მიწას, ვაჭრობს, ბანკში საქმიანობს არა თავის ჭკუით, არამედ სულის კარნახით. მაშასადამე, სულში უნდა ვეძიოთ ბუნებასთან ადამიანის მატერიალისტური დამოკიდებულების წარმოშობის მიზეზი. ამრიგად, სულსაც ორმხრივი მოთხოვნილება აქვს; მაშასადამე, ისიც სხეულისა და სულისგან შესდგება, ეს კი რაღაც სრული უმსგავსოებაა. ეს კიდევ ცოტაა. უნებლიეთ მებადება აზრი აი კიდევ რის შესახებ. ბ. კარეევის მიხედვით გამოდის, რომ სხეულის მოთხოვნილებათა საფუძველზე აღმოცენდება ადამიანის მატერიალისტური დამოკიდებულება ბუნებასთან. მაგრამ, განა სწორია ეს? განა მარტო ბუნებასთან? იქნებ ბ. კარეევს ახსოვს, თუ როგორ სწყევლიდა აბატი გიბერი ფეოდალური უღლისგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქალაქის თემებს, ამ „საძაგელ" დაწესებულებებს, რომელთა არსებობის თითქოს ერთად-ერთ მიზანს შეადგენ- და სამართლიან ფეოდალურ ბეგარათა თავიდან აცილება. რა ლაპარაკობდა აბატ გიბერში: „სხეული" თუ „სული". თუ კი „სხეული", მაშინ კიდევ ვიტყვით: მაშასადამე, ისიც „სულისა" და „სხეულისაგან" შესდგება; თუ „სული" —მაშასადამე, ესეც „სულისა" და „სხეულისგან" შესდგება, რადგან იგი ჩვენ მიერ აღებულ შემთხვევაში თითქმის არ ამეღავნებს იმ უანგარო დამოკიდებულებას მოვლენებისადმი, რომელიც ბ. კარეევის სიტყვით, „სულის" დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს.

აი აქ გაერკვიეთ, თუ შეგსწეთ ძალა! შესაძლებელია ბ. კარეევმა თქვას, რომ აბატ გიბერში არსებითად სული ლაპარაკობდა, მაგრამ სხეულის კარნახითო და სწორედ ამ.სვე აქვს ადგილი მონადირეობის, ვაჭრობის და სხვ... დროსო. მაგრამ, ჯერ ერთი, სხეულმა რომ კარნაკი შესძლოს, იგი თავისი მხრით კიდევ სხეულისა და სულისგან უნდა მესდგებოდეს; მეორე—ვულგარულ მატერიალისტს შეუძლია შეგვნიშნოს: აი, ხომ ლაპარაკობს სული სხეულის კარნახით, მაშასადამე ის გარემოება, რომ ადამიანი სულისა და სხეულისგან შესდგება, ჯერ კიდევ არაფრის თავდებია: შე აძლოა, რომ მთელ ისტორიაში სული მხოლოდ სხეულის კარნახით ლაპარაკობდაო. ბ. კარეევს, რასაკვირველია, აღაშფოთებს ასეთი მსჯელობა და შეუდგება ვულგარული მატერიალისტის გაბათილებას. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ გაიმარჯვებს პატივცემული პროფესორი, მაგრამ ამ ბრძოლაში მას განა დიდ სანსახურს გაუწევს ის უდავო გარემოება, რომ ადამიანი სხეულისა და სულისგან შესდგება?

ესეც ჯერ კიდევ ცოტაა. ბ. კარეევი სწერს, ოომ პიროვნების სულიერი მოთხოვნილების ნიადაგზე აღმოცენდება: „მითოლოგია და რელიგია... ლიტერატურა და მხატვრობა“ და საზოგადოდ „თეორიული დამოკიდებულება გარემყარისადმი (თავის თავისადმიც). არსისა და შემეცნების საკითხებისადმი სწორედ ისე, როგორც გარე მოვლენათა (აგრეთვე თავის საკუთარი აზრებისაც) უანგარო შემოქმედებითი ასახვა. ჩვენ დავუჯერეთ ბ. კარეევს. მაგრამ... ჩვენ გვყავს ერთი ნაცნობი სტუდენტი—ტეხნოლოგი, რომელიც გაცხარებით სწავლობს დამუშავებითი მრეწველობის ტეხნიკას, „თეორიულ“ დამოკიდებულებას ბ. პროფესორის მიერ ჩამოთვლილი საგნებისადმი კი არ იჩენს. ჩვენ დაგვებადა კითხვა: ხომ არ შესდგება ჩვენი მეგობარი მარტო სხეულისგან? ვთხოვთ ბ. კარეევს რაც შეძლებ ჩქარა მოუღოს ბოლო ჩვენ მტანჯველს და ახალგაზრდა, მეტის მეტად ნიჭიერი, ტეხნოლოგისთვის შეურაცხყოფელ ეპვებს!

თუ ბ. კარეევის მსჯელობას რაიმე აზრი აქვს. მხოლოდ შემდეგი: ადამიანს აქვს როგორც მაღალი, ისე დაბალი რიგის მოთხოვნილებები; აქვს, როგორც ეგოისტური, ისე ალტრუისტული გრძნობები. ეს სრულიად უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ იგი სრულიად არ გამოდგება „ისტორიოსოფიის“ საფუძვლად. ადამიანის ბუნების შესახებ უშინაარსო და გაცვეთილ მსჯელობას ის ვერ სცილდება: იგი სწორედ ასეთი მსჯელობაა და მეტი არაფერი.

სანამ ჩვენ ბ. კარეევს ვებაასებოდით, ჩვენმა გამჭრიახმა კრიტიკოსებმა უკვე მოასწრეს დავეჭირეთ ჩვენ წინააღმდეგობა-

ში თავის თავთან და, რაც მთავარია, მარქსთან. ჩვენ ვთქვით, რომ ეკონომია არ არის საზოგადოებრივ მოვლენათა პირველადელი მიზეზი, და იმავე დროს ვამტკიცებთ, რომ საზოგადოების ფსიქოლოგია ეგუება მის ეკონომიას,—პირველი წინააღმდეგობა. ჩვენ ვამბობთ, რომ საზოგადოების ეკონომია და ფსიქოლოგია ერთისა და იმავე მოვლენის ორი მხარეა, მაშინ როცა თვით მარქსი გვასწავლის, ეკონომია არის რეალური საფუძველი, რომელზეც აღიმართება იდეოლოგიური ზედნაშენიო,—მეორე წინააღმდეგობა, ჩვენთვის მით უფრო საკვალალო, რომ ამით ვსცილდებით იმ ადამიანს, რომლის თვალსაზრისის გადმოცემა ჩვენ ვიკისრეთ. გამოვარკვიოთ საქმის ვითარება.

რომ საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის ძირითადი მიზეზი საწარმოო ძალთა განვითარებაა—ამას ჩვენ მარქსთან ერთად სიტყვა-სიტყვით ვამბობთ, ასე რომ აქ არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს. მაშასადამე, თუ სადმეა წინააღმდეგობა, ეს მხოლოდ საზოგადოების ეკონომიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხში. ვნახოთ.

მკითხველს ვთხოვთ მოიგონოს, თუ როგორ წარმოიშობა კერძო საკუთრება. საწარმოო ძალთა განვითარება ისეთ ურთიერთობას ამყარებს ადამიანთა შორის, რომლის დროსაც ზოგი საგნის პირადი მითვისება უფრო სასარგებლოა საწარმოო პროცესისათვის. ამის შესაბამად იცვლება პირველყოფილი ადამიანის სამართლებლივი წარმოდგენები. საზოგადოების **ფსიქოლოგია** ეგუება მის **ეკონომიას**. განსაზღვრულ **ეკონომიურ საფუძველზე** აუცილებლად აღიმართება მისი შესაფერი **იდეოლოგიური ზედნაშენი**. მაგრამ, მეორეს მხრით, საწარმოო ძალთა განვითარების ყოველი ახალი ნაბიჯი ჰქმნის ცხოვრების პრაქტიკის ახალ ურთიერთობას ადამიანთა შორის, რომელიც არ შეესაბამება უკვე დრომოჭმულ საწარმოო დამოკიდებულებებს. ეს ახალი უჩვეულო ურთიერთობა გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქოლოგიაზე და ძლიერ სცვლის მას. რა მიმართულებით? საზოგადოების ზოგი წევრი იცავს ძველ წესებს, ეს—კონსერვატორი ხალხია. ზოგი—ის, რომლისათვისაც მავნებელია ძველი წყობილება, ემხრობა წინსვლითი მოძრაობას; მათი ფსიქოლოგია იმ **საწარმოო ურთიერთობათა მიმართულებით** იცვლება, **რომელიც ერთდროს ძველ, დრომოჭმულ ეკონომიურ ურთიერთობათა ადგილს დაიპყრობ.** როგორც ხედავთ, ეკონომიასთან ფსიქოლოგიის შეგუება გრძელდე

ბა, მაგრამ თანდათანობითი ფსიქოლოგიური. ევოლიუცია **წინ უსწრებს** ეკონომიურ რევოლიუციას [1]).

ამ რევოლიუციის შემდეგ მყისვე მყარდება სრული შესაბამობა საზოგადოების ეკონომიასა და ფსიქოლოგიას შორის. მაშინ ახალი ეკონომიის საფუძველზე საბოლოოდ ყალიბდება ახალი ფსიქოლოგია. რამდენიძე ხნის განმავლობაში ეს შესაბამობა დაურღვეველი რჩება: იგი სულ უფრო და უფრო მტკიცდება კიდეც. მაგრამ თანდათან თავს იჩენს ახალი უთანხმოება: მოწინავე კლასის ფსიქოლოგია ზემოდ აღნიშნული მიზეზის გამო, ისევ უკან სტოვებს ძველ საწარმოო ურთიერთობას. იგი განუწყეტლივ განაგრძობს ეკონომიასთან შეგუებას: ის ეგუება **ახალ** საწარმოო ურთიერთობას, რომელიც მომავლის ეკონომიის ჩანასახს წარმოადგენს. განა ეს ერთისა და იმავე პროცესის ორი მხარე არ არის?

ამდენხანს ჩვენ მარქსის აზრის საილუსტრაციოდ მაგალითები უმთავრესად ქონებრივი სამართლის სფეროდან მოგვყავდა. ეს სამართალი, რასაკვირველია, იგივე იდეოლოგიაა, მაგრამ იდეოლოგია პირველის, ასე ვთქვათ, დაბალი რიგის. როგორ უნდა გავიგოთ მარქსის შეხედულება უმაღლესი რიგის იდეოლოგიაზე: მეცნიერებაზე, ფილოსოფიაზე, ხელოვნებაზე და სხვ...?

ამ იდეოლოგიათა განვითარების დროს ეკონომია წარმოადგენს საფუძველს იმ აზრით, რომ საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს კეთილდღეობის განსაზღვრულ საფეხურს იმისთვის, რათა გამოჰყოს თავისი წრიდან ადამიანთა განსაზღვრული ფენა, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს მხოლოდ-და-მხოლოდ მეცნიერულსა და სხვა ამის მსგავს მუშაობას შესწირავს. შემდეგ, **პლატონისა** და **პლუტარქის** ზემომოყვანილი შეხედულება ცხადჰყოფს, რომ თვით გონებრივი მუშაობის **მიმართულება** საზოგადოებაში განისაზღვრება **ამ საზოგადოების საწარმოო ურთიერთობით.** მეცნიერებათა შესახებ ჯერ კიდევ ვიკო ამბობდა, რომ ისინი საზოგადოებრივი მოთხოვნილებიდან აღმოცენდებიანო. ისეთი მეცნიერების მიმართ, როგორიც პოლიტიკური ეკონომიაა, ეს ყველასათვის ცხადია, ვინც კი ამ მეცნიერების ი ტორიას ოდნავ მაინც იცნობს. გრაფმა პეკიომ სამართლიანად შენიშნა, რომ პოლიტიკური ეკონომია განსაკუთრებით ამტკიცებს იმ წესს, რომ პრაქტი-

---

[1])არსებითად, ეს იგივე ფსიქოლოგიური პროცესია, რასაც ამჟამად ევროპიული პროლეტარიატი განიცდის: მიაი ფსიქოლოგია უკვე ეგუება ახალს, სამერმისო საწარმოო ურთიერთობას.

კა ყოველთვის და ყოველგან წინ უსწრებს მეცნიერებას [1]). რასაკვირველია, ამის გაგებაც შეიძლება ძალიან განყენებულად. შეიძლება ითქვას: „თავისთავად ცხადია, მეცნიერებისთვის საჭიროა ცდა, რაც მეტია ეს უკანასკნელი, მით უფრო სრულქმნილია მეცნიერება". მაგრამ საქმე ეს კი არ არის. შეადარეთ არისტოტელის და ქსენოფონტის შეხედულებანი ადამ სმითისა და რიკარდოს შეხედულებებს და თქვენ დაინახავთ, რომ ძველი საბერძნეთის და ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიურ მეცნიერებას შორის არსებობს არა მარტო **რაოდენობითი**, არამედ **თვისებითი** განსხვავებაც: სულ სხვა თვალსაზრისი, სულ სხვა დამოკიდებულება საგნისადმი. რით აიხსნება ეს განსხვავება? სწორედ იმით, რომ **შეიცვალა თვით მოვლენები**: ბურჟუაზიული საზოგადოების და ანტიური ქვეყნის საწარმოო ურთიერთობანი ერთმანეთს არ გვანან. სხვა და სხვა საწარმოო ურთიერთობა იწვევს სხვა და სხვა თვალსაზრისს მეცნიერებაში. ეს ცოტაა. შეადარეთ რიკარდოს თვალსაზრისი ვიღაც ბასტიას თვალსაზრისს და თქვენ დაინახავთ, რომ ისინი სხვადასხვანაირად უყურებენ საწარმოო ურთიერთობას,—რომელიც, არსებითად, თავისი ზოგადი **ხასიათით** უცვლელი დარჩა,—**ბურჟუაზიულ** საწარმოო ურთიერთობას. რატომ მოხდა ეს ასე? იმიტომ, რომ რიკარდოს დროს ეს ურთიერთობანი ჯერ კიდევ აყვავების ხანას განიცდიდენ, ჯერ კიდევ მტკიცდებოდენ. ბასტიას დროს-კი ისინი დაღუპვის გზაზე იდგენ. ერთისა და იმავე საწარმოო ურთიერთობის სხვადასხვა მდგომარეობას აუცილებლად უნდა ეპოვნა თავისი გამოხატულება იმ ადამიანთა შეხედულებებში, რომელნიც მას (ურთიერთობას) იცავდენ.

ანდა ავიღოთ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება. როგორ და რატომ ვითარდებოდა მისი თეორია? „სახელმწიფო სამართლის მეცნიერული დამუშავებაო,—ამბობს პროფესორი გუმპლოვიჩი,—იწყება მხოლოდ იქ, სადაც გაბატონებული კლასები ერთი-მეორეს ეჯახებიან თითოეული მათგანის კუთვნილი ხელისუფლების სფეროს გა

---

[1]) Quand'essa cominciava appena a nascere nel diciasetteisimo secolo, alcune nazione avevano già da piu secolo fiorito colla lora sola esperianza, da cui poscia la scienza ricavo i suoi detta mi. Storia della Economia publica in Italia etc. Lugano, 1829, გვ. 11.

ჯ. ს. მილი იმეორებს: „In every department of human affairs, Practice long precedes science... The conception, accordingly of political Economy as a branch of acience, is extremely modern; but the subjelct whith wich ist inguiries are couversant has in all ades necessarily constituted one of the chiet practical interests of mankind". Ptinciples of political Economy. London, 1843, t. I, p. 1.

მო. მაგალითად, პირველი დიდი პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც ვეწნ ვხედებით ევროპის საშუალო საუკუნეების მეორე ნახევარში, ბრძოლა საეროსა და სასულიერო ხელისუფლებას შორის, ბრძოლა იმპერატორსა და პაპს შორის აძლევს პირველ ბიძგს გერმანულ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების განვითარებას. მეორე სადავო პოლიტიკური საკითხი, რომელმაც გაბატონებული კლასების წრეში გაორება შეიტანა და ბიძგი მი ცა სახელმწიფო სამართლის შესაბამი ნაწილის პუბლიცისტურ დამუშავებას, იყო იმპერატორის არჩევის საკითხი [1]) და სხვ...

რა არის კლასების ურთიერთი დამოკიდებულება? ეს, პირველ ყოვლისა, სწორედ ის ურთიერთობაა, რომელიც იქმნება ადამიანთა შორის საზოგადოების საწარმოო პროცესში: **საწარმოო ურთიერთობა.** ეს ურთიერთობა თავის გამოხატულებას ჰპოულობს საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაში და ეს ადასხვა კლასს შორის პოლიტიკურ ბრძოლაში; ეს ბრძოლა-კი ხელს უწყობს სხვადასხვა **პოლიტიკური თეორიის** აღმოცენებასა და განვითარებას: ეკონომიურ საფუძველზე აუცილებლად აღმოცენდება მისი შესაფერი იდეოლოგიური ზედნაშენი.

მაგრამ ყველა ეს იდეოლოგია, თუ პირველის არა, ყოველ შემთხვევაში, არც სრულიად მაღალი რიგისაა. როგორ არის, მაგალითად, ფილოსოფიის, ხელოვნების საქმე? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ჩვენ ცოტა უკან უნდა დავიხიოთ.

ჰელვეციუსი იმ დებულებას ემყარებოდა, რომ l'homme n'est que sensibilité. ამ თვალსაზრისით ცხადია, რომ ადამიანი ყოველთვის ეცდება თავიდან აიცილოს უსიამოვნო და მიიღოს სასიამოვნო შეგრძნებები. ეს შეგრძნები მატერიის აუცილებელი, ბუნებრივი ეგოიზმია. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორ ებადება ადამიანს სრულიად უანგარო მისწრაფებანი: ქეშმარიტების სიყვარული, თავგანწირულობა? ასეთი იყო ის ამოცანა, რომელიც უნდა გადაეჭრა ჰელვეციუსს. ჰელვეციუსმა ვერ შეძლო მისი გადაჭრა და სიძნელისგან თავის დასაღწევად მან წაშალა სწორედ ის X, ის უცნობი ოდენობა, რომლის გამორკვევაც მან ი ისრა. იგი ამბობდა: არ არის არც ერთი მეცნიერი, რომელსაც ქეშმარიტება უანგაროდ უყვარდეს; ყოველი ადამიანი ხედავს მასში მხოლოდ გზას დიდებისაკენ; დიდებაში-კი—გზას ფულისაკენ; ფულში-კი—სასიამოვნო ფიზიკურ შეგრძნებათა მისაღებ საშუალებას, მაგალითად, გემრიელი საჭმელის ან belles esclaves-ის შე-

---

[1]) Rechtsstaat und Socialismus, Innsbruck, 1881, გვ. გვ. 124—125.

საძენად. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად მართებულია ასეთი ახსნა. ამით ფრანგულმა **მეტაფიზიკურმა** მატერიალიზმმა გამოიჩინა უკვე ჩვენ მიერ ზემოდ აღნიშნული უძლურება **განვითარების საკითხების** გადაჭოის საქმეში.

თანამედროვე **დიალექტიკური** მატერიალიზმის მამამთავარს აწერენ ისეთ შეხედულებას ადამიანის აზროვნების ისტორიაზე, რომელიც სხვა არაფერია, გარდა ჰელვეციუსის მეტაფიზიკური მსჯელობის გაგრძელებისა. მარქსის შეხედულება, მაგალითად, ფილოსოფიის ისტორიაზე ხშირად დაახლოებით ასე ესმით: როცა კანტი ამუშავებდა ტრანსცენდენტალი ესთეტიკის საკითხებს, როცა იგი ლაპარაკობდა განსჯის კატეგორიებზე, ან გონების ანტინომიებზე, ეს მხოლოდ ფრაზები იყო: ნამდვილად მას სრულიად არ აინტერესებდა არც ესთეტიკა, არც კატეგორიები და არც ანტინომიები; მას მხოლოდ ერთი რამ ესაჭიროებოდა: ნიეწოდებინა იმ კლასისთვის, რომელსაც თითონ ეკუთვნოდა ე. ი. გერმანელ წვრილი ბურჟუაზიისთვის რაც შეიძლება მეტი გემრიელი კერძი და „belles esclaves.“ ამის საუკეთესო საშუალებად მას მიაჩნდა კატეგორიები და ანტინომიები, და აი მიჰყო ხელი მათ „მოშენებას.“

განა საჭიროა მტკიცება იმისა, რომ ეს სრული სისულელეა? როცა მარქსი ამბობს, რომ ესა თუ ის თეორია საზოგადოების ეკონომიური განვითარების ამა და ამ პერიოდს შეესაბამებაო,—მას ამით სრულიად იმის თქმა არ უნდა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში გაბატონებული კლასის მოაზროვნე წარმომადგენელნი თავიანთ შეხედულებებს განზრახ უხამებენ მათ ცოტად თუ ბევრად მდიდარ, ცოტად თუ ბევრად გულუხვ კეთილმყოფელთა ინტერესებს.

თავის თავად ცხადია, სიკოფანტები ყოველთვის და ყოველგან იყვენ, მაგრამ მათი წყალობით არ ვითარდებოდა ადამიანის გონება. ისინი კი, ვინც ნამდვილად ხელს უწყობდა გონების განვითარებას, ზრუნავდენ ჭეშმარიტებაზე და არა ამა ქვეყნის ძლიერთა ინტერესებზე[1]).

„საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე,—ამბობს მარქსი,—არსებობის საზოგადოებრივ პირობებზე აღიმართება სხვადასხვა თავისებური გრძნობების და ილიუზიების, შეხედულებათა და ცნებების მთელი ზედნაშენი. ყველაფერი ეს იქმნება და ყალიბდება მთელი კლასის მიერ მისი არსებობის მატერიალურ პირობებისა და მათ შესა-

---

[1]) ეს ხელს არ უშლიდა მათ ზოგჯერ ამა ქვეყნის ძლიერთა შიში ჰქონოდათ. მაგალითად, კანტი ამბობდა თავს თავზე: ვერავინ მათქვევინებს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ვფიქრობ, მაგრამ ყველაფერს იმასაც ვერ ვიტყვი, რასაც ვფიქრობო.

ფერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხიადაგზე.“ იდეოლოგიური ზედნაშენის წარმოშობის პროცესი მიმდინარეობს **ადამიანთათვის შეუმჩნევლად.** ისინი ამ ზედნაშენს განიხილავენ არა როგორც წარმავალ ურთიერთობათა დროებითს პროდუქტს, არამედ როგორც ბუნებრივსა და თავისი საკუთარი ხასიათით სავალდებულოს. ცალკე პირთ, რომელთა შეხედულებანი და გრძნობები აღზრდისა და საერთოდ გარემომცველი წრის ზეგავლენით მუშავდება, შეუძლიანთ გამსჭვალულნი იყონ სრულიად გულწრფელი, სრულიად **თავგანწირული** დამოკიდებულებით იმ შეხედულებების და საზოგადოების იმ ფორმების მიმართ, რომელნიც ისტორიულად ცოტად თუ ბევრად **ვიწრო კლასობრივ ინტერესთა** საფუძველზე წარმოიშვენ. იგივე ითქმის მთელი პარტიების შესახებაც. 1848 წლის ფრანგი დემოკრატები გამოხატავდენ წვრილი ბურჟუაზიის მისწრაფებებს. წვრილი ბურჟუაზია ბუნებრივად მიისწრაფოდა თავის კლასობრივი ინტერესების დაცვისაკენ, მაგრამ „გონების შეზღუდულობა იქნებოდა გვეფიქრა,—ამბობს მარქსი,—თითქოს წვრილი ბურჟუაზია შეგნებულად მიისწრაფოდეს თავისი ეგოისტური კლასობრივი ინტერესების დაცვისაკენ. პირიქით, იგი ფიქრობს, რომ მისი განთავისუფლების **კერძო** პირობები წარმოადგენს საზოგადო პირობებს, მხოლოდ რომლის დროსაცაა შესაძლო თანამედროვე საზოგადოების გადარჩენა და კლასობრივი ბრძოლის მოსპობა. არ უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი თითქოს მედუქნეები ან მათი თაყვანისმცემელნი იყონ. თავისი განათლებით და პირადი მდგომარეობით ისინი შესაძლებელია ისე შორს იდგენ მედუქნეებისაგან, როგორც ცა დედამიწისგან. წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებად მათ ის გაერემოება ხდის, რომ მათი აზრი არ სცილდება წვრილი ბუჟუაზიის საყოველდღეო ცხოვრების ფარგლებს, და რომ ამიტომ ისინი თეორიაში იმავე ამოცანებს ისახავენ და სწყვეტენ, რომელსაც წვრილი ბურჟუა თავისი მატერიალური ინტერესებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო პრაქტიკულ ცხოვრებაში ისახავს და სწყვეტს. ასეთია ურთიერთობა საზოგადოდ განსაზღვრული კლასის პოლიტიკური და ლიტერატურული წარმომადგენლების, ერთის მხრით, და თვით ამ კლასისა, მეორეს მხრით [1].

---

[1]) ლ ა მ ა რ კ ი ამტკიცებს, რომ ცხოვრების პირობები (Les circonstances) გავლენას ახდენს ცხოველთა ორგანიზაციაზეც, და იქვე აკეთებს შენიშვნას, რომელიც საინტერესოდ იქნება გავიხსენოთ აქ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. „ის, ვინც ჩემ ნათქვამს სიტყვა-სიტყვით გაიგებს,—ამბობს იგი,—ყალბ შეხედულებას მომაწერს. რადგან, როგორიც უნდა იყოს ცხოვრების პირობები,—ისინი ცხო-

ამას ამბობს მარქსი თავის წიგნში ნაპოლეონ III coup d'etat-ის შესახებ. შესაძლოა თავის მეორე თხზულებაში იგი უკეთ არკვევდეს **კლასების** ფსიქოლოგიის დიალექტიკას. ამ თხზულებაში იგი ლაპარაკობს იმ განმათავისუფლებელ როლზე, რომელსაც ასრულებს ზოგჯერ ცალკე კლასი.

„ვერც ერთი კლასი ვერ შესძლებს ამ როლის შესრულებას, თუ დროებით არ გამოიწვია თავისი დამასების ენტუზიაზმი. ამ ხნის განმავლობაში იგი უძმობილდება მთელ საზოგადოებას, მას სცნობენ **საერთო წარმომადგენლად**, მას, როგორც ასეთს, თანაუგრძნობენ. ამ დროის განმავლობაში ამ კლასის ყველა უფლება და მოთხოვნილება მართლაც მთელი საზოგადოების უფლებასა და მოთხოვნილებას წარმოადგენს, თითონ-კი—საზოგადოების თავსა და გულს. მხოლოდ მთელი საზოგადოების უფლებათა სახელით შეუძლია ცალკე კლასს მოითხოვოს თავისი გაბატონება დანარჩენზე. რათა შესაძლებელი გახდეს განმათავისუფლებლის როლის ძალით ხელში ჩაგდება და ამასთან ერთად თავისი საკუთარი სფეროს სასარგებლოდ ყველა საზოგადოებრივი სფეროს პოლიტიკური ექსპლოატატორის როლის იერიშით აღება, ამისათვის არაა საკმარისი მარტო ენერგია და თვითდარწმუნება. რომ ერთი წოდება, ასე ვთქვათ, მთელი საზოგადოების შემცველი გახდეს, ამისათვის საჭიროა, რათა ყველა საზოგადოებრივი სენი თავმოყრილი იყოს სხვა რომელიმე კლასში, საჭიროა, რომ რომელიმე წოდება წარმოადგენდეს ისეთ წოდებას, რომელიც საზოგადო ზიზღს იწვევს, უნდა წარმოადგენდეს განპიროვნებას იმისა, რაც ყველას ავიწროვებს... რომ ერთი წოდება გახდეს განმათავისუფლებელ წოდებად par excellence, საჭიროა სხვა რომელიმე წოდება საერთო შეგნებაში წარმოადგენდეს, პირიქით, დამმონაველებელ წოდებას. საფრანგეთის აზნაურებისა და

ველთა ფორმასა და ორგანიზაციაში არავითარ უშუალო ცვლილებებს არ იწვევენ“, ცხოვრების პირობების საგრძნობ ცვლილებათა გამო ცხოველებს უჩნდებათ ახალი. ძველიდან განსხვავებული მოთხოვნილებები. თუ ეს ახალი მოთხოვნილებები ძლიერ დაფხანს რჩებიან,—ისინი იწვევენ ახალ ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა თ ა წარმოშობას. „მას შემდეგ-კი, რაც ცხოვრების ახალმა პი- ობებმა... ცხოველთა ახალი ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ ი წარმოშვეს, ე. ი. გამოიწვიეს მათი მხრით ახალი მოქმედებანი, რომელნიც ჩვეულებრივ მოქმედებებად იქცენ,—უმჯობესი გახდება ზოგი ორგანოს ვარჯიშობა და ზოგჯერ-კი სრული უმოქმედობა იმ ორგანოებისა, რომელნიც უსარგებლო გახდენ. გაძლიერება ვარჯიშობისა ან უმოქმედობა გავლენას იქონიებს ორგანოთა ა გ ე ბ უ ლ ო ბ ა ზ ე და მაშასადამე, მთელ ორგანიზმზეც. (Lamarque, Philosophie zoologique etc., nouvelle édition par Charles Martin 1873, ტ. I გვ. 223—224).—აი სწორედ ასე უნდა გვესმოდეს ეკონომიურის და მისგან გამომდინარე სხვა მოთ-

სასულიერო წოდების უარყოფითად უნივერსალურმა მნიშვნელობამ გამოიწვია მისი მკაზობელი და მოპირდაპირე, ბურჟუაზიული კლასის დადებითად-უნივერსალური მნიშვნელობა"[1])

ამ წინასწარი ახსნის შემდეგ არ არის ძნელი წარმოვიდგინოთ მარქსის შეხედულება მაღალი რიგის იდეოლოგიაზე, მაგალითად, ფილოსოფიასა და ხელოვნებაზე. მაგრამ მეტი სიცხადისთვის ჩვენ შევადარებთ მას ი. ტენის თვალსაზრისს:

„რომ გავიგოთ რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, რომელიმე არტისტი, არტისტთა რომელიმე ჯგუფი,– ამბობს ეს მწერალი,—საჭიროა ზედმიწევნითი სისწორით წარმოვიდგინოთ მათი ეპოქის აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების საერთო მდგომარეობა. იქ ძევს საბოლოო ახსნა, საბოლოო მიზეზი, რომელიც განსაზღვრავს ყველა დანარჩენს. ეს ჭეშმარიტება მტკიცდება ცდით. მართლაც, თუ კი ჩვენ კვალ-და-კვალ განვიხილავთ ხელოვნების ისტორიის მთავარ ეპოქებს, დავინახავთ, რომ ხელოვნება აღმოცენდება და გაქრება აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების განსაზღვრულ მდგომარეობასთან ერთად, რომელთანაც იგი დაკავშირებულია. მაგალითად, ბერძნული ტრაგედია,—ტრაგედია ესქილის, სოფიკლისა და ევროპიდის,—წარმოიშვა სპარსელებზე ბერძნების გამარჯვებასთან ერთად, ქალაქების მცირე რესპუბლიკების გმირულ ეპოქაში, იმ უდიდესი დაჭიმვის მომენტში, რომლის წყალობითაც მათ თავიანთი დამოუკიდებლობა მოიპოვეს და განათლებულ ქვეყანაზე თავიანთი ჰეგემონია დაამკვიდრეს. ეს ტრაგედია ჰქრება ამ დამოუკიდებლობისა და ენერგიის გაქრობასთან ერთად, როცა ხასიათის დაწვრილმანება და მაკედონიის დაპყრობა აბატონებს უცხოელებს საბერძნეთზე. სწორედ ასევე გოტიური არქიტექტურა ვითარდება მეთერთმეტე საუკუნის ნახევრად აღორძინების ეპოქაში ფეოდალური წყობილე-

---

ხოვნილებების გავლენა ხალხის ფსიქოლოგიაზე. აქ წარმოებს შეგუების ნელი პროცესი ვარჯიშობისა ან უმოქმედობის გამო; „ეკონომიური" მატერიალიზმის ჩვენი მოწინააღმდეგენი-კი ჰფიქრობენ, თითქოს, მარქსის აზრით, ხალხი მისი ახალი მოთხოვნილებების წარმოშობისას მყისვე და განზრახ ასხვაფერებდეს თავის შეხედულებებს. გასაგებია, რომ ისინი ამას სისულელედ თვლიან. მაგრამ ეს სისულელე ხომ თითონვე მათ მოიგონეს: მარქსს ამის მსგავსი არაფერი უთქვამს. საზოგადოდ ამ მოაზროვნეთა საბუთები მოიგონებს ერთი ღვდლის ძლევამოსილ არგუმენტაციას დარვინის წინააღმდეგ: „დარვინი ამბობს გადააგდეთ ქათამი წყალში და მას საცურავი გარსი გამოეზრდებაო. მე კი ვამტკიცებ, რომ ქათამი დაიხრჩობა."

[1]) Deutsch-Franzosische Jahrbücher, Paris, 1844, წერილი „Zur Kriti der Hegelschen Rechtsphilosophie, Einleitung", გვ. 82.

ბის საბოლოო დამყარებასთან ერთად, იმ დროს, როცა ნორმანების და ყაჩაღების თავდასხმისაგან განთავისუფლებული საზოგადოება მკვიდრდება უფრო მტკიცედ. იგი ჰქრება მაშინ, როცა ცოტად თუ ბევრად მსხვილ ბარონთა სამხედრო რეჟიმი იხრწნება XV საუკუნის მიწურულში, ყველა იმ ზნე-ჩვეულებასთან ერთად, რომელიც მისგან გამომდინარეობდა, ახალი დროის მონარქიათა წარმოშობის გამო. მსგავსად ამისა, ჰოლანდიური ნახატვრობა იფუჩქნება იმ სახელოვან მომენტში, როცა თავისი შეუპოვრობისა და სიმამაცის წყალობით, ჰოლანდია საბოლოოდ იცილებს ესპანეთის უღელს, წარმატებით ებრძვის ინგლისს, ხდება ყველაზე უფრო მდიდარი, სამრეწველო და აყვავებული სახელმწიფო ევროპაში; იგი განიცდის დეკადანსს XVIII საუკუნის დასაწყისში, როცა მეორე ხარისხოვან ადგილს იკავებს, პირველობას ინგლისი უთმობს და ხდება უბრალო ბანკი, მშვიდობიანი და კეთილმოწყობილი საეკლესიო სახლი, სადაც ადამიანს შეუძლია გაატაროს გონიერი ბურჟუას მშვიდი ცხოვრება, რომელსაც არ აწუხებს პატივმოყვარე განზრახვები და ღრმა განცდები. ბოლოს, მსგავსად ამისა, ფლანგული ტრაგედიაც ჩნდება მაშინ, როცა ლიუდოვიკო XIV დროს, მტკიცედ დამკვიდრებულ მონარქიას თან მოაქვს ეტიკეტის ბატონობა, სასახლის ცხოვრება, ბრწყინვალება და ელეგანტობა კარის არისტოკრატიისა. ეს ტრაგედია ჰქრება, როცა რევოლიუცია აუქმებს აზნაურობას და სასახლის ზნე ჩვეულებებს.. როგორც ნატურალის ტები სწავლობენ ფიზიკურ ტემპერატურას, რათა გაიგონ ამა თუ იმ მცენარის: შვრიის თუ სიმინდის, ფიჭვის თუ ალოს ხეს ალმოცენება, სწორედ ასევე საჭიროა შევისწავლოთ მორალური ტემპერატურა, რათა ავხსნათ ამა თუ იმ სახის ხელოვნების გაჩენა: წარმართული სკულპტურის ან რენესანსული მატევრობის, მისტიკური არქიტექტურის ან კლასიკური ლიტერატურის, საავხორცო მუსიკის ან იდეალისტური პოეზიის. ადამიანის სულის შემოქმედება ისე, როგორც ცოცხალი ბუნების შემოქმედება მხოლოდ მათი გარემომცველი წრით აიხსნება"[1])

ყველაფერს ამას სავსებით დაეთანხმება მარქსის ყოველი მიმდევარი: დიახ, სწორედ ყოველი მხატვრული შემოქმედება ისე, როგორც ყოველი ფილოსოფიური სისტემა შეიძლება აიხსნას განსაზღვრული ეპოქის აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების მდგომარეობით. მაგრამ რით აიხსნება ეს უკანასკნელი? მარქსის მიმდევრები ფიქრობენ, ოომ იგი აიხსნება საზოგადოებრივი წყობილებით, სოციალური წრის თვი-

---

[1]) Philosophie de l'art deuxieme édition. Paris, 1872. გვ. გვ.13—17.

სებებით. „ადამიანის მდგომარეობის ყოველი ცვლილება იწვევს მისი ფსიქიკის შესაბამ ცვლილებას“[1]), ამბობს იგივე ტენი. და ეს მართალია. მხოლოდ კითხვა ისმება, რა იწვევს საზოგადოებრივი ადამიანის მდგომარეობის, ე. ი. საზოგადოებრივი წყობილების ცვლილებას? მხოლოდ ამ კითხვაში სცილდებიან „ეკონომიური მატერიალისტები“ ტენს.

ტენისთვის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ამოცანა საბოლოოდ **„ფსიქოლოგიური ამოცანაა“**. მისი აზრით აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების მდგომარეობა ჰქმნის არა მარტო ხელოვნების სხვადასხვა სახეს, ლიტერატურისა და ფილოსოფიის, არამედ ხალხის **მრეწველობას** და ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებასაც. ეს-კი იმას ნიშნავს, რომ სოციალური წრის საბოლოო მიზეზი არის „აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების მდგომარეობა“.

ამრიგად გამოდის, რომ საზოგადოებრივი ადამიანის **ფსიქიკა** განისაზღვრება მისი **მდგომარეობით**, მისი **მდგომარეობა-კი ფსიქიკით**. ეს ჩვენთვის უკვე ცნობილი ანტინომიაა, რომელსაც ვერ დაახწიეს თავი XVIII საუკუნის განმანათლებლებმა. ვერც ტენმა შესძლო ამ ანტინომიის გადაჭრა. მან მხოლოდ მთელ რიგ შესანიშნავ თხზულებებში მრავალი ბრწყინვალე ილიუსტრაცია მოგვცა ამ ანტინომიის პირველი დებულებისა: **აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების მდგომარეობა სოციალური წრით განისაზღვრება.**

ტენის ფრანგი თანამედროვენი, რომელნიც უარჰყოფდენ მის ესთეტიურ თეორიას, იცავდენ **ანტითეზისს: სოციალური წრის თვისებები განისაზღვრება აზროვნებისა და ზნე-ჩვეულების მდგომარეობით.**[2]) მსგავსი დავა შესაძლებელია გაგრძელდეს მეორედმოსვლამდე ისე, რომ არა თუ დავსძლიოთ საბედისწერო ანტინომია, არამედ ვერც-კი შევამჩნიოთ მისი არსებობა.

მხოლოდ მარქსის ისტორიული თეორია ახერხებს ამ ანტინო-

---

[1]) Philosophie de l'art dans es Pays-Bas. Paris. 1869. გვ. 96.

[2]) Nous subissons l'influence du milieu politique ou historique, nous subissons l'intluence du milieu social, nous subissons aussi l'intluence du milieu phisique. Mais il ne faut pas oublier que si nous la subissons, nous pouvons pourtant aussi lui resister et vous savez sans doute qu'il y en a de mèmorables exemples... Si nous subissons l'influence du milieu, un pouvoir que nous àvons aussi, c'est de ne pas nous laisser faire, ou pour dire enkore quelque chose de plus,

მიის გადაჭრას და ამით სრულიად ბოლოს უღებს დავას ან ყოველ შემთხვევაში, მის საბოლოოდ გადაჭრის საშუალებას აძლევს იმ ხალხს, რომელსაც სმენა და გონება აქვს.

სოციალური წრის თვისებები განისაზღვრება საწარმოო ძალთა მდგომარეობით ყოველ განსაზღვრულ დროს. რაკი მოცემულია საწარმოო ძალთა მდგომარეობა, ამით მოცემულია აგრეთვე სოციალური წრის თვისებებიც, მოცემულია მისი შესაფერი ფსიქოლოგია, მოცემულია აგრეთვე ურთიერთ ზემოქმედება წრისა, ერთის მხრით, და აზროვნების და ზნე ჩვეულების მეორეს მხრით. ბრიუნეტიერი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ ჩვენ არა მარტო ვეგუებით წრეს, არამედ, პირიქითაც. ვახერხებთ ისიც შეეუგუოთ ჩვენს მოთხოვნილებებსო. თქვენ იკითხავთ, როგორ ჩნდებიან მოთხოვნილებანი, რომელნიც ჩვენი გარემომცველი წრის თვისებებს არ შეეფერებიან? ისინი იბადებიან ჩვენში—(როცა ამას ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ადამიანის არა მარტო მატერიალური, არამედ ყველა ეგრეთწოდებული სულიერი მოთხოვნილება) იმავე ისტორიული მოძრაობით, საწარმოო ძალთა იმავე განვითარებით, რომლის გამო ყოველი საზოგადოებრივი წყობილება ადრე თუ გვიან არადამაკმაყოფილებელი, მოძველებული ხდება, მოითხოვს რადიკალურ გარდაქმნას და შეუძლია სრულს მოსპობასაც. ჩვენ უკვე ზემოდ სამართლებლივ დაწესებულებათა მაგალითზე ცხადვყავით, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ადამიანთა ფსიქოლოგიამ წინ გაუსწროს საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სტრიქონების წაკითხვისას ბევრი ჩვენდამი კეთილგანწყობილი მკითხველიც-კი, გაიხსენებს აუარებელ მაგალითს, მრავალ ისტორიულ მოვლენას, რომელთა ახსნა, ერთი შეხედვით, ყოველად შეუძლებელია ჩვენი თვალსაზრისით. მკითხველები უკვე მზად არიან გვითხრან: „თქვენ მართალი ხართ, მაგრამ არა სავსებით; ასევე არა სავსებით მართალია ის ხალხი, რომელიც საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავს. თქვენც და ისინიც მხოლოდ ჭეშმარიტების ნაწილს ხედავთ.“ მაგრამ მოითმინეთ მკითხველო, ნუ ეძებთ შველას ეკლექტიზმში, სანამ არ შეგითვისებიათ ყველაფერი ის, რისი მოცემაც შეუძლია **თანამედროვე მონისტურს, ე. ი. მატერიალისტურ** თვალსაზრისს ისტორიაზე.

ამდენხანს ჩვენი დებულებანი აუცილებლობის გამო ძლიერ განყენებული ხასიათის იყვენ. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით: **განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია**. საჭაროა ჩვენ დებულებებს უფრო კონკრეტული სახე მივსცეთ.

რადგანაც თითქმის ყოველი საზოგადოება განიცდის თავისი მეზობლების გავლენას, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი საზოგადოებისთვის, თავისი მხრით, არსებობს განსაზღვრული სოციალური, ისტორიული წრე, რომელიც გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. გავლენის ჯამი, რომელსაც განიცდის ესა თუ ის საზოგადოება მეზობლების მხრით, არასოდეს არაა თანაბარი იმ გავლენისა, რომელსაც განიცდის ამავე დროს სხვა საზოგადოება. ამიტომ, ყოველი საზოგადოება ცხოვრობს თავის განსაკუთრებულ ისტორიულ წრეში, რომელიც შესაძლებელია ძლიერ წაგავდეს — და ხშირად წაგავს კიდეც — სხვა ხალხის გარემომცველ ისტორიულ წრეს, მაგრამ მათ შორის არასოდეს არ არის და არც შეიძლება იყოს სრული იგივეობა. ამას სხვადასხვაობის მეტის მეტად ძლიერი ელემენტი შეაქვს საზოგადოებრივი განვითარების იმ პროცესში, რომელიც ჩვენი წინანდელი, განყენებული თვალსაზრისით უაღრესად სქემატიურად წარმოგვიდგებოდა.

მაგალითი. საგვარეულო კავშირი წარმოადგენს საზოგადოებრივ ფორმას, რომელიც ახასიათებს ყველა ხალხს თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. მაგრამ ისტორიული წრის გავლენა ძლიერ ასხვადასხვანაირებს სხვადასხვა ტომთა გვარის ბედს. იგი აძლევს თვით გვარს ამა თუ იმ, ასე ვთქვათ, ინდივიდუალურ ხასიათს, იგი აჩქარებს ან ანელებს მის დაღლვევას და განსაკუთრებით ამ დაღლვევის პროცესის დიდ სხვადასხვაობას ჰქმნის. ღლვევის პროცესის სხვადასხვაობა კი იწვევს იმ საზოგადოებრივი ფორმების სხვადასხვაობას, რომელთაც ადგილს უთმობა საგვარეულო წყობილება. ამდენხანს ჩვენ ვამბობდით: საწარმოო ძალთა განვითარებას მივყავ რთ კერძო საკუთრების წარმოშობამდე, პირველყოფილ კომუნიზმის გაქრობამდე ეხლა ჩვენ უნდა ვთქვათ: პირველ-ყოფილი კომუნიზმის ნანგრევებზე წარმოშობილი კერძო საკუთრებაც ხასიათი სხვაფერდება საზოგადოების გარემომცველი ისტორიული წრის ზეგავლენით. „აზიური, განსაკუთრებით ინდიური სათემო საკუთრების ფორმის გულდასმით შესწავლას შეეძლო ნათელეყო, თუ პირველყოფილი საზოგადოების სხვადასხვა ფორმიდან როგორ გამომდინარეობს მისი დაღლვევის სხვადასხვა სახე. მაგალითად, კერძო საკუთრების რომაული და გერმანული ტიპი შეიძლებოდა გამოგვეყვანა ინდიური თემის სხვადასხვა სახიდან“[1])

ამა თუ იმ საზოგადოების გარემომცველი ისტორიული წრის გავლენა თავს იჩენს, რასაკვირველია, მისი (ე. ი. ამ საზოგადოების)

---

[1]) Zur Kritik der politischen Oekonomie. S. 10. Anmerkung.

იდეოლოგიის განვითარებაში. ასუსტებს თუ არა უცხოეთის გავლენა ამ განვითარების დამოკიდებულებას საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურაზე? და თუ ასუსტებს, რამდენად?

შეადარეთ ენეიდა ოდისეას, ან ფრანგული კლასიკური ტრაგედია ბერძნულ კლასიკურ ტრაგედიას. შეადარეთ XVIII საუკუნის რუსული ტრაგედია კლასიკურ ფრანგულ ტრაგედიას. რას შეკამჩნევთ? ენეიდა მხოლოდ ოდისეას მიბაძვაა, ფრანგების კლასიკური ტრაგედია მხოლოდ მიბაძვაა ბერძნული ტრაგედიისა, XVIII საუკუნის რუსული ტრაგედია შექმნილია, თუმცა ულაზათოდ, ფრანგული ტრაგედიის მიხედვით. ყოველგან—მიბაძვა, მაგრამ მიბაძველი სცილდება თავის ნიმუშს მთელი იმ მანძილით, რომელიც არსებობს **მიმბაძველის** საზოგადოებასა და **ნიმუშის** წარმომშობ საზოგადოებას შორის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ **შესრულების** მეტს თუ ნაკლებ სრულქმნილებაზე კი არ ელაპარაკობთ, არამედ იმაზე, რაც მხატვრული ნაწარმოების **სულს** შეადგენს. ვის წააგავს რასინის აქილესი: იმ ბერძენს, რომელიც, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბარბაროსული მდგომარეობიდან გამოვიდა, თუ XVII საუკუნის მარკიზს—„talon rouge"-ს? ენეიდა-ს მოქმედ პირებზე ამბობდენ, რომ ისინი ავგუსტის დროის რომაელებს წარმოადგენენო. მართალია, XVIII საუკუნის რუსული ეგრეთწოდებული ტრაგედიების მომქმედ პირთა შესახებ ძნელია ითქვას, რომ ისინი მაშინდელ რუსებს გამოხატავენ, მაგრამ თვით მათი უვარგისობა რუსეთის საზოგადოების მდგომარეობის დამახასიათებელია. ისინი გვიხატავენ მის **მოუმწიფებლობას.**

კიდევ მაგალითი. ლოკი უეჭველად მე-18 საუკუნის ფრანგ ფილოსოფოსთა დიდი უმრავლესობის მასწავლებელი იყო (ჰელვეციუსი უწოდებს მას ყველა ხალხისა და საუკუნის უდიდეს მეტაფიზიკოსს). და მიუხედავად ამისა, ლოკსა და მის ფრანგ მოწაფეებს ერთმანეთისაგან სწორედ ის მანძილი აცილებს, რომელიც „glorious revolution"-ის დროის ინგლისურ საზოგადოებას აშორებდა ფრანგულ საზოგადოებისაგან, როგორიც ეს უკანასკნელი იყო საფრანგეთის ხალხის „great rebellion"-ის რამოდენიმე ათეული წლის წინედ.

მესამე მაგალითი. მე-40 წლების გერმანეთის „ჭეშმარიტ სოციალისტებს" თავისი იდეები უშუალოდ საფრანგეთიდან შემოქონდათ. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეებს საზღვარზე მაინც ესმებოდა იმ საზოგადოების დაღი, სადაც ისინი უნდა გავრცელებულიყვენ.

ამრიგად, ერთი ქვეყნის ლიტერატურის გავლენა სხვა ქვეყნის ლიტერატურაზე ამ ქვეყნების საზოგადოებრივ ურთიერთობათა მსგავსების პირდაპირ პროპორციულია. ამ გავლენას სრულიადაც არა აქვს ადგილი, როცა მსგავსება მათ შორის ნულს უდრის. მაგალითი: აფრიკის ნეგრებს დღეანდლამდე არ განუცდიათ ოდნავი გავლენა ევროპიული ლიტერატურის. ეს გავლენა ცალმხრივია, როცა ერთ ხალხს თავისი ჩამორჩენილობის გამო არ ძალუძს მისცეს არაფერი მეორეს არც ფორმის და არც შინაარსის მხრით. მაგალითი: წარსული საუკუნის ფრანგული ლიტერატურა გავლენას ახდენდა რუსულ ლიტერატურაზე და არავითარ გავლენას არ განიცდიდა ამ უკანასკნელის მხრით. ბოლოს, ეს გავლენა საურთიერთოა, როცა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრებისა და, მაშასადამე, კულტურული განვითარების მსგავსების გამო ორს, ერთმანეთზე მომქმედ, ქვეყანას შეუძლია რაიმე ისესხოს ერთიმეორისაგან. მაგალითი: ფრანგული ლიტერატურა გავლენას ახდენდა ინგლისურზე და თავისი მხრით განიცდიდა მის გავლენას.

ფსევდო-კლასიკური ინგლისური ლიტერატურა თავის დროზე ძლიერ მოსწონდა ინგლისის არისტოკრატიას. მაგრამ ინგლისელი წანბაძველების შემოქმედება ვერასოდეს ვარ შეედრებოდა ფრანგულ ორიგინალებს. ეს იმიტომ, რომ ინგლისელი არისტოკრატების ვეროვითარი ღონისძიება ვერ გადმოიტანდა ინგლისში იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლის დროსაც გაიფუჩქნა ფრანგული ფსევდო-კლასიკური ლიტერატურა.

ფრანგი ფილოსოფოსები აღტაცებაში მოჰყავდა ლოკის ფილოსოფიას. მაგრამ მათ გაცილებით გაუსწრეს თავის მასწავლებელს. ეს იმიტომ, რომ ის კლასი, რომლის წარმომადგენლებიც ისინი იყვენ საფრანგეთში, გაცილებით წინ წავიდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ვიდრე ინგლისის-საზოგადოების ის კლასი, რომლის მისწრაფებებს გამოხატავდენ ლოკის ფილოსოფიური თხზულებანი.

როცა ჩვენ წინ არის იმ საზოგადოებათა მთელი სისტემა, რომელნიც ძლიერ გავლენას ახდენენ ერთი-მეორეზე—როგორც მაგალითად, ამას ადგილი აქვს ახალი დროის ევროპაში, მაშინ იდეოლოგიის განვითარება თითოეულ მათგანში რთულდება სწორედ ისევე ძლიერად, როგორც ეკონომიური განვითარება—სხვა ქვეყნებთან განუწყვეტელი სავაჭრო ურთიერთობის ზეგავლენით.

მაშინ ჩვენ გვაქვს თითქმის ერთი, მთელი განათლებული კაცობრიობისთვის საერთო ლიტერატურა. მაგრამ ისე, როგორც

ზოოლოგიური გვარი იყოფა სახეებად,—ეს მსოფლიო ლიტერატურაც იყოფა ცალკე ქვეყნების სხვადასხვა ლიტერატურად. როცა იუმე ჩამოვიდა საფრანგეთში, ფრანგი „ფილოსოფოსები" მიესალმენ მას, როგორც თავიანთ თანამოაზრეს. მაგრამ აი ერთხელ, ჰოლბახთან სადილობის დროს, ამ ფრანგ ფილოსოფოსთა უეჭველმა თანამოაზრემ ლაპარაკი ჩამოაგდო „**ბუნებრივ რელიგიაზე**". „რაც შეეხება ათეისტებს,—თქვა მან,—მე არ წარმომიდგენია მათი არსებობა; მე არასოდეს არც ერთი ათეისტი არ შემხვედრია"-ო.—„ამდენხანს თქვენსრულებით ბედი არ გწყალობდათ—მიუგო „ბუნების სისტემის" ავტორმა,—აქ, მაგიდასთან, თქვენ პირველად ჩვიდმეტ ათეისტს ხედავთ". იმავე იუმემ გადამწყვეტი გავლენა იქონია კანტზე, რომელიც მან, ამ უკანასკნელის სიტყვებითვე, გამოაღვიძა **დოგმატიური ძილიდან**. მაგრამ კანტის ფილოსოფია საგრძნობლად განსხვავდება იუმეს ფილოსოფიისაგან. იდეათა იმავე ფონდს მივუყევართ ფრანგი მატერიალისტების მებრძოლ ათეიზმამდე, იუმეს რელიგიურ ინდიფერენტიზმამდე, კანტის „პრაქტიკულ" რელიგიამდე. საქმე ის არის, რომ რელიგიური საკითხი ინგლისში ისეთსავე როლს არ ასრულებდა, როგორსაც საფრანგეთში, და საფრანგეთში არა ისეთს, როგორსაც გერმანიაში. რელიგიური საკითხის ეს სხვადასხვა მნიშვნელობა-კი გამოწვეული იყო იმით, რომ თითოეულში ჩამოთვლილ ქვეყნებიდან საზოგადოებრივ ძალთა სხვადასხვა ურთიერთობა იყო. თავისი **ბუნებით** ერთგვარი, მაგრამ თავისი განვითარების ხარისხით სხვადასხვა, საზოგადოებრივი ელემენტები_სხვადასხვაგვარად ჯგუფდებოდენ სხვადასხვა ევროპიულ ქვეყანაში და ამიტომ იყო, რომ თითოეულ მათგანში ადგილი ჰქონდა „აზროვნების და ზნე-ჩვეულების" თავისებურ „მდგომარეობას", რაც გამოიხატა ნაციონალურ ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, ხელოვნებაში და სხვა... ამის გამო შესაძლებელი იყო, რომ ერთსა და იმავე კითხვას დიდი ინტერესით მოპყრობოდენ ფრანგები და სრული გულგრილობა გამოეჩინათ ინგლისელებს; ერთსა და იმავე საბუთს შეეძლო მოწინავე გერმანელში დიდი პატივისცემა გამოეწვია, მოწინავე ფრანგში—კი ზომაზე მეტი სიძულვილი. რა იყო გერმანული ფილოსოფიის კოლოსალური წარმატების მიზეზი? გერმანეთის სინამდვილეო, გვიპასუხებს ჰეგელი: ფრანგებს არ სცალიათ ფილოსოფიისთვის, ცხოვრება მათ პრაქტიკული სფეროსკენ (znm Praktischen) იწვევს, გერმანული სინამდვილე-კი უფლო გონივრულია, გერმანელებს შეუძლიათ მშვიდათ განავითარონ თეორია (beim Theoretischen stehen bleiben). არსებითად გერმანული სინამდვილის ეს მოჩვენებითი გონივრულობა გამოწვეული იყო გერ-

მანული სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სიბეჩავით, რის გამოც მაშინდელ განათლებულ გერმანელებს სხვა გზა არ რჩებოდათ, თუ არა ემსახურათ მოხელეების სახით სრულიად არამიზიდველი „სინამდვილისათვის“ (შეგუებოდენ „პრაქტიკულს“), ან ნუგეში ეძებნათ **თეორიაში**, მიეპყრათ ამ დარგისაკენ ნების მთელი ძალა, აზრის მთელი ენერგია. მაგრამ, რომ ამ „პრაქტიკულით“ გატაცებულ მოწინავე ქვეყნებს წინ არ წაეწიათ გერმანელების თეორიული აზრი, რომ მათ არ გამოეღვიძებიათ ისინი „დოგმატიური ძილისგან,“ მაშინ ეს უარყოფითი თვისება—სოციალურისა და პოლიტიკური ცხოვრების სიბეჩავე—ვერ წარმოშობდა ამ კოლოსალურ დადებით რეზულტატს: გერმანული ფილოსოფიის ბრწყინვალე განვითარებას.

გოეთეს მეფისტოფელი ამბობს: „Vernunft wird Unsinn, Wohlthat—Plage“-ო. გერმანული ფილოსოფიის ისტორიის მიმართ თითქმის შეიძლება ასეთი პარადოქსი ვიხმაროთ: უგონობამ წარმოშვა გონება, სიბეჩავე კეთილმყოფელი აღმოჩნდა.

მაგრამ, ვფიქრობ, ეხლა შესაძლოა დავამთავროთ ჩვენი დალაგების ეს ნაწილი. გაუკეთოთ ნათქვამს რეზიუმე.

ურთიერთობა არსებობს როგორც საერთაშორისო, ისე ხალხთა შინაგან ცხოვრებაში; იგი სრულიად ბუნებრივი და აბსოლუტურად აუცილებელია, მაგრამ, **თავის თავად**, იგი ჯერ კიდევ არაფერს ხსნის. ურთიერთი ზემოქმედების გასაგებად საჭიროა გამოვარკვიოთ ურთიერთ ზემომქმედ ძალთა თვისებები. ეს თვისებები კი საბოლოოდ არ აიხსნება ურთიერთი ზემოქმედების ფაქტით, რა რიგ არ უნდა შეიცვალონ ისინი ამ უკანასკნელის წყალობით. ამ შემთხვევაში ზემოქმედ ძალთა ხასიათი, ურთიერთ გავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ორგანიზმთა თვისებები აიხსნება საბოლოოდ ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზით: ამ **ორგანიზმთა ეკონომიური სტრუქტურით, რომელიც მათ საწარმოო ძალთა მდგომარეობით განისაზღვრება.**

ისტორიის ფილოსოფიამ, რომელსაც ჩვენ ვალაგებთ, ვფიქრობთ, რამოდენადმე უფრო კონკრეტული სახე მიიღო. მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაინც განყენებულ ხასიათს ატარებს, ჯერ კიდევ შორს დგას „ცოცხალი სინამდვილისაგან“. ჩვენ გვმართებს გადავდგათ კიდევ ნაბიჯი ამ უკანასკნელისაკენ.

ჯერ ჩვენ ვლაპარაკობდით „საზოგადოებაზე“, შემდეგ გადავედით საზოგადოებათა ურთიერთ ზემოქმედებაზე; მაგრამ ყოველი საზოგადოება თავის შემადგენლობით ხომ ერთგვარი არ არის; ჩვენ

აკი ვიცით, რომ პირველ-ყოფილი კომუნიზმის დარღვევას მივყევართ უთანასწორობამდე, კლასების წარმოშობამდე, რომლებსაც სხვადასხვა, ხშირად ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო ინტერესები აქვთ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ კლასებს შორის გაჩაღებულია თითქმის განუწყვეტელი ხან ფარული, ხან აშკარა, ხან ქრონიკული, ხან მწვავე ბრძოლა. და ეს ბრძოლა ახდენს უდიდეს, მეტის-მეტად მნიშვნელოვან გავლენას იდეოლოგიათა განვითარებაზე. გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სრულიად ვერ გავიგებთ ამ განვითარებას, **თუ მხედველობაში არ მივიღეთ კლასთა ბრძოლა.**

„გნებავთ თქვენ გაიგოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნამდვილი მიზეზი ვოლტერის ტრაგედიისა?“ ჰკითხულობს ბრიუნეტიერი. „ეძებეთ იგი, ჯერ ერთი, ვოლტერის პიროვნებაში, განსაკუთრებით-კი აუცილებლობაში, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა გაეკეთებია სრულიად სხვა რამ, ვიდრე რასინმა და კინომ უკვე გააკეთეს, და იმავე დროს, მათი გზით წასულიყო. რომანტიული დრამის: ჰიუგოსა და დიუმას დრამის შესახებ, მე თავს ნებას მივსცემ ვთქვა, რომ მის განმარტებას სავსებით შეიცავს ვოლტერის დრამის განმარტება. თუ რომანტიზმს არ სურდა გაეკეთებია ეს თუ ის თეატრალურ სცენაზე, ეს იმიტომ, რომ მას უნდოდა კლასიციზმის საწინააღმდეგო გაეკეთებია... ლიტერატურაში ისე, როგორც ხელოვნებაში, პიროვნების გავლენის შემდეგ, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოებთა ერთი-მეორეზე მოქმედებას. ზოგჯერ ჩვენ ვცდილობთ შეეცილოთ ჩვენ წინამორბედთ მათ საკუთარ ჟანრში,—და ამ გზით მკვიდრდება განსაზღვრული წესები, იქმნება სკოლები, მტკიცდება ტრადიციები. ზოგჯერ-კი ჩვენ ვცდილობთ სხვაგვარად ვაკეთოთ, ვიდრე ისინი აკეთებდენ,—და მაშინ იბადება წინააღმდეგობა განვითარებასა და ტრადიციებს შორის, ჩნდება ახალი სკოლები, სხვაფერდება წესები“[1]).

საკითხს პიროვნების როლის შესახებ ჯერ განუხილველად დავტოვებთ და შევნიშნავთ, რომ დროა უკვე ჩაუფიქრდეთ „ერთი ნაწარმოების მოქმედებას მეორეზე.“ ყველა იდეოლოგიის განვითარება სწორედ იმ გზით მიდის, რომელიც ბრიუნეტიერმა აღნიშნა. ერთი ეპოქის იდეოლოგები—**ან** მიდიან თავიანთ წინამორბედთა გზით, ანვითარებენ მათ აზრებს, იყენებენ მათ წესებს და თავს ნებას აძლევენ მხოლოდ „შეეცილონ“ მათ; **ან** ისინი ილაშქრებენ ძველი იდეების და წესების წინააღმდეგ, **უპირდაპირდებიან მათ. ორ-**

1.. c. p. 262—263.

განიულ ეპოქებს, სენ-სიმონის თქმით, სცვლის **კრიტიკული** ეპოქები. ყურადღების ღირსია განსაკუთრებით უკანასკნელი.

აიღეთ რომელი საკითხი გნებავთ, ვთქვათ, ფულის შესახებ. მერკანტილისტებისათვის- ფული წარმოადგენდა სიმდიდრეს par excellence: ისინი მიაწერდენ ფულს გადამეტებულს, თითქმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იმათ, ვინც მერკანტილისტებს ებრძოდა, არა თუ აიცილეს ეს უკიდურესობა, არამედ თითონაც (ყოველ შემთხვევაში, მათგან ზოგი ყველაზე უფრო თავგამოდებული) პირდაპირ საწინააღმდეგო უკიდურესობაში ვარდებოდა. ფული მხოლოდ პირობითი ნიშანია. თავის თავად მას არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ასე უყურებდა ფულს, მაგ., იუმე. თუ მერკანტილისტების თვალსაზრისი შეიძლება მათი დროის სასაქონლო წარმოებისა და მიმოქცევის ჩამორჩენილობით აიხსნას, პირიქით, უცნაური იქნებოდა აგვეხსნა მათ მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი მხოლოდ იმით, რომ საქონლის წარმოება და მიმოქცევა ძლიერ განვითარდა. ეს შემდგომი განვითარება ერთი წუთითაც არ აქცევდა ფულს შინაგან ღირებულებას მოკლებულ პირობით ნიშნად. რამ გამოიწვია იუმეს თვალსაზრისის უკიდურესობა? იგი წარმოშვა მერკანტილისტებთან ბრძოლის, „წინააღმდეგობის“ ფაქტმა; მას სურდა მერკანტილისტების „საწინააღმდეგო“ გაეკეთებია, მსგავსად იმისა, როგორც რომანტიკოსებს სურდათ გაეკეთებიათ კლასიკოსების „საწინააღმდეგო“. ამიტომ შეიძლება ითქვას (მსგავსად იმისა, როგორც ბრიუნეტიერი ამბობს რომანტიულ დრამაზე), რომ მერკანტილისტების თვალსაზრისი ფულზე სავსებით შეიცავს იუმეს თვალსაზრისს, როგორც **თავის საწინააღმდეგოს**.

მეორე მაგალითი. XVIII საუკუნის ფილოსოფოსნი დაუნდობლად და გადაჭრით ებრძვიან ყოველგვარ მისტიციზმს. ფრანგი უტოპისტები ცოტად თუ ბევრად გამსქვალულნი არიან რელიგიური განწყობილებით. რით იყო გამოწვეული ეს დაბრუნება მისტიციზმთან? ნუთუ ისეთ ხალხს, როგორიც იყო „ახალი ქრისტიანობის“ ავტორი, ნაკლები „lumiérs“ გააჩნდა, ვიდრე ენციკლოპედისტებს? არა, მათ არა ნაკლები „lumiéres“ ჰქონდათ, და საზოგადოდ მათი შეხედულებანი მჭიდრო კავშირში იყვენ ენციკლოპედისტების შეხედულებებთან. ისინი ამ უკანასკნელთა უშუალო მემკვიდრენი იყვენ, მაგრამ დაუპირისპირდენ მათ ზოგიერთ საკითხებში,—ე. ი, არსებითად საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკითხში,—და დაებადათ სურვილი „გაეკეთებიათ საწინააღმდეგო“ ენციკლოპედისტებისა; მათი დამოკიდებულება რელიგიისადმი წარმოადგენდა მხოლოდ წინააღმდეგო-

ბას „ფილოსოფოსთა“ დამოკიდებულებისა რელიგიისადმი. აძ უკანასკნელთა თვალსაზრისი უკვე შეიცავდა ფრანგი უტოპისტების თვალსაზრისს რელიგიაზე.

ბოლოს ავიღოთ მაგალითად ფილოსოფიის ისტორია: XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში ბატონობს **მატერიალიზმი**; მისი დროშის ქვეშ გამოდის საფრანგეთის tiers état-ის უკიდურესი ფრაქცია. XVIII საუკუნის ინგლისში მატერიალიზმით გატაცებულნი არიან ძველი რეჟიმის დამცველები—არისტოკრატები, აბსოლიუტიზმის მომხრეები. ამისი მიზეზიც ცხადია. ის ხალხი, რომელთანაც „წინააღმდეგობაში“ იმყოფებოდენ რესტავრაციის დროის ინგლისელი არისტოკრატები, უკიდურესი რელიგიური ფანატიკოსები იყვენ; რათა „საწინააღმდეგო გაეკეთებინათ“, **რეაქციონერები** იძულებულნი გახდენ **მატერიალიზმამდე** მისულიყვენ. XVIII საუკუნის საფრანგეთში საქმის ვითარება სულ საწინააღმდეგო იყო: რელიგიას იცავდენ რეაქციონერები, **მატერიალიზმს**-კი უკიდურესი რევოლიუციონერები. ასეთი მაგალითებით სავსეა აზროვნების ისტორია და ისინი ერთსა და იმავეს ადასტურებენ: **ყოველი კრიტიკული ეპოქის „აზროვნების მდგომარეობის“ გასაგებად, იმის ასახსნელად, თუ რატომ ბატონობს განსაზღვრულ ეპოქის განმავლობაში სწორედ ასეთი, და არა სხვაგვარი მოძღვრება, საჭიროა წინასწარ გავეცნოთ წინა ეპოქის „აზროვნების მდგომარეობას“; უნდა შევიტყოთ, რა მოძღვრებანი და მიმართულებანი ბატონობდენ მაშინ.** ამის გარეშე სრულიად ვერ გავიგებთ რომელიმე ეპოქის გონებრივ მდგომარეობას, რა გინდ კარგად ვიცოდეთ მისი ეკონომია.

მაგრამ არც ეს უნდა გავიგოთ განყენებულად, როგორც ეს რუს „ინტელიგენციას“ ჩვეია. ერთი რომელიმე ეპოქის იდეოლოგები არასოდეს არ აწარმოებენ თავის წინამორბედთა წინააღმდეგ ბრძოლას sur toute la ligne,—ადამიანის ცოდნის ყველა დარგისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარშემო. XIX საუკუნის ფრანგი უტოპისტები სავსებით ეთანხმებოდენ ენციკლოპედისტებს მრავალ ანთროპოლოგიურ საკითხში; რესტავრაციის დროის ინგლისელი არისტოკრატები მრავალ საკითხში ეთანხმებოდენ მათთვის საძულველ პურიტანებს, მაგალ., სამოქალაქო სამართლის საკითხებში და სხვ... ფსიქოლოგიური ტერიტორია განიყოფება პროვინციებად, პროვინციები მაზრებად, მაზრები თემებად, თითოეული თემი წარმოადგენს ცალკე პირთა (ე. ი. საკითხთა) კავშირს. როცა თავს იჩენს „წინააღმდეგობა“, როცა იფეთქებს ბრძოლა, იგი მოიცავს ჩვეულებრივად მხოლოდ ცალკე პროვინციებს,—თუ მაზრებს არა—

მხოლოდ ანარეკლი მოქმედება მოედება მეზობელ სფეროებს. თავდასხმა წარმოიებს, პირველ ყოვლისა, იმ პროვინციაზე, რომელსაც **ეკუთვნოდა** წინა ეპოქაში **ჰეგემონია**. მხოლოდ თანდათან ომის უბედურებანი ვრცელდება უახლოეს მეზობლებზე, თავდასხმის ქვეშ მყოფ პროვინციის ერთგულ მოკავშირეებზე. ამიტომ საჭიროა დავუმატოთ, რომ ყოველი კრიტიკული ეპოქის ხასიათის გამორკვევის დროს აუცილებელია გავიგოთ წინა ორგანიული ეპოქის ფსიქოლოგიის არა მარტო ზოგადი თვისებები, არამედ ამ ფსიქოლოგიის ინდივიდუალური თავისებურებანიც. ერთი რომელიმე ისტორიული პეიოდის განმავლობაში ჰეგემონია ეკუთვნის რელიგიას, მეორეში—პოლიტიკასა და სხვ... ეს გარემოება აუცილებლად თავს იჩენს შესაფერი კრიტიკული ეპოქების ხასიათში, რომელთაგან თითოეული გარემოებისდა მიხედვით, ან განაგრძობს ფორმალურად ძველი ჰეგემონიის ცნობას და შეაქვს ახალი, ძველის **საწინააღმდეგო**, შინაარსი გაბატონებულ ცნებებში (მაგალითი: ინგლისის პირველი რევოლიუცია), ან და საკუთრივ უარჰყოფს მას და ჰეგემონია გადადის აზროვნების ახალ პროვინციებზე (მაგალითი: განათლების დროის ფრანგული ლიტერატურა). თუ გავიხსენებთ, რომ ცალკე ფსიქოლოგიურ პროვინციების ბრძოლა ჰეგემონიისათვის ითრევს მეზობლებსაც და სხვადასხვანაირად და სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება მათზე ყოველ ცალკე შემთხვევაში, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რამდენად დაუშვებელია აქ, როგორც ყოველგან, განყენებულ დებულებებზე შეჩერება.

„შესაძლოა ყველაფერი ეს ასე იყოს—გვეუბნებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი,—მაგრამ ვერ გაგვიგია რა შუაშია აქ კლასთა ბრძოლა, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ სადღეგრძელოთ დაიწყეთ და სულისმოსახსენებლით ათავებთ. თქვენ თითონვე სცნობთ ეხლა, რომ ადამიანის აზრის განვითარება ემორჩილება თავისებურ კანონებს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ეკონომიის კანონებთან ან საწარმოო ძალთა იმ განვითარებასთან, რომლითაც თქვენ გული გაგვიწყალეთ.“ გიპასუხებთ.

რომ ადამიანის აზრის განვითარებას, უფრო სწორედ, ადამიანის **ცნებების და წარმოდგენების შეერთება-შეკავშირებას თავის საკუთარი კანონები აქვს**, ამას, როგორც ვიცით, არ უარჰყოფდა არც ერთი „ეკონომიური“ მატერიალისტი. არც ერთი მათგანი არ აიგივეებდა, მაგალითად, საქონლის მიმოქცევის და ლოლიკის კანონებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ერთს ამ სახის მატერიალისტს არასოდეს არ მოსვლია აზრად კაცობრიობის გონებრივი განვითა-

რების საბოლოო მიზეზის, **ძირითადი მამოძრავებელის** ძებნა აზროვნების კანონებში დაეწყო. სწორედ ეს გარემოება ასხვავებს „ეკონომიურ მატერიალისტებს“, მათ სასარგებლოდ, იდეალისტებისა და განსაკუთრებით-კი, ეკლეკტიკოსებისგან.

რაკი კუჭი მომარაგებულია საკვები მასალის განსაზღვრული რაოდენობით, იგი იწყებს მუშაობას საჭმელის მონელების საერთო კანონების მიხედვით. მაგრამ განა შეიძლება ამ კანონების მეშვეობით ვუპასუხოთ კითხვას, რატომ თქვენს კუჭში ყოველდღიურად იგზავნება გემრიელი და ნოყიერი საზრდო, ჩემს კუჭში-კი იგი იშვიათი სტუმარია? ხსნის თუ არა ეს კანონები, რატომ ზოგიერთი ძალიან ბევრს სჭამს, ზოგი-კი შიმშილით კვდება? ჩვენ გვგონია, რომ ამის ახსნა უნდა ვეძებოთ რომელიმე სხვა სფეროში, სხვაგვარ კანონების მოქმედებაში. ასეა ადამიანის გონების საქმეც. რაკი იგი ჩაყენებულია განსაზღვრულ მდგომარეობაში, რაკი მას გარემომცველი წრე განსაზღვრულ შთაბეჭდილებებს აწვდის, იგი აერთებს და აკავშირებს მათ ერთგვარი საერთო კანონების მიხედვით (ამასთანავე შედეგი აქაც სხვადასხვანაირია მიღებულ შთაბეჭდილებათა სხვადასხვაობის გამო). მაგრამ რა აყენებს მას ასეთ მდგომარეობაში? რით განისაზღვრება მიღებულ ახალ შთაბეჭდილებათა რაოდენობა და ხასიათი? აი კითხვა, რომელსაც ვერ გადავჭრით აზრის ვერავითარი კანონებით.

შემდეგ. წარმოიდგინეთ, რომ მაღალი კოშკიდან ვარდება ბურთი. მისი მოძრაობა წარმოებს **მექანიკის** ყველასათვის ცნობილი და მეტად მარტივი **კანონის** მიხედვით. მაგრამ აი ბურთი დაეჯახა დახრილ სიბრტყეს და მისი მოძრაობა მიმართულებას იცვლის სხვა, ისევე მეტად მარტივი და ყველასათვის ცნობილი **მექანიკური კანონის** მიხედვით. შედეგად ვღებულობთ მოძრაობის ტეხილ ხაზს, რის შესახებაც შეიძლება და უნდა ითქვას კიდეც, რომ იგი წარმოადგენს ორივე აღნიშნული კანონის შეერთებული მოქმედების რეზულტატს. მაგრამ საიდან გაჩნდა დახრილი სიბრტყე, რომელსაც ბურთი დაეჯახა? ამას ვერ ხსნის ვერც პირველი კანონი, ვერც მეორე და ვერც მათი შეერთებული მოქმედება. სრულიად იგივე ითქმის ადამიანის აზროვნების შესახებაც. საიდან გაჩნდენ ის გარემოებანი, რომელთა წყალობითაც მისი (აზროვნების) მოძრაობა ერთგვარ კანონების შეერთებულ მოქმედებას დაემორჩილა? ამას ვერ ხსნის ვერც მისი ცალკე კანონები და ვერც ამ კანონთა შეერთებული მოქმედება.

ის გარემოებანი, რომლებზეც დამოკიდებულია აზროვნების მოძრაობა, სწორედ იქ უნდა ვეძიოთ, სადაც მათ ფრანგი განმანათლებლები ეძებდენ. მაგრამ ჩვენ ეხლა უკვე არ ვჩერდებით იმ „საზღვართან“, რომლის „გადალახვაც“ მათ ვერ შესძლეს. ჩვენ არა თუ ვამბობთ, რომ ადამიანი მთელი თავისი აზრებითა და გრძნობებით საზოგადოებრივი გარემოს ნაყოფია, არამედ **ამ საზოგადოებრივი გარემოს გენეზისის გაგებასაც ვსცდილობთ.** ჩვენ ვამბობთ, რომ ამ გარემოს თვისებებს ესა და ეს, ადამიანის გარეშე მყოფი და დღემდე მისი ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზი განსაზღვრავს. **ადამიანთა ფაქტიურ ურთიერთობათა** მრავალგვარი ცვლილებანი აუცილებლად იწვევს მათი (ადამიანთა) „აზროვნების მდგომარეობის“, **იდეათა ურთიერთი დამოკიდებულების, გრძნობების და რწმენის ცვლილებებს.** იდეები, გრძნობები, რწმენა ერთმანეთს თავისი განსაკუთრებული კანონების მიხედვით უკავშირდებიან. მაგრამ ამ კანონების მოქმედებას იწვევს გარეშე მიზეზები, რომელსაც ამ კანონებთან არაჯერი აქვს საერთო. იქ, სადაც ბრიუნეტიერი მხოლოდ იმ გავლენას ამჩნევს, რასაც ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოები ახდენს სხვებზე, ჩვენ, ამის გარდა, უფრო ღრმად მდებარე საზოგადოებრივი ჯგუფების, ფენების და კლასების ურთიერთ გავლენას ვხედავთ; იქ, სადაც ის მხოლოდ იმისი აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ წარმოიშვა წინააღმდეგობა და ადამიანებმა იმის საწინააღმდეგოს გაკეთება მოისურვეს, რასაც მათი წინაპრები აკეთებდენო,— ჩვენ ვუმატებთ: ეს მათ სწორედ იმიტომ მოისურვეს, რომ მათს **ფაქტიურ ურთიერთობაში** ახალი წინააღმდეგობა გაჩნდა, რომ წარმოიშვა ახალი ფენა ან კლასი, რომელსაც უკვე არ შეეძლო ისე ეცხოვრა, როგორც ძველი დროის ხალხი ცხოვრობდა.

მაშინ, როცა ბრიუნეტიერმა მხოლოდ ის იცის, რომ რომანტიკოსებს კლასიკოსებისათვის წინააღმდეგობის გაწევა სურდათ,—ბრანდესი ამით არ კმაყოფილდება და ცდილობს ახსნას მათი მიდრეკილება „წინააღმდეგობისადმი“ იმ საზოგადოებრივი კლასის მდგომარეობით, რომელსაც ისინი (რომანტიკოსები) ეკუთვნოდენ. მოიგონეთ, მაგალითად, თუ რას ამბობს ის რესტავრაციისა და ლუი ფილიპეს დროის ფრანგი ახალგაზრდობის რომანტიული განწყობილების მიზეზის შესახებ.

როცა მარქსი ამბობს: **„რათა ერთი წოდება გახდეს განმათავისუფლებელ წოდებად** par excellence, **საჭიროა რომელიმე მეორე წოდება--საერთო ცნობიერებაში დამონავებულ წოდებად გახდეს“-ო,** ისიც საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების განსაკუთრებულ,

ამასთანავე მეტად მნიშვნელოვან კანონზე მიგვითითებს. მაგრამ ეს კანონი მოქმედებს და მას შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ კლასიურ საზოგადოებებში; ის არ მოქმედებს და მას არც შეუძლია იმოქმედოს პირველყოფილ საზოგადოებაში, სადაც არც კლასებია და არც მათი ბრძოლა.

ჩაუკვირდეთ ამ კანონის მოქმედებას. როცა ესა თუ ის წოდება დანარჩენი მოსახლეობის თვალში საყოველთაო დამჩაგვრელს წარმოადგენს, მაშინ ამ წოდებაში გაბატონებულ იდეებსაც მოსახლეობა, ბუნებრივად, მხოლოდ მჩაგვრელების იდეებად თვლის. საზოგადოებრივი ცნობიერება ამ იდეების „წინააღმდეგი" ხდება; ის **საწინააღმდეგო** იდეებს ითვისებს. მაგრამ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამგვარი ბრძოლა მთელი ხაზით არასოდეს არ წარმოებს: ყოველთვის რჩება იდეათა განსაზღვრული ნაწილი, რომელსაც აღიარებენ როგორც რევოლიუციონერები, ისე ძველი წყობილების დამცველნიც. ყველაზე უფრო ძლიერი იერიში იმ იდეების წინააღმდეგ წარმოებს, რომლებიც ამ დროს მომაკვდავი წყობილების ყველაზე უფრო მავნე მხარეების გამომხატველია. სწორედ ეს მხარეები იწვევს რევოლიუციონერ-იდეოლოგებში თავის წინაპრებისადმი **„წინააღმდეგობის"** უძლიერეს სურვილს, სხვა იდეების მიმართ-კი, თუგინდ ისინი ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზეც იყვენ წარმოშობილი, რევოლიუციონერი-იდეოლოგები ხშირად სრულიად გულგრილი რჩებიან, ზოგჯერ-კი ტრადიციით ამ იდეების დაცვასაც განაგრძობენ. მაგალითად, ფრანგმა მატერიალისტებმა, ძველი რეჟიმის ფილოსოფიური და პოლიტიკური (ე. ი. სამღვდელოებისა და აზნაურული მონარქიის) იდეების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ძველი **ლიტერატურული ტრადიციები** თითქმის ხელუხლებლად დასტოვეს. მართალია, დიდროს ესთეტიური თეორიები აქაც ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამომხატველი შეიქნენ. მაგრამ აქ ბრძოლა მეტად სუსტი იყო, რადგან მთავარი ძალა მიმართული იყო სხვა მხრით[1]). იქ აჯანყების დროშა მხოლოდ შემდეგ იქნა აღმართული და ისიც ისეთი ხალხის მიერ, რომელიც მხურვალედ თანაუგრძნობდა რევოლიუციით დამხობილ ძველ რეჟიმს და რომელიც, ერთის შეხედვით, იმ ლიტერატურულ შეხედულებათა თანამგრძნობი უნდა ყოფილიყო, რომელნიც ამ რეჟიმის ოქროს ხანაში წარმოიშვენ. მაგ-

---

[1]) გერმანიაში ლიტერატურულ შეხედულებათა ბრძოლა, როგორც ვიცით, გაცილებით უფრო ენერგიული იყო, მაგრამ აქ ნოვატორთა ყურადღებას პოლიტიკური ბრძოლა არ იპყრობდა.

რამ ეს მოჩვენებითი უცნაურობაც „წინააღმდეგობის“ პრინციპით აიხსნება. წარმოუდგენელია, რომ შატობრიანი თანაუგრძნობდეს ძველ ესთეტიურ თეორიას მაშინ, როცა ვოლტერი,—საძაგელი, ბოროტი ვოლტერი მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო.

Der Widerspruch ist das Fortleitende, ამბობს ჰეგელი. იდეოლოგიათა ისტორია თითქოს ერთხელ კიდევ ზედმეტად აძტკიცებს, რომ არ შემცდარა ძველი „მეტაფიზიკოსი“. ის (იდეოლოგიათა ისტორია), როგორც ჩანს, რაოდენობით ცვლილებათა თვისობრივში გადასვლასაც ადასტურებს. მაგრამ ჩვენ ვთხოვთ მკითხველს იქონიოს მოთმინება და ბოლომდე მოგვისმინოს.

ამდენხანს ჩვენ ვამბობდით, რომ თუ მოცემულია საზოგადოების საწარმოო ძალები,—ამით მოცემულია მისი სტრუქტურა და, მაშასადამე, მისი ფსიქოლოგიაც. ამის გამო შეიძლება ჩვენ ის აზრი მოგვაწერონ, რომ ამა თუ იმ საზოკადოების ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით შესაძლებელი იყოს სისწორით დავასკვნათ მისი იდეათა ხასიათის შესახებ. მაგრამ ეს ასე არაა იმიტომ, რომ ყოველი დროის იდეოლოგია ყოველთვის მჭიდრო,—დადებითს ან უარყოფითს,—კავშირშია წინა დროის იდეოლოგიასთან. ყოველი განსაზღვრული დროის „აზროვნების მდგომარეობა“ შეიძლება გაგებული იქნეს მხოლოდ წინა ეპოქის „აზროვნების მდგომარეობა“-სთან და, კავშირებით. რასაკვირველია, ვერც ერთ კლასს ვერ გაიტაცებს ისეთი იდეები, რომელიც მის მისწრაფებას ეწინააღმდეგება. კლასი ყოველთვის კარგად, თუმცა შეუგნებლად ახერხებს თავისი „იდეალები“ შეუგუოს თავის ეკონომიურ მოთხოვნილებებს. მაგრამ ეს შეგუება შეიძლება სხვადასხვა გზით მოხდეს, და თუ რატომ ხდებ. სწორედ ეს შეგუება ასე და არა სხვანაირად, ეს აიხსნება არა ამა თუ იმ განცალკევებულად აღებული კლასის მდგომარეობით, არამედ ყველა წვრილმანით ამ კლასის დამოკიდებულებისა თავისი ანტაგონისტისადმი (ან თავისი ანტაგონისტებისადმი). კლასების წარმოშობის შემდეგ, **წინააღმდეგობა** არა მარტო **მამოძრავებელი** არამედ გარკვეული ფორმის მიმცემი პრინციპიცაა. [1])

---

[1]) შეიძლებოდა გვეთქვა: რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს კლასთ ბრძოლასთან ისეთი ხელოვნების ისტორიას, როგორიც, მაგალითად, არქიტექტურაა. მაგრამ ისიც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ბრძოლასთან. იხ. ედ. კორუაიე: «L'architecture hothique», განსაკუთრებით მეოთხე ნაწილი: L'architecture civile.

მაგრამ როგორია პიროვნების როლი იდეოლოგიათა ისტორიაში? ბრიუნეტიერის აზრით ინდივიდუუმს უდიდესი, გარემოსაგან **დამოუკიდებული** მნიშვნელობა აქვს. **გიუიო** ამტკიცებს: გენიოსი ყოველთვის რაღაც ახალს ქმნისო[1]).

ჩვენ ვიტყოდით, რომ საზოგადოებრივ იდეათა სფეროში გენიოსი წინ უსწრებს თავის თანამედროვეებს იმ გაგებით, რომ **ის მათზე ადრე უღებს ალღოს ახალ, წარმოშობის პროცესში მყოფ საზოგადოებრივ ურთიერთობათ.** მაშასადამე, აქ გარემოსაგან გენიოსის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ბუნებისმეტყველების დაოგში გენიოსი აღმოაჩენს კანონებს, რომელთა მოქმედებაც, რასაკვირველია, არაა დამოკიდებული საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. მაგრამ საზოგადოებრივი გარემოს როლი ყოველგვარ აღმოჩენათა ისტორიაში ის არის, რომ იგი, ერთის მხრით, აგროვებს იმ ცოდნას, ურომლისოდაც ვერც ერთი გენიოსი სრულიად ვერაფერს გახდება და, მეორეს მხრით, მიმართავს გენიოსის ყურადღებას ამა თუ იმ მიმართულებით[2]). ხელოვნების დარგში გენიოსი განსაზღვრული საზოგადოების ან საზოგადოებრივი კლასის გაბატონებული ესთეტიური მიდრეკილების საუკეთესო გამომხატველია[3]). ბოლოს, ყველა ამ სამ დარგში საზოგადოებრივი გარემოს გაელენა თავს იჩენს იმაში, რომ ის ცალკე პირთა გენიალური ნიჭის განვითარებისათვის მეტად თუ ნაკლებად ხელის შემწყობ პირობებს ჰქმნის.

რასაკვირველია, ჩვენ ვერასოდეს ვერ შევსძლებთ გარემოს გავლენით გენიოსის მთელი **ინდივიდუალობის** ახსნას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ამკტიცებს.

ბალისტიკა ხსნის არტილერიის ყუმბარის მოძრაობას. მას შეუძლია მისი მოძრაობა გაითვალისწინოს, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ შესძლებს იმის თქმას, თუ რამდენ ნაწილად გასკდება ესა თუ ის

---

[1]) „Il introduidt dans le monde des idées et des sentiments, des type nouveaux". L'art au point de vue socioiogique, Paris 1881, გვ. 31.

[2]) თუმცა აქ გავლენის ორმაგი ხასიათი მხოლოდ ფორმალურია. ცოდნის ყოველი განსაზღვრული მარაგი სწორედ იმიტომაა დაგროვილი, რომ საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი იწვევდენ ადამიანებში მისი დაგროვების სურვილს და მათ ყურადღებას სათანადო მხრით მიმართავდენ.

[3]) თუ რამდენადაა დამოკიდებული ყოველი კლასის ესთეტიური მიდრეკილება და შეხედულება მის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ჯერ კიდევ „Эстетические отношения искусства к действительности"-ის ავტორმა იცოდა. მშვენიერება არის თვით ცხოვრება,—ამბობდა იგი,—და თავის აზრს შემდეგი მოსაზრებით ხსნიდა:

ყუმბარა და რა მიმართულებით წავა თითოეული ნატეხი. მაგრამ ამით სრულიადაც არ მცირდება იმ დასკვნების სისწორე, რომელსაც ბალისტიკა იძლევა. ბალისტიკაში არაა საჭირო იდეალისტურ (ან ეკლექტიკურ) თვალსაზრისზე დავდგეთ: ჩვენთვის სრულიად საკმარისია მოვლენის მექანიკური ახსნა, თუმცა, მართალია, ეს ახსნა მაინც არ არკვევს ცალკე ნატეხების „ინდივიდუალურ“ ბედს, სიდიდეს და ფორმას.

ბედის საკვირველი დაცინვაა! წინააღმდეგობის სწორედ ის პრინციპი, რომელსაც ასეთი გაცხარებით ებრძვიან ჩვენი სუბიექტივისტები, როგორც „მეტაფიზიკოსი“ ჰეგელის უშინაარსო გამოგონებას, თითქოს გვაახლოებს ჩვენ avec nos chers amis les ennemis. თუ იუმე უარჰყოფს ფულის შინაგან ღირებულებას იმ მიზნით, „რათა იმის საწინააღმდეგო თქვას, რასაც მერკანტილისტები ამბობდენ; თუ რომანტიკოსებმა თავისი დრამა მხოლოდ იმისთვის შექმნეს, რათა იმის საწინააღმდეგო რამ „გაეკეთებიათ“, რასაც კლასიკოსები აკეთებდენ,—მაშინ ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებულა: არის მხოლოდ ჭეშმარიტი ჩემთვის, ბ. მიხაილოვსკისათვის, თავადი მეშჩერსკისათვის და სხვ. ჭეშმარიტება სუბიექტურია, ჭეშმარიტია ყოველივე ის, რაც ჩვენს შემეცნებითს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

არა, ეს ასე არაა! წინააღმდეგობის საწყისი კი არ აქარწყლებს ობიექტურ ჭეშმარიტებას, მას მხოლოდ ამ ჭეშმარიტებასთან მივყევართ. მართალია, გზა, რომლითაც მას კაცობრიობა მიჰყავს, სრულიადაც არაა პირდაპირი გზა. მაგრამ მექანიკაშიაც ცნობილია

კარგი ცხოვრება, ე. ი. „ცხოვრება, როგორიც ის უნდა იყოს“, მდაბიო ხალხის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ საკმაო საზრდო გქონდეს, კარგს ქოხში ცხოვრობდე და საკმაოდ გეძინოს; მაგრამ ამასთანავე, გლეხის წარმოდგენით, ცნება: „ცხოვრება“ ყოველთვის შეიცავს ცნებას: „მუშაობა“. მუშაობის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია; უიმისოდ იგი მოსაწყენიც იქნებოდა. სრული კმაყოფილებით ცხოვრების შედეგად დიდი მუშაობის პირობებში, რომელიც ამავე დროს არ იწვევს დაქანცვას, ახალგაზრდა გლეხს ან გლეხ-ქალს უჩნდება სახის მეტად ქორფა ფერი და დაწვის სიმწითურე,—ეს მდაბიო ხალხის წარმოდგენით სილამაზის უმთავრესი პირობაა. სოფლის ქალი ბევრი მუშაობის გამო თავისი აგებულობით ძალოკანია და საკმაოდ ჩასხმულიც, ესეც სოფლური სილამაზის აუცილებელი პირობაა: საერო, „სანახევროდ პაროვანი სილამაზის ქალი“ სოფელზე ხშირად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც იგი მიჩვეულია სიგამხდრეს ისე უყუროს, როგორც დაავადმყოფების ან „მწარე ბედის“ შედეგს. მაგრამ მუშაობის გამო შეუძლებელი ხდება მეტის-მეტი გასუქება. თუ სოფელი ქალი ჩასუქებულია, ეს ავადმყოფობაა, რომელიც სხეულის „უძარღვობას“ მოწმობს, და ხალხიც მეტის მეტ სიმსუქნეს ნაკლად სთვლის; სოფელ ლამაზ ქალს შეუძლებელია პატარა ხელ-ფეხი ჰქონდეს, რადგანაც ის ბევრს მუშაობს—სილა-

ისეთი შემთხვევა, როცა ის, რაც მანძილში წაიგება, მოიგება სიჩქარეში: სხეული, რომელიც ციკლოიდზე მოძრაობს, ერთი წერტილიდან მეორე, ქვემოთ მდებარე წერტილამდე ზოგჯერ უფრო ადრე მიდის, ვიდრე მაშინ, თუ პირდაპირი ხაზით იმოძრავებდა. „წინააღმდეგობა“ ჩნდება იქ, და მხოლოდ იქ, სადაც ბრძოლაა, სადაც მოძრაობაა: იქ კი, სადაც მოძრაობაა, აზროვნება წინ მიდის, თუნდაც არაპირდაპირი გზით. მერკანტილისტებთან წინააღმდეგობამ იუმე მიიყვანა ყალბ შეხედულებამდე ფულზე. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების და, მაშასადამე, ადამიანის აზროვნების მოძრაობა არ შეჩერებულა იმ წერტილზე, რომელსაც მან იუმეს დროს მიაღწია. ამ მოძრაობამ ჩვენ იუმეს „საწინააღმდეგო“ თვალსაზრისამდე მიგვიყვანა, და ამ წინააღმდეგობის შედეგად მივიღეთ სწორი შეხედულება ფულზე. ეს სწორი შეხედულება, რომელიც სინამდვილის ყოველმხრივი შესწავლის შედეგია, სწორედ **ობიექტურ ჭეშმარიტებას** წარმოადგენს, რომლის მოსპობაც არ შეუძლია არავითარ შემდეგს წინააღმდეგობას. ჯერ კიდევ მილის შენიშვნების ავტორი აღფრთოვანებით ამბობდა:

ის, რაც ცხოვრებით მივიღეთ ერთხელ,
ბედს აღარ ძალუძს წაგვართვას ისევ.

ცოდნის მიმართ ეს უეჭველად სწორია. არავითარ ბედისწერას არ ძალუძს წაგვართვას ეხლა ენერგიის გარდაქმნის და სახეობათა ცვალებადობის კანონი, ან მარქსის და კოპერნიკის გენიალური აღმოჩენები.

მაზის ეს თვისებები არცაა მოხსენებული ჩვენს სიმღერებში. ერთი სიტყვით, ხალხურ სიმღერებში ლამაზი ქალის აღწერილობაში დასახელებული არაა სილამაზის არც ერთი ისეთი თვისება, რომელიც ორგანიზმის სისაღის ან მის ძალთა წონასწორობის გამომხატველი არ იყოს, რაც თავის მხრით სერიოზული, მაგრამ არა მეტის-მეტად მძიმე შრომის პირობებში კმაყოფილებით ცხოვრების მუდმივ შედეგს წარმოადგენს. სულ სხვაა საეო ლამაზი ქალი: უკვე რამდენი?ე თაობის განმავლობაში მისი წინაპრები ცხოვრობდენ ისე, რომ ფიზიკურად არ მუშაობდენ; უმოკმედოთ ცხოვრების დროს სისხლის მიმოქცევა კიდურებშ. შემცირებულია; ყოველ ახალ თაობას ხელისა და ფეხის კუნთები თანდათან უსუსტდება, ძვალი უწვრილდება; ყოველ ვე ამის აუცილებელ შედეგს უნდა წარმოადგენდეს პატარა ხელ-ფეხი—რაც საზოგადოების მაღალი კლასების ცხოვრების დამახასიათებელი ნიშნებია, ცხოვრების, რომელმაც არ იცის ფიზიკური შრომა. თუ საერო ქალს დიდრონი ხელ-ფეხი აქვს, ეს ან იმის მომასწავებელია, რომ იგი ცუდათ ჩასხმულია, ან იმის, რომ იგი არ ეკუთვნის ძველ წარჩინებულთა გვარს... მართალია, ჯანმრთელობა არასოდეს არ დაჰკარგავს ფასს ადამიანის თვალში, რადგან, როგორც ფუფუნებაში, ისე კმაყოფილებით ცხოვრების დროს, ჯანმრთელობას მოკლებული ცხოვრება ცუდია,—ამის გამო ღაწ-

საზოგადოებრივი ურთიერთობანი იცვლებიან; მათ თან ერთად იცვლება მეცნიერული თეორიებიც. ამ ცვლილებათა შედეგად, ბოლოს, ჩვენ ვღებულობთ სინამდვილის ყოველმხრივ შესწავლას და, მაშასადამე, ობიექტურ ჭეშმარიტებასაც. ქსენოფონტს სულ სხვაგვარი შეხედულებები ჰქონდა, ვიდრე ჟან ბატისტ სეის. სეის შეხედულებანი ქსენოფონტს ალბად სილელედ მოეჩვენებოდა, ქსენოფანტის შეხედულებებს სეი სისულელედ აცხადებდა. ჩვენ ეხლა-კი ძალიან კარგად ვიცით, თუ საიდან წარმოიშვა ქსენოფონტისა და სეის შეხედულებანი და მათი ცალმხრივობაც. ეს უკვე ობიექტური ჭეშმარიტებაა, და ვერავითარი „ბედის წერა“ ხელს ვერ აღვაღებინებს ამ სწორ თვალსაზრისზე.

— მაგრამ კაცობრიობის აზროვნება ხომ არ შეჩერდება იმაზე, რასაც თქვენ მარქსის აღმოჩენას ან აღმოჩენებს უწოდებთ?—რასაკვირველია, არა! ის მომავალშიაც მოახდენს აღმოჩენებს, რომელიც შეავსებს და განამტკიცებს მარქსის ამ თეორიას ისე, როგორც ახალი აღმოჩენები ასტრონომიაში ავსებდა და ადასტურებდა კოპერნიკის აღმოჩენას.

„სუბიექტური მეთოდი“ სოციოლოგიაში უდიდესი შეუსაბამობაა, მაგრამ ყოველ შეუსაბამობას თავისი საკმაო მიზეზი აქვს, და ჩვენ დიდი ადამიანის თავმდაბალ მიმდევრებს შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ: ჩვენ ვიცით ამ შეუსაბამობის საკმაო მიზეზი. აი ეს მიზეზიც:

„სუბიექტური მეთოდი“-ს პირველი აღმომჩენი არ იყო არც ბ. მიხაილოვსკი და არც „სკოლის ანგელოზი“, ე. ი. „ისტორიული წერილების“ ავტორი. მას ჯერ კიდევ ბრუნო ბაუერი და მისი მიმ-

---

ვების სიმწითურე და სიცოცხლით სავსე სიქორფე საერო ხალხისთვისაც მიმზიდველია; მაგრამ ავადობას, სისუსტეს მცონარეობას და უსუსურობას, რამდენადაც საერო ხალხს ყოველივე ეს ფუფუნებითი—უმოქმედო ცხოვრების ნაყოფად მიაჩნია, მის თვალში სილამაზის ნიშნებს წარმოადგენენ. ფერმკრთალობას, უსუსურობას, ავადობას საერო ხალხისთვის სხვა მნიშვნელობაც აქვს: თუ გლეხი ეძებს მოსვენებას, სიწყნარეს, განათლებული საზოგადოების ხალხი, რომელმაც არ იცის თუ რაა მატერიალური გაჭირვება და ფიზიკური დაღლილობა, მაგრამ, რომელიც სამაგიეროდ უსაქმობისა და მატერიალური უზრუნველობის გამო, ხშირად მოწყენილობას გრძნობს, ეძებს „ძლიერ განცდებს, მღელვარებას, ვნებას“, რომელთა წყალობითაც ერთგვარი და უფერული ყოფა ცხოვრება მრავალფერიანი და მიმზიდველი ხდება. ძლიერი განცდებისა და მგზნებარე ვნებათაგან-კი ადამიანი მალე ცვდება: როგორ არ უნდა გვიბღალავდეს ლამაზი ქალის უსუსურობა, ფერმკრთალობა, თუ მისი უსუსურობა, ფერმკრთალობა იმის მაჩვენებელია, რომ მას ცხოვრებაში ბევრი რაა განუცდია“? (იხ. კრებულში „ესთეტიკა და პოეზია“. გვ. 68).

დევრები, სწორედ ის ბრუნო ბაუერი, რომელმაც შვა „ისტორიული წერილების“ ავტორი, „ისტორიული წერილების“ სწორედ ის ავტორი, რომელმაც თავისმ ხრით ბ. მიხაილოვსკი და მისი ძმანი შვა.

„ისტორიკოსის ობიექტივობა, ყოველი ობიექტივობის მსგავსად, მხოლოდ უბრალო ლაყბობაა, და სრულიადაც არა იმ აზრით, თითქოს ობიექტივობა მიუღწეველი იდეალი იყოს. ობიექტივობამდე, ე.ი. უმრავლესობის შეხედულებამდე, მასის მსოფლგაგებამდე, ისტორიკოსს მხოლოდ ჩამოვეითება შეუძლია. და რაკი ის ასე მოიქცევა, ამის შემდეგ ის შემომქმედი არაა და თავისი ეპოქის დაქირავებული მომუშავე ხდება“[1]).

ეს სტრიქონები ეკუთვნის შელიგას, რომელიც ასეთი თავგაშოდებილი მიმდევარი იყო ბრუნო ბაურის და რომელსაც ასე გესლიანად დასცინოდენ მარქსი და ენგელსი წიგნში: „Die Heilige Familie“. ჩასვით ამ სტრიქონებში „ისტორიკოსის“ ნაცვლად „სოციოლოგი“, შესცვალეთ ისტორიის „მხატვრული შემოქმედება“ საზოგადოებრივი „იდეალების“ შემოქმედებით,—და თქვენ მიიღებთ „სოციოლოგიის სუბიექტურ მეთოდს“.

ჩაუკვირდით იდეალისტის ფსიქოლოგიას. მისი აზრით ხალხის „შეხედულებანი“ საზოგადოებრივ მოვლენათა ძირითადს, უკანასკნელ მიზეზს წარმოადგენს. მას ჰგონია, თითოს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, როგორც ამას ისტორია მოწმობს, ხშირად ყველაზე უფრო შეუს ბამო შეხედულებანი ხორციელდებოდენ. „რატომ აო უნდა განხორციელდეს ჩემი შეხედულებაცო, —რომელსაც,მადლობა ღმერთს, შეუსაბამობასთან არაფერი აქვს საერთო—ჰკითხულობს იგი. რაკი არსებობს განსაზღვრული იდეალი, მაბასადამე, არსებობს, უკიდურეს შემთხვევაში, ამ იდეალის თვალსაზოისით სასურველი საზოგადოებრივი გარდა მნის შესაძლებლობაც. რაც შეეხება ამ იდეალის რაიმე ობიექტური საზომით შემოწმებას,—ეს შეუძლებელია, რადგან ასეთი საზომი არ არსებობს: უმრავლესობის შეხედულებანი ჭეშმარიტების საზომად არ გამოდგება“.

ამრიგად, ესა თუ ის გარდაქმნა იმიტომაა შესაძლებელი, რომ ამას ჩემი იდეალი მოითხოვს, ოომ ეს გარდაქმნა სასარგებლოდ მიმაჩნია. ხოლო ისინი სასარგებლოდ იმიტომ მიმაჩნია, რომ მსურს ისინი ასეთად ვიჩნიო. ობიექტური საზომის უარყოფის შემ-

---

[1]) Die Organisation der Arbeit der Menschheit und die Kunst der Geschichtschreibung Schlosser's Gervinus's, Dahlmann's und Bruno Bauer's. Von Szeliga, Charlottenburg. 1846. s. 6.

დეგ, მე არა მაქვს სხვა საზომი, გარდა ჩემი სურვილებისა. ჩემს ზნეს წინაალმდეგობას ნუ გაუწევთ!—აი სუბიექტივიზმის ერთადერთი საბუთი! სუბიექტური მეთოდი არის იდეალიზმის და მასთან ერთად ეკლექტიზმის reductio ad absurdum, რადგან ეს პარაზიტიც (ეკლექტიზმი) ყველა იმ შეცთომას შეიცავს, რაც ფილოსოფიის იმ „კარგ ბატონთ“ ახასიათებს, რომელთაც თითონ ღრღნის.

მარქსის თვალსაზრისით დაუშვებელია „ბრბოს“, უმრავლესობის“ და სხვ. შეხედულება დაუპირდაპიროთ პიროვნების „**სუბიექტურ**“ შეხედულებას, როგორც **ობიექტური** რამ. ბრბო ადამიანებისაგან შესდგება, ხოლო ადამიანთა შეხედულებანი ყოველთვის „სუბიექტურია“, რადგან ესა თუ ის შეხედულება ყოველთვის **სუბიექტის** ერთ-ერთ თვისებას შეადგენს. ობიექტურია არა „ბრბოს“ შეხედულებანი, არამედ **ის ურთიერთობანი** ბუნებასა და საზოგადოებაში, რომლებსაც ეს შეხედულებანი გამოხატავენ. ჰეშმარიტების კრიტერიუმი ჩემში კი არ იმყოფება, არამედ ჩემს გარეშე არსებულ ურთიერთობაში. **ჰეშმარიტია** ის შეხედულებანი, რომლებიც ამ ურთიერთობას სწორად გამოხატავენ; **შემცდარია** ის შეხედულებანი, რომლებიც მათ ამახინჯებენ. **ჰეშმარიტია** ის საბუნებისმეტყველო თეორია, რომელიც სწორად ასახავს ბუნების მოვლენათა ურთიერთ დამოკიდებულებას; **ჰეშმარიტია** ის ისტორიული აღწერილობა, რომელიც სწორად გამოხატავს ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობას. იქ, სადაც ისტორიკოსს ერთი-მეორის საწინაალმდეგო საზოგადოებრივი ძალების ურთიერთი ბრძოლის დასურათება უხდება, ის აუცილებლად ან ერთის, ან მეორის თანამგრძნობი იქნება, თუ, რასაკვირველია, ის თვით უგულო პედანტად არ გადაქცეულა. ამ მხრით იგი არ იქნება ობიექტური, მიუხედავად იმისა, **უმცირესობას** თანაუგრძნობს ის, თუ **უმრავლესობას**. მაგრამ სუბიექტივიზმი მას ხელს არ შეუშლის **სრულიად** ობიექტური ისტორიკოსი იყოს, თუ იგი არ **დაამახინჯებს იმ რეალურ ეკონომიურ ურთიერთობას, რომლის ნიადაგზეც მებრძოლი საზოგადოებრივი კლასები წირმოიშვენ**. „სუბიექტური“ მეთოდის მიმდევარი-კი ამ **რეალურ ურთიერთობას** ივიწყებს, და ამიტომ მას არ შეუძლია სხვა რისამე მოცემა, გარდა თავისი ძვირფასი თანაგრძნობისა ან საშინელი ანტი-პატიისა. ამიტომ ის ყოველთვის, როცა მას ეუბნებიან, რომ ეს საკმარისი არაა, დიდ ხმაურობას ასტეხს ხოლმე და თავის მოწინააღმდეგეებს ბრალს სდებს ზნეობის შეურაცხყოფაში. იგი გრძნობს, რომ მას არ შეუძლია გაიგოს რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საიდუმლოება, და ამიტომ მათს ობიექტურ ძალაზე ყოველი

მითითება მას შეურაცხყოფად, თავის საკუთარი უძლურებაზე დაცინვად ეჩვენება. იგი ცდილობს ჩააღრჩოს ურთიერთობანი თავისი ზნეობრივი უკმაყოფილების მორევში.

მაშასადამე, მარქსის თვალსაზრისით, იდეალი შეიძლება მრავალგვარი იყოს: უზნეოც, მაღალიც, სწორიც, შემცდარიც. სწორი ის იდეალია, რომელიც ეკონომიურ სინამდვილეს შეესაბამება. ამის გაგონებაზე სუბიექტივისტები იტყვიან: თუ მე დავიწყებ ჩემი იდეალების შეგუებას სინამდვილესთან, ამით მე „გამარჯვებულთა" საბრალო მოახლე გავხდებიო. მაგრამ ისინი ამას მხოლოდ იმიტომ იტყვიან, რომ მათ, როგორც მეტაფიზიკოსებს, არ ესმით ყოველი სინამდვილის ორმაგი, **ანტაგონისტური** ხასიათი. **„გამარჯვებულნი" ემყარებიან უკვე გარდამავალ სინამდვილეს,** რომლის გვერდით **ახალი,** მომავლის სინამდვილე ჩნდება. ვინც ამ სინამდვილეს ემსახურება, ის ხელს უწყობს „**სიყვარულის დიადი საქმის**" გამარჯვებას.

მკითხველისათვის ეხლა ნათელია, შეესაბამება თუ არა „**სინამდვილეს**" ის შეხედულება მარქსისტებზე, რომლის მიხედვითაც ისინი **იდეალებს თითქოს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდენ.** ეს შეხედულება **სრულიად ეწინააღმდეგება „სინამდვილეს".** თუ „იდეალების" მიხედვით ვილაპარაკებთ, — მარქსის თეორია **ყველა იმ თეორიაზე უფრო იდეალისტურია, რომელთაც კაცობრიობის აზროვნების ისტორია იცნობს.** და ეს მართალია, როგორც **მისი წმინდა-მეცნიერული,** ისე **მისი პრაქტიკული** ამოცანების მიმართ.

„რა გაეწყობა, თუ ბ. მარქსს არ ესმის თვითშეგნების მნიშვნელობა და მისი ძალა? რა გაეწყობა, თუ ის თვითშეგნების შეცნობილ ჭეშმარიტებას ასე დაბლა აყენებს?".

ეს სიტყვები დაწერილია ბრუნო ბაუერის [1]) ერთ-ერთი მიმდევარის მიერ ჯერ კიდევ 1847 წ., და თუმცა ეხლა მეორმოცე წლების ენით უკვე არ ლაპარაკობენ, მაგრამ დღემდე ოპიცს ვერ გასცილებია ის ხალხი, რომელიც უსაყვედურებს მარქსს აზრისა და გრძნობის ელემენტის მნიშვნელობის უარყოფას ისტორიაში. ყველა ისინი დღემდე დარწმუნებული არიან, რომ მარქსი მეტად დაბლა აყენებს ადამიანის თვითშეგნების ძალას; ყველა ისინი სხვადასხვა-

---

[1]) Die Helden der Masse. Charakteristiken. Herausgegeben von Theodor Opitz. Grünberg 1848, გვ.გვ. 6—7. დაბეჯითებით ურჩევთ ბ. მიხაილოვსკის ამ თხზულების წაკითხვას. ის იქ ბევრ თავის ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ აზრს შეხვდება.

ნაირად ერთსა და იმავეს იმეორებენ [1]). ნამდვილად-კი მარქსი ადამიანის „**თვითშეგნების**“ ახსნას სოციალური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა.

ის ამბობდა: „დღემდე მატერიალიზმის (ფოიერბახის მატერიალიზმის ჩათვლით) მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი სინამდვილეს, მატერიალურ გრძნობადს საძყაროს განიხილავდა მხოლოდ **ობიექტის** ან **მჭვრეტელობის** ფორმით, და **არა ადამიანის კონკრეტული მოქმედების** —არა **პრაქტიკის** ფორმით, არა **სუბიექტურად**. ამიტომ **მოქმედებითს** მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, დღემდე იდეალიზმი ანვითარებდა, მაგრამ ანვითარებდა განყენებულად, რადგან იდეალიზმი, ცხადია, კონკრეტულ მოქმედებას, როგორც ასეთს, არ სცნობს“. ბატონებო, ჩაკვირვებიხართ თქვენ, ოდესმე მარქსის ამ სიტყვებს? ჩვენ აგიხსნით, თუ რას ნიშნავს იგი.

ჰოლბახი ჰელვეციუსი და მათი მიმდევრები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა ბუნების მატერიალისტურად ახსნის შესაძლებლობა დაემტკიცებიათ. თანდაყოლილ იდეათა უარყოფაც-კი ვეო შეელოდა ამ მატერიალისტებს გასცილებოდენ იმ თვალსაზრისს, როძელიც ადამიანს განიხილავდა როგორც ცხოველთა სამეფოს წევრს, როგოოც matiére sensible. ისინი არ ცდილობდენ **ადამიანის ისტორია** თავისი თვალსაზრისით აეხსნათ, და თუ კი იყო ასეთი შემთხვევა (ჰელვეციუსი), იგი მაინც მარცხით თავდებოდა. მაგრამ ადამიანი „**სუბიექტად**“ **მხოლოდ ისტორიაში** იქცევა, რადგან მისი **თვითშეგნება** მხოლოდ ისტორიაში ვითარდება. განიხილო ადამიანი მხოლოდ ოოგორც ცხოველთა სამეფოს წევრი, ნიშნავს განიხილო იგი, როგორც „**ობიექტი**“ და მხედველობიდან გაუშვა ძისი ისტორიული განვითარება, მისი საზოგადოებრივი „პრაქტიკა“, კონკოეტული ადამიანური მოქმედება. მაგრამ ყოველივე ამის მხედველობიდან გაშვება მატერიალიზმის „მშრალ, უფერულ და მოსაწყენ“ (გოეთე) მოძღვრებად გადაქცევას ნიშნავს. კიდევ მეტი, ეს, როგორც ჩვენ ზემოთ აღენიშნეთ, მის **ფატალისტურ** მოძღვრებად გადაქცევას მოასწავებს, რაც ადამიანს ბრმა მატერიის სრულ მონად ხდის. ძარქსმა შენიშნა ფრანგულისა და ფოიერბახის მატერიალიზმის ეს ნაკლი და მიზნად დაისახა **მისი გასწორება**. მისი „ეკონომიური“ მატერიალიზმი იმ კითხ-

---

[1]) თუმცა ყველა არა: არავის ჯერ აზრად არ მოსვლია მარქსის დამალცხება იმით, რომ „ადამიანი შესდგება სულისა და სხეულისაგან“. ბ. კარეევი ორიგინალურია ორმაგად: 1) არავინ ბ. კარეევამდე მარქსთან ასე არ დავობდა; 2) ის შემდეგ, ალბად, არავინ ასე არ იდავებს მასთან. ამ შენიშვნიდან ბ. ვ. ვ. დაინახავს, რომ ჩვენც შეგვძლებია მის „პროფესორს“ სათანადო მიუღოთ

ვის პასუხს წარმოადგენს, თუ როგორ ვითარდება ადამიანის „**კონკრეტული მოქმედება**“, თუ ამ უკანასკნელის წყალობით, როგორ ვითარდება მისი **თვითშეგნება**, როგორ იქმნება **ისტორიის სუბიექტური მხარე**. როცა ეს საკითხი თუგინდ ნაწილობრივად მაინც გადაიჭრება, მატერიალიზმიც არ იქნება მშრალი, უფერული და მოსაწყენი; ის ამის შემდეგ არ დაუთმობს იდეალიზმს პირველ ადგილს ადამიანის არსებობის მოქმედებითი მხარის ახსნის დროს. მაშინ იგი განთავისუფლდება ფატალიზმისაგან.

მგრძნობიარე, მაგრამ გონება-სუსტი ხალხი იმიტომ ებრძვის მარქსის თეორიას, რომ მარქსის **პირველი სიტყვა** ამ ხალხს უკანასკნელი სიტყვა ჰგონია. მარქსი ამბობს: **სუბიექტის** განხილვის დროს საჭიროა გავიგოთ, რა ურთიერთ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან ადამიანები **ობიექტური** აუცილებლობის ზეგავლენით. მას შემდეგ, რაც ცნობილია ეს ურთიერთობა, შეიძლება გამოვარკვიოთ, თუ ამ ურთიერთობის ზეგავლენით როგორ ვითარდება ადამიანის თვითშეგნება. **ობიექტური სინამდვილე** დახმარებას გაგვიწევს ისტორიის **სუბიექტური მხარის** გამორკვევაში. აი სწორედ აქ აწყვეტინებს მარქსს მსჯელობას მგრძნობიარე, მაგრამ გონება-სუსტი ხალხი. ჩვეულებრივად სწორედ აქ მეორდება ჩაცკის ფამუსოვთან ლაპარაკის საოცრად მსგავსი რამ.—„თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოების პროცესში ადამიანები ეჯახებიან განსაზღვრულს, მათ ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას: წარმოების ურთიერთობას“...—აი, დახეთ, ფატალისტია!..—„ეკონომიურ საფუძველზე აღიმართება იდეოლოგიური ზედნაშენი...“—რას ამბობს! და ამბობს სწორედ ისე, როგორც სწერს! იგი სრულიად არ სცნობს პიროვნების როლს ისტორიაში!...—„ერთხელ მაინც მოისმინეთ; უკვე ნათქვამიდან ხომ ჩანს, რომ...“—„არა, არ მსურს მოვისმინო, პასუხისგებაში მიეცით! აქტიურ-პროგრესიულ პიროვნებათა ზნეობრივი სამსჯავროს წინაშე აგებინეთ პასუხი, იყოლიეთ სუბიექტური სოციოლოგიის ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ!!“.

ჩაცკი, როგორც ვიცით, სკალოზუბის გამოჩენამ იხსნა. მარქსის რუს მიმდევართა დავის დროს მკაცრ სუბიექტურ შემფასებლებთან დღემდე საქმე სხვაფერ მიდიოდა. სკალოზუბი გააჩუმებდა ჩაცკებს და მაშინ სუბიექტური სოციოლოგიის ფამუსოვები თავისი უპირატესობის შეგნებით აცხადებდენ: მათ ხომ მხოლოდ ორიოდე სიტყვა თქვეს; მათი შეხედულებანი სრულიად გამოურკვეველი რჩებიანო.

ჯერ კიდევ ჰეგელი ამბობდა, რომ ყოველი ფილოსოფია შეიძლება **უშინაარსო ფორმალიზმად გადაიქცეს**, თუ მის ძირითად დებულებათა უბრალო განმეორებით დავკმაყოფილდებითო. მაგრამ მარქსი ასეთი ცოდვისაგან სრულიად თავისუფალია. ის არ კმაყოფილდებოდა იმის განმეორებით, რომ საწარმოო ძალთა განვითარება კაცობრიობის მთელი ისტორიული მოძრაობის საფუძველია. იშვიათია ისეთი მოაზროვნე, რომელსაც თავისი ძირითადი დებულებები ისე განევითარებიოს, როგორც ეს მარქსმა განავითარა.

— მაგრამ სად, სად განავითარა მან თავისი შეხედულებანი?— სხვადასხვა ხმაზე მღერიან, ღაღადებენ, გაიძახიან და ჰკითხულობენ ბ. ბ. სუბიექტივისტები.—აი შეხედეთ დარვინს, მან **წიგნი** დასწერა, მარქსს-კი წიგნი არ დაუწერია და ამიტომ მისი შეხედულებათა **აღდგენა** გვიხდება.

რა თქმა უნდა: „აღდგენა“ არაა ადვილი და სასიამოვნო საქმე, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც მოკლებულია სხვისი ნააზრევის სწორად გაგების და„აღდგენისათვის“ საჭირო „სუბიექტურ“ უნარს. მაგრამ აღდგენა საჭირო არაა, და წიგნიც, რომლის არ არსებობის გამო ნაღვლობენ ბ.ბ. სუბიექტივისტები, დიდი ხანია არსებობს. რამდენიმე წიგნიც-კი მოიპოვება, რომლებიც ერთი-მეორეზე უკეთ არკვევენ მარქსის ისტორიულ თეორიას.

პირველი წიგნი—ეს ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერების ისტორიაა XVIII საუკუნის დასასრულიდან. გაეცანით ამ საინტერესო წიგნს (რასაკვირველია, „ლჟუისი“ ამ შემთხვევაში საკმარისი არაა): ის დაგანახვებს თქვენ, თუ რატომ წარმოიშვა და რატომ **უნდა წარმოშობილიყო** მარქსის თეორია, როგორი პასუხი გასცა მან მანამდე გადაუჭრელ საკითხებს და, მაშასადამე, როგორია **მისი ჭეშმარიტი აზრი.**

მეორე წიგნი,—მოწყალეო ხელმწიფენო, ეს არის „კაპიტალი“, სწორედ ის „კაპიტალი“, რომელიც თქვენ ყველას „წაგიკითხავთ“, რომელსაც თქვენ ყველა „იზიარებთ“, მაგრამ, რომელიც ვერც ერთმა თქვენთაგანმა ვერ გაიგო.

მესამე წიგნი—ეს არის ევროპის ისტორია 1848 წლიდან, ე. ი. ცნობილი „მანიფესტის“გამოქვეყნების დღიდან. გაისარჯეთ და ჩაუკვირდით ამ შინაარსით მეტად მდიდარსა და საგულისხმო წიგნს და გვითხარით სინდისის ქვეშ, თუ კი თქვენ დაგრჩენიათ ოდნავი გულწრფელობა მაინც: ნუთუ მარქსის თეორიამ არ შესძინა მას მოვლენათა გათვალისწინების საკვირველი, მანამდე წარმოუდგენელი უნარი?

რა ბედი ეწვია რეაქციის, კონსერვატიზმის ან პროგრესის სხვადასხვა ჯურის მარქსის თანამედროვე უტოპისტებს? სად გაჰქრა ის მტვერი, რადაც მათი „იდეალები“ იქცა **სინამდვილესთან** პირველი შეხებისთანავე? აკი მტვერის კვალიც არ დარჩენილა; ხოლო ის, რასაც მარქსი ამბობდა, ხორციელდებოდა არსებითად, რასაკვირველია, ყოველდღიურად და მომავალშიაც განუწყვეტლივ იწარმოებს მისი განხორციელება, სანამ საბოლოოდ ხორცს არ შეისხამს მისი იდეალი მთლიანად.

ვფიქრობთ, ამ სამი წიგნის დამოწმება საკმარისია, და შეუძლებელია რომელიმე მათგანის არსებობის უარყოფა. თქვენ იტყვით, რასაკვირველია, ჩვენ იქ იმას კი არ ვკითხულობთ, რაც სწერია? კეთილი, თქვით და დაამტკიცეთ ეს; ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენს დასაბუთებას, ხოლო საქმე რომ გაგიადვილოთ, ჩვენ ჯერ მეორე წიგნის შინაარს გაგირკვევთ.

თქვენ, თქვენივე თქმით, აღიარებთ მარქსის **ეკონომიურ** შეხედულებებს და უარჰყოფთ მის ისტორიულ თეორიას. უნდა გამოვტყდეთ, რომ ამით ძლიერ ბევრია ნათქვამი, სახელდობრ, **ამით ნათქვამია, რომ თქვენ არ გესმით მარქსის არც ისტორიული თეორია, არც მისი ეკონომიური შეხედულებანი.**

რაზეა ლაპარაკი „კაპიტალის“ პირველ ტომში? იქ ლაპარაკია, მაგალითად, ღირებულებაზე. იქ ნათქვამია, რომ ღირებულება არის **წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობაო.** იზიარებთ თუ არა თქვენ ამ შეხედულებას? თუ—არა, მაშინ თქვენ უარს ამბობთ თქვენსავე სიტყვებზე მარქსის ეკონომიურ თეორიასთან თანხმობის შესახებ. თუ—ჰო, მაშინ თქვენ აღიარებთ მის **ისტორიულ თეორიას**, თუმცა, **აშკარაა**, იგი თქვენ არც კი გესმით.

რაკი თქვენ აღიარებთ, რომ ადამიანთა ნებისგან დამოუკიდებლად არსებული და მათ ზურგს უკან მომქმედი საწარმოო ურთიერთობანი მათ აზროვნებაში გამოიხატებიან პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა კატეგორიის: **ღირებულების, ფულის, კაპიტალის და სხვა სახით,** ამით თქვენ იმასაც აღიარებთ, რომ განსაზღვრულ ეკონომიურ საფუძველზე აუცილებლად აღმოცენდება გარკვეული, მისი შესაბამი იდეოლოგიური ზედნაშენი. ამ შემთხვევაში თქვენი გარდაქმნის საქმე სამი მეოთხედით უკვე შესრულებულია, რადგან თქვენ დაგრჩენიათ თქვენი „საკუთარი,“ ე. ი. მარქსისაგან ნასესხები შეხედულება გამოიყენოთ ისეთი მაღალი რიგის იდეოლოგიურ კატეგორიათა ანალიზის საქმეშიც, როგორიცაა: სამართალი, სამართლიანობა, ზნეობა, თანასწორობა და სხვ.

ან, იქნებ, თქვენ მარქსს მისი „კაპიტალის“ მეორე ტომიდან ეთანხმებით? აკი მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც მხოლოდ იმდენად სცნობს მარქსს, რამდენადაც მან ბ. მიხაილოვსკის ეგრეთწოდებული წერილი მისწერა.

თქვენ არ სცნობთ მარქსის ისტორიულ თეორიას? მაშასადამე, თქვენის აზრით, შემცდარია ის თვალსაზრისი, რომლითაც ის, მაგალითად, 1848-დან 1851 წლამდე საფრანგეთის ისტორიის მოვლენებს აფასებდა თავის გაზეთში: „Neue Rheinische Zeitung“ და იმ დროის სხვა პერიოდულ გამოცემებში და აგრეთვე წიგნში: „Der achtzehnte Brumaire des Louis Bonapartes?“ სა წუხაროა, რომ თქვენ არ გაისარჯეთ და არ დაგვანახვეთ ამ თვალსაზრისის სიყალბე; სამწუხაროა, რომ თქვენი შეხედულებანი **განუვითარებელი რჩება, და რომ ამისათვის მათი „აღდგენაც“ შეუძლებელია.**

ამრიგად, თქვენ არ სცნობთ მარქსის ისტორიულ თეორიას? თქვენი აზრით, მაშასადამე, შემცდარია ის თვალსაზრისი, რომლითაც ის, მაგალითად, XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების ფილოსოფიურ მოძღვრებათა მნიშვნელობას აფასებდა? სამწუხაროა, რომ თქვენ მარქსი ამ შემთხვევაშიაც ვერ გააბათილეთ. ან, იქნებ, თქვენ არც-კი იცით, თუ სად ლაპარაკობდა მარქსი ამის შესახებ? თუ ასეა, მაშინ ჩვენ არ გვსურს გიხსნათ გაჭირვებისგან; თქვენ ხომ უნდა იცნობდეთ „ლიტერატურას“ იმ „საგნის“ შესახებ, რაზეც მსჯელობთ; აკი ბევრი თქვენთაგანი,—ბ. მიხაილოვსკის ენით რომ ვქთვათ, მეცნიერების ორდინარულ და ექსტრა-ორდინარულ მეზარეთა სახელს ატარებს. მართალია, ამ სახელმა თქვენ ხელი არ შეგიშალათ უმთავრესად ისეთი „კერძო“ მეცნიერებით გართულიყავით, როგორიცაა, მაგალითად: სუბიექტური სოციოლოგია, სუბიექტური ისტორიოსოფია და სხვ.

— მაგრამ რატომ არ დასწერა მარქსმა ისეთი წიგნი, სადაც, მისი თვალსაზრისის მიხედვით, გადმოცემული იქნებოდა კაპიტალიზმის მთელი ისტორია ძველი დროიდან დღევანდლამდე და განხილული იქნებოდა განვითარების ყველა სფერო: ეკონომიური, იურიდიული, რელიგიური, ფილოსოფიური და სხვ.?

ყოველი განათლებული გონების დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს საკითხის სწორად დასმაში, იმის ცოდნაში, თუ როგორი პასუხის მოცემა შეუძლია თანამედროვე მეცნიერებას და როგორის არა. მარქსის მოწინააღმდეგენი-კი, ამ ნიშანს თითქოს მოკლებულნი არიან, მიუხედავად მათი **ექსტრა-ორდინარობისა** და ზოგჯერ **ორდინარობისაც**-კი, და შეიძლება სწორედ ამის გამოც. ნუ თუ თქვენ.

ფიქრობთ, რომ ბიოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ისეთი წიგნი, რომელშიაც მოთხრობილია ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს მთელი ისტორია დარვინის თვალსაზრისით? ამის შესახებ თქვენ მოელაპარაკეთ რომელსამე ბოტანიკოსს ან ზოოლოგს და ის, თქვენს ბავშვურ გულუბრყვილობაზე წინასწარ დაცინვის შემდეგ, გეტყვით, რომ დარვინის თვალსაზრისით სახეობათა მთელი ისტორიის წარმოდგენა—ეს თანამედროვე მეცნიერების **იდეალია** და თუ როდის იქნება ის მიღწეული არც კი ვიცით. ამჟამად-კი ნაპოვნია ის ერთადერთი **თვალსაზრისი**, რომლითაც შესაძლებელია სახეობათა ისტორიის გაგება [1]). სავსებით ასეა საქმე თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში.

„რას წარმოადგენს დარვინის მთელი შრომა?—კითხულობს ბ. მიხაილოვსკი.—რამდენსამე ურთიერთთან მჭიდროდ შეკავშირებულ იდეას, რომელიც ანზოგადოებს და სისტემაში მოჰყავს ფაქტიური მასალის მთელი მონბლანი. სადაა მარქსის ანალოგიური შრომა? ასეთი არ არსებობს... და არა მარტო მარქსს არ გააჩნია ასეთი შრომა, ის არ მოიპოვება მთელ მარქსისტულ ლიტერატურაშიც, მიუხედავად მისი სიდიდისა და ფართოდ გავრცელებისა... ეკონომიური მატერიალიზმის თვით საფუძვლები, რომელსაც, როგორც აქსიომას, დაუსრულებლივ იმეორებენ, დღემდე ურთიერთ შეუკავშირებელი და ფაქტებით შეუმოწმებელია. ეს განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ თეორიაში, რომელიც პრინციპულად მატერიალურს, ხელსახებ ფაქტებს ემყარება და par excellence „მეცნიერული“ თეორიის ტიტულს იჩემებს“ [2]).

ის აზრი, თითქოს ეკონომიური მატერიალიზმის თვით საფუძვლები ურთიერთთან შეუკავშირებელი იყოს, **აშკარა სიყალბეა**. საკმარისია „Zur Kritik der politischen Oekonomie“-ის წინასიტყვაობის წაკითხვა, რომ დავრწმუნდეთ,—თუ რა რიგ მწყობრად და მჭიდროდ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული. არც ისაა სწორი, თითქოს ეს საფუძვლები შეუმოწმებელი იყოს—ისინი შემოწმე-

---

[1]) „Alle diese verschiedenen Zweige der Entwickelungsgeschichte, die jetzt noch teilweise weit auseinanderliegen und die von den verschiedensten empirischen Erkenntnissquellen ausgegangen sind, werden von jetzt an mit dem steigenden Bewusstsein ihres einheitlichen Zusammenhanges sich höher entwickeln. Auf den verschiedensten empirischen Wegen wandelnd und mit den mannigfaltigsten Methoden arbeitend werden sie doch alle auf ein und dasselbe Ziel hinstreben, auf das grosse Endziel einer uniwersalen monistischen Entwickelungsgeschichte“. E. Haeckel, „Ziele und Wege heutigen Entwickelungsgeschichte“ Jena, 1875, S. 96.

[2]) „Русское Богатство“, იანვარი 1894 წ. განყ. II, გვ.გვ. 105—106.

გულია საზოგადოებრივ მოვლენათა ანალიზით: „მე-18—ბრიუმერსა“ და „კაპიტალში,“ მაგრამ „კაპიტალის“ არა იმ თავში „განსაკუთრებით“ (როგორც ბ. მიხაილოვსკი ფიქრობს), სადაც თავდაპირველ დაგროვებაზეა ლაპარაკი, **არამედ ყველა თავში—პირველიდან უკანასკნელამდე.** და თუ, მიუხედავად ამისა, ეს თეორია არც ერთხელ არა ყოფილა დალაგებული ფაქტიური მასალის „მთელ გროვასთან“ დაკავშირებით, რაც ბ. მიხაილოვსკის აზრით, მას დარვინის თეორიაზე დაბლა აყენებს, აქაც მხოლოდ გაუგებრობას აქვს ადგილი. იმ ფაქტიური მასალით, რომელსაც, მაგალითად წიგნი „The origin of species“ შეიცავს, უმთავრესად სახეობათა **ცვალებადობა** მტკიცდება; **ზოგი ცალკე სახეობის ისტორიას-კი დარვინი მხოლოდ გაკვრით და ისიც ჰიპოტეტიურად ეხება:** შესაძლოა ისტორია, ერთი ან მეორე გზით წასულიყო, მაგრამ ერთი მაინც ეკვს გარეშეა: **ისტორია იყო, სახეობანი იცვლებოდენ.** ეხლა ჩვენ შეეკითხებით ბ. მიხაილოვსკის: საჭირო იყო თუ არა დაემტკიცებია მარქსს, რომ კაცობრიობა ერთ ადგილზე არ სდგას, რომ საზოგადოებრივი ფორმები იცვლება, რომ ადამიანთა შეხედულებანი ერთმანეთს სცვლიან, ერთი სიტყვით, საჭირო იყო თუ არა ამგვარი მოვლენათა **ცვალებადობის** დამტკიცება? რასაკვირველია, არ იყო საჭირო, თუმცა ადვილი საქმე იყო ასეთი დამტკიცების მიზნით „ფაქტიური მასალის მონბლანის“ დაგროვება. რა უნდა გაეკეთებია მარქსს? სოციალურ მეცნიერებისა და ფილოსოფიის წინანდელმა ისტორიამ დააგროვა უამრავი **წინააღმდეგობა,** რომელიც დაჟინებით მოითხოვდა გადაპრას. **მარქსმაც ისინი იმ თეორიის საშუალებით გადასჭრა, რომელიც დარვინის თეორიის მსგავსად, „რამოდენიმე ურთიერთ დაკავშირებულ და განმაზოგადოებელ იდეას“ შეიცავს.** როცა ეს იდეები წარმოიშვა, მაშინ გამოირკვა, რომ მათი საშუალებით შესაძლოა ყველა იმ წინააღმდეგობათა გადაჭრა, რომელიც ადრინდელ მოაზროვნეებს აფრთხობდა. მის წინამორბედთა მიერ შეგროვილი უამრავი ფაქტიური მასალა მარქსს კი არ უნდა შეეხუხულავებინა, არამედ, სხვათა შორის, ეს მასალა უნდა გამოეყენებია და შესდგომოდა კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის შესწავლას ახალი თვალსაზრისით. ასეც მოიქცა მარქსი, როცა იგი კაპიტალისტური ეპოქის ისტორიის შესწავლას შეუდგა, რის შედეგად მივიღეთ „კაპიტალი“ (ჩვენ არაფერს ვამბობთ ისეთ მონოგრაფიაზე, როგორიცაა, მაგალითად, „მე-18 ბრიუმერი“).

მაგრამ „კაპიტალში“, ბ. მიხაილოვსკის შენიშვნით, „ლაპარაკია მხოლოდ ერთ ისტორიულ პერიოდზე და ამ ფარგლებშიაც საგანი, რასაკვირველია, დაახლოებითაც-კი არაა ამოწურული“. ეს

მართალია. მაგრამ ჩვენ კვლავ მოვაგონებთ ბ. მიხაილოვსკის: განათლებული გონების დამახასიათებელია ის, რომ მან იცის, თუ როგორი მოთხონვილება შეიძლება წავუყენოთ მეცნიერს. მარქსს არ შეეძლო თავის გამოკვლევაში ყველა პერიოდს შეხებოდა, სწორედ ისე, როგორც დარვინს არ შეეძლო **ყველა** ცხოველისა და მცენარის სახეობის ისტორია დაეწერა.

საგანი არაა ამოწურული ერთი ისტორიული პერიოდის შესახებ—თუგინდ დაახლოვებით მაინც. დიახ, ბ. მიხაილოვსკი, დაახლოვებითაც კი არაა ამოწურული. მაგრამ, გვითხარით, რა საგანი ამოწურა დარვინმა თუგინდ „დაახლოვებით“ მაინც. ჩვენ ეხლავე აგიხსნით, თუ რა მხრით და რისთვის არაა „კაპიტალში“ საკითხი ამოწურული.

ახალი თეორიის მიხედვით, კაცობრიობის ისტორიული მოძრაობა განისაზღვრება საწარმოო ძალთა განვითარებით, რაც ეკონომიურ ურთიერთობათა შეცვლას იწვევს. ამიტომ, ყოველი ისტორიული გამოკვლევა განსაზღვრული ქვეყნის საწარმოო ძალთა მდგომარეობისა და ეკონომიურ ურთიერთობათა შესწავლით უნდა იწყებოდეს. მაგრამ, ცხადია, გამოკვლევა მხოლოდ ამაზე არ უნდა შეჩერდეს: მან ნათელი უნდა გახადოს, თუ როგორ იმოსება ეკონომიის ჩონჩხი სოციალურ-პოლიტიკურ ფორმათა ცოცხალი ქსოვილით, ხოლო შემდეგ,—და ეს ამოცანის ყველაზე უფრო საინტერესო ძაარეა, —ადამიანის იდეების, გრძნობების, მისწრაფებათა და იდეალების ქსოვილით. შეიძლება ითქვას, რომ მკვლევარს ხელში ეძლევა **მკვდარი მატერია** (აქ, როგორც მკითხველი ხედავს ჩვენ ნაწილობრივ ბ. კარეევის სტილით ვლაპარაკობთ) მისი ხელიდან კი **სიცოცხლით სავსე ორგანიზმი** უნდა გამოვიდეს. მარქსმა შესძლო იმ საკითხების და ისიც მხოლოდ დაახლოვებით ამოწურვა, რომელიც, უმთავრესად, მის მიერ არჩეული პერიოდის მატერიალურ ყოფას შეეხებოდა. მარქსი არც ისე მოხუცი იყო, როცა გარდაიცვალა, მაგრამ მას 20 წელი კიდევ რომ ეცოცხლა, ის, ალბად, **იმავე პერიოდის მატერიალური ყოფის** საკითხების შესწავლას განაგრძობდა (გარდა, შესაძლოა, ცალკე მონოგრაფიებისა). სწორედ ესაა ბ. მიხაილოვსკის რომ აბრაზებს. ის, დოინჯ შემოყრილი ნოტაციას უკითხავს სახელგანთქმულ მოაზროვნეს: „ეს რაა, ჩემო ძმაო?.. მხოლოდ ერთი პერიოდი... და ისიც არა სავსებით... არ შემიძლია, მოგიწონო... დარვინისთვის უნდა მიგებაძა!“ მთელი ამ სუბიექტურ ნოტაციაზე „კაპიტალის“ საბრალო ავტორი უპასუხებს მხოლოდ ღრმა ამოოხვრით

და შემდეგი ნაღვლიანი აღსარებით. Die Kunst ist lang und kurz ist unser Leben!

ბ. მიხაილოვსკი სწრაფად და მრისხანედ მიუბრუნდება მარქსის მიმდევარ „ბრბოს:“ თქვენ რას უყურებდით, რად არ დაეხმარეთ მოხუცს, რად არ ამოსწურეთ ყველა პერიოდი?—ჩვენ არ გვეცალა, ბ. სუბიექტურო გმირო, უპასუხებენ ქედმოხრილი მიმდევრები ქუდის მოხდით; ჩვენ სხვა საქმეს ვაკეთებდით, ჩვენ ვიბრძოდით წარმოების იმ ურთიერთობის წინააღმდეგ, რომელიც მძიმე ლოდად აწევს თანამედროვე კაცობრიობას. ნუ დაგვსჯით! სხვათა შორის, ცოტა რამ მაინც გავაკეთეთ; მოგვეცით ვადა,—მეტსაც გავაკეთებთ.

ბ. მიხაილოვსკი ცოტათი ლმობიერდება: მაშასადამე, ეხლა თქვენც ხედავთ, რომ სავსებით არაა ამოწურული?—როგორ არ ვხედავთ! საკითხი სავსებით დარვინის მიმდევრებსაც ხომ არ ამოუწურავთ[1]), სავსებით ვერც სუბიექტური სოციოლოგია ახერხებს მის ამოწურვას.

დარვინის მიმდევრებზე მითითება ჩვენი ავტორის ახალ განრისხებას იწვევს.—რა მომაბეზრეთ თავი დარვინით! დარვინით გატაცებული იყო ჭკვიანი ხალხი, მას ბევრი პროფესორი დადებითად აფასებდა, მარქსს-კი ვინ მიჰყვება? მხოლოდ მუშები და მეცნიერების უპატენტო პრივატ-მეზარეები.

ეს საყვედური იმდენად საინტერესო ხასიათს ღებულობს, რომ ჩვენ უნებლიეთ განვაგრძობთ მის მოსმენას.

„წიგნში ოჯახის, საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“ ენგელსი, სხვათა შორის, ამბობს, რომ მარქსის „კაპიტალი“-ს შესახებ კრინტიც არ დასძრეს გერმანელმა ეკონომისტებმა; წიგნში „ლიუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“ იგი აღნიშნავს, რომ ეკონომიური მატერიალიზმის თეორეტიკოსებმა „თავიდანვე, უმთავრესად, მუშებს მივმართეთ და მათში შეთვისების ისეთი უნარი დავინახეთ, როგორსაც ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენელთაგანაც-კი არ მოველოდით-ო“. რამდენად სწორია ეს ფაქტები და როგორია მათი მნიშვნელობა? პირველ ყოვლისა, რაიმე ლირსშესანიშნავის დიდი ხნით „მიჩქმალვა“ ჩვენშიაც-კი, ჩვენი მეც-

---

[1]) საყურადღებოა, რომ **დ ა რ ვ ი ნ ი ს** მოწინააღმდეგენი დიდხანს იმეორებდენ და ეხლაც იმეორებენ, რომ მის თეორიას სწორედ ფაქტიური საბუთების «მონბლანი» აკლიაო. ასეთი ახრი გამოთქვა, როგორც ვიცით, **ვ ი რ ხ ო ვ მ ა** გერმანელ ბუნებისმეტყველთა და ექიმების ყრილობაზე მიუნხენში 1877 წლის სექტემბერს. ჰეკელმა თავის პასუხში სწორად აღნიშნა, რომ თუ **დ ა რ ვ ი ნ ი ს** თეორია არ მტკიცდება იმ ფაქტებით, რომელიც ჩვენთვის ეხლა უკვე ცნობილია, მაშინ ვერავითარი ახალი ფაქტი მის სასარგებლოდ ვერაფერს იტყვისო.

ნიერული და ლიტერატურული შემოქმედების სისუსტის და დაწვრილ-შანების პირობებშიც, საეჭვოა რომ შესაძლებელი იყოს. ეს მით უფრო შეუძლებელია გერმანიაში თავისი მრავალრიცხოვანი უნივერ-სიტეტებით, წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნით, უამრავი გაზეთე-ბით, ყოველგვარი ინიმართულების ფურცლებით, იქ, გერმანიაში, სა-დაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა არა მარტო ბეჭდვითს, არამედ ზეპირ სიტყვასაც. და თუ გერმანიაში მეცნიერების ოფიციალურ ქურუმთა ერთი ნაწილი პირველ ხანებში დუმილით შეხვდა „კაპი-ტალს", ეს მარქსის შრომის „მიჩქმალვის" სურვილით როდი აიხს-ნება. უფრო სწორი იქნება, თუ დუმილის მიზეზად იმ „გაუგებრო-ბას" მივიჩნევთ, რომლის გვერდითაც ჩქარა წარმოიშვა, როგორც ცხარე ოპოზიცია, ისე სრული მოკრძალება, რის შედეგად „კაპი-ტალის" თეორიულმა ნაწილმა ძლიერ მალე საპატიო ადგილი დაიკავა საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერებაში. სულ სხვაგვარია ეკონომიური მატერიალიზმის, როგორც ისტორიული თეორიის, და მომავლის იმ პერსპექტივის ბედი, რომელიც მოცემულია „კაპიტალ-ში". ეკონომიურმა მატერიალიზმმა, მიუხედავად მისი ნახევარი საუ-კუნის ოსებობისა, დღემდე ვერ მოახდინა ოდხავ შესამჩნევი გავ-ლენაც-კი მეცნიერულ სფეროზე, სამაგიეროდ იგი ძალიან სწრა-ფად ვრცელდება მუშათა „კლასში"[1]).

ამრიგად, ხანმოკლე დუმილის შემდეგ მალე წარმოიშვა ოპო-ზიცია. ეს ასეა. ოპოზიცია იმდენად ცხარე აღმოჩნდა, რომ ვერც ერთი დოკენტი ვერ მიიღებს პროფესორის სახელწოდებას, თუ იგი სწორად თვლის მარქსის თუგინდ „ეკონომიურ" თეორიას; იმ იენად ცხარე, რომ ყოველს სრულიად უნიჭო პრივატ-დო-ცენტსაც-კი შეუძლია წარჩინების იმედი ჰქონდეს, თუ კი იგი მოახერ-ხებს „კაპიტალის" ს წინააღმდეგოდ ორიოდე ისეთი დებულება წაპოაყენოს, როგორიც ხვალ ყველას დაავიწყდება. ოპოზიცია სწო-რედ რომ ძეტად ცხარე აღმოჩნდა...

და სრული პატივისცემა.. ესეც მართალია, ბ. მიხაილოვსკი: ნამდვილად რომ პატივისცემა. სწორედ ისეთი პატივისცემა, როგო-რითაც ეხლა ჩინელები უნდა მოეპყრან იაპონიის ჯარს: კარგად იბრძვის, და ამიტომ სასიამოვნო არაა მასთან ბრძოლაში შეპმაო. სწორედ ასეთი პატივისცემით იყვენ და ეხლაც არიან გამსჭვალული გერმაიელი პროფესორები „კაპიტალი"-ს ავტორის მიმართ. და რაც უფრო ჭკვიანია პროფესორი, რაც უფრო ძეტი ცოდნა აქვს მას,

---

[1]) «Русское Богатство», იანვარი, 1894 წ. განყ. 2, გვ. გვ. 115—116.

მით უფრო პატივს სცემს იგი „კაპიტალი“-ს ავტორს, მით უფრო ნათელია მისთვის, რომ „კაპიტალი-“ს გაბათილება მის ძალღონეს აღემატება. აი რატომაა, რომ ოფიციალური მეცნიერების ვერც ერთი მნათობი ვერ ჰბედავს „კაპიტალზე“ იერიშის მიტანას. ისინი ამჯობინებენ იერიშზე ისეთი ახალგაზრდა გამოუცდელი „პრივატ-მეზარეები“ გაგზავნონ, რომლებიც წარჩინებას საჭიროებენ.

იქ რად გინდათ გონიერი,
იქ გაგზავნეთ თქვენ რეადი,
მე-კი ვნახავ... სეირს ვნახავ.

თქმა არ უნდა: ეს პატივისცემა მეტად დიდია. ხოლო სხვაგვარ პატივისცემაზე ჩვენ არაფერი გვსმენია, და არც შეიძლება იგი პროფესორს ჰქონდეს, რადგან იმით გამსჭვალულ კაცს გერმანიაში პროფესორად არც გახდიან.

მაგრამ რას ამტკიცებს ასეთი პატივისცემა? აი რას. ის სფერო, რომელიც „კაპიტალი“-ს კვლევის საგანს შეადგენს, სწორედ ის სფეროა, რომელიც **უკვე შესწავლილია** ახალი თვალსაზრისით, **მარქსის ისტორიული თეორიის** თვალსაზრისით. ამ სფეროზე თავდასხმას მოწინააღმდეგენი ვერც ბედავენ; ისინი „მას პატივს, სცემენ“, მაგრამ საჭიროა „სუბიექტური“ სოციოლოგის მთელი გულუბრყვილობა, რომ გაკვირვებით იკითხო, თუ რატომ ეს მოწინააღმდეგენი დღემდე არ იწყებენ მარქსის გზით მოსაზღვრე სფეროს გამოკვლევას საკუთარი ძალღონით. „ერი-ჰა, ეს რა ისურვეთ ძვირფასო გმირო! აქ ამ წესით გამოკვლეული ერთი არეც კი სიცოცხლეს გვიმწარებს და თქვენ გსურთ იმავე სისტემით მეზობელი სფეროც დავამუშაოთ!“ ბ. მიხაილოვსკი ვერ წვდება საგნის არსს, და ამიტომ მისთვის „ეკონომიური მატერიალიზმის, როგორც ისტორიული თეორიის, ბედი“ გაუგებარია. მას არ ესმის აგრეთვე არც გერმანელი პროფესორების დამოკიდებულება „მომავლის პერსპექტივისადმი“. **მომავლისათვის** მათ როდი სცალიათ, როცა ხელიდან **აწმყო** ეცლებათ.

მაგრამ გერმანიაში ხომ ყველა პროფესორი არაა ეგზომ გამსჭვალული კლასობრივი ბრძოლისა და „მეცნიერული“ დისციპლინის სულით. აკი არიან სპეციალისტებიც, რომელნიც გარდა მეცნიერებისა, სხვაზე არაფერზე ფიქრობენ. მართალია, ასეთებიც არიან და არა მარტო გერმანიაში. მაგრამ ეს სპეციალისტები ერთიანად თავისი სპეციალური საგნის შესწავლით არიან გართული—სწორედ ამიტომ, რომ ისინი სპეციალისტები არიან. ისინი ამუშავებენ მეცნიერული სფეროს მცირე ნაწილს და მათ არავითარი ზოგადი ფილოსოფიური ისტორიული თეორია არ აინტერესებთ. იშვიათია ისეთი სპეციალის-

ტი, რომელსაც მარქსზე რაიმე წარმოდგენა ჰქონდეს, და თუ აქვს, მხოლოდ როგორც არასასიამოვნო ადამიანზე, რომელსაც ვიღაც და სადღაც შეუწუხებია. როგორ გნებავთ, რომ ასეთმა ხალხმა მარქსივით სწეროს? ჩვეულებრივად მათი მონოგრაფიები მოკლებულია **ყოველგვარ ფილოსოფიურ ხასიათს**. მაგრამ აქ ხდება იმ შემთხვევის მსგავსი რამ, როცა ქვები იწყებენ ღაღადს, თუ ადამიანი სდუმს. თვით მკვლევარმა სპეციალისტებმა არაფერი იციან მარქსის თეორიის შესახებ, ხოლო მათი მუშაობის რეზულტატი აშკარად ღაღადებს ამ თეორიის სასარგებლოდ. და არ მოიპოება არც ერთი სერიოზული სპეციალური გამოკვლევა პოლიტიკურ ურთიერთობათა ან კულტურის ისტორიის დარგში, რომელიც მას ასე თუ ისე არ ადასტურებდეს. თუ როგორ აიძულებს სპეციალისტებს თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერების ხასიათი შეუგნებლად მარქსის ისტორიულ თვალსაზრისზე (სწორედ რომ **ისტორიულ თვალსაზრისზე**, ბ. მიხაილოვსკი) დადგენ, მტკიცდება უამრავი განსაცვიფრებელი მაგალითით. ზემოდ ორ ასეთ მაგალითს მკითხველი უკვე შეამჩნევდა: ოსკარ პეშელისა და ჟირო ტელონის. ეხლა მოვიყვანოთ მესამეც. ცნობილმა ფიუსტელ-დე-კულანჟმა თავის თხზულებაში: „La cité antique“ ის აზრი გამოთქვა, რომ ანტიური ქვეყნის ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა საფუძველს რელიგიური შეხედულებანი წარმოადგენდენო. ვფიქრობთ, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განეხილა მას საბერძნეთისა და რომის ისტორიის ცალკე საკითხებიც. მაგრამ, აი ფიუსტელ-დე-კულანჟს დასჭირდა **სპარტის** დაცემის საკითხს შეხებოდა. და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ დაცემის მიზეზი წმინდა ეკონომიურია [1]). შეეხო რომის რესპუბლიკის დაცემის საკითხს—და მიზეზს იგი კვლავ ეკონომიაში ხედავს [2]). რა დასკვნას ვღებულობთ აქედან? ცალკე შემთხვევაში მკვლევარი მარქსის თეორიას ადასტურებს, ხოლო მისთვის, რომ მარქსისტი გეწოდებიათ, ის ალბად ამას გადაჭრით უარყოფდა, რითაც დიდათ გაახარებდა ბ. კარეევს. რა გაეწყობა, თუ ყველა ადამიანი ბოლომდე თანმიმდევარი არაა?

---

[1]) იხ. მისი წიგნი: „Du droit de propriété à Sparte“. ჩვენ აქ, სხვათაშორის, სრულიად უყურადღებოდ ვსტოვებთ ამ თხზულებაში გამოთქმულ შეხედულებას პირველყოფილი საკუთრების ისტორიის შესახებ.

[2]) Il est assez visible pour quiconque a observé le détail (სწორედ რომ le détail, ბ. მიხაილოვსკი) et le textes que ce sont les intérêts materials du plus grand nombre qui en ont été ce vrai mobile და სხვა. Histoire des institutions politiques de l'ancienne France. Les origines du système feodal. Paris, 1890, p. 94.

მაგრამ ნება გვიბოძეთ, . გვაწყვეტინებს ბ. მიხაილოვსკი, რამ-დენიმე მაგალითი მეც მოვიყვანო: „ვეცნობით... ბლოსის წიგნს და ვრწმუნდებით, რომ ეს მეტად საპატიო შრომაა, რომელსაც, მიუხედავად ამისა, სრულიად არ აჩნია იმ ძირითადი გადატრიალების სპეციალური კვალი, რასაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში. ის გარემოება, რომ ბლოსი კლასობრივ ბრძოლაზე და ეკონომიურ პირობებზე (შედარებით ძლიერ ცოტას) ლაპარაკობს, ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს ის ისტორიის საფუძველს წარძოებისა და გაცვლა-გამოცვლის ფორმათა თვითგანვითარებაში ხედავდეს: 1848 წლის ამბების გადმოცემის დროს ეკონომიური პირობებისთვის გვერდის ავლა საკვირველიც კი იქნებოდა. აქოაგდეთ ბლოსის წიგნიდან ქება მარქსზე, როგორც გადატრიალების გამომწვევზე ისტორიულ მეცნიერებაში, და კიდევ რამდენიმე პირობითი ფრაზა მარქსისტული ტერმინოლოგიით, და ამის შემდეგ თქვენ ვერ იფიქრებთ, რომ საქმე გაქვთ ეკონომიური მატერიალიზმის შიმდევართან. ენგელსის. კაუცკის და სხვთა თხზულებებში ისტორიული შინაარსის მქონე ზოგიერთი ფურცლისათვის შეიძლებოდა სრულიად მოგვეცილებია ეკ- ნომიური მატერიალიზმის ეტიკეტი, რადგან მათში საზოგადოებრივი ცხოვრება აღებულია მთლიანად, თუმცა ამ აკორდში ეკონომიური სიმი სჭარბობს“ [1]).

ბ. მიხაილოვსკის ალბად კარგად ახსოვს თქმულება: ვინც ანი თქვა, მან ბანიც უნდა თქვას. ის ასე მსჯელობს: თუ შენ ეკონომიური მატერიალისტი ხარ, მაშინ მხედველობაში სწორედ **ეკონომიური** უნდა გქონდეს და არ „უნდა ეხებოდე მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თუმცა იქ ეკონომიური სიმი სჭარბობს“. მაგრამ ჩვენ უკვე მოვახსენეთ ბ. მიხაილოვსკის, რომ მარქსისტების მეცნიერული ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიწყონ „სიმით“ და ამ გზით მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება ახსნან. როგორაა შესაძლ ბელი, რომ მათ ერთსა და იმავე დროს ხელიც აიღონ ამ ამოცანაზე და მარქსისტებადაც დარჩენ. მართალია, ბ. მიხაილოვსკის არასოდეს არ ჰქონია სურვილი ამ ამოცანას ჩაკვირვებოდა, მაგრამ, ცხადია, ამაში მარქსის ისტორიული თეორია არაა დამნაშავე.

ჩვენთვის ცხადია, რომ სანამ ამ ამოცანაზე ხელს არ ავიღებთ, ბ. მიხაილოვსკი ხშირად ჩავარდება უხერხულ მდგომარეობაში: ხშირად „ისტორიული შინაარსის მშვენიერი ფურცლის“ კითხვის დროს

---

[1]) „Русское Богатство“, იანვ. 1894 წ. გვნ. II, გვ. 117.

იგი ვერ იფიქრებს (მას „აზრადაც არ მოუვა“), რომ იგი დაწერილია „ეკონომიური“ მატერიალისტის მიერ. ეს სწორედ ისეთი მდგომარეობაა, რომლის შესახებ იტყვიან: გუბერნატორის მდგომარეობაზე უარესიაო! მაგრამ განა მარქსის ბრალი იქნება, თუ ბ. მიხაილოვსკი ამ მდგომარეობაში ხშირად ჩავარდება?

სუბიექტური სკოლის აქილესი ფიქრობს: „ეკონომიურმა“ მატერიალისტებმა მხოლოდ „წარმოების და გაცვლა-გამოცვლის ფორმათა თვითგანვითარებაზე“ უნდა ილაპარაკონო. რა „თვითგანვითარებაზე“ ლაპარაკობთ, ღრმად მოაზროვნენ ბ. მიხაილოვსკი? სასტიკად ცდებით, თუ ფიქრობთ, თითქოს მარქსის აზრით, წარმოების ფორმებს „თავის თავად“ განვითარება შეეძლოს. რაა **წარმოების საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი?** ეს ადამიანთა დამოკიდებულებანია. როგორ შეუძლიათ მათ განვითარდენ ადამიანთა გარეშე. ადამიანთა გარეშე წარმოების დამოკიდებულებანიც ხომ წარმოუდგენელია! ქიმიკოსი ამბობს: მატეოია ატომებისგან შესდგება, ატომები მოლეკულებს შეადგენს, ხოლო ეს ულანასკნელი კი უფრო რთულ შენაერთსო. ყველა ქიმიური პროცესი განსაზღვრული კანონის მიხედვით წარმოებს. აქედან თქვენ უეცრად ის დასკვნა გამოგყავთ, რომ ქიმიკოსის აზრით, მთელი საქმე კანონებია და რომ შეიძლება მატერია,—ატომები, მოლეკულები,—სოულიად არ ვითარდებოდეს, მაგრამ ამით ოდნავ არ დაბოკოლდება ქიმიურ შენაერთთა „თვითგანვითარება“. ასეთი დასკვნის შეუსაბამობა ყველასათვის აშკარაა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველასათვის არაა ცხადი **პიროვნებისა** და **საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების**, ადამიანთა მოქმედებისა და მათი საზოგადოებოივი ცხოვრების ფორმათა შინაგანი ლოგიკის იმ უთიერთი დაპირდაპირების შეუსაბამობა, რომელიც თავისი შინაგანი მნიშვნელობით სრულიად ანალოგიურია ზემომოყვანილი შემთხვევისა.

ვ მეორებთ, ბ. მიხაილოვსკი, რომ ახალი ისტორიული თეორიის ამოცანას შეადგენს „**მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების**“ ახსნა იმის საშუალებით, რასაც თქვენ ეკონომიურ სიმს უწოდებთ, ე. ი. **საწარმოო ძალთა განვითარებით.** „სიმი“, სიტყვის ერთგვარი გაგებით (ჩვენ უკვე განკმარტეთ, სახელდობრ, თუ რა გაგებით), მართლაც საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ ბ. მიხაილოვსკი ცდება, როცა ფიქრობს, თითქოს მარქსისტი, როგორც გ. ი. უსპენსკის „Будка“-ს ერთი გმირთაგანი, „მხოლოდ სიმით უნდა სუნთქავდეს“.

ძნელია მთელი ისტორიული პროცესის ახსნა ისე, რომ ბოლომდე ბეოჩე ეოთ პრინციპს. მაგრამ რა გაეწყობა? მეცნიერება

საერთოდ არაა ადვილი საქმე, თუ კი ეს „სუბიექტური“ მეცნიერება არაა: ის ყველა საკითხს ძლიერ ადვილად სჭრის. რაკი ამაზე მოგვიხდა ლაპარაკი, ჩვენ ვეტყვით ბ. მიხაილოვსკის, რომ ისეთი საკითხების გადაჭრის საქმეში, რომლებიც იდეოლოგიის განვითარებას ეხებიან, შესაძლოა სიმის მცოდნე ხალხიც, ზოგ შემთხვევაში, უძლური აღმოჩნდეს, თუ განსაკუთრებული ნიჭით, სახელდობრ, **მხატვრული ალღოთი** არაა დაჯილდოვებული. ფსიქოლოგია ეკონომიას ეგუება. მაგრამ ეს შეგუება რთული პროცესია და, რომ მთელი მისი მსვლელობა გაიგო, რომ ნათლად წარმოიდგინო და სხვებისთვისაც ნათელი გახადო, სახელდობრ, თუ როგორ წარმოებს ეს შეგუება, ამისთვის არა ერთხელ დაგჭირდებათ მხატვარის ტალანტი. მაგალითად, ბალზაკმა ძლიერ ბევრი გააკეთა მისი თანამედროვე საზოგადოების კლასთა ფსიქოლოგიის ახსნის საქმეში. ძლიერ ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ იბსენისაგან, და განა მარტო იბსენისაგან? იმედს გამოვთქვამთ, რომ ოდესმე გაჩნდება ბევრი ისეთი მხატვარი, რომლებსაც, ერთის მხრით, შეგნებული ექნებათ „სიმის“ მოძრაობის „რკინის კანონები“, ხოლო, მეორეს მხრით, შესძლებენ იმის გაგებას და ცხადყოფას, თუ „სიმის“ მოძრაობის წყალობით ამავე „სიმზე“ როგორ აღმოცენდება **იდეოლოგიის „ცოცხალი სამოსელი.“** თქვენ გვეტყვით, რომ იქ, სადაც პოეტური ფანტაზია ჩაერია, შეუძლებელია მხატვარის თვითნებობას, გაგების ფანტასტიურობას ადგილი არ ექნეს. რასაკვირველია, უამისობაც არ იქნება. და მარქსმა ეს კარგად იცოდა; სწორედ ამიტომ ამბობდა იგი, რომ ამა თუ იმ ეპოქის **ეკონომიური მდგომარეობა, რომლის განსაზღვრაც საბუნებისმეტყველო სიზუსტითაა შესაძლებელი,** მკვეთრად უნდა განვასხვავოთ **ამ ეპოქის იდეათა მდგომარეობისაგანო.** ბევრი, მეტად ბევრი რამაა ჩვენთვის ამ დარგში გაურკვეველი. მაგრამ უფრო ბევრია გაურკვეველი იდეალისტებისათვის, კიდევ მეტი ეკლექტიკოსებისათვის, რომლებსაც არასოდეს არ ესმით მათ წინაშე წამოჭრილი წინააღმდეგობანი, და რომლებსაც ჰგონიათ, რომ ისინი ყოველთვის შესძლებენ ყოველი საკითხის დაძლევას ცნობილი „**ურთიერთ ზემოქმედების**“ საშუალებით. ნამდვილად, ისინი ვერასოდეს ვერც ერთ სიძნელეს ვერ სძლევენ, არამედ მხოლოდ თავს აფარებენ მათ წინაშე წამოჭრილ სიძნელეთ. მარქსის სიტყვით, დღემდე ადამიანის კონკრეტულ მოქმედებას მხოლოდ იდეალისტური თვალსაზრისით ხსნიდენ. ჰერე რა? განა მათ დამაკმაყოფილებელი ახსნა მოგვცეს? ჩვენი მსჯელობა ადამიანის „სულის“ მოქმედების შესახებ თავისი არასაკმაო საფუძვლიანობით გვაგონებს ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა მსჯელობას ბუნება-

ზე, უკეთეს შემთხვევაში გენიალურს, ზოგჯერ-კი მხოლოდ გონებამახვილ ჰიპოტეზას, რომლის დამტკიცება შეუძლებელია, მეცნიერული დასაბუთებისათვის საჭირო დასაყრდენი წერტილის უქონლობის გამო. მხოლოდ იქ შესძლეს რისამე გაკეთება, სადაც საზოგადოებრივი ფსიქოლოგია „სიმს“ დაუკავშირეს. და აი, როცა მარქსმა ამის დანახვაზე გვირჩია თავი არ დაგვენებებია ერთხელვე დაწყებული ცდებისთვის, როცა მან გვითხრა ყოველთვის „სიმით“ უნდა ვიხელმძღვანელოთო, მას ბრალი დასდვეს შეხედულებათა ცალმხრივობაში, სივიწროეში. სადაა აქ სამართალი,—ეს მხოლოდ სუბიექტურმა სოციოლოგებმა უწყიან.

განაგრძეთ!—გესლიანად შეგვნიშნავს ბ. მიხაილოვსკი,—თქვენი ახალი სიტყვა „50 წლის წინად ითქვა“. დიახ, ბ. მიხაილოვსკი, დაახლოებით ასე. და მით უფრო სამწუხაროა, რომ თქვენ ეგი დღემდე ვერ გაიგეთ. განა მეცნიერებაში ცოტაა ისეთი „სიტყვა“, რომელიც რამდენიმე ათი და ასი წლის წინად ითქვა, მაგრამ დღემდე უცნობია მეცნიერებაზე უზრუნველ პიროვნებათა მილიონებისათვის? ვთქვათ, თქვენ შეხვდით ჰოტენტოტს და ცდილობთ დაარწმუნოთ იგი, რომ მიწა მზის გარშემო ტრიალებს. ჰოტენტოტს როგორც მზის, ისე მიწის შესახებაც თავისი „ორიგინალური“ თეორია აქვს. მას არ შეუძლია ამ თეორიას გამოეთხოეოს. და აი ისიც გესლიანად შეგნიშნავთ: თქვენ ჩემთან ახალი სიტყვით მოდით, და ამავე დროს თითონვე ამბობთ, რომ იგი რამდენიმე ასი წლის წინად ითქვაო!—რას ამტკიცებს ჰოტენტოტის ეს გესლიანობა? მხოლოდ იმას, რომ ჰოტენტოტი ჰოტენტოტია. მაგრამ ამას ხომ დამტკიცებაც არ უნდა.

თუმცა ბ. მიხაილოვსკის გესლიანობა გაცილებით იმაზე მეტს ამტკიცებს, რის დამტკიცებაც ჰოტენტოტის გესლიანობას შეეძლო. ის ამტკიცებს, რომ ჩვენი „სოციოლოგი“ იმათ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც **თვისტომობა** არ ახსოვთ. მისი სუბიექტური თვალსაზრისი მემკვიდრეობით მიღებულია მის მიერ ბრუნო ბაუერისგან, შელიგასგან და მარქსის სხვა **წინამორბედთაგან ქრონოლოგიური გაგებით**. მაშასადამე, ქრონოლოგიურადაც ბ. მიხაილოვსკის „ახალი სიტყვა“, ყოველ შემთხვევაში, უფრო ძველია, ვიდრე ჩვენი, ხოლო შინაარსის მხრით გაცილებით უფრო ძველიცაა, რადგან ბრუნო ბაუერის ისტორიული იდეალიზმი გასული საუკუნის მატერიალისტების შეხედულებებთან დაბრუნებას წარმოადგენდა[1]).

[1])რაც შეეხება საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრის საქმეში ბიოლოგიის გამოყენებას, ამ მხრით ბ. მიხაილოვსკის „ახალი სიტყვა“, თავისი „ტიპით“, როგორც დავინახეთ, მიმდინარე საუკუნის მეოცე წლებს ეკუთვნის. ბ. მიხაილოვსკის „ახალი სიტყვა“, საკმაოდ ძველია! ამ „სიტყვაში“ „რ უ ს უ ლ ი ა ზ რ ი და რ უ ს უ ლ ი ს უ ლ ი“ ჰეშმარიტად „ძ ვ ე ლ ს ი მ ე ო რ ე ბ ს და ო რ მ ა გ ად ს ტ ყ უ ი ს.“

ბ. მიხაილოვსკის მეტად აშფოთებს ის გარემოება, რომ „ამერიკელი მორგანის (33) წიგნი „ძველი საზოვადოების“ შესახებ, გამოქვეყნდა მარქსისა და ენგელსის მიერ ეკონომიური მატერიალიზმის საფუძვლების გამომუშავების დიდი ხნის შემდეგ და მისგან სრულიად დამოუკიდებლად. ამის შესახებ ჩვენ შევნიშნავთ:

ჯერ ერთი, მორგანის წიგნი ეგრეთწოდებული ეკონომიური მატერიალიზმისგან იმ უბრალო მიზეზის გამოა „დამოუკიდებელი“, რომ თვით მორგანი ეკონომიური მატერიალიზმის თვალსაზრისზე სდგას—როგორც ამაში ადვილად დარწმუნდება ბ. მიხაილოვსკი, თუ აღნიშნულ წიგნს წაიკითხავს. მართალია, ამ თვალსაზრისამდე **მორგანი მარქსისა** და **ენგელსის** დამოუკიდებლად მივიდა, მაგრამ ეს მით უკეთესია მათი თეორიისთვის.

მეორე, განა სამწუხაროა, თუ მარქსის და ენგელსის თეორია „მრავალი წლის შემდეგ“ დადასტურდა მორგანის აღმოჩენებით? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალშიაც ძლიერ ბევრი იქნება ამ თეორიის დამადასტურებელი აღმოჩენები. ხოლო ბ. მიხაილოვსკის შესახებ ჩვენ წინააღმდეგს ვფიქრობთ: „სუბიექტურ“ თვალსაზრისს არ გაამართლებს არც ერთი აღმოჩენა, არც ხუთი და არც ხუთი ათასი წლის შემდეგ.

ენგელსის ერთი წინასიტყვაობიდან ბ. მიხაილოვსკიმ გაიგო, რომ თხზულების—„მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“—ავტორისა და მისი მეგობრის ცოდნა ეკონომიური ისტორიის დარგში მეორმოცე წლებში „არასაკმარისი იყო“ (გამოთქმა თვით ენგელსისაა). ბ. მიხაილოვსკი ამის გამო სიხარულით ცას წვდება: მაშასადამე, ამბობს იგი, „ეკონომიური მატერიალიზმის“ მთელი თეორიაც, რომელიც სწორედ მეორმოცე წლებში წარმოიშვა, არამყიერ საფუძველზე იყო აგებული. ეს დასკვნა მეოთხე კლასის გიმნაზიელის გონებამახვილობას შეჰფერის. მომწიფებული ადამიანი მიხვდებოდა, რომ მეცნიერული ცოდნის ისე, როგორც სხვათა მიმართ, გამოთქმები: „საკმარისი“, „არასაკმარისი“, „მცირე“ „დიდი“, უნდა აიღოთ შედარებითი გაგებით. მას შემდეგ, რაც ახალი ისტორიული თეორიის საფუძვლები გამომუშავდა, მარქსმა და ენგელსმა რამდენიმე ათი წელი იცოცხლეს; ისინი გულმოდგინედ სწავლობდენ ეკონომიურ ისტორიას, და ამ დარგში დიდ შედეგებსაც მიაღწიეს, რაც ადვილად გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ განსაკუთრებულ ნიჭს. სწორედ ამ შედეგების წყალობით, თავისი წინანდელი ცოდნა მათ „**არასაკმარისად**“ უნდა მოჩვენებოდათ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ მათი თეორია უსა-

ფუძვლო იყო. დარვინის წიგნი სახეობათა წარმოშობის შესახებ გამოვიდა 1859 წ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უკვე ათი წლის შემდეგ დარვინი არასაკმარისად თვლიდა იმ ცოდნას, რომელიც მას წიგნის გამოქვეყნების დროს გააჩნდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

ბ. მიხაილოვსკი დიდი ირონიით ლაპარაკობს აგრეთვე იმის შესახებ, რომ „იმ თეორიისთვის, მსოფლიო ისტორიის გაშუქებას რომ ჩემულობდა, მისი შემუშავების შემდეგ ორმოცი წლის განმავლობაში (ე. ი. თითქოს მორგანის წიგნის გამოქვეყნებამდე) ძველი საბერძნეთისა და გერმანიის ისტორია გადაუჭრელ ამოცანად რჩებოდა“ [1]). ეს ირონია მარტოოდენ „გაუგებრობაზეა“ დამყარებული.

საბერძნეთისა და რომის **ისტორიას, რომ საფუძვლად კლასთა ბრძოლა ედო,**—ეს შეუძლებელია არ სცოდნოდათ მარქსსა და ენგელსს მეორმოცე წლების დასასრულს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ჯერ კიდევ საბერძნეთისა და რომის მწერლებმა იცოდენ. წაიკითხეთ თხზულებები ფუკიდიდის, ქსენოფონტის და არისტოტელის, წაიკითხეთ რომაელი ისტორიკოსები, თუგინდ ტიტ ლიბიუსი, რომელიც, თუმცა, მოვლენათა აღწერის დროს ხშირად „სუბიექტურ“ თვალსაზრისზე დგება,—და თქვენ დაინახავთ, რომ თითოეული მათგანი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მაშინდელი საზოგადოების შინაგანი ისტორიის საფუძველს ეკონომიური ურთიერთობა და იმით გამოწვეული კლასთა ბრძოლა წარმოადგენდა. მათ ხელში ეს შეხედულება ღებულობდა უბრალო, ყველასათვის ცნობილ საყოველდღეო ცხოვრების ფაქტის უბრალო აღნიშვნის უშუალო ფორმას, თუმცა პოლიბის უკვე აქვს ისტორიის ფილოსოფიის მაგვარი რამ, რაც ამ ფაქტის აღიარებას ემყარება. როგორც უნდა იყოს, ფაქტს მაინც ყველა აღიარებდა, და ნუთუ ბ. მიხაილოვსკი ფიქრობს, რომ მარქსსა და ენგელსს „ძველები არ წაუკითხავთ“? მარქსისა და ენგელსისათვის ისე, როგორც **ყველა მეცნიერისათვის,** გადაუჭრელი რჩებოდა ის კითხვები, რომელიც საბერძნეთის, რომის და გერმანელი ტომების (როგორც ამას სხვა ადგილას თვით ბ. მიხაილოვსკი ამბობს) **წინა-ისტორიული ყოფა-ცხოვრების** ფორმებს შეეხებოდენ. **ამ კითხვებს** პასუხი მორგანის წიგნმა გასცა. მაგრამ ხომ არ ჰგონია ჩვენს ავტორს, რომ დარვინისათვის,—როცა ის თავის შესანიშნავ წიგნს სწერდა,—არ არსებობდა იმ დროის ბიოლოგიაში გადაუჭრელი საკითხები?

---

[1]) იქვე, გვ. 108.

„აუცილებლობის კატეგორიაო,—განაგრძობს ბ. მიხაილოვსკი, იმდენად საყოველთაო და უდავო ხასიათისაა, რომ შეიცავს სრულიად სულელურ იმედებსა და სრულიად უსაფუძლო შიშს, რომლის წინააღმდეგაც ის, თითქოს, მოწოდებულია იბრძოლოს. მისი თვალსაზრისით, შუბლით კედლის გარღვევის იმედი სისულელე კი არაა, არამედ აუცილებლობა ისე, როგორც ქვაზიმოდო სიმახინჯე კი არაა, რამედ აუცილებლობა, კაინი და იუდა ბოროტმომქმედნი კი არ არიან, არამედ აუცილებლობა. ერთი სიტყვით, პრაქტიკულ ცხოვრებაში, თუ მხოლოდ ამ კატეგორიით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ რაღაც ისეთ ფანტასტიურ უსაზღვრო სივრცეში მოვექცევით, სადაც ადგილი არა აქვს იდეებს, საგნებს და მოვლენებს, არამედ არის მხოლოდ იდეებისა და საგნების ერთფეროვანი აჩრდილი“ [1]). სწორედ ასეა, ბ. მიხაილოვსკი; სწორედ ყოველი სიმახინჯეც-კი აუცილებლობის ისეთსავე ნაყოფს წარმოადგენს, როგორსაც სრულიად ნორმალური მოვლენა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იუდა ბოროტმომქმედი არ იყოს, რადგან „აუცილებლობის“ ცნებისადმი ცნება „ბოროტმომქმედის“ დაპირდაპირება შეუსაბამობაა. მაგრამ მოწყალეო ხელმწიფევ, რაკი თქვენ გმირობას ჩემულობთ (ხოლო ყოველი სუბიექტური მოაზროვნე გმირია, ასე ვთქვათ, ex professo), ამიტომ გაისარჯეთ და დაამტკიცეთ, რომ თქვენ „შეშლილი“ გმირი არა ხართ, რომ თქვენი იმედები „სულელური“ არაა, რომ თქვენი „შიში“ უსაფუძვლო არაა, რომ თქვენ არა ხართ აზრის „ქვაზიმოდო“, რომ თქვენ არ მოუწოდებთ ბრბოს კედელი შუბლით გაარღვიოს. ყველა ამის დასამტკიცებლად თქვენ იძულებული იქნებით აუცილებლობის კატეგორიას მიმართოთ, ხოლო იმით სარგებლობა-კი თქვენ არ შეგიძლიათ, თქვენი სუბიექტური თვალსაზრისი ამას შეუძლებელს ხდის; ამ „კატეგორიის“ წყალობით სინამდვილე თქვენთვის აჩრდილთა სამეფოდ იქცევა. აი სწორედ აქ ემწყვდევით თქვენ ჩიხში, სწორედ აქ ამოწმებთ თქვენი სოციოლოგიის „testimonium paupertatis“, სწორედ აქ იწყებთ თქვენ იმის მტკიცებას, რომ „აუცილებლობის კატეგორია“ არაფრის მაჩვენებელია, რადგან ის თითქოს ძალიან ბევრის მაჩვენებელი იყოს. მოწმობა თეორიული სიღატაკის შესახებ ის ერთად ეთი დოკუმენტია, რომელსაც თქვენს მიმდევრებს აძლევთ. ეს ცოტაა, ბ. მიხაილოვსკი!

წყალ-წყალა ირწმუნება, რაინდი ფრინველი ვარო და ჩემთვის, როგორც ასეთისათვის, ადვილი საქმეა ზღვის გადაწვაო.

---

[1]) იქვე, ბ. ბ. 113—114.

როცა მას თხოვენ იმის ახსნას, თუ რა ფიზიკურსა ან ქიმიურ **კანონებზე** ემყარება ზღვის გადაწვის მისი გეგმა, ის უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და, რათა მას როგორმე თავი დააღწიოს, ნაღვლიანად და გაურკვევლად იწყებს ბუტბუტს: „კანონებს" ისე, სხვათაშორის, ახსენებენ, თორემ ნამდვილად კანონები არაფერს ხსნის, და მასზე არც რაიმე გეგმის აშენება შეიძლება; იმედი უნდა ვიქონიოთ ბედნიერი შემთხვევის, რადგან დიდი ხანია ცნობილია, რომ გაჭირვების დროს ჯოხიდანაც გაისროლიო, მაგრამ საერთოდ la raison finit toujours par avoir raison. რა ქარაფშუტა, რა ცუდი ფრინველია!

შევადაროთ წყალ-წყალას ამ გაურკვეველ ბუტბუტს მარქსის მტკიცე, საოცრად მწყობრი ისტორიული ფილოსოფია.

ადამიანის მსგავსი ჩვენი წინაპრები, როგორც ყველა სხვა ცხოველი, **ბუნების** სრული მონები იყვენ. მთელი მათი განვითარება სრულიად სტიქიური იყო, რომელსაც განსაზღვრავდა არსებობისათვის ბრძოლაში ბუნებრივი შერჩევის გზით გარემოსთან შეგუება. ეს **ფიზიკური აუცილებლობის** ბნელეთი იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ ანათებდა **შეგნებისა**, და მაშასადამე, **თავისუფლების** განთიადი. მაგრამ ფიზიკურმა აუცილებლობამ ადამიანი განვითარების იმ საფეხურამდე მიიყვანა, რომლის შემდეგაც იგი დანარჩენ ცხოველთა სამეფოდან თანდათან გამოყოფას იწყებს. ის **იარაღის მკეთებელ ცხოველად** გარდაიქცა. იარაღი ისეთი ორგანოა, რომლის საშუალებითაც ადამიანი ბუნებაზე მოქმედებს თავისი მიზნების მისაღწევად. ეს ისეთი ორგანოა, რომელიც **აუცილებლობას** ადამიანის **შეგნების** მორჩილს ხდის, თუმცა პირველ ხანებში მეტად სუსტად, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ ნაწილობრივად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად. **საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს ადამიანის გაბატონების ხარისხს ბუნებაზე.**

თვით საწარმოო ძალთა განვითარება კი ადამიანის გარემომცველი გეოგრაფიული წრის თვისებებით განისაზღვრება. ამრიგად, თვით ბუნება აწვდის ადამიანს თავისი (ბუნების) დამორჩილების საშუალებას.

მაგრამ ბუნებას ცალკე ადამიანი არ ებრძვის: მას, როგორც მარქსი ამბობს, საზოგადოებრივი ადამიანი ებრძვის (Der Gesellschaftsmensch), ე. ი. თავისი ოდენობით ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი კავშირი. საზოგადოებრივი ადამიანის თვისებებს ყოველ გარკვეულ დროს საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს, რადგან საზოგადოებრივი კავშირის მთელი

წყობა დამოკიდებულია ამ ძალთა განვითარების დონეზე. ამრიგად, ამ წყობას საბოლოოდ განსაზღვრავს გეოგრაფიული გარემოს ის თვისებები, რომელიც ადამიანს თავისი საწარმოო ძალთა განვითარების მეტს თუ ნაკლებ შესაძლებლობას უქმნის. მაგრამ რაკი წარმოიშვა განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისი შემდეგი განვითარება წარმოებს საკუთარი შინაგანი კანონების მიხედვით. ამ უკანასკნელთა მოქმედება ანელებს ან აჩქარებს საწარმოო ძალთა განვითარებას, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის ისტორიულ მოძრაობას. ადამიანის დამოკიდებულება გეოგრაფიულ გარემოზე ჰკარგავს თავის **უშუალო ხასიათს** და **მეშვეობითს ხასიათს** იღებს. **გეოგრაფიული გარემო** მოქმედებს ადამიანზე **საზოგადოებრივი გარემოს მეშვეობით**. მაგრამ ამის გამო ადამიანის დამოკიდებულება გეოგრაფიულ გარემოსთან მეტის-მეტად ცვალებადი ხდება. საწარმოო ძალთა განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე ის უკვე ისეთი არაა, როგორიც წინედ იყო. გეოგრაფიული გარემოსულ სხვანაირად მოქმედებდა **ცეზარის** დროის ბრიტანელებზე, ვიდრე ის ინგლისის ეხლანდელ მცხოვრებლებზე მოქმედებს. ასე ულებს ბოლოს თანამედროვე **დიალექტიკური მატერიალიზმი** იმ წინაალმდეგობას, რომლის დაძლევა XVIII საუკუნის განმანათლებლებმა ვერ შესძლეს [1]).

საზოგადოებრივი წრის განვითარება თავის საკუთარ კანონებს ემორჩილება. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი თვისებები სწორედ ისე არაა დამოკიდებული ადამიანის ნებასა და შეგნებაზე, როგორც

---

[1]) **მ ო ნ ტ ე ს კ ი ე** ამბობდა: თუ მოცემულია გეოგრაფიული წრე—ამით მოცემულია აგრეთვე საზოგადოებრივი კავშირის თვისებებიც: ერთს გეოგრაფიულ გარემოში შეიძლება მხოლოდ დესპოტიზმი არსებობდეს, მეორეში—მხოლოდ წვრილი დამოუკიდებელი რესპუბლიკები და სხვ.—არა, უპასუხებდა **ვ ო ლ ტ ე რ ი**; ერთსა და იმავე გეოგრაფიულ გარემოში დროთა განმავლობაში სხვა და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოიშობიან. მაშასადამე, გეოგრაფიული გარემო არ ახდენს გავლენას კაცობრიობის ისტორიულ ბედზე: თავიდათავი ადამიანთა შეხედულებაა. **მ ო ნ ტ ე ს კ ი ე** ანტინომიის ერთ მხარეს ამჩნევდა; **ვ ო ლ ტ ე რ ი** და მისი თანამოაზრენი-კი—მეორეს. ჩვეულებრივად ამ ანტინომიას მხოლოდ **ურ თ ი ე რ თ ი ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს** დამოწმებით იცილებდენ თავიდან. **დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი**, როგორც ვხედავთ, აღიარებს ურთიერთი ზემოქმედების არსებობას, მაგრამ იგი მას საწარმოო ძალთა განვითარებაზე მითითებით ხსნის. ანტინომია, რომლის მხოლოდ მიფუჩეჩება შეეძლოთ განმანათლებლებს, ერთობ ადვილად იკრება: **დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი გ ო ნ ე ბ ა** აქაც გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე განმანათლებლების საღი აზრი („განსჯა").

გეოგრაფიული წრის თვისებები. წარმოებითი ზემოქმედება ბუნებაზე წარმოშობს ადამიანის მონობის ახალ სახეს: **ეკონომიურ აუცილებლობას**. და რაც უფრო იზრდება ადამიანის ბატონობა ბუნებაზე, რაც უფრო ვითარდება მისი საწარმოო ძალები, მით უფრო მტკიცდება ეს ახალი მონობა: **საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად რთულდება ადამიანთა ურთიერთი დამოკიდებულება საზოგადოებრივ საწარმოო პროცესში**; ამ პროცესის ნსვლელობა მათი კონტროლის გარეშე რჩება, მწარმოებელი თავისი საკუთარი ნაწარმოების მონა ხდება (მაგალითი: კაპიტალისტური წარმოების ანარქია).

მაგრამ, — როგორც ბუნებამ თვით მისცა ადამიანს თავის საწარმოო ძალთა განვითარების და, მაშასადამე, მისი (ბუნების) ბატონობის უღლიდან თანდათ ნი განთავისუფლების პირველი შესაძლებლობა, — სწორედ ასე, საწარმოო ურთიერთობას — საზოგადოებრივ ურთიერთობას, თავისი საკუთარი განვითარების ლოღიკით, ადამიანი იმის შეგნებამდე მიჰყავს, რომ მისი დამონების მიზეზი **ეკონომიური** აუცილებლობაა. ამით შესაძლებელი ხდება ახალი და საბოლოო გამარჯვება **შეგნებისა აუცილებლობაზე** და **გონებისა ბრმა კანონზე**.

მას შემდეგ, რაც მწარმოებელმა („საზოგადოებრივმა ადამიანმა") შეიგნო, რომ საკუთარი პროდუქტის მიერ მისი დამონება წარმოების ანარქიით არის გამოწვეული, იგი აწესრიგებს ამ წარმოებას და ამ გზით მას თავისი ნების მორჩილს ხდის. მაშინ ბოლო ეღება **აუცილებლობის** სამეფოს და მყარდება თავისუფლება, რომელიც თვით წარმოადგენს აუცილებლობას. კაცობრიობის ისტორიის შესავალი სრულდება, იწყება მისი ნამდვილი ისტორია [1]).

---

[1]) ნათქვამის შემდეგ, ეფიქრობთ, ნათელია, თუ რა დამოკიდებულება აქვს **მარქსის** მოძღვრებას **დარვინის** მოძღვრებასთან. დარვინმა შესძლო იმ საკითხის გადაპრა, თუ როგორ წარმოიშობიან მცენარეთა და ცხოველთა სახეობანი არსებობისათვის ბრძოლაში. მარქსმა — კი იმ საკითხის გადაპრა შესძლო, თუ როგორ წარმოიშობიან სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ადამიანთა არსებობისათვის ბრძოლის დროს. ლოღიკურად, მარქსის გამოკვლევა სწორედ იქ იწყება, სადაც დარვინის თავდება. ცხოველები და მცენარეები ფიზიკური წრის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. საზოგადოებრივ ადამიანზე ფიზიკური წრე იმ საწარმოო ძალთა საფუძველზე წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეშვეობით მოქმედებს, რომლებიც თავდაპირველად ფიზიკური წრის თვისებათა გამო მეტი ან ნაკლები სისწრაფით ვითარდებიან. დარვინი სახეობათა წარმოშობას ხსნის არა იმით, თითქოს განვითარების თვისება ცხოველთა ორგანიზმის **თანდაყოლილი** იყოს, როგორც ამას ჯერ კიდევ ლამარკი

ამრიგად, დიალექტიკური მატერიალიზმი იმას კი არ ცდილობს, რომ ადამიანი დაარწმუნოს, თითქოს ეკონომიური აუცილებლობის წინააღმდეგ ბრძოლა უაზრობა იყოს, როგორც მისი მოწინააღმდეგენი ჰფიქრობენ, არამედ, პირიქით, სწორედ ის პირველად მიუთითებს მას, **თუ რა გზით შეიძლება ეკონომიური აუცილებლობის დაძლევა.** ამნაირად, ნიადაგი ეცლება **მატაფიზიკური მატერიალიზმის** დამახასიათებელ **ფატალიზმს.** და სწორედ ასევე ეცლება ნიადაგი იმ პესიმიზმსაც, რომელიც, როგორც დავინახეთ, თანმიმდევარი **იდეალისტური** აზროვნების აუცილებელ ნაყოფს წარმოადგენს. ცალკე პიროვნება მხოლოდ ქაფია ტალღის ზედაპირზე, ადამიანები ემორჩილებიან რკინის კანონს, რომლის მხოლოდ შეცნობა შეიძლება, ხოლო ადამიანის ნებისადმი მისი დამორჩილება-კი არა,—ამბობდა გიორგი ბიუხნერი. არა, უპასუხებს მარქსი, რაკი ჩვენ **შევიცანით** ეს რკინის კანონი, მისი დამორჩილება ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენზეა დამოკიდებული გადავაქციოთ **აუცილებლობის კანონი** გონების ყურმოჭრილ მონად.

მე ჭია ვარ, ამბობს იდეალისტი. მე ჭია ვარ, სანამ უვიცი ვარ, უპასუხებს დიალექტიკოს-მატერიალისტი; მაგრამ მე ღმერთი ვარ, როცა **ვიცი.** Tantum possumus, quantum scimus!

ჩადიოდა, არამედ ორგანიზმის შეგუებით მის გარეშე არსებულ პირობებთან: ა რ ა ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ს ბ უ ნ ე ბ ი თ, არამედ გ ა რ ე-ბ უ ნ ე ბ ი ს გავლენით. მარქსი კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას ხსნის არა ადამიანის ბუნებით, არამედ ადამიანთა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის თვისებებით, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებრივი ადამიანის ზემოქმედების დროს გარეგბუნებაზე. ორივე მოაზროვნის გამოკვლევა სრულიად ერთნაირი ხასიათისაა. აი რატომ შეიძლება ითქვას, რომ მარქსიზმი საზოგადოების მეტყველებაში გამოყენებული დარვინიზმია (ჩვენ ვიცით, რომ ქრონოლოგიურად ეს ასე არაა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს). და ეს მისი ერთად-ერთი მეცნიერული გამოყენებაა, რადგან ის დასკვნები, რომელიც დარვინიზმიდან ზოგ ბურჟუაზიულ მწერალს გამოაყავდა, საზოგადოებრივი ადამიანის განვითარების შესწავლის საქმეში მეცნიერულ გამოყენებას კი არ წარმოადგენდა, არამედ უბრალო ბურჟუაზიულ უტოპიას, მეტად ულამაზო შინაარსის ზნეობრივ ქადაგებას, მსგავსად ბ. ბ. სუბიექტივისტების ლამაზი შინაარსის ქადაგებისა. ბურჟუაზიული მწერლები, როცა დარვინს იმოწმებენ, თავის მკითხველებს დ ა რ ვ ი ნ ი ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მ ე თ ო დ ი ს შ ე თ ვ ი ს ებ ა ს კ ი ა რ უ რ ჩ ე ვ ენ, ა რ ა მ ე დ მ ხ ო ლ ო დ იმ ცხოველთა მ ხ ე ც უ რ ი ი ნ ს ტ ი ნ კ ტ ე ბ ი ს შ ე თ ვ ი ს ებ ა ს, რომელთა შესახებაც დარვინი ლაპარაკობდა. მარქსი წააგავს დარვინს, ბურჟუაზიული მწერლები-კი ი მ მ ხ ე ც ებ ს ა დ ა პ ი რ უ ტ ყ ვ ე ებ ს, რ ო მ ე ლ თ ა ც დ ა რ ვ ი ნ ი ს წ ო ვ ლ ობ დ ა.

და აი სწორედ ასეთი თეორიის წინააღმდეგ,—რომელმაც პირველად დაასაბუთა ურყევად ადამიანის **გონების უფლებები**; რომელმაც პირველად განიხილა გონება, არა როგორც უბრალო სათამაშო ნივთი შემთხვევითობის ხელში, არამედ როგორც დიადი დაუმარცხებელი ძალა, – ილაშქრებენ ამავე გონების თითქოს, ამ თეორიით შელახულ უფლებათა და მის მიერ, თითქოს, აბუჩად აგდებული იდეალების სახელით! მათ გამბედაობა შესწევთ ამ თეორიას დასწამონ კვიეტიზმი, გარემოსთან შერიგების სურვილი და თითქმის მისადმი მორჩილება ისე, როგორც მოლჩალინი მორჩილებდა ყველა იმათ, ვინც ჩინით მასზე მაღალი იყო! სწორედ ამის შესახებ შეიძლება ითქვას: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო.

დიალექტიკური მატერიალიზმი [1]) ამბობს: გონებას არ შეეძლო ისტორიის დემიურგი ყოფილიყო. რადგან იგი თვით **მისი პროდუქტია**. მაგრამ ეს პროდუქტი რაკი გაჩნდა, ის არ უნდა დაემორჩილოს და თავისი ბუნებით **არც შეუძლია** დაემორჩილოს დრომოქმედ სინამდვილეს; იგი აუცილებლობის გამო ცდილობს გარდაქმნას სინამდვილე თავის მსგავსად, **გახადოს იგი უფრო გონივრული**.

დიალექტიკური მატერიალიზმი, გოეთეს ფაუსტის მსგავსად, ამბობს:

Im Anfang war die That!

მოქმედება (ადამიანთა კანონზომიერი მოქმედება საზოგადოებრივ საწარმოო პროცესში) ნათელჰყოფს დიალექტიკოს-მატერიალისტისათვის საზოგადოებრივი ადამიანის გონების ისტორიულ განვითარებას [2]). მთელი მისი პრაქტიკული **ფილოსოფია** მოქმედებით გამოიხატება. **დიალექტიკური მატერიალიზმი მოქმედების ფილოსოფია**».

---

[1]) ჩვენ ვხმარობთ თერმინს—„დიალექტიკური მატერიალიზმი", მხოლოდ ის ახასიათებს მ ა რ ქ ს ი ს ფილოსოფიას. პ ლ ბ ა ხ ი და ჰ ე ლ ვ ე ც ი უ ს ი მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ო ს-მატერიალისტები იყვნენ. ისინი მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ურ იდეალიზმს ებრძოდენ. მათმა მატერიალიზმმა ადგილი დაუთმო დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ურ ი დ ე ა ლ ი ზ მ ს, რომელიც, თავისი მხრით, დაამარცხა დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ურ მ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ მ ა. გამოთქმა „ეკონომიური მატერიალიზმი" ყრუულად მიუღებელია. მ ა რ ქ ს ი არასოდეს არ უწოდებდა თავის თავს ეკონომიურ მატერიალისტს.

[2]) „საზოგადოებრივი ცხოვრება, უმთავრესად, პრაქტიკული ცხოვრებაა. ყოველივე იდუმალი, ყოველივე ის, რასაც თეორია მისტიციზმამდე მიიყვანს, თავის რაციონალურ გადაჭრას ადამიანის პრაქტიკაში და ამ პრაქტიკის გაგებაში ჰპოულობს" (მ ა რ ქ ს ი).

როცა სუბიექტური მოაზროვნე ამბობს; „ჩემი იდეალი“, — ამით ის ამბობს: **ბრმა აუცილებლობის გამარჯვება.** სუბიექტურ მოაზროვნეს არ შეუძლია თავის იდეალი სინამდვილის განვითარების პროცესზე დაამყაროს; ამიტომ მისი იდეალის პაწაწინა ბაღის ღობის გადალმა მყისვე იწყება შემთხვევითობის და, მაშასადამე, ბრმა აუცილებლობის თვალუწვდენელი ველი. დიალექტიკური მატერიალიზმი მიგვითითებს იმ საშუალებებზე, რომლის წყალობითაც მთელი ეს თვალუწვდენელი ველი შესაძლოა **იდეალის** აყვავებულ **ბაღად** გარდაიქმნეს. ის დასძენს მხოლოდ, რომ ამ გარდაქმნისათვის საჭირო საშუალებები **თვით ამ ველის წიაღშია** დაფარული, **რომ საჭიროა მხოლოდ მათი აღმოჩენა და გამოყენება.**

დიალექტიკური მატერიალიზმი, წინააღმდეგ სუბიექტივიზმისა, არ ზღუდავს ადამიანის გონების უფლებებს. მან იცის, რომ გონების უფლებები ისე, როგორც მისი ძალა, განუზომელი და უსაზღვროა. იგი ამბობს: ყოველივე ის, რაც გონივრულია ადამიანის ცნობიერებაში ე. ი. ყოველივე ის, რაც წარმოადგენს არა ილიუზიას, არამედ სინამდვილის ჭეშმარიტ შეცნობას, აუცილებლად ამ სინამდვილედ იქცევა, აუცილებლად შეიტანს მასში გონივრულობის თავის წილს.

აქედან აშკარაა, თუ რაში მდგომარეობს დიალექტიკოს-მატერიალისტების აზრით პიროვნების როლი ისტორიაში. ისინი არ უარჰყოფენ ამ როლს და პიროვნების წინაშე ისეთ ამოცანას აყენებენ, რომელიც, თუ ჩვეულებრივს, თუმცა არა სწორ ტერმინს ვიხმართ, **სავსებით იდეალისტურ ამოცანად** უნდა მივიჩნიოთ. რადგან ადამიანის გონება მხოლოდ მაშინ შესძლებს ბრმა აუცილებლობაზე გამარჯვებას, როცა მის საკუთარ, შინაგან კანონებს შეიცნობს, როცა მას მისივე საკუთარი (ე. ი. აუცილებლობის) ძალით დაამარცხებს, ამიტომ ცოდნის განვითარება, ადამიანის შეგნების განვითარება მოაზროვნე პიროვნების უდიდეს, უკეთილშობილეს ამოცანას წარმოადგენს. Licht, mehr Licht! აი რაა საჭირო პირველ ყოვლისა.

მაგრამ, თუ უკვე დიდი ხანია ნათქვამია: ლამპარს არავინ იმისთვის არ ანთებს, რათა ყუთში ჩაკეტოს, დიალექტიკოს-მატერიალისტები უმატებენ: ლამპარი „ინტელიგენციის“ ვიწრო კაბინეტში არ უნდა დავტოვოთო! სანამ არსებობენ ისეთი „გმირები“, რომელნიც ფიქრობენ, თითქოს საკმარისი იყოს მათი საკუთარი განათლება, რომ ბრბო მათი არჩეული გზით წავიდეს, რომ მისგან (ბრბოსგან), ისე როგორც თიხისგან შესაძლებელი გახდეს იმის გამოძერწვა, რაც მათ მოეპრიანებათ,—გონების სამეფო ლამაზ სიტყვად, კეთილშობილ ოცნებად რჩება. ის გიგანტური ნაბიჯით ჩვენთან მოახლოვებას

მხოლოდ მაშინ დაიწყებს, როცა თვით „ბრბო“ გახდება ისტორიული მოქმედების გმირი და როცა მასში, ამ უფერულ „ბრბოში“ ამის შესაფერი თვითშეგნება განვითარდება. განავითარეთ ადამიანის შეგნება, ვთქვით ჩვენ. განავითარეთ მწარმოებელთა თვითშეგნება, ვუმატებთ ჩვენ ეხლა. სუბიექტური ფილოსოფია ჩ ენ სწორედ იმიტომ მიგვაჩნია მავნედ, რომ იგი საშუალებას უსპობს ინტელიგენციას ამ თვითშეგნების განვითარებას ხელი შეუწყოს, როცა იგი ბრბოს გმირებს უპირდაპირებს, როცა ის ჰფიქრობს, რომ ბრბო—ეს ნულების გროვაა, რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია მის ხელმძღვანელი გმირის იდეალზე.

ოლონდ ტბა იყოს და ეშმაკები თავისთავად გაჩნდებიანო,—ამბობს ხალხური ანდაზა. ოლონდ გმირები იყვენ, ბრბო მათთვის მოიძებნებაო,—ამბობენ სუბიექტივისტები,— და ეს გმირები, ჩვენ ვართ სუბიექტური ინტელიგენციაო. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: ბრბოსადმი გმირების დაპირდაპირება—ეს მხოლოდ თვითგანდიდებაა და ამიტომაც თავის მოტყუილება. და თქვენც უბრალო... მოლაყბე დარჩებით ბანამდე, სანამ ვერ გაიგებთ, რომ თქვენივე იდეალების გასამარჯვებლად საჭიროა მოსპოთ ასეთი დაპირდაპირების თვით შესაძლებლობა, საჭიროა გაუღვიძოთ ბრბოს გმირული თვითშეგნება[1]).

შეხედულებანი მართავენ ქვეყანასო, ამბობდენ ფრანგი მატერიალისტები: ჩვენ—შეხედულებათა წარმომადგენლები და ამიტომ ისტორიის დემიურგები ვართ; ჩვენ გმირები ვართ და ბრბო ჩვენ უნდა მოგვყვესო.

შეხედულებათა ეს სიკიწროვე შეესაბამებოდა ფრანგი განმანათლებლების განსაკუთრებულ მდგომარეობას. ისინი **ბურჟუაზიის** წარმომადგენლები იყვენ.

თანამედროვე დიალექტიკური მატერიალიზმი კლასთა გაუქმებისაკენ მიისწრაფის; ის სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა კლასების მოსპობა ისტორიულ აუცილებლობად გარდაიქცა. ამიტომ იგი იმ მწარმოებლებს მიმართავს, რომელნიც უახლოესი ისტორიული პერიოდის გმირები უნდა გახდენ. ამიტომ, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა არსებობს და დედა-მიწა მზის გარშემო ტრიალებს, პირველად ხდება მეცნიერების დაახლოვება მუშაკებთან; მეცნიერება მზადაა მშრომელ მასას დაეხმაროს; მშრომელი მასა-კი თავის შეგნებული მოძრაობის დროს მეცნიერების დასკვნებს ემყარება.

---

[1]) „Mit der Grundlichkeit der geschichtlichen Action wird der Umfang der Masse zunehmen, deren Action sie ist“. Marx, Die Heilige Familie, s. 120.

თუ ყველაფერი ეს სხვა არ არის რა, თუ არა მეტაფიზიკა, მაშინ ჩვენ არ გვესმის, რას უწოდებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი მეტაფიზიკას.

—მაგრამ ყველაფერი ის, რასაც თქვენ ამბობთ, მხოლოდ წინასწარმეტყველებაა; ყველაფერი ეს მხოლოდ მკითხაობაა, რომელიც რამოდენადმე მწყობრ სახეს მხოლოდ ჰეგელის დიალექტიკის თვალთმაქცობის წყალობით ღებულობს; აი რატომ გიწოდებთ თქვენ მეტაფიზიკოსებსო, გვიპასუხებენ ბ. ბ. სუბიექტივისტები.

ჩვენ უკვე ნათელვყავით, რომ ჩვენ შორის წარმოებულ დავასთან „ტრიადის" დაკავშირება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც მასზე (ე. ი. ტრიადაზე) არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰეგელი მას (ტრიადას) არასოდეს საბუთის მნიშვნელობას არ აძლევდა, და რომ იგი სრულიადაც არ წარმოადგენს მისი ფილოსოფიის დამახასიათებელ ნიშანს. ვფიქრობთ, ჩვენ ისიც ნათელვყავით, რომ ისტორიული მატერიალიზმის ძალა ტრიადის დამოწმებაში კი არა, ისტორიული პროცესის მეცნიერულ გამოკვლევაშია. ამიტომ ეხლა ეს საბუთი შეგვეძლო სრულიად უყურადღებოდ დაგვეტოვებია. მაგრამ ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის ზედმეტი არ იქნება, თუ მესამოცდაათე წლების რუსეთის ლიტერატურის ისტორიიდან შემდეგ საინტერესო ფაქტს გავიხსენებთ.

ბ. ი. ჟუკოვსკიმ „კაპიტალის" გარჩევის დროს შენიშნა: მისი ავტორი, როგორც ეხლა ამბობენ, თავის მკითხაობას მხოლოდ „ფორმალურ" მოსაზრებებზე ამყარებს და მისი არგუმენტაციაც წმინდა ფორმალური ხასიათის ლოლიკურ მოსაზრებებს წარმოადგენსო. აი რას უპასუხებდა ამ ბრალდებაზე განსვენებული ნ. ზიბერი

„ჩვენ კვლავ იმ შეხედულებისა ვართ, რომ მარქსის შრომებში მატერიალური ამოცანის გამოკვლევა ყოველგან წინ უსწრებს ფორმალური მხარის გამოკვლევას. ვფიქრობთ, ბ. ჟუკოვსკის უფრო გულდასმით და ნიუდგომლად რომ წაეკითხა მარქსი, იგი ამაში თითონაც დაგვეთანხმებოდა. მაშინ იგი უეჭველად დაინახავდა, რომ კაპიტალისტური განვითარების იმ პერიოდის მატერიალური პირობების გამოკვლევით, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, „კაპიტალის" ავტორი ამტკიცებს, რომ კაცობრიობა ყოველთვის ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია. მარქსს თანდათან შეჰყავს თავისი მკითხველი კაპიტალისტური წარმოების ლაბირინტში და ყველა მისი შემადგენელი ელემენტის ანალიზის საშუალებით ნათელჰყოფს ჩვენთვის მისი (კაპიტალიზმის) დროებითს ხასიათს"[1]).

---

[1]) „Несколько замечаний по поводу статьи г. Ю. Жуковского „Карл Маркс и его книга о капитале". Н. Зибер „Отеч. Зап." 1877 წ., ნოემბერი. გვ. 6.

„ავიღოთ... საფაბრიკო მრეწველობა,—განაგრძობს ნ. ზიბერი —რომელსაც ახასიათებს მუშა ხელის განუწყვეტელი ცვლა ყოველი ოპერაციის დროს და ნერვიული მოძრაობა, რაც თითქმის ყოველდღე მუშას ერთი ფაბრიკიდან მეორეში ისვრის;—განა მისი მატერიალური პირობები მოსამზადებელ გარემოს არ წარმოადგენს საზოგადოებრივი წყობილების ახალი ფორმებისათვის, საზოგადოებრივი კოოპერაციისათვის? განა ამავე მიმართულებით არ მოქმედებს პერიოდული ეკონომიური კრიზისები? განა ამავე მიზანს არ ისახავს ბაზრების შეკვეცა, სამუშაო დღის შემცირება, სხვადასხვა ქვეყნის მეტოქეობა საერთო ბაზარზე, მსხვილი კაპიტალის გამარჯვება მცირე კაპიტალზე?...“ შემდეგ ნ. ზიბერი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესში საწარმოო ძალები წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდებაო, და ისევ ჰკითხულობს: „ან იქნებ ყოველივე ეს მატერიალური კი არა, წმინდა ფორმალური გარდაქმნაა?.. განა, მაგალითად, კაპიტალისტური წარმოების ფაქტიური წინააღმდეგობა არაა ის გარემოება, რომ იგი პერიოდულად ავსებს საქონლით მსოფლიო ბაზარს და უამრავ მოსახლეობას იძულებულს ხდის იშიმშილოს იმ დროს, როცა მოხმარების საგნები ჭარბადაა დამზადებული? განა კაპიტალიზმის ფაქტიური წინააღმდეგობა არაა ის, რასაც, სხვათა შორის, თვით კაპიტალის მფლობელნიც კი აღიარებენ, რომ იგი ერთსა და იმავე დროს უმუშევრად სტოვებს უამრავ მუშას და სჩივის მის ნაკლებობაზე? განა მისი ფაქტიური წინააღმდეგობა არაა ის, რომ შრომის დამზოგველ საშუალებებს, როგორიცაა, მექანიკური და სხვაგვარი გაუმჯობესებანი, იგი სამუშაო დროის გამახანგრძლივებელ საშუალებად აქცევს? განა ფაქტიური წინააღმდეგობა არაა, როცა კაპიტალიზმი, ერთის მხრით, თავგამოდებით იცავს კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობას, ხოლო მეორეს მხრით, გლეხობის უმეტეს ნაწილს ხელიდან აცლის მიწა-წყალს და მოსახლეობის დიდ უმრავლესობას იძულებულს ხდის მხოლოდ ხელფასით ირჩინოს თავი? განა ყველაფერი ეს და სხვა მრავალი რამ მხოლოდ მეტაფიზიკაა და სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ ხდება? მაგრამ საკმარისია ინგლისური ჟურნალის „Economist“-ის რომელიმე N-ის წაკითხვა, რომ მაშინვე საწინააღმდეგოში დავრწმუნდეთ. ამრიგად, არსებული სოციალურ-ეკონომიური ყოფა-ცხოვრების მკვლევარისათვის სრულიად არაა საჭირო ხელოვნურად წარმოიდგინოს, თითქოს კაპიტალისტური წარმოება ფორმალური, დიალექტიკური წინააღმდეგობის მიხედვით მოძრაობდეს: მას ისედაც ბევრი ნამდვილი წინააღმდეგობა აქვს“.

თავისი შინაარსით დამარწმუნებელი, ზიბერის პასუხი ფორმის მხრით ლმობიერი იყო. სულ სხვანაირია ბ. მიხაილოვსკის პასუხი იმავე ბ. ჟუროვსკისადმი.

ჩვენ პატივცემულ სუბიექტივისტს ის თხზულება, რომელსაც იგი მაშინ იცავდა, დღესაც მეტად „ვიწროდ“ ესმის, თუ არა ცალმხრივად, და კიდეც ცდილობს სხვებიც დაარწმუნოს, რომ ამ თხზულების ცალმხრივი გაგება მისი სწორი შეფასებაცაა. ცხადია, ასეთი ადამიანი „კაპიტალის“ საიმედო დამცველი ვერ იქნებოდა. აქიტომ მისი პასუხი მეტის მეტად ბავშვური კურიოზებითაა სავსე. აი, მაგალითად, ერთი მათგანი. თავის ბრალდებას მარქსის ფორმალიზმისა და მის მიერ ჰეგელის დიალექტიკის ბოროტად გამოყენების შეესახებ, ბ. ჟუკოვსკი, სხვათა შორის, „Zur Kritik der Politischen Oekonomie“-ის წინასიტყვაობის ერთი ადგილის დამოწმებით ასაბუთებდა. ბ. მიხაილოვსკის აზრით, მარქსის მოწინააღმდეგე მართალი იყო, როცა ამ წინასიტყვაობაში „ჰეგელის ფილოსოფიის ანარეკლს ხედავდა: „**მარქსს რომ მხოლოდ „Zur Kritik“-ის წინასიტყვაობა დაეწერა, ბ. ჟუკოვსკი სრულიად მართალი იქნებოდა**“ [1]), ე. ი. ამით ის დამტკიცებოდა, რომ მარქსი მხოლოდ ფორმალისტი და ჰეგელიანელია. ბ. მიხაილოვსკის ამ სიტყვების შემდეგ, ჩვენ ეჭვი შეგვეპარა, წაიკითხა თუ არა წინასიტყვაობა ჩვენმა ავტორმა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ იძლეოდა იმედებს?[2]) შეიძლებოდა კიდევ რამოდენიმე ასეთი კურიოზი მოგვეყვანა (ერთი მათგანი მოყვანილი იქნება ქვემოდ), მაგრამ ეხლა ეს საჭირო არაა. რაგინდ ცუდად ესმოდა მარქსი ბ. მიხაილოვსკის, მან მაინც მაშინვე დაინახა, რომ ბ. ჟუკოვსკიმ თავისი ბრალდება „**ფორმალიზმის**“ შესახებ „წამოროშა“. მან მაინც მოისაზრა, რომ ასეთი „წამოროშვა“ **დაურიდებლობის** უბრალო ნაყოფია.

ბ. მიხაილოვსკიმ სამართლიანად შენიშნა: „მარქსს რომ ეთქვა: —თანამედროვე საზოგადოების განვითარების კანონი ისეთია, რომ იგი (საზოგადოება) თითონ უარჰყოფს თავის წინანდელ მდგომარეობას სპონტანეურად და შემდეგ ამ უარყოფასაც უარჰყოფს და მათ განვლილ სტადიათა წინააღმდეგობებს ინდივიდუალური და თემური საკუთრების მთლიანობაში არიგებს; მას რომ ეს და **მხოლოდ** ეს ეთქვა (თუგინდ რამდენსამე გვერდზე), მაშინ იგი წმინდა ჰეგელია-

---

[1]) ნ. კ. მიხაილოვსკის თხზულება, ტ. II. გვ. 356.

[2]) ამ წინასიტყვაობაში მარქსი გადმოგვცემს ისტორიის მატერიალისტურ გაგებას.

ნელი იქნებოდა, რომელსაც კანონები საკუთარი გონებიდან გამოჰყავს და წმინდა ფორმალური, ე. ი. შინაარსისგან დამოუკიდებელი, პრინციპებით კმაყოფილდება. მაგრამ აკი ყველამ, ვისაც „კაპიტალი“ წაუკითხავს, იცის, რომ ეს ან ასა მარტო ეს თქვა.“ ბ. მიხაილოვსკის სიტყვით, ჰეგელის ფორმულა შესაძლებელია ისევე ადვილად მოიხსნეს მასში მარქსის მიერ თითქოს ჩაჩრილ ეკონომიურ შინაარსისგან, როგორც თათმანი ხელიდან. „ეკონომიური განვითარების განვლილი საფეხურების შესახებ შეუძლებელია რაიმე ეპვი არსებობდეს... ასევე უეჭვოა პროცესის შემდგომი მსვლელობაც: წარმოების საშუალებათა სულ უფრო და უფრო მცირერიცხოვან მესაკუთრეთა ხელში დაგროვება. მომავლის შესახებ კი, ცხადია, ეპვი შესაძლებელია. მარქსი ფიქრობს, რომ რადგან კაპიტალის კონცენტრაციასთან სდევს შრომის განსაზოგადოებრივობა, ამიტომ სწორედ ეს უკანასკნელი გახდება იმ ეკონომიურ და ზნეობრივ საფუძვლად (როგორ „გახდება“ ეს განსაზოგადოებრივობა შროკისა ზნეობრივ საფუძვლად? და რა უნდა უყოთ „ფორმათა თვითკანვითარებას“? გ. პ.), რომელზეც აღმოცენდება ახალი იურიდიული და პოლიტიკური წყობილება. ბ ბუკოვსკის სრული უფლება ჰქონდა ამ მსჯელობისთვის მკითხაობა ეწოდებია, მაგრამ არავითარი უფლება (ცხადია, მორალური. გ. პ.) არ ჰქოდა სრულიად არ აღენიშნა ის მნიშვნელობა, რომელსაც მარქსი განსაზოგადოებრივობის პროცესს ანიჭებს“[1]).

მთელი „კაპიტალი“-ო—სამართლიანად შენიშავს ბ. მიხაილოვსკი,—იმის გამოკვლევას წარმოადგენს, თუ როგორ ხდება, რომ ერთხელ წარმოშობილი საზოგადოებრივი ფორმა განუწყვეტლივ ვითარდება, აძლიერებს თავის ტიპიურ თვისებებს; იმორჩილებს და ითვისებს(?) აღმოჩენებს, გამოგონებებს, წარმოების საშუალებათა გაუმჯობესებას, ახალ ბაზრებს, თვით მეცნიერებას და აიძულებს მათ მის სასარგებლოდ იმუშაონ, და ბოლოს, როგორ ხდება, რომ მატერიალურ პირობათა შემდგომ ცვლილებებს განსაზღვრული ფორმა ვერ უძლებს“ [2]).

მარქსის მოძღვრებაში „სწორედ ანალიზი საზოგადოებრივი ფორმის (ე. ი. კაპიტალიზმის, ხომ კი, ბ. მიხაილოვსკი?) დამოკიდებულებისა მისი არსებობის მატერიალურ პირობებთან (ე. ი. საწარმოო ძალებთან, რომლებიც წარმოების კაპიტალისტურ ფორმის არსებობას თანდათან ნიადაგს აცლიან,—ასე არა, ბ. მიხაილოვსკი?) დარ-

---

[1]) იქვე, გვ. 353—354.

[2]) იქვე, გვ. 357.

ჩება სამუდამოდ ლოღიკური სისტემისა და უდიდესი ერუდიციის ძეგლად. ბ. ჟუკოვსკის შესწევს ზნეობრივი გამბედაობა ამტკიცოს, თითქოს მარქსი სწორედ ამ საკითხს უვლიდეს გვერდს. აქ არაფერი გაეწყობა. დაგვრჩენია მხოლოდ გაკვირვებით ვუყუროთ იმ კრიტიკოსის შემდეგ მოსაწყენ ვარჯიშობას, რომელიც იმ ხალხის გასართობად კორწიალობს, რომლის ერთი ნაწილი, ეკვს გარეშეა, მყისვე მიხვდება, რომ მის წინ გამბედავი ჯამბაზი იგრიხება, ხოლო მეორე ნაწილი-კი—საკვირველ სანახაობას სულ სხვანაირად დააფასებს-[1]).

Summa summarum: თუ ბ. ჟუკოვსკიმ მარქსს ბრალი დასდო ფორმალიზმში, ეს ბრალდება, ბ. მიხაილოვსკის სიტყვით, „ერთ დიდ სიყალბეს წარმოადგენდა, რომელიც სხვა მრავალ პატარა სიყალბისგან შესდგებოდა“.

მკაცრია ეს განაჩენი, მაგრამ სრულიად სამართლიანი. ხოლო თუ იგი სამართლიანია ბ. ჟუკოვსკის მიმართ, მაშინ იგი სამართლიანია ყველა იმათ მიმართაც, რომელნიც ეხლა იმეორებენ, რომ მარქსის „მკითხაობა“ მხოლოდ ჰეგელის ტრიადაზეა აშენებულიო. და თუ ასეთი განაჩენი სამართლიანია ყველა ასეთი ხალხის მიმართ, მაშინ... გაისარჯეთ და წაიკითხეთ ეს ამონაწერი:

„მან (მარქსმა) ცარიელი დიალექტიკური სქემა ისე ააავსო ფაქტიური შინაარსით, რომ შესაძლოა ის მოვაშოროთ ამ შინაარსს ისე, როგორც ფინჯანს სახურავი და ამით არც არაფერი დაშავდება და არც შეიცვლება, გარდა ერთად ერთის, მართალია, უდიდესი მნიშვნელობის პუნქტისა. სახელდობრ, საზოგადოების „იმანენტური“ კანონები მომავლის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ დიალექტიურ საფუძველზეა აგებული. მართლმორწმუნე ჰეგელიანელისთვის საკმარისია იმის თქმა, რომ „უარყოფას“ „უარყოფა“ უნდა მოჰყვეს; მაგრამ ის ვინც ჰეგელიანურ სიბრძნეს არ ზიარებია, ამით ვერ დაკმაყოფილდება, მისთვის დიალექტიკური დასკვნა დამტკიცება არაა, და ყოველმა არაჰეგელიანელმა, რომელიც მას დაიჯერებს, უნდა იცოდეს, რომ მან სწორედ მხოლოდ დაიჯერა და არა დარწმუნდა“[2]).

ბ. მიხაილოვსკიმ თავის თავს თითონვე გამოუტანა განაჩენი.

ბ. მიხაილოვსკი თითონ გრძნობს, რომ იგი ეხლა იმეორებს ბ. ი. ჟუკოვსკის სიტყვებს იმის შესახებ, თითქოს მარქსის დასაბუთება „ფორმალური იყოს“ და „მკითხაობას“ წარმოადგენდეს. მას არ დავიწყებია თავისი წერილი; „კარლ მარქსი ბ. ი. ჟუკოვსკის

---

[1]) იქვე, გვ. 357—358.

[2]) «Русское Богатство» 1894 წ. თებერვალი. განყ. II, გვ. 150—151.

სამსჯავროს წინაშე", და შიშობს კიდეც: ეს წერილი მისმა მკითხველმაც უადგილოდ არ მოიგონოს. ამიტომ იგი ჯერ ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს ეხლაც იმას ამბობდეს, რასაც მესამოცდაათე წლებში ამბობდა. ამ მიზნით იგი იმეორებს, რომ „დიალექტიკური სქემა" შეიძლება მოიხსნას „როგორც სახურავიო" და სხვა. შემდეგ არის **„მხოლოდ ერთი პუნქტი,"** რომლის დაფასებაში ბ. მიხაილოვსკი მკითხველისათვის შეუმჩნევლად სავსებით ბ. ი. ჟუკოვსკის ეთანხმება. მაგრამ ეს „ერთი პუნქტი" სწორედ ის **უდიდესი მნიშვნელობის** პუნქტია, რომელიც ბ. ჟუკოვსკის „ჯამბაზობის" მხილების საბაბი გახდა.

ბ. მიხაილოვსკი 1877 წ. ამბობდა, რომ მარქსი მომავლის შესახებაც,—ე. ი. სწორედ „ერთი უდიდესი მნიშვნელობის პუნქტის" შესახებ, არ დაკმაყოფილდა ჰეგელის დამოწმებითო. ეხლა კი მისი (ბ. მიხაილოვსკის) აზრით—**დაკმაყოფილდა.** 1877 წ. ბ. მიხაილოვსკი ამბობდა, რომ მარქსმა საკვირველი „ლოგიკური სიძლიერით" და „უდიდესი ერუდიციით" ცხადჰყო, თუ „განსაზღვრული ფორმა" (ე. ი. კაპიტალიზმი) როგორ ვერ უძლებს მისი (ფორმის) არსებობის **„მატერიალურ პირობათა"** შემდგომ ცვლილებებს. ეს სწორედ „ერთს, უდიდესი მნიშვნელობის პუნქტს" შეეხებოდა. ეხლა ბ. მიხაილოვსკის დაავიწყდა, თუ რა ბევრი დამარწმუნებელი რამ თქვა მარქსმა ამ პუნქტის შესახებ და ამასთანავე რა დიდი ლოგიკური ძალა და ერუდიცია გამოიჩინა მან. 1877 წელს ბ. მიხაილოვსკი განცვიფრებული იყო იმ „ზნეობრივი გამბედაობით", რომლითაც ბ. ჟუკოვსკიმ მიაფუჩეჩა ის გარემოება, რომ მარქსი თავის მკითხაობას შრომის იმ განსაზოგადოებრივობაზე ამყარებდა, რომელიც უკვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხდება. ესეც „ერთ დიდი მნიშვნელობის პუნქტს" შეეხებოდა. ეხლა ბ. მიხაილოვსკი არწმუნებს მკითხველს, რომ მარქსი ამ პუნქტის შესახებ განსაკუთრებით „დიალექტიკურად" მკითხაობსო. 1877 წელს ყველამ, ვისაც „კაპიტალი" წაეკითხა, იცოდა, რომ მარქსს **„მარტო ეს არ უთქვამს".** ეხლა აღმოჩნდა, რომ—„მხოლოდ ეს თქვა", და რომ მის მიმდევართა მომავლის რწმენა, „მხოლოდ და მხოლოდ ჰეგელის სამრგოლიან ჯაჭვს ემყარება"[1]). როგორი გადასხვაფერებაა!

ბ. მიხაილოვსკიმ თავის თავს თითონვე გამოუტანა განაჩენი და ამას იგი გრძნობს კიდეც.

---

[1]) იქვე, ტვ. 165.

მაგრამ საკვირველია, რატომ ჩაიდინა ეს მან? ნუთუ ამ ადამიანმა, წინად ასე დაუნდობლად რომ ამხელდა ლიტერატურულ „ჯამბაზებს“, მოხუცებულობის ჟამს თითონ იგრძნო მიდრეკილება „ჯამბაზური ხელოვნებისადმი“? ნუთუ შესაძლებელია ასეთი გადასხვაფერება? ყოველგვარი გადასხვაფერება შესაძლოა, მკითხველო! და ის ხალხი, რომელიც ასე სხვაფერდება, გაკიცხვის ღირსია. მათ ჩვენ ვერ გავამართლებთ. მაგრამ ასეთ ხალხსაც, როგორც იტყვიან, ადამიანურად უნდა მოვეექცეთ. გაიხსენეთ მილისადმი შენიშვნების ავტორის უაღრესად ჰუმანური სიტყვები: როცა ადამიანი ცუდად იქცევა, ეს ხშირად იმდენად მისი ბრალი კი არაა, რამდენადაც მისი უბედურება; მოიგონეთ, თუ რას ამბობდა იგივე ავტორი ნ. ა. პოლევოის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ:

„ნ. ა. პოლევოი კუზენის მიმდევარი იყო, რომელსაც ის ყოვლად ბრძენ და მსოფლიოს უდიდეს ფილოსოფოსად თვლიდა.. კუზენის მიმდევარი ვერ ურიგდებოდა ჰეგელის ფილოსოფიას, და როცა ჰეგელის ფილოსოფია რუსეთის ლიტერატურაში შეიჭრა—კუზენის მოწაფეები ჩამორჩენილი აღმოჩნდენ,—და არ შეიძლება მათ ზნეობრივ დანაშაულად ჩაეთვალოს ის, რომ ისინი იცავდენ თავიანთ შეხედულებებს და შეუსაბამოდ მიაჩნდათ იგი, რასაც გონებრივი განვითარებით მათზე მაღლა მდგომი ხალხი ამბობდა; არ შეიძლება გავკიცხოთ ადამიანი იმიტომ, რომ მას წინ გაუსწოო ბასზე უფრო მეტი ენერგიითა და გამბედაობით დაჯილდოებულმა ხალხმა,—ეს ხალხი მართალია, რადგან უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, მაგრამ არც ისაა დამნაშავე,—ის მხოლოდ სცდება[1])“.

ბ. მიხაილოვსკი მთელ თავის სიცოცლეში **ეკლექტიკოსი** იყო. მას არ შეეძლო მარქსის ისტორიულ ფილოსოფიას შერიგებოდა მთელი თავისი აზროვნებისა და წარსული,—თუ შეიძლება ეს ბ. მიხაილოვსკიზე ითქვას,—ფილოსოფიური განათლების ხასიათის გამო. როცა რუსეთში მარქსის იდეებმა იწყეს გავრცელება, მან პირველად მათი დაცვა სცადა, თუმცა, რასაკვირველია, არა მრავალი შენიშვნისა და მეტად მნიშვნელოვანი „გაუგებრობის“ გარეშე. იგი ჰფიქრობდა, ეს იდეები თავის ეკლექტიკურ წისქვილში დაეფქვა და ამ გზით თავის გონებრივ საზრდოში კიდევ უფრო მეტი სხვადასხვობა შეეტანა. შემდეგ მან დაინახა, რომ იმ მოზაიკის შესამკობად, რომელსაც ეკლექტიკოსების მსოფლმხედველობა ეწოდება, მარქსის იდეები სრულიად არ გამოდგება და რომ მათი გავრცელებით მის სა-

---

[1]) „Очерки гоголевского периода русской литературы“, გვ. 24—25.

ყვარელ მოზაიკას დამსხვრევა მოელის. და აი მანაც ამ იდეების წინააღმდეგ ფარ-ხმალი აისხა. რასაკვირველია, იგი მაშინვე ჩამორჩენილი ადამიანი აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ იგი იმაში დამნაშავე არაა; იგი მხოლოდ ცდება.

— მაგრამ ყოველივე ეს ხომ არ ამართლებს „ჯამბაზობას"!

— ჩვენც არ ვამართლებთ მას, არამედ მხოლოდ შემამსუბუქებელ გარემოებაზე მიუთითებთ: თავისთვის სრულიად შეუმჩნეველად, ბ. მიხაილოვსკი, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების წყალობით, ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომლიდანაც თავის დაღწევა მხოლოდ „ჯამბაზობის" გზითაა შესაძლებელი. მართალია, კიდევ არის სხვა გამოსავალი, მაგრამ მას მხოლოდ ნამდვილი გმირული სულის მქონე აირჩევს. ეს გამოსავალია: ეკლექტიკური იარაღის დაყრა.

დასკვნა

ამდენხანს, მარქსის მოძღვრების გადმოცემის დროს, ჩვენ ვარჩევდით უმთავრესად იმ მოსაზრებებს, რომელსაც მის წინააღმდეგ თეორიული თვალსაზრისით აყენებენ. სასარგებლო იქნება ეხლა გავეცნოთ მის მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილის მაინც „**პრაქტიკულ გონებასაც.**“ ამასთანავე აქ ჩვენ მიემართავთ **შედარებით-ისტორიულ** მეთოდს, ე. ი. პირველად განვიხილავთ იმას, თუ როგორ შეხვდა მარქსის მოძღვრებას **გერმანელი უტოპისტების** „პრაქტიკული გონება,“ შემდეგ-კი უკვე შევეხებით ჩვენი ძვირფასი და პატივცემული თანამემამულეების გონებას.

მეორმოცე წლების დასასრულს მარქსსა და ენგელსს საინტერესო პოლემიკა ჰქონდათ ცნობილ კარლ გეინცენთან. პოლემიკამ ერთბაშად მწვავე ხასიათი მიიღო. კარლ გეინცენი ცდილობდა, როგორც იტყვიან, აბუჩად აეგდო თავის მოწინააღმდეგეთა იდეები, და ამ საქმეში დიდი დახელოვნებაც გამოიჩინა, რითაც იგი სრულიად არ ჩამოუარდებოდა ბ. მიხაილოვსკის. თავის-თავად ცხადია, არც მარქსმა და ენგელსმა დააკლეს ხელი. ადგილი ჰქონდა მეტის-მეტ გამწვავებასაც. გეინცენმა ენგელსს „ბრიყვი, თავხედი ბალღი უწოდა;“ მარქსმა-კი გეინცენს უწოდა der grobianischen Literatur-ის წარმომადგენელი. ენგელსმა იგი „თავისი საუკუნის უუვიცეს ადამიანად“ გამოაცხადა. რის გარშემო ტრიალებდა დავა? როგორ შეხედულებებს მიაწერდა გეინცენი მარქსსა და ენგელსს? აი როგორს.

გეინცენი ამტკიცებდა, რომ, მარქსის თვალსაზრისით. **მაშინდელ გერმანიაში** ოდნავად კეთილშობილი განზრახვებით გამსჭვალულ ადამიანს გასაკეთებელი **არაფერი ჰქონდა.** მარქსის მიხედვით, ამბობდა გეინცენი, „ჯერ უნდა გაბატონდეს ბურჟუაზია, რომელმაც უნდა წარმოშვას საფაბრიკო პროლეტარიატი, და მხოლოდ შემდეგ ეს უკანასკნელი დაიწყებს მოქმედებას“ [1]).

---

[1]) Die Helden deutschen Kommunismus, Bern, 1848, გვ. 21.

მარქსმა და ენგელსმა „არ მიიღეს მხედველობაში ის პროლეტარიატი, რომელიც შექმნილია ოცდათოთხმეტი გერმანელი ვამპირის მიერ," ე. ი., სხვა სიტყვებით, მთელი გერმანელი ხალხი საფაბრიკო მუშების გარდა (სიტყვა „პროლეტარიატი" გეინცენს ესმის მხოლოდ როგორც ამ ხალხის ნივთიერად უმწეო მდგომარეობა). მარქსის აზრით, თითქოს ამ მრავალრიცხოვან პროლეტარიატს არ ჰქონდა არავითარი უფლება მოეთხოვა უკეთესი მომავალი, რადგანაც იგი ატარებდა „**მხოლოდ ჩაგვრის დაღს და არა საფაბრიკო ბეჭედს**; მას მოთმინებით უნდა ეშიმშილებია და დაელია კიდეეაც სული შიმშილით (hungern und verhungern), სანამ გერმანია არ გადაიქცეოდა ინგლისად. ფაბრიკა არის სკოლა, რომელიც წინასწარ უნდა განვლოს ხალხმა, რათა მოიპოვოს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების უფლება" [1].

ვინც ცოტათი მაინც იცნობს გერმანიის ისტორიას, იცის ეხლა, თუ რა სულელური იყო გეინცენის ეს ბრალდება. ყველამ იცის არიდებდენ თუ არა თვალს მარქსი და ენგელსი გერმანელი ხალხის უმწეო მდგომარეობას, ყველას ესმის, სამართლიანი იყო თუ არა მათთვის იმ აზრის მიწერა, რომ გერმანიაში, სანამ ის ინგლისად არ გადაიქცევა, კეთილშობილ კაცს არაფერი აქვს საკეთებელიო: ვფიქრობთ, ეს ხალხი აკეთებდა რაღაცას და სრულიადაც არ უცდიდა თავის სამშობლოს გარდაქცევას ინგლისად. მაგრამ რატომ აწერდა მათ გეინცენი ასეთ სისულელეს? ნუთუ არაკეთილსინდისიერობით? არა, სრულიადაც არა, ჩვენ კვლავ ვიტყვით: ეს მისი დანაშაულობა კი არ იყო, არამედ უბედურება. მან ვერ გაიგო მარქს-ენგელსის შეხედულება და ამიტომ იგი მას მავნედ მოეჩვენა. და რადგანაც მას ძლიერ უყვარდა თავის სამშობლო, ამიტომ მან ფარ-ხმალი აისხა მისი სამშობლოს ამ თითქოს დამღუპველ შეხედულებათა წინააღმდეგ. მაგრამ არცოდნა ცუდი მრჩეველია და მეტად არასაიმედო თანაშემწე დავაში. აი რატომ ჩავარდა გეინცენი სულელურ მდგომარეობაში. ის მეტად გონებამახვილი კაცი იყო, მაგრამ მარტო გონებამახვილობით შორს ვერ წახვალ, „les rieurs" **მის მხარეზე არ არის.**

როგორც ხედავს მკითხველი, გეინცენს საჭიროა ისე უყურებდეთ, როგორც ჩვენში სრულიად ანალოგიური დავის გამო, მაგალითად, ბ. მიხაილოვსკის. და განა მარტო ბ. მიხაილოვსკის? აკი ყველაისინი—მათი სახელი ლეგიონია—რომელნიც მიაწერენ „მოწაფეებს"

---

[1]) ibid. გვ. 32.

სურვილს მოეწყონ სამსახურში კოლუპაევებთან და რაზუვაევებთან, იმეორებენ გეინცენის შეცთომას და ვერც ერთმა მათგანმა ვერ გამოიგონა ვერც ერთი ისეთი საბუთი „ეკონომიური“ მატერიალისტების წინააღმდეგ, რომელსაც **ორმოცდაათი** წლის წინად ადგილი არ ჰქონოდა გეინცენის არგუმენტაციაში. თუ მათ რაიმე ორიგინალური აქვთ, — ეხოლოდ ერთი: გულუბრყვილო არცოდნა იმისი, თუ თითონ რამდენად არაორიგინალური არიან. მათ დიდი სურვილი აქვთ გამოუნახონ რუსეთს „ახალი გზა“, მაგრამ მათი უვიცობის გამო „საბრალო რუსული აზრი“ ადგება ძველს, ევროპიული აზრის მიერ უკვე დიდი ხანია უკუგდებულ გზას. საკვირველია ეს, მაგრამ სავსებით გასაგები გახდება, თუ ამ, ერთის შეხედვით, უცნაური მოვლენის ასახსნელად „აუცილებლობის კატეგორიას“ მივმართავთ. **განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მის ინტელიგენციას აუცილებლად უჩნდება განსაზღვრული სულელური კეთილგანზრახვანი.**

თუ რა კომიკური იყო გეინცენის მდგომარეობა მარქსთან კამათის დროს, დაგვანახვებს შემდეგი მაგალითი. ის დაჟინებით მოითხოვდა თავის მოწინააღმდეგეებისგან მომავლის დაწვრილებითს „იდეალს“: გვითხარით, ეკითხებოდა იგი მათ, როგორ უნდა მოეწყოს, თქვენი აზრით, მომავალი ქონებრივი ურთიერთობანი? როგორი უნდა იყოს, ერთის მხრით, კერძო საკუთრების და, მეორეს მხრით, საზოგადოებრივი საკუთრების ფარგლები? ისინი უპასუხებდენ მას, რომ ყოველ განსაზღვრულ მომენტში საზოგადოების ქონებრივი ურთიერთობანი განისაზღვრებიან საწარმოო ძალთა მდგომარეობით, და რომ ამიტომ შესაძლოა საზაგადოებრივი განვითარების მხოლოდ საერთო მიმართულება უჩვენოთ, მაგრამ შეუძლებელია წინასწარ გამოვიმუშაოთ ზუსტად გარკვეული კანონ-პროექტები. უკვე ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ შრომის განსაზოგადოებრივობას, რომელსაც უახლოესი დროის მრეწველობა იწვევს, შედეგად უნდა მოჰყვეს წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია. მაგრამ შეუძლებელია ითქვას, თუ რამდენად განხორციელდებოდა ეს ნაციონალიზაცია, ვთქვათ, ათი წლის შემდეგ: ეს დამოკიდებული იქნებოდა წვრილისა და მსხვილი მრეწველობის, მსხვილი მიწათმფლობელობისა და საგლეხო მიწის საკუთრების და სხვ. ურთიერთობაზე. მაშასადამეო, დაასკვნიდა გეინცენი, თქვენ არავითარი იდეალი არ გაგაჩნიათ; კარგი იდეალი კია, შენმა მზემ, **ის იდეალი, რომელსაც შემდეგ მხოლოდ მანქანები გამოიმუშავებსო.**

გეინცენი **უტოპიურ** თავალსაზრისზე იდგა. უტოპისტი, როგორც ვიცით, თავისი „იდეალის“ შემუშავების დროს ყოველთვის რაიმე განყენებულ **ცნებას** ემყარება, მაგალითად, ადამიანის ბუნების ცნებას, ან და რაიმე განყენებულ **პრინციპს**, მაგ., პიროვნების ამა და ამ უფლების, „ინდივიდუალობის“ და სხვა ამგვარ პრინციპს. რაკი ეს პრინციპი მოცემულია, ძლიერ ადვილია მასზე დამყარებით, სრული სიზუსტით, ძალიან დაწვრილებით გამოვარკვიოთ, **როგორი უნდა იყოს** (თავის თავად ცხადია, გამოურკვეველია როდის და რა გარემოებაში), ვთქვათ, ადამიანთა ქონებრივი ურთიერთობანი. და გასაგებიცაა, რომ უტოპისტი გაკვირვებით უყურებს ყველა ამას, ვინც მას ეუბნება, რომ შეუძლებელია ისეთი ქონებრივი ურთიერთობანი, რომელნიც თავის თავად სასურველნი იყონ ადგილისა და დროის გარემოებათა გარეშე. მას ჰგონია, რომ ასეთ ხალხს არავითარი „იდეალი“ არ გააჩნია. თუ მკითხველი ოდნავად მაინც თვალყურს ადევნებდა ჩვენს მსჯელობას, მისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ უტოპისტი ამ შემთხვევაში სრულიად არ არის მართალი. მარქსსა და ენგელსს ჰქონდათ იდეალი, და საკვლევი გარკვეული **იდეალიც: აუცილებლობის თავისუფლებისადმი, ბრძა ეკონომიურ ძალთა ადამიანის გონების ძლიერებისადმი** დამორჩილება. ისინი ამ იდეალს ემყარებოდენ და თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას ამის მიხედვით წარმართავდენ, რომელიც, თავის თავად ცხადია, მდგომარეობდა არა ბურჟუაზიის მსახურებაში, არამედ სწორედ იმ მწარმოებელთა თვითცნობიერების განვითარებაში, რომლებიც ერთ დროს თავიანთი პროდუქტების ბატონ-პატრონი უნდა გახდენ.

მარქსსა და ენგელსს სრულიად არ სურდებოდათ „ეზრუნათ“ გერმანიის ინგლისად გარდაქცევაზე, ან როგორც ეხლა ამბობენ, ბურჟუაზიის მსახურებაზე; ბურჟუაზია მათ დაუხმარებლადაც ვითარდებოდა, და შეუძლებელი იყო ამ განვითარების შეჩერება, ე. ი. არ მოიპოვებოდა ისეთი საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც ეს შესძლებოდათ. ან და რა საჭირო იყო ეს, რადგანაც ძველი ეკონომიური წყობილება საბოლოოდ უკეთესი არ იყო ბურჟუაზიულზე და ორმოციან წლეებში იმდენად მოძველდა, რომ **ყველასათვის მავნებელი შეიქნა**. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების შეჩერების შეუძლებლობა საშუალებას არ უსპობდა გერმანიის მოაზროვნეთ **ხალხის კეთილდღეობაზე ეზრუნათ**. ბურჟუაზიას თავისი აუცილებელი თანამგზავნი ჰყავს: ყველა ისინი, რომელნიც ნამდვილად **ეკონომიუ-**

რი აუცილებლობის გამო მის ჯიბეს ემსახურებიან. რაც უფრო განვითარებულია ამ დამონებულ მსახურთა ცნობიერება, მით უფრო ადვილი ასატანია მათი მდგომარეობა, მით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ისინი ყველა ქვეყნისა და ხალხის კოლუპაევებსა და რაზუვაევებს. მარქსმა და ენგელსმა ამოცანად დაისახეს სწორედ ამ თვითცნობიერების განვითარება. დიალექტიკური მატერიალიზმის ბუნების თანახმად, მათ თავიდანვე **საკუთარი იდეალისტური ამოცანა** დაისახეს.

იდეალის კრიტერიუმი ეკონომიური სინამდვილეა. ასე ამბობდენ მარქსი და ენგელსი და ამის გამო მათ დასწამეს ერთგვარი ეკონომიური მოლჩალინობა, ეკონომიურად სუსტის გათელვის განხრახვა და ქედის მოხრა ეკონომიურად ძლიერის წინაშე. ამ ბრალდების წყარო იმის **მეტაფიზიკური გაგება** იყო, რასაც მარქსი და ენგელსი ჰგულისხმობდენ შემდეგი სიტყვებით: **ეკონომიური სინამდვილე.** როცა მეტაფიზიკოსს ეუბნებიან, რომ საზოგადო მოღვაწე სინამდვილეს უნდა ეყრდნობოდესო, იგი ჰფიქრობს, რომ მას სინამდვილესთან შერიგებას ურჩევენ. მან არ უწყის, რომ ყოველ ეკონომიურ სინამდვილეში ერთი-მეორეს **მოპირდაპირე ელემენტები** არსებობს, და სინამდვილესთან შერიგება მის ერთ-ერთ ელემენტთან შერიგებას მოასწავებს, იმასთან, რომელიც გაბატონებულია ამა თუ იმ დროს. დიალექტიკოს-მატერიალისტები მიუთითებდენ და დღესაც მიუთითებენ, სინამდვილის მეორე ამის საწინააღმდეგო ელემენტზე,—**იმაზე, რომლის წიაღშიაც მწიფდება მომავალი.** საკითხავია, ამ ელემენტზე დამყარება, თავისი „იდეალების" კრიტერიუმად **მისი** მიღება, კოლუპაევებისა და რაზუვაევების წინაშე ქედის მოხრა იქნებოდა?

მაგრამ თუ იდეალის კრიტერიუმს ეკონომიური სინამდვილე უნდა წარმოადგენდეს,—მაშინ გასაგებია, რომ იდეალის ზნეობრივი კრიტერიუმი არადამაკმაყოფილებელია არა იმიტომ, რომ ადამიანის ზნეობრივი გრძნობა აბუჩად აგდების ან სიძულვილის ღირსია, არამედ იმიტომ, რომ ეს გრძნობა არ არის საკმარისი ჩვენ მოყვასთა ინტერესების დაცვის საქმეში სწორი გზის გამოსანახავად. არაა საკმარისი ექიმი მხოლოდ თანაუგრძნობდეს თვის ავადმყოფს: მან ანგარიში უნდა გაუწიოს ორგანიზმის **ფიზიკურ სინამდვილეს,** უნდა დაეყრდნოს მას მასთან ბრძოლის დროს. ექიმი რომ ავადმყოფობის წინააღმდეგ მხოლოდ ზნეობრივი აღშფოთებით კმაყოფილდებოდეს, იგი ღირსი იქნება მწარე დაცინვის. სწორედ ამ მნიშვნელობით დასცინოდა მარქსი თავის მოწინააღმდე-

გეთა „გამაზნეობრივებელ კრიტიკას“ და „კრიტიკულ ზნეობას“. ხოლო მოწინააღმდეგენი ფიქრობდენ, მარქსი „ზნეობას“ დასცინისო. „ადამიანის ზნეობას და ნებას არა აქვს ფასი იმ ხალხის თვალში, რომელსაც თითონ არც ზნეობა და არც ნება გააჩნია“-ო, ამბობდ ხოლმე გეინცენი[1]).

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ეკონომიური“ მატერიალისტების ჩვენი რუსი მოწინააღმდეგენი, თუმცა საერთოდ თავიანთ გერმანელ წინამორბედთა საბუთებს იმეორებენ sans le savoir, მაგრამ მაინც ზოგი წვრილმანებით ასხვაფერებენ თავიანთ არგუმენტაციას. მაგალითად, გერმანელი უტოპისტები ვრცლად არ ჩერდებოდენ გერმანიის „ეკონომიური განკითარების კანონის“ გამორკვევაზე. ჩვენში-კი ამგვარმა მსჯელობამ მეტის-მეტად ფართო ხასიათი მიიღო. მკითხველს ახსოვს, რომ ბ.ვ.ვ.-მა ჯერ კიდევ მეოთხმოცე წლების დასაწყისში აღგვითქვა რუსეთის ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა. მართალია, შემდეგში ერთხანს ბ. ვ. ვ. ამ კანონს უფრთხოდა, მაგრამ მან ამასთანავე დაგვანახვა, რომ იგი მას მხოლოდ დროებით უ ფრთხის, მხოლოდ მანამდე, სანამ რუსი ინტელიგენცია არ აღმოაჩენს მეტად კარგს და კეთილ კანონს. საზოგადოდ-კი ბ. ვ. ვ. სიამოვნებით ღებულობს მონაწილეობას დაუსრულებელ დავაში იმის შესახებ, უნდა განვლოს თუ არა რუსეთმა კაპიტალიზმის ფაზა. ჯერ კიდევ მესამოცდაათე წლებიდან ამ დავის დროს ეხებოდენ მარქსის მოძღვრებას.

თუ როგორ წარმოებს ჩვენში ასეთი დავა, ამას ცხადჰყოფს ბ. ს. კრივენკოს უახლესი სიტყვა. ეს ავტორი ბ. პ. სტრუვესთან დავის დროს ურჩევს თავის მოწინააღმდეგეს უკეთ ჩაუკვირდეს საკითხს „კაპიტალიზმის აუცილებლობისა და კეთილი შედეგების შესახებ“.

„თუ-კი კაპიტალისტური რეჟიმი წარმოადგენს განვითარების გ`რდაუვალს, აუცილებელ სტადიას, რომელიც ადამიანთა ყოველმა საზოგადოებამ უნდა გაიაროს, თუ მხოლოდ დაგვრჩენია ამ ისტორიული აუცილებლობის წინაშე ქედი მოვიხაროთ, საჭიროა თუ არა მივმართოთ ისეთ ზომებს, რომელსაც კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრებისთვის მხოლოდ ხელის შეშლა შეუძლია და, პირიქით, საჭიროა თუ არა გავაადვილოთ მასზე გადასვლა და ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ მისი დამკვიდრების დაჩქარებისათვის, ე. ი. საჭიროა თუ არა ვიზრუნოთ კაპიტალისტური მრეწველობის და სარეწავების

---

[1]) Ibid. გვ. 22.

კაპიტალიზაციის განვითარებაზე, კულაკობის გაძლიერებაზე... თემის დარღვევაზე, მოსახლეობისგან მიწა-წყლის ჩამოცილებაზე და საზოგადოდ ზედმეტი გლეხის სოფლიდან ქარხნისკენ განდევნაზე?"[1]).

ბ. ს. კრივენკო აქ არსებითად ორ კითხვას აყენებს: 1) წარმოადგენს თუ არა კაპიტალიზმი საბედისწეროს, აუცილებელ სტადიას? 2) თუ ჰო, მაშინ რა პრაქტიკული ამოცანები გამომდინარეობს აქედან? შევჩერდეთ პირველზე.

ბ. ს. კრივენკო სწორად აყალიბებს ამ კითხვას იმ აზრით, რომ ერთი, და მასთან ძეტად დიდი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა სწორედ ასეთი სახით აყენებდა მას: წარმოადგენს თუ არა კაპიტალიზმი საბედისწეროს, აუცილებელ სტადიას, რომელიც უნდა განვლოს ადამიანთა ყოველმა საზოგადოებამ? ერთ დროს ფიქრობდენ მარქსი ამას დადებითად უპასუხებსო და ძლიერ დაღონებული იყვენ ამის გამო. როცა გამოქვეყნდა მარქსის ცნობილი წერილი ვითომდა ბ. მიხაილოვსკის მიმართ[2]), გაკვირვებული დარჩენ იმით, რომ მარქსი არ სცნობდა ამ სტადიის აუცილებლობას. და მაშინ ბოროტებით აღვსილი სიხარულით გადასწყვიტეს: ხომ შეარცხვინა მან თავის რუსი მოწაფეები! მაგრამ მათ დაავიწყდათ ფრანგული ანდაზა: bien rira, qui rira le dernier.

ამ დავის დასაწყისიდან მის დასრულებამდე მარქსის „რუსი მოწაფეების" მოწინააღმდეგენი სრულიად „არაბუნებრივ ლაყბობას" ეწეოდენ.

საქმე ის არის, რომ რუსეთის სინამდვილისადმი მარქსის ისტორიული თეორიის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ მსჯელობის დროს მათ დაავიწყდათ სულ უბრალო რამ: გამორკვევა იმისა, თუ რაში მდგომარეობს ეს თეორია. და ჭეშმარიტად შესანიშნავი იყო ის გამოუვალი ხლართი, რომელშიაც ამის გამო ბ. მიხაილოვსკის მეთაურობით ჩვენი სუბიექტივისტები მოექცენ.

ბ. მიხაილოვსკიმ წაიკითხა (თუკი წაიკითხა) „Zur Kritik"-ის წინასიტყვაობა, სადაც მარქსის ისტორიული-ფილოსოფიური თეორიაა გადმოცემული, და გადასწყვიტა: ეს ჰეგელიანიზმია და მეტი არაფერია. ბ. მიხაილოვსკიმ ვერ შეამჩნია სპილო იქ, სადაც სპილო ნამდვილად იმყოფებოდა და მას ძებნა დაუწყო. ბ. მიხაილოვსკის მო-

---

[1]) „Русское Богатство", დეკემბერი 1893 წ. განყ. II, გვ. 189.

[2]) ამ საბოლოოდ დაუმუშავებელ წერილის შავში მარქსი მიმართავს არა ბ. მიხაილოვსკის, არამედ «Отеч. Зап.» რედაქტორს. ბ. მიხაილოვსკიზე იქ ლაპარაკობს, როგორც მესამე პირზე.

ეჩვენა, თითქოს მან იგი დაინახა თავში კაპიტალისტური დაგროვების შესახებ, სადაც ლაპარაკია დასავლეთის კაპიტალიზმის და არა მთელი კაცობრიობის კაპიტალიზმის განვითარებაზე.

ყოველი პროცესი აბსოლუტურად „სავალდებულოა“ იქ, სადაც იგი არსებობს. მაგალითად, ასანთის წვა „სავალდებულოა“ ასანთისთვის მას შემდეგ. რაც იგი აინთო. ასანთი აუცილებლად ჩაქვრება, დასრულდება თუ არა წვის პროცესი. „კაპიტალში“ ლაპარაკია, რომ კაპიტალისტური განვითარება „სავალდებულოა“ იმ ქვეყნებისათვის, სადაც მას ადგილი აქვს. ბ. მიხაილოვსკიმ წარმოიდგინა, რომ „კაპიტალის“ აღნიშნულ თავში მოცემულია მთელი ისტორიული ფილოსოფია და გადასწყვიტა: კაპიტალისტური წარმოება, მარქსის აზრით, სავალდებულოა ყველა ქვეყნისა და ხალხისათვისო[1]). მაშინ იგი დააღონა იმ რუსების მძიმე მდგომარეობამ, რომელნიც და სხვ... და... სევდის თავის სუბიექტური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, მიმართა ბ. ჟუკოვსკის და თავმოწონედ წარმოთქვა: ხედავთ, ჩვენც შეგვიძლია ვაკრიტიკოთ მარქსი და ბრმად არ მივყვებით იმას, რაც magister dixit! თავის-თავად ცხადია, ყოველივე ამან ერთი ხაბიჯითაც ვერ წასწია წინ საკითხი აუცილებლობის შესახებ. მაგრამ ბ. მიხაილოვსკის სევდიანი წერილის წაკითხვის შემდეგ მარქსმა განიზრახა დახმარებოდა მას. მარქსმა „Отечеств. Зап.“-ის რედაქტორს მიმართა შენიშვნებით ბ. მიხაილოვსკის წერილზე. მარ-

---

[1]) იხ. წერილი: „Карл Маркс перед судом Ю. Жуковского“. „О. З“. окт. 1877. „კაპიტალის“ მეექვსე თავში არის პარაგრაფი შემდეგი სათაურით: „ეგრეთწოდებული თავდაპირველი დაგროვება“. აქ მარქსს განზრახული ჰქონდა მოეცა წარმოების კაპიტალისტური პროცესის დაწყებითი საფეხურის ისტორიული ნარკვევი, მაგრამ გაცილებით მეტი მოგვცა „მთელი ფილოსოფიურ-ისტორიული თეორია“. ეს, სრული გაუგებრობაა: მარქსის ისტორიის ფილოსოფია გადმოცემულია „რამდენიმე განზოგადოებულ, ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულ იდეათა“ სახით «Zur Kritik der politischen Oeconomie»-ის იმ წინასიტყვაობაში, რომელიც ბ. მიხალოვსკიმ ვერ გაიგო. მაგრამ ეს სხვათაშორის. ბ. მიხაილოვსკიმ მოახერხა მარქსის იმ ადგილის არ გაგებაც-კი, სადაც ლაპარაკია კაპიტალისტური პროცესის აუცილებლობაზე დასავლეთისათვის. მან საფაბრიკო კანონმდებლობაში ისტორიული პროცესის ფატალური გარდაუვალობის „შეწყვეტა“ დაინახა. მას შემდეგ, რაც მან წარმოიდგინა, თითქოს მარქსის მიხედვით „ეკონომიური“ მოქმედებს თავის-თავად, ადამიანის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, ის სრულიად ლოღიკურად ფიქრობდა, როცა ადამიანთა საწარმოო პროცესში მათი ყოველი ჩარევა შესწორებად მიჩნია. მან არ იცოდა მხოლოდ ის, რომ, მარქსის აზრით, თვით ეს ჩარევა ყოველთვის განსაზღვრულ ეკონომიურ ურთიერთობათა ნაყოფს წარმოადგენს. ძნელია დავა მარქსის შესახებ ისეთ ხალხთან, რომელსაც იგი ასეთი განსაცვიფრებელი სიმტკიცით არ ესმის!

ქსის სიკვდილის შემდეგ, როცა ეს შენიშვნები ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა, ყოველ შემთხვევაში საშუალება მიეცა იმ რუსებს, რომელნიც და სხვ. სწორად გადაეჭრათ აუცილებლობის საკითხი.

რისი თქმა შეეძლო მარქსს ბ. მიხაილოვსკის წერილის გამო? ბ. მიხაილოვსკის ცუდი საქმე მოუვიდა: მან მარქსის ისტორიულ-ფილოსოფიურ თეორიად მიიღო ის, რაც ასეთს სრულიად არ წარმოადგენდა. ცხადია, რომ მარქსი, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეშფოთებოდა რუს მწერალს, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა. გარდა ამისა, რუსი ახალგაზრდა მწერალი სჩიოდა: მარქსმა რუსეთს კაპიტალიზმი მიუსაჯაო. საჭირო იყო დაენახვებინათ რუსი მწერლისთვის, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი არც ერთს ქვეყანას არაფერს არ უსაჯავს, იგი არ იძლევა ყველა ხალხისთვის ყოველ დროში საერთო და „სავალდებულო“ გზას; რომ ყოველი საზოგადოების შემდგომი განვითარება ყოველთვის მის შინაგან სოციალურ ძალთა ურთიერთობაზეა დამოკიდებული, ამიტომ ყოველმა სერიოზულმა ადამიანმა თავი უნდა დაანებოს მკითხაობას და გოდებას რაღაც ფანტასტიურ აუცილებლობაზე, შეისწავლოს, უპირველეს ყოვლისა, ეს ურთიერთობანი. მხოლოდ ასეთ შესწავლას შეუძლია დაგვანახვოს, თუ რაა და რა არაა სავალდებულო განსაზღვრული საზოგადოებისათვის.

სწორედ ასე მოიქცა მარქსი. პირველ-ყოვლისა, მან ამხილა ბ. მიხაილოვსკის „გაუგებრობა“: „თავდაპირველი დაგროვების თავში მე მინდა აღვწერო ის გზა, რომლითაც დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური წყობილება ფეოდალური წყობილების წიაღიდან გამოვიდა. აქ, მაშასადამე, კვალ-და-კვალ განხილულია ისტორიულ მოვლენათა ის მსვლელობა, რომლითაც მწარმოებელი ჩამოცილებული იქნა საწარმოო საშუალებათაგან, რის შედეგად პირველი გადაიქცა დაქირავებულ მუშად (პროლეტარად, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით), ხოლო—უკანასკნელი კი კაპიტალად. ამ ისტორიაში ყოველი გადატრიალება შეადგენს ეპოქას და კაპიტალისტური კლასის განვითარების ბერკეტს წარმოადგენს; ასეთი განვითარების მთავარ საფუძველს შეადგენს მიწათმმქმედთა ექსპროპრიაცია. თავის დასასრულს მე ვლაპარაკობ კაპიტალისტური დაგროვების ისტორიულ ტენდენციაზე და ვამბობ, რომ მისი უკანასკნელი სიტყვა იქნება კაპიტალისტური საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გარდაქცევა. ამ დასკვნითი სიტყვებში მე არ ვასაბუთებ ჩემ აზრს იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ თვით ის სხვა არაფერია, თუ არა ზოგადი დასკვნა ვრცელი მსჯელობისა კაპიტალისტური წარმოების შესახებ“.

იმ გარემოების უკეთ ნათელსაყოფად, რომ ბ. მიხაილოვსკიმ ისტორიულ თეორიად მიიჩნია ის, რაც ასეთი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, მარქსს მოჰყავს ძველი რომის მაგალითი. სავსებით დამარწმუნებელი მაგალითია! და მართლაც, თუ ყველა ხალხისთვის „სავალდებულოა“ კაპიტალიზმის სტადია, მაშინ როგორ უნდა აიხსნას რომის, სპარტის, ინკების სახელმწიფოს და სხვ. მრავალი ხალხის მაგალითი, რომელთაც ისე დასტოვეს ისტორიული ასპარეზი, რომ არ შეუსრულებიათ ეს თავისი პსევდო-მოვალეობა? მარქსისთვის ამ ხალხთა ისტორიული ბედი როდი იყო უცნობი; მაშასადამე, მას არ შეეძლო ელაპარაკნა კაპიტალისტური პროცესის საყოველთაო აუცილებლობაზე.

ჩემმა კრიტიკოსმაო, ამბობს მარქსი, ,,ინება ჩემი ნარკვევი დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის წარმოშობის შესახებ გარდაექცია ხალხთა ისტორიული გზის ისტორიულ-ფილოსოფიურ თეორიად, , რომელსაც (გზას) ვერ აცდება ვერც ერთი მათგანი, როგორიც უნდა იყოს მათი ისტორიული ყოფის პირობები. მაგრამ ბოდიშს ვითხოვ: ასეთი ახსნა-განმარტება ჩემთვის ერთსა და იმავე დროს მეტის-მეტი პატივისცემაც არის და შეურაცხება“-ც.

რასაკვირველია! მსგავსი ახსნა-განმარტება ხომ გახდიდა მარქსს ერთ-ერთ იმ ,,ადამიანად ფორმულებით‘‘, რომელსაც ის ჯერ კიდევ პრუდონთან პოლემიკის დროს დასცინოდა. ბ. მიხაილოვსკიმ მიაწერა მარქსს ,,პროგრესის ფორმულა‘‘, ხოლო მარქსმა უპასუხა: დიდად გმადლობთ, მე ეს სიკეთე არ მინდაო.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ უყურებდენ უტოპისტები ისტორიული განვითარების კანონს (მოიგონოს მკითხველმა, რა ვთქვით ჩვენ სენ-სიმონზე). ისტორიული მოძრაობის კანონზომიერება მათ ხელში **მისტიურ** სახეს ღებულობდა; გზა, რომლითაც კაცობრიობა მიდის, მათი აზრით, **წინასწარ გარკვეულია** და არავითარს ისტორიულ მოვლენას არ ძალუძს ამ გზის მიმართულების შეცვლა. საინტერესო ფსიქოლოგიური აბერაციაა! „ადამიანის ბუნება“ უტოპისტებისათვის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ამ ბუნების განვითარების კანონები-კი, რომელიც მათ ხელში მყისვე საიდუმლო ხასიათს ღებულობს, **გადაიტანება სადღაც ადამიანთა და მათ ფაქტიურ ურთიერთობათა მიღმა, რალაც „სუპრა-ისტორიულ“ სფეროში.**

დიალექტიკური მატირიალიზმი საკითხს აქაც სულ სხვა საფუძველზე აყენებს და ამით მას სრულებით ახალ სახეს აძლევს.

დიალექტიკოს-მატერიალისტები „ყველაფერს ეკონომიით ხსნიან“. ჩვენ უკვე ვთქვით, თუ როგორ .უნდა გვესმოდეს ეს. მაგრამ

რა არის ეკონომია? ეს ადამიანებს შორის არსებული ფაქტიურ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლივობაა, რომელიც საზოგადოებას შეადგენს. ეს ურთიერთობანი უძრავს, მეტაფიზიკურ არსებას როდი წარმოადგენენ. ისინი მუდამ იცვლებიან საწარმოო ძალთა განვითარების გავლენით ისე, როგორც იმ ისტორიული წრის ზემოქმედებით, რომლითაც გარემოცულია ესა თუ ის საზოგადოება. რა-კი მოცემულია ადამიანთა ფაქტიური საწარმოო ურთიერთობანი, ამ ურთიერთობათაგან აუცილებლად გამომდინარეობს განსაზღვრული შედეგი. ამ მნიშვნელობით საზოგადოებრივი მოძრაობა კანონზომიერია, და ეს კანონზომიერება მარქსზე უკეთ არავის გაძოურკვევია. მაგრამ რადგან ყოველი საზოგადოების ეკონომიურ განვითაოაბას იმ პირობათა „თავისებურების" გამო, რომელშიაც ეს განვითარება წარმოებს, „თავისებური" ხასიათი აქვს, ამიტომ შეუძლებელია ისეთი „ფორმულა პროგრესისა", რომელიც ხსნიდეს ყველა საზოგადოების წარსულს და წინასწარმეტყველებდეს მათ მომავალ ეკონომიურ განვითარებას. პროგრესის ფორმულა ის განყენებული ჰეშმარიტებაა, რომელიც „Очерки гоголевского периода русской литературы"-ის ავტორის სიტყვით ასე გატაცებით უყვარდათ მეტაფიზიკოსებს. მაგრამ მისიივე სამართლიანი შენიშვნით განყენებული ჰეშმარიტება არ არსებობს. ჰეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია: ყველაფერი დამოკიდებულია დროისა და ადგილის გარემოებაზე. და თუ ყველაფერი დამოკიდებულია ამ გარემოებებზე, მაშინ მათ, მაშასადამე, უნდა სწავლობდეს ის ხალხი, რომელიც და სხვ.

„რომ დარწმუნებით შემძლებოდა მსჯელობა თანამედროვე რუსეთის ეკონომიური განვითარების მსვლელობაზე, მე შევისწავლე რუსული ენა და რამდენიმე წლის განმავლობაში ვსწავლობდი ოფიციალურსა და ამ საკითხის შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ სხვა წყაროებსაც".

მარქსის რუსი მოწაფეები ამ შემთხვევაშიც მისი ერთგული რჩებიან. რასაკვირველია, ზოგ მათგანს შესაძლებელია ჰქონდეს უფრო მეტი, ზოგს კი ნაკლები ეკონომიური ცოდნა, **მაგრამ აქ მთავარია არა ცალკე პირთა ცოდნის მეტ-ნაკლებობა, არამედ თვით თვალსაზრისი.** მარქსის მოწაფეები ხელმძღვანელობენ არა სუბიექტური იდეალით ან რაიმე „ფორმულით პროგრესისა", არამედ მიმართავენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიურ სინამდვილეს.

რა დასკვნამდე მივიდა მარქსი რუსეთის შესახებ? „თუ რუსეთი იმ გზით ივლის, რომელსაც ის 1861 წლის შემდეგ დაადგა, იგი ხელიდან გაუშვებს ისეთ მოხერხებულ შემთხვევას, როგორიც ხალ-

ხისთვის ისტორიულ მსვლელობას ოდესმე ურგუნებია კაპიტალისტური განვითარების ყველა პერიპეტიის თავიდან ასაცილებლად". ცოტა ქვემოდ მარქსი დასძენდა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთი საკმაოდ შეეცადა წასულიყო დასახელებულ გზით. მას შემდეგ, რაც ეს წერილი დაიწერა (ე. ი. 1877 წელს შემდეგ), დაუმატებთ ჩვენ, რუსეთი ამ გზით მიექანებოდა სულ უფრო და უფრო სწრაფად.

რა გამომდინარეობს მარქსის წერილიდან?—სამი რამ:

1) თავისი წერილით მარქსმა სირცხვილი აჭამა არა რუს მოწაფეებს, არამედ ბ. ბ. სუბიექტივისტებს, რომელთაც არ გააჩნდათ არავითარი წარმოდგენა მის მეცნიერულ თვალსაზრისზე და ცდილობდენ გადაექციათ იგი **მეტაფიზიკოსად** და **უტოპისტად**, როგორიც თითონ იყვენ.

2) ბ. ბ. სუბიექტივისტებს არ **შერცხვათ** იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ, თავიანთი „იდეალის" ერთგულებმა, თვით წერილიც ვერ გაიგეს.

3) თუ ბ. ბ. სუბიექტივისტებს სურთ ჩვენთან იმის შესახებ იმსჯელონ, თუ საით და როგორ ვითარდება რუსეთი, საჭიროა ყოველთვის **ეკონომიური სინამდვილის ანალიზს** ემყარებოდენ.

ამ სინამდვილის შესწავლამ მესამოცდაათე წლებში მარქსი შემდეგ **პირობითს** დასკვნამდე მიიყვანა: „თუ რუსეთი იმ გზით ივლის, რომელზეც იგი გლეხების განთავისუფლების დროიდან შესდგა, მაშინ იგი გადაიქცევა სრულიად კაპიტალისტურ ქვეყანად, და ამის შემდეგ რაკი იგი კაპიტალიზმის უღელქვეშ მოექცევა, უნდა დაემორჩილოს კაპიტალიზმის ულმობელ კანონებს სხვა პროფან-ხალათა მსგავსად. მორჩა და გათავდა".

მორჩა და გათავდა. მაგრამ რუსი, რომელსაც სურს იზრუნოს თავისი სამშობლოს კეთილდღეობაზე, ვერ დაკმაყოფილდება ასეთი პირობითი დასკვნით: მას აუცილებლად კითხვა ებადება: ის მომავალშიაც ამ გზით ივლის თუ არა? არის თუ არა რაიმე საბუთი იმ იმედისათვის, რომ ის ამ გზას ასცილდება?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ისევ ქვეყნის ფაქტიური მდგომარეობის შესწავლას, მისი თანამედროვე შინაგანი მდგომარეობის ანალიზს მივმართოთ. მარქსის რუსი მოწაფეები ამ ანალიზის საფუძველზე ამტკიცებენ: **ჰო, ამ გზით ივლის! არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთი მალე დასტოვებს კაპიტალისტური განვითარების იმ გზას, რომელზეც იგი 1861 წლიდან შესდგა. მორჩა და გათავდა!**

ბ. ბ. სუბიექტივისტები ფიქრობენ—,,მოწაფეები'' სცდებიანო-მათ ეს რუსეთის **სინამდვილის** მიერ მოცემული მასალით უნდა დაამტკიცონ. ,,მოწაფეები'' ამბობენ: რუსეთი ივლის კაპიტალისტური განვითარების გზით არა იმიტომ, თითქოს არსებობდეს რაიმე გარეშე ძალა, რაღაც საიდუმლო კანონი, რომელიც მას ამ გზაზე აყენებს, არამედ იმიტომ, რომ არ მოეპოვება ისეთი ფაქტიური შინაგანი ძალა, რომელიც მას ამ გზიდან გადაახვევინებს. თუ კი ბ. ბ. სუბიექტივისტები ფიქრობენ, რომ ასეთი ძალა არსებობს, — თქვენ, რაში მდგომარეობს იგი, დაამტკიცონ მისი არსებობა. ჩვენ სიამოვნებით მოვუსმენთ მათ. დღემდე მათ ამის შესახებ გარკვეულად არაფერი უთქვამთ.

— როგორ თუ არ არის ძალა! მაშ ჩვენი იდეალები რისი მაქნისია? გვეტყვიან ჩვენი ძვირფასი მოწინააღმდეგენი.

ჰე, ბატონებო! სწორედ გულუბრყვილონი ხართ სიბრალულამდე! საკითხი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს, ვთქვათ, თქვენი იდეალები, თუმცა ისინი საკმაოდ უთავბოლო რასმე წარმოადგენენ? მართალია, ამ სახით დასმული საკითხი მეტად მოსაწყენია, მაგრამ სანამ იგი გადაუჭრელი რჩება, თქვენს ,,იდეალებს'' მხოლოდ ,,იდეალური'' მნიშვნელობა ექნება.

დაამწყვდიეს ვაჟკაცი ქვის საპყრობილეში, გადაუკეტეს რკინის კარები, დააყენეს ფხიზელი მცველები. ვაჟკაცი იცინის მხოლოდ-ამოიღებს ფანქარს და კედელზე ხატავს ნავს, ჯდება მასში და.... მშვიდობით საპყრობილეე, მშვიდობით ფხიზელო მცველებო, ვაჟკაცი კვლავ თავისუფალია.

კარგი ზღაპარია! მაგრამ... **მხოლოდ ზღაპარი.** ნამდვილად კი კედელზე დახატულ ნავს ჯერ კიდევ **არასოდეს, არავინ და არსაით გაუქროლებია.**

უკვე ბატონ-ყმობის გაუქმების დროიდან რუსეთი აშკარად დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ბ. ბ. სუბიექტივისტები მშვენივრად ხედავენ ამას, თვით ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენი ძველი ეკონომიური ურთიერთობანი განსაცვიფრებელი, სულ უფრო და უფრო მოზარდი სისწრაფით ირღვევიან. მაგრამ ეს არაფერია, ეუბნებიან ისინი ერთი-მეორეს: ჩვენ ჩავსვამთ რუსეთს ჩვენი იდეალების ნავში და ის გასცილდება ამ გზას ძალიან შორს, ცხრა მთას იქით.

ბ. ბ. სუბიექტივისტები კარგი მეზღაპრეები არიან, მაგრამ... მეტი არაფერი. მეტი არაფერი.—ეს კი მეტის მეტად ცოტაა. და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხის ისტორიული მოძრაობა ზღა-

პარს შეეცვალოს, სწორედ იმ უბრალო მიზეზით, რომლის გამოც ჯერ არც ერთი ბულბული არ დაუპურებიათ იგავებით.

ბ. ბ. სუბიექტივისტებს მიღებული აქვთ რუსების საკვირველი კლასიფიკაცია ორ კატეგორიად: ისინი, რომელთაც **სწამთ** სუბიექტური ნავით გაქროლების შესაძლებლობა, მიჩნეული არიან კარგ ადამიანებად, ხალხის ჭეშმარიტ მოკეთეებად! ხოლო იმათ, ვინც ამბობს—ასეთი რწმენა სრულიად **არაფერს ემყარება**, მიაწერენ რაღაც არაბუნებრივ ბოროტ განზრახვას, სურვილს რუსი გლეხი შიმშილით მოჰკლან. ჯერ არც ერთს მელოდრამაში არ ჰქონია ადგილი ისეთს ბოროტმომქმედს, როგორიც არიან, ბ. ბ. სუბიექტივისტების აზრით, თანმიმდევარი რუსი „ეკონომიური" მატერიალისტები. ეს უცნაური შეხედულება სწორედ ისევე საფუძვლიანია, როგორიც იყო მკითხველებისათვის უკვე ცნობილი შეხედულება გეინცენისა, რომელიც აწერდა მარქსს განზრახვას გერმანელი ხალხის „hungern und verhungern".

ბ. მიხაილოვსკი კითხულობს, რატომ სწორედ ეხლა გამოჩნდა ხალხი, რომელსაც „დამშვიდებული სინდისით შეუძლია მილიონ ხალხს შიმშილით სიკვდილი და სიღატაკე მიუსაჯოს". ბ. ს. ნ. კრივენკო ფიქრობს: რაკი თანმიმდევარმა ადამიანმა გადასწყვიტა, რუსეთში კაპიტალიზმი აუცილებელიაო, მას დარჩენია მხოლოდ „იზრუნოს სარეწავების კაპიტალიზაციაზე, კულაკობის განვითარებაზე... თემის დარღვევაზე, მოსახლეობის გაბოგანოებაზე და საზოგადოდ ზედმეტი გლეხის სოფლიდან გაძევებაზე". ბ. ს. ნ. კრივენკო ასე ფიქრობს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თითონ „**თანმიმდევრობითი" აზროვნების** უნარს მოკლებულია.

გეინცენი, ყოველ შემთხვევაში, სცნობდა მარქსის გულშემატკივრობას იმ მაშვრალთა მიმართ, რომელნიც „საფაბრიკო დაღს" ატარებდენ. ბ. ბ. სუბიექტივისტები, როგორც ჩანს, მარქსის „რუსი მოწაფეების" ამ უმნიშვნელო სისუსტესაც-კი არ სცნობენ: იმათო, ამბობენ, ბოლომდე სძულთ ყველა ადამიანის შვილი, ისინი ყველას დახოცდენ შიმშილით, გარდა, თუ გნებათ, ვაჭართა წოდების წარმომადგენლებისაო. მართლაც, რომ ბ. კრივენკო „მოწაფეებში" ამჩნევდეს ზოგ კეთილ განზრახვას მაინც საფაბრიკო მუშების მიმართ, იგი არ დასწერდა ჩვენს მიერ უკვე მოყვანილ სტრიქონებს.

„იზრუნოს... საზოგადოდ ზედმეტი გლეხის სოფლიდან გაძევებაზე". ღმერთო დაგვიფარე! რად უნდა ვიზრუნოთ? ქალაქში ახალი მუშა-ხელის შემოსვლა სოფლიდან ხომ ხელფასის დაცემას გამოიწვევს.

მაგრამ ბ. კრივენკომაც-კი იცის, რომ ხელფასის შემცირება არ შეიძლება იყოს სასარგებლო და სასიამოვნო მუშებისთვის. რისთვის შეეცდებიან თანმიმდევარი „მოწაფეები“ მუშებს ზარალი და უსიამოვნება მიაყენონ? ცხადია, რომ ეს ხალხი თანმიმდევარია მხოლოდ ადამიანთა სიძულვილში, რომ მათ არ უყვართ ქარხნის მუშაც-კი. შეიძლება უყვართ კიდეც, მაგრამ თავისებურად; უყვართ და ამიტომ ცდილობენ ავნონ მათ. საოცარი ხალხია! საკვირველი თანმიმდევრობაა!

„იზრუნოს... კულაკობის განვითარებაზე, თემის დარღვევაზე, მოსახლეობის გაბოგანოებაზე“. რა საშინელებაა! მაგრამ რისთვის უნდა ვეცადოთ ყოველივე ამას? კულაკობის განვითარება და მოსახლეობის გაბოგანოება დასცემს ამ უკანასკნელის მყიდველობითი უნარს, მყიდველობითი უნარის დაცემა-კი გამოიწვევს საფაბრიკო ნაწარმოებთა მოთხოვნის შემცირებას, დასცემს სამუშაო ძალის მოთხოვნას, ე. ი. შეამცირებს ხელფასს. არა, თანმიმდევარ „მოწაფეებს“ არ უყვართ მუშა! და განა მარტო მუშა? მოსახლეობის მყიდველობითი უნარის დაცემა აზარალებს მესარეწეებს, რომელნიც, როგორც ბ. ბ. სუბიექტივისტები გვარწმუნებენ, „მოწაფეთა“ სათუთი მზრუნველობის საგანს შეადგენენ. არა, რაც გნებავთ ის თქვით, მაგრამ საკვირველი ხალხია ეს მოწაფეები!

„იზრუნოს... სარეწავების კაპიტალიზაციაზე... არ დაერიდოს არც გლეხების მიწის შესყიდვას, არც საწვრილმანოების და სამიკიტნოების გახსნას და სხვა რაიმე ბინძურ საქმიანობას...“ მაგრამ რისთვის უნდა მოიქცეს ასე თანმიმდევარი ხალხი? ის ხომ დარწმუნებულია კაპიტალისტური პროცესის აუცილებლობაში; მაშასადამე, თუ, მაგალითად, სამიკიტნოების გახსნა ამ პროცესის არსებითს ნაწილს შეადგენს,—აუცილებლად წარმოიშობოდა სამიკიტნოები (რომელიც, ვფიქრობთ, ამჟამად არ არსებობს). ბ. კრივენკოს ჰგონია, რომ ბინძურმა საქმიანობამ კაპიტალისტური პროცესი უნდა დააჩქაროს. მაგრამ ჩვენ განვიმეორებთ, თუ კაპიტალიზმი აუცილებელია, მაშინ „სიბინძურე“ თავის თავად გაჩნდება. რად უნდა „იზრუნონ“ მასზე მარქსის თანმიმდევარმა მოწაფეებმა?

— აქ უკვე მათი თეორია სდუმს ზნეობრივი გრძნობის მოთხოვნილების წინაშე: ისინი ამჩნევენ, რომ სიბინძურე აუცილებელია, აღმერთებენ მას ამ აუცილებლობის გამო და ყოველი მხრით ისწრაფიან დაეხმარონ მას, თორემ ამ საბრალო აუცილებელ სიბინძურეს უჩვენოთ გაუძნელდება თავის მოვალეობის შესრულებაო.

ხომ ასეა, ბ. კრივენკო? თუ არა—მაშინ მთელი თქვენი მსჯელობა „თანმიმდევარი" მოწაფეების შესახებ სრულიად უვარგისია. თუ—ჰო, მაშინ სრულიად უვარგისია თქვენი საკუთარი თანმიმდევრობა, თქვენი საკუთარი „შემეცნებითი უნარი".

აიღეთ რაც გნებავთ, თუგინდ სარეწავის კაპიტალიზაცია, იგი წარმოადგენს ორმხრივ პროცესს. ერთის მხრით—წარმოიშობა ისეთი ხალხი, რომელიც ხელში **იხვეჭს** საწარმოო საშუალებებს, მეორე მხრით—დაქირავებული ხალხი, რომელიც ამ საწარმოო საშუალებებს **იყენებს**. ვთქვათ, რომ სიბინძურე პირველთა დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, მაგრამ ისინი, რომელნიც იმათთვის ქირაში მუშაობენ, ვფიქრობთ შესძლებენ თავიდან აიცილონ ზნეობრივი განვითარების ეს „ფაზა". და თუ ეს ასეა, მაშინ რატომ იქნება ჩემი მოღვაწეობა ბინძური, თუ მე მას (ამ მოღვაწეობას) შევსწირავ ამავე ხალხს, თუ მე ხელს შეუწყობ მათ თვითშეგნების განვითარებას და დავიცავ მათ მატერიალურ ინტერესებს? ბ. კრივენკომ შესაძლებელია თქვას, რომ ასეთი მოღვაწეობა კაპიტალიზმის განვითარებას შეაფერხებსო. სრულიადაც არა! ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის მაგალითზე იგი დარწმუნდება, რომ იქ ასეთმა საქმიანობამ არა თუ შეანელა კაპიტალიზმის განვითარება, არამედ, პირიქით, დააჩქარა კიდეც იგი, რითაც, სხვათა შორის, დააჩქარა ზოგი იქაური წყეული საკითხის პრაქტიკულად გადაჭრაც.

ანდა ავიღოთ თემის დარღვევა. ესეც ორმხრივი პროცესია: გლეხების „ნადელები" ხელში უვარდება კულაკებს, წინანდელი დამოუკიდებელ მეურნეთა სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი პროლეტარდება. ყველა ამას, რასაკვირველია, თან სდევს ინტერესთა შეჯახება, ბრძოლა. ამ ბრძოლის გამო ატეხილ ხმაურობაზე მოდის „რუსი მოწაფე", უძღვნის „აუცილებლობის კატეგორიას" მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე ჰიმნს და... **აღებს სამიკიტნოს**! ასე მოიქცევა ყველაზე უფრო „თანმიმდევარი", უფრო ზომიერი დაკმაყოფილდება **საწვრილმანოს** გახსნით. ასეა ხომ, ბ. კრივენკო? რატომ არ უნდა მიემხროს „მოწაფე" სოფლის ღატაკებს?

— მაგრამ თუ იგი განიზრახავს მათ მიემხროს, მაშინ ის უნდა ეცადოს ხელი შეუშალოს მათ გაბოგანოებას?—დიახ, როგორ არა, უნდა ეცადოს!—ეს კი კაპიტალიზმის განვითარებას შეაფერხებს.—**სრულიად არ შეაფერხებს**. პირიქით, მას დააჩქარიბს კიდეც. ბ. ბ. სუბიექტივისტებს ყოველთვის ეჩვენებათ, რომ თემი „თავის-თავად" ისწრაფის რაღაც „მაღალ ფორმაში" გადასელისაკენ. ისინი ცდებიან. ერთად ერთი ნამდვილი მისწრაფება თემისა **ეს დარღვევი-**

საკენ მისწრაფებაა, და რაც უფრო გაუმჯობესდება გლეხობის მდგომარეობა, მით უფრო ადრე დაირღვევა თემი. გარდა ამისა, თემის დარღვევა შეიძლება **ხალხისთვის ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელ** პირობებში მოხდეს. „მოწაფეები" „უნდა ცდილობდენ", რათა იგი **ხალხისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ** პირობებში მოხდეს.

— მაგრამ რატომ არ უნდა ავიცილოთ თავიდან თვით დარღვევა?

— თქვენ რატომ ვერ აიცილეთ თავიდან 1891 წლის შიმშილი? არ შეგეძლოთ? ჩვენ გვჯერა თქვენი; ჩვენი მდგომარეობა უნუგეშო იქნებოდა, რომ თქვენ შეხედულებათა **ლოღიკური არგუმენტაციით** გაბათილების მაგიერ მხოლოდ ის დავგრჩენოდა, რომ თქვენგან დამოუკიდებელი ასეთი **მოვლენების** მიზეზად **თქვენი ზნეობა** ჩაგვეთვალა. მაგრამ თქვენ რატომ გვიდგებით სხვა საზომით? რატომ არის, რომ ჩვენთან კამათის დროს ხალხის სიღატაკეს ისე გვიხატავთ, თითქოს ჩვენ ვიყოთ იმის მიზეზი? იმიტომ, რომ იქ, სადაც **ლოღიკა** გვლალატობს, გვშველის **სიტყვები**, განსაკუთრებით **უშინაარსო სიტყვები**. თქვენ ვერ შესძელით 1891 წლის შიმშილის თავიდან აცილება. ვინაა იმისი თავდები, რომ თქვენ შესძლებთ თემის დარღვევის, გლეხობის გაბოგანოების თავიდან აცილებას? ავიღოთ ეკლექტიკოსებისათვის ესოდენ სატრფიალო საშუალო გზა. ვთქვათ, ზოგ შემთხვევაში თქვენ შესძლებთ ყოველივე ამის თავიდან აცილებას. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა თქვენი ცდა უშედეგოდ დამთავრდება და როცა, მიუხედავად ამ ცდისა, თემი მაინც დაირღვევა და გლეხობა მაინც უმიწაწყლოდ დარჩება, როგორ მოექცევით თქვენ გარდაუვალი პროცესის ამ მსხვერპლს? **ქარონს** სტიქზე მხოლოდ ისეთი სულები გადაჰყავდა, რომელთაც შეეძლოთ ამ შრომის სამაგიერო გადაეხადათ. თქვენი ნავით სუბიექტური იდეალის სამეფოში თემის მხოლოდ ნამდვილ წევრებს გადაიყვანთ? სოფლის პროლეტარიატს ნიჩბით მოიგერიებთ? ალბად თითონვე დაგვეთანხმებით, ბატონებო, რომ ეს მეტის მეტი **„უწმინდურება"** იქნებოდა. რაკი ამაში დაგვეთანხმებით, მაშინ მათ თქვენც ისევე უნდა მოექცეთ, როგორც, ჩვენის აზრით, ყოველი წესიერი ადამიანი მოიქცეოდა, ე. ი. სამიკიტნო კი არ უნდა გააღოთ მათთვის მათრობელას მისასყიდად, არამედ უნდა გააძლიეროთ მათში წინააღმდეგობის გაწევის უნარი სამიკიტნოს და ყოველი იმ მათრობელას მიმართ, რასაც-კი მათ ისტორია შესთავაზებს.

იქნებ ჩვენ ეხლა ისევ ზღაპარს ვიწყებთ? იქნებ თემი არ ირღვევა? იქნებ ხალხის გაბოგანოება ფაქტიურად არ ხდება? იქნებ ჩვენ

შევთხზეთ ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გავაღატაკოთ გლეხი, რომელიც აქამდე კეთილ-მდგომარეობაში იყო? მაგრამ გადაშალეთ თქვენივე თანამოაზრეთა რომელიმე გამოკვლევა და ის დაგანახვებთ თქვენ, თუ როგორი იყო საქმის ვითარება დღემდე, ე. ი. მანამდე, სანამ თუგინდ ერთი „მოწაფეც“ სამიკიტნოს ან და საწვრილმანოს გააღებდა. ჩვენთან დავის დროს თქვენ საქმის მდგომარეობას ისე გადმოგვცემთ, თითქოს ხალხი უკვე თქვენი სუბიექტური იდეალების სამეფოში ცხოვრობდეს, ჩვენ-კი, ჩვენთვის დამახასიათებელი კაცთმოძულეობის გამო, მას კაპიტალიზმისაკენ მივათრევდეთ. მაგრამ საქმე სულ საწინააღმდეგოდ არის: არსებობს სწორედ კაპიტალისტური მწარე სინამდვილე, ჩვენ-კი ვეკითხებით თავს: როგორ ვებრძოლოთ ამ სინამდვილეს, როგორ შეუქმნათ ხალხს ისეთი მდგომარეობა, რომელიც ოდნავ მაინც მიუახლოვდება „იდეალურს“? თქვენ შეგიძლიათ ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი უმართებულოდ ჩასთვალოთ, მაგრამ რად გჭირდებათ ჩვენი მიზნების დამახინჯება? ეს მართლაც „უწმინდურებაა“, ასეთი „*კრიტიკა*“ „*სუზდალელებსაც*“-კი არ შეჰფერის.

მაგრამ როგორ უნდა ვებრძოლოთ კაპიტალისტურ სინამდვილეს, რომელიც, ვიმეორებთ, უკვე არსებობს დამოუკიდებლივ როგორც თქვენის, ისე ჩვენი სურვილისა? თქვენ ერთი პასუხი გაქვთ: „განვამტკიცოთ თემი,“ გავამაგროთ გლეხის კავშირი მიწასთან. ჩვენ კი გიპასუხებთ, რომ ასეთი პასუხი მხოლოდ უტოპისტებს შეეფერება. რატომ? რადგან ეს განყენებული პასუხია. თქვენის აზრით თემი ყოველთვის და ყოველგან კარგია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, ყველაფერი დამოკიდებულია დროისა და ადგილის გარემოებაზე. იყო დრო, როცა თემი სასარგებლო იყო *მთელი* ხალხისათვის; ალბად ეხლაც მოიპოვება ისეთი ადგილი, სადაც ის სასარგებლოა მიწათმომქედთათვის. ჩვენ არ წავალთ *ასეთი* თემის წინააღმდეგ. მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში თემი გადაიქცა გლეხის *ექსპლოატაციის* იარაღად. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთი თემის ისე, როგორც ყველა იმისი, რაც საზიანოა მთელი ხალხისთვის. მოიგონეთ ის გლეხი უსპენსკის თხზულებიდან, რომელიც „ტყუილ-უბრალოდ“ იხდის. როგორ უნდა მოვექცეთ მას?—გადავიყვანოთ ის იდეალის სამეფოში, გვიპასუხებთ თქვენ. ძალიან კარგი, გადაიყვანეთ! მაგრამ სანამ ის გადაყვანილი არ არის, სანამ იგი იდეალის ნავზე არ ზის, სანამ ნავი ჯერ კიდევ მას არ მიახლოვებია, და სანამ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუ როდის მიუახლოვდება იგი მას, უმჯობესი არ იქნებოდა თავი დაალწიოს „ტყუილ-უბრალოდ“ გადახდას? უმჯობესი არ იქნებოდა მის-

თვის გამოსულიყო თემიდან, რომელიც უზრუნველჰყოფს მისთვის სრულიად უნაყოფო ხარჯებს და ამასთანავე პერიოდულ გაშოლტვას სათემო სამმართველოში? ჩვენ ვფიქრობთ—**უმჯობესია**. თქვენ-კი ამის გამო გვაწერთ განზრახვას, თითქოს ჩვენ ხალხის შიმშილით ამოწყვეტა გვწყუროდეს. სამართლიანია ეს? არის თუ არა აქ ერთგვარი „უწმინდურება“? ან და შეიძლება თქვენ მართლაც არა გაქვთ უნარი გაიგოთ ჩვენი აზრი? ნუ თუ ეს ასეა? ოდესღაც ჩაადაევმა თქვა, რომ რუსისთვის ევროპის სილოგიზმიც-კი უცნობია. ნუ თუ ეს მართლაც votre cas არის? ჩვენ გვჯერა, რომ ბ. ს. კრივენკომ სრულიად გულწრფელად ვერ გაგვიგო. ასევე ვფიქრობთ ბ. კარეევისა და ბ. იუჟაკოვის შესახებ. მაგრამ ბ. მიხაილოვსკი ჩვენ ყოველთვის გაცილებით უფრო „გონება-მახვილ“ კაცად მიგვაჩნდა.

რა საშუალება გამონახეთ თქვენ, ბატონებო, ფაქტიურად უმიწაწყლოდ დარჩენილ მილიონთა ბედის გასაუმჯობესებლად? როცა ლაპარაკია „ტყუილ-უბრალოდ“ გადამხდელებზე, თქვენ იძლევით მხოლოდ ერთს რჩევას: მართალია, იგი „ტყუილ-უბრალოდ“ იხდის, მაგრამ მაინც საჭიროა, რომ მან თემთან არ გასწყვიტოს კავშირი—წინააღმდეგ შემთხვევაში მისი (კავშირის) აღდგენა უკვე შეუძლებელი გახდებაო, რასაკვირველია, ეს გამოიწვევს „ტყუილ-უბრალოდ“ გადამხდელთათვის დროებითს უხერხულობას, მაგრამ... „არაა დიდი უბედურება, რომ გლეხი დაზარალდეს.“

ამრიგად, ჩვენი ბ. ბ. სუბიექტივისტები მზად არიან **თავის იდეალებს ხალხის** ყველაზე უფრო **საარსებო ინტერესები** შესწირონ! **მაშასადამე, მათი ქადაგება სინამდვილეში სულ უფრო და უფრო მავნებელი ხდება ხალხისთვის.**

„ენტუზიასტად ყოფნა მისი საზოგადოებრივ მდგომარეობად იქცაო“—ამბობს ტოლსტოი ანა პავლეს ასულ შერერზე. კაპიტალიზმისადმი სიძულვილი ჩვენ სუბიექტივისტთა საზოგადოებრივ მდგომარეობად გადაიქცა. რა სარგებლობას მოუტანდა რუსეთს გათხოვების ჰასაკს გადასული ქალწულის ენტუზიაზმი?—სრულიად არავითარს. რა სარგებლობა მოაქვს რუს მწარმოებელთათვის „სუბიექტურ“ სიძულვილს კაპიტალიზმისადმი—ამასაც არავითარი.

მაგრამ ანა პავლეს-ასულის ენტუზიაზმი ყოველ შემთხვევაში უვნებელი იყო. კაპიტალიზმის მიმართ უტოპიური მტრობა-კი ვნებს პირდაპირ რუს მწარმოებელს, რადგანაც ასეთი მტრობა ჩვენ ინტელიგენციას აიძულებს თემის განმტკიცებისათვის საჭირო საშუალებათა გამონახვაში მეტის-მეტად განურჩეველი იყოს. ჩამოვარდება თუ არა ლაპარაკი ასეთ განმტკიცებაზე, მყისვე დგება სიბნელე, რომელშიაც;

ყველა კატა რუხი მოსჩანს, და სუბიექტისტები მზად არიან ალერსით ეამბორონ „მოსკოვის უწყებებს“. და მთელი ეს „სუბიექტური“ გონება-დაბრმავება სწორედ იმ **სამიკიტნოს** სასარგებლოდ ხდება, რომლის გავრცელებასაც თითქოს ცდილობენ „მოწაფეები“. ნამდვილად-კი **კაპიტალიზმის უტოპიური მტრები, რეალურად მისი ყველაზე უფრო უხეში, საძაგელი და ხალხისათვის მავნებელი სახით დამცველის როლში გამოდიან.**

ამდენხანს ჩვენ ვლაპარაკობდით იმ უტოპისტებზე, რომელნიც ცდილობდენ, ან ეხლა ცდილობენ **მარქსის წინააღმდეგ** ამა თუ იმ საბუთის წამოყენებას. ეხლა ვნახოთ როგორ იქცევიან ან იქცეოდენ ის უტოპისტები, **რომელნიც მარქსს იმოწმებდენ.**

გეინცენი—რომელსაც ასეთი საკვირველი სისწორით იმეორებენ ეხლა ბ. ბ. რუსი სუბიექტივისტები „რუს მოწაფეებთან“ დავის დროს—იყო დემოკრატიულ-ბურჟუაზიული მიმართულების უტოპისტი. მაგრამ მე-40 წლების გერმანიაში ამის საწინააღმდეგო მიმართულების უტოპისტებიც ბევრნი იყვენ.

გერმანიის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა მაშინ დაახლოებით შემდეგნაირი იყო.

ერთის მხრით, სწრაფად ვითარდებოდა ბურჟუაზია, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა გერმანიის მთავრობისგან დახმარებას და ხელისშეწყობას, ცნობილი Zollverein-ის წარმოშობის მიზეზი მხოლოდ ეს ბურჟუაზია იყო. ამავე დროს აგიტაცია მის სასარგებლოდ წარმოებდა არა მარტო „შუამდგომლობათა“ გზით, არამედ ცოტად თუ ბევრად მეცნიერული გამოკვლევების მეშვეობითაც: გავიხსენოთ ფრიდრიხ ლისტი. მეორეს მხრით, ძველ ეკონომიურ ურთიერთობათა დარღვევამ გერმანელი ხალხი კაპიტალიზმის საწველ ფურად აქცია. გლეხები და ხელოსნები კაპიტალისტური მოძრაობის პროცესში უკვე საკმაოდ ჩათრეულნი იყვენ, რათა მისი უარყოფითი მხარეები განეცადათ, რომელიც ყველაზე უფრო საგრძნობი **გარდამავალ პერიოდში** ხდება. მაგრამ მშრომელი მასა იმ დროს ჯერ კიდევ სუსტი იყო, რომ მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. მას ჯერ კიდევ ძალა არ შესწევდა. რამოდენადმე შესამჩნევი წინააღმდეგობა გაეწია კაპიტალის წარმომადგენლებისათვის. ჯერ კიდევ **მესამოცე წლებში** მარქსი ამბობდა, რომ გერმანიას ერთსა და იმავე დროს სტანჯავს **კაპიტალიზმის განვითარება** და მისი **არასაკმარისად განვითარებაც.** კაპიტალიზმის არა საკმარისი განვითარებით მეორმოცე წლებში იგი უფრო მეტად იტანჯებოდა. კაპიტალიზმმა დაარღვია საგლეხო მეურნეობის ძველი ურთიერთობანი; **შინამრეწველობა,** რომელიც წინად გერმანიაში ყვავო-

და, ეხლა უნდა გამკლავებოდა **სამანქანო** წარმოების კონკურენციას, შინამრეწველნი ღარიბდებოდენ და სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდენ **შემსყიდველებისგან**. ამავე დროს გლეხებს დაკისრებული ჰქონდათ მთელი რიგი ისეთი ბეგარისა სახელმწიფოსა და ბატონისგან, რომელიც შესაძლოა ძველად სამძიმო არ ყოფილიყო, მაგრამ მეორმოცე წლებში იმდენად მძიმე ასატანი შეიქნა, რომ სულ უფრო და უფრო არაშესაფერი ხდებოდა გლეხის ცხოვრების ფაქტიური პირობებისა. გლეხობის სიღატაკე განსაცვიფრებლად გაიზარდა; კულაკი სოფლის სრული ბატონ-პატრონი შეიქნა. გლეხის პურს იგი ხშირად მომკამდე ყიდულობდა; სიღატიკე გარე სამუშაოზე გასვლის მიზეზი გახდა. მაშინდელი მკვლევარები ასახელებდენ ისეთ თემებს, სადაც რამდენიმე ათასი ოჯახიდან სიღატაკეს მხოლოდ რამდენიმე ასეული ოჯახი არ განიკდიდა. ზოგ ადგილებში გლეხები ლეშით იკვებებოდენ,— გარემოება სრულიად დაუჯერებელი, მაგრამ თავის დროზე აღნიშნული გერმანული პრესის მიერ. სოფლიდან გასვლის შემდეგ ისინი სამრეწველო ცენტრებში ვერ შოულობდენ საკმაო საარსებო სახსარს, და პრესა აღნიშნავდა უმუშევრობის თანდათან ზრდას და ამით გამოწვეულ ემიგრაციას.

აი როგორ გვიხატავს ერთი მაშინდელი ყველაზე უფრო მოწინავე ორგანოთაგანი მშრომელი მასის მდგომარეობას: „ასი ათასი მრთველი რავენსბერგის ოლქში და გერმანეთის სხვა ადგილებში ვერ ახერხებს იცხოვროს თავისი შრომით. ისინი ვერ ასაღებენ თავიანთ ნაწარმოებს (ლაპარაკია უმთავრესად შინამრეწველებზე), ისინი დაეძებენ სამუშაოსა და პურს და ვერ შოულობენ ვერც ერთსა და ვერც მეორეს, რადგანაც მათთვის ძნელია, თუ არა შეუძლებელი, გაიჩინონ შემოსავალი რთვის გარეშე. გააფთრებული კონკურენცია მძვინვარებს მუშებს შორის სრულიად უმნიშვნელო ხელფასის გამო“ [1]).

ხალხის ზნეობა უეჭვოდ ეცემოდა. ძველ **ეკონომიურ ურთიერთობათა** რღვევას შეესაბამებოდა ძველ **ზნეობრივ წარმოდგენათა** შერყევა. იმ დროის ჟურნალ-გაზეთები სავსეა ცნობებით მუშების ლოთობის, მათ წრეში სქესობრივი გარყვნილების, მფლანგველობის, სალუქობის შესახებ, რომელიც ვითარდება ხელფასის შემცირებასთან ერთად. გერმანელ მუშას ჯერ კიდევ არ ემჩნეოდა **ახალი** ზნეობის ნიშნები, იმ ზნეობის, რამაც შემდგომ სწრაფად დაიწყო განვითარება თვით კაპიტალიზმით გამოწვეულის ახალი განმათავისუფ-

---

[1]) Der Gesellschafts-Spiegel. 1 ტომ., გვ. 78, კორესპოდენცია ვესტფალიდან.

ლებელი მოძრაობის საფუძველზე. მასების განმათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. მისი ფარული უკმაყოფილება დროგამოშვებით თავს იჩენდა მხოლოდ უშედეგო გაფიცვებში, უმიზნო ამბოხებაში, მანქანების უაზრო დამტვრევაში. მაგრამ გერმანელი მუშების გონებაში თან და თან შეიჭრა შეგნების ნაპერწკალი. წინეთ წიგნი ზედმეტ ფუფუნებას წარმოადგენდა, ახალ ურთიერთობათა დროს-კი იგი აუცილებელ საგნად იქცა. მუშებში თან და თან გაძლიერდა კითხვის სურვილი.

ასეთი იყო საქმის ვითარება, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწია გერმანელი ინტელიგენციის (Der Gebildeten—როგორც მაშინ ამბობდენ) საღად მოაზროვნე ნაწილს. რა ვაკეთოთ, როგორ დაეხმაროთ ხალხს? მოვიშოროთ კაპიტალიზმიო, უპასუხებდა ინტელიგენცია. მარქსის დი ენგელსის იმ დროს გამოქვეყნებულ თხზულებებს აღტაცებით ნეხვდა გერმანელი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, როგორც ახალი მეცნიერული საბუთების მთელ რიგს **კაპიტალიზმის აუცილებელი ჩამოშორების სასარგებლოდ.** „მაშინ, როცა ბ. ბ. ლიბერალმა პოლიტიკოსებმა ახალი ძალით დაჰკრეს მფარველობითი ტარიფის ფრიდრიხ ლისტის საყვირი და ცდილობდენ დაერწმუნებიათ ხალხი... რომ ისინი ზრუნავენ მრეწველობის აყვავებაზე უმთავრესად მუშათა კლასის ინტერესების დაცვის მიზნით, და მათი მოწინააღმდეგენი-კი, ვაჭრობის თავისუფლების ენტუზიასტები, ლამობდენ დაემტკიცებიათ, რომ ინგლისის ვაჭრობის და მრეწველობის კლასიკურ ქვეყნად გადაქცევის მიზეზი მფარველობა სრულიად არ ყოფილაო, სწორედ დროზე მოუსწრო ამ დავას ენგელსის შესანიშნავმა წიგნმა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში", რომელმაც საბოლოოდ გაფანტა უკანასკნელი ილიუზიები. ყველას მიერ აღიარებულია, რომ ეს წიგნი ახალი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთაგანს წარმოადგენს. მთელი რიგი ურყევი საბუთებით ის ნათელჰყოფს, თუ რა უფსკრულისაკენ მიექანება ის საზოგადოება, რომელიც თავის მამოძრავებელ პრინციპად ხდის პირად გაუმაძღრობას, იმ კერძო მწარმოებელთა თავისუფალ კონკურენციას, რომელნიც ფულს აღმერთებენ" [1]).

ამრიგად უნდა მოვიშოროთ კაპიტალიზმი, თორემ გერმანეთი იმ უფსკრულში გადაიჩეხება, რომელშიც ინგლისი უკვე იმყოფება. ეს დამტკიცებულია ენგელსის მიერ. ვინ შესძლებს კაპიტალიზმის აღმოფხვრას? ინტელიგენცია, die Gebildeten. გერმანე-

---

[1]) ibidem. გვ. 36 Notizen und Nachrichten.

თის თავისებურება, ერთი ასეთი Gebildete-ს თქმით, სწორედ ისაა, რომ იქ კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად მოწოდებულია გერმანიის ინტელიგენცია მაშინ, როცა „დასავლეთში“ (in den westlichen Ländern) მის წინააღმდეგ უფრო მუშები იბრძვიან [1]). როგორ შეუძლია გერმანეთის ინტელიგენციას თავიდან მოიცილოს კაპიტალიზმი? წარმოების ორგანიზაციის მეშვეობით (Organisation der Arbeit). რა უნდა აკეთოს ინტელიგენციამ წარმოების ორგანიზაციისთვის? „Allgemeines Volksblatt“, რომელიც 1845 წელს კელნში გამოდიოდა, მიგვითითებდა შემდეგს ღონისძიებებზე:

1. ხელისშეწყობა სახალხო განათლებისთვის, მოწყობა სახალხო სამკითხველოებისა, კონცერტებისა და სხვ.

2. მოწყობა დიდი სახელოსნოებისა, სადაც მუშებს, ხელოსნებს და შინამრეწველთ საშუალება ექნებათ იმუშაონ თავისთვის და არა მესარეწისა ან შემსყიდველისთვის. Allgemeines Volksblatt-ი იმედს გამოთქვამდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ხელოსნები და შინამრეწველნი თითონვე შექმნიან ასოციაციებს.

3. დაარსება საწყობებისა შინამრეწველთა და ხელოსნების, და აგრეთვე ნაციონალური სახელოსნოების ნაწარმოებთა გასასყიდლად.

ეს ზომები ააცილებს გერმანიას კაპიტალიზმის წყლულს. ამ ზომების განხორციელება მით უფრო ადვილიაო, დასძენს აღნიშნული Volksblatt-ი, რომ „აქა-იქ უკვე დაიწყეს მუდმივი საწყობების, ეგრეთწოდებული სამრეწველო ბაზრების მოწყობა, სადაც ხელოსნებს შეუძლიანთ გამოიტანონ თავიანთი საქონელი გასასყიდად“ და მიიღონ დაუყოვნებლივ თავიანთი საქონლით უზრუნველყოფილი სესხი. შემდეგ აღწერილია სარგებლობა, რომელიც ყოველივე ამას მოაქვს როგორც მწარმოებლისათვის, ისე მომხმარებლისთვისაც.

გვეჩვენება, რომ კაპიტალიზმის თავიდან აცილება ყველაზე უფრო ადვილია იქ, სადაც **ის ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული.** ამიტომ გერმანელი უტოპისტები ხშირად და გულმოდგინედ ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ გერმანეთი ჯერ ინგლისი არაა; გეინცენი კი პირდაპირ მზად იყო უარეყო საფაბრიკო პროლეტარიატის არსებობა გერმანიაში. მაგრამ რადგანაც უტოპისტებისთვის მთავარი ის იყო, რათა მათ „საზოგადოებისთვის“ წარმოების ორგანიზაციის აუცილებლობა დაემტკიცებიათ, ამიტომ დროგამოშვებით

[1]) იხ. Nessa-ს წერილი იმავე სქელტანიანი ჟურნალის იმავე ტომში გვ. 1 და შემ. შეად. აგრეთვე „Neue Anekdoten, herausgegeben von Carl Grün, Darmstadt“, 1845. გვ. 220. წინააღმდეგ საფრანგეთისა, გერმანეთში კაპიტალიზმს ებრძვის და „მასზე გამარჯვებას უზრუნველჰყოფს“ განათლებული უმცირესობა.

ისინი ადვილად და მათთვის შეუმჩნეველად დგებოდენ იმ ხალხისთვალსაზრისზე, რომელიც ამტკიცებდა: **კაპიტალიზმი გერმანიაში მეტს ველარ განვითარდება იმ წინააღმდეგობათა გამო, რომელიც მას ახასიათებს; შინაგანი ბაზარი უკვე ავსებულია; მოსახლეობის მყიდველობითი ძალა ეცემა, გარეშე ბაზრის დაპყრობა ნაკლებ შესაძლებელია და ამიტომ დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი აუცილებლად სულ უფრო და უფრო უნდა კლებულობდეს.** ასეთს თვალსაზრისზე დადგა ჩვენ მიერ არა ერთხელ მოხსენებული ჟურნალი „Der Gesellschafts-Spiegel", მაშინდელი გერმანელი უტოპისტების ერთი უმთავრესი ორგანოთაგანი მას შემდეგ, რაც ლ. ბულის საინტერესო ბროშურა გამოქვეყნდა: Andeutungen über die Noth der arbeitenden Klassen und über die Aufgabe der Vereine zum Wohl derselben. Berlin. 1845.

ბული შეეკითხა თავს: შესძლებენ თუ არა კავშირები მუშათა კლასის კეთილდღეობის ამოცანის გადაჭრას? ხოლო ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მან წამოაყენა მეორე საკითხი, სახელდობრ იმის შესახებ, თუ რა იწვევს დღეს მუშათა კლასის სიღარიბეს?

ღატაკი და პროლეტარი ერთი და იგივე როდიაო, ამბობს ბული. ღატაკს არ სურს ან არ შეუძლია მუშაობა, პროლეტარი კი დაეძებს სამუშაოს; მას იმისი უნარი აქვს, მაგრამ სამუშაო არსადაა და იგი სიღატაკეში ვარდება. ძველად ეს მოვლენა სრულიად უცნობი იყო, თუმცა ყოველთვის იყვენ ღატაკნი და ჩაგრულნი, მაგალითად, ყმები.

როგორ გაჩნდა პროლეტარი? იგი წარმოშვა **კონკურენციამ.** კონკურენციამ დაამსხვრია წარმოების შემბოჭველი ბორკილები და გამოიწვია მრეწველობის არაჩვეულებრივი აყვავება. მაგრამ იგივე კონკურენცია აიძულებს მესარეწველეს დასწიონ თავიანთი პროდუქტების ფასი. ამიტომ ისინი ცდილობენ შეამცირონ ხელფასი ან მუშათა რიცხვი. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი ხდება მანქანათა გაუმჯობესებით, რომელიც მრავალ მუშას ქუჩაზე ერეკება. გარდა ამისა, ხელოსნებიც ვერ უძლებენ სამანქანო წარმოების კონკურენციას და ისინიც პროლეტარდებიან. ხელფასი სულ უფრო და უფრო ეცემა. ბული მიგვითითებს ჩითის წარმოების მაგალითზე, რომელიც ჰყვავოდა გერმანიაში ჯერ კიდევ მეოცე წლებში. მაშინ ხელფასი მეტად მაღალი იყო. კარგ მუშას ერთი კვირის განმავლობაში შეეძლო 18-20 ტალერი მიეღო. მაგრამ ფეხი მოიკიდა მანქანურმა წარმოებამ, ამასთან ერთად შესაძლებელი გახდა ქალისა და ბავშვის შრომის გამოყენება, და ხელფასიც საშინლად დაეცა. თავისუფალი კონკურენციის პრინციპი, სადაც-

კი ის ბატონობს, ყოველთვის და ყოველგან ასეთს შედეგს იწვევს. **მას მივყევართ ჭარბ წარმოებამდე**, ეს უკანასკნელი კი უმუშევრობას იწვევს. და რაც უფრო წინ მიდის მსხვილი მრეწველობა, მით უფრო იზრდება უმუშევრობა, მით უფრო ნაკლები ხდება სამრეწველო საწარმოში ჩაბმულ მუშათა რიცხვი. რომ ეს სწორედ ასეა, იმ გარემოებითაც მტკიცდება, რომ აღნიშნულ უბედურებათ ადგილი აქვთ მხოლოდ სამრეწველო ქვეყნებში, სამიწათმოქმედო ქვეყნები-კი არ იცნობენ მათ. მაგრამ თავისუფალი კონკურენციით შექმნილი მდგომარეობა მეტად სახიფათოა საზოგადოებისათვის (für die Gesellschat), და ამიტომ საზოგადოებას არ შეუძლია მას გულგრილად უყუროს. როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება? აქ ბული აყენებს კითხვას, რომელსაც მის თხზულებაში მთავარი ადგილი უჭირავს: საზოგადოდ შეუძლია თუ არა რომელიმე **კავშირს** აღმოფხვრას მუშათა კლასის სიღატაკე?

მუშათა კლასის დამხმარე ბერლინის [ადგილობრივმა კავშირმა მიზნად დაისახა „არა იმდენად არსებული სიღატაკის მოსპობა, რამდენად მომავალში მისი წარმოშობისათვის ხელის შეშლა". სწორედ ამ კავშირს მიმართავს ბული დასახელებულ წერილში. როგორ გახდით შეუძლებლად მომავალში სიღატაკის წარმოშობას,—კითხულობს იგი,—რა ზომებს მიმართავთ თქვენ ამისათვის? თანამედროვე მუშის სიღატაკე გამოწვეულია შრომის მოთხოვნის ნაკლებობით. მუშისთვის საჭიროა არა მოწყალება, არამედ სამუშაო. როგორ გააჩენს კავშირი სამუშაოს? შრომის მოთხოვნის გასადიდებლად საჭიროა გაიზარდოს შრომის პროდუქტის მოთხოვნა. ეს მოთხოვნა კი კლებულობს მშრომელი მასის ხელფასის შემცირების გამო. ან იქნებ კავშირი შესძლებს ახალი ბაზრის აღმოჩენას? ბული არც ამას თვლის შესაძლებლად. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ის ამოცანა, რომელიც ბერლინის კავშირმა დაისახა, მხოლოდ **„კეთილი ილიუზიაა"**.

ბული ურჩევს ბერლინის კავშირს უფრო ღრმად ჩაუკვირდეს მუშათა კლასის სიღატაკის მიზეზს, სანამ მასთან ბრძოლას დაიწყებდეს. **პალიატივებს** ის მნიშვნელობას არ აძლევს. „შრომის ბირჟას, შემნახველსა და საპენსიო სალაროებს და სხვ. შეუძლია რამდენიმე ცალკე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ბოროტებას ძირ-ფესვიანად ვერ აღმოფხვრის". ბოროტებას ძირ-ფესვიანად ვერც ასოციაციები აღმოფხვრიან: „ასოციაციებიც ვერ აცდებიან კონკურენციის მძიმე აუცილებლობას (dura necessitas)..."

თუ რა იყო, თვით ბულის აზრით, ბოროტების აღმოფხვრის საშუალება,—ამაზე გარკვეულ პასუხს არ იძლევა მისი ბროშურა. ის

გაკვრით ამბობს, რომ ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა, თუმცა ამასთანავე დასძენს ასეთი ჩარევის შედეგი **ხაეკვო** იქნებოდაო. ასეა თუ ისე, ამ ბროშურამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ გერმანელ ინტელიგენციაზე. და სრულიადაც არა სასოწარკვეთილების აზრით. პირიქით, მასში დაინახეს **შრომის ორგანიზაციის აუცილებლობის** ახალი საბუთი.

აი რას ამბობს ბულის ბროშურის შესახებ ჟურნალი „Der Gesellschafts-Spiegel".

„ცნობილმა ბერლინელმა მწერალმა ლ. ბულმა გამოსცა თხზულება სათაურით „Andeutungen etc"... იგი ფიქრობს, და ჩვენც ვეთანხმებით მას, რომ მუშათა კლასის უმწეობა წარმოსდგება საწარმოო ძალთა სიჭარბისაგან; რომ ეს სიჭარბე თავისუფალი კონკურენციის, ფიზიკასა და მექანიკაში ახალ აღმოჩენათა შედეგია; რომ ამქროობასა და კორპორაციებთან დაბრუნება ისეთივე მავნებელი იქნებოდა, როგორიც აღმოჩენებისა და გამოგონებისათვის ხელის შეშლა; რომ, ამიტომ **არსებულ ხაზოგადოებრივ პირობებში** (ხაზგასმულია რეცენზენტის მიერ) არ არსებობს ნამდვილი საშუალება მუშათა დასახმარებლად. თუ დაუშვებთ, რომ თანამედროვე ეგოისტური კერძოკაპიტალისტური ურთიერთობანი უცვლელი დარჩებიან, მაშინ უნდა დავეთანხმოთ ბულს, რომ არავითარ კავშირს არ ძალუძს მოსპოს არსებული სიღატაკე. მაგრამ ასეთი დაშვება სრულიადაც არაა აუცილებელი. პირიქით, შეიძლება წარმოიშვეს და კიდეეაც ჩნდება კავშირები, რომელნიც მიზნად ისახავენ მშვიდობიანი გზით მოსპონ ჩვენი საზოგადოების ზემოაღნიშნული ეგოისტური საფუძველი. საჭიროა მხოლოდ, რათა მთავრობა არ აბრკოლებდეს კავშირების ასეთ საქმიანობას".

ცხადია, რეცენზენტმა ვერ გაიგო ან და არ გაიგო ბულის აზრი, მაგრამ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აარა აქვს. ჩვენ მივმართეთ გერმანიას იმისთვის, რათა მისი ისტორიის გაკვეთილებით უკეთ შეგვესწავლა თანამედროვე რუსეთის ზოგი გონებრივი მიმდინარეობა. ამ მხრით-კი მეორმოცე წლების გერმანიის ინტელიგენციის მოძრაობა ჩვენთვის ბევრ საგულისხმო რასმე შეიცავს.

ჯერ ერთი, ბულის არგუმენტაცია გვაგონებს ბ. ნ.-ონ-ის არგუმენტაციას. როგორც ერთი, ისე მეორეც იწყებს იმით, რომ შრომის მოთხოვნის შეკვეცის და, მაშასადამე, მუშათა რიცხვის შედარებითი შემცირების მიზეზად საწარმოო ძალთა განვითარებას ასახელებს. ორივე ლაპარაკობს შინაგანი ბაზრის ჭარბ დატვირთვაზე ტ სამუშაო ძალის მოთხოვნის შემცირების აქედან გამომდინარე აუცილებლობაზე. ბულს, რო-

გორც ჩანს, შესაძლებლად არ მიაჩნდა გერმანიის მიერ გარეშე ბაზრის დაპყრობა; ბ. ნ.—ონი გადაჭრით უარჰყოფს ამ შესაძლებლობას რუს მრეწველთათვის. ბოლოს, არც ერთი მათგანი საკითხს უცხოეთის ბაზრის შესახებ არ იკვლევს: არც ერთს მათგანს თავისი აზრის სასარგებლოდ არც ერთი სერიოზული საბუთი არ მოჰყავს.

თავის გამოკვლევიდან ბულს არ გამოჰყავს სხვა რაიმე გარკვეული დასკვნა, გარდა იმისა, რომ სანამ მუშათა კლასს დავეხმარებოდეთ, საჭიროა კარგად ჩაუფიქრდეთ მის მდგომარეობას. ბ. ნ.—ონი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოების წინაშე სდგას, მართალია ძნელი, მაგრამ მაინც ისეთი ამოცანა, რომლის გადაჭრა არაა შეუძლებელი—ჩვენი ნაციონალური წარმოების ორგანიზაცია. მაგრამ თუ ბულის შეხედულებებს იმ მოსაზრებით შევავსებთ, რომელიც მათი შესახებ გამოთქვა ჟურნალი Der Gesellschats-Spiegel-ის ჩვენ მიერ მოხსენებულმა რეცენზენტმა, მაშინ მივიღებთ სწორედ ბ. ნ.—ონის დასკვნას. ბ. ნ.—ონი=ბულს+რეცენზენტი. ეს „ფორმულა"-კი აი რა აზრებს იწვევს ჩვენში.

ბ. ნ.—ონს ჩვენში მარქსისტს, და ერთად ერთ ჭეშმარიტ მარქსისტს უწოდებენ. მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ბულისა და რეცენზენტის შეხედულებათა ჯამი გერმანიის მე-40 წლების მდგომარეობაზე უდრის მარქსის შეხედულებას ამავე მდგომარეობაზე? სხვა სიტყვით, იყო თუ არა რეცენზენტით შევსებული ბული მარქსისტი და ამასთანავე ერთად ერთი ჭეშმარიტი მარქსისტი, მარქსისტი par excellence? – რასაკვირველია, არა. იმის გამო, რომ ბული აღნიშნავდა წინააღმდეგობას, რომელშიაც, საწარმოო ძალთა განვითარების წყალობით, კაპიტალისტური საზოგადოება ჩავარდა, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი მარქსის თვალსაზრისზე იდგა. იგი ამ წინააღმდეგობას მეტად განყენებული თვალსაზრისით განიხილავდა და სწორედ ამის გამო მის გამოკვლევას თავისი ხასიათის მიხედვით მარქსის შეხედულებებთან არაფერი ჰქონდა საერთო. ბულის სიტყვები გვაფიქრებინებდა, რომ გერმანეთის კაპიტალიზმს დღეს თუ არა ხვალ ჩაჰკლავს თვით მისივე განვითარება, რომ მას მეტი გზა არა აქვს, რომ სარეწავებში საბოლოოდ გაბატონებულია კაპიტალისტური წესი და რომ გერმანელი მუშების რიცხვი სწრაფად შემცირდება. ასეთი აზრი მარქსს არ გამოუთქვამს. პირიქით, მე-40 წლების დასასრულს და განსაკუთრებით-კი მე-50 წლების დასაწყისში, როცა მას ლაპარაკი უხვდებოდა გერმანეთის კაპიტალიზმის უახლოესი მომავლის შესახებ—იგი სულ სხვას ამბობდა. მხოლოდ იმ ხალხს შეეძლო გერმანელ ნ.-ონების

ეშმარიტ მარქსისტებად მიჩნევა, რომელსაც სრულად არ ეცხოდა მისი შეხედულებანი[1]).

გერმანელი ნ.—ონები სწორედ ისე განყენებულად მსჯელობდენ, როგორც ჩვენი დღეანდელი ბუღლები და ფოლგრაფები. იმსჯელო განყენებულად ნიშნავს იმას, რომ შეცთომა დაუშვა იმ შემთხვევაშიაც-კი, როცა საესებით მართალ პრინციპებს ემყარები. იცით თუ არა, მკითხველო, რა არის **დ'ალამბერის ანტიფიზიკა?** დ'ალამბერი ამბობდა: სრულიად უდავო ფიზიკური კანონების საფუძველზე სინამდვილეში სრულიად შეუძლებელ მოვლენათა აუცილებლობას დავამტკიცებო. საჭიროა მხოლოდ ყოველი კანონის მოქმედების შესწავლის დროს დროებით დავივიწყოთ ამ კანონის მოქმედების სახის შემცვლელი სხვა კანონის არსებობაო. შედეგს უთუოდ სრულიად სულელურს მივიღებთ. ამის დასამტკიცებლად დ'ალამბერს მოჰყავდა რამდენიმე მართლაც შესანიშნავი მაგალითი და აპირებდა კიდეც თავისუფალ დროს დაეწერა მთელი **ანტიფიზიკა.** ბ. ბ. ფოლგრაფები, ნ.—ონები უკვე სწერენ კიდეც სერიოზულად **ანტიეკონომიას.** მათი მეთოდი ასეთია: ისინი იღებენ ცნობილ უდავო ეკონომიურ კანონს; სწორად აღნიშნავენ მის ტენდენციას; შემდეგ ივიწყებენ, რომ ამ კანონის განხორციელება სინამდვილეში **მთელი ისტორიული პროცესია,** და ისე გვიხატავენ საქმის ვითარებას, თითქოს ამ კანონის ტენდენცია სრულიად განხორციელებულია იმ დროისთვის, როცა ისინი თავის გამოკვლევების წერას იწყებენ. მაგრამ თუ ვინმე ფოლგრაფი, ბული ან ნ.—ონი ცუდად მონელებულ სტატისტიკურ მასა-

---

[1]) მაშინდელ გერმანიაში იყვენ ბევრნი სხვადასხვა მიმართულების ნ.—ონები. ყველაზე უფრო შესანიშნავი იქნებ კონსერვატიული მიმართულება იყო. ასე, მაგალითად, D-r კარლ ფოლგრაფმა, Ordentliche Professor-მა der Rechte მეტად გრძელ სათაურიან ბროშურაში („Von der über und unter ihr naturnothwendiges Maas erweiterten und herabgedrückten Concurrenz in allen Nahrungs und Erwerbszweigen des bürgerlichen Lebens, als der nächsten Ursache des allgemeinen, alle Klassen mehr oder weniger drückenden Nothstandes in Deutschland, insonderheit des Getreidewuchers, sowie von den Mitteln zu ihrer Abstellung. Darmstadt. 1848) მოგვცა „გერმანელების სამშობლოს" ეკონომიური მდგომარეობის სურათი, რომელიც განსაკვირებლად წააგავს რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის იმ სურათს, რომელიც მოცემულია წიგნში: „Очерки нашего пореформенного общественного хозяйства". ფოლგრაფიც საქმის ვითარებას ისე აღწერდა, თითქოს საწარმოო ძალთა განვითარებას „თავისუფალი კონკურენციის ზეგავლენით" უკვე გამოეწვიოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის შედარებითი შემცირება. უმუშევრობის გავლენას შინაგანი ბაზრის მდგომარეობაზე ის უფრო ვრცლად აგვიწერს, ვიდრე ბული. მრეწველობის ერთი დარგის მწარმოებლები იმავე დროს მეორე დარგის

ლას დაახუხულავებს, წარა-მარა მარქსის დამოწმებას იწყებს, მაშინ მისი „ნარკვევი“ მიიღებს დამარწმუნებელი, მეცნიერული გამოკვლევის ხასიათს მსგავსად „კაპიტალი“-სა. მაგრამ ეს ილიუზიაა და მეტი არაფერი.

ფოლგრაფმა რომ, მაგალითად, მისი თანამედროვე გერმანეთის ეკონომიური ცხოვრების ანალიზის დროს, ბევრი რამ უყურადღებოდ დასტოვა, იმ უდავო გარემოებითაც მტკიცდება, რომ სრულიად არ გამართლდა მისი წინასწარმეტყველება ამ ქვეყნის „**საზოგადოებრივი ორგანიზმის გახრწნის**“ შესახებ. ხოლო იმ გარემოებას, რომ ბ. ნ.—ონი ამაოდ იმოწმებს მარქსს ისე, როგორც ბ. ი. ჟუკოვსკი ხშირად ამაოდ მიმართავდა ინტეგრალურ გამოანგარიშებას,—ადვილად მიხვდება დიდად პატივცემული ს. ნ. კრიეენკოც-კი.

წინააღმდეგ იმ ხალხის შეხედულებისა, რომელიც მარქსს ცალმხრივობას უსაყვედურებს, ეს მწერალი არასოდეს არ განიხილავდა განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიურ მოძრაობას **იმ საზოგადოებრივი ძალებთან კავშირის გარეშე, რომელნიც წარმოიშობიან მის ნიადაგზე და თითონ თავისი მხრით გავლენას ახდენენ მის შემდგომ მიმართულებაზე** (ბ. ს. ნ. კრიეენკო, ეს თქვენთვის ჯერ კიდევ არ არის სრულიად ნათელი, მაგრამ იქონიეთ მოთმინება!). თუ მოცემულია განსაზღვრული ეკონომიური მდგომარეობა, ამით მოცემულია განსაზღვრული საზოგადოებრივი ძალებიც, რომელთა მოქმედებაც აუცილებლად თავის გავლენას იქონიებს ამ მდგომარეობის შემდგომ განვითა-

---

პროდუქტთა მომხმარებლები არიან, მაგრამ რადგანაც უმუშევრობა მწარმოებლებს გადახდის უნარს უსპობს, ამიტომ მოთხოვნა მცირდება, რის გამოც უმუშევრობა საყოველთაო მოვლენა ხდება და წარმოიშობა სრული პაუპერიზმი (völliger Pauperismus). „და რადგანაც კონკურენციის წყალობით გლეხობაც ნადგურდება, ამიტომ მთელი საქმიანობა სრულიად ქვეითდება. საზოგადოებრივი ორგანიზმი იხრწნება, მისი ფიზიოლოგიური პროცესები გამხეცებულ მასას აჩენს, შიმშილი კი ამ მასაში მღელვარებას ჰბადებს, რომლის წინააღმდეგ უძლურია სახელმწიფო სასჯელი და იარაღიც-კი. თავისუფალი კონკურენცია აკუწმაწებს სოფლად გლეხთა ნაკვეთებს. გლეხის არც ერთს მეურნეობაში არ არის სამუშაო ძალის მთელი წლის განმავლობაში საკმაოდ გამოყენების შესაძლებლობა. „ამრიგად მრავალ სოფელში, განსაკუთრებით მცირე ნაყოფიერ ადგილებში თითქმის სრულიად ისე, როგორც ირლანდიაში, ღატაკი გლეხები უსაქმოდ ატუზულან თავიანთი ქოხების წინ. არც ერთს მათგანს ძალა არ შესწევს დაეხმაროს მეორეს, რადგან თითოეულ მათგანს ძალიან ცოტა რამ გააჩნია, ყველა სამუშაოს დაეძებს, მაგრამ ვერ შოულობს მას“. ფოლგრაფმა თავისი მხრით „თავისუფალი კონკურენციის“ გამანადგურებელ მოქმედებასთან საბრძოლველად გამოიგონა ღონისძიებათა მთელი რიგი, თუმცა არა იმ ხასიათის, როგორსაც იძლევა სოციალისტური ჟურნალი: „Der Geseallschafts-Spiegel“.

რებაზე (მოთმინება ხომ არ გეკარგებათ, ბ. კრიეენკო? აი თვალსაჩინო მაგალითიც). მოცემულია ინგლისის თავდაპირველი კაპიტალისტური დაგროვების პერიოდის ეკონომია. ამით მოცემულია ის საზოგადოებრივი ძალები, რომელიც, სხვათა შორის, წარმოდგენილია ინგლისის პარლამენტში. ამ საზოგადოებრივ ძალთა მოქმედება წარმოადგენდა არსებული ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას, ხოლო ამ მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავდა ამ მდგომარეობის თვისებები.—მოცემულია თანამედროვე ინგლისის მდგომარეობა; ამით მოცემულია მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ძალები, რომელთა მოქმედების გავლენა თავს იჩენს ინგლისის მომავალ ეკონომიურ განვითარებაში. როცა მარქსი გართული იყო იმ მუშაობით, რასაც ზოგიერთი „მკითხაობად" ნათლავს, მაშინ იგი მხედველობაში იღებდა ამ საზოგადოებრივ ძალებს და სრულიად არ ფიქრობდა, რომ მათი მოქმედების შეჩერება თვითნებითად შეუძლია იმ ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფს, რომელნიც ძლიერნი არიან მხოლოდ თავისი წარმტაცი განზრახვებით, („Mitder Gründlichkeit der geschichtlichen Action wird der Umfang der Masse zunehmen, deren Action sie ist").

მეორმოცე წლების გერმანელი უტოპისტები სხვაგვარად მსჯელობდენ. როცა ისინი გარკვეულ ამოცანას ისახავდენ, მათ მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ თავისი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის უხერხულობანი და ავიწყდებოდათ იმ საზოგადოებრივი ძალების გამოკვლევა, რომელიც ამ მდგომარეობაზე აღმოცენდა. ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა სავალალოაო,—მსჯელობდა ზემოხსენებული რეცენზენტი—მაშასადამე, ჩვენ წინაშე, მართალია, ძნელი, მაგრამ მაინც ისეთი ამოცანაა,—წარმოების ორგანიზაცია—რომლის გადაჭრა შეუძლებელ რასმე არ წარმოადგენს. მაგრამ—შეუშლიან თუ არა ხელს ამ ორგანიზაციას სწორედ ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებიკ ამ სავალალო ეკონომიურ მდგომარეობაზე აღმოცენდენ? ასეთ კითხვას არ აყენებდა კეთილი განზრახვების მქონე რეცენზენტი. უტოპისტი არასოდეს ჯეროვან ანგარიშს არ უწევს თავისი დროის საზოგადოებრივ ძალებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი, მარქსის თქმით, **თავის თავს ყოველთვის საზოგადოების მაღლა აყენებს.** და ამავე მიზეზის გამო, იმავე მარქსის თქმით, უტოპისტის ყველა გეგმა „ohne Wirth gemacht" წარმოადგენს და მთელი მისი „კრიტიკა" არის ყოველგვარი კრიტიკის უარყოფა, სინამდვილის კრიტიკულად განხილვის უნარის სრული უქონლობა.

წარმოების ორგანიზაცია განსაზღვრულ ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ იმ საზოგადოებრივ ძალთა მოქმედების შედეგი იყოს, რომელთაც ადგილი აქვთ ამ ქვეყანაში. რაა საჭირო წარმოების ორგანიზაციისთვის? მწარმოებელთა შეგნებული დამოკიდებულება, **მთელი თავისი სირთულითა და მთლიანობით აღებულის,** საწარმოო პროცესისადმი. სადაც ჯერ კიდევ ადგილი არა აქვს ასეთ შეგნებულ დამოკიდებულებას, იქ წარმოების ორგანიზაციის უახლოესი საზოგადოებრივი ამოცანის სახით წამოყენება მხოლოდ ისეთ ხალხს შეუძლია, რომელიც თავის სიცოცხლეში გაუსწორებელი უტოპისტი რჩება, თუ გინდ მათ ხუთ მილიარდჯერ განიმეორონ მარქსის სახელი დიდი პატივისცემით. რას ამბობს მწარმოებელთა შეგნებაზე ბ. ნ.—ონი თავის ცნობილ წიგნში?—სრულიად არაფერს: იგი მთელ თავის იმედს „საზოგადოების" შეგნებაზე ამყარებს. თუ ამას შემდეგ შეიძლება და აუცილებელია ბ. ნ.—ონს ჭეშმარიტი მარქსისტი უწოდოთ,—მაშინ ჩვენ არ ვიცით, თუ რატომ არ შეიძლება აღვიაროთ ბ. კრივენკო ჩვენი დროის ერთად ერთ ნამდვილ ჰეგელიანელად, ჰეგელიანელად par excellence.

მაგრამ დროა გავათავოთ. რა შედეგამდე მიგვიყვანა ჩვენმა შედარებით-ისტორიულმა მეთოდმა? თუ არ ვსცდებით აი ასეთ შედეგამდე.

1) გეინცენის და მის თანამოაზრეთა შეხედულება, თითქოს მარქსი თავის საკუთარმა თვალსაზრისმა უმოქმედობამდე მიიყვანა გერმანიაში, სისულელე აღმოჩნდა. ასეთივე ყალბი აღმოჩნდება ბ. მიხაილოვსკის შეხედულებაც იმის შესახებ, თითქოს მარქსის თვალსაზრისზე მდგომი ხალხი რუსეთს მოუტანდეს არა სარგებლობას, არამედ ზარალს.

2) ბულების და ფოლგრაფების შეხედულებანი გერმანიის მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ვიწრო, ცალმხრივი და მცდარი აღმოჩნდენ თავის აბსტრაქტულობის გამო. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის მომავალი ეკონომიური ისტორია ბ. ნ.—ონის თვალსაზრისის ასეთსავე ნაკლს გამოააშკარავებს.

3) ისინი, ვინც მეორმოცე წლების გერმანიაში თავის უახლოეს ამოცანად წარმოების ორგანიზაციას ისახავდა, უტოპისტები იყვენ. ასეთივე უტოპისტები არიან ისინიც, რომლებიც ფიქრობენ წარმოების ორგანიზაციაზე დღევანდელ რუსეთში.

4) ისტორიამ მეორმოცე წლების უტოპისტების ილიუზია სრულიად გააქარწყლა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ასეთივე ბედი ეწვევა ჩვენი რუსი უტოპისტების ილიუზიებსაც. ისტორიამ მწა-

რედ დასცინა პირველთ, გულის ტკივილით ვგრძნობთ, რომ ასევე მოექცევა ის რუს უტოპისტებსაც.

მაგრამ, ნუთუ ამ ილიუზიებმა არავითარი სარგებლობა არ მოუტანა გერმანელ ხალხს? ეკონომიური მხრით სრულიად არავითარი, ან, თუ გნებავთ უფრო სწორედ, *თითქმის* არავითარი. საეჭვოა, რომ შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა გასასაღებელ ყველა ამ ბაზარს და მწარმოებელთა ასოციაციის შედგენის ყველა ამ ცდას რამდენიმე ასეული გერმანელი მწარმოებლისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინოს. მაგრამ მათ ხელი შეუწყვეს ამ მწარმოებელთა თვითშეგნების გამოფხიზლებას და ამით მათ დიდი სარგებლობა მოუტანეს. ასეთივე სარგებლობა პირდაპირი და არა შემოვლილი გზით მოიტანა გერმანელი ინტელიგენციის განმანათლებელმა მოღვაწეობამ: სკოლებმა, სახალხო სამკითხველოებმა და სხვ. გერმანელი ხალხისათვის კაპიტალისტური განვითარების საზარალო შედეგი ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიძლებოდა შესუსტებულიყო ან აცილებულიყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გერმანელ მწარმოებელთა თვითშეგნება განვითარდებოდა. მარქსს ეს უტოპისტებზე უკეთ ესმოდა და ამიტომ მისი მოღვაწეობა უფრო სასარგებლო აღმოჩნდა გერმანელი ხალხისთვის.

უეჭველია, იგივე განმეორდება რუსეთშიაც. ბ. ს. ნ კრივენკო ჟურნალ „Русское Богатство"-ს 1894 წლის ოქტომბრის ნომერში „ცოდვილობს"—როგორც ჩვენში იტყვიან—რუსეთის წარმოების ორგანიზაციისთვის. ვერავითარ ჭირს ვერ აგვაცილებს, ვერავის ვერ გააბედნიერებს ამით ბ. ს. ნ. კრივენკო. მისი „ცოდვილობა" ულაზათო და უნაყოფოა. მაგრამ, თუ ისინი, მიუხედავად ყველა ამ უარყოფითი თვისებისა, თუ გინდ ერთი მწარმოებლის თვითშეგნებას გამოაფხიზლებენ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბ. კრივენკო მარტო იმიტომ კი არ სცხოვრობდა ქვეყნად, რომ მხოლოდ ლოღიკური შეცთომები ჩაედინა ან ყალბად ეთარგმნა რუსულად მისთვის „არასასიამოვნო" წერილებიდან ადგილები. ჩვენი კაპიტალიზმის საზარალო შედეგებთან ბრძოლა ჩვენშიაც შესაძლო იქნება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განვითარდება მწარმოებლის თვითშეგნება.

ამ ჩვენი სიტყვებიდან ბ. ბ. სუბიექტივისტებს შეუძლიანთ დაინახონ, რომ ჩვენ სრულებითაც არა ვართ „ტლანქი მატერიალისტები". თუ ჩვენს თვალსაზრისს შეიძლება „ვიწრო" ვუწოდოთ, მხოლოდ ერთი გაგებით: იმიტომ, რომ ჩვენ, პირველ ყოვლისა, მიზნად ვისა ვავთ სრულიად **იდეალისტურ ამოცანას.**

ეხლა-კი ნახვამდის ბ. ბ. მოწინააღმდეგენო. ჩვენ აქედანვე განვიცდით ყველა იმ უდიდეს კმაყოფილებას, რასაც თქვენი პასუხი მოგვიტანს. მხოლოდ ყური უგდეთ ბატონებო, ბ. ს. ნ. კრიეენკოს. მართალია, იგი არც ისე ცუდად სწერს, ყოველ შემთხვევაში, გრძნობით, მაგრამ რას სწერს, თითონაც არ უწყის!

ერთხელ კიდევ ბ. მიხაილოვსკი, ერთხელ კიდევ „ტრიადა“

„Русское Богатство“-ს ოქტომბრის ნომერში ბ. მიხაილოვსკიმ ბ. პ. სტრუვესთან კამათის დროს კიდევ გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება ჰეგელის ფილოსოფიაზე და „ეკონომიურ“ მატერიალიზმზე.

მისი სიტყვით, ისტორიის მატერიალისტური გაგება და ეკონომიური მატერიალიზმი ერთი და იგივე არაა. ეკონომიურ მატერიალისტებს ყველაფერი ეკონომიიდან გამოჰყავთ. „მაგრამ თუ მე საზოგადოების არა მარტო იურიდიული და პოლიტიკური დაწესებულების, ფილოსოფიური და სხვა შეხედულების, არამედ აგრედვე მისი ეკონომიური სტრუქტურის ფესვის ანუ ფუნდამენტის ძებნას დავიწყებ მისი წევრების რასიულს ან ტომობრივ თავისებურებაში: მათი თავის ქალის სიგრძის და სიგანის დიამეტრის ურთიერთ შეფარდებაში, საბის კუთხის ხასიათში, ყბის სიდიდესა და მიმართულებაში, მკერდის ოდენობაში, კუნთების ძალაში და სხვ., ან და, მეორეს მხრით, წმინდა გეოგრაფიულ ფაქტორებში: ინგლისის კუნძულობრივ მდებარეობაში, აზიის ნაწილის ველიანობაში, შვეიცარიის ზედაპირის მთა-გორიანობაში, ჩრდილოეთის მდინარეთა, გაყინვის ხანგრძლივობაში და სხვ.,— განა ეს ისტორიის მატერიალისტური გაგება არ იქნება? ცხადია, რომ ეკონომიური მატერიალიზმი, როგორც ისტორიული თეორია, ისტორიის მატერიალისტური გაგების მხოლოდ კერძო შემთხვევაა...“ [1]).

მონტესკიე ცდილობდა ხალხთა ისტორიული ბედი **წმინდა გეოგრაფიული ფაქტორებით** აეხსნა. რამდენადაც იგი ამ თვალსაზრისს ბოლომდე ატარებდა, ამდენად, უეჭველია, ის მატერიალისტი იყო. თანამედროვე დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც დავინახეთ, არ უარჰყოფს გეოგრაფიული გარემოს გავლენას საზოგადოების გან-

---

„Русское Богатство“, ოქტომბერი 1894 წ., განყ. II, გვ. 50.

ვითარებაზე. ის მხოლოდ უკეთ ხსნის, თუ რა გზით მოქმედებს გეოგრაფიული ფაქტორები „საზოგადოებრივ ადამიანზე". იგი ცხადჰყოფს, რომ გეოგრაფიული გარემო მეტს თუ ნაკლებ შესაძლებლობას უქმნის ადამიანს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და ამით მეტი თუ ნაკლები სისწრაფით მიაქანებს მას ისტორიული განვითარების გზაზე. მონტესკიე ასე მსჯელობდა: ესა თუ ის გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს ადამიანთა ამა თუ იმ ფიზიკურს და ფსიქიურ თვისებებს, ეს თვისებები-კი იწვევს განსაზღვრულ საზოგადოებრივ წყობილებას. დიალექტიკური მატერიალიზმი ააშკარავებს, რომ ასეთი მსჯელობა არადამაკმაყოფილებელია, რომ გეოგრაფიული გარემოს გავლენა პირველ ყოვლისა და მეტის მეტი სიძლიერით თავს იჩენს **საზოგადოებრივ ურთიერთობათა** ხასიათში, რომელნიც თავისი მხრით, გაცილებით უფრო ძლიერ გავლენას ახდენენ ადამიანთა შეხედულებებზე, მათ ჩვეულებებზე და ფიზიკურ განვითარებაზეც-კი, ვიდრე, მაგ., ჰავა. თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერება (კვლავ მოგაგონებთ მეჩნიკოვის წიგნს და ელიზე რეკლიუს ამ წიგნის წინასიტყვაობას) ამ შემთხვევაში სავსებით ეთანხმება დიალექტიკურ მატერიალიზმს. ეს მატერიალიზმი, რასაკვირველია, კერძო შემთხვევაა მატერიალისტური თვალსაზრისისა ისტორიაზე. მაგრამ ის უფრო სრულად, უფრო ყოველმხრივად არკვევს მას, ვიდრე ამას შესძლებენ სხვა „კერძო შემთხვევები". **დიალექტიკური მატერიალიზმი ისტორიის მატერიალისტური გაგების უმაღლესი საფეხურია.**

ჰოლბახი ამბობდა, რომ ხალხთა ისტორიული ბედი ზოგჯერ მთელი საუკუნით იმ შემთხვევითი ატომის მოძრაობით განისაზღვრება, რომელიც უცაბედად საზოგადოებრივი ადამიანის თავში საიდანღაც გაჩნდა. ესეც მატერიალისტური თვალსაზრისი იყო ისტორიაზე. მაგრამ მას სრულიად არ შეეძლო ისტორიულ მოვლენათა ახსნა. თანამედროვე დიალექტიკური მატერიალიზმი გაცილებით უფრო ნაყოფიერია ამ მხრით. იგი, რასაკვირველია, კერძო შემთხვევაა მატერიალისტური თვალსაზრისისა ისტორიაზე, მაგრამ სწორედ ის ერთადერთი კერძო შემთხვევა, რომელიც შეეფერება მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას. ჰოლბახის მატერიალიზმის უძლურება მის მიმდევართა იდეალიზმთან დაბრუნებით გამოიხატა: „შეხედულებანი მართავენ ქვეყანას". დიალექტიკური მატერიალიზმი დღეს აძევებს იდეალიზმს თავისი უკანასკნელი პოზიციებიდან.

ბ. მიხაილოვსკის ჰგონია, რომ თანმიმდევარი მატერიალისტი მხოლოდ ის იქნება, რომელიც ყველა მოვლენის ახსნას მოლეკულია-

რული მექანიკის მეშვეობით შესძლებს. თანამედროვე დიალექტიკური მატერიალიზმი ვერ შესძლებს ისტორიის **მექანიკურ** ახსნას. თუ გნებავთ, ეს არის **მისი სისუსტე**. მაგრამ ახერხებს თუ არა თანამედროვე ბიოლოგია სახეების წარმოშობისა და განვითარების მექანიკურ ახსნას?—ვერ ახერხებს. ეს **მისი სისუსტეა**. გენიოსი, რომელზეც ლაპლასი ოცნებობდა, რასაკვირველია, ასეთ სისუსტეს მოკლებული იქნებოდა, მაგრამ ჩვენ სრულიად არ ვიცით, როდის მოგვევლინება ეს გენიოსი და ვკმაყოფილდებით მოვლენათა ისეთი ახსნით, რომელიც ყველაზე უკეთ შეეფერება ჩვენი დროის მეცნიერებას. ასეთია **ჩვენი** „კერძო შემთხვევა".

დიალექტიკური მატერიალიზმი ამბობს: ადამიანთა შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფას, პირიქით, მათი ყოფა განსაზღვრავს მათ შეგნებას; ფილოსოფიაში კი არა, არამედ საზოგადოების ეკონომიაში უნდა ვეძიოთ მისი არსებული მდგომარეობის გაგების გასაღები. ბ. მიხაილოვსკი ამის გამო რამდენიმე შენიშვნას აკეთებს; ერთი მათგანი ასეთია:

„... მატერიალისტ-სოციოლოგების ძირითადი ფორმულის უარყოფითი ნაწილი შეიცავს პროტესტს ან რეაქციას არა საზოგადოდ ფილოსოფიის წინააღმდეგ, არამედ, როგორც ჩანს, მხოლოდ ჰეგელიანურის. სწორედ იგი „ხსნის ყოფას შეგნებით"... ეკონომიური მატერიალიზმის საფუძველმდებელნი—ჰეგელიანელები არიან და ამიტომ, როგორც ასეთნი, ასე დაჟინებით იმეორებენ: „არა ფილოსოფია", „არა შეგნება"... მათ არ ძალუძთ და არც ცდილობენ თავი დააღწიონ ჰეგელიანური აზრის რკალს"[1]).

ამ სტრიქონების წაკითხვისას, ჩვენ წარმოგვიდგა, რომ აქ ჩვენი ავტორი, ბ. კარეევის მსგავსად, „სინთეზისაკენ" მიიწევს. რასაკვირველია, ვიფიქრეთ, რომ ბ. მიხაილოვსკის სინთეზიბ. კარეევის სინთესზე, უკეთესი იქნება; ბ. მიხაილოვსკი არ დაკმაყოფილდება გ. ი. უსპენსკის მოთხრობის „Неизлечимый"-ის დიაკვნის იმ აზრის განმეორებით, რომ „სული განსაკუთრებული ნაწილია", და რომ „როგორც მატერიას აქვს სხვადასხვა თვისებურება, სწორედ ასევე სულსაც აქვს თავისი თავისებურებანი", მაგრამ მაინც ბ. მიხაილოვსკი სინთეზისგან თავს ვერ შეიკავებს: ჰეგელი—თეზისია; ეკონომიური მატერიალიზმი—ანტითეზისი; თანამედროვე რუს სუბიექტივისტთა ეკლექტიზმი—სინთეზი. როგორ არ უნდა მოგვაჯადოვოს ასეთმა „ტრიადამ". და ეი ჩვენ გავიხსენეთ, თუ როგორი იყო ნამდვილად მარ-

---

[1]) იქვე. გვ. 51—52.

ქსის ისტორიული თეორიის დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიასთან.

პირველ ყოვლისა, ჩვენ „შევნიშნეთ", რომ ჰეგელის მიხედვით, ისტორიული მოძრაობის მიზეზს სრულ ებით არ წარმოადგენს **ადამიანთა შეხედულებანი, ადამიანთა ფილოსოფია.** „შეხედულებებს" ისტორიული მოძრაობის მიზეზად **XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტები ასახელებდენ.** ჰეგელი დასცინოდა ასეთ ახსნას: რასაკვირველია, ამბობდა იგი, გონება მართავს ისტორიას, მაგრამ იგი ცის მნათობთა მოძრაობასაც ხომ მართავს, და განა ცის მნათობთ შეგნებული აქვთ თავისი მოძრაობა? კაცობრიობის ისტორიული განვითარება გონივრულია იმ აზრით, რომ იგი კანონზომიერია. ისტორიული მოძრაობის კანონზომიერება ჯერ კიდევ სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ მისი საბოლოო მიზეზი ადამიანთა შეხედულებებში უნდა ვეძიოთ; სრულიად წინააღმდეგ: ეს კანონზომიერება გვიჩვენებს, რომ ადამიანები თავის ისტორიას შეუგნებლად ქმნიან.

არ გვახსოვს, ვამბობდით ჩვენ, თუ როგორ სახეს ღებულობს ჰეგელის ისტორიული შეხედულებანი ლიუისის გადმოცემაში. მაგრამ ჩვენ რომ მას არ ვამახინჯებთ, ამაში დაგვეთანხმება ყველა ის, ვისაც წაკითხული აქვს შესანიშნავი „Philosophie der Geschichte". მაშასადამე, როცა „ეკონომიური" მატერიალიზმის მომხრენი ამტკიცებენ საზოგადოებრივ ყოფას ფილოსოფია არ განსაზღვრავსო, ამით ისინი ჰეგელს როდი ედავებიან; მაშასადამე, ისინი **ამ მხრით** მის არავითარ ანტითეზას არ წარმოადგენენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბ. მიხაილოვსკის სინთეზი არ გამოდგება, თუმცა ჩვენი ავტორი არ დაკმაყოფილდება დიაკვნის აზრების განმეორებით.

ბ. მიხაილოვსკის აზრით, იმის მტკიცება, რომ ფილოსოფია, ე. ი., ადამიანთა შეხედულებანი არ წარმოადგენენ ისტორიული მოძრაობის მიზეზს, შეიძლებოდა მხოლოდ მეორმოცე წლების გერმანიაში, როცა ჯერ კიდევ ჰეგელის სისტემის წინააღმდეგ არ იყო დაწყებული აჯანყება. ეხლა ჩვენთვის ცხადია, რომ ასეთი შეხედულება, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ „ლიუისზეა" დამყარებული.

თუ რამდენად ცუდად აცნობს ლიუისი ბ. მიხაილოვსკის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიულ მსვლელობას გერმანიაში, გარდა ზემოაღნიშნულისა, გვიჩვენებს შემდეგი გარემოება. ჩვენს ავტორს აღტაცებით მოჰყავს ადგილები ბელინსკის ცნობილი წერილიდან, რომელშიაც ის ემშვიდობება ჰეგელის „ფილოსოფიურ ყალფაკს". ამ წერილში ბელინსკი, სხვათა შორის, შემდეგს ამბობს: „სუბიექტის, ინდივიდუუმის, პიროვნების ბედი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთე-

ლი ქვეყნის ბედი და ჩინეთის იმპერატორის ჯანმრთელობა (ე. ი ჰეგელის „Allgemeinheit“). ამ წერილის გამო ბ. მიხაილოვსკი ბეკრს შენიშნავს, მაგრამ ის ვერ „ამჩნევს“, რომ ბელინსკის ჰეგელის Allgemeinheit უადგილოდ აქვს მოტანილი. ბ. მიხაილოვსკი, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ ჰეგელის Allgemeinheit იგივეა, რაც სული ანუ აბსოლუტური იდეა. მაგრამ ჰეგელისათვის Allgemeinheit არ შეადგენს აბსოლუტური იდეის მთავარ დამახასიათებელ ნიშანსაც-კი, Allgemeinheit-ს მის სისტემაში იმაზე მეტი მნიშვნელობა არა აქვს, რაც Besonderheit-ს ან და Einzelheit-ს. სწორედ ამის გამოა გაუგებარი, თუ რისთვის სახელდობრ Allgemeinheit-ი იწოდება ჩინეთის იმპერატორად და წინააღმდეგ დანარჩენი ორისა (Besonderheit-ის და Eeinzelheit-ის) იმსახურებს დაცინვას. ეს შეიძლება ისეთ წვრილმანად მოგვეჩვენოს, რაც ამჟამად ყურადღების ღირსი არაა. მაგრამ ეს ასე როდია: ცუდად გაგებული ჰეგელის Allgemeinheit დღემდე ხელს უშლის, მაგალითად, ბ. მიხაილოვსკის გერმანული ფილოსოფიის ისტორიის გაგებაში,—იმდენად უშლის ხელს, რომ „ლიუისიც“-კი ვერ იხსნის მას გასაჭირისგან.

ბ. მიხაილოვსკის აზრით, Allgemeinheit-ის წინაშე ქედის მოხრას ჰეგელი მიჰყავდა **პიროვნების უფლებათა** სრულს უარყოფამდე. „არ არსებობს ისეთი ფილოსოფიური სისტემაო,—ამბობს იგი,—რომელიც უყურებდეს პიროვნებას ისეთი გამანადგურებელი სიძულვილით და ისეთი (?) ციივი სისასტიკით, როგორც ჰეგელის სისტემა (გვ. 55). ეს შეიძლება მართალი იყოს მხოლოდ „ლიუისის“ მიხედვით. რატომ სთვლიდა ჰეგელი აღმოსავლეთის ისტორიას კაცობრიობის განვითარების პირველ, **დაბალ** საფეხურად? იმიტომ, რომ იქ განვითარებული არ იყო და დღესაც დაბალ საფეხურზე სდგას **პიროვნება**. რატომ ლაპარაკობდა აღტაცებით ჰეგელი ძველ საბერძნეთზე, რომლის ისტორიაშიც თანამედროვე ადამიანი თავს ისე გრძნობს, როგორც „თავის სახლში“? იმიტომ, რომ საბერძნეთში განვითარებული იყო პიროვნება („მშვენიერი პიროვნება“ „schöne Individualität“). რატომ ასე აღტაცებით ლაპარაკობდა ჰეგელი სოკრატეზე? რატომ იყო, რომ მან, თითქმის პირველმა ფილოსოფიის ისტორიკოსებს შორის, სამართლიანად შეაფასა **სოფისტებიც**-კი? ნუთუ იმიტომ, რომ არაფრად მიაჩნდა პიროვნება?

ბ. მიხაილოვსკი მხოლოდ ფეხის ხმას აყოლია.

ჰეგელი არა თუ არ აფასებდა პიროვნებას, არამედ შექმნა გმირთა მთელი კულტი, რომელიც შემდეგ ბრუნო ბაუერმა მთლიანად მემკვიდრეობად მიიღო. ჰეგელისათვის გმირები მსოფლიო სუ-

ლის იარაღს წარმოადგენენ, და ამ მნიშვნელობით ისინი **არ არიან თავისუფალი.** ბრუნო ბაუერი აღუდგა **„სულს“** და განათავისუფლა **„გმირები“**. მისთვის „კრიტიკული აზრის“ გმირები წარმოადგენენ ისტორიის ნამდვილ დემიურგებს **წინააღმდეგ „მასისა“**, რომელიც, მართალია, გაგების უნარის უქონლობით და მოუქნელობით გმირებში სიბრალულს იწვევს, მაგრამ ბოლოს მაინც გმირთა თვითშეგნების მიერ გაკაფულ გზაზე დგება. „მასის (ბრბოსი) და გმირების“ დაპირისპირება ბრუნო ბაუერისგან მისმა რუსმა უკანონოთშობილმა შვილებმა გადმოიღეს და ეხლა ჩვენ საშუალება გვაქვს დავკმაყოფილდეთ მისი ქვრეტით ბ. მიხაილოვსკის წერილებში. ბ. მიხაილოვსკის არ ახსოვს თავისი ფილოსოფიური წინაპრები; ეს არაა მოსაწონი.

ამრიგად, ჩვენ მოულოდნელად მივიღეთ ელემენტები ახალი „სინთეზისთვის“. ჰეგელის კულტი გმირებისა, რომელნიც მსოფლიო სულსე მსახურებიან, **თეზისია**; „კრიტიკული აზრის“ იმ გმირთა ბაუერის, კულტი, რომელნიც მოხლოდ თავისი „თვითშეკნებით“ ხელმძღვანელობენ—**ანტითეზისია**; ბოლოს, მარქსის თეორია, რომელიც ათანხმებს ორივე უკიდურესობას და რომელიც უკუაგდებს მსოფლიო სულს და გმირული თვითშეგნების წარმოშობას გარემოს განვითარებით ხსნის—**სინთეზია.**

„სინთეზით“ გატაცებულ ჩვენ მოწინააღმდეგეებს უნდა ახსოვ, დეთ, რომ მარქსის თეორია სრულიად არ იყო პირველი, **უშუალო** რეაქცია ჰეგელის წინააააღმდეგ, რომ პირველს, თავისი ცალმხრივობის გამო, ზერელე რეაქციას ჰეგელის წინაღმდეგ წარმოადგენდა გერმანიაში ფოიერბახისა **და განსაკუთრებით ბრუნო ბაუერის** თვალსაზრისი, რომელნიც ჩვენმა სუბიექტივისტებმა უკვე დროთავის ნათესავებად სცნონ.

ბევრი სისულელე ილაპარაკა ბ. მიხაილოვსკიმ ბ. ჰ. სტრუვეს წინააღმდეგ მიმართულ თავის წერილში ჰეგელზე და მარქსზე. ადგილის უქონლობის გამო ჩვენ მათ ჩამოთვლას აქ არ შეუდგებით. დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რომ ჩვენს მკითხველებს გარდასაწყვეტად მივსცემთ შემდეგ საინტერესო ამოცანას.

მოცემულია ბ. მიხაილოვსკი; მოცემულია მისი სრული არ ცოდნა ჰეგელისა; მოცემულია მის მიერ მარქსის სრული ვერ გაგება; მოცემულია დაუცხრომელი სურვილი ჰეგელზე, მარქსზე და მად ურთიერთ დამოკიდებულებაზე მსჯელობისა; ამოსაცნობია: კიდევ რამდენ შეცთომას დაუშვებს ბ. მიხაილოვსკი ამ სურვილის გამო?

მაგრამ საეჭვოა, რომ ვინმემ შესძლოს ამ ამოცანის გადაჭრა. ეს მრავალუცნობიანი შეთანასწორებაა. არის მხოლოდ ერთი საშუალება მასში **უცნობ** ოდენობათა გარკვეული სიდიდეებით შეცვლისა, სახელდობრ: საჭიროა ყურადღებით წავიკითხოთ ბ. მიხაილოვსკის წერილები და **ალმოვაჩინოთ შეცთომები**. მართალია, ეს მოსაწყენი და მძიმე საქმეა, შეცთომა ბევრი იქნება, ბ. მიხაილოვსკი თავს არ დაანებებს თავის ცუდ ჩვეულებას იმსჯელოს ფილოსოფიაზე, სანამ რჩევას არ მიიღებს მასზე უფრო მცოდნე პირისაგან.

ჩვენ აქ არ შევეხებით ბ. მიხაილოვსკის თავდასხმას ბ. პ. სტრუვეზე. რამდენადაც ამ თავდასხმაზეა ლაპარაკი, ბ. მიხაილოვსკი დღეიდან „Критические заметки к вопросу об экономическом развитии России"-ის ავტორს ეკუთვნის. ჩვენ-კი არავითარი სურვილი არა გვაქვს შევლახოთ სხვისი საკუთრება. თუმცა შეიძლება ბ. პ. სტრუვემ გვაპატიოს, თუ ჩვენ ორ პატარა „შენიშვნას" გავაკეთებთ.

ბ. მიხაილოვსკიმ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი იმით, რომ ბ. პ. სტრუვემ ეჭვი შეიტანა მიხაილოვსკის ზოგი გამოთქმის სისწორეში. შეურაცხყოფა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ბ. მიხაილოვსკი არ დაკმაყოფილდა ბ. პ. სტრუვეს გამოთქმებში შეცთომაზე მითითებით და მას უცხოელი უწოდა. მან ანეკდოტიც-კი გაიხსენა ორი გერმანელის შესახებ, რომელთაგან ერთმა სთქვა „стригнулся", მეორემ-კი გაუსწორა და მტკიცება დაიწყო, რომ რუსულად უნდა ითქვას „стриговался". რის გამო აღმართა ბ. პ. სტრუვემ ბ. მიხაილოვსკიზე კითხვის ნიშნით შეიარაღებული ხელი?—შემდეგი სიტყვების გამო: „ევროპაში თანამედროვე ეკონომიურმა წყობილებამ ფეხის მოკიდება მაშინ დაიწყო, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ის მეცნიერება, რომელიც ამ რიგის მოვლენებს განაგებს"... და სხვ. კითხვის ნიშანი ახლდა სიტყვას: „განაგებს". ბ. მიხაილოვსკი ამბობს გერმანულად შესაძლოა ეს კარგი არ იყოს (როგორი გაბოროტებით არის ნათქვამი: **გერმანულად**!), მაგრამ რუსულად, გარწმუნებთ, ბ. პ. სტრუვე, ის არავითარ კითხვითი ნიშანს არ მოითხოვს." ამ სტრიქონების დამწერი წმინდა რუსულ გვარს ატარებს და ისევე რუსია, როგორც ბ. მიხაილოვსკი: ყველაზე უფრო გესლიანი კრიტიკოსიც კი ვერ გაბედავდა მისთვის გერმანელი ეწოდებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიტყვა „განაგებს" მასშიც ეჭვს დაბადებს. ის ეკითხება თავს: თუ კი იმის თქმა შეიძლება, რომ მეცნიერება განსაზღვრული რიგის მოვლენებს განაგებს, მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ტეხნიკური ხელოვნება **საგანგებო ნაწილების**

უფროსად დაინიშნოს? რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ: საქაშნიკო ხელოვნება განაგებს ლითონების შენაერთებს? ჩვენ ეს უხერხულად მიგვაჩნია, რადგან ასეთი გამოთქმა ხელოვნებას **უალრესად სამხედრო სახეს** მისცემდა ისე, როგორც სიტყვა **გამგე** მეცნიერებას **ბიუროკრატის** სახეს აძლევს. მაშასადამე, ბ. მიხაილოვსკი მართალი არაა. ბ. პ. სტრუვემ ფრთხილად იხმარა კითხვის ნიშანი. არ ვიცით, თუ როგორ გაასწორებდა იგი ბ. მიხაილოვსკის ულაზათო გამოთქმას. ვთქვათ, რომ იგი დაიწყებდა „стриговаться". მაგრამ, რომ ბ. მიხაილოვსკი უკვე რამდენჯერმე „стригнулся",—ეს, სამწუხაროდ, **უკვე ფაქტია**. ბ. მიხაილოვსკი კი, ვფიქრობთ, სრულიად არაა უცხოელი!

ბ. მიხაილოვსკიმ თავის წერილში სრულიად უსაფუძვლოდ ასტეხა ხმაურობა ბ. სტრუვეს შემდეგი სიტყვების გამო: „არა, აღვიარებთ ჩვენ უკულტურობას და ცოდნისათვის კაპიტალიზმს მივმართოდ". ბ. მიხაილოვსკის სურს საქმის ვითარება ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს ბ. სტრუვეს ეს სიტყვები ნაშნავდეს: „მწარმოებელი მსხვერპლად შევწიროთ" ექსპლოტატორს. ბ. პ. სტრუვეს არ გაუძნელდება ცხადჰყოს ბ. მიხაილოვსკის ცდის უნაყოფობა. ამას უთუოდ ეხლაც ამჩნევს ის მკითხველი, რომელსაც გულდასმით წაუკითხავს „კრიტიკული შენიშვნები". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბ. სტრუვემ მეტად მოურიდებელი გამოთქმა იხმარა, რითაც, უთუოდ, შეცთომაში შეიყვანა ბევრი გულუბრყვილო და რამდენიმე ჯამბაზის გული გაახარა. **წინ მეცნიერება**, ვეტყვით ბ. სტრუვეს, ხოლო ბ. ბ. ჯამბაზებს მოვაგონებთ, რომ ბელინსკიმ თავის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, როცა იგი საბოლოოდ გამოეთხოვა „Allgemeinheit"-ს, თავის ერთ-ერთ წერილში ის აზრი გამოთქვა, რომ რუსეთის კულტურულ მომავალს **მხოლოდ ბურჟუაზია** უზრუნველჰყოფს. ბელინსკის ეს აზრიც მეტად უხერხულ მუქარას წარმოადგენდა. მაგრამ რით იყო გამოწვეული ეს უხერხულობა? **დასავლეთის მოტრფიალის კეთილშობლური გატაცებით**. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ. სტრუვეს უხერხულობაც ასეთივე გატაცებითაა გამოწვეული. ამის გამო ხმაურობა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეჰფერის, ვისაც არაფრის თქმა არ შეუძლია ამ მწერლის, მაგალითად, ეკონომიური საბუთების წინააღმდეგ.

ბ. სტრუვეს წინააღმდეგ ბ. კრივენკომაც აისხა ფარ-ხმალი. ისიც შეურაცხყოფილია. მან შეცთომით სთარგმნა ბ. პ. სტრუვეს წერილის ერთი ადგილი, რაც ბ. სტრუვემ ამხილა. ბ. კრივენკო

ცდილობს თავი იმართლოს და დაამტკიცოს, რომ თარგმანი თითქმის სავსებით სწორია; მაგრამ თავის მართლება ამაოა. ის მაინც დამნაშავე რჩება თავისი მოწინააღმდეგის სიტყვების დამახინჯებაში. მაგრამ ბ. კრიეენკოს ვერაფერს გამოვრჩებით, რადგან ის უეჭველად იმ ფრინველს ჰგავს, რომლის შესახებაც ნათქვამია:

ძლიერი ხმებით მგალობელს,
სამოთხის ფრინველს სირენას
არ აგონდება თავი, როს
ზეცასა უძღვნის სიმღერას.

როცა ბ. კრიეენკო „მოწაფეებს“ არცხვენს, იგი თავის თავს ივიწყებს. დაანებეთ მას თავი, ბ. სტრუვე!

ცოტა რამ ისტორიის შესახებ

(პ. ლაკომბი: ისტორიის სოციოლოგიური საფუძვლები. თარგმანი ფრანგულიდან რ. ი. სემენტკოვსკის რედაქციით. გამოცემა ფ. პავლენკოვისა).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრმა რუსმა მკითხველმა ლაკომბი, ეგრეთწოდებულ ეკონომიურ მატერიალისტებში ჩარიცხა (სრულიად შეცთომით). თუ გნებავთ, ის მართლაც ეკონომიური მატერიალისტია, მაგრამ სულ სხვა ჯურის. მისი შეხედულებანი სრულიადაც არ წააგავს იმ მოაზროვნეთა შეხედულებებს, რომელთაც შექმნეს ეკონომიურ (უფრო სწორედ—დიალექტიკურ) მატერიალიზმად წოდებული თეორია. და სწორედ ამიტომ გვსურს ჩვენ ცოტა რამ ვთქვათ მისი წიგნის შესახებ.

ამ წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი მსჯელობას ადამიანის, „საზოგადოდ ადამიანის“ ბუნებაზე. „ადამიანის ბუნებამ“, ჩვენი ავტორის აზრით, საზოგადოებრივ მოვლენათა გასაღები უნდა მოგვცეს. რაკი ლაკომბი ადამიანის ბუნების თვალსაზრისზე დადგა, იგი სრულიად ლოღიკურად ასკვნის, რომ სოციოლოგისათვის **ფსიქოლოგიას** მეტი სამსახურის გაწევა შეუძლია, ვიდრე **ბიოლოგიასო**. ლაკომბის აზრით, არა ბიოლოგია, არამედ ფსიქოლოგია იძლევა ისტორიის ახსნას. იგი იხილავს ადამიანის ბუნებას და აღნიშნავს მის სხვადასხვა მოთხოვნილებას, როგორიცაა, მაგალითად, საზრდოს, ტანსამოსის, ბინის და სქესობრივი მოთხოვნილება. თავის მოყვასისადმი სიყვარულის ან „სიძულვილის“; მოყვასის მხრით ქების დამსახურების და ბოლოს—ესთეტიური და სამეცნიერო მოთხოვნილება.

ყველა ამ მოთხოვნილებას შორის ლაკომბი ერთგვარ იერარქიას აწესებს.

„ვისაც სურს გაითვალისწინოს, რომელიმე მოთხოვნილების ისტორიული როლი, ამბობს იგი, მან პირველ ყოვლისა მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენად დიდია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მნიშვნელობა (გვ. 47). საზრდოს, ტანსაცმელის და ბინის მოთხოვნილება ყველაზე უფრო გადაუდებელია. მართალია, ლაკომბი შენიშნავს, რომ სუნთქვის მოთხოვნილება კიდევ უფრო გადაუდებელია, მაგრამ ჰაერი მოცემულია განუსაზღვრელი რაოდენობითო; იმით

სარგებლობისათვის საკმარისია მხოლოდ პირის გაღება; ამიტომ რაგინდ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ეს მოთხოვნილება, მას არ შეეძლო ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე გავლენა მოეხდინა. მატერიალურ **მოთხოვნილებათაგან** და **მრეწველობის** იმ სხვადასხვა სახიდან, რომელიც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, ლაკომბი ადგენს ცალკე ჯგუფს და უწოდებს მას **ეკონომიურს.** ამ ჯგუფს იგი „ისტორიაში ყველაზე უფრო გავლენიან ჯგუფად“ თვლის.

ცალკე ადამიანი, თავისი ფიზიკური აგებულების გამო, ეკონომიურ საქმიანობას ყოველ სხვა საქმიანობაზე უფრო წინ აყენებს. მისთვის იგი მთავარია არა მარტო ცხოვრების ერთ რომელსამე პერიოდში, არამედ სიცოცხლის მთელ მანძილზე. მხოლოდ მაშინ, როცა ეკონომიურმა მოტივმა თავისი საქმე უკვე გააკეთა, სცენაზე გამოდის სხვა სურვილები, რომლის დასაკმაყოფილებლად მით უფრო მეტი დრო და საშუალება რჩება, რაც უფრო მათი ნაკლები რაოდენობა მოხმარდა ეკონომიურ საქმიანობას (გვ. 48). ეკონომიური მოტივი, როგორც ყველაზე ძლიერი, ყოველთვის და ყოველგან დაამარცხებს ყველა სხვა დანარჩენს, თუ მათთან შეჯახება მოუხდება. ამიტომ ლაკომბი თავს ნებას აძლევს შემდეგი „ჰიპოტეზები“ ააგოს: 1) საზოგადოებას განსაზღვრული მატერიალური კეთილდღეობისათვის უნდა მიეღწია, სანამ შესაძლებელი გახდებოდა მისი გონებრივი განვითარება; 2) ეკონომიური პროგრესი ძლიერ უცვლის სახეს საზოგადოებრივი წყობილების სხვა მხარესაც; 3) საზოგადოებრივ წყობილებაში გაუმჯობესება იმდენად იყო შესაძლებელი, რამდენადაც ეს ეკონომიურ ინტერესს შეესაბამებოდა (გვ. 57).

აი ლაკომბის მთელი ეკონომიური მატერიალიზმიც. შეუძლებელია არ დაეთანხმოთ მის „ჰიპოტეზებს“, თუმცა ისინი, ე. ი. საზელდობრ, მეორე და მესამე „ჰიპოტეზა“ არაა სვსებით დამაკმაყოფილებლად გამოთქმული. არ შეიძლება არ აღვიაროთ აგრეთვე ისიც, რომ ეს ავტორი თავის შეხედულებათა მაგალითებით დასაბუთებისას ბევრ მოსწრებულსა და მართალ აზრს გამოთქვამს. ამიტომ მისი წიგნის წაკითხვა დიდ სარგებლობას მოუტანს ყველა იმას, ვისაც სურს საზოგადოებრივ ცხოვრებას ფხიზელი თვალით შეხედოს და ვისაც უკვე თავი მოაბეზრეს სრულიად რუსეთის „სოციოლოგიურმა“ ფანტაზიებმა. მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ლაკომბის თხზულებაში მხოლოდ ზოგი ცალკე ადგილია უნაკლო, საერთოდ-კი მისი „მატერიალიზმი“ კრიტიკის მსუბუქ შეხებასაც ვერ უძლებს.

„ადამიანის ბუნების“ თვალსაზრისი საზოგადოებრივ მეცნიერებაში არც ისე ახალია. ამ თვალსაზრისზე იდგა, მაგალითად, არისტოტელი, რომელიც, როგორც ცნობილია, იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ მონობა სავსებით **შეესაბამება** ადამიანის ბუნებას.

ამ თვალსაზრისზე იდგა XVIII საუკუნის ყველა ფრანგი განმანათლებელი, რომელნიც განუწყვეტლივ იმეორებდენ, რომ მონობა სრულიად **ეწინააღმდეგება** ადამიანის ბუნებას, რომელიც **თავისუფლებას** მოითხოვსო.

ამავე თვალსაზრისზე იდგენ ფრანგ განმანათლებელთა მრავალრიცხოვანი **მოწინააღმდეგენიც**, რომელნიც ადამიანის იმავე ბუნების დამოწმებით ძველი წყობილების გამართლებას ცდილობდენ. შემდეგ. ოგიუსტ კონტი მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ დედაკაცის ხელქვეითი მდგომარეობა მისი ბუნების აუცილებელი და გარდაუვალი შედეგია [1]). იგივე ოგიუსტ კონტი თავის (ე. ი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მის მიერ სენ-სიმონისაგან ნასესხებ) ცნობილ კანონს სამი ფაზისისა უკავშირებდა არა სხვა რასმე, თუ არა სწორედ ადამიანის ბუნებას [2]). საერთოდ მიმდინარე საუკუნის მეორმოცე წლებამდე ძნელად თუ მოიპოვებოდა ისეთი მწერალი, რომელსაც საზოგადოებრივი საკითხების შესწავლის დროს ადამიანის ბუნებისადმი არ მიემართნა. ლაკომბი ძლიერ ცდება, როცა ჰფიქრობს, რომ ეგრეთწოდებული ნაციონალური სულის თეორიის მომხრეებს არაფერი ჰქონდათ საერთო ადამიანის ბუნების თვალსაზრისთანო.

ისინიც ამ თვალსაზრისზე იდგენ, თუმცა მას ახალ სახეს აძლევდენ: „საზოგადოდ ადამიანის“ ბუნებიდან მათ გამოყავდათ რომაელის, ბერძნის, გერმანელისა და სხვათა ბუნება.

და ყოველი ასეთი „ბუნება“ მათთვის ისეთ სასწაულმომქმედ სიტყვას წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდებოდა ყველა ისტორიული სიძნელის გადალახვა. ნაციონალური სულის თეორია რომ უსაფუძვლოა, ამაში ლაკომბი სავსებით მართალია.

მაგრამ ამდენადვე უსაფუძვლოა „საზოგადოდ ადამიანის“ ბუნების მის მიერ მოწონებული თეორიაც. ორში ერთი. ან ეს ბუნება უცვლელია, და მაშინ საზოგადოებრივი განვითარების საკითხების შესწავლის დროს მასზე დამყარება ისევე შეუძლებელია, როგორც შეუ-

---

[1]) იხ. Lettres d'Auguste Gonte á Joann Stuart Mill, Paris 1877, წერილი 1843. წლის 16 ივლისისა და იმავე წლის 15 ოქტომბრის თარიღით.

[2]) იხ. Cours de philosophie positive, ed. de 1869, l p. 8—9 da T. III p. 193, ადამიანის ბუნების შესახებ. იხ. აგრეთვე მისი თხზულების მე-4 ტომში, გვ. გვ. 384, 385, 387, და მისი კურსის მრავალ სხვა ადგილას.

ძლებელია საზოგადოდ **ცვალებადი** ოდენობის ცვლილების ახსნა **მუდმივი** ოდენობის თვისებებით; ან და ადამიანის ბუნება თვით იცვლება, და მაშინ სოციოლოგმა ის მიზეზები უნდა აღმოაჩინოს, რომლის მოქმედებაც მის შეცვლას იწვევს. რასაკვირველია, შეიძლება ამ შემთხვევაშიც ადამიანის ბუნება დავიმოწმოთ: მას ისეთი თვისება აქვს, რომ იგი უნდა შეიცვალოს, ვიტყვით ჩვენ. მაგრამ ეს ნიშნავს მოჯადოებულ წრეში ტრიალს და **ლიტონი სიტყვით** დაკმაყოფილებას მაშინ, როცა საჭიროა საკითხის **მეცნიერული გადაჭრა.** ასეთ მოჯადოებულ წრეში მოექცა ძლიერ ბევრი სოციოლოგი, მაგალითად, თუგინდ იგივე ოგიუსტ კონტი, ეს „მეტაფიზიკის" მტერი, რომელმაც „ადამიანის ბუნება" ნამდვილ მეტაფიზიკურ არსად (entité) გადააქცია. მაგრამ ეხლა ამ წრეში მეცნიერთა ძოქცევა საკვირველი იქნებოდა, რადგანაც ამ წრიდან გამოსავალი დიდი ხანია ნაპოვნია, და ნაპოვნია სწორედ თანამედროვე **დიალექტიკური მატერიალიზმის** საფუძველმდებელთა მიერ.

დიალექტიკოს-მატერიალისტები ამბობენ, რომ ისტორიული ადამიანის „თვისებები", მისი ჩვეულებები და მისწრაფებანი, მისი შეხედულებანი და იდეალები, მისი სიმპატია-ანტიპატია იცვლება საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობასთან ერთად, რომელიც განისაზღვრება არა ადამიანის ბუნებით, არამედ **მის გარეშე** მყოფი მიზეზებით. მონადირე ტომების საზოგადოებრივი ურთიერთობანი განსხვავდებიან მიწათმომქმედი ტომების საზოგადოებრივ ურთიერთობათაგან; იმ ხალხთა საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელნიც ეგრეთწოდებული **ნატურალური მეურნეობის** ბატონობის დროს მიწათმოქმედებას ეწევიან, განსხვავდება იმ ხალხთა საზოგადოებრივ ურთიერთობისაგან, რომელნიც **„კაპიტალიზმის სტადიაზე"** იმყოფებიან და სხვ. და სხვ.

ადამიანები წარმოების ერთი წესიდან მეორეზე იმიტომ კი არ გადადიან, რომ მათ სხვა „ბუნება" უჩნდებათ, არამედ იმიტომ, რომ იზრდება საზოგადოებრივი ადამიანის ბატონობა გარე ბუნებაზე, იცვლება მათი **საწარმოო ძალთა** მდგომარეობა. ამიტომ შეიძლება და უნდა ითქვას კიდეც, რომ კაცობრიობის ისტორიული მოძრაობა საბოლოოდ სწორედ საწარმოო ძალთა განვითარებით აიხსნება.

საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარებას პირველ ბიძგს თვით **ბუნება** აძლევს: მათი ზრდა დიდად არის დამოკიდებული **ფიზიკური გარემოს** თვისებებზე. მაგრამ ადამიანის დამოკიდებულება გეოგრაფიული გარემოსადმი არაა **უცვლელი;** რაც უფრო იზრდება მისი საწარმოო ძალები, მით უფრო სწრაფად იცვლება საზოგა-

დოებრივი ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან, იგი მით უფრო მალე **იმორჩილებს მას** (ბუნებას). მეორეს მხრით, რაც უფრო იზრდება საწარმოო ძალები, მათი შემდგომი განვითარება მით უფრო სწრაფად და უფრო ადვილად წარმოებს: საწარმოო ძალები თანამედროვე ინგლისში გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება, ვიდრე ისინი, მაგალითად, ძველ საბერძნეთში ვითარდებოდენ. მთელი საზოგადოებრივი განვითარება საბოლოოდ საწარმოო ძალთა განვითარების სწორედ ამ შინაგან ლოღიკას ემორჩილება. ეს იმ უბრალო მიზეზით ხდება, რომ ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც არ შეეფერება საწარმოო ძალთა განსაზღვრულ მდგომარეობას, აუცილებლად ისპობა: მაგალითად, მონობა მოისპო, როცა იგი საზოგადოების საწარმოო ძალთა შემბოჭველ მოვლენად იქცა, ე. ი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, როცა იგი არახელსაყრელი შეიქნა. თავის თავად ცხადია, რომ დრომოჭმული დაწესებულების და ურთიერთობის მოსპობა სრულიადაც არ ხდება თავის თათავად,—ეს აბსურდია, რასაც ხშირად დიალექტიკურ მატერიალისტებს მათი მოწინააღმდეგენი მიაწერენ. მუქთად ვერავინ ვერაფერს მიიღებს,—ეს ძველი ჭეშმარიტება კარგად იციან დიალექტიკოს-მატერიალისტებმა. პრაქტიკაში ისინი მას უფრო ახორციელებენ, ვიდრე ბევრად სათუთი სულის მქონე იდეალისტი, სუბიექტივისტი და სხვ. და სხვ. მაგრამ ეს სხვათა შორის. საქმე ის არის, რომ მეცნიერს, რომელმაც უარჰყო ადამიანის ბუნების თვალსაზრისი, ისევე არ შეუძლია ისტორიის ახსნა ფსიქოლოგიაში ეძიოს, როგორც **ბიოლოგიაში. ფსიქოლოგიური** თვალსაზრისი მხოლოდ **ადამიანის ბუნების** თვალსაზრისის ერთ-ერთი კერძო შემთხვევაა. რომ ადამიანის აზრი მის მოქმედებაზე გავლენას ახდენს, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ამაში დაეჭვება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თვით მოიკოჭლებს აზროვნებით. მაგრამ საკითხი იმაშია, თუ როგორ ჩნდება აზრი. ამ საკითხზე დიალექტიკოს-მატერიალისტები გაცილებით უფრო ნათელ პასუხს იძლევიან, ვიდრე იდეალისტები და ეკლექტიკოსები, რომელთაც დარჩენიათ მხოლოდ ადამიანის ბუნება დაიმოწმონ, ე. ი. არსებითად თანდაყოლილ იდეათა ის ძველი თეორია შეაკეთონ, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში სახე შეიცვალა იმ მხრით, რომ ამ დროიდან ადამიანს მიაწერდენ გონებრივი განვითარების თანდაყოლილ თვისებას, რის მიხედვით ადამიანის გონება თავისი განვითარების დროს გაიკლის სწორედ ასეთს და არა სხვა რომელსამე საფეხურს.

„ეკონომიურ“ მატერიალისტს ლაკომბს ამაზე ბუნდოვანი წარმოდგენაც-კი არა აქვს. ის სწორედ იმ თვალსაზრისზე დგას, რომელიც განდევნა მეცნიერებიდან ახალი დროის მატერიალიზმმა. მისი ეკონომიური მატერიალიზმი გვაგონებს საზოგადოებრივი განვითარების მატერიალისტურად ახსნის პირველ ცდებს, მაგალითად, ჰელვეციუსის ცდას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჰელვეციუსი გაცილებით უფრო ნიჭიერი იყო, და ამიტომ მისი თეზულებები ამჟამადაც უფრო საგულისხმოა, ვიდრე ლაკომბის წიგნაკი.

ყველა იმ ფილოსოფოსს, რომელნიც ადამიანის ბუნების თვალსაზრისზე იდგენ, ცხადია, ადამიანთა ურთიერთობის ისეთი იდეალური სისტემა უნდა ეძებნათ, რომელიც ამ ბუნებას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე. სხვა სიტყვით, ვერც ერთი მათგანი **უტოპისტურ** გზას ვერ ასცილდებოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ისინი ნოვატორები იყვენ. სრულიადაც არა. ბევრი მათგანი ჭეშმარიტი კონსერვატორი იყო, ზოგი-კი—ნამდვილი რეაქციონერი. მაგრამ არსებითად თითოეული მათგანი სწორედ ისე უყურებდა მისთვის სასურველ საზოგადოებრივ წყობილებას, როგორც ის ადამიანები თავიანთ იდეალს, რომელნიც ცნობილი არიან უტოპისტების par excellence სახელწოდებით. ყველა ისინი ყოველ საზოგადოებრივ წყობილებას განიხილავდენ იმ თვალსაზრისით, რომელიც მათ შემუშავებული ჰქონდათ ადამიანის ბუნებაზე. მოიგონოს მკითხველმა კონტის ზემოხსენებული მსჯელობა დედაკაცის დამორჩილებულ მდგომარეობაზე. ისეთი საზოგადოებრივი წყობილების გამონახვის ცდა, რომელიც ყველაზე უკეთ შეეფერება ადამიანის ბუნებას, ნიშნავს ისეთი წყობილების გამონახვის ცდას, რომლის იქით კაცობრიობას გზა არ ექნებოდა, რომლის დროსაც ადამიანებს, მართალია, შესაძლებლობა ექნებოდათ თავის ურთიერთობებში უმნიშვნელო შესწორება შეეტანათ, მაგრამ, თავისი ბუნებიდან გადახრის შიშით, ამ ურთიერთობათა არსებითი შეცვლა მათ არ შეეძლებოდათ. თითოეული **უტოპისტი**, ყოველ შემთხვევაში, an sich (პოტენციაში) საკმაო **კონსერვატორი** იყო, რასაც მშვენივრად ადასტურებს ამერიკის სოციალისტურ კოლონიათა ისტორია. წარმოუდგენელია დიალექტიკოს-მატერიალისტებს ასეთი კონსერვატიზმი ახასიათებდეს. მათი თეორიის მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობანი უნდა იცვლებოდეს საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად. აქვს თუ არა საზღვარი ამ ძალთა განვითარებას? არა. ამიტომ არც ისეთი იდეალური წყობილება არსებობს, რომლის იქით კაცობრიო-

ბას გზა არ ჰქონდეს. დიალექტიკოს-მატერიალისტები განუწყვეტელი წინსვლითი მოძრაობის მომხრენი არიან.

ისინი ერთად ერთი პროგრესისტები არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

როგორც ადამიანის ბუნების თვალსაზრისზე მდგომი, ლაკომბიც კონსერვატორი უტოპისტია.

მას სრულიად ვერ წარმოუდგენია ისეთი ეკონომიური ურთიერთობის არსებობა, რომელიც განსხვავდება თანამედროვე კაპიტალისტური ურთიერთობისაგან. მისი აზრით, კაპიტალისტური წყობილების დაღუპვა ცივილიზაციის დაღუპვას მოასწავებს. ამ შემთხვევაში ის მთლიანად იზიარებს ვულგარული ეკონომისტების ყველა ცრუმორწმუნეობას. და არა მარტო ამ შემთხვევაში. თავისი ეკონომიური შეხედულებებით ლაკომბი ამ პატივცემულ მეცნიერებს ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცილდა. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავეცნოთ იმას, რასაც ის ამბობს იმ გავლენაზე, რომელსაც ახდენს ხალხის სიმდიდრეზე მოსახლეობის გამრავლება (რუსული თარგმანის გვ. 325 და შემდ.). ცოტა იქნება ვთქვათ, რომ ლაკომბი ცდება. შეცთომაც არის და შეცთომაც. უნდა გამოვტყდეთ, რომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ საგანზე, რომლის შესახებაც მსჯელობა დაუწყია. აქ ლაკომბი უსუსურია, როგორც ახლათშობილი ბავშვი, თუმცა ზოგჯერ აქაც ვხვდებით საღი შეხედულების ჩანასახებს. „არის ორგვარი სიღარიბე",—ამბობს იგი (გვ. 327). ეს სრული ჭეშმარიტებაა: ველურის სიღარიბე სრულიად სხვაა, ვიდრე თანამედროვე პროლეტარის; მას სულ სხვა მიზეზი იწვევს. მაგრამ ლაკომბი ამ საღ აზრს მყისვე აქარწყლებს თავისი გულუბრყვილო მსჯელობით **მოსახლეობის სიჭარბეზე**. „ველურები ღარიბი არიან, მიუხედავად მცარერიცხოვანებისა, ამბობს იგი,—იმიტომ, რომ მათ არა აქვთ დოვლათის შემქმნელი იარაღები; მონაწილეთა რიცხვი ცოტაა, მაგრამ გასანაწილებელი არაფერია. ძველ განათლებულ ხალხს შესანიშნავი საწარმოო იარაღები და მრავალი პროდუქტი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ამ პროდუქტის მონაწილეც მრავალია (გვ. 330). თითქოს აქედან წარმოსდგებოდეს განათლებულ ხალხთა სიღარიბე. შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს „ძველ განათლებულ ხალხთ" ისეთი დაწესებულებები ჰქონდეთ, რომელიც მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებას აღრიცხავდეს, საზოგადოებრივ წარმოებას ამ მოთხოვნილებათა შესაბამად აწესრიგებდეს და შემდეგ მიღებულ პროდუქტებს ისევ ამ მოთხოვნილებათა მიხედვით ანაწილებდეს. სინამდვილეში ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო და, მიუხედავად წარმოების ასეთი

ორგანიზაციისა, ძველი „განათლებული ხალხნი“ მაინც ღარიბნი ყოფილიყვენ, მაშინ სრული უფლება გვექნებოდა ეს მოვლენა აგვეხსნა იმით, რომ „განაწილება ხდება ძალიან ბევრ პირთა შორის“. შეუძლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ „არსებობს ორგვარი სიღარიბე“. როგორც განათლებულ ხალხთა, ისე ველურების სიღარიბეც იქნებოდა იმის შედეგი, რომ ისინი ვერ ამზადებენ პროდუქტების საჭირო რაოდენობას. ნამდვილად-კი, თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ღარიბთა მოთხოვნილება მხოლოდ იმდენად ახდენს გავლენას წარმოებაზე, რამდენადაც ღარიბთ შესაძლებლობა აქვთ მათთვის საჭირო პრორდუქტები **იყიდონ**: ვისაც არაფერი გააჩნია, იმას მხოლოდ ის „უნაწილებს“, ვინც მისთვის **მოწყალებას** გაიღებს, მაგრამ, ცხადია, რომ ჩვენს ავტორს ასეთი განაწილება არა აქვს მხედველობაში.

შემდეგ. რამდენად არის მოსახლეობის დაბალი კლასი კაპიტალისტურ ქვეყნებში „ნამდვილი“, ე. ი. **გადახდის უნარის მქონე მოთხოვნის** წარმომადგენელი? იმდენად, რამდენადაც ის ახერხებს თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტებს მიჰყიდოს: თუ სამუშაო მოიპოვება, არის არსებობის რაღაც, მართალია, მეტად მცირე საშუალებაც, თუ სამუშაო დაჰკარგე—ღვთის ანაბარა ხდები. მაგრამ რა მიზნით ჰყიდულობს კაპიტალისტი პროლეტარის სამუშაო ძალას? რათა მისი ნაყოფიერი გამოყენების გზით მოგება მიიღოს. თუ კაპიტალისტს მოგების მიღების იმედი არა აქვს, მაშინ იგი არ „იმუშავებს“, რა გინდ დიდი უნდა იყოს, **თავის თავად**, საზოგადოების საწარმოო ძალები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივ წარმოებას საზღვარს უდებს სწორედ **კაპიტალის მომგებიანი გამოყენების** შესაძლებლობა და არა საწარმოო ძალთა აბსოლუტური სიდიდე. აი რატომ არის, რომ ამ საზოგადოებაში სიღარიბე არაა დამოკიდებული იმ მიზეზებზე, რომელიც მას კულტურული განვითარების პირველ საფეხურებზე იწვევს: ველურის სიღარიბის საფუძველია მისი ურთიერთობა ბუნებასთან, ბუნებაზე მისი გაბატონების უმნიშვნელო ხარისხი; პროლეტარის სიღარიბეს-კი საზოგადოებრივი ურთიერთობანი ჰქმნიან. ვისაც ეს არ ესმის, უმჯობესია მან სრულიად თავი დაანებოს განათლებულ საზოგადოებათა ეკონომიაზე მსჯელობას. იგი იმის შესახებ ძველი სისულელის მეტს ვერაფერს იტყვის.

წიგნიდან „Социологические основы истории“ ჩვენ შეგვეძლო კიდევ რამდენიმე მაგალითი მოგვეყვანა იმის ნათელსაყოფად, რომ ამ წიგნის ავტორი სრულიად არაა კომპეტენტური ეკონომიურ

დარგში. მაგრამ ეს საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან ამას მოყვანილი მაგალითიც საკმაოდ ცხადჰყოფს. ჩვენ მხოლოდ შევეკითხებით მკითხველს: ისეთ ეკონომიურ მატერიალისტს, რომელსაც ეკონომიის სრულიად არაფერი გაეგება, განა შეუძლია კაცობრიობის ისტორიული განვითარების საკითხებზე ბევრი ნამდვილად საგულისხმო რამ თქვას?

თუ საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების კანონები ადამიანის ბუნებაში მარხია, მაშინ კაცობრიობა ისევე ვერ განთავისუფლდება მისი ბატონობიდან, როგორც ვერ გადაახტება თავის თავს.

მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან ამ კანონების არსებობა, მაინც იძულებულია თავისი განვითარების დროს მას დაემორჩილოს.

ჩვეულებრივად, სწორედ ასე ესმოდათ ისტორიის ფილოსოფოსებს საზოგადოებრივი განვითარების ის კანონები, რომელსაც ისინი გამოთქვამდენ. სენ-სიმონი სამი ფაზისის თავის კანონს ადარებს განგებას, რომლის წინააღმდეგ ადამიანის ნება ვერაფერს გახდება.

სულ სხვაგვარად უყურებენ დიალექტიკოს-მატერიალისტები იმ კანონებს, რომელიც მათ მხედველობაში აქვთ. მათი აზრით, ეს კანონები მარხია არა ადამიანის ბუნებაში, არამედ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნებაში, როძელიც მყარდება საწარმოო ძალთა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ამდენხანს ადამიანთა ეს ურთიერთობა მათ მიერ სრულიად შეუგნებლად მყარდებოდა; იგი წარმოადგენდა **აუცილებლობის**, და არა ადამიანის **თავისუფალი**, ე. ი. **გონივრული, მიზანშეწონილი** მოქმედების შედეგს. მაგრამ საკმარისია ადამიანმა გაიგოს ის მიზეზი, ორმლის გამო იგი დამოკიდებული ხდება თავის საკუთარ საწარმოო ძალებზე, რათა მან იგი თავის ნებას, თავის გონებას დაუმორჩილოს. აქაც იგივე მოხდება, რასაც ადგილი აქვს ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების დროს. სანამ ადამიანი არ იცნობს ბუნების ძალებს, ის მათ ბრმად მორჩილებს, ხოლო როცა იგი ამ ძალებს გაიცნობს, მაშინ ის იმორჩილებს მათ.

რასაკვირველია, ადვილი საქმე არაა გაიგო მიზეზი ადამიანის დამორჩილებისა თავისი საკუთარი საწარმოო ძალებისადმი. ეს მეტად ძნელი ამოცანაა.

მაგრამ მნიშვნელოვანი უკვე ის არის, რომ დღეს მისი გადაჭრა სავსებით შესაძლებელია, და არა მარტო **შესაძლებელი**, არამედ პირდაპირ **აუცილებელიც**. ავიღოთ, მაგალითად, **კრიზისები**. კრიზისებში, იქნებ, ყველაზე უფრო ცხადად, ვიდრე სხვა რასმეში, თავს იჩენს ადამიანის დამოკიდებულება ეკონომიურ ურ-

თიერთობათა ბრძა ძალაზე. მაგრამ რაც უფრო ძლიერდება ეს დამოკიდებულება, მით უფრო აშკარავდება მისი თანამედროვე მიზეზი: **წარმოების მოუწესრიგებლობა.** ადამიანები ამას ხედავენ და იწყებენ მასთან ბრძოლას. ზოგი მის დაძლევას ძველ ურთიერთობათა საფუძველზე ცდილობს: „სარეწავი სინდიკატები". ზოგი უფრო შორს მიდის, საქმის შინაარსს უფრო ღრმად წვდება: ისინი ცდილობენ ამ ძველ ურთიერთობათა მოსპობას, რომ ამ გზით ეკონომია სავსებით დაუმორჩილონ ადამიანის შეგნებულ ნებას. ამრიგად, ეს ბრძოლა, ბრძოლა სინათლისა სიბნელესთან, გონებისა აუცილებლობასთან უკვე წარმოებს, და -რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია—არ შეიძლება არ წარმ..ბდეს; რომ ეხლა ადამიანებს განეზრახათ კიდეც მასზე ხელის აღება, ამის ნებას არ მისცემდა თვით ეკონომიური აუცილებლობა: მისი უძლეველი მოქმედება მალე გამოაფხიზლებდა თანამედროვე განათლებული ქვეყნების მოსახლეობას. როგორც ვხედავთ, ადამიანის მორჩილება სოციალური კანონებისადმი, რომლის შესახებაც დიალექტიკოს-მატერიალისტები ლაპარაკობენ, არსებითად განსხვავდება იმ მორჩილებისგან, რომლის შესახებაც ლაპარაკობდენ ადამიანის ბუნების თვალსაზრისზე მდგომი მოაზროვნენი. შეიძლება ითქვას, რომ ერთნი იწყებდენ სადღეგრძელოთი და ათავებდენ სულის მოსახსენებლით, ხოლო მეორენი-კი იწყებენ სულის მოსახსენებლით და ათავებენ სადღეგრძელოთი. ერთნი იწყებენ თავისუფლებით და ათავებენ აუცილებლობით, ხოლო მეორენი იწყებენ აუცილებლობით და მიდიან თავისუფლებამდე. ამ უკანასკნელთა მოძღვრება და მხოლოდ მათი მოძღვრება, ე. ი. მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი არ შეიცავს ფანატიზმის არც ერთს ატომს.

ლაკომბს წარმოდგენა არა აქვს უნაკლო დიალექტიკურ მატერიალიზმზე და ამის გამო ვერც-კი ამჩნევს, რომ შესაძლებელია ადამიანის გონების გამარჯვება ეკონომიური აუცილებლობის ბრძა ძალაზე. მისი „ეკონომიური" მატერიალიზმი, როგორც უკვე ვიცით, ამოი წ ურება იმ მოსაზრებით, რომ კაცობრიობის ეკონომიური მოთხოვნილებანი უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერია, ვიდრე მისი სხვა მოთხოვნილებანი. მაგრამ რაგინდ მართალი უნდა იყოს ეს შეხედულება, იგი მაინც სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები სამუდამოდ თავისი საზოგადოებრივი ეკონომიის მონები უნდა დარჩენ. საზოგადოებრივი წარმოების გონივრული, გეგმაშეწონილი ორგანიზაცია ისე უზრუნველჰყოფს ადამიანის „სხეულის მოთხოვნილებათა" დაკმაყოფილებას, როგორც **ყოველ** საზოგადოებრივი ურთიერთობის

დროს თვით ბუნების მიერ არის უზრუნველყოფილი „სუნთქვის მოთხოვნილება“. ამიტომ მაშინ ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებაში სხეულის მოთხოვნილებანი დაკარგავენ იმ მნიშვნელობას, რომელიც მათ ეხლა აქვთ, როცა მათი დაკმაყოფილება დამოკიდებულია უბრალო შემთხვევაზე. მაგრამ ეს ლაკომბს აზრადაც არ მოსდის. მას ჰგონია, თითქოს განათლებული კაცობრიობის სხეულებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემის გარეშე. ამიტომ ადამიანის ის ბუნება, რომელიც ლაკომბს აქვს მხედველობაში, ნამდვილად სხვა არა არის რა, თუ არა **კაპიტალისტური წესის ბუნება**. და რადგანაც ეს ბუნება მეტად ულამაზოა, ამიტომ არც ლაკომბის „საზოგადოდ ადამიანია“ მიმზიდველი. ლაკომბის „ეკონომიური“ მატერიალიზმი **ადამიანთა გვარის** მიმართ ერთგვარი პასკვილია. საბედნიეროდ, **ეს** მატერიალიზმი ჩვენი ავტორის გაუგებრობის, მისი მეცნიერული ჩამორჩენილობის უბრალო ნაყოფია.

ლაკომბის წიგნში არის რამდენიმე ფურცელი, რომელმაც უთუოდ რუსი მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ეს ის ადგილია, სადაც ლაპარაკია **„პიროვნების“ როლზე ისტორიაში**. ლაკომბის აზრით, ეს როლი მეტად დიდია. ის არ ეთანხმება იმ მოაზროვნეებს, რომლებიც ყველაფერს ზოგადი მიზეზების მოქმედებით ხსნიან. „დააყენეთ ფრიდრიხი იენასთან დამარცხებულ პრუსიელთა მეთაურად,—ამბობს იგი,—და წაართვით ფრანგებს ნაპოლეონი, როგორ გგონიათ, მოვლენათა მსვლელობა ამით არ შეიცვლებოდა? ყოველ შემთხვევაში, არც ერთი სამხედრო პირი ამას არ იტყვის“ (გვ. 22). ცდება ის, ვინც ამბობს, დიდი ადამიანი თავის დროის მისწრაფებათა მხოლოდ გამომხატველიაო. ბევრი ისტორიული სიახლის შემომტანი იყვენ დიდი ადამიანები ისეთ პირობებში, როცა მათ სრულიად არავინ თანაუგრძნობდა. „მაჰმედს მის გარშემო მყოფნი პირველად მტრულად შეხვდენ, მაგრამ ბოლოს მან მაინც შესძლო საღვთო ომში ჩაეთრია სწორედ ის ხალხი, რომელიც პირველად მას სრულიად არ ემხრობოდა“ (გვ. 24—25). „ბრბო, ან წრე, რაც ერთი და იგივეა, განაგრძობს ლაკომბი, ისტორიაში დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრს ვიცავთ, რომ ბრბოს სათავეში მდგომი და მისი საქმიანობის ხელმძღვანელი ისტორიული პიროვნებაც თავისი პირადი უარყოფითი ან დადებითი თვისებებით, თავისი დიდი ან მცირე ნიჭით, გავლენას ახდენს მოვლენათა მსვლელობაზე და რომ ეს გავლენა ხშირად თავს აჩენს საბოლოო შედეგებშიაც“ (გვ. 22).

პიროვნებას ისტორიაში შემთხვევითობის ელემენტი შეაქვს. ეს ძლიერ მოეწონებათ იმ ჩვენ დიდს, საშუალო და პატარა „პიროვნებებს“, რომელთაც აშფოთებს იმის გახსენებაც-კი, რომ შესაძლებელია ისინი ისტორიული მოძრაობის უბრალო იარაღი გახდენ. ასეთი „პიროვნებები“ უარს არ ამბობენ ისტორიას ემსახურონ, მაგრამ მათ სურთ, რათა ისტორია—თავისი ფილოსოფოსების სახით—გრძნობდეს, რომ ისინი მას ემსახურებიან თავისი კეთილი ნებით, და იცოდეს, რომ მათ გარეშე მისი საქმე ზოგჯერ ძლიერ ცუდად წავიდოდა. სწორედ ეს „პიროვნებები, რომლებიც ისტორიისაგან თუ არა ერთგულებას, ყოველ შემთხვევაში, პატივისცემას მაინც მოითხოვენ, ლაკომბს მყისვე დაეთანხმებიან, ხოლო მას, ვინც მათ მსგავსად „არ აზროვნებს“, უსაყვედურებენ: „აი, ხომ ხედავთ, ისიც ეკონომიური მატერიალისტია, მაგრამ იგი მაინც ნაკლებ ცოდვილია“-ო. მაგრამ ლაკომბი აქ, როგორც სხვა შემთხვევაშიაც, არაა საიმედო დასაყრდნობი. მისი საბუთები სრულიად არაა დამარწმუნებელი და მხოლოდ იმას მოწმობს, რომ იგი—რომელიც არც ისე უპკუო კაცია—მოკლებულია „ფილოსოფიური აზროვნების“ ყოველგვარ „უნარს“.

ადვილი შესაძლებელია იენასთან ბრძოლას სხვა შედეგი მოჰყოლოდა, ფრანგებს მეთაურად ნაპოლეონი რომ არ ჰყოლოდათ. მაგრამ კიდევ უფრო შესაძლებელია, რომ ის დამთავრებულიყო არა ისე, როგორც დამთავრდა, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ფრანგი ჯარისკაცი ლიუდოვიკო XV-ის დროის ფრანგ ჯარისკაცზე უკეთესი არ ყოფილიყო; ეს, ერთის მხრით, თითქოს ამტკიცებს, რომ მთელი საქმე „პიროვნებებია“ (რომელთაგანაც, მაგალითად, არმია შესდგება),—მაგრამ, მეორეს მხრით, მას პირდაპირი გზით მივყევართ ძველ კითხვასთან იმის შესახებ, თუ ერთი ეპოქის „პიროვნებანი“ რატომ განსხვავდებიან მეორე ეპოქის „პიროვნებათაგან“. ხოლო ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზის გარეშე, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას ახასიათებს [1]).

---

[1]) თავისთავად ცხადია, რომ, მაგალითად, იენასთან ბრძოლის დროს ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს როლი განსხვავდებოდა სხვა რომელიმე უბრალო ფრანგი ჯარის კაცის როლისგან. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? ადამიანის ორგანიზმში ტვინის ფუნქცია არ წააგავს ქვედა კიდურის თითების ფუნქციას. იგი უეჭველად უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ტვინის ფუნქცია ფიზიოლოგიის საერთო კანონებით არ აიხსნება.

ისიც მართალია, რომ ბევრი სიახლის შემოტანა დიდმა ისტორიულმა მოღვაწეებმა დაიწყეს „ისეთ პირობებში, როცა მათი გარემომცველი წრე ამის წინააღმდეგი იყო". მაგრამ ეს საბუთი უხერხულ მდგომარეობაში მხოლოდ იდეალისტებს თუ ჩააყენებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ლაკომბიც, მიუხედავად მისი „ეკონომიური მატერიალიზმისა". თუ ისტორიას ფსიქოლოგია ხსნის, მაშინ ცხადია, რომ დიდმა ისტორიულმა მოღვაწეებმა, რომლებიც თავის წრეზე მაღლა იდგენ, ისტორიაში რაღაც თავისი, რაღაც ისეთი შეიტანეს, რაც ამ წრეს არ გააჩნდა. მაგრამ, დიალექტიკოს-მატერიალისტების თვალსაზრისით, ეს ასე არაა. საზოგადოებრივი წრის თვისებები, პირველ ყოვლისა, მათ ესმით როგორც იმ **საზოგადოებრივ ურთიერთობათა** თვისებები, რომელშიაც ადამიანები იმყოფებიან საწარმოო ძალთა განვითარების ყოველ განსაზღვრულ საფეხურზე. წრის ფსიქოლოგია ჩნდება მხოლოდ ამის შემდეგ და როგორც აღნიშნულ ურთიერთობათა რეზულტატი. მაგრამ ამ შემთხვევაში დიდ ისტორიულ მოღვაწეთა მოქმედებაში არაფერი რჩება ისეთი, რის ახსნაც შეუძლებელი იყოს საზოგადოებრივი გარემოს თვისებებით: დიდი ადამიანი მხოლოდ უფრო ნათლად და უკეთ ასახავს ამ თვისებებს თავის გონებაში, და სწორედ ამიტომ შეუძლია მას დროებით დაუპირდაპირდეს „ბრბოს", რომელიც, ამავე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზეგავლენით, თანდათან „გმირის" მხარეზე გადადის. „Система приобретенных прав"-ის ავტორს უკეთ ესმოდა გერმანელი მუშების მდგომარეობა, ვიდრე თვით მუშებს. ამიტომ ისინი „Система приобретенных прав"-ის ავტორს ზოგჯერ სტვენითაც-კი უმასპინძლდებოდენ. მაგრამ გარემოს პირობებმა—გერმანიის ეკონომიურმა ურთიერთობამ—მალე დაარწმუნა გერმანელი მუშების მოწინავე ნაწილი იმაში, რომ მართალი იყო ის კაცი, რომლის გაბედულმა შეხედულებამ პირველად მისი გაოცება გამოიწვია. ეს არის და ეს. **და ეს „საბოლოო შედეგები"** არაფერს ისეთს არ წარმოადგენს, რისი ანალიზიც შეუძლებელი იყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ლოლიკის თვალსაზრისით.

ვინც დიდ ადამიანთა ისტორიულ მოღვაწეობასა და სოციალური კანონების მოქმედებას ერთი-მეორეს უპირდაპირებს, ის შჩედრინის იმ გმირს წააგავს. (მიუხედავად იმისა, რომ ამ **დაპირდაპირებამ** შესაძლოა როგორც ლაკომბის ხელში, მის ხელშიაც **გამოკლების** სახე მიიღოს), რომელმაც თავის თავს ასეთი დილემა დაუყენა: **„ან კანონი, ან მე"**, და რომელიც მოითხოვდა ამ დილემის გადაჭრას პირდაპირ.

და ჩვენ მაინც ვურჩევთ მკითხველს ყურადღებით წაიკითხოს „ისტორიის სოციოლოგიური საფუძვლები“. მისი ავტორი მეტად ჩამორჩენილი ადამიანია, მაგრამ უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენ. ლაკომბი მაინც უფრო გონივრულად უყურებს მოვლენებს, ვიდრე რუსეთის ბევრი „სოციოლოგი“.

შენიშვნები*).

1. მიხაილოვსკი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე—ცნობილი რუსი პუბლიცისტი და კრიტიკოსი (1842—1904). მთელი რიგი კრიტიკული წერილებისა და სოციოლოგიური ნარკვევების ავტორი, რომლებმაც შესამჩნევი კვალი დასტოვეს რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

მესამოცდაათე წლების მოღვაწეთა თაობის იდეური მეთაური, მიხაილოვსკი დარჩა ნაროდნიკული ტრადიციების ერთ-ერთი თავგამოდებული დამცველი მეოთხმოცე წლების საშინელი რეაქციის ეპოქაში, როცა ინტელიგენციის მერყეევი და იდეას მოკლებული ნაწილი „უარჰყოფდა შემკვიდრეობას“.

როგორც სოციოლოგი, მიხაილოვსკი გამოდიოდა ეგრეთწოდებული „სუბიექტური მეთოდის“ დამცველად. მეოთხმოცდაათე წლებში ისტორიული მატერიალიზმის გარშემო გამართულ დისკუსიაში მიხაილოვსკი მეთაურობდა ანტიმარქსისტულ იერიშს. მოხდენილად დაწერილი და მისი დამწერის ავტორიტეტით მოსილი, მიხაილოვსკის სტატიები, რომელიც მიმართული იყო მარქსის „რუსი მოწაფეების“ წინააღმდეგ, წარმოადგენდა ერთგვარ მუქარას რუსული მარქსიზმისთვის.

პირველ ყოვლისა სწორედ მისკენ მიმართა პლეხანოვმა თავისი ბასრი კრიტიკა, რომელმაც საბოლოოდ წესი აუგო მიხაილოვსკის თვალსაზრისს და ოსტატურად ნათელჰყო მისი ობიექტურად რეაქციონური ხასიათი.

2. ლ. ბიუხნერი და იაკ. მოლეშოტი—წარმომადგენლები ეგრეთწოდებული საბუნებისმეტყველო მატერიალიზმისა, რომელმაც ფეხი მოიკიდა გერმანიაში XIX საუკუნის მეორმოცდაათე წლებში. ბიუხნერისა და მოლეშოტის მატერიალიზმი ხასიათდება მეტის-მეტი სიმარტივით, ოამაც თავის დროზე დიალექტიკური მატერიალიზმის ავტორები აიძულა გადაჭრით და არაერთხელ გამიჯნულიყვენ იმისგან. „ხალხმა, რომელმაც მეორმოცდაათე წლებში გერმანიაში იაფი მატერიალიზმის გამავრცელებლის როლი იკისრა, ერთი ნაბიჯითაც ვერ გაუსწრო თავის მასწავლებლებსო,— სწერდა ენგელსი „ლიუდვიგ ფოიერბახ“-ში. იდეალიზმს, რომელიც იმ დროისთვის სრულიად გამოიფიტა და რომელიც 1848 წლის რევოლიუციამ სასიკვდილოდ დაჰკოდა, ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება ანუგეშებდა, რომ მატერიალიზმი მასზე უფრო დაძაბუნდა. ფოიერბახი სავსებით მართალი იყო როცა თავიდან იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ მატერიალიზმისთვის. მხოლოდ კარგი კი იქნებოდა, რომ მას ერთი-მეორეში არ აერია მატერიალიზმის მაშინდელ მოხეტიალე მქადაგებელთა მოძღვრება და მატერიალიზმი საზოგადოდ“...

3. „ყოველის, განსაკუთრებით-კი უახლესი ფილოსოფიის უდიდეს საკითხს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რა დაჰოკიდებულებაშია აზროვნება არსთან,“—ამბობს ენგელსი „ლიუდვიგ ფოიერბახ“-ში.

---

*) ეს შენიშვნები წარმოადგენს იმ ახსნა-განმარტებათა ნაწილის თარგმანს, რომელიც ს. ი. ვოლფსონმა დაურთო 1923 ჭ. მისი რედაქციით გამოცემულს გ. პლეხანოვის წინამდებარე ნაწარმოებს.

„ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად გაიყვენ, იმის მიხედვით, თუ როგორ უპასუხებდენ ამ კითხვას. ისინი, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ სული ბუნებაზე ადრე არსებობდა და, მაშასადამე, რომელნიც ასე თუ ისე ქვეყნის შექმნას აღიარებდენ... იდეალიზმის ბანაკში მოექცენ. ხოლო ისინი, რომელნიც ძირითად დასაწყისად ბუნებას სცნობდენ, მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლება მიემხრენ“.

4. ბ ერ კ ლ ი ი ჯ ო რ ჯ ი (1695—1753)—ინგლისელი ეფისკოპოზი და ფილოსოფოსი. პირდაპირი და ბოლომდე თანმიმდევარი იდეალისტი. ბერკლეის თხზულებებში („Трактат об основах человеческого познания“) იდეალისტური მსოფლმხედველობა წარმოდგენილია ცხადად და გარკვეულად, რასაც ადგილი არა აქვს უფრო უგვიანესი ეპოქების იდეალისტთა თხზულებებში. ბერკლეიზმი აბსოლიუტური იდეალიზმის მონისტური სისტემაა.

თავის თხზულებებში ბერკლეი თავს ესხმის მატერიალისტ ფილოსოფოსებს ეპიკურისაგან დაწყებული ჰობესამდე და „აძევებს მატერიას ქვეყნისგან“. ბერკლეისათვის ნივთი იმდენად არსებობს, რამდენადაც ჩვენ მას აღვიქმთ (არსებობა ნიშნავს აღქმაში არსებობას, წარმოდგენაში ყოფნას). ჩვენი წარმოდგენანი იქმნებიან სულით, მოაზროვნე მე-თი. არსი ბერკლეისათვის ცნობიერების მდგომარეობაა „ყოველივე, რაც არსებობს, არსებობს სულის ფარგალში, ე. ი. იგი მხოლოდ წარმოდგენაა“.

ბერკლეი ბოლომდე მონისტია, იგი უკუაგდებს მატერიას და აცხადებს, რომ ერთად-ერთი, რაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ვიცით, ეს—იდეაა; იდეის სათავე კი არის ღმერთი, მსოფლიოს შემომქმედიო. ასე მიჰყავს მას თავისი სისტემა აბსოლუტური, უკიდურესი იდეალიზმის ლოღიკურ ბოლომდე.

ნ. ჰ ო ლ ბ ა ხ ი პ ო ლ-ჰ ე ნ რ ი ხ-დ ი ტ რ ი ხ ი (1723—1789)—მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. წინა რევოლიუციონური ეპოქის ყველაზე უფრო უდიდესი ფილოსოფიური ნაწარმოების: „Systeme de la Noture“-ის ავტორი.

ჰოლბახი მოუხმობს კაცობრიობას განთავისუფლდეს რელიგიისგან და მიმართოს ბუნებას. ბუნება დიადი მთლიანობაა, რომლის ნაწილაკს წარმოადგენს ადამიანიც. ბუნებაში ყველაფერი მკაცრი შინაგანი კანონზომიერების პრინციპის მიხედვით ხდება. თუ-კი ჩვენ ზოგჯერ არ ძალგვიძს გავიგოთ ბუნების მოვლენათა პროცესების მიზეზობრივი კავშირი,—ეს ნებას არ გვაძლევს მივმართოთ ზებუნებრივ მიზეზებს. შეუძლებელია ფიქციებით შეცვლა იმ მიზეზებისა, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია.

ადამიანი სავსებით დამორჩილებულია მატერიალური ქვეყნის კანონებისადმი. მისი ზნეობრივი სახე ფიზიკური ყოფის მხოლოდ განსაზღვრული მხარეა. საბოლოოდ ჩვენი ზნეობა დამოკიდებულია გარე სამყაროსგან შთაბეჭდილების მიღების ჩვენს უნარზე.

ჰოლბახი უშიშრად ანვითარებდა თავის მატერიალისტურ შეხედულებებს და თავისი ათეიზმის ქადაგით გადასცილდა იმ ხაზს, რომელთანაც მხდალად ჩერდებოდენ მისი წინამორბედი ფილოსოფოსები. ის მოუწოდებდა ათეიზმი გადაექციათ საყოველთაო კუთვნილებად და აღმოეფხვრათ ცრუმორწმუნეობისა და რელიგიის საშინელი გესლი.

საზოგადოებრივი ცხოვრება მიმდინარეობს მკაცრი კანონზომიერების იმ პრინციპის მიხედვით, რომელსაც ყველაფერი ემორჩილება ბუნებაშიც. მაგრამ საზოგადოებრივ პროცესზე ისტორიულ თვალსაზრისს მოკლებული ჰოლბახი სოცია-

ლური ცხოვრების ახსნის დროს მოიქცა საბედისწერო წინააღმდეგობათა რკალში, როცა მის წინ წამოიჭრა საკითხი „პიროვნებისა“ და „გარემოს“ ურთიერთობის შესახებ. ამ თავდაუღწეველ წინააღმდეგობათა ხასიათი საბოლოოდ ნათელყოფილია გ. ვ. პლეხანოვის მიერ წინამდებარე თხზულებაში და აგრეთვე მის „მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევებში“.

6. ჰ ე ლ ვ ე ც ი უ ს ი კ ლ ო დ-ა დ რ ი ა ნ ი (1715—1771)—ჰოლბახთან ერთად XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი. ჰელვეციუსის მთავარი ნაწარმოებია წიგნი: „სულზე“, რომლის გამოქვეყნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის წინარეევოლიუციურ საზოგადოებრივ აზრზე.

ჰელვეციუსისათვის ისე, როგორც ჰოლბახისათვის ადამიანი ცხოველთა სამეფოს ერთ-ერთი წარმომადგენელია. ინტელექტუალური უნარი ჩვენი ფიზიკური ორგანიზაციის შედეგია.

განსაკუთრებული გამბედავობით მიუდგა ჰელვეციუსი ზნეობის წარმოშობის საკითხს და ეთიური პრობლემის განხილვის ამოსავალ წერტილად ამოირჩია დებულება: „ყველა ჩვენს მსჯელობას ინტერესი ხელმძღვანელობს“. ადამიანი მოქმედებს არა მარტო პ ი რ ა დ ი ს, არამედ იმ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ი ს ინტერესების განსახორციელებლადაც, რ ომელსაც თვით ეკუთვნის,—ინტერესების, რომელიც მისაზე ა გადანასკვული. აბსოლუტური სათნოება არ არსებობს. სიკეთესა და ბოროტებაზე წარმოდგენა იცვლება ხალხისა და ეპოქის მიხედვით. ჰელვეციუსი ინტერესს აცხადებს ჩვენ მოქმედებათა ძირითად მამოძრავებელ ძალად და ამავე დროს ადამიანს განიხილავს რ ოგორც გარემომცველი წრის პროდუქტს და მიმართავს „საზოგადოებრივ შეხედულებას“, როგორც ამ წრის მთავარ მამოძრავებელს.

ამრიგად, ჰოლბახის მსგავსად, ჰელვეციუსმაც ლ ი ტ ი კ ურ წინააღმდეგობათა მოჯადოებულ წრეში ამოჰყო თავი. წინამდებარე წიგნის პირველ თავში და აგრეთვე „მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევებში“ გ. ვ. პლეხანოვმა ამხილა ამ წინააღმდეგობათა წარმოშობა და ბუნება, რომელნიც ფრანგი მატერიალისტების მეტაფიზიკური თვალსაზრისით იყო გამოწვეული.

7. დ ე კ ა რ ტ ი რ ე ნ ე—K a r t e s i u s—(1596—1650)—უდიდესი ფრანგი მოაზროვნე და უახლესი ფილოსოფიის ერთ-ერთი საფუძველმდებელი.

დეკარტს ეკუთვნის შესანიშნავი დებულება: ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ,—ჩვენი აზროვნების აღიარება უეჭველ და უტყუარ ფაქტად, რომლის საფუძველზე შეიძლება ჩვენი არსებობის შესახებაც დავასკვნათ.

თავის ფილოსოფიურ ნაშრომებში დეკარტმა გაშალა ფართო მექანიკური სურათი ქვეყნისა, მკვდარი და ცოცხალი ბუნებისა. ცხოველი ისე, როგორც ყველაფერი ბუნებაში, მექანიკურ პრინციპს ემორჩილება, ის მანქანას წარმოადგენს. მხოლოდ ღვთაებრივი, თავისუფალი სულით დაჯილდოვებული ადამიანი ჰქმნის სიკეთესა და ბოროტებას, თავისუფალია ამ ყოელის მამოძრავებელი მექანიკური საწყისისადმი დამორჩილებისაგან.

თავის ცნობილ ნარკვევში XVIII საუკუნის მატერიალისტების შესახებ მარქსი ამბობს დეკარტზე:

— თავის ფიზიკაში დეკარტი აწერს მატერიას შემოქმედებითს ძალას და განიხილავს მექანიკურ მოძრაობას, როგორც მისი სიცოცხლის გამოვლენას. ის სავსებით გამოჰყოფს თავის ფ ი ზ ი კ ას მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ი ს გ ან. მისი ფიზიკის ფარგალში მატერია წარმოადგენს ერთად-ერთ სუბსტანციას, არსისა და შემეცნების ერთად-ერთ საფუძველს. ფრანგულმა მექანიკურმა მატერიალიზმმა დეკარ-

ტეს ფიზიკას მიემხრო მის მეტაფიზიკასთან საწინააღმდეგოდ... კარტეზიული მატერიალიზმი ჯერ კიდევ ცოცხლობს საფრანგეთში. მისი დიდი მიღწევები მექანიკური ბუნებისმეტყველების მიღწევები იყო.

8. ჯ ო ნ ლ ო კ ი (1632—1704)—ინგლისელი ფილოსოფოსი, ახალი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნე.

ლოკის მთავარი დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა ფილოსოფიის აღორძინებისას განავითარა შემეცნების თეორიის საკითხები. თავის თხზულებებში, უმთავრესად „Опыт о человеческом познании"-ში, ლოკმა ყოველმხრივ გააკრიტიკა თანდაყოლილ იდეათა თეორია.

დებულებას, რომ იდეები თანდაყოლილია, ლოკმა დაუპირისპირა დიამეტრულად საწინააღმდეგო დებულება: არავითარი თანდაყოლილი იდეა არ არსებობს. ყველა იდეას ადამიანი თანდათან იძენს. დაბადებიდანვე დაყოლილი ჭეშმარიტება არ არსებობს. თავდაპირველად სული წარმოადგენს სუფთა დაფას (tabula rasa), რომელსაც ცხოვრება ავსებს გარკვეული შინაარსით. სული ყველა თავის წარმოდგენას ცდის საშუალებით ღებულობს. გამოცდილება შეიძინება ორგვარი დაკვირვებით: პირველი რიგის დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს გარეშე საგნები (შეგრძნება), მეორე რიგის დაკვირვების ობიექტს—შინაგანი განცდები (რეფლექსია). რადგან სულის სხვადასხვა მდგომარეობა, რასთანაც საქმე აქვს რეფლექსიას, წარმოიშობა მხოლოდ იმ გავლენის შედეგად, რომელსაც გარე ქვეყანა ახდენს ჩვენზე, ამიტომ ჩვენი სულიერი ცხოვრების პირველ წყაროდ უნდა ვსცნათ შეგრძნებანი.

ამ მატერიალისტურ პრინციპთან ერთად ლოკის სისტემაში ჩვენ ვხვდებით არსებითად იდეალისტურ ელემენტებს, რომელნიც უარჰყოფენ საგნის ობიექტურ თვისებებს და აქცევენ მათ სუბიექტურ განცდებად.

ლოკის სისტემა დ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი ა. ამიტომ მისგან სხვადასხვა მხრით მიიმართება ძაფები. თუ ლოკის სისტემიდან ერთ ბილიკს XVIII საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმამდე მივყეევართ, სამაგიეროდ, მეორემ—ეპისკოპოზი ბერკლეის სუბიექტივიზმამდე მიგვიყვანა, რომლის ღერძი ფენომენალიზმია.

9. „წმინდა ოჯახში" მარქსი ხაზს უსვამს, რომ ფრანგული სენსუალიზმი, მისი ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენელის—კონდილიაკის სახით, უერთდება უშუალოდ ლოკის მოძღვრებასო. „იგი"-ო, ამბობს მარქსი კონდილიაკზე, „ლოკის აზრს ანვითარებდა და ამტკიცებდა, რომ არა მარტო სული, არამედ გარეგანი გრძნობებიც, არა მარტო იდეის შემუშავების უნარი, არამედ გარეგანი გრძნობათა შემწეობით შთაბეჭდილების მიღების უნარიც ცდისა და ჩვეულების საქმეა. ამიტომ ადამიანის განვითარება სავსებით დამოკიდებულია აღზრდასა და გარემოზეო".

ფრანგმა მატერიალისტებმა ადამიანი აღზრდის ნაყოფად გამოაცხადეს, განიხილავდენ მას როგორც გარემომცველი წრის ყოველმხრივი ზემოქმედების შედეგს. ამით მათ საბოლოო დასკვნა გამოიყვანეს ლოკის დებულებიდან თანდაყოლილი იდეების არ არსებობის შესახებ.

10. ამ დებულებას პლეხანოვი დაწვრილებით არჩევს მის „მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევებში". ი რ ო გ ო რ ა ხ ა ს ი ა თ ებს იგი მ ო რ ა ლ ი ს გადასვლას პ ო ლ ი ტ ი კ ა ში ფრანგი მატერიალისტების მსჯელობაში.

— ჰოლბახის დროს დედა-ბუნება როგორც პოლიტიკაში, ისე მორალში ხელმძღვანელობდა სწორედ იმ კანონებით, რომელიც სასარგებლო იყო ფრანგი

ბურჟუაზიისთვის. ეს სრულიად ბუნებრივია. ეს ხომ ის მომენტი იყო, როცა მესამე წოდებამ საკვეყნოდ გამოაცხადა: ყველაფერი მე ვარო...

— რა არის სათნოება? არ მოიპოვებოდა მეთვრამეტე საუკუნეში არც ერთი ფილოსოფოსი, რომელსაც თავისებური პასუხი არ გაეცა ამ კითხვაზე. ჰელვეციუსისთვის ეს კითხვა მარტივი იყო. სათნოება მდგომარეობს იმის ცოდნაში, თუ რა ალდებულება აკავთ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ, მაშასადამე, სათნოების წინაპირობაა საზოგადოების შექმნა... საყოველთაო ინტერესი—აი სათნოების საზომი და საფუძველი. ამიტომ ჩვენი ქცევა მით უფრო დანაშაულებრივია, რაც უფრო საზარალოა ის საზოგადოებისთვის. ის მით უფრო ქველურია საზოგადოებისთვის, რაც უფრო სასარგებლოა მისთვის. Salus populi—suprema lex (ხალხის სიკეთე უზენაესი კანონიაო). ჩვენი ფილოსოფოსის „სათნოება“ პირველ ყოვლისა პოლიტიკური სათნოებაა. მორალის ქა აგებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს: ქადაგებას ჯერ არასოდეს არც ერთი გმირი არ შეუქმნია. საზოგადოებას ისეთი ორგანიზაცია უნდა მისცე, რომელიც ასწავლის მის წევრებს საზოგადოებრივი ინტერესების პატივისცემას. ზნე ჩვეულების გახრწნა მოასწავებს მხოლოდ საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების ურთიერთ გათიშვას. მორალის ყველაზე უკეთესი მქადაგებელი კანონმდებელია, რომელმაც შესძლო ამ გათიშვის მოსპობა.

11. ვ. ვ.—ვასილი პავლეს ძე ვორონცოვის პსევდონიმია.

ვ. ვ. ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენელი იყო იმ „ნაროდნიკული“ რწმენის, რომ რუსეთს განვითარების თავისებური გზა აქვს. როგორც „წმინდა-ეკონომიური“ ნაროდნიკობის იდეოლოგმა—ვ. ვ.-მა არა ერთხელ გაილაშქრა (განსაკუთრებით მეოთხმოცდაათე წლებში) მარქსიზმის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა კავშირი გაეწყვიტა ნაროდნიკულ ტრადიციასთან და აღეარებია კაპიტალისტური პროცესის არსებობა რუსეთში. ვ. ვ.-ის მთავარი შრომებია: „Наши разногласия“, „Очерки теоретической экономии“, „Крестьянская община“. ნაროდნიკულ ეკონომიურ ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლის მიზნით პლეხანოვს არა ერთხელ ამოუდია ნიშანში ვ. ვ. ა. ვოლგინის პსევდონიმით. პლეხანოვმა ვ. ვ.-ის შეხედულებათა დახასიათებას მიუძღვნა სპეციალური კრიტიკული ეტიუდი: „Обоснование народничества в трудах г. Воронцова (СПБ 1896).

12. ლ ა მ ო ტ-ლ ე-ვ ე ი ე ფ რ ა ნ ს უ ა (1588—1672)—ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, რომლის შეხედულებანი გამსჭვალულია სკეპტიციზმით. იგი ემხრობოდა პიერ ბეილის სკოლას.

13. ს ი ს მ ო ნ დ ი ე ა ნ-შ ა რ ლ ი (1773—1842)—ისტორიკოსი და ერთ-ერთი გამოჩენილი ევროპიელი ეკონომისტი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

სისმონდის ეკონომიური სისტემის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს კრიზისების თეორია. კრიზისები მეურნეობის კაპიტალისტური წყობის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს, რომლის დროს საზოგადოებრივი შემოსავალი უკან რჩება ნაციონალური წარმოების ზრდას. საზოგადოებრივი შემოსავალი კი განსაზღვრავს საზოგადოებრივ მოთხოვნას. ასე რომ, მოთხოვნა არ შეესაბამება წარმოებას. ბაზარი იწყებს წარმოებისაგან ჩამორჩენას, რის შედეგად ჩნდება ჭარბი პროდუქტი. ერთად-ერთი გზა, რომლითაც კაპიტალისტურ მეურნეობას შეუძლია გაასალოს ეს ჭარბი პროდუქტი—გარე ბაზარია. მაგრამ ადრე თუ გვიან ეს ბაზარიც მოისპობა.

14. ვიკო ჯამბატისტა (1668—1744)—ცნობილი იტალიელი მოაზროვნე, ისტორიის ფილოსოფიის ერთ-ერთი საფუძველმდებელი, რომელსაც ზოგჯერ ისტორიის „მამას“ უწოდებენ.

ვიკოსათვის კაცობრიობის ისტორია „ადამიანის სულის“ ისტორიაა. მაგრამ ამ სულის განვითარება თვითნებით კი არ ხდება, არამედ ღვთაების უშუალო გავლენითა და ხელმძღვანელობით. ცალკე პირებსა და ჯგუფებს დასახული აქვთ თავიანთი საკუთარი მიზნები, მაგრამ მათი მოქმედების შედეგად წარმოიშობა ისტორიული მოვლენა, რომელიც ღვთაებრივ წინასწარ გახზრახვას შეესაბამება.

ვიკო ისტორიული პროცესის ძირითად კანონად თვლიდა რკალისებრ მოძრაობას. ყველა ხალხი ვალდებულია განვლოს ისტორიული განვითარების ერთი და იგივე ფაზისები. ამრიგად, ყოველი ხალხის ისტორია წარმოადგენს იმ ხალხის ისტორიის განმეორებას, რომელიც იმყოფება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე.

15. გიზო ფრანსუა-პიერ-გილიომი—(1787—1874)—ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი. მინიეს და ტიერთან ერთად — ისტორიული მეცნიერების ახალი მიმართულების მეტად გამოჩენილი წარმომადგენელი,—მეცნიერების, რომელიც საფრანგეთში წარმოიშვა რევოლიუციური ეპოქის შემდეგ და რომელიც ფრანგი დიდი უტოპისტების ფილოსოფიურ-ისტორიულ შეხედულებათა თვალსაჩინო კვალს ატარებდა. „გიზოც, ტიერიც, მინიეც“—ამბობს გ. ვ. პლეხანოვი მე-19 საუკუნის ფრანგული უტოპიური სოციალიზმის შესახებ დაწერილ სტატიაში—„და ყველა ფრანგი ისტორიკოსი სწორედ იმ ისტორიულ შეხედულებებს იცავდა, რომელთა პირველ სისტემატიურ მქადაგებლად სენ-სიმონი გამოვიდა. ამ შეხედულებების შესწავლისას ძალა-უნებურად და ხშირად გაგონდება თეორია, რომელიც შემდეგ წარმოიშვა და რომელმაც ისტორიული მატერიალიზმის სახელწოდება მიიღო. ისინი, მართლაც, წარმოადგენდენ მნიშვნელოვან მასალას ამ თეორიის გამოსაშუშავებლად. მაგრამ ერთხანს ისინი ძალიან კარგად ეგუებოდნენ უკიდურეს ისტორიულ იდეალიზმს“...

16. ოგიუსტენ ტიერი (1795—1856) და ფრანსუა ავგუსტ მინიე (1796—1884)—გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსები, რომლებმაც გიზოსთან ერთად შექმნეს ერთი სკოლა.

წინამდებარე შრომის მეორე თავის გარდა, პლეხანოვმა ამ სკოლის დახასიათება მოგვცა აგრეთვე სპეციალურ წერილში: „ოგიუსტენ ტიერი და მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე“.

17. ბაზარი ამან (1796—1832)—სენ-სიმონის სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ბაზარის აზრით, საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ვერ შეასრულა მის წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანა—სოციალური თანასწორობის განხორციელება. რევოლიუციამ გამარჯვება არგუნა ბურჟუაზიას, მაგრამ ხალხთა მასას-კი არაფერი მისცა—გარდა მატერიალური მდგომარეობის გაუარესებისა. ისტორია და სამართლიანობა მოითხოვს შრომის ემანსიპაციას კერძო საკუთრებისაგან. ამის მიღწევა შესაძლებელია მემკვიდრეობის უფლების მოსპობის გზით. ბაზარი ანფანტენთან ერთად მეთაურობდა სენ-სიმონის სკოლას, რომლის შიგნით მან შექმნა თავის მომხრეთა განსაკუთრებული ჯგუფი (ბაზარდისტები).

18. კონდორსე ჟან-ანტუან-ნიკოლი (1743—1794)—საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ეპოქის პოლიტიკური მოღვაწე და ცნობილი მწერალი ისტორიის ფილოსოფიის საკითხებზე. ჟირონდისტთა ეოთ-ერთი მეთაური.

ავტორი ეგრეთწოდებული კონსტიტუციის ჟირონდისტული პროექტისა, რომელიც უარჰყო კონვენტმა. დაპატიმრების შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო კონვენტის დადგენილებით კანონს გარეშე მისი გამოცხადების შესახებ—სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

19. ს ე ი ჟ ა ნ-ბ ა პ ტ ი ს ტ ი (1776—1832)—ცნობილი ფრანგი ეკონომისტი. ადამ სმითის შეხედულებათა ერთ-ერთი გამოჩენილი პოპულიარიზატორი, რომელიც, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ საკითხებში მას მნიშვნელოვნად შორდებოდა (მოძღვრება არამატერიალურ დოვლათზე და სხვ.). იგი იყო ეაპრობის თავისუფლების მხურვალე მომხრე და მტერი ეკონომიურ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევისა.

რ ი კ ა რ დ ო დ ა ვ ი დ (1772—1823)—ახალი დროის ერთ-ერთი დიდი ეკონომისტი. რიკარდოს ეკონომიური შეხედულებანი მთლიანად დაკავშირებულია მისი თეორიის ძირითად დებულებასთან, რომლის მიხედვით საკონლის საცვლელი ღირებულება განისაზღვრება მისი (ე. ი. საკონლის) წარმოებისთვის დახარჯული შრომის რაოდენობით. ეკონომიური პოლიტიკის სფეროში რიკარდო იცავდა ეკონომიური საქმიანობის სრულ თავისუფლებას.

20. ა ნ ფ ა ნ ტ ე ნ ი ბ ა რ ტ ო ლ ო მ ე ი-პ რ ო ს პ ე რ (1796-1864)-უტოპიური სოციალიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი. სენ-სიმონის სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა. ამ სკოლას ბაზართან ერთად მეთაურობდა; შემდეგ-კი დაშორდა მას უმთავრესად ქალთა ემანსიპაციის საკითხში. ბაზართან განხეთქილების შემდეგ თავის ირგვლივ შემოიკრიბა თავის ფანატიკურ მომხრეთა ჯგუფი, რომელიც, თუმცა, ჩქარა დაიშალა.

ანფანტენის უტოპიურ შეხედულებათა დახასიათება მოცემულია გ. პლეხანოვის მიერ წერილში: „მე-19 საუკუნის ფრანგული უტოპიური სოციალიზმი".

21. მ ა ლ თ უ ს ი (1766—1834)—ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, მღვდელი. მალთუსის მოძღვრების მიხედვით, მოსახლეობა იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე საზრდო (პირველი გეომეტრიულის—მეორე-კი არითმეტიკული პროგრესიით), რითაც აიხსნება სიღატაკე, უმუშევრობა და კაპიტალისტური წყობილების სხვა უბედურებანი. ამიტომ, მალთუსის აზრით, სოციალურ გარდაქმნათა ყოველი ცდა უნაყოფოა. ამის მაგიერ მალთუსი გვირჩევს თავი შევიკავოთ ნაადრევ დაქორწინებისგან და შევზღუდოთ მშობიარობა. მალთუსის მოძღვრება წარმოადგენს ცდას—მიჩქმალოს კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობანი.

22. ზ ი ბ ე რ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ი ვ ა ნ ე ს ძ ე (1844—1888)—გამოჩენილი რუსი ეკონომისტი და კარლ მარქსის ეკონომიურ შეხედულებათა პირველი პოპულიარიზატორი რუსულ ლიტერატურაში. ხშირად გამოდიოდა მარქსის მრავალრიცხოვანი კრიტიკოსების, მათ შორის ტექსტში მოხსენებულ ი. ჟუკოვსკის წინააღმდეგ. გარდა პლეხანოვის მიერ დასახელებულ ზიბერის დისერტაციისა, დღემდე განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს მისი შემდეგი ნაშრომები: „რიკარდო და კ. მარქსი მათი საზოგადოებრივ-ეკონომიური გამოკვლევების მიხედვით", „კარლ მარქსის ეკონომიური თეორია" და „პირველყოფილი ეკონომიური კულტურის ნარკვევი".

23. ლაპარაკია ნ ი კ ო ლ ო ზ გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს შესახებ.

24. Laisser faire, laisser passer—ფიზიოკრატების სკოლის ძირითადი პრინციპი. ეს პრინციპი ფიზიოკრატების მიერ წამოყენებული იყო ლო-

ზუნგის სახით, რომელიც აღიარებდა, რომ სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ყოველი ჩარევა მიზანშეუწონელი და აგრეთვე მავნებელიცაა. სამეურნეო ცხოვრება საუკეთესოდ ვითარდება მაშინ, როდესაც იგი ამ ჩარევისაგან თავისუფალია. პირად ინტერესთა თავისუფალი ჭიდილი ყველაზე უფრო უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარებას.

25. ნ ი კ ო ლ ა ი--ო ნ ი—ანონიმია ცნობილი პუბლიცისტისა და მწერლის ეკონომიურ საკითხებზე—ნიკოლოზ ფრანცის-ძე დანიელსონის (1844—1918). ნიკოლაი--ონის მთავარი შრომაა: „Очерки нашего пореформенного общественного хозяйства". ნიკოლაი—ონი „კაპიტალი"-ს პირველი რუსი მთარგმნელია, რომელმაც იგი გადათარგმნა თვით მარქსის უშუალო ხელმძღვანელობით.

ნიკოლაი—ონის ეკონომიური შეხედულებანი და მისი პროგნოზები რუსეთის სამეურნეო განვითარების შესახებ ხშირად წარმოადგენდა მკაცრი კრიტიკის საგანს პლეხანოვის მხრით. ამ კრიტიკას პლეხანოვმა ადგილი დაუთმო წინამდებარე შრომაშიაც.

26. რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ი ა გ ე ც ო ვ კ ა რ ლ (1805—1875)—მე-19 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ეკონომისტი. როდბერტუსი გერმანელ სოციალისტებს შორის ერთად-ერთი იყო, რომელიც ჯერ კიდევ მეოცდაათე წლებში დაინტერესდა ეკონომიური პრობლემებით.

გ. ვ. პლეხანოვმა როდბერტუსის შეხედულებათა ვრცელი დახასიათება მოგვცა წერილში: „როდბერტუს იაგეცოვის ეკონომიური თეორია" (მოთავსებულია კრებულში „За двадцать лет"). პლეხანოვმა ასე შეაფასა როდბერტუსის მნიშვნელობა:

— სასაცილოა დავაყენოთ მისი მოძღვრება მარქსისა და ენგელსის მოძღვრებაზე არამც თუ მაღლა, არამედ მისი გვერდითაც-კი. როდბერტუსის შეხედულებანი შემუშავდა ეკონომიური მეცნიერების ისტორიის იმ პერიოდში, როდესაც კლასიკური ეკონომიის მოძღვრება აღმოჩნდა ვიწრო, მოძველებული და მოითხოვდა რადიკალურ გადაკეთებას. მისი თხზულებები წარმოადგენდა ამ გარდამავალი ხანის დამახასიათებელ მოვლენას, მაგრამ ის ვერ გახდებოდა იმ არქიტექტორად, რომელიც ფუნდამენტს ჩაუყრიდა ახალ მეცნიერებას.

იგი გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად მუშაობდა მისი განახლებისათვის, თავის მხედველობის არეს არ ზღუდავდა მხოლოდ მაღალი კლასების ინტერესებით, არ ჩქმალავდა კლასიკური ეკონომიის მიერ მიღწეულ რეზულტატებს. ყოველივე ეს ისტორიულ მეცნიერებაში მას საპატიო ადგილს აკუთვნებს. იგი იყო სმითის და რიკარდოს ჭეშმარიტი მიმდევარი და მის თანადროულ ვულგარულ ეკონომისტებზე განუსაზღვრელად მაღლა იდგა.

27. აქ ლაპარაკია ფრ. ენგელსის ცნობილ წიგნზე „Herrn Eugen Duhring's Umwälziung der Wissenschaft" („Анти-Дюринг").

28. ფ ო ი ე რ ბ ა ხ ი ლ ი უ დ ვ ი გ-ა ნ დ რ ე ა ს (1804—1872)—მარქს-ენგელსის უშუალო ფილოსოფიური წინამორბედი. ფოიერბახმა, რომელიც თითონ ჰეგელის სკოლიდან გამოვიდა, პირველად მოგვცა ჰეგელის სისტემის ვრცელი და საფუძვლიანი კრიტიკა.

„ჩემი პირველი აზრი იყო ღმერთი, მეორე—გონება, მესამე და უკანასკნელი ადამიანი"—ასეთ ფორმულაში ჩამოაყალიბა ფოიერბახმა თავისი ფილოსოფიური ძიების ისტორია. თეოლოგიიდან იგი მიდიოდა აბსოლუტური სულის ჰეგელის კულტამდე, ჰეგელიანელობ ან—ადამიანის ფილოსოფიამდე.

იდეალისტური ფილოსოფია აღიარებდა: „მე აბსტრაქტული, მხოლოდ გონებით წარმოსადგენი არსებაა, სხეული არ ეკუთვნის ჩემს არსებას". ამას ფოიერბახმა დაუპირდაპირა დიამეტრულად საწინააღმდეგო დებულება: „მე რეალური, გრძნობადი არსებაა, ჩემი მე, ჩემი არსება, ეს—სხეულია მისი სრული მთლიანობით". ჰეგელი ადამიანს აბსოლუტური სულის ქმნილებად თვლიდა, ფოიერბახმა თვით აბსოლუტური სული ადამიანის ქმნილებად გამოაცხადა.

ფოიერბახის მიხედვით, მაღალი ცნებები შეუძლებელია გამოვიყვანოთ ცალკე მე-სგან ემპირიულად მიცემული შენ-ის გარეშე. ადამიანი მხოლოდ ადამიანებთან კავშირში ამჟღავნებს თავის თავს არა მარტო როგორც მოაზროვნე, არამედ როგორც მორალური არსებაც.

რამდენად ფოიერბახმა აზროვნება აღიარა არსის შედეგად და არა მის მიზეზად, რამდენად მან გამოარკვია, რომ არსის კანონები იმავე დროს აზროვნების კანონებია—იგი გადაჭრით დაადგა მატერიალიზმის გზას. მაგრამ ამავე დროს მან „მე"-სა და „შენ"-ს ურთიერთობის საფუძველზე სცადა ეთიური სისტემის აგება, რომელიც დაუკავშირა რელიგიის ფილოსოფიას (ტეიზმი). ამან იგი ი დ ე ა ლ ი ზ მ ა მ დ ე მიიყვანა.

ზნეობა ემყარება ადამიანთა შორის კავშირს. მასზე ემყარება ჩვენი რელიგიური შეხედულებანიც. ადამიანი თავის ურთიერთობას ადამიანებთან რელიგიაში აწმინდანებს, ხოლო ღვთაებაში-კი გამოხატავს თავის უძვირფასეს სურვილებს. ღმერთს კი არ შეუქმნია ადამიანი, არამედ ადამიანი ქმნის ღმერთებს თავის მსგავსად. ღმერთი სარკეა, რომელშიაც გამოიხატება ადამიანი.

ფოიერბახი მატერიალისტია; მის უდიდეს დამსახურებას ის შეადგენს, რომ მან აღადგინა იდეალისტური ფილოსოფიის ტრიუმფალური სვლით გათელილი მატერიალიზმი და იგი დაუპირისპირა გაჩრწნილ იდეალიზმს. მაგრამ მის წინაშე მდგარი ამოცანები მას ბოლომდე არ შეუსრულებია. „აბსოლუტური სულის"—როგორც „თეოლოგიის გარდაცვლილი ღმერთის" —წინააღმდეგ გალაშქრებით ფოიერბახმა უკუაგდო ჰეგელიანელობა, მაგრამ ვერ შესძლო მისი დაძლევა. ფოიერბახმა ვერ გაითვალისწინა ჰეგელის მეთოდის—დიალექტიკის—მნიშვნელობა. ამაშია მისი მოძღვრების აქილესის ტერფი, რის შემდეგაც იგი უძლური, პასიური აღმოჩნდა სოციალური პროცესების წინაშე.

ფოიერბახის შემოქმედების გაცნობა ძირითადი წინაპირობაა მარქსიზმის თეორეტიულ-შემეცნებითი საფუძვლების შესასწავლად.

29. ძ მ ე ბ ი ბ ა უ ე რ ე ბ ი—ედგარი (1820—66) და ბრუნო (1809—1882)—მემარცხენე ჰეგელიანელები, რომელთა შეხედულებანი ახასიათებენ კლასიკური ფილოსოფიის დაშლის ერთ-ერთ მომენტს.

ბაუერების წინააღმდეგ მიმართული იყო მარქსისა და ენგელსის ცნობილი პამფლეტი „წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკული ფილოსოფიის კრიტიკა". „ჰეშმარიტ ჰუმანიზმსო—ნათქვამია პამფლეტში—გერმანიაში არა ჰყავს იმაზე უფრო საშიშარი მტერი, როგორიც სპირიტუალიზმი ან სპეკულიატიური იდეალიზმია, რომელიც ნამდვილი ინდივიდუალური ადამიანის მაგიერ აყენებს „თვითშეგნებას" ან-და „სულს". თავის-თავად ცხადია, რომ ეს უნაყოფო სული არსებობს მხოლოდ მის წარმოდგენაში"...

30. იგულისხმება პ. ლ. ლ ა ვ რ ო ვ ი (1823—1900)—ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი რუსი სოციალისტი. გადასახლდა რუსეთიდან საზღვარ-გარედ

და რუსული რევოლიუციური ემიგრაციის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა შეიქმნა. ლავროვმა თავისი შრომებით სოციოლოგიისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის დარგში და აგრეთვე თვისი პუბლიცისტური მოღვაწეობით (იგი იყო ჯერ ჟურნალ „Вперед"-ის და შემდეგ „Вестник Народной Воли"-ს რედაქტორი) სრულიად დაიმორჩილა რუსეთის ინტელიგენციის აზროვნება. იგი სარგებლობდა საყოველთაო ავტორიტეტით 70—80 წლების რუსეთის პროგრესიული საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

„ისტორიული წერილები", რომელზეც ლაპარაკია ტექსტში—ლავროვის ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოებია (გამოქვეყნდა მირტოვის პსევდონიმით). იგი შეიქნა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულების მიმცემი. კაცობრიობის პროგრესი შესაძლო ხდება, როგორც მასის განუზომელი ტანჯვის შედეგი, მხოლოდ იმ პროგრესის მთავარი მამოძრავებელი არიან „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებანი". კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებებს—როცა ისინი ისტორიულ ბორბალს აბრუნებენ, უნდა ახსოვდეთ, თუ რა დიდი ტანჯვით არის მიღწეული ისტორიული პროგრესი. ამ პიროვნებების ზნეობრივი მოვალეობაა „პროგრესისთვის სანაცვლო ექვივალენტი გადაიხადონ". ეს გადახდა-კი შემდეგს ნიშნავს: უნდა იმუშაონ ხალხში, აამაღლონ მისი ზნეობრივი და გონებრივი დონე, შესცვალონ მისი არსებობის საზოგადოებრივი ფორმები—მიუახლოვონ ის ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის იდეალებს.

ლავროვის იდეებმა „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებაზე" შესამჩნევი გავლენა მოახდინა, სხვათა რიცხვშიც, ნ. კ. მიხაილოვსკიზეც, რომლის შეხედულებანი პიროვნების როლზე ისტორიაში გამანადგურებელი კრიტიკის ობიექტი გახდა პლეხანოვის მხრით.

31. სავინი ფრიდრიხ კარლ (1779—1861)—ცნობილი იურისტი, ეგრეთწოდებული სამართლის ისტორიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი.

32. პუხტა გეორგ ფრიდრიხ (1798—1846)—ცნობილი გერმანელი სამართლის მეტყველი, რომელიც თავისი შეხედულებებით უახლოვდებოდა სავინის. სამართლის ისტორიული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

33. მორგანი ლევი-გენრი (1818—81)—ახალი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ეთნოგრაფი და სოციოლოგი.

მორგანის გამოკვლევებმა ოჯახის წარმოშობაზე მოახდინა ძირითადი გადატრიალება მეცნიერების თვალსაზრისში ოჯახის წარმოშობის და საგვარეულო ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. ამ გამოკვლევებმა დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე მეცნიერული სოციალიზმის საფუძველმდებლებზე. ფრ. ენგელსი ოჯახის წარმოშობის საკითხში მთლიანად იზიარებს მორგანის თვალსაზრისს.

მორგანის ძირითადი შრომაა კლასიკური თხზულება: „უძველესი საზოგადოება".

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. წინასიტყვაობა—ს. ვოლფსონი III—XIV
2. მეორე გამოცემის წინასიტყვაობა—ავტორი . . 1— 2
3. თავი პირველი: XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი . . 3— 13
4. თავი მეორე: რესტავრაციის დროის ფრანგი ისტორიკოსები 14— 28
5. თავი მესამე: უტოპისტ-სოციალისტები . 29— 63
6. თავი მეოთხე: გერმანული იდეალისტური ფილოსოფია. 64—110
7. თავი მეხუთე: თანამედროვე მატერიალიზმი . 111—229
8. დასკვნა . 230—262
9. დამატება პირველი: ერთხელ კიდევ მიხაილოვსკი, ერთხელ კიდევ „ტრიადა“ 263—271
10. დამატება მეორე: ცოტა რამ ისტორიის შესახებ . 272—285
11. შენიშვნები 287—296

შეცთომების გასწორება

გვ.	სტრიქ.		დაბეჭდილია	უნდა იყოს
17	7	ქვევიდან	რომის იმპერიის შემდეგ	რომის იმპერიის დაცემის შემდეგ
20	8		ისტორიკის-ლიეორატორებს	ისტორიკოს-ლიტერატორებს
—	13		ნათელჰყოფა	ნათელყოფა
—	14	„	ცხადჰყოფა	ცხადყოფა
36	18	„	იწვევს	შეიცავს
44	2 და 14	ზევიდან	ნაროდნიზმის	ნაროდნიკობის
—	16	„	ასეთი „მსოფლმხედველობის“ მქონე ხალხს	იმ ხალხის „მსოფლმხედველობას“, რომელსაც ასეთი „შეხედულება“ აქვს
—	17		ამ მსოფლმხედველობის მიხედვით	ამ შეხედულების მიხედვით
—	5	ქვევიდან	ეღიარებია	აღეარებია
46	13	„	პროფესორი	ისტორიკოსი
51	3	„	რომ, რომ	რომ
101	11	„	ყველაფერია	ყველაფერი
105	5	„	ჭეიმარიტს	ჭეშმარიტს
112	19	ზევიდან	ძალაარ	ძალაა
141	3	ქვევიდან	культуры	культуры
192	15	„	მას ჯერ კიდევ	მას იცავდა ჯერ კიდევ
268	16	ზევიდან	მოხლოდ	მხოლოდ
—	18	ქვევიდან	ახსოვ,	ახსოვ-
—	3	„	მად	მათ
272	2	ზევიდან	სოციოლოგაური	სოციოლოგიური
296	10	„	აზროვნების	აზროვნებისთვის